

მნათობი



7-8

1999

მნათობი



წიგნი 75-ე

№ 7-8

1999 წელი

საქართველოს მშვიდობა კავშირის ორგანო

შინაარსი

კოეზია, კროზა, დრამატურგია

| | |
|--|----|
| გივი ძველაძე — ლექსები | 3 |
| მარი აბრამიშვილი — ლექსები | 16 |
| ქოზა ცხაკაია — არგენტინული ტანგო. პიესა | 19 |
| ოზარ შამათავა — ლექსები | 29 |
| იური კახენაშვილი — ლექსები | 33 |
| ციალა არღაშელია — "იეროგლიფი". მოთხრობა | 34 |
| შალვა საბაშვილი — ლექსები | 46 |
| ზურაბ ლოგთანიძე — დღე და ღამე. მოთხრობა | 47 |
| ჯივიზ ჯონისი — ულისე. მე-17 ეპიზოდი. თარგმანი და კომენტარი ნიკო ყიასაშვილისა. გაგრძელება | 52 |

კრიტიკა, აუზლიცინსტიკა

| | |
|---|----|
| ცინანა ბენქეხაძე — რაქთან გვეტაძე | 70 |
| ინგა მიღორავა — ზმანებისა და ცხადის მიჯნაზე | 81 |
| იური გიგინეიშვილი — დავით თაფორაძე | 88 |

თვალსაზრისი

| | |
|---|----|
| ლევან ფრუიძე — ეროვნული მიცენიერება და თანამედროვეობა | 94 |
|---|----|

აუზლიკაცია

| | |
|--|-----|
| არჩილ მხარტიშვილის წერილები ალექსანდრე ახმეტაღისადმი. ნინასიტყვაობა ლალი შურულაშვილისა | 106 |
|--|-----|

მიცენიერება

| | |
|---|-----|
| ანრათ მხარაშვილი — საინგილოს მონოგრაფიის შესავლის ისტორიიდან | 115 |
| მანანა ზომარიძი — "აკტი გონიურის" ავტორის მასონობასთან მიმართების საკითხისათვის | 134 |
| ნიკოლოზ კანჭოშვილი — "აფულმესიანის" ინდური ტარმინების განმარტებისათვის | 139 |
| ლევან ჭრალაშვილი — თაიშურაჰ პირველის ასკეტიზმთან დაგროვილებულება | 141 |
| ქეთევან შენგელია — ცოცხალი ფესვები | 145 |

(იხ. მე-2 გვ.)



(გაგრძელება)

შაჰტავი

რეპაზ კვარაცხელიძე — საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1997, დასასრული 150

რაცანია

ნინო ჩხიკვიძილი — რეპეიში სასიკვდილო სენით შთაყრობილთათვის 158

გამოსათხოვარი

მწერალი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე 162
პოეტის უპირველესი ზეილდი 163

მთავარი რედაქტორი
თამაზ ზილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აბიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორდელი (პ.მგ. მდივანი)

“... ადამიანს ააძაყებს და ღირსების შეგრძნებას უძლიერებს იმის შეგნება, რომ მისი სიცოცხლე მთლიანად ეკუთვნის სამშობლოს, ხოლო ათასჯერ უფრო ააძაყებს და ღირსების შეგრძნებას უძლიერებს იმის შეგნება, რომ ის (სამშობლო) მთლიანად ეკუთვნის მას (ადამიანს)!”

(ჩემი ერთგომეულისათვის ნანამძღვარი ჩემივე წერილიდან)

ნიგნიდან “გოლოთქაე”

სიაზაყე!..

... დაბადებამდე რომ ვერ გზედავდი — ამაზე მწყდება ძალიან გული!.. სიკვდილის მერე რომ ვეღარ გნახავ — ამაზე როგორ არ დამწყდეს გული!..

მე ვარ ქართველი!..
შენ — საქართველო! —
ამაზე თბილად ვერაფერს გეტყვი!..
ვარ შინაარსი შენი სახელის
და სიამაყე არ მინდა მეტი!..

1955 წ.

ვედრება

“... რომლის საკურთხად დავსდები მე ჩემს გულსა და სულს...”
ნ. მარათაშვილი

...იმად, რომ თავზე შუქსა თბილსა
გარდმობაბრწყინვებ და, ნებით შენით, თვალთა ჩემთა
იმა შუქს შერთავ, ამაღ: დიღ-დიღით, პირჯვრის წყრით
მადლობას გწირავ, — ყოვლის შემძლეო, მადლმოსილო
მადალო ღმერთო!..

... თუცაღა, ზეო, არცოცხალი, თითქმისღა მკეღარი,
გემუღარები შეისმინო ვედრება ჩემი: დამანახევი
ოღონდაცღა მამულში ღარი, — გარდმომადინე
ღვეღფნარევი თვალთაგან ცრემლი!.. აბა, და... ისე რა
ფასი აქეს მადღწირვას ჩემსას, — რა ბედენა თვალგახელა
მრუმეში ბრმაის!.. სულისმიერო! — შენებრ
ერთმან, მადალმან მზემან, — ცეცხლი ციური განუღვივოს
აღსავალს ცაის!..

... ოდეს მამულში სანუკვარი დადგება დარი, —
ოდენდა მაშინ ეღირება გახელა თვალის!..

... ჯერეთ სოფელი დაპირებით გემასპინძლობს ცრუთი:
ო, ყოვლადსრულო, განგვიბრწყინე ნანატრი წუთი!..

... წარსულზე ფიქრი მართლაც სულ სხვაა:
გზები — წამებში გადასაფრენი!..

... იქიდან აქეთ რამხელა გზაა! —
აქედან იქით... აღარაფერი!..

...ახლა, ახლა, ახლა, ახლა, ახლა, ახლა, ახლა,
ახლა, — არც გუშინ და არც გუშინწინ, არც ხვალ,
არც ზეგ, და არც მაზეგ, — ახლა, ახლა, ა, — ეს წამი, წამი,
წამი, — მხოლოდ წამი, — ერთი თვალის შევლება, ერთი
ყლუპის დაღევა, ერთი გაღიმება და ერთი შემოხედვა,
— ერთი გაელევა, ერთი წამღერება, ერთი
ასხივება, ერთი ასხივლება, — ახლა, ახლა, ახლა,
ახლა, — თვალთა გადაბინდვამდე, სულის გადარდიღვამდე,
— არ ჩააქროთ სინათლე, ნუ ჩააქრობთ სინათლეს,
ნუ ჩააქრობთ სინათლეს, არ ჩააქროთ სინათლე!..

...არც გუშინ და არც ხვალ:
ახლა, ახლა, ახლა!..

ჩვეება წიგნილის სთავებში — სალაპროსას...

ვუძღვნი ჩემს ძმას — ნოდარს

I

...ამ ერთი ნიშნით კი ვგავარ თავადს:
მაქვს საკუთარი ლელის წისქვილი!..
ნუ დაუუკარგავთ ღირსებას მთავარს:
ფქვაკვს გრილად... გრილად... არ იწვეს ფქვილი!..

...რა სჯობს ცივ ღარში ფეხების ჩაყრას...
(მოხუცს ბავშვივით უყვარს გართობა!..) წუთით
ვიეიწყებ სამყაროს ყაყანს და საამსოფლო
უკულმართობას!..

...კოდს მოსდებია ლეყვო ხავსად (ქვის
ჭადარაა ეს ლურჯი ხავსი)... ვისმენ ბავშვობის
კისკასს და კასკასს — ანკარა ლელის ჩუხჩუხა
ხმაში...



II

... საფუკავით მოდის მოხუცი ქალი (ო, ხსოვნის
 ღმერთო, — ცოტა მაცალე!)... მოდი, — ღიაა
 წისქვილის კარი: მინდს არ ავიღებ, შენ გენაცვალე!..
 შემოფართქალდი, მოდი, მოცუცქდი (მორცხვი ღიმილი
 შეენის ვარაყაღ!..), — როდის დაქალდი, როდის მოხუცდი,
 შენ... ის არა ხარ?.. შენ... ის არა ხარ?..
 შენ... ის სარა ხარ?.. შენ ის ნატო ხარ?..
 მე... მე სადა ვარ, — მარტო რატომ ხარ?..
 ...უცებ — შეღამდა და უხილავმა მთებიდან
 ბინდი გადმოახოხა!..

III

...გაპქრა ჩვენება, როგორც ფიფქი რამ, —
 ნისლის ფთილა ან ჩქერის ჩხრიალი: ღელის ფრინველმა
 გადაიფრინა იდუმალური შრიალ-შრიალით...

“...კაცის ოცნება სად არ შეტოპავს”, —
 ჩამესმის ოხვრით ამონათქვამი!..
 — თავადო! წისქვილს ხმაზე ეტყობა:
 ჩ ა მ ო თ ა ე ღ ე ბ ა

მ ა ლ ე
 სა ფ უ კ ა ვ ი ! ..

უხნაური წვიმა!..

ანუ —

ამოკახება საფლავიდან!..

(უძღვნი ოტია პაჭკორიას ხსოვნას)

... საწუთრომ ბევრი მადინა ცრემლი, —
 მანდ ბედმა ბევრჯერ მიჩვენა ბრანწი...
 ... აქაც ვტირი და... ცრემლები ჩემი —
 ჩემივე საფლავს ზემოდან აწვიმს!..

12-XI-97 წ.

ბოლოთქვა

... სული კვამლივით ადის ზევ-ზევით:
 სწადის სივრცეში უზღვროდ განვრცობა!..
 — სიკვდილო! — აღარ გემიზეზები, —
 კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა!..

საქმობლო

... შენ — იყავი!... შენ — ახლაც ხარ!..
 შენ — იქნები მუდამ!.. ეს — ასეა! — განა
 ამას ლაპარაკი უნდა?!.. მე თუ ახლა რამეს
 ვიტყვი, — ეს არ არის იჭვი: ორღობეში მოტიინტილობს
 ფეხშიშველა ბიჭი!.. აი, შენი მომავალი: შეუწყვეტი
 სუნთქვა: — შეეზედე და... დავიჯერე:
 — შენ იქნები მუდამ!..

გამონანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

... არ არსებობს კითხვა თითქმის...
ანდა თითქმის არ არსებობს, —
პასუხი რომ არ გაძეცეს,
ან ისეო, ან ასეო!..

... ამ ერთ კითხვას ვერ ვპასუხობ, —
თუ ბიჭი ხარ — შენ თქვი რამე:
— მთვარის ტოტებს თეთრი თხები
ნეტა როდის შეტკვირავენ?..

... ცქრილა გოგომ გაიტანა სარეცხი გარეთ
და გადაკიდა ბაწარზე ხელად...
ბავშვის პერანგი — ვარდისფერი — ერია სარეცხს
და მზე აშრობდა პაწია პერანგს!..

ვაშლისხე თოვლში...

... გაყინულ თოვლზე ეცემა სხივი და სანთელივით
ღნება!.. ამ ვაშლის ხეზე გუშინ საღამოს
თეთრი თიკანი ება!..

პარმონია

... მზიანი ნისლი სიზმარივით ირწყევა ქედზე...
თვალი ვერ ვხედავს, მაგრამ... სულის სურვილი
გეძებს... ამ დროს ყველაფერი თავის
ადგილზეა, მთლიანობაა და სავსეობა ირგვლივ...
ერთის მაგიერად ცაზე ათი მზეა, — განათებული ვარ,
ვით რუსთველის წიგნი!..

... აღარც ომებია!.. აღარც სისხლის ღვრაა!..
ხანჯლის ბასრი პირი — ღამაზ სიზმრის ფრთაა!..
მებთა ტეხა ისმის ჰიმნად, ღაღადებდად... დღეა, —
არასოდეს აღარ დაღამდება!.. სული აღარ გმინავს,
აღარ წუხილაობს, როცა შენ გიყურებ, ჯერეთ უხილაო!..
ღამეც, მრუმე ღამეც შვებით აღვსილია, ზეცის ცხრავე
კარი ფართოდ გახსნილია!.. ფეთქავს ყველაფერი შენი
გულის ძველით, ფიქრი როცა გხედავს მოუღწეველ მზერით!..
... მაშინ ყველაფერი თავის ადგილზეა, — ოდეს
შენს უსახო სახეს ვხედავ ირგვლივ!.. მაშინ, ერთის
ნაცვლად, ცაზე ასი მზეა:
ვარ განათებული, ვით რუსთველის წიგნი!..

მზის ჩასვლისას...

... მზე დედამიწას თავზე ადგა ბრწყინვალე
ჯილად... იდგა ხალხი და ქვითინებდა სახლში
და გარეთ... რაღაც ფირფიტებს ერთმანეთზე ურტყამდა
ვიღაც და ექვსი კაცი აკვნესებდა საკრავებს
მწარედ!.. სახლში დრო და დრო გვირგვინები
შეგვექონდა ბავშვებს: მომცრო კუბოში ჩვენი
ტოლი ბიჭუნა იწვა... ეზოს გადაღმა, მაყვლიანში,
გალობდა შაში და გაზაფხულის სამოსელში
ხარობდა მიწა!..

... ხალხი უეცრად შეიძრა და ატირდა უფრო:
სამარადისო განშორების წუთები დადგა... მზემ
ჩამავალმა შემოპხვია სხივები კუბოს, მერე ასწია
და ნელ-ნელა წაიღო... საღვაც!..

ბაღდა უკვდავებისა...

... ჯერ: ტყე... მინდორი... მერე – წყალი,
მერე – ხმელეთი... გამწყვრალი მზერა და ცისფერი
ცრემლი გუგებში... მირბის მერანი – ამოთხვრით
მერამდენეთი მხედარმა ხეებს ნიაკივით
უთხრა ნუგეში!.. მირბის მერანი, ნაფლოქვარი ემწნევა
მიწას, როგორც უსაზღვრო სივრცე რჩება
მხედრის ხსოვნაში: კაცს უმზულობამ სამუდამოდ
გადაავიწყა გულით ღიმილი და ბოდიში ბედის წინაშე!..
მირბის მერანი – ინგრევა მთები!.. მიჰქრის მერანი –
ზღვა დელედ იქცა!.. მხედრის თვალითაგან აღმონახეთქი
ელვა ბილიკად განერთხო მიწას!.. საყურეების ოდენა
ცრემლი მერანს ეფრქვევა ცისფერ ფაფარში... ეს
ტირილია ცისა და მიწის, ეს – სიკვდილია, ოღონდ –
ზღაპარში!..

... მირბის მერანი – სივრცე ისევ სავსეა
ბინდით, ირყევა ღამე მშფოთვარ სულთა საყდრის
მახლობლად. – გაუვალ ტყეში უღალაკი მერანი მირბის:
ნაფლოქვარები ირმებს ჰყოფნით გადასახლტომად!..

... გამოჩნდი მზეო! – დადგა ზრიალი, – ცხრაკლიტულები
იმტრეკევა თითქო, – გაყინულ ჰაერს ცეცხლი
მოედო: ციდან ღვთიური იღვრება სითბო!.. ეჯახებიან
მკერდს ღამეები, როგორც კლდეს ტალღა მღვრიე
მდინარის... მიღმა ხმა ისმის უკვდავებისა: – ჰეი,
ვინ მოდის!.. ჰეი, ვინ არი!..”

... სად იყო დილა!.. სად იყო მზე!.. სად იყო
დაღლა!.. ახლა მზე იგრძნო და მხედარი ტირის ბავშვივით!..
ობოლი ცრემლი უკანასკნელ ღიმილში ჩაღვდა და...
უკვდავების მკლავზე
მოკვდა ბარათაშვილი!..

ველარი..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

... სუნთქავს სამყარო: შენც სუნთქავ და სამყაროც სუნთქავს, — საკუთარ სხეულს, ვითა ტაძარს, გარს უვლი ლოცვით... ცალკერძ სული სწუხს, ცალკერძ გმინავს ჯვარცმული ხორცი: ჯვარცმა სულისა ვის უნახავს, ანდა ვის უთქვამს!..

... მტანჯე... მაწამე... მჯიჯგნე... მკვემე...
მარბიე... მფანტე... ხორცი... — ღამეა!.. სული — ღღეა!..
(როგორც ვთქვი წელან!)... ხორცს მოერევი, ხორცს გააქრობ, ვით თოვლის ფანტელს, — სულს, ღვთისგან ჩადგმულს, ველარაფერს დააკლებ, — ვ ე ღ ა რ !..

... მოვი ლტოლვა მარადიული!..

... მაინც: რა არის ეს სხეული, ანდა ეს სული!..
სად შეფრინდება, ოდეს სხეულს განეშორება სული ჩვენი — ამაყი და თვალთუხილავი!.. სად შეიყუყვებს: დახვდება იქ სხვათა სულები?! თუ... კვლავაც სხეულს, — შეჩვეულ და ნაცნობ საეანეს, — დაუბრუნდება, ვითა თვის ბუღეს უბრუნდება მტრედი, — ჰაერში შენაფართქალი?!.

... თუ აქეთ კავშირი ერთმანეთთან განტოლვილ სულებს?.. იქნებ ისინი მარადიულ ღვთის საუფლოშიც ვერ ახერხებენ საბოლოოდ და თვისებითად შეეწყონ ერთურთს?!

... ჩვენ ხომ ერთმანეთს, ღმერთმა რომ თქვას და კაცნი დაფიქრდნენ, მთლად და სავსებით ვერ ვეწყობით, ვერ ვეთვისებით ერთიმეორეს ამ დალოცვილ ღვდამიწაზე!.. მთლად და სავსებით ესმოდეს ერთ კაცს მეორე კაცის — არც ყოფილა და არც იქნება ჩვენს დროებით თვალგასახელში, რადგან: ჩ ვ ე ნ - ჩ ვ ე ნ ი სხეული გვაქვს, ჩ ვ ე ნ - ჩ ვ ე ნ ი სული!... და ვაერთება სულთა ჩვენთა, ერთგანივთება — აღმატება ნებასურვილს შენსას და ჩემსას!..

... მაინც: რა არის ეს სხეული, ანდა ეს სული?!
ამის პასუხი უწყის ოდენ ყოვლისმხედველმა!..

... ო, ზენაარო!.. ო, განგებაო!.. ჩვენ აქ ერთმანეთს, ასე თუ ისე, ჩვენ აქ ერთმანეთს გაკუვებთ და გავაძლებინებთ!.. მაგრამ... სანამდე, ო, სანამდე, სანამდე, ღმერთო!.. ხომ ყველაფერს აქვს დრო და ზღვარი, ჰოი, უფალო!.. ხომ ყველაფერი შენ დასაზღვრე, გარდა სულისა!.. ადამიანი თუა მართლა შექმნილი შენი, ნაწილი შენი, და თუ მართლა სახეა დროის, — ო, განგებაო, ო, ზენაარო, — შენ დაუვანე სულებს ჩვენსას სამარადოში, სულს შენგნით ჩადგმულს — მოეც ლტოლვა მარადიული!.. მოუხალვათე უკუნისით უკუნისამდე!.. ა მ ი ნ ! ! !



... მე, რატომღაც, არ მჯერა (შეიძლება ვცდებოდე):
მკვდარი ცოცხლებოდეს და... ცოცხალი
არ კვდებოდეს!.. უჰ, ბოდიში, — პირიქით (იქნებ
ახლაც ვცდებოდე): ცოცხალი კვდებოდეს და...
მკვდარი არ ცოცხლებოდეს!..

შენ გპონდეს შენი ფილოსოფია!..

... დრო მიდის, როგორც მდორე მდინარე...
მიჰყვება, მიდის ყველაფრის ლეკვით... გარედან —
მდორეს, შიგნით — მძვინვარეს — რჩება ბალასტი,
შლამი და ლექი... ერთია მისთვის ბრძენი
და ცეტი, გზადაგზა ზოგჯერ ფსკერამდე შრება...
მე დამიჯერეთ, მე მართალს ვეტყვით: რაც დრომ
წააღწია — დროშივე რჩება!..

... პაერს სუნი აქვს ცაცხვის და ფიჭვის...
მზის თაფლში დნება ნისლი ფოფინა!..

... ჭყინტ სიმინდს ლოდნის ბუთხუზა ბიჭი:
— შენ გქონდეს შენი ფილოსოფია!..

... დღეებს ვითვლი, — დალოცვილი, — ჩქარა
გადის დრო... თუმცა, წლები რომ ვითვალო, — ნელა
გაკვა, რო?.. წამი... წუთი... საათი და... დღე და...
რა ვიცი... შემახსენე სხვა საზომი, რამე სხვა რიცხვი...
საუკუნე? — ერთი უკვე დამყავს ყუაზე... მეორე კი...
მეორე კი — ვიცი სხვისია!.. დრო გასესხებს ერთ განთიადს
ან ერთ შუადღეს... მეტს არ მოგცემს არცა
სესხად, არცა ნისიად!.. საუკუნეც რომ გასესხოს
(წაეიქილიკოთ!..), — შენ რითი ხარ გადაამხდელი,
ჩემო გივიკო!..

... დიდი ვინმეც შენა მყავხარ (უცხოურად:
Грощ!), —

ეჰ, ტყუილად დროს ნუ ჰკარგავ, —
უძვირფასეს დროს!..

ისევე მ-ს

... რა ეთქვი წესი ამფერი? ატლასი —
შენ! ჯვალო — მე!.. ყველაფერი უკულმა: ნაღდი
მზე — შენი!.. ჰალო — მე!.. ლომებს — ლუკმა
საკატე!.. კატებს — ლუკმა სალომე!.. გაკვირვებას
არიან — ექვთიმე და სალომე!..

შეკითხვა საკუთარ თავს და ჩემთვის პასუხი

— ასი წლის მერე სად იქნები, ძამო გივია
(პირდაპირ თქმა ჯობს, გურამიშვილს როგორც
უყვარდა!) — ასი წლის მერე მეგობრები გამომივლიან
და ცივი ლუდის დასალევად წავალთ
მუხრანთან!..

ჩემს სადგურსაც მიაყვინრა ჩემრამა მატარებელმა!..

— ამ თხერმა ათასი სხეაც დაღუჭა და
დაცოხნა!.. ჩადიხარ თუ არ ჩადიხარ, ამოიღე
კაცო ხმა!.. გასაკვლელი გავიარეთ, ახლა რა
სადგურია?... არსად, არსად არ წერია “ნასვლა
აკრძალულია!”

... დასაღუჭი, დასაცოხნი — გაღუჭა და
გაცოხნა!.. ჩადიხარ თუ არ ჩადიხარ! — ამოიღე
კაცო ხმა!.. ნუ ხარ გადარევაზე და ნუ
ხარ გაშტერებაზე, — გამატარეთ, მე ჩავდივარ
შემდეგ გაჩერებაზე!..

... ზოგჯერ ხევხევ, ზოგჯერ ტყეტყე, ზოგჯერ
მთამთა მრებელი, მიჰქრის ჩქარი, ჩქარზე-ჩქარი
ჩვენი მატარებელი... გასამარგლი გამარგლა
და გასათოხნი გათოხნა: “თვარ ჩადიხარ —
გამატარე, — ამოიღე კაცო ხმა!” ტყვილა ზომ
არ იხარჯება მელანი და ქალაღლი... ნახვამდის
და ნახვამდის და ნახვამდის და ნახვამდის!..

...რხევით, რვეით, ტყეტყე, ღრღღრე, ხევხევ,
მთამთა მრებელმა — ჩემს სადგურსაც მიაყვინრა
ჩემრამა მატარებელმა!..

... ცისფერ ნისლში ცურავენ და ხასხასებენ
ქუჩები, — უფრო — ლეღვის ხეებით და ბროწეულის
ბუჩქებით!.. რა გადაკვრით ვლაპარაკობთ, უშნოდ
და უნაყოფოდ: მე ჩავედი! — თქვენ, ყველანი, —
ღმერთმა კარგად გამყოფოთ!..



ფრთხილად, — დედაშიწა!..

... ბრტყელია?.. მრგვალია?.. თუ ოვალურია!..
 — იყო კამათი და დავა... ხომ ვერ
 დაუშვებდნენ რამე ცირკულიარს, ხომ ვერ
 აკრძალავდნენ კამათს!.. თუ ვინმე იტყოდა
 არატრივიალურს, რამე განსხვავებულს: “ჰკა, მას!..” —
 ისე კი... მიწაზე მაშინაც მოდიოდა ხახვი,
 ბოლოკი და კამა!..
 ... აქ თუ უზუსტობა არის დაშვებული, —
 ამისთვის ნუ დამწვავთ, ძამა!.. დასწვეს, ბრუნო
 დასწვეს: — რაო, მრგვალიაო?! — ვინ დაუჯერებდა ამას!..
 — როგორ თუ მრგვალია!.. როგორ, — თუ მრგვალია —
 როგორ დავდივართ და დავალთ?! რა თქვიო? ბრუნავსო?
 — რატომ არ ვყვირობთ, ჩვენ რა, — ბრძები
 ვართ თუ რა ვართ!..
 ... ბრტყელია?.. მრგვალია?.. თუ... ოვალურია!..
 მრგვალი თუ.. ცხელი თუ... ფოფინა!..
 ბუნება იმგვარი იუველირული ხერო და ღურგალი
 ყოფილა, — ყოველი დეტალი ზუსტად გაუთვლია, ფრიად
 დაკვირვებულ ოსტატს!.. და — რაც გაუთლია, კარგად
 გაუთლია!.. ჩვენ ვართ გაუთლელნი ცოტა!..
 ...რომ არ გადავიჩხოთ, რომ არ გადავიწვავთ,
 ვიხმართ ღონეც და ხერხიც: თაებრუ არ დაგეხვეთ, —
 ბრუნავს დედაშიწა!.. მრგვალია: — არ დაგიცდეთ ფეხი!..

მე და სიკვდილი

... უბედურება ყოველგვარი მისგან იწყება:
 მიჭერს მარწუხებს, მეგლისება და მელირწება...
 სამაგიეროს მე ასე ვუხდი: ის არ მივიწყებს
 არცერთი წუთით... მე კი ვ ა ხ ე რ ხ ე ბ შიგადაშიგ
 მის დავიწყებას!..

ჯამთრისპირი

... ცა იყურება მწყრომარედ, — ქარი ქირქილებს
 ვერანი, — ქედზე ღრუბელი მიბობლავს, მზის
 აღარ ჩანან ჩქერანი... აღარცა ჩიტნი მღერიან,
 არც ხახხასებენ ველანი, ტყვიის ფერანი გამხდარან
 დღეები ოქროს ფერანი!.. ჭალაში ყინვა
 ჭიხვიებს — უჭმელ-უსმელი შერანი, თოვს და
 ბალახნი ჰკვირობენ: — რა ფერებია ე, რანი!?

— აღარა ჰბოლვენ ბუხრები, აღარ ღვივიან
 კერანი: აღარ გაისმის სოფელში გადამღერ-
 გადმომღერანი!..

**სტრიქონი, — რომელიც კაი დაგუშობი
მწვეპარიპითისრისაპბრ გაქანდება და
თჳითონ იპრვის აღრსატაბეს!..**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აფერუმ! — თქვენს ქართველობას!!!

ნუღისიზმარი...

... ათასჯერ მოკვდი და
სამასჯერ გავცოცხლდი, —
გამოდის:
შვიდასჯერ მკვდარი ვარ!..
გრიგალმა ჩამწვარი
ფოთლები გაცოცხა —
ყავარი ყვიროდა "ჰარირას"!

და... აღარც ცხვებოდა, —
ღნაოდა შშიერი ბაუშვი...

... ზღვას ცეცხლი გაუჩნდა...
თვითონ შზეც დაიწვა...
სულდარა გვაფარია ღამის!..

ცხელოდა... ცხელოდა...
მზე აღარ ცხრებოდა...
დეღამიწა გადაგორდა ზღვაში!..
ცხეებოდა ობლის კვერი

... ახლა აღარც ზღვაა!..
აღარც დეღამიწა! —
ახლა აღარც ბაუშვი ღნავის!..

(შობოდიშებით)

1.
... ვიფიტები.
ვითენთები.
ვიფანტები.
უცვბ გაეხდი აპოპლექსურ-ინფანტილი.
მრთელი,
მთელი —
გატყობ, ჭკუით ვმანწეილდები:

უნაწილდები, —
ვღნები. ვჭრები —
ვით ფანტელი!..

2.
... სული ამომდის ნაცრის ქექვაში...
— კაცობრიობაჲ! —
დედაკაცი უნდა გერქვას შენ!..

აპორაზობია

... შიში არსებობს
რეალურიც,
მონწენებითიც...
აგორაფობია, — სიერცის შიში, —
სზუულს აქვს ოდენ...
სული სულ წინ-წინ უნდა ღტვოდეს
და უნდა რბოდეს:
სულს მარადიულს არ სცალია
მოსვენებისთვის! —

ისვენებენ და... სულთა მათთა
არ აქვს სამანი!..
“... ვპოვე ტაძარი!” —
დაიგმინა ბარათაშვილმა, —
თუშცა... ეს იყო არა სულის —
ხორცის სავანე!..

... შიში არსებობს რეალურიც...
მონწენებითიც, —
სულს მარადიულს
არ სცალია მოსვენებისთვის!..

რაინდთა ხორცი — ანუ ძველები —
მარაბდაშიაც

ბარდუქალობა!..

... ყრუს ეყურება:
- ცა და მიწა გრუხუნებს გრგვინვით!..

... ბრმას ეჩვენება:
- ყველაფერი ცეცხლშია ირგვლივ!..

...ოო! - ბეთჰოვენი:
- შეხთატეხა... დელგმა და გირგლი!..

...ოო! - ჰომეროსი:
ჭკრეტს კოცონთა ბრიალს და ბირბილს!..

.....

... არც ბრმანი იყვნენ და არც ყრუნი
ბრამსი ან გრიგი:
რაუნდ-რაუნდად
მაინც დაუდგათ
დაბრმავების და დაყრუვების
ჯერი და რივი!..

8-IX-98 წ.

ლოცვასაკით...

"... განეხეთქნეთ აპაურნი შათნი და
განვაგლოთ ჩვენგან უღელი შათი..."

ფსალმური დავითისნი

... ცა უსიამოვნოა...
 არ გაიაშინდა...
სულში მტებს და მზრინავს -
 როგორც ასუსხება!..
როგორ მენატრება
 აღამიანიდან
აღამიანური
 შემოპასუხება!..

... მზეთა ჩქერი ჩაქრა -
 სადღაც გარდადინდა:
აღარც - თანადობა...

აღარც თანაძმობა!..
სიკვდილივით შინდა
 აღამიანიდან
აღამიანური შემო -
 თანაგრძნობა!..

... ზეცა დაიძენმა!..
 მიწა დაიბზარა!..
და თუ განწირულად არ გვთვლი, -
ლმერთო დიდებულო! -
ნუ დაგეზარება:
ისევ აღაზევე ქართვლი!..

აღდგომა, 11-IV-99 წ.
ს. ბურნათი

ღვიძი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

“არ გამოფხიზლდე, რომ აღარ ვგრძნობდე,
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას...”

გრ. ორბელიანი

“— სვეტიცხოველი ქვის დროშა”, —
ეს გოგლამ ბრძანა!..
მე დავეუძაბე, — მე თავს ვაძლევ ამის უფლებას:
სანამ ეს დროშა განრთხმულია მიწაზე, —
მ ა ნ ა მ
ვერ ეღირსება სული ჩვენი
თავისუფლებას!..

მარადი მზავრი

... ზაფხულ გადის, ზამთარ დგება — წუთისოფლის
მდგმურობაჲ!.. ნეტა, როგორ დამთავრდება
ჩემი მოგზაურობა!.. ხევ-ხევ ხეტვა,
მთა-მთა რება... გზა-გზა ბედის მდურება!..
სად, ნეტავი, დამთავრდება ჩემი მოგზაურობა!..
ცვალებადი ვითარება: ძმობა, მტრობა, შურვობა!..
რით, ნეტავი, დამთავრდება ჩემი მოგზაურობა!..

... სულო! გატყობ მირონცხებას,
აღზევებას!.. სრულობას:
დამთავრებით დაიწყება
შენი მოგზაურობა!..

სააქაოში ხანდისხანად დასაბრუნებლად!..

“გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის” ...
რუსთაველი

1.
... მალ მოვა დრო და...
სიამაყით ვიტყვი: “ვიყავი!..”
და უკუმზერით გავიხსენებ
აქყოფნას ჩემსას!..
ჯერ კიდევ —
სულში ბროწეულის შუქი
მიყვავის,
ჯერეთ ვეკრძალვი
მარადიულ ნათელში
შესვლას!..
- “— იყავ!” — მოწყალედ ჩამომძახის
მალალი ღმერთი!..
- “შეჰქმენ!..” —
მპირდება შემწეობას უზენაესი!..
... ზათქით შემოდის
საუკუნე ოცდამეერთე, —
მე, — ბერიკაცი, — კართან გზვლები
ამ მოკლე ლექსით!..
2.
... თუ ერთნაირად უსწორდება
მართალს და მრულსაც,
თუ მკერდზე გრგვინვით გადამიარს
ოქროს ბორბალი, —
თუ ნება შენი
უსათუოდ აღსრულდეს უნდა —

ცოცხალს ნუ მომკლავ, —
მომკალი და... შერე
მომკალი!..

3.
და სულის ცეცხლზე ამ ხორცის წვას
და გულის თუთქვას
შეპფერის ერთი ტატოსებრი
ქუხვა მგრგვინავი!..
თუმც: ოდენ ნდობით, ოდენ სურვით —
მარქვით, — ვის უთქვამს
სიტყვა — მოყვასის გამხარები
მტრის განმემირავი!..

... მე — ჩემი ვცადე,
მე — ჩემი ვთქვი, —
ჩემებრი რილით,
დამანათლავდა წამიერად რასაც ბუნება:
ზღაპრის გმირივით —
სიტყვის მარცვლებს
გზადაგზა ვყრიდი, —
სააკაოში
ხანდისხანად
დასაბრუნებლად!..

19-VII-99 წ.
სოფ. ბურნათი

იქმნენ ნათელი!..

... ნათელში შევალთ, —
დიდ, მიწიერ ნათელში ხვალ-ხეგ, —
ნათელი იგი —
მისხალ-მისხალ,
წვეთ-წვეთ გროვდება!..
ჩვენი პატარა საქართველო
შემდგარა ყალფზე:
დიდ საქართველოს უახლოვდება!..



მარგალიტები

ლამის არის, დავიჩემო
(ჩემი არის, აბა ვისი?):
"აღმართ-აღმართ", "თავო ჩემო",
"განთიადი" აკაკისი.

ქვებსაც უნდა ეღალადათ
ჩასაწერი ბიბლიაში —

"ჩემო კარგო ქვეყანა" და
"ლოცვა" წმინდა ილიასი.

ჰა, მაღალი მთაც განიხვნა,
ყალყზე შედგა შაეი რაში, —
"ღამე მთაში" და "კაი ყმა"
მიყვარს ვაჟა-ფშაველასი.

კე, წინაპარო!

ქე, წინაპარო!
სიცოცხლისა და სიკვდილის
მასწავლებლო!
რამდენ მოწაფეს აუწევდი ყურს
არცოდნისათვის შენი ბრძნული
გაკვეთილების:

ისე ცოცხლობენ, ისე კედებიან,
თითქოს სამშობლო არცა ჰქონიათ!

მაღლობა ღმერთს, რომ
გყვანან ასეთნიც:
მოვლენ და... გვერდით დაგიდგებიან.

გონების თვალით

გონების თვალი ვუწვდინე შორეთს,
გადავიხედე სამშობლოს გარეთ;
ვერც ვინ ვამსგავსე ჩემს ტანჯულ
მშობელს,
არც არსად ენთო მთაწმინდის მთვარე.

ვიფიქრე: სხვისი მე რას მარგია
ცათამბჯენები, სიმრავლე ხალხის
და შემებრალა მუდამ კარდია
ჩემი პატარა, ღამაში სახლი.

●
მიწას კურთხეულს, ღვთისმშობლის
კუთვნილს

გშია, გწყურია, გცივა, კანკალებ,
ისევ ლექსებში გახვევ და გფუნთი,
სხვით რით გიშველო,

შენ გენაცვალე?!

ნურაფერს მკითხავთ

ზეცად წასული პოეტებო,
უახლოესო ახლობლებო,
ბევრი სიცოცხლე მომიტევეთ,
ობოლს მომიტევეთ,
ობლებო.

ო, მე ისეთი დაღლილი ვარ,
ეგება გზაში მომეგებოთ, —
ნურაფერს მკითხავთ სამშობლოზე
ნურაფერს,
ჩემო მეგობრებო!



როგორ განეღლი სიყვარულის ცეცხლო
 თაკარავ,
 როგორ დაქარგე ხმა წკრიალა,
 წყაროვ ანკარავ,
 ოქროს სხივებით შემოსილო მზეთუნახავო,
 როგორ გაშიშვლდი ყველას თვალწინ
 ასე აშკარად?!

როგორ გამწარდით მოლოდინის ტკბილო წუთებო,
 როგორ გაზიდეთ საუნჯენი, წლებო –
 ქურდებო;
 როგორ მიელტვის ცის ლაქვარდებს
 სული ფრთოსანი,
 როგორ ფართხალებს მკერდში გული –
 ჩიტი უფრთებო!

დილასავით ნათელი,
 ღამეთა სტიქიონი,
 ხან ნატეხი, ხან მთელი
 სტირის ჩემი სტრიქონი.

აღბათ ამის გამოა,
 ჩრდილში რომ იმალება,

როცა მზეზე გამომაქვს
 ამ ცრემლის ბრწყინვალება.

და მე ისე მრცხვნია,
 ცრემლი რომ დამეღვარა, –
 გული ლოდად ქცევია
 გაქვავებულ ქვეყანას.

გული წიგნივით გაკშალე

ეს იყო ჩემი ცხოვრება:
 ავივსე, გადმოვიღვარე, –
 თუ განი ევიწროვება,
 მაშ, სად წაუიღეს მდინარე?

გული წიგნივით გაკშალე,
 ვავსებ და ვავსებ ფიალებს,

მანურავს ქარის თავშალი,
 დავალ და დაუაფრიალებ.

გულის ანბანი თუ იცის,
 ის არ მოუხშობს მკითხავეებს,
 მაგრამ ბეცნი და უვიცნი
 იქ ვერცრას წაიკითხავენ.

დასრულდა ესე ცხოვრების წიგნი,
 ეპილოვი და დარჩა სარჩევი;
 ნეტავი მოკვდა მთავარი გმირი,
 თუ კვლავაც ელის ყოფნა –
 სასჯელი?

ბოლო წუთებში ავტორმა იგი
 დატოვა გულში მძიმედ დაჭრილი, –
 დასრულდა მისი ცხოვრების წიგნი,
 თუ კვლავ ბრძოლის ველს არის
 გაჭრილი?



შენ და ის


 ქართველი
გრაფიკოსთა
კავშირები

ო, რა უსაზღვრო გათამამება!
თავმოწონება ოი, რამხელა!
სხვისა არცარა ბუზად ჩაგდება,
საკუთარ თავის — ლომად გამხელა!

შენ... რა თავმდაბლად დაიღე
თავი,
რა მედიდურად მან ააღერა.

ნუ მისტირი

ნუ მისტირი ფოთლებს,
ირგვლივ
შემოდგომის ქარისაგან მოფენილს
(კვანან შეფის ოქროს გვირგვინს
დაკბილული ფოთლები ოქროსფერი),

მთავარია, რომ ხე იღგეს,
მედგრად იღგეს — გაზაფხულის
მლოდნელი.
მთავარია, გაზაფხული მოვა ვიდრე,
თავი იყოს ამ გვირგვინის მფლობელი.

ნეტავ

ისეთი რამ მოხდებოდას ნეტავ,
გავიზარო, გავიოცო მეტად:
ნეტავ ყველამ შეიყვაროს ყველა,
ალარაყინ დადიოდეს კენტად.

ნეტავ ყველა ერთად იყოს, ერთად
და იწამონ საქართველო ღმერთად, —
დამაიწყვოს...
შემარიგოს ბედთან,
ისეთი რამ მოხდებოდას ნეტავ.

კველი ბუღის სიყვარული

თბილისიდან სანხერემდე
მულამ ამ გზებს ვაკვირდები;
სანხერიდან — სავანემდე —
ამომივა რაკი ფრთები,

სავანიდან — არგვეთამდე
სულ ჩიტივით ჩაფრინდები, —
ძველი ბუდე ვეღარ ვნახო?
ცხარე ცრემლით ავტირდები.

თავისით მოვა

— საით გარბიხარ?
ვერ გაემცევი!
— გაქცევა არც მსურს,
შეზვედრას ვეძებ.

— თავისით მოვა,
შენ ნუ ეცდები...
თვითონვე ირჩევს
ის თავის კერძებს.

ერთ მშვენიერ დღეს,
დღეს — ჩვეულებრივს,
მაგრამ რილაცით შელაშაზებულს,
ტანჯვისგან ნაკვეთს, მაგრამ
ბუნებრივს,

თვლით უხილავს,
მაგრამ არსებულს
ცა — დიდებული სულს შეიერთებს —
ერთ მშვენიერ დღეს,
ერთ მშვენიერ დღეს...

პრეზენტაციული ტანჯვა

(პიესა)

მოქმედი გმირები:

კაცი
ქალი

ორივენი შეზარხოშებულები არიან

(მოქმედება მიმდინარეობს ძველი მანქანის სალონში, შემოდგომის ერთ-ერთ წვიმიან საღამოს.)

ქალი - ისევ?... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ისევ?!

კაცი - რა მოხდა ასეთი... ვგრევე ისტერიკაში რომ ჩავარდი! მანქანა ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ხომ არ არის!

ქალი - არაფერი არ მოხდა, არაფერი! უბრალოდ ის მანქანა, რომელშიც ვზივარ, გაფუჭდა! (იციინის) ხა-ხა-ხა! არაფერი არ მოხდა!

(კაცი მანქანას ქოქავს, მაგრამ ძრავი რამდენიმე ბრუნის შემდეგ ისევ ქრება.)

კაცი - ორშაბათი საშინელი დღეა! ორშაბათს ყოველთვის რალაც უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში!.. მანქანა ორშაბათს გავაკეთე! ორშაბათს მაცივარი გადაგვეწვია... რაც მთავარია ორშაბათს გაგიცანი შენი... ოჰ, მაპატიეთ ქალბატონო! ეს თქვენ ჩემზე უკეთესად იცით!

ქალი - მერე რა რომ ვიცით?... მაგ დღეს არც ჩემთვის მოუტანია დიდი ბედნიერება!

კაცი - ძალიანაც კარგი! ძალიან კარგი!

(უკიდებს სივარეტს.)

კაცი - არავისგან არა ვართ გამო-რჩეულები! ჩვეულებრივები ვართ!.. გაიხედე! ეგერ ხედავ წვიმაში ხალხი დგას და ელოდება ავტობუსს, ან ტროლეიბუსს შინ რომ მივიდეს! ვართ წვიმს. ისინი დგანან, დიდი ხანია იცდიან. მათ ცივიათ, სველდებიან! მე და შენ კი ვზივართ სითბოში, რბილ

სკამზე და ვუყურებთ მათ ტანჯვას...

ქალი - რა ბედნიერები ვართ?!

კაცი - არა, მთლად ბედნიერები არა ვართ, მაგრამ მათზე უკეთესად ხომ ვართ! მიხვდით?... ამის თქმა მინდოდა მხოლოდ!

ქალი - მერე?

კაცი - ასე უფრო იოლია ცხოვრება!

(ქალი დიდხანს უყურებს კაცს, რომელიც სიამოვნებით ეწევა სივარეტს.)

ქალი - ... შეხედე! ერთმა იმპორტულმა მანქანამ გაიარა, ნახე-ნახე რა კომფორტულია შიგნიდან! ავტო, მეორეს შეხედე, პატრონს თან მანქანა მიჰყავს, თანაც ტელეფონით ლაპარაკობს! კარგია არა?... მალე შინ მივა და ფანჯრიდან უცქერს ამ... წვიმას! ეგერ შეხედე, იმ სახლში ვილაცამ ფარდა გადასწია! სივარეტს მოუკიდა, მგონი ჩვენ გვიყურებს! ნახე, რა კმაყოფილია, მე მგონი დაამთქნარა კიდევ! (თვითონაც ამთქნარებს) ჩვენ კი ვზივართ მანქანაში, ვუყურებთ იმათ, ვინც სველდება და გვიხარია! ეეჰ, რა კარგია ბედნიერება!

კაცი - მე სულაც არ მინდოდა წამოსვლა!.. დავრჩენილიყავით შინ. არც საჩუქარი გვექნებოდა საყიდელი და არც...

ქალი - (ანწყვტინებს) რა?

კაცი - არაფერი!

ქალი - კიდევ რა? დაამთავრე, ჰო, დაამთავრე!

(კაცი ისევ უკიდებს სივარეტს.)

კაცი - ვუყვიდი "ბაჩუკას" იმ სათამაშოს, ათი დღეა რომ მეხვეწება! აი რა?!

ძალი - მომეცი სიგარეტი!

(კაცი აწვდის თავის სიგარეტს, თვითონ ახალს უკიდეს. ორივენი უხმოდ ეწევიან.)

ძალი - მეგონა გაეხარებოდათ ჩვენი საჩუქარი! კი არ გაუხარდათ, გაუკვირდათ?!

პატი - (ამოიხიზნება) რა ვქნათ მერე!.. ჩვენნაირებს ცოტა მაგარი კანი ჭირდებათ!

ძალი - ოო, შენ მაგარი ხარ! ძალიან მაგარი! დაჯდა პროკურორით! იბღვირება, იღრინება! რალაც სასწაული უნდა მოხდეს, ბაგე სულ მცირედად რომ გახსნას ამ ვაჟბატონმა და თავისი ნაცოფილარი ღიმილით გაშემომყოფები დაასაჩუქროს!

პატი - მე ისეთი ვარ, როგორიც ვარ! არ ვთამაშობ! სხვანაირადაც არ შემოდია!

ძალი - (დასცინის) მე ისეთი ვარ, როგორიც ვარ!.. ვირი ხარ და მეტი არაფერი! გადაგყენენ თან! ხან რას გაწვდიდნენ და ხან რას! შენ ერთი გრამი სითბოც კი არ გაიმეტე იმ ხალხისთვის, რატომ! გამაგებინა, რატომ?

პატი - შენ რომ გისმინოს ვინმემ, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე! სანამ შენიანებს შეხვდებოდი, ჩემსკენ იყავი, ჩემსავით ფიქრობდი, მიხვედი იმათთან, თავზე ხელი გადაგისევს, მერე ერთი თეფში ტკბილეულით გამოგიტენეს პირი და მორჩა... სადღაა ჩემი ცოლი? ფშუტ! გაქრა!.. ჩემი მოსამართლე ხარ? თუ ჩემი ჯალათი ხარ?.. ადექით თქვენი... სასამართლო მობრძანდება!

ძალი - უყურეთ ამ თავზედს, უმადურს! ეს არის შენი მაღლიერების გრძნობა? ეს არის?!. მოიცა, როგორ ამბობდი სადღეგრძელოში - თქვენ არ იცით, მე როგორ მიყვარხართ! თქვენ არ იცით, რა ხართ ჩემთვის!.. შენ გგონია ვერაფერს ხვდებიან? შენ გგონია არავინ იცის, რა ბოღმა ხარ გულში!.. თვალთმაქცი!

პატი - მე არ მითვალთმაქცია!

ძალი - კარგი რა?

პატი - მე მართლა მიყვარს ისინი! შენ ნუ გგონია... ძალიან მიყვარს! მა-

გრამ შენ არ გეგონოს, რომ შენ დაჯგუფებები და მაიმუნით "ვტანგაცვა" რომელმეს წინაშე! მე "რიჟიკა" არ ვარ, კაცი ვარ! ცუდი თუ კარგი, მაგრამ ვარ!.. დიახ ვარ და მინდა, რომ სათანადო პატივით მომეტყვენ!

ძალი - დედა-დედა-დედა! რომ გიყურებ მრცხვენია! გადმოგიკარკლავს თვალეები! დორბლებს ყრი!..

პატი - წადი შენი!..

ძალი - წადი შენი და!..

პატი - შენი დედა ვატირე! შენი დედა, ვატირე! შენი დედა ვატირე! შენი დედა ვატირე! შენი დედა ვატირე! შენი დედა ვატირე! შენი დედა ვატირე! შენი დედა ვატირე! შენი დედა ვატირე!

ძალი - გრცხვენოდე! დედაჩემს რომ ავინებ! გრცხვენოდე!

პატი - მე დედაშენს კი არა, შენ გავინებ! ვატირე დედა შენი!

ძალი - დედაჩემს ავინებ, შე უზრდელო!

პატი - ჰო, დედაშენს ვავინებ შენი გაზრდისათვის! დედაშენის დედაც ვატირე! იმისი დედაც და იმისი დედაც, რომელიც ალბათ, იმისმა დედამ ხეზე გააჩინა! თქვენი დედა ვატირე ინდივიდუალურადაც და ჯგუფურადაც!.. არ გადამრია კაცი!

ძალი - გადარეული ისედაც იყავი და მე რაზე გადაგრევედი!

პატი - ეხლა გაჩერდი, სანამ გავგიჟებულვარ!

ძალი - შენ იცი...

პატი - (ანყვეტინებს) გაჩუმდი მეთქი!

ძალი - იცი შენ...

პატი - გაჩუმდი ქალო, თორემ... შეგჭამ იცოდე!

(ქალი ჩუმდება და ფანჯრისკენ იხედება, კაცი თვალებს ხუჭავს. ისმის ავტომობილის დამუხრუჭების ხმა.)

ძალი - აღარ გიყვარვარ და ყველაფერი ამის ბრალია!

(კაცი თავს ხრის და საჭეს ეყრდნობა.)

ძალი - ადრე სულ ვგრძნობდი შენს სითბოს!.. გავიხედავდი მარცხნივ და შენი ხელები მეფერებოდნენ, მა-



რჯვნივ გავიხედავდი და შენს თვალე-
ბში იმხელა სიყვარულს ვგრძნობდი!
დაგივადებდი ყურს და სულ იმას მეუბ-
ნებოდი - უნდა ჩაგეხუტო, უნდა ჩაგე-
კონო!.. რა კარგი იყავი, როგორ გვი-
ხაროდა ერთად ყოფნა! სამსახურიდან
ყოველ საათში მირეკავდი და მეკით-
ხებოდი - როგორ ხარ, ჩემო?.. რას შვე-
ბი, ჩემო?.. სად არ დავდიოდით... ყო-
ველდღე მეფერებოდი!.. ეხლა სად ნა-
ვიდა ეს ყველაფერი, სად?.. მითხარი
თუ აღარ გიყვარვარ, მეცოდინება მა-
ინც და აღარ მექნება ამდენი პრეტენ-
ზია! რამდენი ცოლქმარი ცხოვრობს
ჩვენს ირგვლივ და არ უყვართ ერთმა-
ნეთი, მაგრამ ოჯახს ინარჩუნებენ!
ოჯახში, არაა აუცილებელი სიყვარუ-
ლი, მეცოდინება, რომ აღარ გიყვა-
რვარ და მორჩა!

(კაცი თავს აქნევს, ცოტახანს რა-
ლაცას ფიქრობს, მერე რადიოს ჩა-
რთავს. ისმის მუსიკა. ორივენი ჩუ-
მად არიან.)

კატინი - შეხედე! დაინახე?

ქაღლი - რა?

კატინი - აი, იმ ყვითელ ლაბადიანის
უკან ბებური კაცი იდგა, ომის ვეტე-
რანის ორდენი ეკიდა მკერდზე! და
იცი რა ქნა?!

ქაღლი - ხო (უინტერესოდ), რა?

კატინი - იმ ყვითელს ჩანთიდან სა-
ფულე ამოუღო და გაიპარა!

ქაღლი - (მწარედ) ღმერთო ჩემო,
რა დრო დადგა!..

კატინი - ამ დროს ადამიანები
ექმნით!

(ქალი თავს აქნევს. კაცი ცდი-
ლობს დაქოქოს მანქანა, მაგრამ ვერ
ახერხებს.)

კატინი - აკუმულიატორი ვერ
იღებს!.. დაჯდა!.. გამოსაცვლელია!

ქაღლი - დროზე გამოგეცვალა მე-
რე! ახლა აქ ხომ არ ვისხდებოდით!

კატინი - (დამცინავად) გამოგეცვა-
ლა მერე!.. რითი გამომეცვალა, ბა-
ბა?.. სადა გვაქვს ამის ფული, ეს რომ
გამოვცვალო? სად!

ქაღლი - კარგი რა, ნინა კვირას ხომ
აიღე! თვენახევარია მაგ დასასწავ

აკუმულიატორზე ლაპარაკობ ვაქმ
ლო და გამოგეცვალა!

კატინი - როგორ?

ქაღლი - როგორ და გეყიდა ახალი!
ქველი ამოგელო, გადაგეგდო და მის
მაგივრად ახალი ჩაგედგა!

კატინი - ადამიანმა შენ რომ მოგის-
მინოს, ცხოვრება ისეთი იოლი ჩანს,
ისეთი იოლი... რომ ლამის არის თავი
ჩამოეხრჩო სიხარულისაგან!.. ხედავ
კაცო შენ, რა შტერი ვყოფილვარ?
უნდა ამელო ის დასასწავი ფული და
მეყიდა ახალი აკუმულიატორი, ეს
ქველი კი უნდა გამეშვა, ნა ხ...ზე. მის
მაგივრად კი ახალი დამეყენებინა?

ქაღლი - ისევ თავიდან იწყებს!
აღარ შემიძლია მეტი! (აღებს კარებს)
ფეხით ნავალ, ამომივიდა ყელში შე-
ნთან ლაპარაკი!

(კაცი ძალით უკეტავს კარებს.)

კატინი - დაეტიე შენს ადგილზე,
თორემ მე ვიცი რასაც გიზამ!

(ქალი უძალიანდებდა, ბოლოს კი
ნებდება, სახეს შარფში მალავს. სი-
ჩუმება. ცოტა ხანში ისმის ქალის
სლუკუნია.)

კატინი - ნუ დაინყებ ახლა ისევ შე-
ნებურად!.. უუხ, რა იცით ეს ქალე-
ბმა!.. მართალი ხარ, თუ მტყუანი ხარ!
ატეხენ ტირილს!... სულ ბლავიან და
ბლავიან!

ქაღლი - თუ კარგია, შენ ბლავი,
ცხოველო!

კატინი - ჰო! მეტი მეკუთვნის შენგან!
დღედაღამ სულ იმაზე ვფიქრობ, რა
ვჭამოთ? იქნებ სადმე ორმა კაპიკმა მა-
ინც გაიჩხარუნოს, რომ ვიშოვო როგო-
რმე! ქუდი, კაბა, ჩანთა... დედას გეფი-
ცები ჩემთვის რაიმე თუ მინდოდეს! აი
ნახე... (იხდის ფეხსაცმელს) ხომ ხედავ
გახვრტილია! ერთხელ მაინც თუ და-
მინუნუნია შენთან, — ფეხსაცმელი
გამიცვდა-მეთქი? მითხარი,
დამინუნუნია?.. ამას ჩუმად ვიხდი და
ყოველთვის სადმე კუთხეში ვტენი,
რომ არ შეამჩნიო და არ დამინყო —

იყიდე ფეხსაცმელი, იყიდე
ფეხსაცმელი!.. შენ გგონია, მე არ ვიცი,
რა უნდა ვიყიდო? შენ გგონია, არ ვიცი,

რომ აკუმულატორი უნდა ვიყიდო... მაგრამ მერე რა ვქნათ, ამას ყველაფერს როცა ვიყიდი.. რითი ვიცხოვროთ?.. ერთი კვირის წინ "ბაჩუჩასთან" ერთად ვიყავი ზოოპარკში, ხო ვახსოვს?.. იმ საღამოს მე და შენ ვიჩხუბეთ, და ის ძველი ვაზა შემომემტვრა?..

ძაღვი - დაამტვრიე!

პაპი - ჰო, კარგი, დაემტვრიე! მივდივართ ზოოპარკში და "ბაჩუჩამ" ჯიხურთან სათამაშო დაინახა! არაფერი ისეთი. გაბერილი სპილო იყო! ჯიბეში მაქვს მარტო ბილეთების და მგ ზავრობის ფული. ბავშვი მეუბნება - მოდი, მამიკო, ვიყიდოთ სათამაშო! გამოვარდა ის შობელძალი გამყიდველი - უყიდეთ ბავშვს სპილო! უყიდეთ ბავშვს სპილო! არ ვიცი, რა ვქნა, სად წავიდე. "ბაჩუჩა" ბოლოს მიხვდა რაღაცას! ძალიან მაგარი ბავშვია!.. იცი, რა უთხრა იმ... გამყიდველს? - თუ ასე მოგწონს, შენს შვილს წაუღეო!.. მერე ცოტა გავცდით იმ დასაწვავ ადგილს და ყურში ჩამჩურჩულა - მამიკო, ფულს რომ აიღებო, აი ძალიან ბევრ ფულსო, იმდენს ჩემთვისაც რომ არ დაგვენანებაო, ხომ მიყიდი იმ სათამაშოსო?.. იცი რა დამემართა, იცი რა დამემართა?.. შენ კი ამბობ აკუმულატორიო?.. რა აკუმულატორი? რის აკუმულატორი?!

(კაცი ალებს ფანჯარას და აგდებს სიგარეტს. ისმის მუსიკის ხმა.)

ძაღვი - "ბაჩუჩა!" ჩემი "ბაჩუჩა!"... ნეტა რას შვრება ახლა! ალბათ ისევ ეზოშია!.. ღმერთო ჩემო, რა კარგია, რომ სოფელი მაინც გვაქვს!

პაპი - კი, ძალიან კარგია!.. საერთოდ ყველა ბავშვი სოფელში უნდა იზრდებოდეს! ასე უფრო ალაღები იქნებიან!

ძაღვი - კარგი რა, ვის რად უნდა ახლა, შენი სიალაღე!

(თავს ადებს კაცს მხარზე. კაცი თავზე კოცნის. ცოტახანს ჩუმად არიან.)

ძაღვი - იცი რა გამახსენდა?

პაპი - რა?

ძაღვი - ვახსოვს ავტობუსში, ჩემი ხელის მაგივრად, სხვის ხელს რომ ეფერებოდი? (იციანს)

პაპი - კარგი რა! შენც ინტერესობა ათას სისულელეს?

ძაღვი - (იციანს) იმნუთასვე მივხვდი, რომ შეგეშალა, მაგრამ არაფერი გითხარი!

(კაციც აპყვება სიცილში.)

პაპი - ვიყურები შენს უკან! ვილატ ბიჭი, ჯერ განითლდა, მერე გაყვითლდა! მერე თვალები გადმოკარკლა! ვფიქრობ, ან ნაცნობია, ან გიჟი!

ძაღვი - ახლა მითხარი! როგორ ვერ გაარჩიე ჩემი ხელი და იმ ბიჭის ხელი ერთმანეთისაგან?

პაპი - აბა, რა ვიცი!.. თუმცა კარგად მახსოვს, შენი ხელებიც ცივი იყო და იმისიც. ამან შემაცდინა!

ძაღვი - როგორ ჰკითხე? - მეგობარო რაიმე პრობლემა ხომ არა გაქვსო?

პაპი - არა ეგრე კი არა, - ძმაო, რაიმე ხომ არ განუხებს-მეთქი?

ძაღვი - (თამაშობს) არა, მე არ მანუხებს არაფერი, მაგრამ მე მგონი თქვენ განუხებთო?.. როგორ დაამატა - თავხედო!

პაპი - არა! ასე აიქნია ხელი და მერე თქვა - "თავხედო!"... აუ, რა დამემართა?!

ძაღვი - ვაიმე, რამდენი ვიცინე?!

პაპი - კი იცინე! ერთი მე მკითხე! ჯერ გავეშრი, მერე დავიდა ჩემამდე რაშიც იყო საქმე... (იციანს) აუ, რა არ ხდება ამ ქვეყანაზე?

(ორივენი გულიანად იციანან, მერე ჩერდებიან და ერთმანეთს უყურებენ თვალბეჭდში.)

ძაღვი - იცი როგორ მიყვარხარ?

(კაცი მხრებს იჩეჩავს.)

ძაღვი - შენ გიყვარვარ?

პაპი - ნუ მეკითხები რა, სისულელეებს!

ძაღვი - არა, მითხარი გიყვარვარ თუ არა!

პაპი - ჰო!

ძაღვი - არა! მითხარი ასე - მიყვარხარ!

პაპი - მე შენ გეუბნები - მიყვარხარ!

ძაღვი - როგორ გიყვარვარ?

პაპი - (თავს აქნევს) ოოო!

(ისინი კოცნიან ერთმანეთს. კოცნა ხანმოკლეა. ბოლოს ორივე გაციინებს და ასე ჩახუტებულები უყურებენ ქუჩას.)

ძალი - რალაცა უნდა ვითხრა და არ გენყინოს!

პატი - რა?

ძალი - ჯერ მითხარი, რომ არ გენყინება და მერე გეტყვი!

პატი - ალბათ, რალაც საშინელეზა უნდა მითხრა, არა?

ძალი - კარგი, მაშინ არ გეტყვი!

პატი - რატომ არ მეტყვი, მითხარი!

ძალი - ახლა რაც არ უნდა მითხრა, მაინც არ გეტყვი!

პატი - ისევე დაიწყე შენებურად! სულ არ მაინტერესებს, რა უნდა გეთქვა!

ძალი - მითუმეტეს!

პატი - თუ მითუმეტეს, მაშინ მეც მითუმეტეს!.. თუნდაც!

(ორივე სხვადასხვა მხარეს იხედება.)

ძალი - რა ბოროტი ხარ, რომ იცოდე?!

პატი - ახალი ამბავი! მაინც რატომ ვარ ბოროტი, რატომ?

ძალი - იმიტომ, რომ ახლობლების სიყვარული უნდა დაიმსახურო და არა მოითხოვო!

პატი - რა ლოგიკაა შენს ლაპარაკში, ვერ ვხვდები! ესე იგი რაკი ვერ ვიმსახურებ, ვარ ბოროტი, არა?.. არა?.. სახეს რატომ აბრუნებ, როცა გელაპარაკები, კეთილი ინებე და თვალეში მიყურე... (ყვირის) ბოლოს და ბოლოს, შემომხედავ თუ არა?

ძალი - რომ შემოგხედო, ამითი რამე შეიცვლება?

პატი - არაფერი! შეიძლება საერთოდ რაიმე შეიცვალოს მაშინ, როცა ცოლი ქმარს უყურებს თვალეში!.. არაფერი!

(ცოტა ხანს ჩუმად არიან.)

პატი - ბოროტი ხარ! ბო-რო-ტი ხარ! ბოროტი ხარ! რატომ ვარ ბოროტი? ღმერთო ჩემო, მაინც ვერ გავიგე, რატომ ვარ ბოროტი? რატომ? ამისხენი რატომ!.. ყოველთვის ცდი-

ლობ, - დამამცირო! მომსპობ! რატომ გადააქციე, შე კაიდუდამაშიშვლს, მსკა ადამიანი, ჩვენ რომ ვიცით, ეტალონად! ის არ არის ეტალონი! გაიგე ერთხელ და სამუდამოდ. არ არის!

ძალი - ამიტომაც ხარ ბოროტი! რამდენ სიკეთეს გიკეთებს! ერთი მითხარი, ვისი შარვალი გაცვია? ვისი ქურთუკი? მითხარი ვისი?..

პატი - ეს რა შუაშია, უბრალოდ მინდა ვითხრა, რომ ჩემთვის ის თუ არ არის ეტალონი, ეს არ ნიშნავს, რომ არ მიყვარს!.. ბოლოს და ბოლოს, რა შუაშია აქ სიყვარული?.. რატომ უნდა მიყვარდეს?.. პატივს უნდა ვცემდე და ვცემ კიდევც! ნუ იცინი!!!

ძალი - პატივს სცემს! საოცარია, როდემდე შეიძლება ასეთი დემაგოგი იყო! პატივისცემას რას ეძახი? როცა გჭირდება, მაშინ რომ მიაკითხავ!

პატი - როცა მჭირდება, მაშინ მაინც ვურეკავ და ვაკითხავ! იმას რამდენჯერ დაურეკავს, მითხარი, რამდენჯერ?

ძალი - არ ჭირდება და რატომ დაგირეკავს!

პატი - დიდი მადლობა! უღრმესი მადლობა! რაკი მას არ ვჭირდება, ესე იგი ყურადღების ღირსიც არა ვარ!

ძალი - ღმერთო ჩემო! რეებს ლაპარაკობ? მას შენ ძალიან უყვარხარ! ბავშვზეც გადაყოლილია!

პატი - მეც ძალიან მიყვარს! გეფიცები (პირჯვარს იწერს) როცა გავიგე ხერხემალზე რალაც მოუვიდა, ადგილს ვერ ვპოულობდი! არ ვიცოდი, რა მექნა, რით დავხმარებოდი! ეკლესიაში წავედი და ჯანმრთელობის პარაკლისი გადავახდევინი! მეც მიყვარს! ხომ ხედავ, ახლა პირველად გიყვები ამ ამბავს! რამდენი ხანი გავიდა და ახლა გაგიმხილე! მე არ შემიძლია მასავით ყველაფერზე ხმამალა ვიყვირო! გრძნობებს ხმამალა ვერ გამოვხატავ! მე შემიძლია, მხოლოდ ვიწურწულო!.. მიყვარს! პატივსაც ვცემ, მაგრამ... იგნორირებას, უყურადღებობას არავის ვაპატიებ! მეც კაცი ვარ! მე კაცი ვიყავი, სანამ შენ გაგიცნობდი და ეხლაც ვარ! ის კი მხოლოდ მაშინ მომიგდებს თავის ყურადღებას, როცა ორი-

ვე შენი მზერის არეალში ვხვდებით... უკაცრავად, მე, მისი ნახმარი პიჯაკი მაცვია! უკაცრავად, მე ჯიბეში, ანუ მის ნახმარ შარვლის ჯიბეში ხანდახან ნასესხები გროშები მიყრია, მაგრამ მეც ხომ ადამიანი ვარ! ადამიანი პირველ რიგში ყურადღებაა!.. მეც მტკივა! განვიცდი მაგრამ ხომ ხედავ ვიბრძვი, არ ვზივარ ხელდაკრეფილი! არა ვარ მათხოვარის რასაც ვმოულობ, ყველაფერს თქვენ გახარჯავთ!.. მერე რა, რომ ეს პიჯაკი ორასი დოლარი ღირს! ეს შარვალი ასი!.. ეს მაინც არ არის ჩემი!

ძალი - აბა ვისია!

კაცი - სხვისია!.. რამხელა სიამოვნებაა იმაში, როცა რალაცა მოგენონება, ჩაიყოფ შენს ჯიბეში ხელს, ამოიღებ შენს ფულს და იყიდი!.. გამიგერა, მეც ხომ შენი ნაწილი ვარ! შენი ნაწილი!.. ერთ ფერ და ერთ ხორცი! ღმერთო ჩემო, რა სისულელეებზე ვჩხუბობთ! ესე შეიძლება გაგაფრინოთ კიდევაც!.. გამიგერა?!

(ცოტახანს ჩუმად არიან. შემდეგ ქალი შუბლზე ნახად უსვამს ხელს კაცს.)

ძალი - ასე გგავდეს შვილი ყველაფერში?! არ ვიცი რა... სხვას რომ ეთქვა, შეიძლება არც დამეჯერებინა, მაგრამ, ბოლოს რომ შემომხედე, ისეთი თვალები გქონდა, როგორც "ბაჩუჩას" აქვს!

კაცი - იმას აქვს ჩემი თვალები!

ძალი - თვალები კი არა - ტანიც! როგორ ძინავს... ღამით ორივეს რომ დაგხედავთ, მეშინია! ისეთი მსგავსებაა. ერთნაირ პოზაში გიყვართ ძილი!

კაცი - ძალიან მომენატრა ბავშვი! დედაჩემიც მეცოდება! როცა მომყავს სოფლიდან, ისეთი თვალებით მაცილებს, სირცხვილით არც კი ვიცი, სად ნავიდე! რომ შემეძლოს, სულ დავუტოვებდი...

ძალი - სულ "ბაჩუჩაზე" მელაპარაკება! საკმარისია, სხვა თემაზე გადავიტანო საუბარი, ინტერესს კარგავს და სადღაც გარბის. ბებიას ასე უყვარდეს შვილიშვილი, არ ვიცი?!

კაცი - რა მინდა იცი! ყველას უნდა

გვექონდეს ერთი დიდი სახლი და მასში უნდა ვცხოვრობდეთ! ჩემებზე და შენებზეც! ჩვენც!.. ნარმოიდგინე, დიდი სუფრა, ყველანი ვსხედვართ! მივიერთმევთ და თან ერთმანეთს ვხედავთ! ბებიები, ბაბუები, მამები, დედები და შვილები?! ეჰ, კარგია, ეს წესი მაინც რომ შემოგვრჩა!

ძალი - რა წესი?

კაცი - რაიმე დღესასწაულთან დაკავშირებით ყველანი რომ ვიკრიბებით! რანაირი გულდანყვეტილი ან იმედგაცრუებულიც არ უნდა იყო, ამდენი ხალხის შემყურე, ყველანაირ გასაჭირს ფეხებზე იკიდებ?! ხედები - ყველაფერს მოერევი! თუ არ მოერევი და, ფეხებზე მაინც დაიკიდები!.. ეჰ! სისულელეა... **(ჩაფიქრდება)** მეტიკინა, თუ არ მეტიკინა პატარ-პატარა რალაცეები, მაინც კარგი დრო გაგატარეთ! არა?

ძალი - რა ვიცი, არ გინდოდა ნამოსვლა და...

კაცი - ეჰ! მე არ მინდოდა? ძალიან ცდები!.. იცი, რას ვერ ვიტან! ყველაფერი რომ დამთავრდება და მერე ერთ ამბავს ატეხავ! ეს ასე რატომ გააკეთე, ის ასე რატომ გააკეთე! პატარა ბავშვი ხომ არა ვარ!

ძალი - პატარა ხარ, აბა რა! მე ყველას ვეუბნები, რომ მყავს ორი შვილი! ერთი დიდი და მეორე პატარა!

კაცი - შენ ხან ხუმრობის ხასიათზე ხარ, ხან კბენის!.. ცოტათი მაინც გადაილოს ამ წვიმამ, ძრავას შევამოწმებდი! **(მღერის)** კიდევ ერთხელაც ვცადოთ, სანამ არ არის გვიან!

(ქოქავს, შემდეგ სალონში შუქი ქრება.)

ძალი - რა მოხდა!

კაცი - არაფერი! დამცველებს შევამოწმებ! გაფუჭებული ხომ არ არის რომელიმე! აქ თითქოს, არაფერია გადამწვარი!

(ინთება შუქი.)

კაცი - ესეც ასე! ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ მანქანა მაინც არ მიდის!

ძალი - როგორ ცივა?! ეჰ, რა მალე გავიდა ზაფხული!

პაპი - კარგი დრო ყოველთვის მალე გარბის!..

ძალი - ამას აქ რა უნდა?

პაპი - ვის?

ძალი - აი, ხედავ იმ გოგოს?

პაპი - აბა რომელს?

ძალი - აი იქ დგას ქოლგით ხელში, მერე ბოძთან.

პაპი - ვინ არის?

ძალი - ჩვენს ქვემოთ, მოჭიდავე რომ მოდის ხანდახან. ერთოთახიანში. ცარიელში იმის საყვარელია! კოჭლია სანყალი!.. ალბათ აქ მუშაობს სადმე!

პაპი - შენ რა იცი ვისი საყვარელია, სანთლით ედექი თუ რა?

ძალი - რა უხეში ხარ! საიდან ვიცი და იქიდან ამ გოგოს ყოველთვის გაჩერებაზე ტოვებს, თვითონ კი მანქანით ამოგრიალდება, ვითომ არ იცნობს! ეს საცოდავი კი ნელ-ნელა, კოჭლობით მიჩაქჩაქებს სახლამდე! მერე, ასევე რიგრიგობით გადაიან!

პაპი - რის მერე?

ძალი - დებილი ხარ რა! ვითომ არ იცი რის მერე!

პაპი - იქნებ დაა, ან ცოლისდა!

ძალი - ნუ მიშლი, ნერვებს! დას გაჩერებაზე დატოვებს, სახლიდან ოც მეტრში და თვითონ მანქანით ამოვა?.. ან ცალ-ცალკე რატომ მიდიან?

პაპი - მეტი საქმე არაფერი გაქვს?.. იქნება ვარჯიშობს ამ კაცთან ერთად! ხომ გაიხსნა ახლახან ქალთა ძიუდოს სკოლები!

ძალი - რა უგემოვნებო ხუმრობა იცი!

პაპი - როდის აქეთია ჩემი ხუმრობა უ-გე-მოვ-ნე-ბო ვახდა!

ძალი - შენ თვითონ უკეთ იცი!

პაპი - რა გინდა? ბოლოს და ბოლოს გამაგებინე! რას მკბენ?! რას მჯიჯგინი?! რას მკორტნი?!

ძალი - შენთან ლაპარაკი არც შეიძლება, იმნუთასვე ღრიალს იწყებ!

პაპი - ვინყებ! მერე რატომ მიწყობ ხელს? ხომ შეიძლება ცოტა თბილად, ან ადამიანურად მითხრა ეგ შენი სათქმელი და არ მეცე გველი-

ვით! ასპიტვიით არ მიკბინო! ხომ შეგიძლია?

ძალი - რა უნდა გიკბინო, შე სქელკანიანო! რა უნდა გიკბინო შენ თვითონ დადიხარ და დასისინებ, ბოლმისაგან უკვე აღარ იცი სად ნაილო ეგ შენი შხამი! ვის დაანთხიო თავზე!

პაპი - ხო, კიდეუ რას მეტყვი ჩემო ან-გე-ლო-ზო! მიდი, გენაცვა, მიანექ, აჩუ!

ძალი - თუ მართალი ხარ, რატომ იშლები ნერვებზე?

პაპი - ნერვები ჩემია, მინდა ავიშლი, მინდა დავიშლი, მინდა გიტარასავით დავუკრავ! ერთი მითხარი, რა ვთქვი ისეთი, რომ შენი ვნებათა ლეღვა გამოვიწვიე?

ძალი - რა გამოცანებით ელაპარაკები ჩემებს, შენი თავი ეზოპე ხომ არ გგონია! (თამაშობს) სამი კატეგორია ქართველები ცხოვრობენ დღეს, - კარგი ქართველები, ძალიან კარგი ქართველები, და ნამდვილი ქართველები!.. დედა, რა ჭკვიანური აზრია?! ტაში!

პაპი - მერე ეგ არის სისულელე, ქალო? ამიხსენი, ეგ არის?!

ძალი - ქალს მოგცემ შენა! ერთი თუ გაგარტყი, შე სოფლულო ტეტია! ვინ არის შენი ქალი!

პაპი - ვინა და შენა ხარ, შენი დედა მიტყლამუნობდა ტყლაპოში!

ძალი - მიდი, იგინე, იგინე! მე კი არ მაგინებ, შენ თავს აგინებ!

პაპი - შენ გაგინებ, დილაა თუ ბინდია!

ძალი - შენ გგონია, მე მაკლდება, მე კი არა შენ მაკლდება! შენ! შე დებილო!

პაპი - რამდენიც შენ გაკლდება, იმდენივე მაკლდება მეც!

ძალი - უ, რა ჭკვიანი ხარ! ჩემმა მზემ და შენმა მზემ!

(კაცს უნდა რალაცა თქვას, მაგრამ ხელს ჩაიქნევს და ისევ მანქანას დაუნყებს უშედეგოდ ქოქვას.)

პაპი - არაფრის თქმა არ მინდოდა! ძალიან კარგ გუნებაზე ვიყავით ყველა! - მაგრამ ხომ შეიძლება ერთი რალაცა არ მომენონოს?.. ხომ მაქვს

უფლება ჩემებურად გამოვთქვა აზრი, იმის შესახებ, რაც არ მომწონს?

ქაღლი - გააჩნია, სად და როდის!

ქაღლი - ზუსტად იქ და იმ დროს იყო საჭირო! თუ გიყვარვარ გამიგებ!

ქაღლი - ვერ გიგებ! თუ შეიძლება ამიხსენი ღრიალის გარეშე! რატომ?

ქაღლი - კარგი!

(კაცმა ღრმად ჩაისუნთქა და პირველად გადაინერა.)

ქაღლი - რატომ გვაძლევრძელა თავისი მძლოლი და მე ერთად? ამიხსენი! ძალიან მაინტერესებს შენი აზრი!

ქაღლი - **(დაფიქრდა)** მშვენიერი ბიჭია, ამიხსენი, რატომ არ მოგწონს მისი მძლოლი?

ქაღლი - კარგი რა, განა მე არ ვიცი, რომ კარგი ბიჭია! განა მე არ ვიცი, რომ ჯიგარია! ალბათ დიდი ხანი რომ ვიცნობდე, შეიძლება მეგობრებიც ვყოფილიყავით! მე არც მის კაცობაზე და არც მის ადამიანობაზე მაქვს პრეტენზია! მე გეკითხები შენ, რას ნიშნავს ფრაზა, რომელიც მან წარმოთქვა - "ამ სასმისით ჩემს მძლოლსა და სიძეს გაუმარჯოს!"... მხოლოდ ეს ამიხსენი!

ქაღლი - იხუმრა!

ქაღლი - რა ქნა?.. ვერ გავიგე, კიდევ ერთხელ თქვი?

ქაღლი - რა ქნა და... შენ ხომ ქრისტიანი კაცი ხარ, ეკლესიაში დადიხარ, ეზიარები! რატომ გახდი ასეთი ამპარტავანი? მითხარი?

ქაღლი - არა, შენ ამიხსენი, რას ნიშნავს მისთვის მძლოლი?

ქაღლი - პროფესიას!

ქაღლი - აა პროფესია?! იცოდე, მე არა ვარ მისი ლაქია! არც მისი მძლოლი არ არის ლაქია! არავინ არ უნდა იყოს ამ ქვეყანაზე ლაქია! ძალიან გთხოვთ დაინეროთ ეს ყველამ ენაზე, შუბლზე და თუ გინდათ იქაც!.. კურტუმოზე!

ქაღლი - მას ეს არც უფიქრია, მას უბრალოდ უნდოდა ხაზი გაესვა იმისათვის, რომ შენ მისთვის ისეთივე ძვირფასი ხარ, როგორც...

ქაღლი - მძლოლი! ეი! ფშუტ, მოდი აქ! ფშუტ, ნადი იქ! აბა ერთი ენა გა-

მოყავი, ხორცის ნაკლეჯი დაგეგდოს!

ქაღლი - არც ის არის კარგი ჯიგარა!

შენ ხარ ნაკლები!

ქაღლი - მეც მაგის თქმა მინდოდა, რომ არა ვარ არავიზე ნაკლები! მითხარი ამით რაიმე დავაშავე?

ქაღლი - შენი სადღეგრძელოს შემდეგ, სუფრა გაცივდა!

ქაღლი - გაცივდა და ამ ჩემს...!

ქაღლი - ცოტა წყნარად, არ შეიძლება!

ქაღლი - ძალიან გთხოვ, როცა გელაპარაკები... მიყურე!!!

ქაღლი - საშინელი ღვინის სუნი ამოგდის! გული მერევა!

ქაღლი - მეც მერევა! ბევრი რამისაგან მერევა, მაგრამ იძულებული ვარ ვყლაპო! იმიტომ რომ მიინდა თქვენ გიყურებდეთ და ვიცოდე, რომ მშვირები არა ხართ! რომ არ გცივათ! რომ ცოტა მაინც გიყვარვარ!

ქაღლი - ძალიან გთხოვ, თავს პავლე მოციქულად ნუ მიჩვენებ!

ქაღლი - **(მწარედ იცინის)** მე არა ვარ პავლე მოციქული! არც იუდა ისკარიოტელი ვარ! და არც დემეტრე თავდადებული! მე ცოცხალი ადამიანი ვარ, რომელსაც არსებობა არ სურს! ადამიანი ვარ!

(აგდებს ჩამქრალ სიგარეტს.)

ქაღლი - ხვალ ან ზეგ მეც ნავალ!

ქაღლი - სად ნახვალ?

ქაღლი - ბავშვთან! როცა მოგენატრებით, ჩამოდი და ნაგვიყვანე!

ქაღლი - მორჩი რა ამ თეატრალურობას! როცა მოგენატრები, ჩამოდი და ნაგვიყვანე! შენ გგონია, ახლა არ მენატრები!.. რა მოგვივიდა?! რას დავემსგავსეთ?! ერთმანეთის მხოლოდ მაშინ გვჯერა, როცა ვჩხუბობთ!

ქაღლი - ეეჰ!

(ქალი ცდილობს გამოართოს რადიო, მაგრამ შემთხვევით რაღაც ტაბლას იჭერს, რომელზეც ისმის ტანგოს მუსიკა. ქალი ხმადაბლა აპყვება ტანგოს მელოდიას.)

ქაღლი - გახსოვს?

ქაღლი - რა საშინელებაა, როცა მანქანაზე ხარ დამოკიდებული! საკმა-



რისია ის გაფუჭდეს და ბავშვივით უსუსური ხდები!

(კაცი ხელს ადებს ქალს კისერზე.)
პაპი - გახსოვს?

[ქალი თავს უქნევს და ორივენი იწყებენ ტანვოს ტაქტში ხელებისა და ტანის მოძრაობას, მთელი არსებით ცეკვავენ, ადგილიდან მოუცვლელად. ცეკვის ბოლოს ორივე მიესვენება სკამების საზურგეებზე - კაცი იღებს ორ სიგარეტს, ორივეს უკიდებს. ერთს ქალს აწვდის, ორივე ეწევა და სადღაც ოცნებებში დაფრინავენ.]

ქალი - გაჩერებაზე ალბათ გიჟები ვგონივართ!

პაპი - განა არა ვართ?

ქალი - სკოლაში გოგონებმა მოვიგონეთ ესეთი თამაში! ვითომ ჩვენ ვიყავით ნორმალურები...

პაპი - ვითომ თქვენ იყავით ნორმალურები?

ქალი - მოიცა ჩემო... (ხელზე ეფერება) შემეშალა! ვითომ ჩვენ ვიყავით მეთვალყურეები და უნდა გვეპოვა საგიჟეთიდან გაქცეული ავადმყოფი!...

პაპი - გიჟი?

ქალი - ჰო, გიჟი! იცი დიდხანს რომ აკვირდები ადამიანს, და თან ფიქრობ, რომ ის გიჟია, ის მართლაც გიჟივით იქცევა!

პაპი - ესე იგი გიჟდება?

ქალი - ჰო! გიჟივით იწყებს რაღაც-რაღაცეების კეთებას!

პაპი - ესე იგი თქვენ აგიჟებდით ამდენ ხალხს? (კოცნის) და მათ შორის მეც!

ქალი - მათ შორის შენც!

პაპი - მე ყველაზე მეტად!

ქალი - შენ ყველაზე მეტად!

(ნახად კოცნიან ერთმანეთს.)

პაპი - **(ხმადაბლა)** გიყვარვარ?

[ქალი იცინის.]

პაპი - ძალიან სერიოზული პასუხია!

ქალი - შენ!

(კაცი კოცნის.)

პაპი - პრაქტიკა უფრო მეხერხება, ვიდრე თეორია!

ქალი - მე მგონი ორივემ კარგად ხარ!

პაპი - თუ არ ნავედით, შეიძლება აქ რაღაცა მოხდეს!

[ქალი მიეყრდნობა კარების მიწას, და თითქოს ხალხს გასძახის.]

ქალი - ეი, ხალხო! ჩვენ თუ არ ნავედით, აქ შეიძლება რაღაცა მოხდეს!

(კაცი ქოქავს მანქანას, მანქანა თითქოს აპყვავს მის ნებას, მაგრამ რამდენიმე ბრუნვის შემდეგ ჩერდება.)

პაპი - ცოტას მაინც გადაიღებდეს, ფეხით ნავიდოდით!

ქალი - ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგაა!.. იცი რა მინდა! ერთი ნორმალური სახლი, და არა ასანთის კოლოფი! და ცოტა ფული იმისათვის, რომ თუ მოგვინდა, ერთმანეთს საჩუქრები ვუყიდოთ და ვაჩუქოთ! მითხარი ეს ღირსება თუ ნორმალური, ადამიანური სურვილია?

პაპი - ყველაფერი გვექნება! აუცილებლად გვექნება!

(კაცი აქეთ-იქით იხედება.)

პაპი - რაიმე სატივითო ან სამარშრუტო მაინც ჩამოვიღიდეს, "ბუქსირზე" ნავაყვანიებდი თავს!

ქალი - დღეს იმდენი ინუნუნეს! ფული არ გვყოფნისო, ლამის შიმშილით ამოვწყდეთო...

პაპი - ყოველთვის ნუნუნებს ის, ვისაც საკმაო ფული აქვს... არ ნუნუნებენ, მხოლოდ უფულოები და ბევრ-ფულიანები.

ქალი - მეც უნდა დავინყო ნუნუნი!

პაპი - კარგი რა!..

(ქალი იღებს ჩანთიდან სარკეს და თმებს ისწორებს.)

ქალი - გავხდი?

პაპი - გახდი?.. დამცინი?!

ქალი - არა, სერიოზულად გეკითხები!

პაპი - რას მეკითხები, შენ თვითონ არ იცი, რომ გასუქდი!

ქალი - ყველა იმას მეუბნება, ძალიან გახდი და მეთექვსმეტის ტანი გაგიხდაო!

პაპი - ბოროტი ენებია!

ქალი - ფუ! შენა ხარ ბოროტი!

(კაცი ღრმა ნაფაზს არტყამს. ქალი მიეყრდნობა კარს და თვალებს ხუჭავს.)

პაპი - იძინებს! თითქოს არაფერი მომხდარა!

ძალი - (კეკლუცად) გაჩერდი, თორემ მოძღვარს ვეტყვი, რის გაკეთებას აპირებდი ავტობუსის გაჩერებასთან.

პაპი - უჰ, შემაშინა! ყველაფერი უნდა უთხრა, აბა რა უნდა ქნა! მე მაშინებს აქ, ბიჯოს!.. საერთოდ ეკლესიაში უნდა მოუხშირო სიარულს!

ძალი - დიდი ხანია ფრთები ამოგივიდა?

პაპი - ჩემი რწმენა შენი ასანონი არაა!.. შენც რომ დადიოდე, ჩვენი ცხოვრება ასეთი კი არ იქნებოდა...

ძალი - როგორი ასეთი?

პაპი - როგორი და ჩხუბიდან-ჩხუბამდე! სხვანაირი იქნებოდა!

ძალი - მაინც როგორი?

პაპი - მაგალითად... იქნებოდა... მე მგონი ძალიან კარგი!

ძალი - ყველაფერი გასაგებია!.. (მღერის) პარარამ-პამ-რამ-პამ! მე ეხლაც კმაყოფილი ვარ ჩვენი ცხოვრებით!

პაპი - რაა?.. შენ მე გადამრევ! ჯერ ლამის არის გაგიჟდე და გამაგიჟო... მერე უცებ, მშვენიერ გუნებაზე დგები!

ძალი - ყველანაირ ჩხუბში უნდა იყოს რაღაც ამალღებული! კარგი!

პაპი - შენი კარგი... შენთვის რა არის კარგი, თუ შეიძლება ამიხსენი?

ძალი - არ აგიხსნი!

პაპი - რატომ?

ძალი - ამისთვის ჯერ არა ხარ მზად!

პაპი - ესე იგი, არამზადა ვარ?

ძალი - შენ... იცი რა მინდა?

პაპი - რა?

ძალი - რაღაც-რაღაცეებს რომ მეკითხებოდე! ადრე ყოველთვის მე-

კითხებოდი!

პაპი - შენ რატომ არ მკვირვებოდა არაფერს?

ძალი - არ ვიცი!.. ერთადაც აღარ ვზივართ, მანქანაში თუ მოვხვდებით ხანდახან ერთად! ტელევიზორთანაც კი, რასაც მე ვუყურებ, შენ არ უყურებ!

პაპი - კარგი რა... იმ... რა მაყურებინებს!

ძალი - მე ხომ არ გეუბნები უყურე-მეთქი, ჩემ გვერდით იყავი!

პაპი - მე რომ არამზადა ვარ!

ძალი - შენ ჯერ არა ხარ არამზადა!

(ისინი დიდხანს უყურებენ ერთმანეთს. ისმის ნაზი მელოდია.)

პაპი - მე მგონი სანუგავი გავითავადა! ჩამეხსა რა ცოტა!

ძალი - შენი მომჭირნეობა ყოველთვის ძვირად გვიჯდება!

პაპი - გაგეხსნა ფრთოსანი ფრთების არხი!

ძალი - გუშინ ტელევიზორში ერთმა ქალმა ასეთი შეკითხვა დასვა - რა არის უკეთესი, ადამიანი გიყვარდეს ქორწინებამდე და მერე უთმენდე, თუ ჯერ უთმენდე და მერე გიყვარდესო?!

პაპი - მაგითი რისი თქმა გინდა?

ძალი - არაფრის!

(ორივენი წინ იყურებიან.)

პაპი - მოდი მანქანას აქ დავტოვებ, ჩვენ კი შინ ფეხით წავიდეთ.

ძალი - მერე გარეთ რომ წვიმს!

პაპი - მარილის ხომ არა ვართ! წვიმა დავგადნობს?!

ძალი - რა ვიცი?! კარგი წავიდეთ!

(კოცნიან ერთმანეთს. კაცი რადიოს გამორთავს. ორივენი გადმოდიან, მანქანას კეტავენ და ჩახუტებულნი სიბნელეს ერევიან. უცებ მანქანაში რადიო ჩაირთვება და ისმის "არგენტინული ტანგოს" მელოდია. სცენა ნელნელა ბნელდება.)

ფარდა

საქართველომ გახედნოს

ქართველ მესაზღვრეებს

საქართველოს გასახედნი
სხვებმა რატომ გახედნონ?!
ყველა კუთხეც, —
მთის თუ ბარის, —
ერთ მოძავალს გახედოს,
სულით მოიგურიელოს,
მუხლით მოიკახეთოს.
როცა ქართლი მართლა ქართლობს
და ოდიში ოდიშობს,
მესხი, სვანი, თუშ-ხევსური
არ გამდგარან შორი-შორს, —
გადამთიელს —
ქირით მოსულს

რაზე მოუბოდიშოთ?!
რამდენი გვყავს საქორწინო,
რამდენი გვაქვს სამღერი?!
მოყვრობა არ ვახვეწნინოთ
შვილებს იმერ-ამერის,
ფუძეს ლოცავს წმინდა ნინო
მანავით თუ თავკვერით?
ყველას გულის არჩევანი,
ყველას მისი საბედო!
მარილისთვის აღზევანზე
წასვლა თვითონ ვავბედოთ.
საქართველოს გასახედნი
საქართველომ გახედნოს!

დალის სეობა

ბაგადის კლდესთან მუხლებს იყრიან:
"აღვილის დედა შენა ხარ, დალი!"
ქვემოთ კოდორის ლოდთა რიყეა, —
"აღვილის მამა კოდორი არის."

კლდეზეა ლათა...
აჭარა... ჩხალთა...
ბუდე არწივთა თუ გმირთა ბუდე.
იფარაუთ დალის ლამაზი კალთა,
ხელი კი მაინც ჩახმახზე უდევთ.

მივესალმები სვანთა ბუნებას, —
შემართებას და
პირდაპირობას...

ცა თოვს ფანტელებს უზალთუნებად
და გზის გაგნება არის გმირობა.

გულებად უდევთ ფოლადი მტკიცე,
მიზნის საძებრად — არწივის თვალი.
მხოლოდ დმერთის და სვანების
სივრცე
იყო,
იქნება ხეობა დალის.

ღიახ, ბევრს ნიშნავს სვანისთვის
დალი, —
დალი — ქალღმერთი,
დალი — ხეობა...
ვინ გადახურავს ხეობას ჩალით,
თუ სვანს სვანური შერჩა მეობა?!

გაელიც ეკეხს და მწყემსიც

ბრბოში გარეულ შეგირდს
მხრებზე ეშმაკი აზის,
მაგრამ მოძღვარი შველის
ჯვრად განასკვული ვაზით.

როგორც შეჭფერის დრო-ხანს, —
პოვნა-დასწრების წესით, —
ტყეში დარჩენილ ძროხას
მგელიც ეძებს და მწყემსიც.

გუთნით და ისრით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვალვამ იყარა ღრუბლების ჯაერი, —
ყაყაჩოების ბრიალებს კვარი...
მაგრამ გაწვიმდა,
შერბილდა დარი,
მოგვართვა ვარდი და ვაზის ჯვარი...
ნამდვილად თუ ვართ

გული და ღვიძლი,
ნამდვილად თუ ვართ
ამ მიწის ღირსი,
უნდა ვაწვიმით ოფლი და სისხლი,
რომ მუდამ ერქვას სახელი მისი,
ვინც შემოხაზა გუთნით და ისრით.

ოსანა

ჯერის მონასტრიდან ცაში ასვლა
რა ადვილია,
სანამდი უფალს კიდევ ესმის
ჩვენი ოსანა.
ვითარცა ქრისტე —
წამებული მოკვდა ილია,
მაშინ ოსანა ილაღადა
ჩვენთვის მგოსანმა.

მისთვის რა არის ცაში ასვლა,
ვინც თქვა ოსანა...
წიწამურული გოლგოთიდან
ეს ადვილია.
"უფალო იხსენ!" —
ილაღადა მაშინ მგოსანმა, —
საქართველოს ხსნა
შეაკედრა უფალს ილიამ!

რწმენა

გამოგველია
პურ-ღვინო ძველი
და მტერზე შეტად
მოყვარემ გვიმტრო.
დავკარგეთ შტკიცე მისაფუძველი,
ახლის შენება გაჭირდა მიტომ.
მაგრამ ამ შიმშილს თუ გავუძელით, —
რადგან ნამყენის კვირტები კვირტობს,
კვლავ აყვავდება ამერ-იმერი, —
შეკრული ფიცით გულისხმიერით,
ისევ აღსდგება, როგორც ფენიქსი,
ისევ ღიდგორზე შედგება ერი!

კოვტის ვალი

ისეთი ვალი
რა დაუვივალე,
ვიზდი და ვერცა ვიზდი.
როს შემომივლის გვიან თუ მალე,
რა პირით შევხვდე სიკვდილს?!
არა!
ჯერ წისკვილს ვერ გავაჩერებ, —
აღებული მაქვს მინდი.

მაფშალია არ აკლიათ

ჟამი მუხის შუფოთლების,
ქართ ჩრდილთა შუშფოთების
შემოალებს კარებს.
სხივებს ციციანათულებად,
დამწვარ გულთა გამთულებად
დაკვაბერტყავს მთვარე.

სენაკსა და ანაკლიას
მაფშალია არ აკლიათ
და ინებოს ღმერთმა:
მხარეს ციციანათულების,
მაფშალია-ქართველების
საცხოვრისი, საბუღარი
საუკუნოდ ერქვას.

ბადი მდინარეებისა

დარიალს იქით დაადგამენ
ზურგზე უნავირს...
მაინც, შემკული ლევნდებით
და საოცრებით,
ჩრდილოეთისკენ გარბის თერგი —
ფიცხი ულავი
და ჩვენთან ტოვებს
ბეჭდებს ლექსის
და გაოცების.
იმავე მთებიდან
აწყვეტილი,
დავიდარაბით
მიწას მოჩხვერავს ბასრი რქებით —
თეთრით და შავით
და დედა მტკვართან შესახვედრად
მორბის არავკი,
მორბის და მცხეთის სანახებთან
ივიწყებს ბლავილს.

წამომართულან მწვერვალები
მთების ღმერთებად,
სამაჩაბლოში იკრიბება
ჩანჩქერთა ხმები,
ასევე მტკვართან —
ქართლის ძარღვთან
შესაერთებლად
ეთხოვებიან ტყეში ჩამჯდარ
მთებს ლიახვები,
დიდს და პატარას
კელაპტარიც ერთი
უნთიათ
და ერთი გზა აქვთ
ისტორიის
რიბირაბოში...
ლიახვებს უღელს ჩრდილოეთში
ვერ გაუთლიან,
ვერც დაადგამენ, მითუმეტეს,
სამაჩაბლოში!

ფართა შამოდგომა

ტყეში შემოდგომის
თბილი ამინდია,
ლუზა ჩაუშვია
ყვითელ სიმყუდროვეს.
მაგრამ წეროები,
ნეტავ, სად მიდიან,
უფრო მშვენიერი
მხარე სად იპოვეს?!

ახლა შემოდგომის
ნისლთა რონინია,
ტყეზე ფარფატებენ
ფერთა ნაფლეთები.
იქნებ, ღვინობისთვის
მწარე თინია
თეთრად შეფეთილი
მთების საფეთქლები?!

ის საიდუმლო წიგნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხივებს — შეკრულებს ძნებად —
სიმსუბუქე აქვთ ქარის.
არარსებულის ძებნა
პოეტის ხვედრი არის.

უხილავს უნდა ნახვა,
ხილულს ხომ ვეღვა ხედავს,
თუ მაღალ ზეზე ახვალ,
ნახავ კენწეროს ხეთა.

ნახავ ტყის გაღმა ოლეს,
ოლესთან თამაშს ხბოთა,
ნამით განბანილ მოლებს,
მეჯოგე პაპის მოთას.

მაგრამ ეძებე იგი,
რაც ღია თვალით არ ჩანს,
ის საიდუმლო წიგნი,
ღმერთს რომ მიწაზე დარჩა.

ნიჟარები

რიწის გზაზე სუფთა ტბები
ვინ მონათლა ტბებად,
მოგონების ფრაგმენტები —
სულის ნაფოტებად?
ჩემში დარჩა, რითაც ცტკებები,
რითაც გული თბება,
არ დაუთმე სულის ფრთები
ქარს და დავიწყებას.

აფხაზეთო,
მენატრები,
ვით ოცი წლის წინათ
და უთქმელი სონეტებით
ნიჟარებში მიმინავს.

ისევ მინდა შევეგროვო
ზღვის კენჭები მძივად,
ყური ვუგდო —
ნიჟარები
როგორ უხმობს წვიმას.

სანაპიროს ნაცნობ რკალებს
ზღვის წარბებად ვნათლავ,
ხოლო მთვარეს მოკანკალეს —
აფროდიტეს სანთლად.
ფაიფურის ნაზი თეფშის
უცხო სიმოკრძალე
ჩაუღვიათ ნიჟარებში
პონტოს ამორძალებს.

ცრემლი არდაპოწყებისა

მოსწიე აღვირს,
სანამ ხრამმა დაალო პირი,
სანამ ჯერ კიდევ მოლოდინში
საცოლე ტირის,
სანამ ფასი აქვს
ხრამის პირას ამ დაყოვნებას,
სანამ ლამაზი დაგივიწყებს
და გათხოვდება.

სანამ არ დაგზავდა მოსახვევში
სიკვდილის ცელი,
სანამ არ გახზა
შენი გვარის ფესვი და ძირი...
დავიწყებისკენ მიგვაქანებს
ტკივილის ცრემლი,
არდავიწყების ცრემლი არის
ცრემლებში ძვირი.

●
შორს გატყორცნილი ისარი
დაბრუნდა, ვით ბუმერანგი,
მკერდი გამიპო, დამკოდა,
წითლად შეღება პერანგი.

ისევ მტკივა და მაწამებს
და არ ხორცდება იარა,
ბედის უკულმა ტრიალის
მე ვერა გამივია რა.

●
უსუსური მოწმე ვარ
წაგებული ომების,
ეწუხვარ, არ ვარ საყვირი
ტანჯულ გარემოების.

●
შემოდგომის ღამეა,
საღლაც შუქი კიაფობს,
ვიღაც მგ ზავრი სანთელით
ღამის უკუნს მიაპობს.

არეულია სოფელი,
აქლარუნებენ იარაღს,
ზეიმობს მეფისტოფელი,
სვამს სისხლით სავსე ფიალას.

ჩემგან ნატყორცი ისარი
შემთხვევით არ მომხვედრია,
რადგან ტანჯული სიცოცხლე
ჩემისთანების ზვედრია.

შეწირულთა სულების
ზღვა გრძნობა სინანულის...
ტვირთად მაწევს ტკივილი
ფრთამოტეხილ მამულის.

რაღაც ეფემერული
და თითქოს იღუმალი,
ქრება, ნელა გვმორდება
წუთისოფლის სტუმარი.

"იაროვლიუი"

მოთხრობა

სარკმელი ფართოდ გამოაღო და ფარდები მისნი-მოსნია. მცირე ხანს იდგა და ფიქრიანი თვალებით გადასცქეროდა ზღვის უკიდევანო სილურჯეს.

... როცა თანამეინახეებმა მეზობელი მაგიდიდან დამხვეწილი ქალები გადმოიბატყეს, წასასვლელად წამოიძარა. შენიშნა, რეზომაც აიზე ზურა.

სანაპიროზე ტყვა აღარ იყო ხალხის. მოზიმზიმე ტალღები დაუსრულებლივ მიედინებოდნენ და მოედინებოდნენ და თითქოს ბოლო აღარ უჩანდა ამ დინებას.

სიწუმე რეზომ დაარღვია. ხმადაბლა, ჯავრიანად ჩაილაპარაკა:

- ამ ძუკნების ხროვამ გააუფასურა ქალი. ყველაფერი გაიფადა, გაიოლდა. გატიალდა.

გაოცებით შეათვალიერა. რატომღაც არ მოელოდა რეზოსგან ამ სიტყვებს, არც იმას, რომ დარჩენას არ მოისურვებდა კაფეში, თავის მოზორხოცე, შეზარხოშებულ ტოლ-ამხანაგებთან:

- ძნელი ასატანია, როცა მხოლოდ ეს პირუტყვეული, მხოლოდ ბიოლოგიური საწყისი გეწიხირება თვალში... მხოლოდ გაშიშვლებული ნდომა, მეტი არაფერი, - განაგრძობდა იგი მოგუდული ხმით, ისე, თითქოს თავის ფეხსაცმელების ქვიშტს ეზრახებოდა. მერე გეზად გახედა გვერდით მომავალს: - თუმცა, შენ აღარ გაგვიკვირდება... ეს, შენც ხომ - ზღვისპირელი ხარ!

... გონებაში უნებურად ამოუტივტივედა ახლა ეს დიალოგი და როგორღაც გვერდულად ჩაიღიმილა. სარკმელს მოშორდა და ნელი ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან. ტელეფონების ნიგნს დასწვდა. ერთხანს გაუნძრევლად დასცქეროდა, მერე ისევ მაგიდაზე დადო ცნობარი და კვლავ სარკმელთან მივიდა. სიგარეტს წელა, აუჩქარებლად მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

სწადა ალედგინა სიმშვიდე, უცაბედად დარღვეული ნონასწორობა სულისა, მაგრამ რატომღაც აწრიალებული გული არ წყნარდებოდა. ვერა და ველარ ერეოდა ამ შინაგან, ფარულ მოუსვენრობას, მთელ სხეულში რომ გასჯდამოდა.

ისევ მაგიდასთან დაბრუნდა. უნებლიეთ შეველო თვალი კარადის სარკეს. მერე შეჩერდა, დაკვირვებული მზერით თხემით ტერფამდე გაზომა თავისი ზორბა, სიმსუქნეშეპარული ტანი. მოკლედ შეჭრილ, ოდნავ შეჭალარავებულ გრუზა თმაში მარჯვენა ხელის თითები შეაცურა, და...

ზურგი აქცია თავის გამოსახულებას. მაგიდასთან მიიჩოჩა სავარძელი და მძიმედ ჩაეშვა. კვლავ აიღო ნიგნი ხელში და გადაშალა.

"ეგება არცა აქეს ტელეფონი?"

სწრაფად ჩაავლო თვალი სიას. ორადორი გვარი აღმოჩნდა კობახიძე და ერთი მათგანის ინიციალი იყო: მდე.

წამით ისევ შეყოყმანდა. მერე უცებ აკრიფა ნომერი, თან საათზე დაიხედა, ათი სრულდებოდა.

"რაც იქნება, იქნება!.."

ყურმილს არავინ იღებდა და ის იყო გულდანყვეტილი და თან თითქოს შეება-მიცემულს, ყურმილი უნდა დაედო, რომ ანაზღად გაისმა ქალის მკერდისმიერი ხმა:

- ალოო!
- ტყვიანაკრავით, სასწრაფოდ დაკიდა ყურმილი. იგრძნო, ცხელმა ტალღამ ერთბაშად როგორ დაუარა ძარღვებში და გულზე გადაეველო ნაკადებად.
- წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე, თითქოს წყალში ჩასაყვინთად მოემზადაო, ხელახლა აკრიბა ნომერი.
- ალო, გისმენთ! - გაისმა ყურმილში ქალის იგივე ხმა.
- უკაცრავად... მაკა მინდოდა, კობახიძე! - თავისივე ხმა ეუცნაურა, დაბეჭილივით მოეჩვენა იგი.
- მე ვარ, ბატონო!
- გამარჯობათ, მაკა...
- გაგიმარჯოთ! - ქალს გაკვირვება ედგა ხმაში.
- როგორ გკითხოთ... მაკა?.. ხომ კარგად ბრძანდები?
- გმადლობთ. უკაცრავად... ვერ გიცანით...
- ჰმ... ჰმ... არ ვიცი, მოგაგონდებათ თუ არა... ოდესღაც, დიდი ხნის წინ, ერთი თი-

ანელი ნაცნობი გყავდათ... რამაზ დიასამიძე.

დუმილი. "ალბათ ყურმილს დამიგდებს ახლა!" - ჩხვლეტისმაგვარი ყრუ ტკივილი იგრძნო გულის არეში.

- რამაზ... ნუთუ... შენა ხარ?... - ქალმა ნამით იყუჩა: - ველარ გიცანი. იცი, სრულებით ველარ გიცანი ხმაზე!.. უფრო სწორად... - ისევ გაჩუმდა.

"არ დამიკიდა!"

- როგორა ხართ, მაკა?

- რა ვქნა. ვარ. შენ... რას შვრები?... ხომ... მშვიდობაა შენკენ?

- გმადლობთ, მაკა... მეც ვარ რა, ისე. - პაუზა.

- ცოლ-შვილი როგორა გყავს?

- გმადლობთ. კარგად არიან, მაკა! - ისევ პაუზა.

- რამდენი გყავს, რამაზ, ბავშვი?

- ორი.

- ბიჭები? გოგონები?

- გოგონებია ორივე.

- ოპო.

შუბლზე მომსკდარი ოფლი ცხვირსახოცით შეინმინდა, სული მძიმედ მოითქვა. გრძნობდა, რომ საუბრის ძაღვი დაეკარგა, არ იცოდა, რა ეთქვა. ისევ ქალს გამოჰყავდა მდგომარეობიდან.

- საიდან რეკავ, რამაზ? რამ გაგახსენა ჩემი თავი?

- აქა ვარ, თქვენს ქალაქში.

- ჩვენთან? აქ ისვენებ?

- არა. თათბირი გექონდა რალაც და...

- ააა... რესპუბლიკური თათბირი რომ იყო? მგონი, დამთავრდა, არა?

- კი. დღეს დამთავრდა.

- შენ... ისევ იქა ხარ?

- არა. ახლა ჩაის შეურნეობაში გადავედი.

- დაგანინაურეს?

- დამანინაურეს. დირექტორად.

- ოპო. კაია. მომილოცავს!

- გმადლობ, მაკა!

- გაგიტკბა დირექტორობა თუ ჯერ... ვერა?

- ჯერ ვერა, ვეჩვევი თანდათან! - თავადაც ხუმრობა სცადა და ჩაიციინა, ოღონდ როგორღაც ნაძალადევად, უხალისოდ.

- როგორ მიატოვე თბილისი, მაკა? რატომ გადმოხვედი აქეთკენ?

- პო, მართლა, შენ ვინ გითხრა, რომ აქ ვცხოვრობ?

- ვიცი.

- საიდან? ვინ გითხრა?
- დავრეკე ერთხელ შენთან სამსახურში და იქ მითხრეს.

- ჩემთან დარეკე?.. როდის?

- ასე... - შეყოყმანდა, - სამიოდე წლის წინ.

- აა... - ქალმა კელავ ჩაიციინა.

- რამ გაგახსენა ჩემი თავი, რამაზ?

- მაკა, შენ, რასაკვირველია, არ დაიჯერებ... თუმცა ახლა ამის თქმას აღარცა აქვს მნიშვნელობა, ალბათ, მაგრამ მაინც... მინდა გითხრა, რომ... მე არასოდეს დამვიწყებიახარ...

- ნუთუ?! - ქალმა ისევ გაიციინა.

ო, რა სიცილი იყო. თითქოს სამართებელი დაუსვესო გულზე. თვითვე ეოცა ეს სიმზარე:

- არ თქვა ახლა, ყოველ წუთს, ყოველ წამს მახსოვდი, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოვახერხე დამერეკა შენთვისო, თუმცა... სამი წლის წინ ხომ დაგირეკავს, რას გერჩი? - ქალი გაჩუმდა. კაციც დუმდა. როგორც იქნა, ხელში შერჩენილ მოუკიდებელ სიგარეტს სანთებელა მიუმარჯვა.

- რატომ გაჩუმდი, რამაზ?

- ჩემი ფანჯრიდან ზღვა მოჩანს, მაკა. იცი, ზღვა შენ შემაყვარე, თუმცა ზღვისპირზე კი გავიზარდე.

- ნუთუ?

- კი ასეა, მაკა! შენ... დამანახე ზღვა სხვანაირად... და როცა ზღვას ვუყურებ, ყოველთვის... შენ მახსენდები.

- საინტერესოა...

- ზღვა მაკავშირებს ხოლმე ჩემს ფიქრებში შენთან... - და უცებ დაუმატა: - მაკა, უნდა გნახო. ვიცი, არ მაქვს არავითარი უფლება... ადრე, რამდენჯერაც დავერეკავდი, ხმის ამოღებას ვერ ებედავდი; მეგონა, ყურმილს დამიკიდებდი, არ მომისმენდი. დღესაც ასე მეგონა, მაგრამ რაკი შენ... ერთი სიტყვით, უნდა გნახო აუცილებლად. ბევრი სათქმელი მაქვს, მაკა.

- რა აზრი აქვს, რამაზ? ან... რა უნდა მითხრა ისეთი, რაც... ტელეფონით არ ითქმის?

- გასაგებია. ალბათ, ქმარი იეჭვიანებს, არა?

- მე ქმარი არა მყავს, რამაზ. ასე რომ, ეჭვიანობა გამორიცხულია.

"ვიცოდი. ვიცოდი, რომ არ ვათხოვნილა. და მაინც... ყალბად გამომივიდა რალაც!"

- მესმის... - კაცმა ხმა ჩაინმინდა მღე-

ლვარების დასაფარავად, - ვიცი, რომ შენ უფლება გაქვს ასეთი ტონით მელაპარაკო. შენ გაქვს უფლება ჩამთვალო... უსინდისო კაცად, მაგრამ... გეფიცები, ყოველივე იმას, რაც კი ძვირფასი და წმინდა გამაჩნია ამ ქვეყანაზე, რომ... - სულთქმა ეკეროდა, თითქოს აღმართზე ადიოდა და ზურგზე უშველებელი ტვირთი ჰქონდა მოკიდებული: - თუკი ვინმე ოდესმე მყვარებია, თუკი ოდესმე რაიმე გრძნობა მქონია ქალის მიმართ, ეს შენა ხარ. თუმცა... მესმის, რომ ამას... არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ახლა... - გაჩუმდა. მთავარი სათქმელი ითქვა, ის, რაც ესოდენ შიშვე ლოდად აწვა. ღრმად ამოისუნთქა. ქალცი ჩუმად იყო, მაგრამ უცებ რაღაც გუმინით იზზრა, რომ იგი ტიროდა. თავადაც გორგალი მოაწვა ყელში, სუნთქვა გაუჭირდა.

"რა გულჩვილობაა? რა შემართება?" - გაიფიქრა ირონიით. ჩამქრალ სიგარეტს წვალბებით მოუკიდა. ღრმა ნაფაზი დაარტყა ისევ. აღარც ახსოვს, როდის აუჩუყდა გული უკანასკნელად!

- მამატიე, რამაზ... - ქალს ხმა შეცვლიდა და ისე ახლოს გაისმოდა, ისეთი სიცხადით და გარკვევით შეიგრძნობდა მის ყოველ მიხრა-მოხრას, თითქოს თავადაც აქვე იდგა, გვერდით: - მოგეხსენება, ქალები მაინც სენტიმენტალური ვართ სადღაც, ხანდახან პატარა რამეც კმარა, რომ... შენმა სიტყვებმა და ხმამ გამახსენა... - დუმილი ახლა კარგა ხანს გაგრძელდა. კაცსაც უჭირდა ხმის ამოღება.

- ნუთუ... მართლა გახსოვდი, რამაზი ნუთუ მართლა?

- ყველაფერი მახსოვს, მაკა. ყოველი ნერილმანი. ყოველი დეტალი: პირველი გაცნობიდან იმ... უკანასკნელ შეხვედრამდე - და ვერც ვერასდროს დავივიწყებ!

- მერე... ნუთუ... ერთხელაც ვერ მნახე ამ ექვსი წლის განმავლობაში ან... არ დამირიქე? ან იმ წერილზე... ის წერილიც უპასუხოვ დატოვე...

- ვიცი, რომ ამას მკითხავდი... მეც ხშირად ვუსვამ ჩემ თავს ამ შეკითხვას: რატომ? როგორ მოხდა?.. რატომღაც მეგონა, შენ ადვილად აიტანდი ამ დაცილებას. ალბათ იმიტომ მეგონა ასე, რომ... - გაჩუმდა. აზრი არ დაამთავრა.

- გეგონა, მორთვი ვატაცება იყავი ჩემთვის, არა?.. გასაგებია. თქვენ, მამაკაცები, ხშირად ვერ არჩევთ ნამდვილს ყალბისგან. თანაც, ქალები ისე ოსტატურად თვალთმაქცობენ თურმე, რომ...

- შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ... ჩემში... ალბათ მეტი აღმოჩნდა ენა მხოლოდ ჩემში... კომპლექსი... მეგონა, რაღაც-რაღაცეებს ვერ მოვინებლავდი და... გაცლა ვამჯობინე. ვფიქრობდი, ასე უკეთესი იქნებოდა შენთვისაც და ჩემთვისაც. რაც მთავარია... მო, დიახ, მშობარა ალბოვჩნდი. ჩემს თავს უფრო გავეცეცი... მაგრამ, თურმე, სად გაეცეცივო საკუთარ თავს!.. შენ არ იფიქრო... გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, შენზე და ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა ჩემი ცოლი. კარგი ქალი გამოდგა, მეოჯახზე, შეილებზე გადამკვდარი დედა. ყველაფერი ჩინებულადაა გარეგნულად. მეც ისე ვარ ჩაფლული ყოველდღიურ, წვერილმან საქმიანობაში... ოჯახზე და შეილებზე მზრუნველობა და სამსახურის საქმეები ისე მითრევს, რომ ხშირად თავი მავინყდება. მოკლედ, გარეგნულად, ყველაფერი რიგზეა. ყოველ შემთხვევაში... ასე მიაჩნიათ სხვებს. სინამდვილეში კი... ეს ის არ არის, მაკა... ის არ არის, რაც შენს მიმართ მქონდა, რაც... შენთან მექნებოდა, რაც მე და შენ შეიძლებოდა გვექონოდა... - გაჩუმდა ისევ. ხანგრძლივი, დაძაბული დუმილი ჩამოვარდა. მერე ქალმა ნამოინყო:

- შენ ერთ რამეში მართალი ხარ, რამაზ, იმდაგვარი კომპლექსები ყველას გავაჩნია, მეტნაკლებად, რასაკვირველია. უფრო ახალგაზრდა თაობა ალბათ იმით გვეჯობნის ჩვენ, ძველებს, რომ მათ თითქმის ნარმოდგენა არა აქვთ ამ კომპლექსებზე. აი მეც, რამაზ, ღამე ტკივილისაგან გული მეფლეთებოდა, დღე კი, სამსახურში, თავი ისე მეჭირა, ვითომ არაფერი მჭირს. სხვას არავის უნდა შეემჩნია ჩემი სანუხარი. და მართლაც, ჩემ ირგვლივ, უახლოესი მეგობრების გარდა, ვერავინ ნარმოიდგენდა, რომ ხშირად თავის მოკვლას ვაპირებდი - დარდისა და ტკივილისგან სასონარკვეთილებამდე მისული. მაგრამ... რამდენჯერაც დავაპირებდი, იმდენჯერ მოვალეობის გრძნობა მახვეინებდა უკან. ჩემი ავადმყოფი დედა? ის ხომ ვერ გადაიტანს ამ უბედურებას? სირცხვილის გრძნობა მოუღებს ბოლოს, სხვას რომ თავი დავანებოთ-მეთქი. და აი, გამოდის, რომ მე არ ვიყავი ჩემი სიცოცხლის გამგებელი, სიცოცხლის, რომელიც არაფრად მიღირდა.

- მე მოვალ, მაკა. ისე, დაგხედავ და... ნამოვალ მაშინვე.

უნდოდა, ფეხით გაველო. ჯერ ერთი, დრო სჭირდებოდა, რომ რამდენადმე გონება მოეკრიბა, ჩაჰკვირვებოდა თავის შინაგან ფიქრებს თუ განცდებს. მეორეც, ფეხით გავლა ცოტათი მაინც გამოუნელებდა ღვინის ნარჩენს, სხეულში რომ ჩაღვრილიყო მათრობელა ნაკადად.

ქუჩებში კი ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე წყვილები, გადახვეული წყვილები ხედებოდა და ისმოდა გაუთავებელი, ფინიანი სიცილ-კისკისი.

ჰაერშიც თითქოს მდებდნის მომწოდებელი, დაუფარავი ნადილი ტრიანობდა და ალაგზნებდა გულს, ძარღვებს ათრთოლებდა, ცხვირის ნესტოებს ბერავდა და სისხლში სურვილად და ნატვრის ჟრუანტელად უვლიდა.

ამაოდ ცდილობდა განმარტობოდა თავის შინაგან გულისხმას, ჩაებრუნებინა მზეჩერა გულის უშორეს კუნჭულებში. პირიქით, გაღიზიანება და რალაცნობიერი მოუსვენარი ფორიაქი ეუფლებოდა.

უცებ ცარიელი ტაქსი დაინახა. ხელი აუნია უანგარიშოდ.

როცა მანქანაში ჯდებოდა, იგრძნო, რომ დაღლილიყო, უფრო სწორად, სხეული რალაცნაირად მომჩვენებოდა, მოშვებულყო. თვალები დახუჭა. თავში აკვიატებულ ფიქრს კვალდაკვალ ასდევნებოდა: "აქვს აზრი?"

ქალის ხმა გამოიკვეთა ანაზღეულად, გასაოცარი, თითქმის ხელშესახები ინტონაციით.

ხმის ამ კილომ, ოდნავ ნამღერებულმა, ნაზმა, ერთბაშად ყრიალით დაუარა ძარღვებში. ისე ძალში იყო ხმის ეს აღქმა, რომ სუნთქვაც კი გაუნყდა ნამით. ლოყაზე ქალის სათუთი, საამო სუნთქვის მოლამუნებაც შეიგრძნო თითქოს. თვალმინაბულს ნეტარმა, ჩემმა ღიმილმა შეუტოკა ბაგე. ... ისეთი ნატიფი იყო ქალის ნაკვეთები, ემინოდა უნებლიეთ ხელში არ შემომსხვრეოდა. და საოცრად მოუქნელი, უხეში და ტლანქი ერგებოდა საკუთარი ხელები, ამ ნაზი, სათუთი სხეულის მოსაფერებლად.

... მერე ცრემლჩამდგარმა, ფართო, მოსიყვარულე და შემკრთალმა თვალებმა შემოაბათა ნამიერად.

მოლოდინით შეპყრობილი სახე, ოდნავ, სულ ოდნავ გაპოხილი, სავე, ალუბლისფერი ტუჩები... თითქოს საბოლოო ვანაჩენს ელოდებოდნენ ისინი და... შეწყალებას ითხოვდნენ.

... რამდენჯერაც მოელანდებოდა ეს სახე, იმდენჯერ ფართო, უხეშმეტყველად მტევანი აეფარებოდა მას და უკან, შორს გასწევდა.

ამ დიდი ხელის ზურგით ცდილობდა თითქოს მის საბოლოო მოცილებას და იმ ყრუ ტკივილის ჩახშობას, გულს რომ ბნენდა უამით ყამამდე.

"რა უღმერთოდ მოექციე, არა, მამინ?" თავისივე სისასტიკისა და უღმობელობის გახსენება აკრთობდა.

მაგრამ ახლა ტლანქი, ვეება ხელის გული აღარ ეფარებოდა ამ სახეს, არ სწევდა შორეთში, სადაც იქეთ, სივრცის მიღმა; პირიქით, ახლოს, სულ ახლოს მიიწევდა იგი...

იქნებ სჯობს გაბრუნდე? კიდევ არის დრო უკან დახვეისათვის. მაგრამ...

ის, "ვიღაცა" ... იგი იღებდა გადაწყვეტილებებს "მის მაგივრად", იგი მოქმედებდა.

... ზარის ღილაკს ფრთხილად დააჭირა თითი. ცოტა ხანში კარი გაიღო.

კიბის ქვედა საფეხურზე შემდგარი, თავანული შეპყურებდა დირეჯე ასვეტილ სილუეტს.

- მობრძანდი, რამაზ! - ქალმა ღიმილით უკან დაიხია, გზა მისცა კაცს.

- გამარჯობა, მაკა! - დაბნევით ჩაიდუდუნა და ხელი ინსტინქტურად გაიშვირა. ქალმა ჩამოართვა. გრილი და პატარა ხელის მტევანი ჩაიკარვა მამაკაცის უზარმაზარ ტორში. მხოლოდ წამით მოასწრო თვალის შევლება ქალისთვის, მერე მზერადახრილი მიჰყვა უკან. ერთადერთი სურვილი ამოდრავებდა ახლა, როგორმე დაეოკებინა მღელვარება, სახეზე მონოლიდი მსურვალე სისხლის ტალღა როგორმე უკუექცია.

ქალის მშვიდმა ხმამ და სახემ თითქოს უშველა კიდევ, რამდენადმე მორეოდა თავს.

პატარა დერეფანი გაიარეს, მერე ქალი საკმაოდ მოზრდილ ოთახში შეუძღვა კაცს.

- დაბრძანდი, რამაზ! - ქალის წყნარმა ხმამ გამოიყვანა გარინდებიდან, ასე უცებ და მოულოდნელად რომ დაუფლებოდა.

შეთავაზებულ საგარძელში ნელა ჩაეშვა. ქალი მოპირდაპირედ მდგარ ხის მოჩუქურთმებულფეხებიან, დაბალზურგიან სკამლოგინზე ჩამოჯდა. ასევე მოჩუქურთმებულფეხებიან გრძელ ტაბლახე ზილი, ნამცხვრები და სასმისები ელაგა. ქალი-

სთვის რომ მზერა აერიდებინა, ირგვლივ მიმოავლო თვალი. კუთხეში როიალი იდგა მხოლოდ, ხოლო ოთახის ოთხივე კედლიდან იღვრებოდა ცისფერი, ნარინჯისფერი, ლურჯი, ხასხასა მწვანე, წითელი ფერების ჩქერალი...

დაუფარავი გაოცებით შესცქეროდა ამ უჩვეულო, გამაოგნებელ ნახატებს.

... აქაფებულ ზვირთებზე პეპელასავით შესკუბებულა თეთრაფრიანი ორჩხომელა.

... უცნაური ფორმის მქონე ღრუბლები წვერნამახულ ქონგურებიან ციხე-კოშკებს ჰგვანან, ხანაც საზარელ, ხახადაბჩენილ ურჩხულებს.

... გვირილებით მოფენილ მინდორზე პეპლებს დადევნებულ ბაფთებიან გოგონებსა და ბიჭუნებს ცის მაგივრად ბაყბაყ დევის უზარმაზარი ფიგურა გადმოშობია...

... მგლისსახეება, ხანაც აფთრისთვალება არსებანი თათებალერილი მოიწვენ ერთად შევგუფებულ, დამფრთხალი მშვლენისა და ნიაშორებისკენ...

... დიდი, ნარინჯისფერი მზე წითელი ლაქებით დაფერილ ცაზე იღვწითება.

... თმებგაშლილი, სატევარმომარჯვებული ამორძალები ყიფინით მიაჭენებენ ცხენებს ტრამალზე.

ადგა. ახლოს მივიდა კედელთან. ერთხანს ჩუმად ათვალაიერებდა.

- ვისი ნახატებია? - იკითხა ბოლოს და მზერა გაუსწორა ქალს, რომელსაც წყნარი ღიმილი ურხევდა ბაგეს.

ოქროსფერი, ოდნავ ტალღოვანი, სქელი თმა კეფაზე დაეგრაგნა. ღია მწვანე, ნუშისებრი თვალები კაცისთვის მიეპყრო და დღუმდა.

თითქოს არაფერი შეცვლილიყო ქალის სახეზე მას აქეთ, რაც უკანასკნელად ნახა. მხოლოდ ეს ჩუმი, ბაგის კუთხეებში ჩანაოჭებული ღიმილი იყო ახალი, საიდუმლოებით აღსავსე. ეს ღიმილი სულს უფორიაქებდა, ამფოთებდა.

იგრძნო, ნამიც და ველარ გაუძლებდა ქალის მზერას.

- ჩემია, რამაზ! - თქვა უცებ ქალმა მშვიდი ხმით და თავადაც ნახატებს შეავლო თვალი წამიერად.

- შენი?!. შენ... ხატავ, მაკა?

- ისე, ჩემთვის. ხანდახან.

ამოღებული სიგარეტის კოლოფი ისევ ჯიბეში ჩაიბრუნა.

- მოსწიე, რამაზ, თუ გინდა. ნუ გერიდება.

- შეიძლება? აქ?... ნახატებთან შეხება
- არა უშავს რა. მომეცი. მეც მოვწვევებ შენს ნთან ერთად.

თავის ადგილზე დაბრუნებულმა, საჩქაროდ გაუნოდა სიგარეტი, მერე სანთებელაც მიუშარჯვა. როცა უკიდებდა, გონებაში თითქოს წითლად ანთო შუქნიშანივით: "ენვეა!.. ადრე... არ ენეოდა".

სიგარეტმა დაუბრუნა გარეგნული სიმშვიდე, თავდაჯერებულობაც კი:

- დიდი ხანია ხატავ, მაკა? მე არ ვიცოდი, თუ შენ მხატვარიც იყავი.

- მხატვარი არა... - ქალმა ჩაიღიმილა:

- სულ ორი-სამი წელია... მოკლედ, რაც აქეთ გადმოვედი, მას მერე დავიწყე.

- ადრე არასოდეს გიცდია?

- არა. - ქალმა თავი გაიქინა და ნაფაზი დაარტყა. - ისე, პატარაობისას, როგორც ყველა ბავშვი, მეც ვვლანდი რალაცუებს. მუსიკა ბევრ დროს მართმევდა. აქ რომ გადმოვედი, უცებ, ერთბაშად გამიწნდა ხატვის სურვილი. ზღვამ, ეტყობა, შემახსენა, ჩემი ძველი გატაცება... შოდა, მეც ვერთობი ჩემთვის.

ქალს ყვითელფოთლებიანი, თეთრი პერანგი ეცვა, სახელოებაკაპინებული. შეუბნეველი ზედა ღილიდან მოუჩანდა მზემოკიდებელი, თეთრი, ნაზი კანი. როგორც ადრე, ახლაც ერთადერთი სამკაული ეკეთა გრძელ, ნატიფ თითზე. ეს იყო და ეს. მოლურჯო-მოშავო, ნაოჭებიანი ქვედაკაბა მუხლისთავეებს უფარავდა. სადად და უბრალოდ ეცვა, როგორც ადრე.

და როგორც ადრე, ახლაც სულაც არ იყო გამომწვევი და თვალში საცემი ქალური სინაზითა და სინატიფით აღბეჭდილი მისი გარეგნობა.

ყველაფერი ეს თითქოს ნაცნობი და ახლობელი იყო, მაგრამ უცხო და შორეული რჩებოდა მამაკაცისათვის ეს იდუმალი ღიმილი და უსურვილო, უნადინო თვალები.

"ნუთუ... სულ, სულ არ ლელავს? ისე, უბრალოდ, მოგონებთა გამო მაინც? ნუთუ ასეთი გულგრილი და ცივია მართლა? აკი წელან... ტელეფონზე ლაპარაკის დროს მომჩვენა, რომ... ტირიდა? მერედა, ეს სიგარეტიც!"

განსაკუთრებით ქალის ღიმილი აგებდა საგონებელში. ვერ ამოეხსნა მისი იდუმალი შინაარსი. ვერც ამ ყოველგვარი სურვილისგან დაცლილ თვალებს შეგუებოდა, უწინდელი, ვარსკვლავებივით აცი-



მციმებული თვალების ნაცვლად. ეს “დეტალები” ქვეშეცნულად აღიზიანებდას, თითქოს მის მამაკაცურ თავმოყვარეობას თუ ღირსებას ლახავდა. მართალია, ამ მზერამ თავად მასაც მოუტანა ერთგვარი სიმშვიდე, შეძლებინა საკუთარ თავს დაუფლებოდა, მოეთოკა და მოეზღუდა აყალყებული სისხლი და მაინც...

- როგორც ჩანს, შეეგუე აქაურობას, არა, მაკა? - მამაკაცის ჯიქურ მზერა ახლა ცდილობდა შეენიშნა ქალის სახეზე ნამიერი ფორიაქის ნასახი, მღელვარების ნაკვალევი, მისი ნატამალი მაინც.

ქალმა მხრები აიწურა ოდნავი ღიმილით. მერე ჭიქები უხმოდ შეავსო კონიაკით.

- ცუდი მასპინძელი ვარ, ხომ ხედავ, რამაზ? მიირთვი რამე. ეს შინაური ნამცხვარია.

- არა, გმადლობ, მაკა, არაფერი მიინდა. სუფრიდან მოვდივარ.

- როგორ გითხრა, რამაზ? - ნელანდელ კითხვას გაეპასუხა ქალი: - ვარ ჩემთვის. უფრო სწორად, ვცდილობ ვიყო ჩემთვის, რამდენადაც შესაძლებელია ეს ამ პატარა ქალაქში. დღე - მუსიკალურ ტექნიკუმში ვასწავლი, საღამოობით - ვხატავ. თუმცა... უკვე ვეღარ ვხატავ... ესენი ძველი ნახატებია... დედაჩემის შემდეგ არ შემეძლო თბილისში დარჩენა... და ნამოვედი აქეთ.

- დედა... დიდი ხანია გარდაიცვალა?

- მეოთხე წელია უკვე! - ქალმა იყუჩა. კაციც დუმდა თავჩაბრილი და ხელში შერჩენილ ჩამქრალ სიგარეტს დასჩერებოდა. მერე მზერა ასწია. ქალს პირდაპირ შეხედა:

- ისე... მახსოვს... შენ სულ აქეთკენ გენეოდა გული, მაკა, ზღვისკენ!

- მართალია, რამაზ. ალბათ იმიტომ, რომ აქაურობა ჩემი დედულეთია. და მეორეც, ეტყობა, ზღვაზე უზომოდ შეყვარებული, ზღვაზე გადარეული წინაპრების სისხლის ყვილია ალბათ ჩემში... - ქალს თვალები გაგანიერებოდა, არაამქვეყნიური სევდა და კიდევ რაღაც ამოუცნობი, მიუნდომელი ილანდებოდა მათში, ის, რასაც კაცი გუმანით გრძნობდა და სახელი ვერ კი დაერქმია, რაც ასე უმფოთებდა სულს და აფორიაქებდა...

- მიხარია, რომ... გაგიმართლა და... კმაყოფილი ხარ, მაკა!

- გამიმართლა?.. თუმცა, პო, ბინა იბლიანად გადავცვალე, და რაც მთავა-

რია... ვცდილობ, ბავშვებისთვის მარტო მუსიკის მასწავლებელი არ ვიყო... სასიამოვნო შეგრძნებაა, როცა ბავშვებს ელემენტებით ლტოლვა სილამაზისკენ, მშვენიერებისკენ... თუმცა... ბევრი სიძნელეც არის... სიმართლე გითხრა, ხანდახან ძალიან მიჭირს კიდევ, მაგრამ... რას იხამ. უნდა შეეგუო. აიტანო, სხვა გზა არ არის... ნამიერი დუმილის შემდეგ:

- ეს შენ გაგიმართლოს, რამაზ! - ნარმოთქვა და კონიაკის სავსე ჭიქა პირთან მიიტანა.

- არა, არა, - გამოერკვა ერთბაშად კაცი: - ჯერ მე მიინდა დავლიო...

- მგონი, როგორც მასპინძელს, მე მეკუთვინის...

- არა, - კვლავ შეანყვეტინა კაცმა მტკიცე ხმით: - ნება მიბოძე, ჯერ მე შევსვა შენი სადღეგრძელო... - ნამით დადუმდა, მერე სიტყვების შერჩევით, ნელა, დინჯად ნამოიწყო: - ეს შენ და შენს ნახატებს გაუმარჯოს, მაკა... მოიცა, ნუ შემაწყვეტინებ, გთხოვ. ამ ნახატებში შენი სული ცოცხლობს, სილამაზით, სიკეთით და სიყვარულით სავსე. ესენი შენი მონატრებაა... შენი ნუხილი და სიხარულია... ჩვენ, ადამიანების უმრავლესობას, საშნუხაროდ, ხორციელი, მატერიალური უფრო გვიზინავს და ეს სული გვიმახინჯებს სპირად. მე ეს აქაც... ამ ქალაქშიც შეენიშნე... ყმანვილი ბიჭების მზერაშიც, მათ ქცევაშიც... აქ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ხორცის დღესასწაულია, აფუებული, გაზულუქებული ხორცის... აქ, ამ ოთახში კი - სულის ოაზისია. მარტვილი სულის სავანეა. აქ ეს მშვიდი, ნაზი ქალი ახერხებს იყოს თავისთავადი, განუმეორებელი, იყოს პიროვნება. ეს... ეს მისი სამყაროა; მისი სულის ზემია აქ!.. რატომ მიყურებ ასე, მაკა? ჩემგან გიკვირს არა ეს სიტყვები?

ქალმა თავისი სავსე ჭიქა გულისყურით შეათვალიერა, თან ოდნავ, ოდნავ ილიმებოდა ისევ ისე. ოპ, ეს იდუმალი ღიმილი როგორ აფრთხობდა მამაკაცს, როგორ უკანრავდა გულს რაღაცნაირი აუხსნელი, მწვავე ტკივილით.

- შენ მიგაჩნია, რომ ჩემგან... თუმცა... შენ მართალი ხარ, შენ უფლება გაქვს იფიქრო, რომ... - გაჩუმდა ისევ. ყელში მომდგარი უეცარი ბურთი ლაპარაკს უშლიდა.

“იქნებ შენ, რამაზ დიასამიძეც, არც გქონდა უფლება შემოჭრილიყავი აქ, დაგერღვია ეს მყუდროება, სულის ეს ფაქი-

ზი ლაბირინთი, შემოგულაჯებინა აქ შენი დიდი ფეხებით და გამოგენვია რალაც მშენიერის და ლამაზის მსხვერველა...

აკი ერთხელ მოგეცა შემთხვევა და ჩაიღინე ეს ჯალათობა...

თუმცა, იქნებ მთლად ასეც არ იყოს? ქალი მაგიდაზე რალაცეებს ადგილის უცვლიდა მზერადახრილი. ქალის ხელის მტევანი თეთრი და სალუქი, ისე ახლოს აღმოჩნდა უცებ მის ხელთან, რომ ძლიერძლივობით მოერია სურვილს, სწვდომოდა და სათითაოდ დაეკოცნა მისი ნებები...

სიგარეტს მოუკიდა კვლავ. მოქაჩა.

- შენ დალევა დაგაეინყვია, რამაზ!

სწრაფად ახედა ქალს. იგი ახლა ფართოდ იღიმებოდა და ეს ღიმილი ისეთი უზაკველი, უეშმაკო მოეჩვენა, რომ ერთბაშად გულზე მოეშვა და თავდაბაც გაუღიმა გულლიად. უცებ, სულმოუთქმელად გამოსცალა ჭიქა.

- მადლობელი ვარ, რამაზ!... შენ ერთი რამე სწორად შენიშნე: ამ ქალაქში მართლაც უფრო ძალუმად იგრძნობა ხორცის ზეიმი... ამ დროს ღალადება ჭეშმარიტ სიყვარულზე, მშვენიერებასა და სილამაზეზე სასაცილო უფროა... ამ ნახატებში ალბათ ეს ტკივილებიც აისახა...- გამოფენაზე თუ გიცდია ამათი გამოტანა, მაკა... მე მხატვრობის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ესენი, ჩემის აზრით, საოცარი ნახატებია!

- მოდი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, რამაზ.

- ნუთუ მართლა არ გამოგიტანია არასდროს?

- ღმერთმა დამიფაროს. განა გამოფენისთვის ვხატავდი, რამაზ?.. უბრალოდ, ჩემთვის...

... ანაზდად, ტელეფონის გაბმული ხარი გაისმა. რატომღაც ამ მყუდრო, თითქოს გარესამყაროდან მოწყვეტილ სამყოფელში, რომელიც ფერების, უჩუმარი მუსიკისა და გულის მიჩქმალული ღელვის საბუდარი ჩანდა, როგორღაც უცნაურად მკვეთრად, დაფინებული ძალისხმევით თუ მოწოდებასავით შემოიჭრა მეოცე საუკუნის ხმა.

გამჭოლი მზერა შეაჩერა უნებლიეთ შეტოკებული ქალის სახეზე.

იგი ყურმილს გადაწვდა.

- გისმენთ! - მშვიდი, უსიცოცხლომდე მშვიდი იყო ქალის ხმა, მაგრამ სახეზე ერთიანად გადაფითრებული, თითქოს მოჭ-

რილად, მკვეთრად გამოთქვამდა სწრაფ ტყვეებს.

- რა მიჭირს... ჩვეულებრივად. პოო? შენ იცი. არა. ნორმალურად. არა, მარტო არა ვარ. ერთი ძველი მეგობარი მესტუმრა. არა. კაცი. კი. ძალიან. ალბათ. არ ვიცი. არ არის საჭირო. ნამდვილად არა. ასეთა. კარგად იყავი.

ფერდაკარგულ სახეზე მხოლოდ თვალები ანთებოდა. ტუჩები ნერვულად უთრთოდა და თუმცა, ცდილობდა აღელვება არ შესტყობოდა, აღარ გამოსდიოდა.

ყურმილი დადო თუ არა, ორივე ხელი მომუჭა და კალთაში ჩაიხსო, გაირინდა სახედასხეობით.

კაცს უნდოდა მზერა მოეცილებინა, სხვა რამეზე გადაეტანა; ალლოთი გრძნობდა, რომ ასე აჯობებდა ახლა ქალისთვის, მაგრამ ველარ ახერხებდა, დაფინებული მზერა ვერა და ვერ მოეწყვიტა ამ ერთბაშად შეცვლილი სახისთვის.

როგორც იქნა სძლია თავს, ნამოდგა. ერთ-ერთ ნახატთან შეჩერდა. უზარმაზარი, ნითელი მზე ჩადიოდა ცის დასალიერში, ზღვის კიდესთან. ნარინჯისფერი, მენამული, ლურჯი, იისფერი ერთმანეთში არეულიყო. ყოშრალი ღრუბლები აწენილ-აწენილიყვნენ და რიალით მისდევდნენ მნათობს;

მზის გარდაცვალება, ენერა სურათის ქვეშ. იდგა და შეურხეულად შესცქეროდა ნახატს არაფრისმხედველი თვალებით. მისი გონება მთლიანად დაეკყო ტელეფონზე საუბარს.

მკვეთრად შემობრუნდა. ქალი კვლავ გაუნძრევლად იჯდა იმავე პოზაში, როგორშიაც დასტოვა - თითქოს დათრგუნული, თუ გატეხილი. ნაზი პროფილი ყინწმონყვეტილი ყვავილივით დახროდა.

- ვინ იყო? - უნებურად მოწყდა ენის ნვერს ეს სიტყვები. იცოდა, არ უნდა ეკითხა არაფერი და მაინც ველარ შეძლო თავის შეკავება. ჩამოჯდა. სიგარეტი ისევ ამოიღო ანგარიშშიუცემლად.

- თუმცა... მე ვხვდები... - ჩაილაპარაკა ხმადაბლა და ნელა ამოიღო კოლოფიდან სიგარეტის ღერი, თან ნარბებს ქვემოდან გამომცდედელ მზერას არ ამორებდა ქალს.

იგი ნელში გაიმართა, კისერი ააღერა. მერე თითქოს გამომწვევად შეაცქერდა კაცს, სახეზე გადამწყვეტი იერი აღბეჭდოდა:

- ეს ის კაცია... ვინც შენ შეგცვალა. - ამომარცვლა მკვეთრი, ცივი ხმით. თი-



თქოს ყინულის ლოლუები სცვიოდა ბავი-
დან. თვალებიც ცვიად უბზინადა.

უცებ, თვით მისთვისაც მოულოდნე-
ლად მუხლები მოიყარა ქალის წინ და ხე-
ლებში სწვდა, ტუჩებთან შიიტანა: - მაკა,
მაკა... მაპატიე... თუ შეგძლია...

ისე ახლოს იყო ქალი, მის სითბოს და
სუნთქვას მთელი არსებით შეიგრძნობდა.
თავბრუ ეხვეოდა.

ნუთუ... ოდესღაც ეს ნაზი ხელები ეფე-
რებოდნენ მის თმებს, მის სახეს? ეს სხე-
ული - უმწეო და მორჩილი, ეჭირა მკლავ-
ებში?

ნუთუ იყო ეს? ნუთუ?

და როგორ დაკარგა, რანაირად?

- რა უნდა გაპატიო?.. ადექი, რამაზ. და-
ლიან გთხოვ. რა უნდა გაპატიო? ის, თუ
რატომ არ გიყვარდი? სისულელეა ყველა-
ფერი. სისულელე. ადექი, თუ ღმერთი
გნამს.

- შენ ყოველთვის არაჩვეულებრივი
გოგო იყავი, მაკა, ყოველთვის და მე... შე-
მემინდა, რადგან... ვიცოდი, ყოველთვის
ვიცოდი, რომ... შენი ღირსი არა ვარ. მე
ხომ ერთი ჩვეულებრივი, პროვინციელი
ბიჭი ვიყავი - უნდო და ეჭვიანი, სულელი
და ბრიყვი... სანამ არ დაკარგავ, თურმე
მანამდე ვერ გაიგებ მის ფასს...

ქალი დაუსხლტა კაცის ხელებს. თვა-
ლები ავადა, მრისხანედ უელავდა.

- მე სულაც არა ვარ არაჩვეულებრივი
ქალი. გესმის შენ? სულაც!.. პირიქით!..
ერთი ჩვეულებრივი, უბრალო კახა და-
დაკაცი ვახლავარ, რომელსაც თვეში
ერთხელ ჩამოაკითხავს ხოლმე საყვარე-
ლი - ცოლშვილიანი კაცი და, რომელსაც
უსიყვარულოდ, უსურვილოდ უწვება ლო-
გინში:

- მაკა... გაჩუმდი, გთხოვ!

- რატომ? რატომ გავჩუმდე?! სიმა-
რთლე არ უნდა ვთქვა, არა?! სიცრუე
უფრო ტკბილი და საამოა, არა?! მაშ, გი-
მეორე: მაკა კობახიძე ერთი ჩვეულებრი-
ვი კახა დედაკაცია, რომელსაც არ შეუძ-
ლია მამაკაცის აღერსის ვარემე გაძლე-
ბა, ვისა სთხოვ პატივებს?!

თავადაც არ იცის, როგორ მოხდა, რა-
ნაირად. გონს მაშინ მოეგო, როცა ქალის
ლოყაზე აღისფრად გამოიკვეთა მისი ნა-
თითურები.

ქალმა ორივე ხელი თავზე იტაცა, მე-
რე ყრუ კენესით ჩაეშვა სავარძელში.

ნამსვე მივარდა, ორივე მკლავი მოხ-
ვია, ჩაიჩოქა: - მაკა... ღვთის გულისა-

თვის... მაპატიე... მე თვითონ არ ვიცი რა
მომივიდა... მაკა!

ქალს კვლავ ორივე ხელი ნაველო თა-
ვში და ფერმიტეტილი, ულონოდ მისე-
ნებოდა სავარძლის ზურგს.

- ოჰ, რა მიმე ხელი გქონია, ბიჭო... -
ჩუმად, ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა
ბოლოს და ახლა სახეზე აიფარა ხელისგუ-
ლები.

კაცი უხმოდ, ტუჩების ოდნავი შეხე-
ბით უკონიდა ხელებს და თან შემფოთე-
ბულ მზერას არ აცილებდა ქალის სახეს.

ქალმა კიდევ ერთი ღილი ჩაიხსნა, აკა-
ნკალებული ხელი უბეში შეიყო.

- ცუდად ვარ... - გათეთრებული ტუჩე-
ბით ძლივს ამოთქვა თუ ამოიკვნესა და
თვალი მოხუჭა.

- მაკა!

- იქეთ... სანოლ ოთახში, ლოგინის თა-
ვთან... უჯრა გამოსწიე... ნამლებია... მო-
მიტანე, თუ შეიძლება...

კაცმა ბორძიკ-ბორძიკით მიაღწია სა-
ნოლ ოთახამდე, ლოგინის თავით მდგარ-
ი პატარა ტუმბოდან უჯრა გამოაღო...
უჯრა ნამლებით იყო სავსე.

რამდენიმეს ერთად დაავლო ხელი და
საჩქაროდ დაბრუნდა ქალთან. იგი ისევ
ისე მისვენებოდა სავარძელს და ნაპირზე
ამოგდებული თვეზივით აღებდა პირს.

- მაკა... - დაიხარა კაცი, - რომელი და-
გალივინო?

- სულ ერთია...

- ნამალი დალია თუ არა, კვლავ ღონე-
მიხდილი მიეყვება სავარძელს, თვალმი-
ლული. ტუჩებზე სიმწრის ღიმილი უკან-
კალებდა.

- ახლა გამივლის, ნუ გეშინია... ფიზი-
კური ტკივილი უფრო ადვილი ასატანია,
- გაღივება სცადა, მაგრამ ძალა არ ეყო და
ქვედა ტუჩზე იკბინა. მერე ნანწყვეტ-ნანყ-
ვეტად ამოთქვა:

- მაგან... გადამატანინა მაშინ შენი ამ-
ბავი... სიცოცხლე აღარ მინდოდა და ჩე-
მთვის უკვე... ყველაფერი სულ ერთი
იყო... ყველაფერი. უფრო ჯიბრით გავკე-
თე, ჩემივე თავის ჯიბრით... მერე... აღარ
მეყო ძალა, ნებისყოფა - ჩამომეცილები-
ნა. აქეთ გადმოვედი, აქაც მომდია. საშვე-
ლი აღარ მომცა. ვიფიქრე, ბავშვი, იქნებ
ბავშვი მაინც... სუსტი აღმოვჩნდი. გლა-
ხაკი.

- არ გინდა,ჭირიმე შენი, ნუ ლაპარა-
კობ.

- დავიღალე. ო, როგორ დავიღალე, რა-

მაზ. დავიღალე ყველაფრისგან. ამდენი სულმდაბლობისგან... ამდენი სიგლახისგან... სიცოცხლე... არ მინდა ხანდახან...

- მაკა!

- ახლა ნადი, დამტოვე, რამაზ!

- შენი ასე ჯდომა არ შეიძლება, მაკა. ლოგინში დაგანვენ. ეგება... სასწრაფოსთვის გამოგვეძახა?

- არა. არა. არაფერი არ არის საჭირო. გამივლის მალე, მე ვიცი...

- დიდი ხანია... გული განუხებს, მაკა?

- კაი ხანია, მაგრამ... ხომ გეუბნები, ფიზიკურ ტკივილს უფრო უძლებს-მეთქი ადამიანი, ვიდრე სულიერს... - ნამოდგომა დაპირე, მაგრამ ერთბაშად სახე დაემანჭა და ჩუმი კენესით კვლავ სავარძელში დაეშვა.

კაცმა ფრთხილად აიყვანა ხელში და სანოლი ოთახისკენ გააღაჯა.

- ახლა ნადი, რამაზ. უკეთა ვარ, - უთხრა ქალმა მას შემდეგ, რაც კაცმა იგი ლოგინზე დაანვინა და ქალის თხვივით თავით ტელეფონის აპარატი დაუდგა.

- ნუ გეშინია, მაკა, არ დავრჩები, აგერ ჩამოგვადები ცოტა ხანს და გიყურებ. იქნებ რაიმე დაგჭირდეს. ასე როგორ დაგტოვო? ეგება ჯობდა მაინც გამოგვეძახა სასწრაფო? მერე უფრო გულმშვიდად ნავიდოდო.

- არა, არაფერი არ მინდა... გამივლის...

- მალალ ბალიშზე თავით მიწოლილი, უღონო, სუსტი ხმით ჩურჩულებდა ქალი და ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა, რომ ყოჩაღი იერი ჰქონოდა.

მის ცნობიერებაში ნამიერად ფრაზეზის ნაწყვეტებია შემოიჭრებოდა და მერე, ისევ ისე ითიშებოდა გონება, აღარ იკარებდა სიტყვებს, რახუნით რომ ცვიოდნენ სადღაც მისგან მოშორებით.

გამოცარიელებული, უსიცოცხლო თვალები მიემტკვრებინა სარკმლისთვის და მოჩვენებითი გულისყურით ათვლიერებდა გარემოს. სინამდვილეში კი, თავის წარმოსახვაში ხან სწრაფი, ხანაც შეყოვნებული კინო-კადრებით ეცოცხლებულ სურათებს ჩასციებოდა შინაგანი მზერით. მანქანაში მსხდომი კი განაგრძობდნენ დავას. ერთმანეთს აწყვეტივნდნენ, ერთმანეთს არ უსმენდნენ ბოლომდე, ყოველ მათგანს საკუთარი აზრი მიანდა მნიშვნელობის მქონედ. აღარ აცლიდნენ ლაპარაკს ერთიმეორეს. სინამდ-

ვილეში სულ არ აინტერესებდათ, თუ რას იტყოდა მეორე. მთავარი იყო: თუთორ რას ფიქრობდა და რა აზრის იყო იმ წერილის შესახებ, დილის გაზეთში რომ დაებეჭდათ.

"... თავადაც არ უნყოდა დანამდვილებით, რა ერქვა იმას, რაც ნუხელ მოხდა, მხოლოდღა ქალის შეძრწუნებული თვალები, უზომო ტკივილისგან დაზარალებული და ცრემლით მორწყული სახე წარამარა აესვეტებოდა მის მზერას და როგორც არ უნდა აეფარებინა ხელისგულები, ვერასდიდებოდა ვერ მოემორებინა იგი, რადგან, რაც უფრო იცილებდა და უკან, თითქოს სიღრმეში სწევდა მას, რომ ბოლოს და ბოლოს, სულაც გაეუწიერებინა, მით უფრო მეტის დაყინებით და თავგამეტებით მოინევდა მისკენ. ვერა, ვერას ვხვით, ვერანაირი საშუალებით ვერ მიეხურა სარკმელი ამ უსიამო ჩვენებისთვის, ასე გამეტებით რომ ეძალებოდა და საშველს არ აძლევდა".

... მანქანაში მსხდომნი კი კვლავ გაცხარებით დაობდნენ წერილში მოთხრობილ საზარელ მკვლელობაზე, დაობდნენ იმაზე, თუ საიდან არის ადამიანში ამდენი სისასტიკე, ბოროტება, სიძულვილი, ბოლმა და შური.

"... ნუხანდელმა შეხვედრამ დაუნდობელი სიცხადით გაამიშვლა ის, რაც თვით მისი გონებისთვის, შესაძლოა, ამოუცნობი ან ბუნდოვანი იეროგლიფივით დარჩენილიყო, თუმცა არცთუ მთლად გაუცნობიერებელი ვახლდათ, რადგან ერთხელ უკვე მიეცა საშუალება ამ მთვლემარე, თითქოს მიყურებულ "იეროგლიფს" თავი ეჩინა, გამაშკარავებულყოფი, მაგრამ მაშინ იმ საცქიერს მისატყვევლად თვლიდა. ყოველ შემთხვევაში უწყინარი თუ არა, საძრახისად არ მიაჩნდა თავად, გამართლებას თუ ახსნას უძებნიდა საკუთარ თვალებში.

ნუხელის მერე კი... და საერთოდ, თავს ვეღარ მოიტყუებდა, რადგან ამიერიდან თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ამ მთვლემარე "რალაცას" ძალუძდა დროდადრო, ხანგამოშვებით, თავის აწყვეტა და მაშინ... ხშირად სავსებით უსუსური და უძლური ხდებოდა თურმე ნებისყოფა მის წინაშე. გამარჯვება ან დამარცხება მარტო ბრძოლის ველზე როდი მოიპოვება: ჭიდილის სარბილად როცა გული და გონება იქცევა, ხშირად მოუთოკავი, შეუზღულდავი რჩება თურმე ის შეფარული, ქვე-

ცნობიერი ინსტინქტი თუ კოდირებული რეფლექსი. დამარცხება საკუთარ თავთან კი - შეიძლება არანაკლებ საშინელი იყოს, ვიდრე საომარ ველზე ბრძოლის ნაგება!

... ქალს წამით ჩათელიმა და მის ფერ-გაცრეცილ, გამხდარ ლოყებსაც თითქოს სიოცხლე დაბრუნდა, ვარდისფერმა გადაჰკრა, სუნთქვაც ზომიერი გაუხდა.

იჯდა სანოლისგან მოშორებით და რაცნაირი სინანულით, სიბრალულით თუ აუზსნელი, თითქოს გაუგებარი სინაზით შესცქეროდა ამ სახეს, რომელსაც ახლა, როცა ქალს მიერულა, გადატანილი ტან-ჯვისა და შეფარული ნუხილის ნაკვალევი დასტყობოდა.

ის იყო ჩუმად ადგომას და ფეხაკრეფით გამოსვლას ამირებდა, რომ ანაზხად ქალმა თვალები გაახილა. და ამ ერთმა წამმა, ამ თვალებში არეკილიმა უნებლიე რისხა შესაძლოა გადაწყვიტა შემდგომ ყველაფერი.

- შენ... კიდევ... აქა ხარ? - აღმოხდა ქალს გაოცებით თუ შიშით და სანოლზე წამოჯდა დამფრთხალი, დაფეთებული იერიით.

- ახლა... ვაპირებდი წასვლას... - დააბნია რატომღაც ქალის სახის გამომეტყველებამ, ხმის კილომ და გულის არეში უნებლიეთ მწვავე ჩხელეტა იგრძნო ისევ.

- გაგაციილებ... - დაფაცურდა ქალი ასადგომად.

- არ არის საჭირო, იწყეი.

- არა. გაგაციილებ... უკვე კარგად ვგრძნობ თავს. თან... კარსაც ჩაკეტავ.

- მერე... მე რომ წავალ, მერე ჩაკეტე.

უკვე ფეხზე ამდგარი ქალისკენ დაიხზარა, რომ ლოყაზე ეკოცნა გამომშვიდობების ნიშნად. და მყისვე იგრძნო, რომ ქალი თითქოს შინაგანად აიზღარბა, და როგორღაც სარქაროდ მიუშვირა ლოყა საკოცნელად, თითქოსდა ეწადა, რაც შეიძლება მალე მოემორებინა თავიდან. კვლავ ჩხელეტისმაგვარი იგრძნო გულში და უცებ... ის "რაღაც" - სულის უშორეს, ზნელ ხვეულებსა თუ მღვიმეებში რომ იყო ჩალექილი და აქამდე თვით მისთვისაც გაუცნობიერებელი ჩანდა, - აზავთდა, დაივარგნა და დაიძრა...

ლოყაზე რომ შეახო ბაგე, კვლავ შენიშნა, როგორ შეტოკდა ქალი უსიამო გრძნობისგან, თუმცაღა უანგარიშოდ ეცადა მის დაფარვას ნაძალადევი, ნანვალეზი ღიმილით.

ერთბაშად ნელზე შემოხვია მკლავები, თავისკენ მოიზიდა:

- მაკოცე! გამოსამშვიდებლად მერე კი კოცე. ისე არ წავალ აქედან, იცოდე! - ხმა ჩაეხრინნა, სახე აელენა კაცს. ის "რაღაც" ბნელი, ავი, ბოროტი შინაგან ჯებირებს მოსკდომოდა და გადმოლახვას ლამობდა.

ახლა დაუფარავი შემფოთება ჩაელვარა ქალს გაფართოებულ თვალებში. მაგრამ შეეცადა სახისთვის არაფრისმოქმელო, უდარდელი გამომეტყველება მიეცა.

- რასაკვირველია... ოღონდ ხელი გამიშვი, რამაზ.

უფრო ძალუმად მოიზიდა კაცმა.

- ისე გეზიზღები... რომ ერთ კოცნასაც არ იმეტებ ჩემთვის?

კაცი უკვე ველარ ფლობდა თავს, ველარ დაემორჩილებინა გულისთქმა, რომელშიც ვნებასთან და მძაფრ სურვილთან ერთად ცნობიერად შენივთებულ-შეზავებულიყო გრძნობა შურისგებისა. რატომ? რისთვის? რის გამო? ამის გასარკვევად აღარ ეცალა მის გონს და ახლა არც იყო ეს მთავარი მისთვის.

- რატომ მიძალიანდები, მაკა?.. რომ აღარ გიყვარვარ, ეგ ვიცი უკვე, მაგრამ... შენი თქმითვე, აკი... უსიყვარულოდ შეგიძლია დაუნევი იმას... იმ ტიპს, წელან რომ გირეკავდა...

- რამაზ! - ხვეწნა გაისმა ქალის ჩამწყდარ ხმაში.

- ნუთუ... ყველაფერი დაივიწყე? აღარაფერი გახსოვს კარგი?

უკვე გაშმაგებით უკოცნიდა სახეს, თვალებს, ტუჩებს, ყელს, მერე პერანგის საკინძე ბოლომდე ჩაუნყვიტა: - მე რო მახსოვს?.. მე რომ ვერ ვივინყებ?..

- რამაზ... ოღონდ შენ... ოღონდ შენ არა... - შიში ახლა შეძრწუნებით შეცვლიდა ქალს სახეზე. ამან, ამ უნებლიე ძრწოლამ უფრო მეტად გაახელა.

- სწორედ მე... სწორედ მე... - უგონოდ, უაზროდ ბუტბუტებდა და მეტის განწარებით ეხვეოდა და კოცნიდა ქალს, რომელსაც წინააღმდეგობის ძალა უკვე წართმეოდა.

- ეგ ხომ... ძალადობაა, რამაზ! - უკანასკნელად სცადა ქალმა კაცის გონზე მოყვანა და ცრემლები თქრიალით გადმოცვივდა თვალებიდან: - ველარ გადავიტან... ველარ გადავიტან ამას. შენგან რამაზ! - ნაიჭურულა მილეული, განწირული ხმით და უღონოდ ჩაიკეცა კაცის მკლავებში.

... მანქანაში მსხდომი აღარ ცხრებოდნენ. დაეკამათი ღამის ჩხუბსა და ლანძღვა-გინებაში გადაზრდილიყო.

საქართველო

- რა ამბავში ხართ? რად იწყებთ ახლანდელს? - ნამიერად ჩამოვარდნილი სიჩუმეში გაისმა უცებ საჭესთან მჯდომი თმამეთხლებული, სათვალისანი კაცის მშვიდი, ნყნარი ხმა: - განა ახალი ამბავია თქვენთვის, ყოველ ადამიანში პოტენციური მკვლეელი რომ ზის!

თითქოს მდუმარების ანგელოზმა ჩამოიარაო, ყველას ენა ჩაუვარდა, განცვიფრებული თვალებით შეაცქერდნენ საჭესთან მჯდომს.

ამ უეცარმა და ხანგრძლივმა სიჩუმემ გამოიყვანა რამაზი ზი გარინდებიდან. თანამგზავრებს გაოცებით მოხედა ძილბურანიდან ახლადგამოღვიძებული ადამიანის მხერით.

რა მოხდა? რატომ შეწყდა ხმაური, ყურში მომაბეზრებელი, მონოტონური ზუსუნი რომ გაჰქონდა?

რას გაჩუმდით? გიმეორებთ: თითქმის ყველა ადამიანში ზის პოტენციური მკვლელი-მეთქი. ოღონდ ზოგს ხელსაყრელი პირობები ექმნება ამ პოტენციის გამოსავლენად და ავლენს კიდევ მას, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა: ზოგი კიდევ - შეფარულად, იქნებ თვით მისთვისაც შეუცნობლად ატარებს მას.

- მამ... გონი? გონი რადაა? - იკითხა რომელიღაცამ ირონიულად.

- გონი საითკენაც უნდა იქეთკენ წარმართავს ადამიანს. უნდა ბოროტებისკენ, უნდა სიკეთისკენ...

ახლა ყველანი თითქმის ერთდროულად აყვანდნენ. საჭესთან მჯდომმა აცალა მათ დაცლილიყვინენ ემოციებისგან და შემდეგ ძალიან მშვიდი, დინჯი, მაგრამ დაბეჯითებული ხმით განაცხადა: - აი, ყველანი ხომ სიამოვნებით ვუყურებთ კინოსურათებს, სადაც ომია გადაღებული, განსაკუთრებით ე.წ. ბატალური სცენები მოგვწონს, მასიურად რომ ხოცავენ ადამიანებს. ხომ ასეა?

- ეს ხომ ომია... ისინი ხომ... მტრებია? - რომელიღაცამ ენის ბორძიკით ნამოიძახა.

- ხა-ხა-ხა... - მოკლედ გაიცინა რეზომ: - მერე რა, რომ მტრები ჰქვიათ? ადამიანები ხომ არიან? ჩვენნიარი აგებულების, ჩვენი ჯილაგის, კაცთა მოდგმის? .. ე.წ. ნადირობაც ხომ სისხლის ნყურვილის დაკმაყოფილებაა ქვეყნეულად?

მონადირე კლავს, ვთქვით... ირემს თუ კურდღელს, ეგ სულერთია, და უხარია უზომოდ, რომ მოკლა, სისხლი დაღვარა...

ეგ სიმბოლურად იგივეა, რაც ნადირობა ტომები სჩადიოდნენ, როცა თვისტომთა სისხლში იბანდნენ ხელეებს... მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ერთი ფიზიკურად კლავენ ადამიანებს, ხოლო სხვები - სიტყვიერად, სულიერად, ყველა შემთხვევაში - მაინც მკვლელობასთან გვაქვს საქმე... და საერთოდ, ადამიანს ადამიანად აქცევს და აკეთილშობილებს, როგორ ტრაფარეტულადაც არ უნდა ეღერდეს, მხოლოდ რელიგია და კულტურა. სხვა შემთხვევაში იგი ჩვეულებრივი მშეცია - თავის ქვეანისტიქტებს დაქვემდებარებული ეგოისტი...

... ნამით მოეჩვენა, რომ გული გაუჩერდა. რეზოს კეფას მიუშტერა თვალები. გულში ხომ არ ჩამოხვდა ამ კაცმა? უშორესი, თვით მისთვისაც შეუცნობელი კუნჭულარი თუ ხვეულები ხომ არ მოიხილა უჩინარი მზერით? მის უმინაგანეს შეფარულ ზრახვათ ხომ არ მიუხვდა?

თუმცა... ნულარ შფოთავ. დანყნარდი, რამაზ დიასამიძე! აი, ჩახვალ შინ და შენს ოჯახში, შენს ცოლ-შვილთან დაიგულე თავს თუ არა, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. და შენც თანდათანობით დაივიწყებ ამ ამბავს, ყოველ შემთხვევაში, გაგინელდება სიმწვავე განცდისა, სინდისის ქენჯნაც ნელ-ნელა გაგივლის; ის კი არა, დროთა ვითარებაში, შესაძლოა, გაამართლო კიდევ ძველებურად შენი საქციელი, გულდინჯად გამოიძიო მიზეზ-სათავე და შედეგც კანონზომიერად ჩათვალო. აკი - უმიზეზოდ არც არაფერი ხდება ამ ქვეყნად. ყველა მოვლენას ეძებნება გამამართლებელი საბუთები. ყოველ შემთხვევაში, დაგიცხრება და შეგიმსუბუქდება სინანულის განცდა. მერე რა, რომ აქეთკენ, გამოღმა მანარეს მართო სტოვებ თავის უსაშველო დარდთან და სატიკვართან იმას, ვისაც ასე უღმობლად და სასტიკად მოექცეცი, ვინც ასე განირე და გაიმეტე. უფრო მეტიც, დანიხლე, სულში ჩააფურთხე და მიატოვე ბედის ანაბრად.

როგორც უნდა, ისე მოიძუშოს სულიერი იარები, არა?

ვერ მოერევა, ვერ გადაიტანს? მით უარესი მისთვის. დააბრალოს თავის თავს - უფრო სწორად - თავის უსუსურობას, უძლურებას და თუ გნებავთ, უგუნურობას, ბოლოს და ბოლოს. შენ არა ხარ პირველი ცთომის ამ გზაზე და არც უკანასკნელი იქნები ალბათ.

მაშ, რაღად სწუხარ, რატომ ვერ ისვენებ?

- ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში, - განაგრძობდა რეზო, - ორივე სახის - სულიერი, სიტყვიერი თუ ფიზიკური მკვლელი თავს დამნაშავედ არ ცნობს. ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამართლებს თავის საქციელს.

კვლავ ატყდა ზრიალი. ერთმანეთს აღარ აცდიდნენ ლაპარაკს. როგორ? რა-ნაირად? ხომ არის წინასწარგანზრახული, მოფიქრებული და შემთხვევითი, უნებლიე მკვლელობა? ანდა, რას ნიშნავს, "სულიერი მკვლელობა?" ვინ თქვა ეს? რა სახისაა იგი? ან საერთოდ - არსებობს ამგვარი რამ?

- არსებობს, დიახ, არსებობს! - და იგი

შეიძლება ფიზიკურ მკვლელობაზე არცნაქს კლებს საშინელი იყოს!

თავადაც არ იცის, როგორ, რა-ნაირად, რა გვარად მოსწყდა მის ბაგეს ეს ფრაზა. ყველანი ჯერ რეზოს მიაცქერდნენ. რატომღაც სუყველას მოეჩვენა, ამ სიტყვების მთქმელი ისევე რეზო იქნებოდა, მაგრამ როცა რეზომაც უკან მოიხედა და თვალთ მოიძია ის, ვინც ეს სიტყვები წარმოთქვა, მაშინღა შენიშნეს აქამდე ჩუმად, მანქანის ნაპირას მიყუჩული რამაზ დიასამიძე, სახეზე გულგრილი გამომეტყველება რომ გამოხატვოდა; მხოლოდ ძალიან დაკვირვებული მზერა თუ შეამჩნევდა მის თვალებში მიმალულ სასონარკვეთის, თუ შეძრწუნების ნაკვალევს.

ან...

შეამჩნევდა კი?



იეროგლიფი

სიმაღლის კახილი

ჩანან გრანიტის ლოდები,
სამყარო ურიცხვ სიმაღ ჟღერს,
მარადის შეეწოდები
იმ თვალშეუდგამ სიმაღლეს.

რამდენსაც უნდა კპოვებდეს -
მცირეს კარგვასაც ინაღვლებს,
მიესწრაფება პოეტი
თვალშეუწვდენელ სიმაღლეს.

ამბებს რაც გვაწვდის ზეციერს -
სმენადამატკობ წვიმად ჟღერს,
სული კი მარად ეძიებს
სამარადისო სიმაღლეს.

ხან მაგზნებს მზის ჩახჩახივით,
ხან კი კლდის ტინებს მიმახლის
სამარადისო ძახილი
ვასაოცარი სიმაღლის...

ადენილი მუსიკა

ვერძნობ, მევლება თავს
ნახზე ნაზი დღე;
ტოკავს ფიქრთა ზღვა;
გარეთ სიზმარს რთავს
ყვითელ სხივთა ტყე -
ფოთლის ყვითლად წვა.

თითქოს სძინავს მზეს
და შორ ჰანგთა ღვრა
გრძნეულ სიზმრებს ქმნის,

და არ მესმის დღეს
ტკობას მგერიდეს რა,
შიში მქონდეს რის.

მიძქრალ ხსოვნებს შლის
ყვითელ სხივთა ტყე.
კვლავ ღრმა ფიქრში ვარ;
არ იქნება ის
ამ მუსიკის ტყვე,
არ იქნება, არ...

ყვილაბა

ხმა წამიერ თქორთა
შენში წლობით სახლობს ხან,
უსასრულოდ შორთან
უსასრულოდ ახლოს ხარ.

ხან უსაზღვროდ ცხადის
თანამხლები სიბნელე
უსასრულოდ ადვილს
უსასრულოდ გიძნელებს.

ისიც თვალწინ არი,
რა დამჯერად გვიგალობს

უსასრულოდ წყნარი
უსასრულოდ გრიგალურს.

ზოგჯერ შორი გზით შლილ
დიად სიბრძნეს მირეკდი:
უსასრულოდ დიდში
უსასრულოდ მცირე კრთის.

ბრწყინვა ციურ ტბორთა
ლურჯ ღივებსაც ახმობს ხან,
უსასრულოდ შორთან
უსასრულოდ ახლოს ხარ...



ღლე და ლაქე

მოთხრობა

თენდებოდა. ბინდი ჩამონოლილ ნისლსა და მოფარფატე ფანტელეებში არეულიყო. დიდ, ჭუჭყიან ქალაქს ისევ ეძინა. პირქუში სახლებიდან აქა-იქ თუ გამოკრთოდა სინათლე. ქუჩებსა და პაერში სველი, მძიმე სიჩუმე იდგა. თოვლი ქვაფენილსა და ასფალტზე უსიამოვნოდ და ცივად დნებოდა.

“მაშინაც ასეთი ამინდი იყო”.

ოდნავ განათებულ ერთოთახიან ბინაში მოხუცი ქალი ლოგინს ასწორებდა. გამხდარსა და ყავარივით სწორს, სუსტ მხრებზე მამაკაცის ძველი პიჯაკი მოეხურა.

მაშინაც ასეთი ამინდი იყო... ჯიუტად და სხვათაშორის გაიმეორა გულში მოხუცმა, სახეზე კი რალაც საბრალო ღიმილისმაგვარი გამოეხატა. კედელთან მდგარი სანოლისკენ გაიხედა, თითქოს ნაბიჯიც გადადგა; მერე მკვეთრად შეტრიალდა მოპირდაპირე კედლისკენ. სურათიდან ორნი იმზირებოდნენ.

კაცს მეოცნებე, ნაპერწკლიანი თვალები ჰქონდა, ქალი კი ნალვლიანი და სულში ჩამზირალი თვალებით იყურებოდა.

ციოდა. წერილი თოვლი ასფალტს ადნებოდა. სადღაც მანქანის მუხრუჭების უინიანი ხმაური გაისმა. მოხუცი შეკრთა. სურათს ერთი კიდეე ახედა ჯიუტი მზერით და წამით გაქვავდა. იმ წუთას მისი მზერა და გული კედლის მიღმა, შორს იყო მიმართული. თავი გადაიქნია, კედლის ნათურა გამორთო და ფეხაკრეფით სამზარეულოსკენ გაემართა.



ქარი ქროდა. დათოვლილი მთაგრეხილი ამღვრეულ ღრუბლებს იქეთ

მირაქივით მოჩანდა. თეთრ გორებს მეჩხერი ტყე შავ ზოლად მიუყვებოდა. სველი და ნალვლიანი გზა უსასრულობაში იკარგებოდა. მგზავრები მონყენილები ისხდნენ, თითქოს ერთმანეთზე რალაც საიდუმლო იციანო და უხერხულობის გასაფანტავად დაორთქილილი მინების მიღმა იყურებოდნენ. მოსახვევიდან სატვირთო ავტომანქანა გამოვარდა. მუხრუჭების საშინელი ღრჭიალი გაისმა. მალე ყველაფერი მინყნარდა. წამით თითქოს თოვაც შეწყდა. ამღვრეული მდინარე ისევ დაინმინდა და სევდიან ქალებს წყნარად ჩაუყვავა...

“იმას კი მოუკვდა დედა, როგორი ჩუმი და მორიდებული მყავდა. რძალიც რომ ისეთი შემხვდა? ეს ბიჭიც სულ იმათ გავს, ესეც იმათსავით მეოცნებეა”... მოხუცმა თითქოს ბიჭის სიზმრებში შეაღწიაო...

შეილი ჩუმი და მორიდებული ჰყავდა და სულ იმის ოცნებაში იყო, ზღვის პირას, სუფთა სოფელში, პატარა, მყუდრო სახლი ჰქონოდა. ცოლიც სევდიანი და ფიქრიანი უნდა ჰყოლოდა. თვალებს ხანდახან ისე მონკურავდა, თითქოს ჩამავალ მზეს უყურებს და გახარებული სიამოვნებით ილიმებაო.

ცოლი ისე მოიყვანა, დედას არც დაუძალებია. მხოლოდ აგრძნობინებდა ხოლმე, რომ ოჯახის უფროსი უკვე ის იყო და როგორც უნდოდა, ისე მოქცეულიყო.

ამოიოხრა, ხელებზე ცივი წყალი გადაივლო. გარეთ ნაცრისფერი სივრცე მდორედ, მძიმედ და ცივად შემოზურვოდა სახლებს.

“ზღვის მაგივრად ცივ სამარეში წავანან”...

ბავშვიც მალე შეეძინათ. ცხოვრობდნენ წყნარად. შეიძლება ითქვას - ბედნიერადაც კი. შეილსა და რძალს ქმრის ხსენებით თავს არ აბეზრებდა.

ოცდახუთი წელი შეჰყურებდა თავის სანოლთან ჩამოკიდებულ სურათს. სურათიდან ოცდახუთი წლის ბიჭი და ოცდამეორე წლის ლამაზი გოგო იყურებოდნენ. შუაში პატარა ბიჭუნა ჩაესვათ. დიდთავას პირში საჩვენებელი თითი ედო და პირდაღებულ დედას უცინოდა.

"მზიარული, მოძრავი ბავშვები სერიოზულ და ფიქრიან ადამიანებად იქცევიან ხოლმე".

ოცდახუთი წელი, ყოველ დილა-სალამოს, ომში დაღუპულ ქმარს უყურებდა. მერე ის სურათი ჩამოხსნა, საგულდაგულოდ განმინდა და სკივრში შეინახა.

მის ადგილზე, იმ პატარა ბიჭის, რომელიც ოდნავ პირგალებული დედას უცინოდა, და მისი ცოლის სურათი ჩამოკიდა.

შვილიშვილიც ზღვაზე ოცნებობდა. ამის შესახებ ბებიას არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკში, ბუნებისა და საგნების აღწერისას, მის თვალეში ზღვა იდგა.

მოხუცს ეს უკვირდა, რადგან ბიჭი არც ერთხელ არ ჰყოლია ზღვაზე.

კარადის თავზე მდგარ მალეობარას შეხედა.

"ცოტაც იძინოს".

მეტი წმენდისაგან გახეხილი ავეჯი სიმწრისაგან დაღრეჯილი კაცივით გამოიყურებოდა.

კარტოფილი ყინულივით ცივი წყლით გარეცხა. ჩაშავებული წელიდან ბოლო ცალიც ამოიღო და ხეხვისგან განკრიალებული ქვაბი კვლავ სუფთა წყლით აავსო.

ერთსართულიანი წითელი აგურით ნაშენი სახლი ბაღში მყუდროდ იდგა.

ლივლივა, გამჭვირვალე და ოდნავ ცივი ჰაერი ლაყვარდად ქცეულიყო.

ზღვა - დიდი, ფიქრიანი, თითქოს ოდნავ მეოცნებეც კი, აწონავალი მზის ქვეშ განოლილიყო.

სიმყუდროვე, სისუფთავე და სილამაზე ერთმანეთს შერწყმოდა და ერთ მოვლენად - მშვენიერებად ქცეულიყო.

სახლის წინ მაღალი, წითელი ვარდები იყო დარგული. ფართო, ახლად-მოსველებული, მოასფალტებული ბილიკი შავად ლაპლაპებდა.

გამხდარი, ქალარაშქრული ქალი რეზინის მილით ვარდებს რწყავდა. ფანჯრები ღია იყო და ივნისის ლურჯი ჰაერი ოთახებს ავსებდა.

ბაღში სიგრილე და სინყნარე იდგა. ლეღვისა და ატმის ხეები მწვანე ფოთლებით მიწას ჩრდილავდა.

ქუჩის გადაღმა ლურჯი და კრიალა ზღვა გადაშლილიყო.

ფერდობზე შეფენილი სოფელი მწვანეში ჩაფლულიყო. მის ზემოთ ხშირი, შერეული ტყე იწყებოდა, რომელიც ზღვასავით ლურჯი ცის ზოლს ერწყმოდა.

შორს, ზღვაზე თეთრი გემები იდგნენ.

კმარა, დედა. გეყოფა, ვისაუზმოთ. მაგიდა სახლის წინ, ხეივნის ჩრდილში იდგა. თეთრი სუფრა ქათქათებდა.

იქნებ გადაათქმევინო ბიჭს. მოხუცმა ონკანი დაკეტა, რეზინის მილი მოაძრო, დაახვია და იქვე დადო. ეს ერთი ბიჭი გვყავს, ზღვა კი იმხელაა...

ონკანი ისევ მოუშვა და დგაფუნა წყალს დამჭნარი ხელები შეუშვირა. კარგი, დედა. რისი გემინია, ზღვა უყვარს და...

კაცს თვალეში ნაპერკლები აუციმციმდა.

რა მაგისი ბრალია, ღიმილით დაამატა.

მოხუცმა სველი წინსაფარი შეიხსნა და ხეებს შორის გაბმულ მავთულზე გადაკიდა.

შენ დაგემგვანა. თქვა თბილად. ახალგაზრდა ქალი სუფრის გან-

ყობას მორჩა და ქმარს თბილი, ნალვლიანი თვალებით შეხედა.

მოდი, დედა.

და ქმრის გვერდით დაჯდა.

ირგვლივ ივნისის ცინცხალი, დამატრობელი დილა იდგა. სინათლე, სიგრილე, სითბო და სისუფთავე ერთმანეთს შერწყმოდა.

კარგია სიცოცხლე, მით უფრო, როცა ახალგაზრდა ხარ.

გახედა კაცმა ზღვას.

მაინც გეთქვა რამე.

მოხუცი მაგიდასთან ჩამოჯდა.

საიდან გამოგვევა ზღვისკენ ასეთი ლტოლვა?

კაცმა თვალები მონკურა და თეთრ გამებზე გახედა.

ბედნიერია ჩემი ბიჭი, ზღვა რომ უყვარს. ბედნიერება როგორ დაეუშალო. ზღვა დედასავით თბილი და სუფთაა.

კაცმა მოხუც დედას მხარზე ხელი მოხვია.

ვინ იცის, ჩვენი წინაპრები იქნებ მეზღვაურები იყვნენ. მაგრამ მყუდრო ცხოვრებაც რომ მიყვარს? ზღვა კი შფოთიანიცაა, გაანჩხლება და გაღიზიანება უყვარს.

მოხუცმა გვერდით გაინია, შვილს აგრძნობინა - მენით უკმაყოფილო ვარო.

მხარი კი თბილი და მოსიყვარულე იყო.

კაცს გაელიმა...



გაიღვიძე, შვილო?

გაულიმა მოხუცმა კიბზე მდგარ შვილიშვილს და კალთა გადაიფერთხა.

ახლავე, ახლავე, შე მძინარა, ჩაის გავაცხელებ.

ბიჭმა დაამთქნარა და სუფთა პაერი ღრმად ჩაისუნთქა.

ბაღში ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. გარუჯულ ბრინჯაოსფერ სახესა და ზღვისფერ თვალებში ახლად გაღვიძებული ადამიანისთვის დამახასიათებელი გულგრილობა ეხატა.

ბიჭი მაგიდასთან სკამზე დაჯდა!

ბებია ცხელი ჩაიდნით დაბრუნდა. ბიჭს ფინჯანი შეუვსო და იქვე, მის გვერდით ჩამოჯდა.

ხელ-პირი კიდევ არ დაგიბანია? აი, შე ზარმაცო, ადექი, დაიბანე, ცივი წყალი გამოგაფხიზლებს. დღეს მაგარი სიცხე იქნება.

და მოხუცმა მოკრიალებულ ცას თვალი მოავლო.

ბიჭი ზღაზღვით ნამოდგა და მთქნარებ-მთქნარებით ონკანი მოუშვა.

სამსახურში წავიდნენ?..

წყლის ჩხრიალში ბიჭის დადარაჯებული ხმა გაისმა.

პო, სამსახურში წავიდნენ...

მოხუცს ხმაში წყენა გაერია.

მამაშენი თანახმაა...

ჩვეული სიდინჯით განაგრძო და ბიჭის გამხდარსა და დაკიბულ ზურგს სიყვარულით შეხედა.

მერე?..

ბიჭმა სახეზე წყალი შეისხა.

მერე... მე არა ვარ თანახმა. ზღვაზე სახეტილოდ გაგზარდე? გეცხოვრა მყუდროდ. არც ოჯახი, არც ნათესავი, არც ნესიერი საქმელი... დღე და ღამე წყალში ჩემი მტერი იქნა...

ნუ გეშინია, ბებია. ნახე, თუ კაპიტანი არ გაეხდე.

რად მინდა შენი კაპიტნობა... ექიმში გამხდარიყავი, იქნებოდი სახლში, ცოლს მოიყვანდი, ბავშვებს გააჩენდი. ხომ ხედავ, მოვხუცდი, შვილო.

რა დროს ჩემი ცოლია, პირზე ჯერ რძე არ შემშრობია...

და ბიჭს სახეზე მოწოლილი სირცხვილი რომ დაემალა, პირსახოცი აიფარა. მერე პირსახოცი ბებიას მხარზე გადააჰკიდა, ხელები მოხვია და ჭალარა თავზე აკოცა.

კაპიტნობა მომიწოდომა...

ბიჭის მკლავებიდან განთავისუფლება სცადა.

ისაუზმე, გეყოფა ლაქუცი. კარაქი წაისვი, თაფლი არ დაგავინწყდეს. ჯერ არაჟანი შეგეჭამა. აგერ სალათა...

ბიჭმა ცხელი, ქაფქაფა ჩაი მოხვრიპა.

გაგრილება მაინც აცალე, პირს დაგწვავს...

● მოხუცმა კარტოფილი გათალა, თხელ ნაჭრებად დაჭრა, წყალი ერთხელ კიდევ გადაავლო და მაცივარი გამოალა.

ქილაში მარგარინის პატარა ნაჭერი იდო.

"შემწვარი კარტოფილი უყვარს. თანაც უფრო ყუათიანი საქმელია. ყველი მაინც რომ მქონდეს"...

ექ... ამოიხრა.

ტაფა მორეცხა და გაზქურა აბნით. სანამ ტაფა გაშრებოდა, იმაზე ფიქრობდა, ცხიმო მთლიანად ჩავაგდო თუ არაო.

"აგერ უკვე ცალი ფეხი სამარეში მიდგას, რომ რამე მომივიდეს, ბიჭს რა ეშველება. დასამარხი ფული მაინც მქონდეს გადანახული".

"მაინც რა არის ეს ცხოვრება. დედ-მამა რომ ცოცხალი ჰყავდეს, ასე ხომ აღარ გაგვიჭირდებოდა".

"გაზაფხულზე ჯარი უნევს. ნავა და სულ მარტო დავრჩები. რა უნდა ვქნა, გამოვყრუვდები ამ ოთხ კედელ შუა".

თვალებიდან ცრემლი მოინმინდა, მარგარინის სამი მეოთხედი ტაფაში ჩააგდო და ნელ-ნელა მდნობ ნაჭერს დააცქერდა.

"ყველაფერმა ჩვენთვის მოიცალა: ომმა, სიკვდილმა, გაჭირვებამ, სიღარიბემ".

მოზიმზიმე ცხიმს კარტოფილი დააყარა და ამიშხინებულ ტაფას სახურავი დაახურა.

"მეორე სამუშაო რომ მაშოვნინა სადმე? აბა დამლაგებლობაში აღებული კაპიკები რას გვიშველის... ბიჭმაც ახლა დაიწყო მუშაობა".

წამოდგა. განჯინიდან პური გამოიღო და დაჭრა. მერე ორთქლადენილ ტაფას სახურავი მოხადა და კარტოფილს მოურია. მარილიც მოაყარა.

"ღმერთი დიდია, თავის გაჩენილს არ გაუჭირვებს. მარტო ჩვენთვის ხომ არ ჩატყდება და თან არ ჩაგვიტანს ეს

ცხოვრება. ღმერთო, შენი სახელის ქირიმე, დამივაჟაკე ჩემი ბიჭი და გაუმარჯვე ცხოვრებაში. ცოდოა, ობლობაშია გაზრდილი".

● პატარა რომ ვიყავი, მეგონა, შავი ზღვა მარტო ჩვენ - ქართველებს გვეკუთვნოდა...

ფართო, სილიანი ნაპირი მარცხნივ მოიტოვა და გზას მარჯვნივ გაუყვა, სადაც სანაპირო ვინროვდებოდა. წამონვეტიებული კლდე, რომელზეც მეჩხერი ტყე გაშენებულიყო, ზღვაში კონცხივით იჭრებოდა.

მზე ძალას იკრებდა.

სანაპირო მალე დამსვენებლებით გაივსება.

აქა-იქ უკვე რამდენიმე ადამიანი მოჩანდა: ფეხებგაჩაჩხული და მალლა ხელებანული იდგნენ.

ილღიებს იშავებენ.

ბიჭს გაეცინა.

ჩამოვლენ გამოფიქრულები. ტანი არყის სმისგან გამომშრალი აქვთ, თვალები ნაცრისფერი და მოჭუტული. გაყინულ სხეულებს ზღვაში გაილღობენ. მოკრუნჩხულ უჯრედებს მზით გაიჯერებენ და ატეხილი ფაშატებივით აჭიხვინდებან...

ბიჭმა თავი გაიქინა.

კლდის ძირში მივიდა და ოდნავ ნოტიო ოქროსფერ სილაზე ჩამოჯდა. ზღვას გახედა.

მუქი ზღვა ოდნავ ირხეოდა. პატარა ტალღები ხან ვერცხლისფრად აიჭრებოდნენ, ხან ჩამუქდებოდნენ და ზღვის ზურგი უზარმაზარ დაბინდულ სარკეს ნაავადედა.

გემებისკენ გაიხედა.

შორეული ქვეყნები, მზისა და მარილიანი წყლისაგან შექმული და გამომშრალი ზღვისპირა ქალაქები. მოყვანე ნავსადგურები. გემების გაბმული, ნალვლიანი საყვირების ხმა. ფეხქვეშ მოქანავე გემბანი. დასიცხული ზღვები და ოკეანეები.

მსოფლიო, მსოფლიო...

ბიჭის ოცნებაში ყველაფერს და

ყველას თავისი საკუთარი ადგილი ეკავა: დედა, მამა, ბებია, ზღვა, გემი, მსოფლიო - არც ერთი ერთმანეთს არ გამორიცხავდა და არ ეწინააღმდეგებოდა.

მამიც ვერ გრძნობდა სიმშვიდეს. რალაც არ ყოფნიდა, რალაც აწვალეზდა. დედასა და მსოფლიოს შორის უკაცრიელი, შავი სივრცე რჩებოდა, წრე არაფრით არ იკვროდა: ის შავი სივრცე, ნახვრეტი, შევსებას მოითხოვდა და ეს რგოლი იყო საკუთარი ოჯახი - სიყვარული.

სულ ლოდინითა და ზღვისკენ ყურებით თვალები გამოულამდებდა...

წვიმიანი ამინდია. ასფალტი წვიმის წვეთებითაა მოწინკლული. დიდი, თეთრი გემი ოდნავ ირწყვავა. გემბანი მუზღვარებითა და მგზავრებით არის სავსე. ყველა მოაჯირთან მომდგარა. ნავსადგურიც ხალხითაა სავსე. გემბანიდან ისინი პატარები ჩანან. თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგო მისკენ იყურება. დიდი, ზღვისფერი, მოლოდინისგან ჩამუქებული თვალები ცრემლებს მალავენ.

აი, ფეხი მიწას შეახო, მხრიდან ჩანთა ჩამოუცურდა.

ბრბოს თეთრი კაბა გამოეყო. ჯერ ნელა მიდის, შემდეგ ნაბიჯს უმატებს. ბიჭი მისკენ გარბის. უკანიდან ზღვის ხმაური მოისმის. დიდ, თეთრ გემზე ნაღვლიან მუსიკას უკრავენ, თეთრი კაბა ხალხში ხან დაიკარგება, ხანაც გამოჩნდება. დარჩა ოცი ნაბიჯი, თხუთმეტი, ათი. გოგოს თმა მხრებზე ჩამოეშალა, გაბრწყინებული, ცრემლიანი თვალები უცინის. კაბის კალთები უფრიალებს. ბიჭმა მკლავები გაშალა და...

- გაიღვიძე, შვილო? თვითონ, გოგო, დედა, მამა, ზღვა, ბებია, მსოფლიო, ნელ-ნელა დაპატარავდნენ: ჯერ ჭრელი საზამთროსხელა გახდნენ, მერე პატარა ბურთის, მერე მუშტის და სულ ბოლოს მუქ ნერტილად იქცნენ და სადღაც შორს, უკან, ბუზივით ბზუილ-ბზუილით გაქრნენ.

თავზე მოღიმარი ბებია ადგა. ბიჭი უსიამოვნოდ შეიჭმუხნა და თვალები ისევ დახუჭა.

"ბებიჩემის რა ბრალია".
ჭერზე ნათურის შუქი მკრთალ რგოლებად ეფინა.
თენდებოდა.

●
ბინდი ჩამოწოლილ ნისლსა და მოფარფატე ფანტილებში არეულიყო. ქალაქს ისევ ეძინა, პირქუში სახლებიდან აქა-იქ თუ გამოკრთოდა სინათლე. შაერში სველი, მძიმე სიჩუმე იდგა. სველი თოვლი ქვაფენილსა და ასფალტზე უსიამოვნოდ და ცივად დნებოდა.

ბიჭმა ქურქის საყველო წამოიწია და ქურჩის მეორე მხარეზე გადავიდა. ავტობუსის გაჩერებას გვერდი აუარა, ტალახიან მინდორს დაადგა. შორს განათებული ამწე და ნახევრად აშენებული კორპუსის ჩონჩხი მოჩანდა. იმის იქით მოშმეღებული გორაკი ნაცრისფერ-მოშავო სივრცეში ჩაკარგულიყო.

მშენებლობიდან ჩახრინწული, გაღიზიანებული და უიმედო ხმა ისმოდა:

- ვირა!..
- მანია!..



ულისა

80-17 პიპსოლი

„ითაქა“

თარგმანი და კომენტარი
ნიკო ყიასაშვილისა

სთხოვდა თუ არა მასპინძელი თავის სტუმარს წაემღერა სათანადო მოდულაცი-
ით უცნაური ბალადა დაკავშირებულ
თემაზე?

არწმუნებდა, ისეთ ადგილას ვართ
არაფის ესმის ჩვენი, დარწმუნდა, მას შემდეგ
რაც მიირთვეს შექანიკური, წყალი პლუს
შაქარი პლუს ნაღები პლუს კაკაო, ნარევი,
რომელსაც უხსნადი მინარევების დალექ-
ვა დააცადეს.

შეასრულეთ ბალადის პირველი (მა-
ფორული) ნაწილი.

ბავშვებთან ერთად პერი პიუ პატარამ
ბურთი თამაშით ერთხანს ატარა
და პირველივე გატყორცნილი

ბურთი პერიისა
ურიის ეზო-კარს გადასცდა პერი სად!
ხოლო მეორედ ნატყორცმა გულითა
ურიის ფანჯრები დალეწა სრულიად.

როგორ აღიქვა რუდოლფის ვაჟმა ეს
პირველი ნაწილი?

სრულიად გარკვეული გრძნობით.
ებრაელი, სიამოვნებით უსმენდა და საშხა-
რეულოს გაუბზარავ ფანჯარას უშზერდა.

შეასრულეთ ბალადის მეორე (მინორუ-
ლი) ნაწილი.

მერე გამოდის ურიის ასული
და იტყვის მთლიანად მწვანეში
ჩაცმული:

“დაბრუნდი კოხტა ბიჭუნე ჩქარა,

შენ აქ არავინ არ გერჩის, არა.”

როგორ აღიქვა მილისენტის მამამ ეს
მეორე ნაწილი?

შერეული გრძნობებით. უსმენდა
გაულიმებლად და განცვიფრებული ხედავდა
ებრაელის ასულს სულ მწვანეში ჩაცმულს.

გადმოეცით შეკუმშული სახით სტივე-
ნის კომენტარი.

ერთ-ერთი სხვათა შორის, ყველაზე
ნაკლებ სავარაუდო, განწირული მსხვერ-
პლია. ერთხელ დაუღვერობით, ორჯერ კი
შეგნებულად აცდუნებს თავის ბედს. ბედი
მოველინება ხოლმე როდესაც უღლია და
აცდუნებს მას, მერყევს, და როგორც იმე-
დისა და სიყმაწვილის ზმანება, უბრძოლვე-
ლად დაეპატრონება ხოლმე მორჩილს.
შემდეგ მიიყვანს უცხო სადგომში, იღუმალ
ურწმუნო სავანეში, დასწყველის უღრტე-
ინველს.

რატომ იყო მასპინძელი (განწირული
მსხვერპლი) სევდიანი?

მას სურდა რომ ამბავი ჩადენილის
შესახებ მოთხრობილიყო არა როგორც
მისი ჩადენილი და არა მის მიერ მოყო-
ლილი ამბავი.

რატომ იყო მასპინძელი (მერყევი, მორ-
ჩილი) უძრავი?

ენერჯის შენარჩუნების კანონის შე-
საბამისად.

რატომ იყო მასპინძელი (იდუმალი ურწმუნო) დაღუპებული?

რიტუალური მკვლელობის სასარგებლო და საწინააღმდეგო მოსაზრებების აწონ-დაწონით იყო დაკავებული: იერარქის წაქეზება, ბრბოს ცრურწმენა, უსასრულო შესაძლებელი სიმართლის წილიანი ჭორების გავრცელება, სიმდიდრის მიმართ შური, შურისგების გავლენა, ატავისტური დამნაშავეობის სპორადული გამოვლენა, ფანატიზმის შემამსუბუქებელი გარემოებანი, პიპნოტური შთაგონება და სომნამბულიზმი.

იყო თუ არა რომელიმე ამ გონებრივი თუ ფიზიკური ნაკლისათვის შეუვალი?

პიპნოტური შთაგონების მიმართ: ერთხელ, ახლად გაღვიძებულმა ვერ იცნო ბინა სადაც ეძინა: ხშირად, ახლად გაღვიძებულნი განუსაზღვრელი დროის მანძილზე ვერ ახერხებდა მოძრაობას და ბგერების წარმოთქმას. სომნამბულიზმის მიმართ: ერთხელ, ძილში მისი სხეული აიწია, ოთხზე დადგა და ჩამქრალი ბუხრისკენ გახოხდა, დანიშნულების ადგილას მიღწევისას მოიკუნტა და დაიძინა, ლამის ტანსაცმელში, სიცოცხლეში.

ეს უკანასკნელი ან მსგავსი ფენომენი თუ დადასტურებულა მისი ოჯახის წევრებს შორის?

ორჯერ, პოლეს სტრიტსა და ონტარიო ტერასზე, მისმა ქალიშვილმა მილიენტმა (მილიმ) 6 და 8 წლის ასაკში ძილში შიშისაგან წამოიყვირა და ლამის ტანსაცმელში ჩაცმული ორი ფიგურის შეკითხვებს უსაგნო ჩუმი გამომეტყველებით უპასუხა.

მისი ბავშვობის ხანის კიდევ რა მოგონებები გააჩნდა?

1889 წლის 15 ივნისი. აჭინჭყლებული ახლადშობილი გოგონა ტირის ისე, რომ ლამის ჩაბერდეს. ბავშვს გადაარქვს ზანჯღანა რადგან ჯიჯღინით აჯან-

ჯლარებდა თავის ყულაბას და სიტყვებს ამახინჯებდა: მის სამ მონეტისხელა ღიღის ითვლიდა, ეთი, ოლი, თამი: თოჯინა, მეზღვაური ბიჭი, გადააგდო: შავგვრემანი მშობლების ქერათმიანი შვილი, წინაარების ქერა თმა გამოჰყვა, შორეული ძალადობა ჰერ ჰაუპტმან ჰაინაუსი, აესტრის არმია, და უფრო ახლო ჰალუცინაცია, ლეიტენანტი მალვი, ბრიტანეთის არმია.

რა ენდემიური ნიშნები აღენიშნებოდა?

ნაზალური და ფრონტალური აღნაგობა სრულიად შეესაბამებოდა პირდაპირ ჩამომავლობას, რომელიც მიუხედავად წყვეტილობისა, გაგრძელდებოდა შორეულ, მეტად შორეულ და კიდევ უფრო შორეულ მოდგამში.

მისი მონიტულობის ხანის რა მოგონებები გააჩნდა?

სრულიად მიაგდო საბრუნავი რგოლი და სახტუნაო თოკი. სკვერში შეხვდრილ ინგლისელ ტურისტს უარი უთხრა სურათის გადაღებასა და ფოტოს წადებაზე (მიზეზის დაუზუსტებლად). სამხრეთის წრიულ გზაზე ელსა პოტერთან ერთად სეირნობისას უცნაური ტიპი აეკიდათ, მილიმ სტამერ სტრიტი შუამდე ჩაიარა და მოულოდნელად შემობრუნდა (გზის შეცვლის მიზეზის დაუზუსტებლად). თავისი დაბადების 15 წლის იუბილეზე წერილი გამოაგზავნა მალინგარიდან, უესტმითის საგრაფო, რომელშიც გაკვრით მოიხსენია სტუდენტი ჭაბუკი (ფაკულტეტისა და კურსის დაუზუსტებლად).

რა გავლენა მოახდინა მასზე პირველმა დაშორებამ, რომელიც მეორეს მოასწავებდა?

ნაკლები ვიდრე წარმოედგინა, მეტი ვიდრე იმედოვნებდა.

სხვა რა განშორება აწუხებდა იმამად მსგავსად, ან განსხვავებულად?

კატის დროებითი წასვლა.

რატომ მსგავსი, რატომ განსხვავებული?

მსგავსი იმდენად, რამდენადაც ივ-
ულისწმებოდა დაფარული მიზანი, სახელ-
დობრ ახალი მამრის ძიება (მალინგარე-
ლი სტუდენტის) ანდა სამკურნალო ბალ-
ახისა (კატაბალახისი). განსხვავებული
შესაძლებელი დაბრუნების განსხვავებუ-
ლი ხასიათის გამო, დაბრუნება მობინა-
დრევეთან თუ დაბრუნება ბინადრობის
ადგილას.

მათი განსხვავებანი მსგავსი თუ იყო
სხვა ასპექტში?

პასურობაში, მომჭირნობაში, ტრადიცი-
ის ინსტინქტში, მოულოდნელობაში.

ანუ?

იმით, რომ დახრილი, თავის ქერა თმას
ხელს შეაშველებდა ხოლმე რათა ბლუმს
ბაფთა შეეკრა მისთვის (შდრ. ზურგაპრეხ-
ილ კატას). ამას გარდა, ტბის მშვიდ ზედა-
პირზე სტივენს გრინში ზეცის გადაყარავე-
ბულ ანარეკლებს შორის მილის განუ-
მარტავი ნაფურთხი, წყლის კონცენტრ-
ირებულ წრეებს რომ ზაზაუდა, თავისი
მუდმივობით მიუთითებდა მთვლეღარე
უძრავი თევზის ადგილსამყოფელზე (შდრ.
თავეს ჩასაფრებულ კატას). და კვლავ,
იმისათვის რათა დაემახსოვრებინა რომე-
ლიმე ცნობილი სამხედრო ოპერაციის
თარიღი, მონაწილენი, რითი დამთავრდა და
რა შედეგები მოჰყვა, კულულს ქაჩაუდა
(შდრ. ყურისმხანელ კატას). და ბოლოს,
სულელ გოგონა მილის დაესიზმრა, თითქოს
უსიტყვეო და დაუსსომებელი საუბარი
ქჟონდა ცხენთან სახელად ჯოუზეფი,
რომელსაც შესთავაზა ლიმონათის პირ-
თამდე სავე ჭიქა, რომელიც მან თითქოს
მიიღო (შდრ. ბუნართან მთვლეღარე კა-
ტას). ამდენად, პასურობაში, მომჭირნობაში,
ტრადიციის ინსტინქტში, მოულოდნელო-
ბაში მათი განსხვავებანი მსგავსი იყო.

როგორ გამოიყენა მან საჩუქრები (1.
ჰოტი, 2. საათი), საქორწინო გზის

დასალოცად რომ მისცა, რათა დაემხრებო-
ესებინა და დაემოძღვრა?

როგორც თვალსაჩინო მაგალითი ასახ-
სნელად: 1. კვერცხისმდებელ ცხოველთა
ბუნებისა და ქცევის, პაერში ფრენის შესა-
ძლებლობის, მხედველობის ზოგიერთი
თავისებურების, მუშიფიკაციის უძველესი
პროცესის; 2. ქანქარას პრინციპისა,
რომელიც საწონში, კბილანა გადაცემასა
და რეგულატორშია განხორციელებული,
პირადი და საზოგადოებრივი რეგულამენ-
ტის სფეროში გადატანისას გამოიხატება
უძრავი ციფერბლატის მოძრავი ინდიკა-
ტორების სხვადასხვა პოზიციაში, საათში
ერთხელ განმეორებული სიზუსტისა, როდე-
საც გრძელი და მოკლე ინდიკატორები
ერთნაირი კუთხოთა დახრილი, ანუ 5 ³/₁₁
წუთით სცილდება წინა საათს ყოველ ერთ
საათში, და ასე და ამგვარად არითმეტიკუ-
ლი პროგრესიით.

რაში გამოიხატა მილის საპასუხო
გამომხიანება?

ის იმახსოვრებდა: მისი 27 წლისთავთან
დაკავშირებით აჩუქა ფინჯანი ულვაშები-
ანებისთვის, კრაუნ-დარბის ფაფურის იმ-
იტაცია. ის იაზრებდა: ყოველი კვარტლის
დასაწყისში თუკი როდისმე მამა უშუა-
ლოდ მისთვის არ ყიდულობდა საჩუქრებს,
თავად იჩენდა მამისადმი ზრუნვას, გამ-
ოცნობდა ხოლმე მის სურვილებს. ის
აღტაცებული იყო: როდესაც მამამ აუხსნა
ბუნების სხვადასხვა ფენომენი, მსწრაფლ
გამოხატა სურვილი, რომ უცებ და არა
თანდათანობით მიეღო მისი განსწავლე-
ლობის ნაწილი, ნახევარი, მეოთხედი,
მეთასედი.

რა წინადადება მისცა დიამბოლისტმა
ბლუმმა, სონამბულისტ მილის მამამ ნო-
ქტამბულისტ სტივენს?

რომ მოეხენა ოთხშაბათსა (საკუთრივ)
და პარასკევს (ნორმალურად) შორის
დარჩენილი საათების განმავლობაში იმ-
პროვიზირებულ საძინებელ ოთახში უშუ-
ალოდ სამზარეულოს თავზე და უშუა-

ლოდ მისი მასპინძლისა და დიასახლისის საძინებელი ოთახის გვერდით.

რა სხვადასხვაგვარი უპირატესობა ახლდა ან შეიძლება მოჰყოლოდა ამგვარი იმპროვიზაციის პროლონგირებას?

სტუმრისთვის: საიმედო თავშესაფარი და განმარტოება მეცადინეობისათვის. მასპინძლისთვის: ინტელექტის გაახალგაზრდაება, მოადგილეობით გამოწვეული კმაყოფილება. დიასახლისისთვის: ატორ-ლიალბულობის დაცხრომა, სწორი იტალიური გამოთქმის შექმნა.

რატომ იყო, რომ ამ რამდენიმე პირობით მაკავშირებელს სტუმარსა და დიასახლისს შორის შესაძლოა სულაც არ შეეშალა ხელი შემრიგებლური მუდმივი კავშირის შესაძლებლობისათვის სტუმრის სკოლისდროინდელ ამხანაგსა და ებრაელის ასულს შორის?

იმიტომ რომ გზა ქალიშვილისაკენ დედას ვერ ასცდება, გზა დედისკენ კი ქალიშვილს.

მასპინძლის რომელ ულოგიკო მრავალმარცვლიან შეკითხვაზე გასცა სტუმარმა ერთმარცვლიანი უარყოფითი პასუხი?

იცნობდა თუ არა განსვენებულ ქ-ნ ემილი სინიკოს, რომელიც სიდნი პარეიდის რკინისგზის სადგურზე მომხდარი მარცხის დროს დაიღუპა 1903 წლის 14 ოქტომბერს.²

გონებაში გაელეხებული რომელი თანაზიარი შენიშვისაგან შეიკავა თავი მასპინძელმა?

იმის ახსნისაგან, თუ რატომ ვერ დაესწრო ქ-ნ მერი დედალოსის (ქალიშვილობაში გულდინგი) დაკრძალვის ცერემონიალს 1903 წლის 26 ივნისს, რუდოლფ ბლუმის (ვირაგის) გარდაცვალების წლისთავის წინა დღეს.

იყო თუ არა მიღებული თავშესაფრის წინადადება?

დაუყონებლო, აუხსნლად, შეუძლებლად, მადლიერების გრძნობით უარყოფილი იქნა.

ფულის რა ვაცვლა შეეძა მასპინძელსა და სტუმარს შორის?

პირველმა ამ უკანასკნელს დაუბრუნა, უპროცენტოდ, ერთი გირვანქა და შეიდი შილინგის თანხა, რომელიც ადრე ამ უკანასკნელმა ასესხა პირველს.

რა შემხვედრი წინადადებები იქნა თანმიმდევრულად წარმოდგენილი, მიღებული, დაზუსტებული, უარყოფილი, განსხვავებული სახით წარმოდგენილი, კვლავ მიღებული, რატიფიცირებული, ხელშეორედ დადასტურებული?

წინასწარი შეთანხმების თანახმად დაწყებულიყო იტალიური ენის შესწავლის კურსი, შემსწავლელის საცხოვრებელ ადგილას. დაწყებულიყო ვოკალის ხელოვნების შესწავლის კურსი, შემსწავლელის საცხოვრებელ ადგილას. დაწყებულიყო სტატიკური, ნახევრად-სტატიკური და პერიპატეტიკური ინტელექტუალური დიალოგების სერია ორივე მოსაუბრის საცხოვრებელ ადგილას (თუკი ორივე მოსაუბრე ერთი და იმავე ადგილას ცხოვრობდა), "ზომადღში" (უ და ეკონერის სასტუმრო და სამიტიტონო), ქვემო ები სტრიტის 6, ირლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, კიდევორ სტრიტის 10, ეროვნულ სამშობიაროში, პოლზ სტრიტის 29, 30 და 31, ქალაქის პარკში საკულტო ნაგებობასთან, ქალაქის ორი ან მეტი მაგისტრალის გადაკვეთის ადგილას, მათი საცხოვრებელი ადგილსამყოფელს შორის გაელეხული სწორი ხაზის ზედ შუა წერტილში (თუკი ორივე მოსაუბრე სხვადასხვა ადგილას ცხოვრობდა).

რატომ იყო პრობლემატური ბლუმისათვის ამ ურთიერთგამომრიცხავი წინადადებების რეალიზაცია?

წარსულის გამოუსწორებლობა: ერთხელ ალბერტ ჰენგლერის ცირკის წარმოდგენაზე როტუნდამი, რატლანდ-სკვერზე, დებლინი, ჭრულა-ჭრულაში გამოწყობილი

გონებასაზელი კლოუნი თავისი მამისეული ფესვების ძიებაში არენიდან მაყურებელთა რიგებში გადავიდა, სადაც განმარტოვებით იჯდა ბლუმში და საჯაროდ გამოუცხადა ადგილებზე მაყურებელს, რომ ის (ბლუმში) მისი (კლოუნის) მამა იყო. მომავლის გაუთვალისწინებლობა: ერთხელ 1898 წლის ზაფხულში მან (ბლუმმა) ფლორინის (2 შილინგი) დაღარული ნაპირი საში ნაჭდევით დანიშნა და ჯ. და ტ. დეივისის საბაყლოსათვის (შარლმონტ მოლი 1, გრენდ კენალი) განკუთვნილი გადასახადის საერთო თანხას მიუმატა საზოგადოებრივი ფინანსების წყლებში ცირკულაციის მიზნით და შემოვლითი ანდა უშუალო გზით დაბრუნების შესაძლებლობის იმედით.

კლოუნი ბლუმის შვილი იყო?

არა.

ბლუმის მონეტა დაბრუნდა?

არასოდეს.

რატომ გამოიწვევდა ახალი იმდგაცრეუბა უფრო მეტ დათრგუნვას?

იმიტომ რომ ადამიანური არსებობის გარდატეხვის კრიტიკულ მომენტში მას მთელი არსებით სურდა მოეგვარებინა ბევრი სოციალური პრობლემა, რაც უთანასწორობისა და გაუმადლობისა და ერთა შორის შუღლის შედეგი იყო.

მაშ მას სწამდა, რომ ადამიანის სიცოცხლე სრულყოფილების უსაზღვრო შესაძლებლობებს შეიცავს თუკი ეს გარემოებები გამოირიცხა?

რჩებოდა კიდევ გენეტიკური მომენტი, რაც განისაზღვებოდა უძალ ბუნებრივი და არა ადამიანური კანონებით, როგორც ადამიანური არსებობის განუყოფელი ნაწილი: ნგრევის აუცილებლობა საზრდოს მოსაპოვებლად: ინდივიდუალური არსებობის, დაბადებისა და სიკვდილის აგონიის მტანჯველი ხასიათი: პრიმატებისა და (კერ-

ძოდ) ადამიანის მდებარეობით სექსის წარმომადგენელთა პერიოდული მენსტრუაცია დაწვეული სქესობრივი სიმწიფის მიღწევიდან მენოპაუზამდე; გარდუვალი მსხვერპლი ზღვაზე, მალარობისა და ფაბრიკებში; ზოგიერთი მეტად მტკივნეული დაავადება და შედეგად ქირურგიული ოპერაციები, თანდაყოლილი ჭკუასუსტობა და შთამომავლობითი დაშნაშავეობა, გამანადგურებელი ეპიდემიები: კატასტროფული კატაკლიზმები, მუდმივ შიშს რომ ნერგავს ადამიანის ცნობიერებაში: სეისმური რყევა, რომელთა ეპიცენტრი მჭიდროდ დასახლებულ ოლქებშია; თვით ადამიანის ზრდის ფაქტი, კონვულსიური მეტამორფოზის პროცესი, ჩვილი ასაკიდან მოწიფულობის ხანის გავლით ლპობამდე.

რატომ შეწყვიტა ამაზე ფიქრი?

რადგან ნაკლებად მისაღები ფენომენის სხვა უფრო მისაღები ფენომენით ჩანაცვლება უფრო მაღალი ინტელექტის ამოცანაა.

გაიზიარა თუ არა სტივენმა მისი უიმედო განწყობილება?

ის ამტკიცებდა თავის მნიშვნელობას როგორც შეგნებული მოაზროვნე ცხოველისას, რომელიც სილოგიზმებით მიიწვეს ცნობიდან უცნობისაკენ და როგორც ცნობიერი რაციონალური რეაგენტისა მიკრო და მაკროკოსმოსს შორის გარდუვლად აღმართული სიცარიელის გაურკვეველობაზე.

აღიქვა თუ არა ბლუმმა ეს მტკიცება?

არა სიტყვიერად. არსებითად.

რა ანუგეშებდა თავისი აღქმის არასრულყოფილების ვითარებაში?

ის რომ როგორც კომპეტენტური უგასაღებო მოქალაქე ენერგიულად მიიწვედა ცნობიდან უცნობისაკენ სიცარიელის გაურკვეველობის გზით.

როგორი თანმიმდევრობითა და რა თანმხლები ცერემონიალით აღსრულდა გამოსვლა მონობის სახლიდან საეანეში?³

ანთებული სანთელი შანდლით
მიპქონდა
ბლუმს

დიაკვნის თავსაბურავი იფნის ხელჯოხზე
მაქონდა
სტინჰმს.

როგორი secreto⁴ ინტონაციით რომელი სამახსოვრო ფსალმუნი?

113-ე, modus peregrinus: In exitu Israel de Egypto: domus Jacob de populo barbaro⁵.

რა მოიმოქმედა თვითუღმა მათგანმა გამოსვლის კარიბჭესთან?

ბლუმმა შანდალი იატაკზე დადო. სტივენმა ქუდი თავზე დაიხურა.

რომელი არსებისთვის იყო გამოსვლის კარი შესვლის კარი?

კატისთვის.

რა სანახაობა წარმოუდგათ მათ, როდესაც ისინი, ჯერ მასპინძელი, შემდეგ სტუმარი, გამოჩნდნენ დუმილით, ორმაგად ჩაშაყებულნი, სიბნელიდან სახლის უკანა ბილიკის სიბნელიდან ბაღის ბინდბუნდში?

ზეცის ვარსკვლავური ხე დახუნძლული ნოტიო ღამისფერი ხილით.⁶

რა მედიტაციების თანხლებით ჩაუტარა ბლუმმა თავის თანმხლებს სხვადასხვა თანავარსკვლაველთა დემონსტრირება?

მედიტაციებით მარად მზარდ ევოლუციაზე: მთვარეზე, რომელიც სინოდური თვის დასაწყისში უხილავია როდესაც პერიგეას უახლოვდება: ირმის უსასრულო, ცხაურა, მოციმციმე მენხერი ნახტომზე, რომლის დანახვა დღის სინათლეზე შეუძლია დედამიწის ცენტრისკენ მიმართუ-

ლი 5000 ფუტის სიღრმის ტასტიქსით⁷ ში მოთავსებულ მოთვალთვალებს: სირიუსზე (დიდი ძაღლის ალფა), რომელიც 10 სინათლის წლის მანძილითაა (57 000 000 000 000 მილით) დაშორებული და მოცულობით 900-ჯერ აღემატება ჩვენს პლანეტას: არქტურზე: ბუნიობის დადგომაზე: ორიონზე თავისი სარტყელით, ჩვენსაზე ექვსჯერ დიდი მზითა და ნისლიანობით, რომელშიც 100 ჩვენი სისტემა მოთავსდებოდა: ჩაქრობისა და შექმნის სტადიაში მყოფ ვარსკვლავებზე, როგორცაა 19 01 წლის ნოვა: ჩვენს სისტემაზე პერკულუსის თანავარსკვლავედისკენ რომ მიიღტვის: ეგრეთწოდებული უძრავი ვარსკვლავის პარალაქსისა თუ პარალაქსურ გადაადგილებაზე, რომელიც სინამდვილეში უსაზღვროდ დაშორებული წარსული ეპოქებიდან მოყოლებული უზომოდ დაშორებული მომავლისკენ მარადეჟამ მოძრავ ყარიბებს წარმოადგენენ, რომელთან შედარებითაც ადამიანისათვის ბოძებული რაღაც სამოცდაათი წელი უსასრულოდ მცირე სიდიდეს შეადგენდა.⁷

გააჩნდა თუ არა შებრუნებული სახის მედიტაცია ინეოლუციის ინტენსიურ შემცირებასთან დაკავშირებით?

დედამიწის ქერქის ფენოვანებაში აღბეჭდილი გეოლოგიური ეპოქების შესახებ: მირიად პაწაწინა ენტომოლოგიურ ორგანიზმთა არსებობის შესახებ დედამიწის კარსტულ მღვიმეებში, დაძრული ქვების ქვეშ, სკებში და ყორღანებში, მიკრობების, მიკროორგანიზმების, ბაქტერიების, ბაცილების, სპერმატოზოიდების შესახებ: აურაცხელ ტრილიონ ბილიონ მილიონ უჩინარი მოლეკულების შესახებ, რომლებიც მოლეკულური შეჭიდების წყალობით ნემსის წვერშია მოქცეული: ადამიანის შრატის მთელი სამყაროს შესახებ თავისი წითელი და თეთრი სხეულებით მოკრწყლული თანავარსკვლაველთ, რომელიც თავის მხრივ უსასრულო სივრცეთა სამყაროებს მოიცავს, სხვა სხეულების თანავარსკვლაველებით დასახლებულს, რომლებიც აგრძელებენ დაშლას აგრეთვე დაყოფად კომპონენტებად, რომლებიც კვლავაც იყო-

ფიან დასაყოფ კომპონენტ სხეულებად, ასე რომ დასაყოფნი და დამყოფნი მუდმივი დაყოფის პროცესში იმყოფებიან, თუმცა ვერასოდეს აღწევენ სრულ დაყოფას და თუ ეს პროცესი საკმარისად გავრძელდა, არაფერი არსად არასოდეს მიიღწევა.

რატომ ვერ დაიფანა ეს გაანგარიშებანი უფრო ზუსტ შედეგამდე?

რადგან რამდენიმე წლის წინ, 1886-ში, როდესაც დაკავებული იყო წრის კვადრატურის პრობლემათ, გაიგო იმ რიცხვის არსებობა, რომელიც გამოთვლილი იყო შეფარდებითი ხასიათის სიზუსტით ისეთ სიდიდემდე და იმდენი ნიშნით, მაგალითად ცხრის მე-9 ხარისხის მე-9 ხარისხი, რომ შედეგის მიღების შემდეგ საკვირო იქნებოდა მჭიდროდ ნაბეჭდი 1000 გვერდიანი 33 ტომი, თხელი ტიპოგრაფიული ქაღალდის უთვალავი დასტები, რათა შიგ მთავსებელიყო მთელი ეს ნაბეჭდი ნიშნები, ათობით, ასობით, ათასობით, ათი ათასობით, ასი ათასობით, მილიონობით, ათი მილიონობით, ასი მილიონობით, მილიარდობით, ბილიონობით, თანაც ყოველი ნიშნის ნისლოვნების ბირთვი იმის პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავს, რომ მისი ნებისმიერი ხარისხი ნებისმიერ ხარისხში იქნას აყვანილი უმაღლეს კინეტიკურ განვითარებამდე.³

მიანდა თუ არა უფრო იოლად პლანეტებისა და მათი თანამგზავრების რომელიმე რასის რომელიმე სახეობით დასახლებისა და რომელიმე მიმტკეველის მიერ ამ რასის სოციალურ და მორალურ ცოდვათა მიტევეების პრობლემის გადაჭრა?

აქ სხვა რანგის სირთულეს ზედაცდა იცოდა რა, რომ ადამიანის ორგანიზმს ნორმალურ პირობებში შეუძლია 19 ტონა ატმოსფერულ დაწოლას გაუძლოს, ხოლო დედამიწის ატმოსფეროში საკმაო სიმაღლეზე აყვანილს, ტროპოსფეროსა და სტრატოსფეროს შორის დემარკაციის ზაზთან მიახლოებულს, ეწყება და არითმეტიკული პროგრესიით უმატებს ცხვირიდან სისხლდენა, თავბრუსხვევა, უძნელდება სუნთქ-

ვა, მან ამ პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში თავაზებისას, წამოაყენა საბუთარის შინაარსი ზა, რომლის შეუძლებლობის დამტკიცება შეუძლებელი იყო, რომ მეტი ადაპტაციის უნარისა და განსხვავებული ანატომიური აღნაგობის მქონე არსებათა რასა შესძლებდა როგორღაც სხვანაირად ეარსება მარსიანულ, მერკურიანულ, ვენერიალურ, იუპიტერიანულ, სატურნალურ, ნეპტუნიალურ ან ურანიანულ საკმაო და კვივალენტურ პირობებში, თუმცა კი კაცობრიობა, რომელიც თავის აპოგეაში განსხვავებული ფორმისა და განსხვავებული დანიშნულების არსებათაგან შედგება, კვლავაც, იქაც და აქაც ალბათ მსგავსნი დარჩებოდნენ როგორც მთლიანის, ისე ერთი მეორის მიმართაც, უცვლელად და აღმოუფხვრელად წილნაყარნი ამოუებასთან, ამოებათა ამოებასთან და ყველაფერთან რაც კი ამოებასთან არის დაკავშირებული.

და მონანიების შესაძლებლობის პრობლემა?

უფრო მცირე წანამძღვარი უფრო დიდით მტკიცდება.

თანავარსკვლავედთა რა განსხვავებული თავისებურებანი იქნა განხილული თანმიმდევრობით?

განსხვავებული ფერები, რომლებიც სიცოცხლის განსხვავებულ საფეხურებს გამოხატავს (თეთრი, ყვითელი, წითელი, მუქი წითელი, მეწამული): მათი სიკაშკაშის ხარისხი; მათი ზომები მეშვიდეს ჩათვლით: მათი განლაგება; მეტრის ვარსკვლავი დიდ დათვში; ირმის ნახტომი; დეითის ვარსკვლავი პატარა დათვში; სატურნის რგოლები; სპირალური ნისლოვნების კონდენსირება მზეებად: ორმაგი მზეების დამოუკიდებელი ბრუნვა; გალილეოს, სიმონ მაროუსის, პაიკის, ლევერიეს, პერშელის, გალეს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ერთდროული აღმოჩენები; ბოდესა და კეპლერის მანძილთა კუბებისა და ბრუნვის პერიოდთა კვადრატების სისტემატიზაციის მცდელობები; გრძელთმიანი

კომეტებისა და მათი, პერიგეადან აფელი-
უმამდე, წარმავალი და მომავალი წაგრ-
ძელებული ელიფსური ორბიტების უსას-
რულოდ შეკუმშვის პროცესი: მეტეორიტე-
ბის ვარსკვლავური წარმოშობა: ლიბიური
წყალდიდობები მარსზე დაახლოვებით
მრწხის ვარსკვლავთმცოდნის დაბადების
დროს: მეტეორიტების ყოველწლიური
წვიშები დაახლოვებით წმ.ლავრენტის
დეესასწაულის დღეს (ნაბებულისა, 10
აგვისტო): ყოველთვიური მოვლენა ცნო-
ბილი როგორც ახალი მთვარე, რომელსაც
ხელთ უპყრია ძველი: ზეციური სხეულებ-
ის სავარაუდო ზეგავლენა ადამიანურზე:
პირველი სიდიდის, არაჩვეულებრივი
სიკაშკაშის, დილისა და ღამის ვარსკვ-
ლავის მოვლენა (ახლადშობილი მზისა,
რომელიც ორი ჩაქარალი ექს-მზის შე-
ჯახებისა და შერწყმის შედეგად წარ-
მოიშვა, რამაც გაავრეარება გამოიწვია
დაახლოვებით მაშინ, როდესაც უილიამ
შექსპირი დაიბადა, გაშლილ და არასოდეს
ჩამავალ კასიოპეას თანავარსკვლავედის
დედლა ვარსკვლავის ზემოთ, და
ანალოგიური წარმოშობის მაგრამ მომ-
ცრო ზომის ვარსკვლავისა, რომელიც
გამოჩნდა და გაქრა ჩრდილოეთის გვირ-
გინის თანავარსკვლავედში ლუოპოლდ
ბლუმის დაბადების დროს, და (სავარაუ-
დოდ) ანალოგიური წარმოშობის სხვა ვარ-
სკვლავების, რომლებიც (რეალურად ან
სავარაუდოდ) გამოჩნდნენ და გაქრნენ ან-
დრომედას თანავარსკვლავედში სტივენ
დედალოსის დაბადების დროს და მეე-
ტლეს თანავარსკვლავედში რუდოლფ
უმცროსი ბლუმის დაბადებისა და გარ-
დაცვალების რამდენიმე წლის შემდეგ, ანდა
სხვა თანავარსკვლავედებში სხვა ადამი-
ანთა დაბადების ან სიკვდილის წინ ან
შემდეგ: და ისეთი თანმხლები ფენომენები
როგორცაა დაბნელებები, მთვარის და მზის,
მნათობის დისკოს დაფარვა მის ხელმე-
ორე გამოჩენამდე, ქარის ჩადგომა, ჩრდილ-
ის გადასვლა, ფრთოსან ქმნილებათა დად-
უმება, ღამისა და ბინდბუნდის ცხოველთა
გამოჩენა, ჯოჯოხეთის ცეცხლის სიცოცხ-
ლისუნარიანობა, მიწიერ წყალთა სიბნელე,
ადამიანურ არსებათა ფერმიხდილობა.

მისი (ბლუმის) ლოგიკური დასკვნა,
როდესაც აწონ-დაწონა საკითხი და
გათვალისწინა შესაძლო შეცდომა?

რომ ეს არ იყო არც ციურზე, არც
ციურგროტი, არც ციურცხოველი, არც
ციურკაცი, რომ ეს უტოპია იყო, რამეთუ
არავითარი მეთოდი არ არსებობს ცნო-
ბიდან უცნობის შესაცნობად: უსასრულო-
ბა რომლის წარმოდგენა ასევე სასრულო-
დანაც შეიძლება თუკი წარმოვიდგინო
ერთი და იგივე, ისევე როგორც სხვადასხვა
ზომის, სხეულებს ურთიერთშეპირისპირე-
ბულ მდგომარეობაში: ილუზორული ფორმე-
ბის მოძრაობა, რომლებიც უძრავნი არიან
სივრცეში და კვლავ მოძრავნი ხდებიან
პაერში: წარსული, რომელმაც შესაძლებე-
ლია შეწყვიტა არსებობა როგორც აწმე-
ომ იქამდე, სანამ მისი შესაძლებელი მაყ-
ურებლები თავის ახლანდელ ჭეშმარიტ
არსებობას დაიწყებდნენ.

იყო თუ არა უფრო მეტად დარწმუ-
ნებული სანახაობის ესთეტიკურ ღირე-
ბულებანი?

უდავოდ, პოეტების ურიცხვი მაგალი-
თის წყალობით, რომლებიც თავისი ბნელიანი
გატაკების აღტკინებაში ანდა უარყოფილი
მიჯნურის სასოწარკვეთაში კეთილგანწყ-
ობილ თანავარსკვლავედისა სიმრავლეს ანდა
მათი პლანეტის სიცოცხეს ეაჯუბიან.

მაშ მან აღიარა თავისი რწმენის ერთ-
ერთ საგნად მთვარისქვეშეთის უბედურებე-
ბზე ასტროლოგიური გავლენების თეორი-
ა?

მას ერთნაირად შესაძლებლად და შეუ-
ძლებლად ესახებოდა ამის დამტკიცება,
ისევე როგორც სახელწოდების შერჩევა
სელენოგრაფიულ რუკაზე შეიძლება მიწე-
უროს ან სათუთ ინტუციას ანდა მცდარ
ანალოგიას: სიზმრების ტბა, წვიმების ზღვა,
ნამის ყურე, ნაყოფიერების ოკეანე.

რა საკეთიფიკური სიახლოვე შენიშნა
მთვარესა და ქალს შორის?



მისი სიძველე, რომელიც წინ უსწრებდა მიწიერ თაობებს და მათ შემდეგაც იარსებებდა: მისი ბატონობა ღამით: მისი სატელიტური დამოკიდებულება: მისი არეკლილი ნათელი: მისი მუდმივობა ყველა ფაზაში, ამოსვლა და ჩასვლა დათქმულ დროს, აესება და დალევა: მისი გამომეტყველების ნამდვილი უცვლელიობა: მისი პასუხების გაურკვეველობა შეკითხვებზე, რომლებიც პასუხზე მინიშნებას არ შეიცავენ: მისი ძალაუფლება წყლების მოქცევასა და მიქცევაზე: მისი უნარი შეავაროს, მოათინიეროს, მიანიჭოს სიღამაზე, ჭკუაზე შემალოს, ბოროტ-მოქმედების ჩასადენად უნიძვის და ხელიც შეუწყოს: მისი იერის უშფოთველი შეუღწევადობა: მისი თვითმყოფადი, დომინანტური, დაუნდობელი და ბრწყინვალე სიახლოვის აუტანლობა: ქარიშხლის ამოვარდნისა და ჩადგომის მისი მომასწავებელი ნიშნები: მისი სინათლის, მოძრაობისა და თანდასწრების მოშინებლავი ძალა: მისი კრატერების, მისი უწყლო ზღვების, მისი ღუმლის ავბედიით გაფრთხილებანი: მისი დიდებული ბრწყინვალეობა როდესაც იგი ხილულა: მისი მიმზიდველობა, როდესაც უხილავია.

რომელმა ხილულმა და სხივისანმა ნიშანმა მიიპყრო ბლუმის, რომელმაც მიიპყრო სტივენის, ყურადღება?

მისი (ბლუმის) სახლის მესამე სართულზე (უკანა მხრიდან), დახრილი აბაჯრის ნაწილის ღამის შუქი, რომელიც ექცეოდა ფარდას და რომელიც ფრეკოპარასთან შეიძინა, ფანჯრის ფარდის, ქალუზის, კარნიზების დამამზადებელი, ინჯარი სტრიტ 16.

როგორ მოჰფინა შუქი უხილავი მიმზიდველი არსების, მისი ცოლის მერიონ (მონი) ბლუმის საიდუმლოს რასაც მოწმობდა ხილვადი ბრწყინავი ნიშანი — ღამა?

ფარული და ღია სიტყვიერი მინიშნებებითა და მტკიცებით: თავშეკავებული სინაზითა და ალტაცებით: აღწერის საშუალებით: გაჭირვებით: შთაგონებით.

მას შემდეგ ორივე დაღუპდა? ნდუმდენ, წყვილ სხეულებრივ სარკეში უცქერდნენ ერთმანეთის მათ-მის-არამის გამოსახულებას.

ინარჩუნებდნენ თუ არა გაურკვეველ უმოქმედობას?

სტივენის წინადადებით, ბლუმის დასტურით, ორივემ, ჯერ სტივენმა, ხოლო შემდეგ ბლუმმა ბინდუნდში გვერდიგვერდ მიბჯრილებმა მომარდეს, მათი მოსაშარდო ორგანიზაციის ერთმანეთისათვის უხილავი შეიქმნენ ხელისმტკენის მოფარების მეშვეობით, მათი შხერა კი, ჯერ ბლუმისა, შემდეგ სტივენისა, მიმართული იყო კედელზე პროეცირებული განათებული და ნახევრად განათებული ჩრდილისაკენ.

ერთნაირად?

მათი ჯერ-ჯერითი და შემდეგ ერთდროული შარდვის ტრაექტორია ერთნაირი არ იყო: ბლუმისა უფრო ვრცელი და სწორი, ანბანის ბოლოსწინა გაორებული ასოს დაუმთავრებელი ფორმისა, რასაც საშუალო სკოლის ბოლო კლასში (1880 წ.) ყველაზე მაღლა ახერხებდა 210 კონკურენტი მოსწავლის ერთობლივ ძალებთან შედარებით: სტივენისა უფრო მაღალი და შიშინა, როგორც ადამიანისა, რომელსაც გასული დღის ბოლო საათებში შარდმდენი საშუალებების უხვი შთანთქმის შედეგად ბუმტის წნევის მგრძობილება გაეზარდა.

რა განსხვავებული პრობლემა წარმოუდგა თითოეულ მათგანს მეზობლის უწინარი სმენადი ორგანოს მიმართ?

ბლუმს: აღვზებულობის, გავსების, გამაგრების, მგრძობილებობის, სიდიდის, ჰიგიენურობის, თმინაობის პრობლემა.

სტივენს: წინდაწვეთილი იესოს წმინდა უმანკობის პრობლემა (1 იანვარი, წირვაზე დასწრების მოვალეობის დღესასწაული და არასაჭირო მუშაობისგან თავის შეკავების აუცილებლობა) და პრობლემა იმისა, ერგებოდა თუ არა კალკატაში შენახულ რომის

კათოლიკური წმინდა სამოციქულო კელესიის ზორციელ საქორწინო ბეჭედს ჩვეული ზეთაფხანცემა თუ მეოთხე რანგის რელიქციის შესაბამისი, ანუ როგორც ეკუთვნის ისეთ ღვთაებრივ წანაზარდებს, როგორცაა თმა და ფეხის ფრჩხილები.¹⁰

რა ზეციურ ნიშანს აკვირდებოდა ორივე ერთდროულად?

ვარსკვლავს, რომელმაც დიდი ხილული სისწრაფით გაიღლეა ცის თაღზე ვეგადან ქნარის თანაფარსკვლავედში ზენიტის ზემოთ და ვერონიკას თმის გროვის ახლოს, ლომის ზოდიაკალური ნიშნის მიმართულებით.¹¹

როგორ მოხდა რომ ცენტრისკენულმა ჩამომავალმა გზა მისცა ცენტრიდანულ მიმავალს?

მამაკაცის ბორცველი გასაღების ღეროს შეყვანით ქალის მორყეული კლიტის ხერულში, გასაღების ბერკეტად გადაქცევით, გასაღების გადატრიალებით მარჯვნიდან მარცხნივ, კლიტის ენის მოცილება ნახერტიდან, ძველი, ანჯამებიდან მოგლეჯილი კარის გაკვრით შიგნით რასაც მოჰყვება ხერელის გახსნა დაუბრკოლებრივ გამოსასვლელად და შესასვლელად.

როგორ გამოეთხოვნენ ერთმანეთს განშორებისას?

ერთსა და იმავე კართან პერპენდიკულარულად მდგარნი ზღურბლის აქეთიქიდან ისეთნაირად, რომ მათი გამოხამშვილობებული ხელების მოძრაობის ხაზები ნებისმიერ წერტილში ნებისმიერი კუთხით იკვეთებოდა, რომელიც ნაკლებია ორი მართი კუთხის ჯამზე.

რა ხმა ახლდა მათი (შესაბამისი) ცენტრიდანული და ცენტრისკენული ხელების შეხებასა და განცალკევებას?

ზარების ხმა, რომელიც ღამის საათებს ჩამორეკდა ხოლმე წმინდა გიორგის ეკლესიის სამრეკლოში.

ამ ხმის რა გამოძახილება მოეძებნა ორივეს და თითოეულს ცალ-ცალკე?

სტივენს:

Liliata rutilantium. Turma circumdet.

Iubilantium te virginum. Chorus excipiat.¹²

ბლუმს:

ჰეი-ჰო, ჰეი-ჰო,

ჰეი-ჰო, ჰეი-ჰო.

სად იმყოფებოდა ზოგიერთი პირი იმ საზოგადოებიდან, რომელთა თანხლებით ბლუმმა დღისით ამ ზარების მომზობით სამხრეთით მდებარე სენდიმანტიდან ჩრდილოეთით მდებარე გლასნევილისკენ გაემართა?

მარტინ კანინგამი (ლოვინში), ჯექ პაუერი (ლოვინში), საიმონ დედალოსი (ლოვინში), ნედ ლემბერტი (ლოვინში), ტომ კერნანი (ლოვინში), ჯოუ ჰინზი (ლოვინში), ჯონ პენრი მენტონი (ლოვინში), ბერნარდ კორიგანი (ლოვინში), პეტსი დივანამი (ლოვინში), პედი დივანამი (საფლავეში).

რა მოესმა მარტო დარჩენილ ბლუმს?

მიმავალი ნაბიჯების ორმაგი ნახშველი ღვთითკურთხეულ დედამინწაზე, ებრაელის ქნარის ორმაგი გამოძახილი რეზონირებად ქუჩაზე.

რა იგრძნო მარტო დარჩენილმა ბლუმმა?

ვარსკვლავთმორისი სიერცეების სიცივე, ათასობით ვრადუსი გაყინვის წერტილის ანდა აბსოლუტური ნოლის ქვემოთ ფარენჰაიტის, ცელსიუსის ან რეომიურის მიხედვით: მოახლოებული აისის მუწყებელი სიგრილე.

რა გაახსენა ზარების რეკვამ და ხელის ჩამორთმევამ და ნაბიჯებმა და მარტობის თრთოლამ?

შეგობრები განდევნილნი სხვადასხვა მიზეზითა და სხვადასხვა ადგილას: პერსი ეჯკონი (მოკლეს ბრძოლაში მოდერნივერთან), ფილიპ გილივანი (ჭლექი,

ჯერვის-სტრიტის საავადმყოფოში), მეთიუ ფაენი (დაიხრჩო დუბლინის ყურეში), ფილიპ მოიზელი (პიეშია, პეიტსბერი სტრიტზე), მაიკლ პარტი (ჭლეკი, მჭმუნვარე ლეთისმშობლის საავადმყოფოში), პეტრიკ დივანაი (აპოპლექსია, სენდმან-სტრი).

რა ფენომენის რა მოლოდინი აიძულებდა დარჩენილიყო?

სამი უკანასკნელი ვარსკვლავის ჩაჭრობის, დილის დადგომის, მზის ახალი დისკოს გამოჩენის.

ოღესმე თუ ყოფილა ამ ფენომენის მხილველი?

ერთხელ, 1887 წელს, შარადების გაჭინურებული თამაშის შემდეგ ლიუკ დოილთან კიბეიჯში, მოთმინებით ელოდა აისის ფენომენის გამოჩენას, ქვის ღობეზე მჯდარი მიზრისაკენ, აღმოსავლეთისკენ მიპყრობილი მზერით.

თუ ახსოვდა წინა ფენომენის მომასწავებლები?

ჰაერის გააქტივებული მოძრაობა, დილის მამლები შორეთიდან, ეკლესიის ზარები სხვადასხვა მხრიდან, ფრთოსანთა მუსიკა, ადრეული მარტოხელა მეზარის ნაბიჯები, უხილავი მნათობის ხილული შუქის თანდათანობითი მოფენა, ამომავალი მზის ოქროს ნიშბი ოდნავ გამომკრთალი ზედ პორიზონტზე.

დარჩა?

ღრმად ჩაისუნთქა და ისე დაბრუნდა, კვლავ გადაჭრა ბალი, კვლავ შევიდა დერეფანში, კვლავ მიხურა კარი. ზერულად ამოისუნთქა და კვლავ აიღო სანთელი, კვლავ აიარა კიბე, კვლავ მიუახლოვდა წინა ოთახის კარს მეორე სართულზე და კვლავ შევიდა.

რამ შეაფერხა მოულოდნელად მისი შესვლა?

მისი თავის ქალის ღრუბლები: საფეთქლის ნაწილი შეხებაში მაგარი ხის კუთხესთან და მცირე, მაგრამ საგრძნობ მონაკვეთში მტკივნეული შეგრძნება იქნა ლოკალიზებული, წინა შეგრძნებათა გადაცემასა და რევისტორების შედეგად.¹⁴

აღწერეთ ცვლილებანი, რომლებიც ავეჯის განლაგებაში შეიმჩნეოდა.

ალუბლისფერი პლუმბადაკრული ტახტი გადადგმული იყო კარის საპირისპირო კედლიდან ბუხრისაკენ, მჭიდროდ დახვეულ ბრიტანულ დროშასთან (რისი გაკეთება თვითონაც ხშირად დაუპირებია): ლურჯი და თეთრი კუბოკრული მაილიკის ზედაპირიანი ინკრუსტირებული მაგია გადადგმული იყო კარის პირდაპირ იმ ადგილას, რომელიც განთავისუფლდა ალუბლისფერი პლუმბადაკრული ტახტის მიერ; კაკლის ხის ბუფეტი (რომლის გამორჩილმა კუთხემ წამით შეანელა მისი შესვლა) გადადგმული იყო მისი ადგილიდან უფრო მომგებიან, მაგრამ უფრო საშიშ მდგომარეობაში კარის წინ: ორი სავარძელი გადადგმული იყო ბუხრის მარჯვენა და მარცხენა მხრიდან იმ ადგილას, რომელიც ადრე დაკავებული იყო ლურჯი და თეთრი კუბოკრული მაილიკის ზედაპირიანი ინკრუსტირებული მაგიდის მიერ.

აღწერეთ ისინი.

ერთი: დაბალი რბილი სავარძელი, წინ გამოწეული განიერი სამკლავურებით და უკან გადაბრეცილი ზურგით, რომელიც ვიდაცის ადგომისას ძლიერ გადაიწია და სწორკუთხა ფარდაგის ნაწიბური უსწორმასწოროდ ჩაიკცა, რის გამოც მისი ფართო დასაჯდომი ადგილის გახუნება გამოჩნდა, რომელიც ნაპირებისკენ თანდათან კლებულობდა. მეორე: პრიალა რიოილის ამოზნექილი სამკლავურებიანი მსუბუქი ფეხმრუდე სავარძელი, რომელიც უშუალოდ პირველის საპირისპიროდ იდგა, მისი კარკასი ზემოდან ვიდრე დასაჯდომ ადგილამდე და იქიდან

ფეხამდე დაფარული იყო მუქი ყავისფერი ლაქით, მისი დასაჯდომი კი დაწნული ჩაღის ნათელ თეთრ რგოლებად მოჩანდა.

რა მნიშვნელობა უკავშირდებოდა ამ ორ სავარძელს?

მნიშვნელობა მსგავსების, მღვთმარეობის, სიმბოლიზმის, არაპირდაპირი საშხილის, სუპერმენობის დასტურის.

რას ეკავა ის ადგილი, რომელიც წინათ ეკავა ბუფეტს?

პიანინო (კედლი) გადახსნილი კლავიატურით, მის დახურულ კუბოზე ეწყო ქალის გრძელი ყვითელი ხელთათმანები და ზურმუხტისფერი საფერფლე, რომელშიც ოთხი დამწვარი ასანთის ღერი, ნაწილობრივ მოწეული სიგარეტი და სიგარეტის ორი ფერდაკარგული ნამწვი ჩანდა, მის პიუპიტრზე კი ეწყო "ძველი სატრფიალოს" ნოტები სოლ მაჟორის ტონალობაში ვოკალისა და ფორტეპიანოსათვის (სიტყვები ჯ.კბინგამის, მუსიკა ჯ.დ.მოლოისა, მაღამ ანტუანეტ სტერლინგის შესრულებით) ბოლო გვერდზე გადაშლილი, მითითებით: *ad libitum, forte, პუდალი, animato, ხანგრძლივი პუდალი, ritirando, ფინალი.* ¹⁵

რა გრძნობით შეათვალიერა თანმიმდევრობით ბლუმმა ეს ნივთები?

დაძაბულად, თან სანთელი ზემოთ ასწია: ტკივილით მარჯვენა საფეთქელთან გაჩენილი კოპის გამო: ყურადღებით, დიდს უსიციოცხლოს პასიურსა და მსუბუქს ნათელს აქტიურს რომ უტყურდა: წუხილით, ფარდავის ჩაკეცილი ნაწილის გასასწორებლად რომ დაიხარა: ღიმილით, დოქტორ მელაქაი მალიგანის ფერთა შკალა რომ გაახსენდა, მწვანე ფერის გრადაციით: სიამოვნებით, იმეორებდა რა გუნებაში სიტყვებსა და წინა მოქმედებებს და გრძნობდა რა შინაგანი მგრძნობელობის სხვადასხვა არხით თუ როგორ მოიცავდა მის არსებას თანდათან გაუფერულების თბილი

ტალღა.

მისი შემდგომი ქმედება?

ღია კოლოფიდან, რომელიც მაიოლიკის ზედაპირიან ინკრუსტირებულ მაგიდაზე იდო, შავი პატარა ერთი დიუმიის სიმაღლის კონუსი ამოიღო, მრგვალი ძირით ლითონის პატარა თეფშზე მოათავსა, სანთელი ბუხრის თაროს მარჯვენა კუთხეში დადგა, ფილეტის ჯიბიდან ამოაძრო დაკეცილი ფურცელი (ილუსტრირებული) პროსპექტისა სათაურით "აგენდათ ნეტაიმ", გაშალა ფურცელი, თვალი გადაავლო, თხელ ცილინდრად შეგრაგნა, სანთლის აღზე მოუკიდა, ანთებული კონუსის წვერთან მიიტანა იქამდე სანამ ეს უკანასკნელი წითლად არ აკაშკაშდა, ცილინდრი მანდლის ძირზე ისეთნაირად მოათავსა, რომ მისი დაუწველი ნაწილი ბოლომდე დამწვარიყო.

რა მოჰყვა ამ ოპერაციას?

მინიატურული ვულკანის გადაჭრილი კონუსის კრატერის წვერმა დაკლაკნილი ბოლის ჭავლი ამოანთხია, რომელიც არმატული აღმოსავლური საკმეველის სურნელს აფრქვევდა. ¹⁶

სანთლის გარდა სხვა რა პოპოტეტური საგნები ეწყო ბუხრის თაროზე?

კონემარის ძარღვიანი მარმარილოს საათი, რომელიც გაჩერებულიყო 1896 წლის 21 მარტის დღის 4 საათსა და 46 წუთზე, მეთიუ დილონის საქორწინო საჩუქარი: ყინულებგატოტილი ქონდრის ხე გამჭვირვალე ზუფის ქვეშ, ლიუკ და კროლიან დოილის საქორწინო საჩუქარი: ჭოტის ფიტული, ოლდერმენ ჯონ პუპერის საქორწინო საჩუქარი.

როგორ შეხედეს ერთმანეთს ამ სამმა საგანმა და ბლუმმა?

მოთქროვილ ჩარჩოიან ტრიუმოში ჯუჯა ხის შეულამაზებელი ზურგი ჭოტის ფიტულის სწორ ზურგს უფურცდა. სარკის

წინ ოლდერმენ ჯონ ჰუპერის საქორწინო სარტყარი ნათელი მელანქოლიური ბრძნული ბრწყინავი უბრავე თანაგრძნობით უმზერდა ბლუმს, რომელიც დაბინდული მშვიდი ღრმა უძრავი თანაგრძნობით უმზერდა ლიუკისა და კეროლიან დოილის საქორწინო სარტყარს.

რა რთულმა და ასიმეტრიულმა გამოხახულებამ მიიპყრო მისი ყურადღება სარტყში?

მარტოხელა (თანაშესაბამისად) ცვალებადი (თანაშეუსაბამოდ) კაცის გამოსახულებამ.

რატომ მარტოხელა (თანაშესაბამისად)?

დაძმა არა ჰყავს, მარტოა ამაღ, თუმც კი პაპის შვილი ჰყავს მამად.

რატომ ცვალებადი (თანაშეუსაბამოდ)?

ბალობიდან მოწიფულობამდე ის თვის მშობელ დედას ჰყავდა, მოწიფულობიდან სიბერემდე მშობელ მამას დაემსგავსა.

რა საბოლოო მხედველობითი შთაბეჭდილება მიიღო მან სარკისგან?

რამდენიმე შებრუნებული, არა-ანბანური, უწყსრივოდ განლაგებული წიგნის ოპტიკური გამოსახულება მშინავე სათაურებით წიგნის ორ თაროზე სარკის პირდაპირ.

მოახდინეთ წიგნების კატალოგიზაცია.

“ტომის დუბლინის საფოსტო ცნობარი” 1886.

დენის ფლორენს მაკკართის “პოეტური თხზულებანი” (სპილენძის მუხის ფოთლის სანიშნით მე-5 გვ.).

შექსპირის “თხზულებანი” (მუქი შინდისფერი, ოქროთი ტვიფრული ტარსიკონი).

“სასარგებლო გამოსათვლელი ტაბულები” (ყვეისფერი ფაში).

“ჩარლზ მეორის კარის საიდუმლო

ისტორია” (წითლად ტვიფრული ცნობარი ბავშვებისათვის” (ლურჯი ფა).

“კილარნის მშვენებანი” (სუპერყდა).

უილიამ ოზრაინი, პარლამენტარი, “როცა ყმაწვილები ვიყავით” (მწკანე, ოდნავ გახუნებული ფა, სანიშნულ კონვერტი გვ. 217).

“სპინოზას რჩეული გამონათქვამები” (წაბლისფერი ტყავი).

სერ რობერტ ბოლი, “ზეცის ისტორია” (ლურჯი ფა).

ელისი, “სამი მოგზაურობა მადაგასკარზე” (ყვეისფერი ფა, სათაური წაშლილია).

აკონან დოილი, “სტარკ-მუნროს წერილები”, დუბლინის საჯარო ბიბლიოთეკის საკუთრება, კეიპლ-სტრიტ 106, გაეცემული 1904 წლის 21 მაისს (სამების წინადადეს), დაბრუნების ვადა 1904 წლის 4 ივნისი, ვადას გადაცილებულია 13 დღით (შავი ფა თეთრი ციფრასოიანი იარლიყით).

“მოგზაურობა ჩინეთში” ვინმე “ყარიბისა” (სქელ ქალღმში გახვეული, სათაური წითელი მელნით).

“თალმუდის ფილოსოფია” (აქინძული ბროშურა).

ლოკარტი, „ნაპოლეონის ცხოვრება“ (უფლო, მინდვრებზე მიწერილი შინიშენებით, რომელიც აქინძებს შთავარი გვირის გამარჯვებებს და აზვიადებს მის დამარცხებებს).

გუსტავ ფრაიტაგი, “Soll und Haben” (შავი მუყაო, გოთიკური შრიფტი, დატანებული აქვს სიგარეტის რეკლამა გვ. 24).

პოზიერი, “რუსეთ-თურქეთის ომის ისტორია” (ყვეისფერი ფა, 2 ტომი, ყდის მეორე მხარეს მიკრული იარლიყით, ვარნიზონის ბიბლიოთეკა, გუბერნატორის მოედანი, ვიბრალტარი).

უილიამ ელინგამი, “ლორენს ბლუმბილდი ირლანდიაში” (მეორე გამოცემა, მწკანე ფა სამყურას ოქროს ნახატებით, ფორზაციის მარჯვენა მხარეს წაშლილი ყოფილი მფლობელის გვარი).

“ასტრონომიის სახელმძღვანელო” (ყვეისფერი ტყავის ფა, შემოგლევილი, 5 ფურცელი ილუსტრაცია, ძველებური შრიფტი, ავტორის სქოლიო ნონპარელით, მი-

თითები პეტიტით, სათაურები პატარა ციტეროთი).

“ქრისტეს უცნობი ცხოვრება“ (შავი მუყაო).

“შხის კვლადაკვალ“ (ყვითელი ყდა, სატიტულო ფურცლის გარეშე, სათაური თითოეულ გვერდზე).

იუჯინ სენდოუ. “ფიზიკური ძალა და როგორ შეიძლება მისი გაზრდა“ (წითელი ყდა).

“გომეტრიის საფუძვლების მოკლე მაგრამ თვალსაჩინო ვადმოცემა“, შეთხზული ფრანგულად ფ. იგნატ პარდიეს მიერ და ინგლისურად თარგმნილი ლუთისმეტყველების დოქტორ ჯონ პერის მიერ, ლონდონი, დაბეჭდილი რ.ნებლოკის გამომცემლობისთვის ბიშოპ ქედში MDCCXI, მიღებით ფრად პატივემუხლი პარლამენტის წევრის სადაკის ოლქიდან, ესკაიარ ჩარლზ კოქსისადმი და კალიგრაფიული მინაწერით სატიტულო გვერდზე, რომ წიგნი ესე შეადგენდა მაიკლ გელაპერის საკუთრებას, დათარიღებული 1822 წლის 10 მაისით, და გამოხატავდა იმედს, რომ წიგნის დაკარგვის შემთხვევაში, იგი დაუკონებლივ დაუბრუნდებოდა მაიკლ გელაპერს, ზუროს, დოუვერი გვიტი, ენისკორთი, უიკლოუს საგრაფო, მსოფლიოში საუკეთესო ადგილი.¹⁷

რა ფიქრები დაეუფლა მას შებრუნებული წიგნების შემობრუნების პროცესში?

წესრიგის აუცილებლობაზე, ყველაფერს თავისი ადგილი და ყველაფერი თავის ადგილას: ქალების დაუღვევარ დამოკიდებულებაზე მათ ხელთ არსებული ლიტერატურისადმი: ჭიქაში ჩაჭვდილი ვაშლისა და საპირფარეშოს საჯდომ ფიცარზე მიყუდებული ქოლგის უადგილობაზე: რაიმე საიდუმლო საბუთის წიგნის უკან, ქვეშ ან ფურცლებს შორის დამალვის არასანდლობაზე.

რომელი წიგნი იყო ყველაზე სქელტანიანი?

პოზიერის “რუსეთ-თურქეთის ომის ისტორია“.

რა იყო მოხსენიებული ხსენებული

წიგნის მეორე ტომში სხვა ცნობების გვერდით?

გადამწვევტი ბრძოლის ადგილის სახელი (დავიწყებული), რომელსაც ხშირად იხსენებდა მუდამ გადაწვევითი მოქმედების მომხრე ოფიცერი, მაიორი ბრაიან კუპერ ტუიდი (დაუვიწყარი).

რატომ, ჯერ ერთი და მეორეც ერთი, არ მიმართა მან ხსენებულ თხზულებას?

ჯერ ერთი, რათა გავეარჯიშა მწემოტექნიკა: მეორეც, იმიტომ რომ ამნეხიის პერიოდის შემდეგ, როდესაც დიდ მაგიდას მიუჯდა და ის-ის იყო დააპირა ხსენებული თხზულებისთვის მიემართა, რომ მწემოტექნიკის შემუვობით გაიხსენა იმ საომარი ოპერაციის სახელწოდება, პლეენა.

რა ანუგეშებდა მას მჯდომარე მდგომარეობაში?

უბიწობა, სიშიშვლე, პოზა, სიშვიდე, სიკაბუკე, გრაცია, სქესი, მაგიდის შუაში აღმართული სტატუეტის დამამშვიდებელი მზერა, ნარცისის გამოსახულება, ნაყიდი პარენის აუქციონზე, ბენელორზუოკი 9.

რა აწუხებდა მას მჯდომარე მდგომარეობაში?

საყელოს შემავიწროვებელი მოწოლა (ზომა 17) დ ფილეტის (5 დილიანი), ტანსაცმლის ორი ნაჭერი, რომელიც ზედმეტია ზრდასრული მამაკაცის კოსტუმისთვის და არავითარი ელასტიურობა არ გააჩნიათ მასის გაზრდას რომ მიესადაგონ.

რითი მოახერხა ამ შემავიწროვებელი გარემოების შერბილება?

მოიხსნა საყელო შავ პალსტუხთან და მის სამაგრთან ერთად და მაგიდაზე მარცხენა მხარეს დაიწყო. თანმიმდევრულად, შექცევით შეიხსნა დილები ფილეტზე, მარვალზე, ზედა და შიდა პერანგებზე შავი

უსისტემოდ შზარდი თმის ზუკუჭა ბან-ჯგელარს შუა, რომელიც სამკუთხედად იშლებოდა ვიწრო მენჯიდან მუცლის ფარის გაყოლებაზე მკერდის მეტეჭხე ნეკანამდე და შემდეგ სწორი კუთხით ორივე მიმართულებით და მთავრდებოდა შუახზიდან თანაბარი მანძილით დამორებული მკერდის ბორცვების გარშემო, მარჯვნივ და მარცხნივ, შემოხაზულ წრეებად. თანმიმდევრულად შეიხსნა აჭიბებიანი შარვლის რ ღილი, ერთის გარდა, წყვილად განლაგებული, ერთი რომ აკლდა.

რა გაუცნობიერებელი მოქმედებები მოქვეა ამას?

შეადგინეთ 1904 წლის 16 ივნისის ბიუჯეტი.

| დუბაჟი | გრ. | შიდ. | პუნ. |
|--|----------|-----------|----------|
| 1 ღორის თირკმელი | 0 | 0 | 3 |
| 1 "ფრინველ ქორნალის" ვეჭმალარი | 0 | 0 | 1 |
| 1 ანანი და გამარჯვებელი | 0 | 1 | 6 |
| გრამატი მუხარობა | 0 | 0 | 1 |
| 1 პეგრე დივანის მოსაგონარი | 0 | 5 | 0 |
| 2 ხუნარი ნამუხარი | 0 | 0 | 1 |
| 1 დანი | 0 | 0 | 7 |
| 1 წაენის ვაღის გაგრძელება | 0 | 1 | 0 |
| 1 საფოსტო ქაღალდისა და კონტრეგების შეკრა | 0 | 0 | 2 |
| 1 საღილი და გამარჯვებელი | 0 | 2 | 0 |
| 1 საფოსტო გრაფიკა და მარკა | 0 | 2 | 8 |
| გრამატი მუხარობა | 0 | 0 | 1 |
| 1 ღორის ფეხი | 0 | 0 | 4 |
| 1 ცხვრის ფეხი | 0 | 0 | 3 |
| 1 ფრასი მოკლილის ფილა | 0 | 1 | 0 |
| 1 პეგარა თეთრი ქურა | 0 | 0 | 4 |
| 1 ფილა და ფურცელი | 0 | 0 | 4 |
| ვალი (საფრენ ღვალისა) დასრულებული | 1 | 7 | 0 |
| საღლი | 0 | 16 | 6 |
| | 2 | 19 | 3 |

გაგრძელდა თუ არა შესამოსელის გახზვა?

სუსტი მაგრამ დაყინებული ტკივილი შეეგრძნო ტერფებში, ფეხი გვერდზე გასწია და შეათვალდებოდა ნაოჭები, ამობურცვები და ჩაზნექილობები რომლებიც ფეხის დაწოლის შედეგი იყო, ხშირი სიარულით გამოწვეული ბევრი სხვადასხვა მიმართულებით, შემდეგ დაიხარა, ზონარები გაიხსნა, ხელმეორედ გაიხადა ორივე ფეხსაცმელი, ნაწილობრივ დასველებული მარ-

ორი თითით მოიჭეკვა ზორტი უშუალოდ ნეკნების დასრულების არეში მარცხნივ, დაფრავების ქვეშ იქ, სადაც ორი კვირისა და სამი დღის წინ (1904 წლის 23 მაისს) ფუტკარმა უკბინა. მარჯვენა ხელით მექანიკურად მოიფხანა, თუმც არ ეტყებოდა, ნაწილობრივ გამოჩენილი და მთლიანად განბანილი კანის ზედაპირის სხვადასხვა წერტილები. მარცხენა ხელი მარცხენა ქვედა ჯიბეში ჩაიყო და ამოაძვრინა და მაგიდაზე დადო ვერცხლის მონეტა (1 შილინგი), რომელიც (სავარაუდოა) იქ მოხვდა ქ-ნ ემილი სინიკოს, სდნი პარული, დასაფლავების დროს (1903 წლის 17 ოქტომბერი).

| კრედიტი | გრ. | შიდ. | პუნ. |
|--|----------|-----------|----------|
| სადღი | 0 | 4 | 9 |
| საკომისიო გამარჯვებელი "ფრინველ ქორნალისა" | 1 | 7 | 6 |
| სენა (საფრენ ღვალისა) | 1 | 7 | 0 |
| საღლი | 2 | 19 | 3 |

ჯვენა წინდის წვერი გამოსწია, რომელიც ცერი თითის ფრჩხილს კვლავ გაეხვრიტა, მარჯვენა ფეხი ასწია, ელასტიური სოსანი წვივსაკრავი შეიხსნა, გაიძრო მარჯვენა წინდა, შიშველი ფეხი თავისი სავარძლის კიდეზე შემოდო, ჩაეჭიდა და ფრთხილად აიტკიცა დიდი თითის ფრჩხილის წანაზარდი, ცხვირთან მიიტანა და ცოცხალი სხეულის სუნი შეიხუნთქა, რის შემდეგაც კმაყოფილმა ფრჩხილის ატკეცილი ფრავმენტი გადააგდო.

რატომ კმაყოფილმა?

რადგან შესუნთქული სუნი შეეხატვისებოდა სხვა შესუნთქული ფრაგმენტების სუნს, რომლებსაც მოთმინებით აიტკლევდა ხოლმე ჭაბუკი ბლუმი, დაწყებითი სკოლის მასწავლებლის ქან ელისის მოსწავლე, ყოველამ ძილის წინ მოკლე მუხლმოყრის, ლოცვისა და პატივმოყვარე ოცნების პროცესში.

რომელ საბოლოო ოცნებაში მოიყარა თავი ყველა ერთდროულმა და ერთმანეთის მომღვეწო ოცნებამ?

არ მიეღო მემკვიდრეობით პირველშობილის უფლებით, ან მამათა შორის გაყოფის ან გვარში უმრწემის პრივილეგიის საფუძველზე, ისევე როგორც არ ჰქონოდა უვადო სარგებლობაში მიწის დიდი ფართობი აკრებში, რუდებში თუ პერჩებში, მიწის დაწესებულ ინგლისურ ზომებში (45 გირუნაჟა სტერლინგი წლიური გადასახადით), საძოვრები ტორფნარში, რომელიც გარს ერტყმის ბარონის კარმიდამოს მეკარის ჯიხურითა და საპარადო ხეივით და, ამავე დროს, არ ჰქონოდა სახლი ტრასეზბიან რიგში ანდა ვილის ნახევარი, რომელსაც უწოდებდნენ Rus in Urbe ან Qui si sana¹⁸, არამედ შეიძინოს მთლიან სარგებლობაში კერძო გარიგების საფუძველზე 2-სართულიანი ბანგალოს ტიპის, ჩაღით დახურული სამხრეთული საცხოვრებელი სახლი ფლეუგერთა და დამიწებული მესამრდიით, პარაზიტი მცენარეებით (სუროთი ან ძაღლყურძენათი) დაფარული ვერანდით, ელექანტური ეტლივით პრიალა სპილენძით გაწყობილი სადარბაზო კარით, ოქროთი მოვარაყებული, მარმარილოს ფაქტურის კარნიზითა და ფრონტონით, შემადლებზე მდგარი, საამო ხელით ქვის ბალუსტრადიანი აივნიდან ახლომდებარე გამოყენებული და გამოყენებისათვის აკრძალულ საძოვრებზე, 5-6 აკრი საკარმიდამო ნაკვეთითა და იმდენად დამორებული შარაგზიდან, რომ მისი ფანჯრების სინაილე დამით გამოჩენილიყო ერთ ზომაზე შეკრებილი რცხილას მესერიდან ან მის ზემოდან, თანაც ეს ადგილი 1 ინგლისური

მილის მანძილზე ყოფილიყო დამორებული ქალაქის ზღვარიდან და ზულ რადიუს 15 წუთის საგალზე ტრამვაის ან რკინიგზის ზაზიდან (მაგალითად, დანდრამის სამხრეთი მიმართულება, ანდა ჩრდილოეთი სატონის მიმართულება, ორივე ეს ადგილი გამოცდილების საფუძველზე მიჩნეული იქნა მიწიერ პოლუსებად მათი სასიკეთო კლიმატური პირობების გამო ჭლექით დაავადებულთათვის), გარანტირებული მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით, იჯარა 999 წლით, ადგილ-მამულს კი უნდა გააჩნდეს 1 დარბაზი ერკერთ (2 ისრული კამარა) და ტემპერატურის საზომი მოწყობილობით, 1 სასტუმრო ოთახი, 4 საძილე, 2 მოსამსახურის, აყველით გაწყობილი სამზარეულო, დახურული ქურითა და ჭურჭლის სარეციხე ადგილით, თორეულის განჯინებიანი პოლით, გამოყვანილი მუხისაგან დამზადებული სექციებიანი წიგნის თაროები ზედ დაწყობილი "ბრიტანეთის ენციკლოპედია" და "ახალი საუკუნის განმარტებითი ლექსიკონით", გადაჯვარედინებული, ხმარებიდან გამოსული, შუასაუკუნეობრივი და აღმოსავლური იარაღებით, სადილზე მოსამატიყებელი გონავით, ალუბასტერის ლამპით, ჩამოსაკიდი ვაზით, ებონიტის ავტომატური ტელეფონის აპარატი და მის გვერდით დაკიდული ცნობარით, ხელით ნაქსოვი კრემისფერი, კუბოკრულარშიანი ოქსმინსტერიის ფარდავით, ბრჭყალა-ფეხებიანი ბანქოს სათამაშო მავილით, მასიური სპილენძის ცხაურიანი ბუზარი მოოქროვილი ბრინჯაოს საათი-ქრონომეტრით თაროზე, ტაძრის ზარების რეკასთან გარანტირებული თანხედრით, პიგროგრაფულ შკალიანი ბარომეტრით, მოხერხებული ოტომანებით და ლალისფერი პლუმის კუთხოვანი სავარძლები დაჭიმული ზამბარებითა და ჩასაფლობი ცენტრით, სამ სექციანი იაპონური შირმით და საფურთხეებით (კლუბის სტილში, ლვინისფერი ფარსავი ტყავის, ადვილად რომ უბრუნდება ბზნვარება ხელის ზეთისა და ძმრის მემუვობით), პირამიდალურ-პრიზმატული ცენტრალური შანდალი-ლუსტრით, მოზრილი ხის ჭოკზე თითზე-დაჯდომანსწავლი თუთიფუშით (ცენზურა გამოვ-

ლილი), ტეიფრული შპალერით, 10 მილიონი თორმეტი შეკერა, ჭიფერი ყვავილწუნულების გარდივარდმო სახით და ზემოდან არშით, პალირებული ღიაფერის მუხის კბით, სამ-სწორ-კუთხიანი მარშით, საფეხურებით, დგარებით, რიკულებითა და მოაჯირით, ქაფურის ცვილით გასანთლული ზემოთ მიშავალი პანელებით: საბაზანო ოთახი ცხელი და ცივი წყლით, აბაზანითა და შხაპით: ტუალეტი ანტრესოლზე მკრთალი ოვალური სარკმლით, ასაკეცი დასაჯდომით, ბრინჯაოს სახელურიანი და ძეწკიანი ნათურა-ბრით, სამკლავურებით, ფეხების ქვესადგამითა და კარის შიდა მხრიდან მხატვრული ოლეოგრაფიით: ასევე ჩვეულებრივი: მსახურთა ოთახები თავი-

სი სანიტარული და ჰიგიენური პირობებით მზარეულისთვის, მოახლისა და მისი დამხმარესათვის (ხელფასის ავტომატური მომატებით, ორწლიანი დანამატებით 2 გირვანქის ოდენობით, ამას გარდა, დაზღვევის პოლისი, ყოველწლიური ფულადი ჯილდო (1 გირვანქა) და პენსია (65 წლის სისტემით) 30 წლის მუშაობის შემდეგ), ბუფეტებით, საკუჭნაოებით, მაციერით, საკარმიდამო სათავსოებით, ნახშირისა და შემის, აგრეთვე ღვინის სარდაფებით (ნარჩევი ცქრიალა და არაცქრიალა ღვინოებით) სადილზე მოწვეული საპატიო სტუმრებისთვის (სავალდებულო გამოსასვლელი ტანსაცმელი), ნახშირბადის საწვავი გაზით, რომელიც ყველგან მიეწოდება.

ვაკრძელება იქნება

კომენტარი

1. 1904 წელს კემბრიჯში გამოცემულ კრებულში "საბავშვო ბაღადები" ეს ლექსიც შედის, თუმცე ებრაელის ქალიშვილის მაგივრად იქ გრაფის ქალიშვილი ფიგურირებს, როგორც ჩანს ბაღადის ანტისემიტიზმის შესარბილებლად. "ულისეს" ორიგინალში ლექსი უფრო გრძელია და მას ერთვის ნოტებიც, რაც საეურნალო ვარიანტში არ შევიდა.

2. ემილი სინიკო "ღუბლინელების" ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟია (თუმცე იქ ავარიის თარიღი ნოემბერია).

3. ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის აღსანიშნავ ცერემონიაზე მინიშნება (ოჯახის უფროსს ასაკის მიხედვით მიჰყვებიან დანარჩენი წევრები). ასევე მინიშნება სინათლის (სანთლის) წირვაზე აღდგომის დროს.

4. (ლათ.) "საიდუმლო".

5. (ლათ.) "უცხოთა წესით: როდესაც გამოვიდა ისრაელი ეგვიპტიდან, სახლი იაკობისა უცხოენოვან ხალხისაგან" (მღრ.: ფსალმ. 113).

6. დანტეს "ჯოჯოხეთის" ფინალური ფრაზის ვარიანტი.

7. ბლუმი ამქდავენებს იმდროინდელი ასტრონომიის კარგ ცოდნას, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე უზუსტობას; მეცნიერების განვითარებასთან ერთად ამ მოსაზრებათა უმრავლესობა შეიცვალა.

8. ბლუმი არც თუ დიდი სიზუსტით გადმოსცემს იმ დროს მოდურ ნუმეროლოგიურ გატაცებას საკრალური ციფრით 9 (ასეთად მიჩნეული ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში).

9. ბლუმი გასაოცარი სიზუსტით ასახელებს იმ ვარსკვლავებს, რომლებიც ჩამოთვლილი პერსონაჟების დაბადების დროს გამოჩნდნენ ასტრონომთა თვალთახედვის არეში; მისთვის ასევე საგულისხმოა ის ასტროლოგიური მინიარსი, რაც თანავარსკვლავედების გაელენას ამართლებს ადამიანებზე.

10. მინიშნება რომის წმ. იოანეს ბაზილიკიდან მე-16 საუკუნეში მოპარულ, ე.წ. ქრისტეს წინდაყვეთის რელიქვიამზე, რომელიც პიენის შემდეგ კალკატაში, რომის მახლობლად ინახებოდა. სტივენის "პრობლემა" ეხება ქრისტესა და წმინდანების

წმინდა ნაწილების თავყვანისცემაში არსებულ გრადაციას, რომელიც წმინდა-თეოსოფიური კამათის საბაბია.

11. "ოდისეის" ალუზია: ათენა ხანგრძლივი თავშეკავების შემდეგ ერევა ოდისეისა და გელემაქეს ბრძოლაში პენელოპეს ხელისმთხოვნელთა წინააღმდეგ: მისი ფარი, ეგადა, შიმისმომგვრელ ზეციურ ნიშნად ევლინება მათ. ასევე, იქვე ჩამოთვლილ სხვა ციურ სხეულებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდათ ბერძნულ მითოლოგიაში.
12. (ლათ.) "დე მლოცველთა გუნდი, შროშანთა დარად ბრწყინვალე, გერგყას გარშემო. დე ქალწულთა ქორომ მიგიღოს" - მღვდლის არყოფნისას ნებისმიერ მორწმუნეს შეეძლო ამ ლოცვის წარმოთქმა მომაკვდავის სარეცელთან. სტივენი ოდნავ ცვლის კანონიკურ ტექსტს.
13. ჩამოთვლილია ჯოხების ოჯახის მეგობრები და "ულისეს" პერსონაჟთა სხვა პროტოტიპები.
14. "ოდისეას" ალუზია: ოდისეეს ერთ-ერთი მეგობრის ნახროლი სკაში მოხვდა.
15. (იგ.) მუსიკალური გერმინები: "სურვილისამებრ, ძლიერ- ცოცხლად-გამოგანა" (უკანასკნელი უნდა იყოს რიტარდანდო - თანდათანობით შენელება).
16. "ოდისეას" ალუზია: ბლუმი ისევე წვავს საკმეველს, როგორც ოდისეეს მეგობრეთა მოკვლის შემდეგ თავის სახლში.
17. ჩამოთვლილი წიგნების უმრავლესობა რეალურად არსებობდა და პოპულარულიც იყო იმდროინდელ დუბლინში.
18. (ლათ.) "სოფელი ქალაქში"; (იგ.) "აქ იკურნებიან"; სამოსახლოს გიჟების გავრცელებული სახელწოდებები.



რაქვენ გვეტაქე

მანანა გვეტაქის ხსოვნას

XX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურის ძირითად პრინციპებსა და ზოგად ტენდენციებზე მსჯელობა და სრული წარმოდგენის შექმნა, ვფიქრობთ, მომავლის საქმეა და ერთი რომელიმე გამოკვლევით, ცხადია, იგი ვერ შემოიფარგლება. ეს საკითხი კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს, არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, სახე-ხასიათი, რაც რეალურად არსებული დროის ნიშნით ყალიბდება და ლიტერატურული სიცოცხლის უნარი იმკედრებს ადგილს ქართულ კულტურაში. ამ თვალსაზრისით უთუოდ იმსახურებენ ყურადღებას მეტ-ნაკლებად ცნობილი მწერლები. მათი შემოქმედებითი სამყაროს მხატვრული გააზრება და სათანადო დასკვნებით ერთადერთი გზაა უახლესი ქართული ლიტერატურის მთლიანი პანორამის წარმოსაჩენად.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია ნიჭიერი ქართველი მწერლის, რაქვენ გვეტაქის, ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლის შემოქმედებასაც გვერდს ვერ აუვლის XX საუკუნის ლიტერატურის ისტორია.

რაქვენ გვეტაქე 1897 წლის 29 ივლისს სასულიერო ნოდების გლეხის, მათე გვეტაძის, ოჯახში, სოფელ ციხიაში დაიბადა (ციხიბულის საქალაქო საბჭო). საკუთარი წარმომავლობის შესახებ თავად ამცნობს მკითხველს გვეტაქე ლექსში "მწუხარე პეიზაჟი", რომელშიც, ერთის მხრივ, ამკარად იგრძნობა კავშირი იმის გამო, რომ მწერალს მიუტოვებია "ეზო ვაზიანათ", "ვერაფერი შეუმატებია ოჯახისათვის", რისთვისაც თავაზიანად საყვედურობდა თურმე მოხუცი მამა, ყველაფერი პოეტობისათვის შეუწირავს და გადაუწყვეტია, აღმატებული პიროვნება გამოსულიყო ("ეხლა ჩემს გვარში ვჩემობ მეტობას"), მაგრამ, მეორეს მხრივ, ერთგვარი შიშიც ასდევნებია.

"ღაკარკე ხულის ყველა საფარი და მწვენება გატვლილ ფარათ ჩემი ცხოვრების მოკლე ზღაპარი".

(*"მწუხარე პეიზაჟი"*).

რაქვენ გვეტაქემ თავის ცხოვრებას "მოკლე ზღაპარი" უწოდა. მართლაც, იგი 55 წლით შემოიფარგლა მხოლოდ.

"რაქვენ გვეტაქეს ლამაზი, ჯიშინი სახე ჰქონდა. მაღალი მუხლი. ხშირი წარბები. ვერცხლმერეული თმა. ამ კაცს, ენით აღუწერელი მწუხარება ჰქონდა გადატანილი, მაგრამ ხალხში არ იმჩნეოდა. ჩემი ბავშვობა ისე გავატარე ამ სახლში, ეჭვადაც არ მქონდა, თუ აქ რაიმე უბედურება იყო მომხდარი", - იგონებდა გ. ასათიანი.

ეს იყო ბინა რუსთაველისა და გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში, რომლის ხშირი სტუმრები ყოფილან პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან ფაფინინი, შალვა აფხაიძე, ბესარიონ ფლენტი, სერგო კლდიაშვილი, შალვა კარმელი, ლეო ქიაჩელი, ლევან ასათიანი, გერონტი ქიქოძე, აკაკი ბელიაშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, ნიკა აგიაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე, ირაკლი აბაშიძე; რაქვენ გვეტაქესთან სტუმრობდნენ ვერიკო ანჯაფარიძე და მიხეილ ქიაურელი, ლადო გუდიაშვილი. იქნებ მწერლის ბიოგრაფიისათვის უინტერესო არ იყოს ის ფაქტი, რომ გადასახლებიდან დაბრუნებული თამარ წულუკიძე, ცნობილი რეჟისორის, სანდრო აბმეტელის მეუღლე, სულიერ საზრდოს სწორედ რაქვენის ოჯახში "ეძიებდა და პოებდა" კიდევც. ამ ლიტერატურულ "სალონში", თუ გადამეტებული არ იქნება ამის თქმა, თავიანთ აზრებს ერთმანეთს უზიარებდნენ თეატრალები, მხატვრები, მუსიკოსები და, საერთოდ, იმდროინდელი "ხელოვნების ქურუმნი". განსაკუთრებით 30-იან წლებში ნინო ბაქრაძისა და რაქვენ გვეტაქის სტუმართმოყვარე ოჯახი ქართველი ინტელიგენციის შეკრების, ერთგვარი თავისუფალი ამოსუნთქვისა და აზრთა გაზიარების ნათესაყუდელად იყო აღქმული თანამედროვეთა მიერ. ცხადია, ჩამოთვლილ პიროვნებათაგან დიდი უმრავლესობა გვეტაქის ოჯახში მეგობრობასა და სიყვარულს, ერთგულ მტრებასა და ჩვენი კულტურის საკითხებზე ფიქრსა და ოცნებას მიჰყავდა, მაგრამ, მეორე მხრივ, რაქვენი გამოშვების დირექტორი გახლდათ და საქმიანი ურთიერთობაც მასთან არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

მწერლის ბიოგრაფიის ნაწილია მისი ლექსები (უპირატესად ადრეულნი):

**"ღამემ ფიქრები მოკრიბა
დამჭკნარ ვარდებად წაყენი.
ჩემი ხოფული ოკრიბა,
ბავშუობა მშუში წარბენი"**

(**"ჩემი ბავშუობა ხოფულში"**).

"მზეში წარბენი" ბავშუობა თითქოს უზრუნველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ "ავტოპორტრეტში" სრულიად ნათლად გაცხადდა:

**"მწურავლ ლოცვით დაეიღაღე და ძირს ვეშვები.
ჩემი ფიქრები ნისლიანი ვარ ამოყრადენ,
და ხონტის ქვეშ უწმიდ იწვის, როგორც ახელი —
ღარბი ვეარი და სახელი გვეტბე რადენ"**.

ვფიქრობთ, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ერის სულიერ კულტურას მხოლოდ გენიოსები არ ქმნიან. ხომ წარმოდგენელია, ვთქვათ, მე-19 საუკუნის ლიტერატურა მხოლოდ ალ. ჭავჭავაძით, ვრ. ორბელიანით, ნიკ. ბარათაშვილით, ილიას, აკაკის, ვაჟასა და ალ. ყაზბეგის სახელებით შემოიფარგლოს, და არ გავითვალისწინოთ დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანის, გიორგი ერისთავისა და სხვათა და სხვათა შემოქმედება. XX საუკუნეში რაჟდენ გვეტბაძემ თავისი მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და მართალი შემოქმედებით შეავსო, გნებავთ, გააღამაზა კიდევ ქვეყნის სულიერი კულტურის მთლიანი სურათი. სხვა რომ არა იყოს რა, რაჟდენ გვეტბაძეს, რომელსაც ცხოვრება და მოღვაწეობა მეტად რთულ პერიოდში მოუხდა, არც ერთი საბედისწერო შეცდომა არ მოსვლია. რაჟდენ გვეტბაძე მწერალი-პიროვნება ბოლომდე პირნათელი დარჩა თავისი ქვეყნისა და "ბედდამწვარი" მეგობრების წინაშე. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ თითქოს უბრალო დეტალი საოცარ მნიშვნელობას იძენს. ასეთად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ მწერლის ბიბლიოთეკაში თავისი კუთვნილი ადგილები არ შეუცვლიათ მისი მეგობრების წიგნებს წარწერებით, რომელნიც 1937 წლის მსხვერპლნი შეიქენ და მათზე საუბარიც კი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული 30-იან წლებში. ამდროინდელი წიგნებია პაოლოს, ტიცინანის, ჯავახიშვილის, რობაქიძისა და სხვათა და სხვათა გამოცემები ამ ავტორთა წარწერებითა და ფაქსიმილებით. უთუოდ აღნიშვნის ღირსია, რომ რაჟდენ გვეტბაძემ იცხოვრა, როგორც ქუმარიტმა ქართველმა მოქალაქემ, უღალატო მწერალმა და ერთგულმა მამულიშვილმა. ამას, თავის დროზე, ხაზი გაუსვა

მისმა მეგობარმა და თავად ჩინებულმა მწერალმა ლევან ასათიანმა, რომლის უბრითაც, რაჟდენ გვეტბაძემ განვლო გზა უბრალო გლეხის ბიჭიდან - ქართველ მწერლამდე ისე, რომ ეს მაღალი სახელი მას არცერთხელ არ შეუბღალავს.

რაჟდენ გვეტბაძემ უბრალო ასოთამწყობად დაიწყო მოღვაწეობა და, ჩანს, სწორედ აქ ეზიარა იმ დაუსაბამო სიყვარულს ქართული მრავალსაუკუნოვანი მწერლობის მიმართ, რაც გარდაცვალებამდე არ განელებია და რაც იყო საწყისი იმისა, რომ კალმით ხელში ებრძოლა ქართულ სიტყვასთან და ამ ბრძოლაში ხშირად გამარჯვებულიც გამოსულიყო. სადაც კი უმუშავია მწერალს, ყველგან გამორჩეული კვალი დაუტოვებია; თანამედროვეთა გადმოცემით ყოფილა უკონფლიქტო, მაგრამ პრინციპული, ჰუმანური, მაგრამ მომთხოვნი, უკომპრომისო, მაგრამ მიმტევებელი.

ვინაიდან მწერლის ბიოგრაფიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი შემოქმედების კვლევისას, ისიც უნდა ითქვას, რომ რაჟდენ გვეტბაძე განუმეორებლად ყურადღებანი და მზრუნველი მამა ყოფილა. მას ოთხი შვილი დარჩენია - სამი ვაჟი და ქალიშვილი. თავის დროზე იგი შვილებით ბედნიერად თვლიდა თავს, მაგრამ მათგან ცოცხალი, მხოლოდ ბ-ნი ნოდარილა (სპეციალობით - ლარინგოლოგი).

რაჟდენ გვეტბაძე 55 წლისა გარდაიცვალა 1952 წლის 1 დეკემბერს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. სხვა გამომსვლელთა შორის, რომელთაც გამოსათხოვარი სიტყვები ნაუკითხავთ, მეტად საგულისხმოა ერთი, რომელიც ეკუთვნის მწერლის მეგობარს, ლეო ქიაჩელს. გამოსათხოვარი მოკლეა და მწუხარებით აღსავსე, რაც მეგობრის უადროოდ გარდაცვალებას გამოუწვევია, მაგრამ საქმე მხოლოდ ეს როდია. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოსათხოვარის ბოლო ერთი წინადადება, რომელშიც მთელი სისაყსითა და მთლიანობით აირველება ჩინებული ქართველი მწერლის, რაჟდენ გვეტბაძის პიროვნება: "გემშვიდობები რაჟდენ, ათას ჭირ-ვარამის გამომწველო, მით უფრო ჭკვიანო და გულისხმიერო".

საყურადღებო ფაქტია, რომ რაჟდენ გვეტბაძე ქართული მწერლობის ოჯახში თავისი გზით მოვიდა - "პოეზიას ვაუმიჯნურდა".

შეიცვალა დრო, ახალმა ქარიშხალმა მოიცვა ჩვენი ქვეყანა. უცვარმა და ძლიერმა კატაკლიზმებმა ერთგვარად თითქოს შეცვალა

ცხოვრების წესი, მაგრამ პოეტმა სწორედ ამ დროს მოახერხა, სამზოვზე გამოეტანა ადამიანური ვნებები, ასპარეზი დაეთმო სიყვარულისთვის, რომლის ღვთაებრივმა მადლმა მეტად მიიზიდა მკითხველის ყურადღება.

თავისი დროისათვის მიჯნურთა უსაყვარლეს ლექსად ყოფილა აღიარებული რაფდენის "სულამიტ":

**"და ვცხოვრობ მარტო, ცრემლში ნაბანი,
ვინა ვარ, რა ვარ! ვდარდობ სულ ამით.
რისთვის დამტოვე, როგორც ჯაბანი,
მითხარი რამე, ჩემო სულამიტ!"**

მაგრამ ეს იყო სულის მოსათქმელი ლექსები, ერთგვარი ნავთსაყუდელის ძიების გზა, რომელმაც პოეტი "ცისფერყანწლებთან" დაახლოვა და ისე ძლიერად, რომ მისგან თავდახსნას ბოლომდე არ ცდილა.

"ცისფერყანწლებმა" გარკვეულ პერიოდში ლიტერატურული დამოუკიდებლობა მოიპოვეს და რა მშვენიერი იყო ეს დამოუკიდებლობა ტიცინთან, პალოსთან, ვალ, გაფრინდაშვილთან და სხვებთან და სხვებთან ერთად! მაგრამ რა? ის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაც ყველაზე მეტად ფასობდა და თავისებური, ახლებური ფორმით გამოიხატა იმდროინდელ პოეზიაში (უპირატესად ორიგინალური ფორმისეული ძიებებით), "სიყმანეილის ცოდვებად" გამოაცხადეს. ყველაზე დიდი რისხვა 1937 წლის 15 მაისს საქართველოს კომუნისტების X ყრილობაზე დაატყდათ თავს "ცისფერყანწლებს", "აკადემიურ ჯგუფს", "არიფონს"... "1935-1938 წლებში რეპრესირებული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის 48 წევრი. მათგან უმრავლესობა დახვრიტეს". აქედან მოყოლებული თითქმის 50 წლის მანძილზე "ცისფერყანწლებს" ნაცარი გადააყარეს, ამდროინდელ პოეზიას ტაბუ დაადეს და "შაენებლობის ბურუსში" გახვიეს. საბედნიეროდ, ახლა დადგა დრო და ჯამი თავისუფლად ვისაუბროთ "ცისფერყანწლებზე", საერთოდ, მის ავსა და კარგზე და მივაგოთ "კეისარს კეისრისა და ღვთისა ღმერთსა".

რაფდენ გვეტაძემ პირველი პოეტური კრებული "მთვარის ზღაპარი" 1915 წელს გამოაქვეყნა. ამავე წლიდან აქტიურად თანამშრომლობდა "ცისფერყანწელთა" ბეჭდვით ორგანიზებში: "ცისფერი ყანები", "რუბიკონი" და ა.შ. გვეტაძის სიმბოლისტური განწყობილებები თვალსაჩინოდ გამოვლინდა კრებულებში: "მთვარის ზღაპარი" - 1915 წელს, "თეთრი წიგნი" - 1916 წელს, "დაბინდული ქარები" - 1920 წელს, "ღამეები" - 1921

წელს და 1924 წელს დასტამბულ "ვირების სიაში". 1947 წელს "საბლიტგამის" მიერ გამოცემულ კრებულში "ლექსები" დაიბეჭდა მისი ოთხი პოემა: "მერკვილადის დები", "მახაჯირები", "ოქროს ვერძი" და "ლელა".

ეროვნული ტრაგედია, საქართველოს სავალალო მდგომარეობა, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული, უამრავი საფიქრალითა და მომავალზე ოცნებით ავსებდა რაფდენ გვეტაძის პოეზიას. ჭირისუფალივით შესტრფოდა და თავს დასტრიალებდა პოეტს მშობლიური იმერეთისა და ერთიანი საქართველოს ბუნებასა და ადამიანებს, გლეხებსა და გმირებად ქცეულ მეფეებსა თუ იმ ძლიერ ტრადიციებს, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე გააძლიერა ჩვენს ქვეყანას. ამ თვალსაზრისით იმასაც უნდა გაეცხვას ხაზი, რომ მის პოეზიაში არ გამოიხსნულა წარსული, ანმყო და მომავალი. პოეტი ძალიან ხშირად ახერხებდა ამ სამი დროის ერთმანეთთან ოსტატურ დაკავშირებას. და ყოველივე ამას პოეტურად და მრავალფეროვნად ანვდიდა მკითხველს:

**"ო, ჩემო ბედი, როგორც გვლათი,
ჩემი ოცნება - როგორც ვრეკლე -
არას ამაყი, (ღრხ ვასაშველათ)
მაგრამ ტყველით ვატარებ ველებს"**

(**"დაგვიანებული აპრილი"**)

რეალობა და წარსულის მონატრება ამგვარად დაუფიქსირებია პოეტს:

**"ნეტაი ვეცვას იხვე წოხა და ქალამანი,
სკრაპკების ნაცვლათ ვატირებდეთ სუფიან
თარებს.
ვეშალებოდეთ ტარაბულში მზურაელ დარეგს:
თამარის დროის მენატრება ქუჩა, ყაფანი"**

(**"მწუხარება ტფილისით"**)

უფრო უცნაურად, მაგრამ სახიერად, ტრაგიკულად განიცდის ანმყოს კომპარსა და უბედურებას პოეტი 1938 წელს შექმნილ სონეტში "ერეკლე და მისი თოფი". ცხადია, ლექსის თარიღსაც ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება:

**"თუც გვევოდუნ ურდოები უჯო ხვისანი,
გნამა, შენს მაშულს მწუხარება ვურ
მოიცადა..."**

არადა, მართლაც 1938 წელს "მწუხარებას მოეცვა მამული", და შემდეგ:

1. სიგუა, ს., "მხატვარი და ალაჰმდარი", თბ., "დიდოსტატი", 1997, გვ. 192.



"სუნთქვასთან ერთად შეწყდა შენი დროშის შრალი, - ტრის სოლომონ! გულზე ცეცხლი წაქედებია. როგორც ხულდგმული, შენი თოფიც ვრწოვბდა ობლობას,

ახლა ვე თოფი, შოჯერცხლილი, ზარნი მინა, როგორც რამ ნიფი, მუ შეუქმნი უქმად ქიდიო და მის ღულაში გაუხლართავს ქული ობობას".

("ერეკლე და მისი თოფი")

ერთ დროს მტრის თავზარდამცემი იარაღი, მუზეუმის ექსპონატად ქცეულა. ეს ადარდებდა პოეტს... გულს უკლავდა ალბათ, რომ "მონურ უღელში" შებმული ქართველობა - "გუფიდაშვილის ჯადო ხელით გამოსახული" ("ძველი რვეულიდან"), უდრტვინველად ურიგდებოდა თავის "უკუღმართ ბედს".

ქართული სიმბოლიზმი ორთოდოქსული არასოდეს ყოფილა. თუ ამას გავითვალისწინებთ, ვასაგებებ ვახდებთ, რომ სიმბოლისტიკის შემოქმედებაში ეროვნული და სოციალური თემა საკმაოდ დიდ ადგილს იკავებდა. ისინი ოცნებობდნენ და ეძებდნენ თავისუფალ საქართველოს, მის ბედნიერ მომავალს:

"კლავ გაეშლით რუქას შეიდურათ, როგორც სარღლები, ვეჭვთ ქვეყანას არ ნახულს და ჯერ არ გაგონილს".

("ტყუები")

საქართველოს წარსულის ძლიერებასა და კულტურასთან ასოცირდება გვეტაძის ლექსებში დავით გარეჯი და ზაგრატის ტაძარი, გელათი და მამადავითი, ბარათაშვილი და აკაკი, თამარი, ქეთევანი, ერეკლე, აღმამუნებელი... მის პოეზიაში გათელებენ ისეთი ტრაგიკული ბედის მქონე ხელოვანნი, როგორებიც იყვნენ მამია გურიელი და ნიკო ფიროსმანი. იგი თავისი ლექსებით უმღეროდა ვანო სარაჯიშვილს, მარო მაყაშვილს, ნინო ჩხიძესა და სხვებს. ეს იყო წარსულის მოგონებანი და ფიქრი ანწყოვა, ეს იყო გზა, რომელსაც პოეტი მიჰყავდა მომავლისაკენ. ამის არდანახვა უმადურობა იქნებოდა იმათი მხრივ, ვისაც ქართულ პოეზიაზე უფიქრია, ვინც "ცისფერყანწელთა" შემოქმედებაში ჩაღრმავებულან, ვისთვისაც პოეზია მეტია, ვიდრე მხოლოდ ლექსი - ცალკე აღებული. პოეზია ხომ სიყვარულია, სამშობლოა, ისტორიაა. პოეზია ოცნებაა, დარდია, წამებაა, მაგრამ სიხარულიცაა, როდესაც გსურს "შავი პორფირი მოხადო ღამის აწრდილებს". რადეენ გვეტაძე ნერდა:

"მაგრამ მჭირდავი სინამდვილე გულს არ ადილებს, წამებს გვირგვინს თან ვატარებ, ვით მაქსოვარი" - ი.

პოეზია ეზმარებოდა რაფდენ გვეტაძეს დაყრდნობოდა თავის ემოციებს, ცოდნას, დაუსაბამო სიყვარულს სამშობლოსადმი, რაც ემიჯნებოდა პოზიტივიზმსა და ემპირიზმს. პოეტი ბედნიერად თვლიდა თავს, რომ შეეძლო ოცნება, შეეძლო აღქმა იმისა, თუ როგორ "სცვიოდა ხეებს ფოთლები ცახცახით", თუ როგორ "კანკალებდა სული ფიქრთა ეტლებზე", "უხმოდ ნატრობდა მზიან ტაროსებს" და "იცეკვებდა ლანდთან ცეცხლის მოდებით".² ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები არ იყო, იგი თავად ნერდა:

"მარტოდ დარჩენილს მტანჯავს ვაში ბნელ ანჯარებით, მაგრამ მასარებს მხოლოდ ერთი - რომ ვარ მეოსანი".

("ხევის ფარმანი")

მგოსნის კალამს ეკუთვნოდა 1937 წელს დაწერილი ლექსი "ვეფხისტყაოსნის პირველი ასოთამწეობი", რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა არამხოლოდ გვეტაძის პოეზიაში. პოპულარულად ითვლებოდა თავის დროზე "სიმღერა შალამბერიძეზე", რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში იმღერებოდა.

და მაინც... ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რაფდენ გვეტაძის პოეზიაში კონიუნქტურა არ არსებობდა. სიმბოლისტიკი, ისევე, როგორც სხვები, იყვნენ ადამიანები თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეებით, მათზეც უზარმაზარ გავლენას ახდენდა დრო, სინდრომი შიშისა და განადგურებისა. ცხადია, რაფდენ გვეტაძე გამონაკლისი ვერ იქნებოდა. კონიუნქტურა მის შემოქმედებაში უშინიშნელო ადგილს როდი იკავებდა. 1947 წელს გამოცემული ლექსთა კრებული ნათქვამის დასტურია. ერთ-ერთი, სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი, ასე მითარდება:

"შენს მიერ ქართლში დანთებული პატარა კერა ახლა ანათებს მთელ მსოფლიოს პროპიეუს ცეცხლით".

("პრომეთეს ცეცხლი")

დღეს, სრულიად ნათელია, როგორ "გაანათა" სტალინმა "მსოფლიო პრომეთეს ცე-

2. გვეტაძე, რ. - "მარტოობა შემოდგომის ავღრიან ღამეში" - "ვირების მესია", - ტფ., 1924, გვ. 15.

ცხლით", მაგრამ საკითხავი აქ სხვა რამ არის - მართლა კონიუნქტურა იყო ყოველივე, რაზეც ვსაუბრობდით, თუ ასე ფიქრობდა პოეტი? შიში, საკუთარი თავისა და ახლობლების გადაჩინის სურვილი აწერიებდა ამ ლექსებს, თუ მოსწონდა ყოველივე, რაც ხდებოდა იმ დროს, როცა იგი მოღვაწეობდა? იყო ეს ბუნებრივი გაცნა, ვთქვათ, როგორც ერეკლე, თამარის, აღმაშენებლის მიმართ, თუ ტრაგედია, გაორებული ადამიანის დრამა? მნელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ახლა, თუ კვლავ პოეტის შემოქმედებას არ ჩავუღრმავებდით.

სრულიად დაუფერებელია, რომ როდესაც პოეტის მეგობრები "კალმისმიური ძმები" ტიცინის და პაოლო სტალინის რეჟიმის, მარქსისტული იდეოლოგიის მსხვერპლნი შეიქნენ, როდესაც დიდი ნაწილი საზოგადოებისა რეპრესიებს განიცდიდა, როცა მიხ. ჯავახიშვილი, ევგ. მიქელაძე, კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი და სხვები და სხვები მსხვერპლად შეენიშნენ რეალური თავისუფლებისათვის აღვლენილ მართალ შემოქმედებას ღვაწლს, საექვთა, რაჟდენ გვეტაძის ეს ლექსები წრფელი სიყვარულის გამოხატულება ყოფილიყო. ავტორიც დასახელებული ლექსისა ისევე ტრაგიკულია, როგორც არა ერთი და ორი მოღვაწის ცხოვრება და შემოქმედება XX საუკუნის პირველ ნახევარში. ამის უფლებას გვაძლევს მძაფრად აღქმული თავისუფლების იდეა და კიდევ უფრო მძაფრად დამდაბლებული მართალი სიტყვის მთქმელთა მდგომარეობა რაჟდენ გვეტაძის ლექსების ციკლში "ვირების მესია".

ვინაიდან წინამდებარე ნაშრომი ცდაა მწერლის პორტრეტის შექმნისა, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ რაჟდენ გვეტაძე თანამედროვეთა შორის ძალზედ მორიდებული მწერლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი თითქმის არასდროს იღებდა საჯარო გამოვლენებს მონანილეობას, წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, როდესაც მას აკრიტიკებდნენ და, თუმცა ალბათ, იყო ცდებიც კი მისი დისკუსიებში ჩაბმისა, იგი ეუბნებოდა... მაგრამ ისიც საკარგად იყო, რომ მწერალმა ამ დისკუსიებიდან ავარკვეულ დასკვნებს აკეთებდა. იმ დროს ჩადენილი უსამართლობანი, ჩვენის აზრით, რაჟდენ გვეტაძის თვალში საკმაო გამართლება იყო საინისა, რომ პოლიტიკაზე კრინტი არ დაედო. ყოველ შემთხვევაში, აღვევანდელო გადასახედვიდან ჩვენ ასე გვესახება. იქნებ მწერალი როგორ მარტინ დიუ გარის ერთი ფრთიანი გამონათქვამითაც კი სარგებლობდა: "ლიტერატურა, თუ გნებავთ, წერეთ, მაგრამ, თუ ღმერთი გნამთ, ნუ ილაპარაკებთ მასზე".

ანდრე მორუამ ტურგენევს "პოეტური რე-

ალისტი" უწოდა. როგორღაც რაჟდენ გვეტაძის "ვირების მესიაც" "პოეტური რეალისტი" ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან მონიშნავან თვდახანის იდეის გამოხატვა იმ სიმბოლისტური პოეტური აქსესუარებისა და არსებული რეალური ყოფის ოსტატური შეწყობის გარეშე წარმოუდგენელიც კი იქნებოდა. პოეტს გააზრებულნი აქვს ადამიანური პირობითობები და შეცნობილი აქვს, რომ ზოგჯერ პოეტური თვითნებობა აუცილებლობის გამოვლენის ერთადერთი ნამდვილი ფორმაა. საგულისხმოა, რომ "ვირების მესიაში" პოეტური მეტაფორებისა და აზრის კონფლიქტთან გვაქვს საქმე. რაჟდენ გვეტაძე ცდილობს, მხატვრული სიზუსტით, ლექსის შინაგანი ფორმით გადმოსცეს ინდივიდუალურ პირთა სახეები ვიზუალური აზროვნებით, ამ მოღვაწეთა ხასიათის ერთ რომელიმე მნიშვნელოვან შტრიხზე აქცენტითა და ორპროვინციული ინტერპრეტაციით. "ვირების მესია" მეტად ორიგინალური ციკლია როგორც შინაარსით, ასევე მხატვრული აზროვნების ორიგინალითაც. ციკლი იწყება მანიფესტით ("მანიფესტი ვირებს") და ყოველი დანარჩენი ლექსი მიძღვნილია "ციხფერყანსელი" მეგობრებისადმი (ცალ-ცალკე. აქ მოხედნენ: გრიგოლ რობაქიძე - "ვირები აღდგომა ღამეს სოფელში", პაოლო იაშვილი - "ვირის კბილი", ვალერიან გაფრინდაშვილი - "ვირები პროსპექტზე გათენებისას", ტიცინ ტაბიძე - "წოწორი", გიორგი ლეონიძე - "კინტო და ვირი" და "ვირების მესია", ალი არსენიშვილი - კვლავ "ვირების მესია", კოლაუ ნადირაძე - "ზრუციანი ვირი", შალვა აფხაიძე - "ვირები მარხილი", შალვა კარმელი - "გლოვა" და ბოლოს "ზარათი ვირებს".

ციკლისათვის დამახასიათებელია ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ და მხატვრულ აზროვნებათა სინთეზი. მასში პოეტი მოხერხებულად ასახავს რეალურ, ობიექტურ დროს, რომელსაც თომას მანი მოხდენილად და ზუსტად "ვულგარულსაც" უწოდებდა. ამით რაჟდენ გვეტაძეს, როგორც ახლა ვფიქრობთ, სურდა დროისა და სივრცის შერწყმა, ამ ლექსების ადრესატებისა და იმ უფლება-მოვლენების ნივთიერება "ვულგარულ" დროში, კონკრეტულ სიტუაციაში, რომელსაც ასე შეგუებულნი იყვნენ საზოგადოებით უტყვენი, მუშაკნი, დიდი ტვირთის მზიდველნი, ერთგულნი, მაგრამ "პატრონის" მონანი.

"ვირების მესია" სპონტანურად არ შექრილა გვეტაძის პოეტურ აზროვნებაში. რაჟდენ გვეტაძის თანამედროვე და მეგობარი სერგო კლდიაშვილი იგონებდა, რომ რაჟდენი ფრანგულს სწავლას დანაფიქვია იმის გამო, რომ ორიგინალში ნაეკითხა ფრანსის ფამის ლექსები, საიდანაც მოდის იდეა ვირების შემოსვლისა პოეზიაში. ტიცინ ტაბიძე კი წერდა: "ქა-

რთულ პოეზიაში უთუოდ დარჩება "ვირების ატირება" ისე, როგორც ფრანსის ჟამის ლოცვები სამოთხეში ვირებით შესვლაზე". რამდენიმე წლის წინ კი აკაკი ბაქრაძე კვლავ მიუბრუნდა ამ თემას და "ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნა წერილი "შერანი თუ სახედარი?". კრიტიკოსმა გამოთქვა აზრი, რომ რაფდენ გვეტაძის ლექსების ციკლი პოლემიკაა ბარათაშვილის "შერანთან". როგორც უკვე აღვნიშნავდით, ყოველ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ, ჩვენი თვალსაზრისით, უფრო სწორი იყო მანანა გვეტაძე, რომელიც ფიქრობდა, რომ "ვირების შესახებ" სხვა რაკურსია მოძებნილი. სამოთხეში ვირების შესვლა ფრანსის ჟამისეული მოტივია, მაგრამ ფრანგი პოეტისაგან განსხვავებით გვეტაძესთან ვირები სიმბოლოა არა მხოლოდ მორჩილების, არამედ ალორძინებისა. 3 ჩვენ დავემატებდით - ერთგვარი ჯანყისაც. "ვირების შესახებ" პრობლემური ციკლია. სხვათა შორის, ეს პრობლემა თავად ციკლშია განფენილი და დღეს არა ხვალ იგი ზუსტად იქნება გაშიფრული. ჩვენის აზრით, "ვირების შესახებ" სწორად ის თხზულებაა, რადგან ის ნაწარმოავდგენია, როგორც ერთი მილიანი ნაწარმოები, ან, თუ გნებავთ, ორიგინალური პიესა, რომლის პერსონაჟებიც არიან "ცისფერყანწელი" პოეტები, და რომელმაც უფრო გააშკვრთა რაფდენ გვეტაძის, როგორც მწერლის ტენდენცია და მოკრძალებულად, შეფარვით, მაგრამ მაინც სამზოოზე გამოიტანა იდეა ზნეობრივი პრინციპებისა. შემთხვევითი არ არის, რომ ციკლს წინ უწდეს "მანიფესტი", ანუ, როგორც პოეტი წერს: "მანიფესტი ვირებს". და ვინაიდან მწერლობა ზოგადად და პოეზია კერძოდ წარმოადგენს სინამდვილის, რეალური დროის შენარჩუნების, გადარჩენისა და მისი კომიკური, დრამატული, გნებავთ, ტრაგიკული მხარეების ხელყოვნების ნიმუშად ქცევის ცდას, ამის დასატურად ციკლის ლექსების სათაურების ჩამოთვლაც კი საქმარისი იქნებოდა. ეს ციკლი ზუსტად მიგვანიშნებს რეალური დროის უკულმართობაზე. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ციკლისათვის რაფდენ გვეტაძეა, რამეთუ მას ეკუთვნის "მანიფესტი", რომლითაც იგი მიმართავს "საყვარელ ვირებს" და რომელსაც სიცოცხლე მონატრება საპირისპიროდ სიკვდილისა, რათა გასჩენია "საქმე საარაკო":

**"თქვენი სიცოცხლე ავა შორი
სიკვდილის გზარებს!"**

ბედისწერა იყო, თუ კიდევ რაიმე სხვა, ეგებ მწარე წინათგონობა ჯერ კიდევ 1924 წელს?!

და აი, ლექსთა ადრესატებს, ერთგულ მკვებრებსა და თანამოკალმეებს ღმერთის ლოცვა-კურთხევით პპირებაზეა პოეტი, "სიკვდილის გზირების" კლანჭებიდან დაიხსნას მათი სიცოცხლე, ოღონდაც ამისათვის ალტერნატივას უყენებს მათ: "საჭირო არის გადაფარდნა ცეცხლის ყაშირში", ვინაიდან "ეერ შეხვალო, ძმებო, სამოთხეში დღეს მარტო გარჯით".

უკვე 30-იან წლებში შეაზნულმა დრომ, "სიკვდილის გზირებმა" მაინც იხსხვერპლეს პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, ალი არსენიშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, საქართველოდან გადაიხივსა გრიგოლ რობაქიძე და ა.შ.

"ვირების შესახებ" ახლებურად გამოფერი იმდროინდელ მოვლენათა ემოციური აღქმის გარეშე შეუძლებელია და გვეტაძის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ პოეტური ლექსიკის, სახეობრივი სპეციფიკის, სიმბოლისტური პოეტის გათვალისწინებით მან საშუალება მოგვცა, ამოგვეცნო ციკლის აეტორის ესთეტიკური და ზნეობრივი მრწამსი, სურველი იმისა, რომ შეფარვით, მაგრამ მაინც ეგარტობიანებინა ადრესატებისა და საზოგადოებისთვის, რომ სინამდვილის, ე.ი. არსებული ისტორიული დროის რეალობა, სვამდა ალტერნატივას - პოეტური რეალობა შეიძლებოდა მდინარის აზვირთებულ ტალღებში ჩაქარგულიყო. ასეც მოხდა... "მანიფესტში" პირდაპირაა გაცხადებული გაფრთხილება:

**"შგონი დრო არის, რომ გაკვეთო
მონურ წამებას".**

მართლაც, 10-იანი წლებიდან, ვიმეორებთ, რამდენიმე ჯგუფი და ასოციაცია შეიქმნა: "ცისფერყანწელები", "არიფიონელები", "მემარცხენეობა", "ფუტურისტები" და ა.შ., მაგრამ რა? ყველა დაიშალა, განადგურდა და თითქმის ყველაზე ბოლოს შემორჩა მწერლობას "პროლეტკულტი", რომელშიც ცხადია, ნიჭიერი მწერლებიც იყვნენ გაერთიანებულნი. და მაინც, იუ იყო ირონია დროისა, ბედისა, ირონია ლიტერატურისა.

"ვირების შესახებ" ორიგინალური ციკლი გახლდათ როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. სწორედ ამიტომაც ბევრი დაინერა მასზე. თავისებურად ანალიზებდნენ ციკლს სერგო კლდიაშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, გურამ ასათიანი, მანანა გვეტაძე, აკაკი ბაქრაძე, თამარ ბარბაქაძე. ბუნებრივია ეს პროცესი. ლიტერატურული თხზულება არამარტო რთული ფენომენია, იგი, ამავე დროს, მრავალნახნაგოვანიცაა და მრავალასპექტოვანიც, ამის გამოა, რომ სხვადა-

3. გვეტაძე, მ., - "რაფდენ გვეტაძე". "მნათობი", 1987, № 7, გვ. 111-112.

სხვა პიროვნება სხვადასხვაგვარად აღიქვამს მას. თვალსაზრისითა სიჭრელე სულაც არ უშლის ხელს "ვირების მესიის" შეფასებას, პირიქით, ჭეშმარიტების დაადგენა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი.

მოდერნისტული ხელოვნებისათვის, "ცი-სფერყანნელებისათვის" და კერძოდ, რაჟდენ გვეტაძის პოეზიისათვის დამახასიათებელი იყო შემოქმედის თავისუფლება, პეიზაჟის რომანტიზირებული აღქმა, ლტოლვა არაჩვეულებრივისა და უცნაურის აღმოჩენისაკენ. მისი ლექსების ფორმა სხვადასხვაგვარია - დანყებული უმცირესი საზომით - ოთხმარცვლიანი ტაქტებით, 8, 10, 14, 16-მარცვლიანი ლექსებით. მისი პოეზიის უპირველესი სამკაულია რიტმი, რომელიც ქმნის მარადიულთან სიახლოვის ილუზიას, სულს განაწყობს ამოღლებულისაკენ, საზღვრების გადალახვისაკენ, მაგრამ ყველაზე მეტად რაჟდენ გვეტაძის პოეტურ სამყაროში, რა თქმა უნდა, ჭარბობს სონეტი. ცხადია, ეს საზომი - 14-ტაქტიანი 10-მარცვლიანი ლექსი (4:4:3:3) გავრცელებული ფორმა გახლდათ, მაგრამ, რაჟდენ გვეტაძემ, როგორც "ცისფერყანნელები", თავის პოეზიაში იყვალაზე მეტად, მუნიერობად და მორგებულად იყენებდა სწორედ სონეტს. ცნობილია, რომ ვალერიან გაფრინდამფილი (განსაკუთრებით - ც.გ.), ტიციანი, პაოლო და სხვები სონეტის მრავალ სახეობას იყენებდნენ, ისიც ფაქტია, რომ არც ერთი ქვეყნის პოეზიაში არ არის იმდენი მრავალსახეობა სონეტისა, რამდენიც - ქართულში. გამოყენებული იყო კოჭლი სონეტი, ყრუ სონეტი, ელაში სონეტი, ყირამალა სონეტი, სონეტი ამორძალი, სონეტი უნაგვირით და ა.შ. მაგრამ შეუძლებელია იგი აღინიშნოს, რომ რაჟდენ გვეტაძემ, გარდა იმისა, რომ გამოიყენა სონეტის თითქმის ყოველხარის სახეობა, თავად დანერგა სრულიად ორიგინალური "უკულმა სონეტი", რომელიც ერთნაირ ემოციურობით იკითხება არა მხოლოდ წაღმა და უკულმა, არამედ - ქვევიდან ზევით. გრიგოლ ცეცხლაძე წერდა: "უკულმართი სონეტი" ერთადერთი სონეტია ქართულად დანერგული, რომელიც იკითხება წაღმიდანაც და უკულმიდანაც. ასეთი სონეტი არავის დაუნერია არც რუსის პოეტებში".⁴ "უკულმა სონეტი" დაიბეჭდა 1921 წლის 3 მაისს გაზეთში "პოეზიის დღე". ხაზგასასმელია, რომ სონეტის გამოყენების ტრადიციისათვის პოეტს ბოლომდე არ უღალატინა "ცისფერყანნელობის" პერიოდის შემდეგაც.

პოეტის არსებობა ამა თუ იმ ეპოქაში მისი პოეზიის სიცოცხლის ხანგრძლივობითაც იზომება. და თუ ეს მართლაც ასეა, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ რაჟდენ გვეტაძის პო-

ეზიამ დროის გამოცდას გაუძლო, კინაღამ მისი ბევრი ადრინდელი ლექსი დღეს პნლებურად იკითხება, თავისი დროის სურნელი მოაქვს, ამ დროის ბეჭედი აზის და მომავალი საუკუნის პოეზიის საუფლოში, თუნდაც მოკრძალებული არსებობისათვის ცოცხლდება.

● რაჟდენ გვეტაძის რომანები "თო", "ჭიაკოკონა", "ლაშაური საღამოები" აგრძელებენ ვასილ ბარნოვის მოდერნისტული რომანების გზას. ვ. ბარნოვის მოდერნისტული რომანებისათვის დამახასიათებელი სტილი, პოეტიკა, ესთეტიკა, კომპოზიციკა უთოოდ თავისებური და განსხვავებულია, მაგრამ არა დაშორებული რეალიზმს, ობიექტურ კავშირს დროსა და ტრადიციებთან. მწერლის რომანებში რიტმულობა იმით მიიღწევა, რომ ბარნოვი საკმაოდ თავისუფლად და გაბეულად მოეპყრო (ცხადია, ზომიერების ფარგლებში) მისთვის თანამედროვე ენის ნორმებს (თუმცა ზოგიერთებში მას არქაიზმს საყვედურობდნენ), მის სინტაქსურ ნყობას, ფრაზის მუსიკალობას, რიტმს. ყოველივე ეს კი XX საუკუნის რომანისათვის (უეჭველია, გამოწკლისების გათვალისწინებით) - იყო ახალი, მოდერნიზმთან წილნაყარი და, ამავე დროს, სიცოცხლისუნარიანი, რაც დრომ ჩინებულად დამტკიცა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რაჟდენ გვეტაძის რომანების რიტმული ხასიათი და ლირიკული ნაკადი მხოლოდ მოდერნიზმთან კავშირით არ ხასიათდება. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ის, რომ გვეტაძე პოეზიაში პოეზიის გზით მივიდა - იგი სიმბოლისტი გახლდათ და მისთვის რიტმისა და ლირიზმის ტექნიკა შინაგანად გათავისებული თურსებები იყო.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაჟდენ გვეტაძის რომანები "თო", "ჭიაკოკონა" და "ლაშაური საღამოები" ჩვენ "ლირიკულ რომანებად" მიგვაჩნია და არც ორიგინალურია ეს თვალსაზრისი. "ლაშაური საღამოები" ჯერ კიდევ მიხ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა, როგორც "ლირიკული რომანი" და ამ აზრს იზიარებდა მანანა გვეტაძეც. მწერლისათვის დამახასიათებელ ერთ მნიშვნელოვან მომენტზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება - ესაა უცნაურით, მოულოდნელობით სამომენება, რომელსაც ხშირად გვთავაზობს რაჟდენ გვეტაძე. ლიტერატურა წარმოუდგენელია სასწაულის გარეშე, ვინაიდან იგი თავად არის სასწაულების სამყარო და, აქედან გამომდინარე, მწერალი მუდამ გვთავაზობს ამ სასწაულებს, უცნაურობებს, მოულოდნელ ამბებს და გვაძლევს სა-

4. ცეცხლაძე, გრ., - რაჟდენ გვეტაძე. - გაზ. "ტრიბუნა", 1922, № 235, გვ. 3.

შუალელებს, ვტკბებოდეთ მოულოდნელობის სიამოვნებით, საოცარი, სასწაულებრივი, მაგრამ მაინც მართალი ამბების გადმოცემით. მწერალი თავისი რომანების "თეო", "ჭიაკოკონა", "ლაშაურის საღამოები" წერი-სას სარგებლობდა ყველაფრით, რაც მი-სთვის ცნობილი იყო საკუთარი ცხოვრები-დან, წიგნებიდან, და, წარმოიდგინეთ, სხეი-სი მონათხრობიდანაც კი და, რასაკვირვე-ლია, მასზე უდიდესი გავლენა მოუხდენია დროს, რომელიც ამ რომანებში ასე სახიფ-რად გაცხადებულია.

რაღედ გვეტაძე ჩინებულად ახერხებს, დაამყაროს კავშირი გამოგონილსა და ნა-მდვილე ამბავს შორის ისე, რომ დროის მავი-ცქემა არ დაკარგოს. ვინაიდან ყოველი პე-რსონაჟი მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ხასია-თთა შეხამება-შერწყმაა და, ამავე დროს, თავის თავშივე მოიცავს წინააღმდეგობა-საც, ამის გამო საგულისხმოა, რომ მწერა-ლმა ბრძნული გამბედაობით შეიტანა თავის რომანებში წესრიგი: დაიცვა ისტორიული სინამდვილე, დროის წინაშე გაიღო მწერლე-რი ხარკი, წინ წამოსწია თვალსაჩინო პერ-სონაჟები და მკითხველს მისცა საშუალება, ამოეკითხა ამ თხზულებებში გაცხადებული მწერლის ინტერპრეტაცია, ტენდენცია.

ყოველივე ის, რაც ჭეშმარიტი მწერლის მიერ არის შექმნილი, მუდამ თანამედროვეა, მით უფრო, თუ იგი ეროვნული სულისკვე-თებითაა შთაგონებული. და თუ ზოგადად ქართული მწერლობა ეროვნული თვითშეი-ცნების საფუძველს წარმოადგენს, მაშინ რა-ფედ გვეტაძის პროზა, რომელიც დროის ლეკოების თვალსაზრისით 20-50-იან წლე-ბში შეიქმნა, დღეისთვისაც საოცრად თანა-მედროვედ აღიქმება არა მხოლოდ მწერლის რწმენის თვალსაზრისით, არამედ დროის სიმართლის შეცნობითაც. ჩვენის აზრით, თავდაცვის ინსტინქტი და დამოკიდებულე-ბა 20-30-იან წლებში მიმდინარე კატაკლიზ-მებისადმი რაფედ გვეტაძემ თვითდაჯერე-ბულად და გონიერულად გამოავლინა; უსა-ფრთხოების გარანტიადაც იქცა მისი თხზუ-ლებები და ქვეყანას უროი ნიჭიერი მწერა-ლიც არ დაეკარგა. ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ რაფედ გვეტაძეს ზოგადად "თეოში", "ჭიაკოკონა-სა" და "ლაშაურის საღამოებში" უპირატე-სად აინტერესებს ობიექტური რეალობა, რომელიც ყოველ მათგანში განსხვავებუ-ლია, მაგრამ საერთოა ამ თხზულებების მო-ქმედ პირთა ფსიქოლოგიური ვარაიციების დანახვა და წვდომა, ისიც, თუ როგორ აღი-ქმება ამ პერსონაჟებში ცხოვრების სირთუ-ლებები, ის, თუ ვინ რა გზას ირჩევს, ამავე დროს, - მათი ურთიერთობები კონკრეტულ

დროში და თანაცხოვრება ახლომდებარე ზობელთა თუ თვალს მიფარებულ ადამიან-თა შორის. ამ დროს მწერალი მიმართავს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს, რომელთა შე-შვეობითაც აანალიზებს იმ განცდებსა და მოქმედებას, რომელთაც ანდამატურ ძალას ანიჭებს, სამშეოზე გამოაქვს და მკითხველს თავის ტყვეობაში აქცევს, გარდა ამისა - სა-შუალეობასაც აძლევს მას ბევრ მოვლენაზე დაფიქრდეს და საკუთარი აზრი შეიმუშაოს.

პოეტმა რაფედ გვეტაძემ პროზის სამყა-როში მოკრძალებული მინიატურებით შეალო-კარი. ეს იყო "თეთრი ღამე", "ქალი პორტფე-ლით", "შეგობარი". მაგრამ მწერალი, როგორც ახლა ჩანს, მაშინვე და თავადვე მიხვდა, რომ ლიტერატურულ ასპარეზზე ამ გზით სელა-კარგს არაფერს მოუტანდა, მინიატურებისა და ესკიზების დრო გარდასულიყო (კ. გამსა-ხურდიას, ნიკო ლორთქიფანიძესა და სხვებს უპირველესთა ადგილი ეკავათ ამ თვალსაზ-რისით და ისინიც უკვე დიდებულნი რომანებზე ფიქრობდნენ. აკი ლიტერატურული ფანრების ასპარეზზე გამოსვლასაც, მათ მეტ-ნაკლებად დომინირებს მწერლობაშიც ყოველთვის გა-ნსაზღვრავდა დრო ისტორიულიცა და დრო რეალურიც. ასე იქნება ეს, ალბათ, მომავა-ლშიც). და აი, 1929 წელს მწერალი აქვეყნებს თავის პირველ ლირიკულ რომანს "თეო". ამ რომანშივე გამოჩნდა მკერვის ფაბულის, გამ-ჭრიახი მწერლური ტყვეტისა და თხრობის უნარის მქონე მწერალი, აღსავეს ლირიზმით, პროზის რიტმის უფლებამოსილებით, თუმცა ამბავი გახლდათ უცნაური, დრო - საზარელი და პრობლემაური. ხაზგასასმელია, რომ ეს რო-მანი იყო მაშინდელ ქართულ საბჭოთა ლიტე-რატურაში პირველი პროზაული თხზულება, რომელშიც აღწერილი იყო რევოლუციის გა-მარჯვების შემდგომი პერიოდი საქართველო-ში, ქართველ ხალხს ბრძოლა თავისუფლე-ბისა და დამოუკიდებლობისათვის და სამოქა-ლაქო ომის პერიპეტები.

"თეოს" დაბეჭდიდან სულ ერთი წლის შემდეგ, 1931 წელს, გამოქვეყნდა მეორე ლი-რიკული რომანი რაფედ გვეტაძისა - "ჭია-კოკონა". ეს რომანი კიდევ უფრო მასშტაბუ-რადაა დაწერილი, ვიდრე "თეო", რომელშიც იგივე ვითარებაა აღწერილი და საინტერე-სო ტიპაჟით ხასიათდება. სიუჟეტური ქარგა-რთული არ არის, შემოფარგლულია იმერე-თით, საფეხი ოკრიბისა და ქუთაისის მც-ხოვრებთა ცხოვრების წესითა და ადათით, მაგრამ ისეთი რეალისტური ხედვითა და მწერლური ოსტატობითაა შესრულებული, რომ დღესაც ინტერესით იკითხება და ბევრ საყურადღებო კუთხეს აშუქებს ქართველი ხალხის ცხოვრებიდან იმდროინდელი სოცია-ლურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე.

1935 წელს დაიბეჭდა რაჭდენ გვეტაძის საკმაოდ ორიგინალური მცირე ზომის ლირიკული რომანი - "ლაშაური საღამოები". მის ჯავახიშვილი ამ რომანის გამო წერდა: "ხელოვნებას სინამდვილის გაუცნაურება სწევია. ეს რომ ასე არ იყოს, ხელოვნება გამომვლებული ფოტოგრაფია იქნებოდა". ამ მშვენიერ რომანში მართლაც სინამდვილისა და უცნაურის ზომიერი, პროპორციული შერწყმაა მოცემული. უპირველესად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ "ლაშაური საღამოების" კომპოზიცია საკმაოდ რთულია და რომ არა მისი ავტორის ოსტატობა, ძნელი იქნებოდა ნოველების სახით მონოდებული და ერთი პიროვნების, ზეინაბის ბედთან დაკავშირებული გაბმული ამბის, სრულქმნილ რომანად წარმოადგენა. ლიტერატურის ისტორიაში უკვე გამოითქვა აზრი იმის შესახებ (ასეთები იყვნენ: მის. ჯავახიშვილი, ს. კლდიაშვილი, მ. გვეტაძე და ა.შ.), რომ მსგავსი კონსტრუქციის კლასიკური ნაწარმოებები მკითხველისათვის ოდითგანვე ცნობილი იყო. ასახელებდნენ ბოკაინოს "დეკამერონსა" და სელზან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუისას". თუმცა ისიც არ უნდა გამოგვჩანს მხედველობიდან, რომ ეს შედარება, რა თქმა უნდა, მხოლოდ გარეგნული ხასიათისაა. "ლაშაური საღამოები" ტრადიციადარღვეულია. ჩართული ნოველები რომანში მეორე პლანზე გადაწეული, ხოლო ზეინაბის დრამატული ცხოვრების ისტორია არსებითა და მთავარი. აქვე დავსძენთ, რომ "ლაშაური საღამოებიში" ჩართული ნოველები: "ზღვა და სიყვარული", "ოქროსი მამალი", "უცნაური გასვენება", "ჩაფხან დადემქელიანი", "ტატამ ხვარი" და სხვები სრულიად დაშოუკიდებელი ხასიათის ნაწარმოებებია, რომელნიც ნოველისათვის დამახასიათებელ ყველა პირობას აკმაყოფილებენ. ამავე დროს, ყოველი მათგანი აუცილებელი ნაწილია რომანის მთლიანობაში აღქმის თვალსაზრისით.

რაჭდენ გვეტაძე მთხრობელის როლს ასრულებს რომანში და შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ მწერლის სახელთან ერთგვარად ასოცირდება ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სახელიც - რაიბული, სიუჟეტიც თხულებიანა მკვრივია და ავტორი არც ერთ ეპიზოდს არ ტვირთავს გარეშე და ზედმეტი მასალით (რომანის მცირე ზომავე ამით უნდა იყოს პირობადებული - ც.გ.). ამ რომანშიც რაჭდენ გვეტაძეს ცხოვრებიდან აღებული, ე.ი. სინამდვილეში რეალურად არსებულიდან ამოღებული აქვს უცნაური, გულის შე-

მძვრელი და დრამატიზმით აღსავსე თაყვანის დასავალი ქალისა, რომელსაც ორი შეგობარი გამოიწვრივებია - პოეტი ლაშა თვარელი და რაიბული.

ლაშას ბინაში თავს იყრიან ახალგაზრდები და ყვებიან უცნაურ ამბებს. თან ყოველი მათგანი ცხოვრობს თავისი წესით. თითქოს დროის მავსიცემა ნაკლებად უნდა იგრძნობოდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ 30-იანი წლების, ე.ი. რეალური დროის აჩრდილი თითქმის თან დასდევს მთელ რომანს. დღიურის ჩართვა "ლაშაური საღამოებში", შეკრებები და მეგობართა მონაყოლი ამბების შინაგანი ლოგიკა ამბაფრების ნაწარმოების კითხვის იმპულსებს და თავისი სურველი შეაქვს პერსონაჟთა ხასიათების წდომის კეთილისმყოფელ სურვილში. რომანის გაბმულ ტექსტში სხვადასხვა ამბავი და დღიური, რომელიც თხულებების კენძის გახსნასაც ემსახურება, ოსტატური შერწყმა- შეხამების საფუძველი ხდება და განაპირობებს იმ უცილობელ ნარმატივასაც, რომელიც წილად ხდება "ლაშაური საღამოებს". აქვე ვიტყვი, რომ ამ რომანს კიდევ ერთი თვისებაც ახასიათებს: მასში რაჭდენ გვეტაძემ პირველად ქართულ მწერლობაში გამოაჩინა პოეტი მირზა გელოვანი და მისი "თეთრი მინა" (სხვათა შორის, მწერალს შემდეგაც უქონდა ურთიერთობა მირზასთან. მწერლის არქივში ინახება მირზა გელოვანის მიერ სამაშულო ომიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათები). ტენდენცია - რეალურად არსებული ადამიანების რომანის პერსონაჟებად ქცევისა - გვეტაძის ერთგვარ თავისებურებად, იქნებ მწერალურ აზრებადაც უნდა მივიჩნიოთ. სხვა საქმეა - ცუდია ეს, თუ კარგი. მის რომანებში დასახელებულნი და გამოყვანილნი არიან: კიტა აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, ილია წინამძღვრიშვილი და სხვები. მწერალს ამის გამო საყვედურობდნენ. გვეტაძე კი ბოდიშით იხდოდა, მაგრამ კვლავ აგრძელებდა იმ გზას, რომელსაც ჯერ კიდევ "თოში" დაადგა. 1931 წელს "ჭიაკოიანს" ეპილოგში გვეტაძე წერდა: "უნდა ვალიაო, რომ ნამდვილი გვარეზობით ხსენებულ პირთა ცხოვრების ასე საქვეყნოდ გამოშხურება, ჩემი მზრით უთუოდ კადნიერებაა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე".⁵ ეს იყო და ეს. "ლაშაური საღამოებში", შემდეგ კი "მართალ ნოველებში" ამ მწერალური ხერხისათვის მას მაინც არ უღალატინა.

განხილულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 30-იან წლებში რაჭდენ გვეტაძის მიერ შექმნილი ლირიკული რომანები - "თო",

5. ჯავახიშვილი, მ. - თხულებანი; ტ. 6. - თბ., "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 273.

6. გვეტაძე, რ. - თო, ჭიაკოიანა, ლაშაური საღამოები. - თბ. "მერანი", 1986, გვ. 277.

“ჭიაცოკონა”, “ლამაური საღამოები” როგორღაც უფორმეტია, ვიდრე გასართობად დაწერილი ნაწარმოებები. ვფიქრობთ, ამას მწერალი თავადაც ისახავდა მიზნად და ამგვარი თხზულებების შექმნა საკუთარ მისიად მიაჩნდა. საქართველოს იმდროინდელი მორალური და ზნეობრივი ვაზრნილების ეპოქაში, როდესაც ადამიანებს, მეგობრებსაც კი ერთმანეთისა არა თუ ერიდებოდათ, ემინოდათ კიდევ, გვეტაძემ გადამწყვიტა ადამიანების ყურადღება მიექყრო ადამიანურობის მარადიულ საკითხებზე, მკითხველში გაღვივებინა ცეცხლი სულისა, რომელიც ყოველი ცოცხალი პიროვნების სიღრმეში ჩამარხულიყო, მინავლებული და ფერფლად ქცეული თვლემდა და მომავლის იმედის, დღის სინათლის ჩამახშობელი ათასნაირი უკუღმართობისათვის, სოციალური ვაზრნილების ფონზე, დაეპირისპირებინა სიყვარულის ძალა, მამაც ადამიანთა დამოუკიდებელი ნაბიჯები, სალი და პატიოსანი დამოკიდებულება მოვლენებისადმი.

ამ რომანებში მოქმედების დრო თითქოს ხანგრძლივია, მაგრამ მინიც სწრაფად ვითარდება. მკითხველს ისეთი გრძობა ეუფლება, რომ მწერალმა ისინი ერთი ამოსუნთქვით დაწერა. მძაფრი შინაგანი ვნებები მოუთმენლობით ხასიათდება და გაშმაგებით მიიწვევს წინ ლოგიკური დასასრულისაკენ. მკითხველისთვის ნაცნობი პერსონაჟი საოცარი ინტიმით ავლენს თავის სულიერ მდგომარეობას, მიდრეკილებებს, განზრახვებს, და რაც მთავარი და მნიშვნელოვანია - აფიქსირებს როგორც ავს, ისე კარგს, როგორც მდაბალს, ისე ამაღლებულს და სახეობრივად გვიჩვენებს ამ გმირების სულიერ განცდებს, მოგონებების ყველაზე ღრმა შრეებს და იმ წამყვან თვისებებს, რომელნიც ამ გმირებს გააჩნიათ. ამ რომანებში უთუოდ შერბილებულია მწერლის მსჯელობის სიმკვეთრე, რომლის ადვილსაც იკავებს პერსონაჟთა შინაგანი განცდები, ფიქრები, უცაბედად მიღებული გადაწყვეტილებანი; იქნებ ზოგჯერ საბედისწერი ნაბიჯებიც, რაც ასე აახლოებს რაჟდენ გვეტაძის მწერლურ სტილს მოდერნისტულ სტილთან. ეს სტილური თავისებურება, ან ასეც შეიძლება ვთქვათ, ახლებური დამოკიდებულება პერსონაჟის შინაგანი სამყაროს ვახსნის თვალსაზრისით, მართლაც სიახლეა ზოგადად XX საუკუნის 20-30-იანი წლების მწერლობისათვის და, აქედან გამომდინარე, რაჟდენ გვეტაძისთვისაც. სამივე “ლირიკული რომანი”, ვფიქრობთ, მოდერნისტული პროზის კეთვნილება და ამ კუთხით უნდა განიხილონ ისინი მომავალმა თაობებმა.

● 1935 წლის გაზაფხულზე ზელორუსიაში მოგზაურობის შედეგად რ. გვეტაძემ ორი თხზულება შექმნა - “მახმა” და “სკირგაილო” და “ბელორუსული ნოველების” სახით იმავე წელსვე გამოაქვეყნა. პირველ ნოველაში დახატულია ბელორუსი ხალხის ბრძოლის ერთი ეპიზოდი, ხოლო მეორეში გაცოცხლებულია ლეგენდი სიყვარულისა, რომელსაც გადაეყვართ თქმულების ფერადოვან სამყაროში და რომელიც ბელორუსი ხალხის ერთგულებაზე, სიყვარულის დაუმარცხებელ ძალასა და მსხვეპრპლიან, მაგრამ ლამაზ, ყოვლისშემძლე სიყვარულზე ჩააფიქრებს მკითხველს. სხვათა შორის, ამ ზღაპრული სამყაროს, ლეგენდების გახსენებისათვის უსაყვედურეს კიდევ მწერალს. ეს ხდება 1935 წელს. ამის შემდგომ თანდათან მთელ მაშინდელ საბჭოეთს კავშირსა და საქართველოში იძაბება პოლიტიკური ვითარება. ახლოდება 1937 წლის რეპრესიები და მწერალიც, ზოგადად, ამ დროს დაბნეულია. ცხადია, მან იცის, რა უნდა წეროს, მაგრამ რასაც გრძნობს, განიცდის და ფიქრობს, ვერ დაწერს. და ესეც ჩინებულად იცის. საჭიროა თავის გადარჩენა. რაჟდენ გვეტაძემ ამ დროს, ე.ი. 1939 წელს ქმნის ორ ნოველას “გზაზე” და “სოუკ-სუ”, რომელთა მთავარი გმირია ახალგაზრდა “მოძღვარი” ანუ ოსებ ჯულუშვილი, რომელიც დასავლეთ საქართველოში მუშათა ორგანიზაციებს ქმნიდა და ზელმძღვანელობდა. ამგვარი კონიუნქტურის შემდეგ იქმნება ნოველები “შემთხვევა კოჯრის გზაზე” და “ზოთე”, რომელშიც მწერლისათვის დახაბასათებელი ლირიკული წიაღსვლებით, გული-სშემძვრელი ადამიანური სითბოთი გადმოცემულია ფარნასა და ობოლი ცარას სიყვარული და “ზოთედ” წოდებული ჭკუაზე შემცვარი უბედური ქალის თავგადასავალი, რომელსაც სამიკიტნოში ყვება ნიკალა. ამას მოყვება 1940 წელს გამოქვეყნებული “ბაში-აჩუკი”, რომელშიც აღწერილია ერთი ეპიზოდი აკაკის ცხოვრებიდან.

● ცხოვრება, ხშირად, შემთხვევითობებისგანა შემდგარი, ოღონდაც მწერლის ცხოვრებაში მოულოდნელ შემთხვევებს მოსდევს ხოლმე ახალი იმპულსები, ახალი თხზულებების შექმნა, რის დაფიქსირებაც ამ შემთხვევას არაჩვეულებრივად აქცევს და ფართო საზოგადოების, მკითხველის ინტერესს იწვევს. ამრიგად, მწერლობა, რომელიც სათავეს სწორედ ცხოვრებაში იღებს, თავისივე ხალხს უბრუნებს ბედნიერი წუთების სიღამაზესა თუ უბედური დღეების მწვავე განცდებს და მუდამ ცდილობს, გაასპექტაოს, განწმინდოს, აამაღლოს

ადამიანთა სული, წარმართის სამყარო კეთილი გზით, შთაბრუნოს ადამიანებს სიკეთე და იმედი გამარჯვებისა ყოველ საქმეში: ცხოვრებაში, შრომაში, ბრძოლაში.

1941-1945 წლების ომში, იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ბრძოლამ ფაშოზმითან მართლაც შეძრა მთელი ჩვენი ქვეყანა. და ეს არ იყო ჩვეულებრივი შემთხვევა, საქართველომაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო სხვა მაშინდელ რესპუბლიკებთან ერთად.

რაჟდენ გვეტაძე ომის ქართველთა დღეებში გაემგზავრა ფრონტზე, სადაც მისი ორი ვაჟი (ნოდარი და რამაზი) იბრძოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ომის მიმდინარეობის წლებში რაჟდენ გვეტაძე ქმნიდა და აქვეყნებდა ძალზე საინტერესო საფორნტო წარკვევებს როგორც თავად ფრონტულ გაზეთებში, ასევე ქართულ პერიოდულ პრესაში.

"მართლის თქმის პრინციპი", რომელსაც სათავე ვერ კიდევ არჩილმა დაუდო, განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელ პირობად იქცა ომის თემაზე დაწერილი თხზულებებისათვის. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, რაჟდენ გვეტაძის მთელი მანამდელი შემოქმედებისათვის ერთი უპირველესი ნიშნობა მასწავლად ქცევა გახლდათ, ხოლო ომის დროს საკუთარი თვალთ ნანახმა, განცდილმა და გავონილმა ამბებმა მრავალწლიანი განაპირობა ამ დროს შექმნილი თხზულებათა სიმართლის ძალა და შემთხვევითი სრულებით არაა, რომ 1943 წელს ცალკე ციკლად გამოქვეყნებულ ნოველათა კრებულს მწერალმა "მართალი ნოველები" უწოდა. სხვა რომ არა იყოს რა, ამ 12-ვე ნოველის მთავარი გმირი, მწერლის ვაჟი - სამხედრო ექიმი, ნოდარ გვეტაძეა. ასე აქცია რაჟდენ გვეტაძემ თავისი ვაჟი ლიტერატურულ პერსონაჟად.

"მართალი ნოველები" 12 ნოველისაგან შედგება ("შეხვედრა", "ყანაში", "მარინა", "დნეპრის პირად", "შეგობრის სისხლი", "სამნი", "ტყეობიდან გაქცევა", "ხატი და ხმალი", "ყინულის ქანდაკება", "ბარდაბარ", "ორი კურცხალი", "ვარსკვლავი"). ციკლს აერთიანებს ძირითადი თემა - ომი, რომელსაც ძნელია გადაურჩე.

ასე შეეზიანა რაჟდენ გვეტაძე დიდ სამამულო ომს თავისი ჭეშმარიტად "მართალი ნოველებით". მწერალმა თავის ხალხს დაუბრუნა "სისხლის წვიმების დროს" მეომრების ბედნი-

ერ დღეთა სიღამაზე და ტრაგიკული შემთხვევების მწვევე განცდები, რასაც სრულად ვერც ნებრივად აგვირგვინებს პიროვნების მორალური თავისუფლება და სიმინდვე, სამართლიანობის დაცვის სანყისების გამჟღავნება საქმროების ფაშა, პასუხისმგებლობის გარმობის კონსტანტაცია დაძაბულ ექსტრემალურ სიტუაციებში, შიშის დაძლევის შინაგანი ენერგია და სურვილი სიკეთის ქმნისა. ყოველივე ეს ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სრულყოფილ, ზნეობრივად ამაღლებულ პიროვნებათა შესახებ. "მართალი ნოველების" ერთი დიდი უპირატესობა სწორედ ეს არის.

● ომის შემდეგ შექმნა რაჟდენ გვეტაძემ მოთხრობა "ცხოვრება იწყება თავიდან", რომელსაც არაპირდაპირ, მაგრამ მაინც საფუძვლად ნამდვილი ამბავი დაედო და ასახავს ომის შემდგომ წლებსა და იმ ადამიანს, რომელმაც ყველაფერი დაჰკარგა, გარდა ზნეობრივი სიმაღლისა, რამაც ძალა და ენერგია შემატა და "ცხოვრებაც თავიდან დაიწყებინა", როგორც თავად ავტორი გვეუბნება. ოღონდ, დასახელებული მოთხრობა ბოლო ლიტერატურული თხზულება აღმოჩნდა რაჟდენ გვეტაძისათვის.

● შეუძლებელია ორიოდე სიტყვით არ ითქვას იმის შესახებაც, რომ რაჟდენ გვეტაძე ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. მან არაერთი ნაწარმოები თარგმნა (პროზაულიცა და პოეტურიც) რუსული, უკრაინული, სომხური თუ აფხაზური ლიტერატურიდან, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ინდური ეპოსი "რამაიანა", რომელიც მან სანსკრიტის შესანიშნავი მცოდნის - სოლომონ იორდანიშვილის მიერ შედგენილი ბეკარედებით შეასრულა. თარგმანზე მწერალს რამდენიმე წელი უმუშავია. "რამაიანა" ქართულად მშვენივრად ფლერს. მანვე თარგმნა, ლიტერატურულად დაამუშავა და გამოსცა კიდევ ნიკო ბაგრატიონის მოგონებები, სახელწოდებით "ბურებთან".

● და ბოლოს, გენამს, რომ რაჟდენ გვეტაძეს გვერდს ვერ აუვლის XX საუკუნის ლიტერატურის ვერც ერთი ისტორიკოსი.

ზმანებისა და სხალის მიჯნაზე

რეალობასა და ზმანებას, ცხადსა და სი-
ზმარს შორის ნაშლილი ზღვარი მოდერნის-
ტული მწერლობის ერთ-ერთი უმთავრესი
დამახასიათებელი ნიშანია. კავშირი მი-
ღმურ, ზედროულ სამყაროსთან უმეტესად
წამიერი, ბოლომდე გაუცნობიერებელი და
სწრაფივად წყდება, მაგრამ ესთეტიკური
და ემოციური თვალსაზრისით წარუშლელ
კვალს ტოვებს. ასახე ხდება არეკვლის პრი-
ციპით, რაც უკმარისობის გრძნობას ტო-
ვებს. საიდუმლოს ბოლომდე ამოხსნა, გაგე-
ბა და გააზრება თითქმის შეუძლებელია,
მხატვრულ ტექსტში ნივთდება და მხა-
ტვრულ სახეებში ხორცს ისხამს მხოლოდ
უცაბედი მიხედვით, წამიერი შთაბეჭდი-
ლებით გამოწვეული განცდა და ამ ახალი
ცოდნის არასრულყოფილების მძაფრი და
ტრაგიკული შეგრძნება. მით უმეტეს, რომ
მოდერნისტული აზროვნება სინამდვილის
შეცნობას საერთოდ შეუძლებლად, რეალო-
ბის აღქმას კი ფუჭ და ამაო ცდად მიიჩნევს.

სამყაროს სრულყოფილად თუ არა, შეძ-
ლებისდაგვარად მაინც აღქმის მიმართ
ამგვარ უიმედო დამოკიდებულებას პლატო-
ნის ფილოსოფიაში უდევს სათავე. იგი მთელ
სამყაროს, მის შემავსებელ საგნებსა და მო-
ვლენებს მიღმური იდეის ანარეკლად განი-
ხილავდა. მაგრამ მხოლოდ ანარეკლის, მო-
ჩვენების ამარად ცხოვრება ადამიანს ვერ
დააკმაყოფილებდა, მეტი მიღწევა სურდა
და იწყო ცნება ზმანებებში გაცხადებულ
მიღმურ რეალობაზე. მიღმური სამყაროს
არსებობას იგი ყოველთვის გრძნობდა, მა-
გრამ მის სახეებში რეალიზაციას მხოლოდ
სუფთა რელიგიურ და მითოლოგიურ დონე-
ებზე ახდენდა. მათი მიღწევის საშუალება
იყო მედიტაცია, ინტუიცია, მისტიკა. პლა-
ტონმა მიღმურ სამყაროსთან კავშირში რა-
ციონალური ელემენტი შემოიტანა და ორი
სამყაროს ურთიერთმიმართება ფილოსო-
ფიურ სისტემად ჩამოაყალიბა. ამით
ფაქტობრივად დასაბამი დაედო აზროვნე-
ბის აბელეზურ წესს, რომელმაც ათასწლეუ-
ლებში იმოგზაურა და საბოლოოდ თანამე-
დროვე განახლებული ხელოვნების მსოფლ-
მხედველობის საფუძველი გახდა.

თანამედროვე, განახლებულმა ხელოვნე-
ბებამ და ლიტერატურამ ნებაყოფლობით
იტვირთა დაფარულის ამოცნობისა და გა-
მოსახვის მძიმე მისია. "მხატვრობის საგანი
უნდა იყოს იმ საიდუმლოების, იმ "გამოუც-

ნობლისა" და მიუწვდომლის ახსნა და სურა-
თებით ნათელყოფა, რაც შეადგენს დედა-
არსს და დედაპარლეს ადამიანის ცხოვრები-
სას" (იხ. კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბ., 1970, გვ.
444). ზმანებისა და ცხადის ურთიერთმიმა-
რთება ბევრ სიძნელეს და დაბრკოლებას აწ-
ყვებდა და ამ გზაზე ქმნის თვითმყოფად მხა-
ტვრულ სისტემას.

ვასილ ბარნოვის მოთხრობებში ჯერ კი-
დევე ძლიერია მრავალსაუკუნოვანი ქართუ-
ლი მწერლობის ტრადიციები, ხოლო მოდერ-
ნისტული აზროვნების ელემენტები მხო-
ლოდ თანდათან იჭრება მისი წაწარმოებე-
ბის ერთი ნაწილის მხატვრულ სხეულში და
სხვა ტენდენციებთან განზავებული მკვიდ-
რდება, ლუო ქიაჩელი კი უკვე წმინდად მო-
დერნისტულ მწერალია, მისი მსოფლმხედვე-
ლობა, XX ს-ის დაექვევებული, მიუსაფარი
ადამიანის აზროვნება, ვერ პოულობს ფერა-
ვითარ საყრდენს ვერც იმედის, ვერც რწმე-
ნისა და ვერც ორივე სამყაროს პოზიტურ
პლანში განჭვრეტა-გამოსახვისათვის. სიკე-
მისი, უიმედობა, ნიჰილიზმი მისთვის ორ-
განული და დამახასიათებელი ხდება. რაც
შეეხება მოდერნისტული აზროვნების ერთ-
ერთ საყრდენს - ცხადსა და ზმანებას, რეა-
ლურისა და ირეალურის პირობითობასა და
ურთიერთმიმართებას - ლუო ქიაჩელი დიდ
ეურადებას უთმობს მას. რა არის ცხოვრე-
ბა, მიღმა სამყაროს არასრულფასოვანი ანა-
რეკლი, მოჩვენება, აბსოლუტურად სუბიე-
ქტური, შეგრძნებების სიღრმედად აღმოცე-
ნებული ხილება თუ რეალობა? და, რაც მთა-
ვარია, როგორია იგი, მართლაც, უსამწე-
ლოდ მახინჯია, თუ ცოტადენი სილამაზე,
მშვენიერების მარცვლი მაინც ურევია მა-
სში? აქვს თუ არა რაიმე აზრი ცხოვრებას,
თუ ამაოება ყოველივე? - ეს კითხვები აწუ-
ხებს მწერალს.

მოთხრობაში "შურაცხყოფილი" ლიტე-
რატურული გმირის, ილიკოს მსჯელობაშიც
იკვეთება ეს კითხვები: "... არსებობს თუ არა
მოვლენა, გინდ ქვეყნიერება თავისთავად,
ან როგორც გვერძინელები იტყვიან, an sich,
თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია?

რანაირია იგი თავისთავად და რანაირია
იგი, როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი?

ყოველდღიურ აზროვნებასა და ჩვეულე-
ბრივ საუბარში ერთმანეთს უპირისპირებენ
მოჩვენებას, ილუზიას და სინამდვილეს... რა
საბუთით ვუნდადებთ ერთ ფაქტს სინამდვი-

ლეს, ხოლო მეორეს - ილუზიას? რომელია უფრო მართალი? თუ ამას ფილოსოფიურად გასჯით, უთუოდ დაიბნევით და საბოლოოდ დასკვნამდე ვერ მიხვდით, მაგრამ თუ უბრალოდ შეხედავთ, უთუოდ იტყვიან, რომ ორივე მართალია... იქნებ ის, რაც ჩვენ ასე გვიზიდავს ცხოვრებაში, რაც ამდენ ალტყინებას იწვევს ჩვენში და ხშირად თავსაც კი გვაწინიწინებს, თავისთავად არაფრად ღირდეს და ისეთი სრულიად უმნიშვნელო რამ იყოს, ვთქვათ, როგორც ჩხირის გატეხვა ან ღია ფანჯარაზე ჩამოფარებული ფარდის შრიალი ნიავის გაქროლებაზე" (ლ. ქიაჩელი, თხზ. ოთხ ტომად, ტ. 1984, გვ. 351).

"Escalade"-ში მოცემული ნიღბიანი ქალის ფრაზა, შესაძლოა, ემიგრანტადაც კი წამოძვაროს ცხადისა და ზმანების, რეალობისა და ირეალურის ლეო ქიაჩელისეულ კონცეფციას: "ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა - სინამდვილე..." (იქვე, გვ. 340). ადამიანებმა თვითონ არ იციან, ვინ არიან, რეალური არსებანი თუ ფანტომები, ან რა აკრავთ გარს, რეალური გარემო თუ მოჩვენება. ისინი ირგებენ ნიღბს და ერთგვანად ამოუღებინ ბაზრის ორომტრიალში. მწერლობამ ქალს მოაძრო ნიღბი და იმედგეროულად ფარდა ახადა ცხოვრების მოჩვენებითობასა და კაცობრიობის ფუჭ ბრძოლას: "არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილად არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღბი და ნითელ-ვითელის მისასახამი!" (გვ. 342). "Escalade"-მ დაადასტურა, რომ თვალის გვატყუებს, ყურიც, მთელი ცხოვრება კი სიყალბეა და შეცდომა, რომელიც არასრულს არსებულად აღიქვამს. ქემშარიტს, ნამდვილს, მართლაც არსებულს კი ვერავინ მიაგნებს, რადგან სამყარო არის ის, "რაც იყო და არ იყო".

ლეო ქიაჩელმა უარყო მინიერ რეალობის არსებობა. მხატვრულად ტრანსფორმირებული, ესთეტიზებული და მძაფრ ემოციური სარწმუნის მქონე ფილოსოფიური მოცემულობა უფრო თვალსაჩინო, იოლად აღსაქმელი და დამაჯერებელი ხდება. ვრძობებზე ხემოქმედებით მწერალი აღვიძებს გონებას, ურთულეს მსოფლმხედველობრივ საკითხებს მხატვრულ ქსოვილში გახვეულს სთავაზობს გასააზრებლად. მოთხრობა "შეურაცხყოფილის" გმირი, ილიკო, გაფაციცებული აყურადებს კედლის მიღმა მუხობელი ქალის მოძრაობას. მას ჰგონია, რომ ზუსტად უსადაგებს ერთმანეთს ვაკონილ ზმაურსა

და მის შესაბამისად საეარაუდრ მქმედებებს. აი, ქალმა, როგორც ჩანს, ჩაი დალია, ლოგინს შლის, ტანსაცმელს იხდის, ნება. კაცი ქალის ოთახში შედის, იქ კი არავინ დახვდება. ოთახი ცარიელია. თურმე ქარი აშრიალედა ფარდას, კაცის გონებაში კი ქალის მოქმედების მთელი სურათი დაიხატა, თანმდევი განცდითა და ემოციით. ილუზიამ დაჯაბნა რეალობა. სწორედ ასეთ დროს იბადება საშინელი ექვია: ვა ჩვენი, თუ ეს ცხოვრებაც და ჩვენი თავად... ასეთივე მოჩვენებანი, აჩრდილები ვართ, ცხადისა და ზმანების მიჯნაზე მუდმივად მერყევი ფანტომები, რაღაც ზერეალობიდან მიღებული გოლოგრაფები, რომელთაც არც ქემშარიტი გზის პოვნა შეუძლიათ, არც ხილულისა და მიღმურის არსის გარკვევა და არც რაიმე ძალა ან გრძობად-ესთეტიკური ხიდი (სიყვარული, მშვენიერება) ჩანს, რომელიც საკუთარ თავთან მიიყვანს მათ.

სიყვარული უარყოფილი ("ზღაპარი ბედნიერებაზე", "კრიმინალური"), ამქვეყნიად მშვენიერება არ არსებობს, ყოველივე ხილული მრუდე ფანტაზიის ნაყოფია და თანაც ნაკლოვანი, მახინჯი ("Escalade", "შეურაცხყოფილი", "განყვეტილი სიმი"). საგულისხმოა, რომ ვასილ ბარნოვი ამტკიცებდა და გამოსახავდა მშვენიერებას, ლეო ქიაჩელი უარყოფს მშვენიერების ამქვეყნიად არსებობას, მაგრამ მისი ასახვისა და გამოსახვის პრინციპი ესთეტიკურია. თვით "Escalade"-ში შექმნილი სკეპსისით, ამოცების განცდითა და სევდით გამსჭვალული სურათიც კი თავისი ექსპრესიულობითა და ფერადოვნებით აღძრავს ესთეტიკურ გრძობას. ზმაური, ბგერა და მისი საპირისპირო დუმილი გადმოსცემს გრძობას. დუმილი სიმბოლისტური და საერთო მოდერნისტული აზროვნებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომსახველობითი საშუალებაა, როცა აღსრულებდა უმაღლესი ქემშარიტება, ადამიანი განიძარცვება ზორცისაგან, მისი გაღვიძებული სული გადადის მიღმა სამყაროში, მას აღარ სჭირდება ბგერა, სიტყვა. მათ ადგილს იკავებს დუმილი, ანუ სულთა მეტყველება. ლეო ქიაჩელის მოთხრობაში "ისკანდერი" გმირი კვდება, მაგრამ მისი სიკვდილი სწორედ გარდაცვალებად, გარდასახვად, მიღმა გადასვლად აქვს გაზიარებული მწერალს. ისკანდერმა მიაღწია გზის ბოლო წერტილს, უმაღლეს და უმთავრეს პუნქტს, გადავიდა ქემშარიტ სიკვდილში. თავის მეგობრებს აღუთქვამს, მოვა დრო და თქვენც აღსდგებით მკვდრეთითო. სიკვდილი მისთვის გაღვიძებას, "მკვდრეთით აღდგომას" ნიშნავს, როდესაც არსებობს კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება - "დუმილის ენა".



მიღმა სამყარო საპირისპიროა, მიწიერი. ზმანებათა საუფლოში გადასული ისკანდერი ირდენაკის ზდება. აქ სარკისებური არეკვლის პრინციპი ძვეს (პლატონისეული იდეათა ემანაცია). არსებული სამყარო მილმურის სარკისებური ანარაფია, რაც ჩვენ სწორი გვეგონია, სწორედ ისაა ანარეკლი და შებრუნებული, თანაც დეფექტური, მახინჯი. ამქვეყნიური (მახინჯი) ნილაბია იმქვეყნიურის (მშვენიერის), შესაბამისად, ხმაური, ბგერა ნილაბია ჭეშადიცი ენის - დუმილის. მახინჯი ტავუს ("ჯადოცისი") სიმახინჯე მოჩვენებითაა, ამიტომ იგი მიმზიდველი და მომზიბლავია მათთვის, ვისაც თავისი ნამდვილი სახით, ნილაბადილად მოეცლინება. მის მიღმა იგრძნობა უფრო მაღალი, მძლავრი და სრული არსება. სტეფანი და ყრო - მუნჯი ძოკო ("სტეფანი") გამორჩეულნი, ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განსხვავებულნი არიან. ისინი დუმილით "ესაუბრებიან" ერთმანეთს, დუმილშივე უსმენენ ბუნებას და ესმით მისი ენა. ტავუ, სტეფანი და ძოკო უფრო კიდევ სიცოცხლემივე სახეხევროდ გაღვიძებული სულის მქონე პერსონაჟების ჯგუფს მიეკუთვნებიან.

არსებული სინამდვილე სიმახინჯედ აქვს გააზრებული კონსტანტინე გამსახურდიას. იგი ცდილობს, მოჩვენებითობის თხელი გარსი გამოაცალოს არსებულის მახინჯ სახეს. "ლილში" ულამაზესი ქალის ქმარმა, ექიმმა შარუბიამ (ექიმი-ნატურალისტი, სხეულთან, ხორცთან ყველაზე ახლო მდგომი და მათი ყველაზე უკეთ მცოდნე ადამიანი) შეასრულა ეს მოქმედება და დაგონებული გმირის - ესთეტის თვალწინ მთელი სისავსით წარმოაჩინა მშვენიერების ფარდას ამოფარებული სიმახინჯე, თვალნათლივ აჩვენა, რომ ყოველივე ხილული ყალბია, რადგან არაფერი ისე უმგვანოდ მოწყობილი არ არისო ჩვენს აგებულებაში, როგორც თვალი. არაფერი ისე არ გვატყუებსო, როგორც თვალი" (კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, თ. 1959, ტ. II, გვ. 39). ასე ადასტურებს მხატვრული სახე მოდერნისტულ ფორმულას: "თვალი გვატყუებს, მიაკუთვნებს რა მზის თვისებას ყვავილს, რომელსაც ჩვენ ვუშვართ. ყური გვატყუებს, მიიჩნევს რა პაერის რხევას მონკიალდე ზარის თვისებად. მთელი ჩვენი ცხოვრება გვატყუებს" (Брюсов Б., Вопросы поэтики, М., 1973, т.6, გვ. 92).

კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული სტილიათვის ნიშნულია რეალურ მოვლენათა ჯაჭვში ირეალური ელემენტების თავისუფალი ჩართვა. მოდერნისტული აზროვნებისათვის მნიშვნელოვანი ცხადისა და ზმანების ურთიერთმიმართების საკი-

თხი აქ მისტიური და მითოსური დონეების გააქტივებით ირკვევა. არქაულ წრეებში შეღწევით მოიაზრება მიღმური სფერო, უფრო საინტერესო, ღრმა და თვალსაჩინო მხატვრულ სახეებში ესხმება მას ხორცი. "ტაბუში" უცხო, უცნობი, სატანა თავისუფლად და ძალდაუტანებლად იჭრება ბისკაიებისა და ხარბუდების რეალურ ყოფაში. ის მოდის გარედან, სხვა განზომილებიდან, მაგრამ მინაზე იძენს ხორციელ სახეს: ჯერ მნიშვნელოვანი უცნობია, შემდეგ - შავი მორიელი. საგულსხმაო, რომ მწერალმა ამ სახის განვითარებას განსაზღვრული მიმართულება მისცა: კონკრეტული ხორციელი არსიდან აბსტრაქციამდე, ბოროტების იდეამდე (უცნობი, მნიშვნელოვანი კაცი - შავი მორიელი - მიჯაჭვული დემონი). ეს მითოლოგიურ-მისტიური სურათი ნათესადი ხდის ნანარმოების ძირითად სათქმელს: ყოველ მოვლენას ორი პლანი აქვს - მინიერი და მილმური, ყოველი რეალური მოვლენა მიღმა სამყაროდან წამოსული იმპულსებითაა გაპირობებული და მას უკავშირდება. ამ კავშირს ნათლად გამოსახავს მისტიური და მითოსური ასპექტები, მაგრამ გამომსახველობითი თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი ქვეცნობიერი დონის გააქტივებაც, რაც ორეულთან, მეორე "მე"-სთან შეხვედრასა და პეიზაჟის აღწერაში გამოიხატა. საკუთარ ორეულთან შეხვედრა ის შინაგანი ხილვაა, რომელიც ფარდას ხდის მოთხრობის მისტიურ პლანს. შინაგანი განათების პროცესში მთხრობელი ხედავს იმას, რაც სხვათათვის დაფარულია. იგი ხედება თავის მეორე "მეს" - ევროპულად ჩაცმულს, აქ, ამ გარემოში უცხო:

"სად იყო ლანდი?
 არა, მე ჩემსავე" მე" - ს შევეჩხე. მას, მეორეს, ნაცლისფერი... ინგლისური პომპოსონის კოსტიუმი ეცვა. მაღალი, ჩალისფერი ქუდი ეხურა, ქედანისფერ ზორტემორტყმული. ფლავი, შვედური ტყავის თათმანი. მრგვალცხვირიანი, სქელლანჩებიანი ამერიკული ფეხსაცმელი.

ცალ თვალზე მონოკლი ჰქონდა" (კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, თ. 1959, ტ. II, გვ. 86).

ისინი ერთად მიუყვებიან გზას და უკვე ძნელი სათქმელია, რომელია რეალური და რომელი ხილვისმიერი. პეიზაჟი, სივრცეც ხელს უწყობს ცხადსა და ზმანებას შორის ნაშლილი ზღვარის შეგრძნებას.

"მივადაჯებდ...
 სივრცეს ვერ ვერეოდი. გერი სათოფეზე დამცილებოდა. და ეს ლობები, ეს თხრილები, ეს ალვის ხეები მენყერიან ნიადგავით მისრიალებდნენ ულევ სივრცეში.

ათასჯერ გამოცლია აქ ჩემ ბავშვობაში, მაინც მუუცხოვა ეს თემშარა, ეს ორლობები, ეს მჭვარტლით გამურული, ისლით დახურული სახლები" (იქვე, გვ. 87).

იგი ერთდროულად ხედავს თავის ორივე სახეს: ბუნებრივს, არქაულს, ძირულს ("მე-ჩოხიანი") და ზედნაფენს, უცხოის ("მე-მონოკლიანი"). აქედან იღებს სათავეს გაუცხოების მომენტი, რომელიც მოთხრობაში გამოსახული ბოროტების იდეის ერთ-ერთ ანარეკლად, ერთ-ერთ განსხვავებად აღიქმება. ადამიანურ არსების შემადგენელი ორი საწყისიდან როცა იმარჯვებს უცხო, ბნელი, სატანის ბატონობის ხანა დგება. ამ შემთხვევაში ორი საწყისი საკუთარ თავში ორი კულტურის შეჯახებით გამოხატა მწერალმა. ცივილიზაციასთან ზიარებით საკუთარ თავთან გაუცხოება, ფესვებიდან მოწყვეტა ("დიონისოს ლიმილი", "შთვარის მოტაცება"), აქტუალური იყო მისთვის და ამიტომ საერთოდ ადამიანისათვის ნიშნული შინაგანი გაორება მოთხრობაში ასეთი დაპირისპირებით გამოხატა. ჩემთან ერთად მიჰყვებოდა ხრემიანი თემშარას. მოსისხარიეთ მზვერავდა და მითვალთვალეზდა.

კიანთობდა ნასამხრალი მზე, ხარის თვალის ოდენა მონოკლში. და ისევ იცინოდა... მარცხნივ, ჭალეებისაკენ მიმავალ თემშარას მიუპყვით: მე - ჩოხიანი, და მე - მონოკლიანი" (იქვე, გვ. 87).

გაორება რომ საყოველთაო მოვლენაა, იქვე ჩანს: ყველა შემხვედრ გლეხსა ჰყავს თანმდევი ორული და ეს მისტიური ხილვა აძლიერებს პარალელურ სამყაროთა არსებობას და ურთიერთგამსჭვალვის შეგრძნებას.

ყველაზე საოცარი ის იყო, გლეხებიც წყვილად რომ მოდიოდნენ, ორულეებს ორულელებისთვის მკლავი მკლავში გაეყვართ. ორული ორულს მისდევდა. ორული ორულს დასცინოდა: მაგრამ როცა გლეხი გლეხს შეესიტყვებოდა, მოლაპარაკე ანაზღუდულად დაცალდებოდა" (იქვე, გვ. 88).

მოთხრობის ექსპონიციამივე მძაფრად მოხაზული შინაგანი გაორება, ერთ არსში ორის - უცხოისა და ძირულის - არსებობა განსაზღვრავს შემდგომი მოვლენების შინაარსს. გასარკვევი ხდება, რომელი სახეა ზმანებისშიერი და რომელი - ნამდვილი. სიოჟეტის გამოის კვალდაკვალ მწითური უცხო - შავი მორიელი - დემონი აღიქმება როგორც ნაჭყვედელთა მეორე "მე" - ბნელი, შავი, ბოროტი. ესაა მათი ჭეშმარიტი სახე და მის გამოვლენას თან სდევს სიკვდილისა და სიძულვილის აღზევება.

გარკვეულ მომენტში, ორულითან შეხვედრის შემდეგ, მოთხრობელმა ველარ იცნო გარემო. იგი თითქოს მოსწყდა მიწას და სადღაც

დაინთქა პეიზაჟი: სასაფლაო, ნასამხრალი, ნასოფლარი, ლობები, მინდვრები, ანთხობები, ფეხქვეშ გამოცლილი ნიადაგი, ულვე სიერცეში გასრიალებული ალვის ხეები ქმნის ზმანების, ირეალურობის შეგრძნებას და ზუსტ ფონს უქმნის მოთხრობაში აღწერილ ამბავს. ჩანს, რომ ცხადისა და ზმანების მყეფე მიჯნაზე დაფუძნებული სამზერებიდან სამყაროს განჭვრეტა მწერლისთვის არ ნიშნავს მხოლოდ აზრობრივი, იდეური დონეების ამოქმედებას, არამედ წმინდა გამომსახველობითი, გრაფიკულ-ფერწერული ხერხებით მოქმედებისათვის შესაფერისი ემოციური ფონის, განწყობილების შექმნას. ხელოვნებისთვის, მწერლობისთვის ემოციურ-ესთეტიკური განცდა უმთავრესია და საბოლოოდ ისევ აზრის, ნაწარმოების კონცეფციის რელიეფურად გამოკვეთას ემსახურება.

ორეულის შემოყვანა და აქტურად ამოქმედება მოდერნისტული, სიმბოლისტური ხერხია კონსტანტინე გამსახურდიასთან. იგი ექსპრესიული თხრობის რიტმს შეერწყა და გამჭვრეტელ სიმბოლოს, მინიმუმების სახე მიიღო. ლეო ქიაჩელმაც გამოიყენა ორულეების შესაძლებლობანი. მოთხრობაში "მე და ჩემი ორი მე" ხდება რეალური და ნარმოსახვითი "შეების" დაპირისპირება. პირველი "მე" - ს ტრაგიკული ყოფა ორულელთან ჭიდღლმა განსაზღვრა. ლეო ქიაჩელმა ცხოვრების ამოვლის შეგრძნებას, სიკვდილს და ხელახალი ცაცოცხლების მიძიმე განცდას შესახა ხორცი. იგი შეეცადა, მიახლოებოდა მიღმა სამყაროს, საიდანაც მოდის ორულთა დაუსრულებელი წყება. საბოლოოდ გაორებული ადამიანი შეიძლება გავიზაროთ როგორც ანარეკლი ანარეკლში. ორულთან შეხვედრის მოტივი მტკივნეულ კვალს ტოვებს ფსიქიკაზე, ასეთი ნეგატიური პლანით აისახება იგი მწერლის ცნობიერებაში და შესაბამისი განწყობილება გადადის უკვე მხატვრულ ნაწარმოებში გამოსახვის პროცესზე. კონსტანტინე გამსახურდიას "მკვდართან შეხვედრაში" ნათლად აისახა და მოქნილ გრაფიკულ კომპოზიციანი გამოსახვა მეორე "მე" - სთან შეხვედრის მტანჯველი გრძნობა. სიკვდილის ამაოება, ნარმავლობა, იმედის უქონლობა შეერთდა, გამკვრივდა მკვდრის სახეში, რომელიც დაქტობრივად ლირიკული გმირის მეორე "მე" - ა. თავი მოუყარა მის ყველა განცდას, სიკვდილისკენ სწრაფვას, შიშს და მკვდარი სხეულის შემზარავი მეტაფორით დაუპირისპირდა. მკვდართან, მეორე "მე" - სთან შეხვედრა ერთდროულად აღძრავს შიშს, ტკივილსა და ცხოვრების გაზარების სურვილს: "ვნეკარ პირალმა იატაკზე და ვფიქრობ: ჩვენ ყველანი საგნების თოკზე ვკიდევართ დღე და ღამ და გამვლელ-გამომვლელს ვედრებებით: "ძირს ჩამომიღე, დამასვენე, შე ქრისტიანო!"... (იქვე, გვ. 13).



როცა ორეული პირდაპირ სახელდება, ეს გამოსახვის შედარებით მარტივი, იოლად აღსაქმელი და ზედპირული ხერხია, მაგრამ არსებობს ორეულის გამოსახვის უფრო სიღრმისეული გზაც: ორეული ან დასახელებულ არქეტიპში იგულისხმება ან ხასიათის სტრუქტურის მიღმა ამოიცილობა. მაგალითისათვის, დემნა შენგელაიას "გურამ ბარამანდიაში" ლეგენდის (ირეალური პლანი) გმირი ახალგაზრდა თავადი ემუხვარი გურამ ბარამანდიას სახისა და ცხოვრების (რეალური პლანი) ორეულის საფუძველია, მხოლოდ არქეტიპის (ემუხვარი) და მასზე კონსტრუირებული ხასიათის (ბარამანდია) მთლიანობაში მოახრებთ ხდება გასაგები წინარმოების მხატვრული კონცეფცია. საკუთარ თავთან გაუცხოება, უცხო ქალის სახედისწერო სიყვარული, სამშობლოდან გადახვეწა და დაღუპვა კონკრეტული ისტორიული, სოციალური მოვლენებით კი არ არის განპირობებული, არამედ ზედროულ და ზესივრცულ, მუდმივ არქეტიპში, მოდელში უდევს საფუძველი. ციკლურ წრებრუნვაში მეორდება ორეულთა შეხვედრა, რაც საბოლოოდ საკუთარ თავთან შეხვედრის და მისი არსის გააზრების ტოლფასი ხდება.

მოთხრობის გამჭვირვალე მხატვრულ ქსოვილში ნამიერად გაელეებული, მინიშნებული ორეული განმარტავს ამა თუ იმ მოვლენის, ქმედების შინაარსს. კონსტანტინე გამსახურდიას "ლილ"-ის ფინალში ექიმი შარუხიას დემონურმა პორტრეტმა ფარდა ახადა მის ფარულ არსს. შარუხიას ორეული - დემონი განსაზღვრავს მისი ბოროტი ქმედების არსს.

"ამ ნუთში იგი პირნავარდნილი მეფისტოფელი გეგონებოდათ.

რამდენი ირონია, რამდენი ცინიზმი განსახიერდა მის ბანალურ წითელი ტურის კუთხეებში. მის ნეკტიან კბილებსა და ცანცარა წითურ ნვერს შორის" (იქვე, გვ. 43).

თამაზ ვარდანიძის მიღმა ილანდება მისი ორეული - ზეკაცი, არქეტიპული ორეული - დიონისე (კონსტანტინე გამსახურდია "ქალის რძე"). ძალიან საინტერესოა თავადის ქალის მიახსნა ღრმად მიძალადი ორეული - როკაპი, რომელიც ტაბაკონს მიდის (ლეო ქიაჩელი "თავადის ქალი მაია"). ცხოვრებიდან უარყოფილი, სასოწარკვეთილი ქალი ბოროტდება, მისი სულის სიღრმედაც მოულოდნელად ამოინერვა ორეული - როკაპი, კუდიანი.

"როკაპმა შოლტი გაატყლაშუნა.

"ტაბაკონმა!"

დასჭყილა მან უკანასკნელად და ფერხულიც ტაბაკონასკენ დაიძრა უკანმოუხედავად.

- კუდიანების ღამეა ეს ღამე, ბონდო... და შენც იგივე გჭირავს თავი, თითქოს როკაპმა სა-

სიკვდილოდ დაგდალაო... კუდიანების წამქეჩე ეს ღამე, ბონდო, და სიქეი, რა გასურს, რომ აგისრულო? ასე ნუ მოგიწყენია... სანამ როკაპი ტაბაკონას ნაიფდოდეს და მენცარის მეუფებას ბოლო მოეღებოდა..." (ლ. ქიაჩელი, თხზ. ოთხ ტომად, თ. 1985, ტ. II, გვ. 268).

მაია ბოროტებას სჩადის და სულ უფრო და უფრო უახლოვდება მის არსებაში თითქმის ძალით შემოჭრილ აესულს, უცვებ ამოტივტივებულ მეორე "მე"-ს, მისი თვითმკვლელობაც ამ ორეულიდან თავდაღწევის, გაათავისუფლების სურვილითაც უნდა იყოს გაპირობებული.

ორეულების შეხვედრას მოთხრობაში ზოგჯერ ექსტრემალური სიტუაცია განაპირობებს. მიხეილ ჯავახიშვილის "შავ კლდეში" ორეულების დაშლა, სხვადასხვა "მე"-ს დამორება ქმნის გაუგებრობის, დაძაბულობის, შინაგანი დისკომფორტის შეგრძნებას. ამიტომ დამოლო ორეულების (გვიგე შადური და მის მესხიერებაში შემონახული მეორე "მე" კატასტროფითა და ადამიანური გაუტანლობით შეძრული ბიჭი; რუსიკო და მისი მამა; თავზარაული და მისი მამა) ხელახლე შეხვედრას შავ კლდესთან პოზიტორი მნიშვნელობა აქვს საბედისწერო კვანძის გაჭრას იწვევს. ორეულებმა გადალახეს დრო და სივრცე და მათი შეერთებით ყოველი მოვლენა თავის ადგილს იჭერს. "პატარა დედაკაცში" სპირიდონ რონველის ორეულად იმთავითვე ჩაფიცვებული იყო შავპირა აფთარი, მგელკაცა - მოთხრობაში დატრიალებული ყოფილი ტრაგედიის სიმბოლური გამოხატულება, ორეული ჯერ პორტრეტში იჩენს თავს: "ექიმი რონველი მართხობდა კაცი იყო. შუა ტანისა, ჩახსმული, სქელისკერა, მრგვალებეჭება და მგელკაცივით შავპირა" (მ. ჯავახიშვილი, თხზ. რვა ტომად, თ., 1973, ტ. III, გვ. 114). ამირან რიშანიძე ინსტიქტურად გრძნობს ამ ორეულის არსებობას, როცა სპირიდონისაგან გამოჩენილი ბავშვი ამბობს:

"ეს ბავშვი შავპირა აფთარმა შემოგვაპარა".

"სოფიოს სპირიდონი გაახსენდა: მართლა შავპირა იყო. ქუშიანი, საზარელი ღიმილი და მიშპარავი სიარული ჰქონდა და მართლა აფთარს - მგელკაცს ჰგავდა" (იქვე, გვ. 117-118).

სპირიდონის ნაჩუქარმა სურათმა კი უკვე სიმბოლური ფუნქცია მიიღო და აფთარის სახე უკვე პირდაპირ ხსნის მის ხასიათს:

"ერთხელ სპირიდონმა ყურნალიდან ამოჭრილი სურათი მოუტანა: უდაბნოში შავ ქვაზე შავი და პირქუში დედაბერი ზის, ნეკტიანი ნიკაპი გამხმახმა ხელზე დაუხუფენია. მეორე ხელში მკვდარი თავი უჭირავს. ფეხებზე ჭირიანი ძალით ჰყავს მიბმული. იქვე გაცრეცილი და



უფოთლო ხე დგას, ხოლო ხეზე სახარელი და უცნაური ლამის ფრინველი ზის, - ბაიყუში, მიკოტი, ბუენაჭო თუ ქოტი. აქა-იქ დაცოცავენ გველი, მორიელი, თობობა, ნიანგი და გველეშაპი. შავი ქვის უკან პირშავი აფთარი, ანუ როგორც სპირიდონმა განმარტა, მგელკაცა, ანუ მინის მგელი, ანუ უზარმაზარი, ატუზულა.

“ანუ სპირიდონი” - დამატა გუნებაში პატარა დედაკაცმა” (იქვე, გვ. 118).

ვიდრე სპირიდონიც არსებობდა და ორეული - აფთარიც უმავრებდა მხარს, მისი სახით ილუსტრირებული ბროკეტაც იმარჯვებდა. მაგრამ ამირან რომანიძის - განახლებული ამირანის დაბრუნების შემდეგ სპირიდონი თანდათან ქრება და მის ადგილს მთლიანად იკავებს მისი მეორე “მე” - ცოფიანი აფთარი. საბოლოოდ მისი სულის ბნელი ნაწილის სრული გამარჯვება სპობს სპირიდონს და რჩება მხოლოდ ლემის საჯიჯგნად გავარდნილი პირსისხლიანი აფთარი, რომელსაც დიდხანს არავენ აბოგინებს. “საცხდრო ვაშუქებულა, მაგიდაზე ოთხი უპატრონო და მოუკითხავი ცხედარი ასვენია. ოთხივეს სუდარები ახდლი აქვთ. თეთრ ხალათში ვახეული და შავი ნაჭრით პირახეული სპირიდონი ცხედარს მისდგომია და მის მუცელს გაფაციცებით სჭრის და პლადრავს” (იქვე, გვ. 145). ადამიანურ “მე”-ზე ცხოველურის გაბატონებამ გაანადგურა პიროვნება.

საერთოდ, ორეულ-ცხოველს დიდი ფარული შესაძლებლობები აქვს. იგი მარტივი, თვალსაჩინო და ოღალად აღსაქმელია, ხასიათის ფართოდ გაშლასაც ემსახურება და წმინდა ესთეტიკურ-გამომსახველობით თვალსაზრისითაც მეტ სიმკეთურეს და ფერადოვნებას სძენს ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში “ამოზრდილ” ფიგურებს. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი, ესთეტიკურად სრულყოფილი და ემოციურად დატვირთულია ორეულთა წყვილი - პეტრე-გველი ვასილ ბარნოვის მოთხრობიდან “გველის ზეიმი”. მოთხრობაში “ამოძრავა კამიტალი” ადამიანს, ფოცხვერას ჰგავს მეორე “მე” - ცხოველი, ფოცხვერი, “ორი პიროვნება აღიზარდა ფოცხვერასში, ერთი ხელოვნურად განვითარებული, მეორე ბუნებრივი; ერთი კეთილისკენ პირფერად მიზირდა, რომელსაც სათნოებისკენ ეჭირა პირი, მაგრამ მხოლოდ სიბყვიით და გარეგანად, ხოლო მეორე მტაცებელი, რომელსაც მთელ დუნიაზე მარტო თავისი თავი მიაჩნდა ღირსად პატივისა და მზად იყო მისთვის სათაყვანებლად დაეხარნა ყველა და ყოველივე” (ვ. ბარნოვი, თხზ. სრ. კრებული და ტომად, თ. 1961, ტ. V, გვ. 119). ფოცხვერა-ადამიანი მტაცებელია, მის სახეში ნათლად ირეკლება მიღმური რთული - პირსისხლიანი ნადირი, რომელიც ნელ-ნელა ავიწროებს ადამიანურ “მე”-

ს. “ყველა ამისთანა ხიფათის შემდეგ ფოცხვერა განვებოდა, ბრწყალებს მალავდა, ტურჩებს ილოკავდა, რომ სისხლის ნვეთი არსად დაჰმჩნეოდა, ელოდა, სანამ დელევებული ღვარი ჩაივლიდა და თან წაიღებდა ყაყანს თუ მითქმა-მოთქმას; თან ღრინავდა ბორბად, თავის თავს უღრენდა” (იქვე, გვ. 199). საბოლოოდ, ორეულები შეხორცდნენ, ცხოველურმა სანყისმა ჩანთა ადამიანური “და ნარსდგა ბალახის წინ ფოცხვერი პირსისხლიანი” (იქვე, გვ. 130). “ფებერას დაწმუნულში” მედღეუმი თევდორას ხასიათი ილუსტრირებულა ორეული-ცხოველით, აფთარით. ფაქიზი სულის მქონე იონას მინაგანმა მჭერამ უმაღლ დაიჭირა თევდორას მეორე “მე”, რომელიც განსაზღვრავს მის ქმედებას: “- თევდორა კი არა, აფთარი იყო, დედიჯანს იმის თვალებიდან აფთარი მიღრენდა და მიკაპუნებდა, აკი მწვედა კიდეც და კბილი ჩამიჭირა!” (იქვე, გვ. 455). ცხოველი-ორეული გამოიყენა კონსტანტინე გამსახურდიამაც. “ხოგაის მინდიაში” ხარჯიხვი ხადინათის ორეულადაა გააზრებული (მდრ. ნებიერა-შორენა, “დიონისტატის მარჯვენა”). ხარჯიხვის მოკვლით მინდია შედგა სიკვდილის, სიყვარულის, ნათელი სულის დაკარგვის გზაზე. იგი გრძობს, რომ აქედან იწყება მისი პიროვნების რღვევა.

“შამინ იგრიალა მინდიას თოფმა და ნაიქცა მენინავე ხარჯიხვი. არ დასცალდა წყლის მოსმა მთელი დღის ნამწყურვალზე ნადირს.

დაიფრუტუნა გულგახეთქილმა ჯოგმა და მიანყდა დაცურებულ ფლატეს.

მიეჭრა ნაქცეულს ხოგაის მინდია, ჯახველისფერი სისხლი დაღვრილიყო თუმურ ყველსავით დაჩხვლეტილ ქვაზე.

ღია დარჩენიდა ხარჯიხვის ქლიაფისფერი, მშვენიერი თვალები, სამედურავით სავსე, ჯიხურის თვალები.

დაიოქა ხოგაის მინდია. ბალღვიით იტირა, სველსა და გასიპულ დრუნჩზე აკოცა ნადირს” (ვ. გამსახურდია, რჩ. თხზ. თ. 1959, ტ. II, გვ. 210-211).

ხარჯიხვის მოკვლის შემდეგ იგი უკვე ხადინათსაც კლავს. აქაც იგივე მოძრაობა, ისევე “მიეჭრა” მოკვლულ აზვროსანს მინდია, როგორც ხარჯიხვს.

“მერმე ის იყო, პირველად შემოვარდნილ ჯავშნიან ქისტს უკანასკნელი ტყვია შეავტება ხოგაის მინდიაში, როცა იგი ნაიქცა და დეიანის ბოლი გაიფანტა, მიეჭრა ხოგაისძე ცხედარს, რადგან ხეცსურული ჯავშანი ეცნაურა სამფარემოსანი.

მუხრავი მოხდა თუ არა ცხედარს, მყისვე შეიკნო მზისფერი ხადინათ” (იქვე, გვ. 218).

ხარჯიხვისა და ხადინათის სიკვდილი ერთნაირად მძიმეა მინდიასათვის, ისინი ორეულები არიან - სილაღის, ბუნების მშვე-



ნიერების, თავისუფლების, ამაღლებული გრძნობის სიმბოლო. მათი დაკარგვა მინდისათვის მთელი სამყაროს დაკარგვას, მიღმურ ჭეშმარიტებასთან დამაკავშირებელი ძაფების განწყვეტას ნიშნავს და მის დაფლავასაც მოასწავებს. საპირისპიროს, ჯუფთის (მოცემულ შემთხვევაში ორმაგი სახე - ქალი-ჯიხვი) დაკარგვა საბედისწეროა.

საპირისპიროს არსებობა ან არ არსებობა ისეთივე მისტიკურ, ზრეგალურ მოვლენად აღიქმება, როგორც ორეულია, ოღონდ მხატვრული შედეგია სხვადასხვა. ორეული განმარტავს და საფუძვლად ედებოდა ხასიათს, განსაზღვრავს მოვლენათა თანმიმდევრობას და პერსონაჟის ბედს, საპირისპიროს კი მხოლოდ მის ბედისწერას განაპირობებს. ბედისწერის პრობლემა საერთოდ მნიშვნელოვანია მოდერნისტული მხატვრული აზროვნებისათვის. იგი მიღმურ სამყაროს უკავშირდება და მოულოდნელად ესთეტიკურ გადაწყვეტილებასაც იძებს. მოდერნისტული მხატვრული სისტემა ადამიანის გონებრივი თუ ფიზიკური სიმახინჯის გამოსახვას მის ბედისწერასთან დაბლოებად აღიქვამს. განსხვავებული, ანომალური პიროვნება თითქოს ამოგარდნილია რეალური დრო-სივრციდან, სამაგიეროდ, უზუალოდ ერთგვარად მიღმურ ნაკადში და შეიმეცნება სამყაროს სხვათათვის დაფარულ ნაწილს. მისი ცხოვრება ცხადისა და ზმანების მიჯნაზე გადის, მართულია ბედისწერით, არა ჰყავს (რეალურ დროში არ ექნებება, დაკარგულია) ჯუფთი, საპირისპირო. ვასილ ბარნოვის მოთხრობის "ყვეილებში" გმირის ბაბუცას სიმახინჯე განსაზღვრა წინარე ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვით გაპირობებულმა ბედისწერამ. მიწიერი ყოფა მოუღებელია მისათვის, ტკივილითა და მოუსაფრობის მძაფრი განცდითაა დასვე აქ და ახლა, ემპირიულ დრო-სივრცეში მისათვის არ არის გათვალისწინებული ჯუფთი. სამაგიეროდ, წინარე განკაცებისას არსებობდა მშვენიერი ჭაბუკი, რომელიც მაშინ უღმობლად უარპყო ბაბუცამ. საპირისპიროს უარყოფა საბედისწერო შეიქნა სულისთვის და ხელმოკრედ ზორცმესხმისას მას დაეკისრა გონჯი სხეულისა და მშვენიერებისადმი ზემსწრაფველი სულის უმძიისი ტვირთი. ეოდრ ბაბუცამ გაიაზრა თავისი მდგომარეობა და აღმოაჩინა სხეებისგან განსხვავებული ნიჭი, რომელიც ვარდასულის დანახვის საშუალებას აძლევს მას, კარგა ხანამ განვლო. თავის შეგრძნებებს მან კონკრეტული სახე მისცა - ხელოვნური ყვავილები. მაშამდე კი ტანჯვასა და ტკივილს გაუძლო. არ გატყდა, არ გაბოროტდა, არ დაკარგა მშვენიერების შეგრძნება. "ბედისწერის მსჯავრი" გარდუვალია, მა-

გრამ ადამიანი, რომელიც არსებობს ცხადსა და ზმრის ზღვარზე, ხედავს და შეიგრძნობს უფრო მეტს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი და გარკვეულ შემთხვევაში ბაბუცას მსგავსად ფერად ხილვებში, ზოგჯერ კი სხვა ადამიანებისათვის მიუღწეველ სფეროებში პოულობს საკუთარ თავს. ამგვარად, ტაგუ (ლეო ქიაჩელი "ჯადოსანი"), რომელიც უსაწყესი და უბადრუკია სოფელში, ხალხში, ბუნების წიაღში მფევედ გრძნობს თავს. მისი თვალები ბუნების ფერია და ამ თვალების ძალით იგი ხდება ბევრად უფრო აღმატებული, ბევრად უფრო მძლავრი, ვიდრე ერთი მუხედვით ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანი, რომელთაც არანაირი გადახრა არა აქვთ, მაგრამ არც ბუნების ჭეშმარიტი სახის ხილვა და არც ლეო ქიაჩელის "სტეფანეს" გმირების, სტეფანესა და ძოკოს მსგავსად, ბუნების იდუმალი ხმის გაგონება და დუმლით შესიტყვება შეუძლიათ. ეს ის ე.წ. მაზინჯი ადამიანები არიან, რომელთაც ბედისწერით განსაზღვრული ზ ზ და ამქვეყნიური რელი აქვთ, რაც მიღმურ სამყაროსთან ინტუიტიურ კავშირში გამოიხატება. ბედისწერა მთლიანად ბატონობს მათზე. ლეო ქიაჩელის მოთხრობაში "ცოდვის შვილები" ბნედიან ჯეჯებს შესწავლა ძალა, გადაიხეობს ფარდის მოღმა, დაუკავშირდეს და შეიმეცნოს ის, რაც განაგებს ადამიანის ბედს. "ბედისწერის მსჯავრს" იგი ვერსად გაექცევა, დანებებული უნდა აღსრულდეს და გარდუვალობის, განწირულობის გრძნობა ამძაფრებს ჯეჯებს ისედაც ავადყოფურ ხილვებს, გამოსავალი არ არსებობს, ჯეჯბესთვის წყევლა, სიტყვა უფრო რეალურია, ვიდრე ხელშესახები, ხილული საგნები და მოვლენები, იგი თვითონ იტვირთავს ბედისწერის მახვილის როლს და აღასრულებს სასჯელს. ხილული რეალობა ყალბია, ადამიანს არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ის თოჯინაა, მარიონეტია, რომლის ძაფებიც მიღმა რეალობამდე გაბმული და იქიდან მიღმა მისი მართვა.

ხილულისა და მიღმურის, ზმანებისა და ცხადის ურთიერთმიმართება სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა ფორმით გამოიხატება, მაგრამ უმთავრესი მათგან აღძრული ესთეტიკური გრძნობა და ემოციაა. მოდერნისტულმა მოთხრობამ დაამუშავა ეს საკითხი, რომელიც, საერთოდ, მოდერნისტული აზროვნების ერთ-ერთი საყრდენია. შედეგები მხატვრული თვალსაზრისით არაერთგვაროვანია, მაგრამ მათი ერთობლიობა ქმნის ფონს, პანორამას, გარკვეულწილად განზოგადებულ სურათს, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია მოთხრობის მხატვრული ქსოვილის ანალიზის სხვა დონეებზე.



დავით თედორაძე

(დაბადების 50 წლისთავის გამო)

დავით თედორაძეს 50 წელი შეუსრულდა. ჟურნალ "შინათვის" რედაქცია ულოცავს ცნობილ პოეტს ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ წარმატებებს

დავით თედორაძის უზენაეს საფიქრალსა და საფიქარს წარმოადგენს დიდი საქართველო თავისი წარსულითა და მომავლით, თავის ტერიტორიითა და ხალხთა სიმრავლით. დიდი საქართველოს იდეას პოეტი უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეთა სულიერი მხნეობისა და ალორძინების მისიას უკავშირებს. ყოველ ისტორიულ ეპოქაში ხალხს განსაკუთრებული სულიერი ძალა და მხნეობა სჭირდება. დიდი საქართველოს რწმენამ ქართველ ხალხს ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-დაცვის სიძნელე უნდა დაძლევის. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია დავით თედორაძის ლექსი "აღმაშენებელი".

"აღმაშენებელი" ფართო შინაარსის მეტაფორაა. დავით აღმაშენებელი ქართველია. მასსადაამე, მასში განიფლებულია მისი ხალხის ყველა ეროვნული ღირსება. ხალხის უმთავრეს მისიას კი ყველა დროში სულიერი და მატერიალური კულტურის აღმაშენებლობა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით დავითის ეპოქაში ქართველმა ხალხმა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი კაცობრიობის წინაშე, მაგრამ დავითი, პირველ რიგში, მაინც ეროვნული ინტერესების სიმბოლურ სახეს წარმოადგენს.

დავით აღმაშენებლის მხატვრულ სახეს პოეტი ხშირად უბრუნდება სხვა ლექსებშიც ("საბა-სულხანის ცრემლში გული უნდა ჩაეკეო", "ვედრება", "დავითმა წარველო ჭოროხი" და სხვ.) და მისი მხატვრული ატრიალუბობა "ღმერთის ტოლი", "დილის ვარსკვლავი".

"დავითმა წარველო ჭოროხი,
თურქს დაცეა და
თბილისს,
შობრუნდა გამარჯვებული,
როგორც ვარსკვლავი დილის", -

ამბობს პოეტი და ხატავს გმირს, რომელიც ხალხთან ერთად არის და ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს:

"სოფლის ამბავი უკითხავს,
ტაძარი აუკია,
ვემბთან წირვაზე დამდგარა,
სანთელი აუხთია".

("დავითმა წარველო ჭოროხი")

"აღმაშენებლის" ვარიაციულ გაგრძელებებს წარმოადგენს ყველა ლექსი, რომელიც პოეტს ისტორიულ თემაზე შეუქმნია ("საბა-სულხანის ცრემლში გული უნდა ჩაეკეო", "თევდორე", "ხაზართა სარძლო", "ჩემი თაობის ბედნიერო მემატთანვე") და ყველა მათგანში ერთი მთავარი იდეა ცოცხლობს:

"აღმაშენებლის უტყბილესი ხმა გამაგონეთ!
საბა-სულხანის ცრემლში გული უნდა ჩაეკეო,
რომ იქარავდეს
თეთი ქართულმა
აქ სანაქებოდ".

დავით თედორაძე, როგორც პოეტი, თანამედროვე პრობლემებით ცხოვრობს და მისი მხატვრული ხედვა სწორედ თანამედროვე ადამიანის სულიერ ტკივილებს დასტრიალებს თავს. გვაგონდება მეოცე საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მწერლისა და კრიტიკოსის, ანდრე მორუას მიერ მწერლის ღირსების განსაზღვრის ერთ-ერთი ფორმულა: "მწერალი იმ დღეს იწყებს არსებობას, როცა თავის საკუთარ მელოდიას იპოვის". დავით თედორაძემ საკუთარი მელოდია თანამედროვე ტკივილების გააზრებასა და ასახვაში პოვა. ამ ტკივილების მძაფრი განცდის შედეგი უნდა იყოს მისი ეს ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი "იქნებ არმოსვლა მერჩია", რომელიც გარეგნულად პესიმიზმურ იერს ატარებს და საკმაოდ კატეგორიული ფორმით გამოხატავს დამოკიდებულებას დღეს არსებული სინამდვილის მიმართ.

საერთო სურათს კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ ქვეყნის არეულობის მიზეზები ჯერ ისევ უფრო ძლიერა და ბოროტების დამთრგუნველი ძალაა კი თითქმის აღარ ჩანს. უზნეობა თავისუფლად გრძნობს თავს.

პოეტის თვალთახედვით, ქვეყნის გადა-
რჩენის იმედი ყოველთვის იყო, არის და მო-
მავალშიც გონიერი ხელისუფალი, უფრო
ზუსტად, ერისუფალი იქნება. მაგრამ ჩანს,
პოეტს ეეჭვება ჩვენში ასეთი ერისუფლის
მაღე გამოჩენა და გულისტკივილის კარნა-
ხით წერს ლექსს "ხელმწიფეს მე რომ ვუშ-
ველი":

"ხე რომ ხე არის,
დავლავით
იქნება ის ხეც ვახშის...
ხელმწიფეს მე რომ ვუშველი,
კარგად ვქნება საქმე".

არსებული სინამდვილით უკმაყოფილო
პოეტი, რომელიც ამქვეყნიად არმოსვლას ნა-
ტრობს, მკითხველს სწორედ სამშობლოს
უსაზღვრო და უკიდევანო სიყვარულს შთა-
აგონებს და მამულიშვილის ღვთებრივ მო-
ვალეობად სამშობლოს სამსახურს თვლის.
საქართველოსადმი ორგულების დასაძრა-
ხად პოეტი შერყენების ფორმას იყენებს, რა-
თა უფრო გაამძაფროს შთაბეჭდილება ან-
ტიპოდური თვისებების დაგმობის გზით:

"ვინც საქართველოს უორგულებს
ცაც გაუშაფებს,
წყალიცა!

.....
ჩამალდეს მისი ნაშვირიც
უწყლოდ,
უდაბნოს ხანძრითა,
გვარიც წაბილწული,
ჯიშიც წაბილწული,
ისხენიებოდეს ღვარძლითა!
ვინც საქართველოს უორგულებს".

ამავე მოტივს ავითარებს პოეტი პატრი-
ოტულ ლექსში "თვითმფრინავით საქართვე-
ლოსაკენ" და ტიპიურ განწყობილებას ხა-
ტავს მამულიშვილისას, ვისაც თავის სამშო-
ბლო უყვარს ისეთი, როგორც ის არის და
როგორც მომავალში იქნება.

დავით თედორაძის მამულიშვილი მტკი-
ცვად დგას ფეხზე, მტკიცეა მისი პოზიციები,
რადგან მის მოვალეობას სამშობლოს წინა-
შე არა მხოლოდ ანმყო, არამედ წარსულიც
ასულდგმულებს. "წარსულისადმი გრძნობა,
პატივი" დავით თედორაძის ლექსის ლირი-
კული გმირის განსაკუთრებით თვალსაჩინო
თვისებაა. ამ იდეას ემყარება ლექსი "ნუ გე-
შინია, არ ჩაგიტყდებით", რომელშიც დრო-
თა შორის ურყევი კავშირის დანახვასა და
დაცვას პოეტი თანამედროვეთა ზნეობრივ
მოვალეობად თვლის. თუ წინაპარი ისევ
ჩვენს სამსახურშია, ჩვენ სწორედ წინ და

უფრო შორს უნდა ვიხედებთმეტიწმინდის
ნი შემდგომი თაობისათვის შეგვეძლოს
თქმა:

"ნუ გეშინია!
ჩუქცი ხომ ვეიყვარდა საქართველო
თავდაუწივებით,
ფეხი დაკვადვით, შეილო ჩვენო,
მაგრად დაკვადვით,
ნუ გეშინია, აქ ჩვენ ვეიყვართ,
არ ჩაგიტყდებით".

დავით თედორაძის შემოქმედებაში ნარ-
სულთან დამოკიდებულება განსაკუთრებუ-
ლი ძალით აჭარის ქრისტიანულ წარსულ-
თან დამოკიდებულებაში ვლინდება. პოე-
ტი შეგნებულად არიდებს თავს ცნობილი სა-
მსაუკუნოვანი ტყვეობის ბელეტრიზებას და
აჭარის მკვიდრის ეროვნული მრწამსის სი-
მტკიცეზე ამახვილებს მკითხველის ყურად-
ღებას ლექსში "სანთლის შუქი":

"ვაზი სულზე გადავშალე,
ჯვარი - ნუქურთამებში.
ვერ ჩამოქვს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი შთებში".

პოეტი სარწმუნოებისათვის თავდადე-
ბას ეროვნული ცნობიერების ქვაკუთხედად
წარმოსახავს და საამისოდ ხშირად მიაკი-
თხავს აჭარის ტერიტორიაზე არსებულ
ძველ თუ ახალ ქრისტიანულ ტაძრებს. ამ
თვალსაზრისით მისთვის სიმბოლური, გან-
ზოგადებული მნიშვნელობა აქვს ცნობილი
სხალთის ტაძრის არსებობის ფაქტს. იგი სი-
მბოლოა აჭარის მკვიდრის ეროვნული ცნო-
ბიერებისა და ზოგადაქართული მრწამსის
უკვდავებისა. ამიტომ პოეტის ორიენტირს
სწორედ ისტორიული მცხეთა და თანამედ-
როვე თბილისი წარმოადგენს. აი, ის ლე-
ქსიც, რომელიც მოზარდი თაობისადმი მი-
მართვის ფორმით არის დაწერილი:

"ბალო, მოეფერე ამ ტაძრის ნუქურთამებს!
სანთელი დაუნიჭე ქვითურას!
მტკნოს რომ უნდა და ჭკონია
წარსულს წაუღია ის ხულო...
დაღლილს და დაღარულს წაიკობით,
დღეს მინდა სურული მისრულონ,
მეჭეთას რომ უხარია,
თბილისს რომ უხარია,
იქნები ვოველთვის ის ხულო".

თედორაძეში გაცოცხლებულია იდეალი
გმირისა, ვისთვისაც სამშობლო საყოფარ
სიცოცხლეზე ("თედორე") მეტია. ხალხს,
რომელსაც შეუძლია ბერი თედორეს გზით

იაროს, მას საბოლოოდ ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს:

"გამოცა საქართველო ბერმა აღსასრულითა, ვითხე-სიდან მოდოდა მითხრა-ხალხის ხელიდან. არ ინება ოქრო-ვერცხლი, მამულს ჭერტდა რაჯულში, აკუნეს და ჩაუსახლეს საქართველოს ხელში".

დავით თედორაძის მთავარ სალოცავს განუყოფელი და დაუნანებელი საქართველო წარმოადგენს: "ლიხს იქეთ და ლიხის აქეთ ნატერის ერთი ვაზი ხარობს", - იტყვის პოეტი და მკითხველიც მთლიანად ენდობა მას.

პოეტის გამორჩეული თემაა ჩვენებურების ბედი საქართველოს ახლანდელ სახელმწიფო საზღვრებს მიღმა. ლაპარაკია იმ ქართულ მიწებზე, რომლებიც ვერჯერობით არ არის საქართველოს საზღვრებში. ეს იმას ნიშნავს, რომ იქაური ქართველი, მართალია, ქართულ მიწაზე ცხოვრობს და იღვნის, მაგრამ ეროვნული ცნობიერება ყოველთვის საჭიროებს აღზრდას, დაცვას, განვითარებას, განმტკიცებას. თითოეული ქართველი, როგორც აქეთ, ისე იქითა მხარეს მცხოვრები, უნდა გრძნობდეს, რომ "უერთმანეთოდ დავდლიღვართ და ცრემლად ვქცევულვართ, ასე შორი-შორ როგორ გაძლოს ერთმა სხეულმა", რომ "სისხლის ყივიღმა გააღვიძოს გული ქართველთა".

ჩვენებურებისა და ჩვენებურობის მოტივები დამახასიათებელი დეტალებითა და ნათელი განწყობილების გამომწვევი პოეტური პასაჟებით არის დაბატული ლექსებში "გადაგერჩინოს გვარის გვირგვინი" (ეუძღვნე იმერხველ ქართველებს), "ვცნობ ქართველებს ღიმილზე", "იმერხვეი", "ბორჩხაში" და სხვ.

იმედის საფუძველს, რომ ოდესმე ისევ დიდი იქნება საქართველო, პოეტის რწმენით, ის წარმოადგენს, რომ მილიონობით ქართველი ქართულ მიწებზე ცხოვრობს:

"აქ დაიბადეთ, აქვე მოკვდებით, აქ იცხოვრებენ თქვენი შვილებიც, არ ეცილებით ოქროს არავის და არც სამშობლოს არ ვცილებით. თქვენნაირები არ მოდრკებიან, ასე ამაყად თავი ვეჭარიოთ, გადაგერჩინოთ ენა რუსთველის, და ქართველობა გადაგერჩინოთ".

ქართული გენის უკუდავების ასევე საიმედო საფუძველია ხალხში მტკიცედ დაცული უკუდავი ქართული ხასიათი:

"ანუქერიმებს ღიღის მზე სოფლებს სახწაულად... ვცნობ ქართველებს ღიმილზე და კეხვევი მშურად".

დავით თედორაძე თავის მამულიშვილურ გრძნობებში მაქსიმალისტია და გაბედულად მოითხოვს ახლანდელ ვითარებასთან დიდი ხნით არმეგუებას:

"ღამეხიშმრა: ხარფის ღელე ჰმალი იყო ზვესურის და წაწლობა ორი სარფი ერთი სისხლის ერთგული... .. გამელეობა, თენდებოდა გაეშალათ ზადე ღაზებს, მინარეთზე ისწაობოდა ანტიკური სილამაზე. შეჩვეულხარ, გუბა ზნემო და შე მართობ ლევენდებით. ვატყობ გულმა მიღალატა და ჩემს გამჩენს ვევედრები - არ შეჩვევის გრძობა მომცეს, თუნდა სხვა ფიცრი ვადაღობონ, შე ვიძღვრებ ღაზურ ნანას ყრმობა ჩემთა ხალაღობოდ".

("არ შეჩვევის გრძობა მომცეს")

დავით თედორაძის შემოქმედებაში მწვავე ასახვა პპოვა ჩვენმა ეროვნულმა ტკივილმა - ქართულ მიწაზე ქართველთა სიმციერებ. ეს ის სინდრომია, რასაც შეიძლება საბედისწერო შედეგები მოჰყვეს, თუ უფრო ენერგიული მზრუნველობა არ შევაგებეთ. პოეტი განგაშის ზარებს არისხებებს: "ქართველს თრიალეთი უხმობს". ამავე სათაურით დაწერილ ლექსში, როგორც იტყვიან, სავგებს საკუთარი სახელეზ აქეთ დარქმეული:

"სავეარელი, ირმის ჯოვებს თრიალეთში უძოვიათ, ჩემი დაკარგული განძი დუხაბორებს უძოვიათ. წინაპრები... თორემ ვიცი, მიწას დუხაბორი ეულის, ველი გამოღარული მაქვს, ვკვდები, ვეღარ ვილაგ წყურვილს. დროა, ნამოქარი ზარებს, სამშვიდობოს დაქართ ბუკებს, ჩემი თრიალეთი გიხმობო, სისხლი გიხმობთ ტაპარკებს".



ამავე მოტივს ავითარებს პოეტი ლექსში "მესხეთი". "მესხეთის" ავტორის დაძახილი თაობებს გადასწვდება და საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობას გაუმახვილებს სამშობლოს წინაშე. ყოველ თაობას უნდა გაცნობიერებინოთ ქართულ მიწაზე ქართველთა სიმცირით გამოწვეული მოსალოდნელი ეროვნული კატასტროფა:

**"ზეცა ირაოშ დაფარა...
დოლა, მუღოს ვერ ინატრებს.
აი, გამონდა საფარა,
როგორც წვედიადში სინათლე...
- რო კეთიზონ, ბიჭო, რას გვგვი,
რა პასუხს ვასცემ წინაპრებს?!"**

მიუხედავად ამისა, პოეტი მაინც არ კარგავს იმედს და ოპტიმისტურ ნოტივში მომართავს ლექსს "როცა ვუყურებ ხანდაზმულ ბერთვისს".

ამ მოტივს პოეტი ორგანულად უკავშირებს აჭარის ფაქტორს საქართველოს საერთო ეროვნული პრობლემების მოგვარებაში. დედა-საქართველოსთან სამუდამოდ დაბრუნებული, "აჭარის ცაზე ლალად ფრენენ მტრედები". თუ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ქართველთა სიმცირე აწუხებს ქვეყანას, აჭარა შვილთა სიმრავლით, მაშასადამე, ქართველთა ნიჭიერების და ძალ-ღონის სიმრავლით გამოირჩევა და ქართველთა გენოფონდის საიმედო წყაროს წარმოადგენს. ამიტომ კანონიერი საიმაყით მიმართავს პოეტი აჭარას: "დალოცვილი ხარ შვილთა სიმრავლით და საქართველოს ეიმედები".

ლექსი "არ მომინყინო და-ძმები", მართალია, უფრო პუბლიცისტურია, ვიდრე ესთეტიკური ფაქტი, მაგრამ იგი ცხოვრების სინამდვილიდან მოდის და საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს. მისი ყოველი სტრიქონი და პასაჟი სამშობლოს მომავალზე ზრუნვითაა გამსჭვალული. პოეტი ილაშქრებს ვერ კიდევ შემორჩენილი კუთხური ფსიქოლოგიის წინააღმდეგ და მკითხველს შთააგონებს, რომ "საქართველოში ქართველი არსად არ არის სტუმარი". ამიტომ უნდა დაიგმოს კუთხური პატრიოტიზმიც: "უარი კუთხურ ზღუდეებს და კუთხურ კუნკულს უარი". თუ ეს დავძლიებ ჩვენს ხასიათში, ჩვენს ცნობიერებაში, მაშინ აჭარელ შვილთა სიმრავლე სრულიად საქართველოს სიკეთედ იქცევა. ამ იდეას ქადაგებს პოეტის ეს სტრიქონებიც:

**"შენ გენაცეაღე, კახეთო!
უბო, ძლიერო შავერი!
ნაღვარეველის შარჯვენა**

**შენს მიწას საბედნიეროდ!
შუბნელის შუბლი გაშლილი
შენს ცაზე მაკონებს კრიალას,
არ მომიწყინო და-ძმები,
შენველელები ააღალს!
ფთაფრული ჯაფის და
ოფლის მარლით აზილა,
დავიზრდის, დავიფრთიანებს
შალვას, ელი ზბარს, ბიძინას".**

მეოცე საუკუნის უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე ქართულ პოეზიასა და პროზაში სოფლისა და გლეხის თემა, უპირატესად, ცხოვრების ინდუსტრიალიზაციის ფონზე აისახებოდა, რის გამოც თვით გლეხის პიროვნება თითქოს გამოგვეცალა ხელიდან. გლეხი, როგორც საკოლმეურნეო სოფლისა და კოლექტიური შრომის წევრი, და არა როგორც პიროვნება, აი ასეთი დამოკიდებულება გაბატონდა საბჭოურ ლიტერატურაში. დავით თედორაძის შემოქმედებებში კი პოეტისა და, შესაბამისად, მკითხველის ინტერესი სწორედ გლეხის პიროვნებისკენაა მიქცეული. ერთ-ერთ ლექსს პოეტმა სწორედ "გლეხის პორტრეტი" უწოდა და ამ ზუთსტროფიან ლექსში რამდენი ტაგეიკიაა, დაახლოებით იმდენსავე შტრიხის გეთავაზობს ის გლეხის პორტრეტის დასახატავად: გლეხი - სიკეთე დაუთვლელი, გლეხი - მინის ჭუმბარიტი უფალი, გლეხი - დედამინის მახისცემა, გლეხი - დედამინის მკურნალი, გლეხი - ამინდზე მუდამ გულნაკლული, მაგრამ გლეხი - კმაყოფილი მცირეფიქროსი, გლეხი - საქართველოს სალაშქარი, გლეხი - აუმღერევი ნაკადული და ა.შ. და ბოლოს დაასკვნის: "გლეხი - მამატივს სულგრძელობით, ვერ არის საკადრისად დახატული".

სოფლის საინტერესო სურათებს ხატავს პოეტი ლექსებში: "ქვემო ჯოჭო", "ვტკბები, სიხალით ვტკბები", "შე სოფლელი ვარ" და სხვ. მაგრამ მათ შორის უფრო საინტერესოდ თვით სოფლელის სახე-ხასიათი იქცევა ჩვენს ყურადღებას. პოეტი სოფლელს ქალაქელთან მიმართებაში ხატავს და მისი სოფლელი თავისუფალია იმ ტრადიციული სოფლური თვისობებისაგან, როგორებიცაა გულბერყვილობა და სითავხედე, რომლითაც ტრადიციულად ხატავდნენ სოფლელს ლიტერატურაში. დავით თედორაძის ლექსის ლირიკული გმირი კი თავმონონებით აცხადებს: "შე სოფლელი ვარ, არა გულბერყვილი და არა თავხედი, ჩემს ერგეს ვერაფრით ვარჩიე ქალაქი".

საინტერესოა დავით თედორაძის ლექსი აღმზრდელის თემაზე. აღმზრდელის მთავარ დამსახურებად ყოველთვის მის მიერ კარგად აღზრდილის თვისებები მო-

იაზრება. კამათს მხოლოდ ის ინვესტორი, თუ რამდენად სრულად და დამახასიათებლად ხდება აღმზრდელის ამ დამსახურების ასახვა. დავით თედორაძე არ იფარგლება აღმზრდელის ხელიდან გამოსული კაი ყმის სიკეთის ჩვენებით და თაობებს იქითაც წვდება მისი აღმზრდელის გამაქეთილმობილებელი ზეგავლენა. პოეტი ასე მიმართავს თავის აღმზრდელს, პროფესორ ალექსანდრე ჩაველიშვილს ლექსში "ვინც მოძღვარს სანთელს და საკმეველს ჩაუქრობს":

**"თქვენს სულში, ძვირფასო,
ცდუნება არ ზარობს,
შე თქვენს სულს ვატარებ,
ვით ძვირფას ავეარობს".**

მაგრამ აქ არ მთავრდება ამ ძვირფასი ავგაროზის ზემოქმედი ძალა. იგი ლექსის ლირიკული გმირის შთამომავლობაზეც გადადის:

**"ვერვიან გათვალეს
ჩემს მოვლას სხვა თვლით,
თქვენ წამით
ჩემს შვილებს
სიკეთეს ასწავლით".**

ამის შემდეგ პოეტს აქვს საფუძველი კიდევ უფრო გააფართოვოს კეთილი აღზრდის საზოგადოებრივი შედეგები და იგი ეროვნული მისიის ტოლფასად ესახება პოეტს:

**"თქვენ გინდათ,
ქართული ანბანი გალობდეს
ქართულად
და
ქართველს გონება სწავლობდეს".**

პოეზიის, როგორც სიბრძნის ერთი დარგის, აღმზრდელობითი ძალა უსაზღვროა. დავით თედორაძის ლექსებშიც ზნეობრივი მუხტი გამოკვეთილია და მის საფუძველს ჯანსაღი ადამიანური პუშმანიზმი წარმოადგენს. პოეტი როგორც დადებით ზნეობრივ, ისე უზნეობის გამოვლინებებს თანაბარი ძალით წარმოაჩენს, მაგრამ მეტი სიმძაფრით, მაინც, უზნეობას ამხელს და ებრძვის. პოეტი თვლის, რომ შური, უმადურობა, სიხარბე, სიმზდალე, არაკეთილსინდისიერება და ა.შ. ყოველთვის იჩენდა თავს საზოგადოებისა და კერძო პიროვნების ცხოვრებაში.

დავით თედორაძის ლექსებში უზნეობის მამხილებელი ტონი უაღრესად ცხოვრები-

სული, ყოფითი სიმართლით ხასიათდება. კერძოდ, რის დასტურსაც წარმოადგენს ლექსი "დაგვიანებული სინანული".

**"შენ არ მომიკვდო,
კარგად თუ ხარ, არც კის ახარებ
ჭირისუფალის კარდა.
მტერი თუ არ გავს,
ნუ გგონია უყვარხარ ყველას,
შე ისიც მყოფნის,
რაც მიწყვეტა ოხვრად და დარდად.
ვინაც მღუპავდა,
გადუყვები იმ კაცის შუკლას".**

ზნეობა-უზნეობის მწვავე პრობლემისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს პოეტი ლექსებში "ვინ რას გვიშველის", "და მიდის ნუთისოფელი", "ვარ ზენდინერი", "სულში ბოროტებას რა უნდა", "დღეს კარგს ხეხავენ ქვიშითა", "მიყვარდნენ და მეტირება", "კეთილად მოიხმარონ", "კაცი უნდა კაცად ღირდეს", "უკეთ მოჩანს", "ადამიანებს არ უყვართ ერთმანეთი" და სხვ.

პოეტი მასწავლებლურად ცდილობს, დაშორდეს ნებისმიერი მოტივის, მათ შორის, სატრიალილო მოტივის ლიტერატურული დამუშავების ტრადიციებს და საკუთარი განცდით ნასაზრდოვებ პოეტურ ფენომენს გვთავაზობს. ეს უდაოდ რთული ფენომენია. აკაკი წერეთლის პოეზიის შესახებ მსჯელობის დროს თამაზ ჭილაძე შენიშნავს: "პოეტი ადამიანური ღირსების, სიამაყის მქადაგებელი" უნდა იყოსო (თამაზ ჭილაძე, "პირველად იყო სიტყვა" - თბ. 1993 წ. გვ. 211). ადამიანს კი ცხოვრების ყველა ეტაპზე სჭირდება ღირსებისა და სიამაყის განცდა. ამ განცდათა უნივერსალურ წყაროს, დარწმუნებული ვართ, სიყვარული წარმოადგენს. დავით თედორაძის ლექსებში ეს განცდა მრავალმხრივ საინტერესო ასპექტითაა წარმოდგენილი. ამჯერად დაოჯახებული კაცის განცდაზეა ლაპარაკი.

**"შე ყველაფერში ვეძებ სიცოცხლეს,
ვეძებ დაღს და ვეძებ გასაკვირს,
დავიმორჩილე ურა კვიციოთ
და ცერზე შიშის ჩემი ასაკი".**

მიუხედავად ამისა, ადამიანის სული ყოველთვის განახლების პროცესშია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟანგი მოედება და დაფანტული სულის ადამიანები სიკეთის სამსახურში ვერ ჩადგებიან. დავით თედორაძის ლექსების ლირიკული გმირი კი ცოცხალი თანამედროვეა, რომლის სულს ჟანგი არასდროს მოეკიდება:



"რადგან ასეა, მე ვარქმევ სახელს
დღევს, შენთან რომ მაკავშირებდა
და ოცნებებში - მუყაოს საბლში
შემყაფს მწიფრი რემა-ირემოა".

აქ სულის დაუსრეტელი ენერგიის საუ-
კეთესო გამოხატვასთან გვაქვს საქმე პოე-
ტი მართლაც ყველა ჩვენგანის სათქმელს
ლაპარაკობს უფრო სრულად, უფრო ლამა-
ზად და უფრო ნათელი განწყობილებების
ნარმოქმნიელი გრძნობებით. ამ განწყობი-
ლებათა საფუძველში კი, როგორც დავინა-
ხეთ, დამორჩილებული ასაკის მოტივი ჩადო
პოეტმა და ამით არის მისი სატრფიალო ლე-
ქსები მართალი. ადამიანურად მართალია
მეუღლისადმი მიძღვნილი ეს ლექსიც, რო-
მლის სათაურია "შენს სიყვარულს უნდა შე-
ვაბერდე".

"დღევს დღე და
კვირას კვირა შაჰყვა,
მახსოვს ჩაქვი ციხისძირის შემდეგ-
ვისაც ვუხედე, განა ვველა მივყარს?!
შენს სიყვარულს უნდა შევაბერდე-
შენს სიყვარულს ხულში ტაპარს ვუვებ,
რომ გადურჩევს ნიაღვრებს და ქარებს,
შენატრები...
და უშენოდ ვს დღე
ციფია და ლალატივით მწარე".

დაოჯახებული კაცის სიყვარულით საესე
გულის პოეტურ კარდიოგრამად მიგვაჩნია
დავით თედორაძის ეს უსათაურო ლექსიც:

"ლექსს დაწერხო - გაიბიზნენ შვილები
და ცოლიც,
მარტო ვარ და ჩემს საკანში კედლებს
უნდა ვუწურო.
თქვენ რომ მგავდით, მაშინ ვივავ
პოეტების ხწორი,
გული გავვავთ, მვირფასებო, რა დაწერო
უგალოდ".

სიყვარულის დიდ, თბილ და ტკბილმან-
რე განცდებს ხატავს პოეტი ლექსებში "ახლა
კი დროა", "შენი სახე ლირიკაა", "შუამო-
ბაზე ვნახე ის ქალი", "შენ მოკრძალება მო-
გდგამს ბუნებით", "ანიკომ თქვა", "სველი
ზღაპრები", "ვდგავარ და გამჩენს ვეფერი"
და სხვ.

○
ორმოცდაათი წლის დავით თედორაძის
მსოფლმეგრძნებაა თავმოყრილი ნივნში,
რომელსაც პოეტმა მეტაფორული სახელი
შეურჩია "შენი ვარ". სამშობლოს ერთგული
შვილია ამ ნივნის ავტორი. როგორც პოეტს,
მას სრული უფლება აქვს ხმამაღლა განაც-
ხადოს: "ყმად ვეკუთვნი ქართულ სიტყვას".
აღლბათ, არაერთი მოტივი და თემა სუბი-
ექტურად გავიაზრეთ, მაგრამ ის, რომ და-
ვით თედორაძის პოეზია ცხოვრების ცოდ-
ნითა და სიყვარულითაა გამთბარი, უდავოა:
მისი ლექსი ადვილად პოულობს ადგილს
მკითხველის სულიერ სამყაროში როგორც
შინაარსით, ისე ფორმითა და განწყობილე-
ბის სინარფელით. ცხოვრების ნიალიდან წა-
რმოქმნილი შთაბეჭდილებებით დაინერე-
ბოდა ეს ლექსიც:

"ეს ცხოვრება ხან ასეა,
ხანაც ისე წავა და
შენი მაჭებარი შრველი
არ ჩაგაგდებს წავადაც.
ვინ არ იყო, ვის არ ჰქონდა
ტახტი, სკიატრა, გვირგვინი,
დრონი მუფოპს, ჩავიქროლებს
დრო ქორივით ქირქილით
უნა იმას აეწვევა, ვინც შირთვა პილპილი".

დავით თედორაძის პოეტური შემოქმე-
დება ჩვენი ბიოგრაფიის ნაწილია, დარწმუ-
ნებული ვართ, "სოფელს მისი ორი ლექსი"
აუცილებლად შემოირჩება.



ლევან ფრუიძე

საქართველოში მნიშვნელობა და თანამედროვეობა

დღეს, მართალია, ძალიან გვიჭირს, მაგრამ ასეა თუ ისე, საქართველოს დამოუკიდებელი ქვეყანა შექმნა. ეს უდიდესი მიღწევაა, საშვილიშვილო მონაპოვარია და მის შენარჩუნებას არა მხოლოდ თითოეული ჩვენგანისათვის, არამედ თვით ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ახლა მაინც, რუსული კომუნისტური შენების სამსალა ბოლომდე რომ შევსვით, ილია ჭავჭავაძისეულ სარკვეში ჩავიხედოთ, რათა სრულდასოვნად დავინახოთ, რა ვიყავით გუშინ და რანი ვართ დღეს. ცოდვილნი და ნამძებულნიც ეროვნული წმინდანის ილია მართლის ერთიან ნიადაგზე დავდგეთ, ერთმანეთს ქრისტიანულად შევუნდოთ და დამოუკიდებელი საქართველო ხელიდან რომ არ გამოგვეცალოს, სისხლში გამჟღადარ კაენობას როგორმე მოვკნით. ახლა ხომ მაინც დავრწმუნდით - რუსეთი გინდ განითლდეს, გინდ გაყვითლდეს, რუსეთობას მაინც არ მოიშლის. ძველებურად ნუ ვთხოვავთ მითს ორ რუსეთზე. გვეყო "ორი სამშობლო" შესახებ ამოღალადისი. დავიჯეროთ და ვირწმუნოთ: რუსეთში როგორი ნყობილებაც არ უნდა დამყარდეს, სამშობლოდ არ გამოგვაგდება. ციმბირი ჩვენი სისხლითა და ძვლებითაა მოკირწყლული. რუს ხალხს და რუსეთს კულტურას ღირსეული მესობლის დონეზე უნდა მივავთო კუთვნილი პატივი. შუა საუკუნეების აზროვნებას თავდაღწეულმა ევროპამ მრავალრიცხოვანი და მცირერიცხოვანი ხალხების (დედამიწის ზურგზე "დიდი" და "პატარა" ხალხი არ არსებობს) კეთილმეზობლობას საკმაო ხანია, მიაღწია, ჩვენც მონღოლური ძალმომრეობა როგორმე უნდა მოვიშოროთ და რუსეთთან ევროპულ კეთილმეზობლობას მივალნიოთ.

ერთი სიტყვით: მოსკოვის ოქროს ურდოს არა მარტო რაკეტებითა და ტანკებით ჰყავდა ხალხი ჩაბღუჯული, არამედ ოქროს ჯაჭვითაც. ამ ჯაჭვის ერთ-ერთი რკალი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც იყო. ფართავლამ ასე იწება და მოსკოვიდან ჯამაგირები, სამეცნიერო ხარისხები და ნოდებები, თანამდებობანი და ჩინ-მედლები აღარ მოდის, აკადემიის სტრუქტურა კი კვლავ მოსკოვეური რჩება. რატომ ვერ გამოგვფიზღდით?! მოსახდენი მომხდარია, ფუნქცია

დაკარგა არა მარტო უწყებამ, არამედ თითოეულმა ჩვენგანმა. შედეგი საფალალოა, უხელდასოდ და ულუკმაპუროდ ვართ დარჩენილნი. მართალია, საქართველოში აკადემიებისა და უნივერსიტეტების ნამდვილი დელგმა, სამეცნიერო ხარისხებისა და ნოდებების გარეშე არცერთი მაძიებელი აღარ დარჩა, მაგრამ აშორდას აზნაურობის სახადი გაივლის, დიპლომანის - ყალბი უმადლესი განათლების ემიდეზია - დაცხრება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მალე საყოველთაო სიღუბტორე ფულის გადახდის უნარის მქონე მშობლები აღარ დატოვებს. კარგა ხანია, ფულიანებმა საზღვარგარეთს მიამურეს, ხოლო ამ გაღატაკებულ ქვეყანაში უმადლესმა განათლებამ და სამეცნიერო ხარისხებმა ყოველგვარი აზრი დაკარგეს. თუმცა ზოგიერთს კიდევ უბრუნდება ენა და საქართველოს მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალზე ამაყად ლაპარაკობს, ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომა კი ფაქტიურად აუნაზღაურებელია.

მადლობა ღმერთს, ქუმარიტი ინტელექტუალები საქართველოს არასდროს აკლდა და არც ამჟამად აკლია, მაგრამ მათი ნააზრევი არავის სჭირდება. მეცნიერებასა და ქვეყნის მართვას შორის კვლავ გადამუხახავი უფსკურლია. არადა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, როცა ქართველი ერი ხანმოკლე, სამწლიან დამოუკიდებლობას ეზიარა, რამდენი ეროვნული საქმე გაკეთდა. მიუხედავად იმისა, რომ მინაური და გარეშე მტრები სევაგებოვით იყვნენ აშლილნი და საქართველოს გადარჩენილს ხელს დაუზოგავად ფლეთდნენ, მაინც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. დღეს კი მრავალრიცხოვანი, ბიუროკრატიული აპარატი გვეყავს, მაგრამ მოკლებულნი ვართ სახელმწიფოებრიობას. მართვის არცერთი სფერო მონესრიგებული არ არის, კორუფცია, რეკეტი, მექრთამეობა აღზევეებულია, აფხაზეთი და ჩრდილოეთ ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულია. უსაზღვროა 300 ათასი ლტოლვილის ტანჯვა-ვაება. 1998 წლის მაისში გალის რაიონში კვლავ განახლდა ხოცვა-ჟლეტა, 50 ათასზე მეტი, ხელახლა დაფუძნებული მკვიდრი მო-

სახლე, კვლავ აპყარეს და ლტოლვილად აქციეს. ხელისუფლება იმით ინუგეშებს თავს, რომ პროვოკაციაზე არ ნაშოვევტე და ფართომასშტაბიან ომში არ ჩაევბითო... გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აფხაზეთში ქართველთა ეთნონმენდა და გენოციდი უარყო, საკუთარ სამშობლოში დაუცველებს და დევნილებს მორალური მხარდაჭერაც აღარ აქვთ... მეტიც, მთელი ქართველი ერი თავის მამულში, აყრამდეა მისული და ფაქტურად ლტოლვილის, დევნილის მდგომარეობაშია. სამოქალაქო ასპარეზი თავზედებს, მომხვეჭელებს, ჩარჩებს აქვთ დათმობილი, პატროსან კაცს კი თავშესაფარი ვერსად უშოვია.

1918 წელს, ილია ჭავჭავაძის მოძღვრების გამგრძელებელმა, სულმნათსა ივანე ჯავახიშვილმა თბილისში უნივერსიტეტის გახსნით, სამშობლოში თავი მოუყარა უცხო ქვეყნებში გაფანტულ ქართველ ინტელექტუალებს. მაშინდელი უნივერსიტეტი მხოლოდ უმაღლესი სასწავლებელი როდი იყო, იგი იქცა ეროვნული პროვინებისა და პოლიტიკის მქედა. დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება მთლიანად ქართველ სწავლულთა კეთილისმყოფელი ზეგავლენის ქვეშ მოექცა და ქვეყნის მართვაში პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები სწორედ ამან განაპირობა. საქართველოს რომ დასცლოდა, ახლა ერთ-ერთი აყვავებული ქვეყანა იქნებოდა.

ამჯერად მწარე სინამდვილეს თვალი უნდა გავუხსნოთ და ვაღიაროთ, რომ "მეწიქეიკთა უღელური ბატონობის" ლანძღვაგინებით საკავშირო და მსოფლიო რეკორდი დავაწყარეთ. "მეცნიერული შრომების სახით" უამრავი მაკულატურა დავახვავეთ. ყველაფერი ვიკადრეთ და გავაკეთეთ იმისათვის, რომ საკუთარი ხელით, ვადათიელ ბატონთა საამებლად, ქართული ცნობიერება შეგვებალა.

ცნზურა ჩასაფრებული იყო, ეროვნული პოზიციიდან ისტორიული სინამდვილის ამსახველი ნივნი და ნერილი რომ არ გამოქვეყნებულყო. მამებლარობა სარფიან, მომგებიან ხელობად იქცა. თითოეული ნივნის სათაური და შინაარსი მოსკოვთან უნდა შეთანხმებულყო. ვინც თავის ერს და სამშობლოში მტრად მოუკიდებოდა, ისტორიულ ქეშმარიტებას გააყალბებდა, დაამახინჯებდა და მეტროპოლიის ნისქელიზე წყალს დაასხამდა, გზა ხსნილი ჰქონდა, ნივნსაც დაბეჭდა და თანამდებობასაც იმოივდა.

მიუხედავად ყველა ზომის მიღებისა, ათასში ერთხელ, მეცნიერული სიმართლე მაინც გამოჩონავდა, მაშინ სიმართლის მთქმელს შეკაზმული ცხენიც ვერ შევლოდა,

თვისტომნი დააცხრებოდნენ და მამულშილს უყოყმანოდ გაიმეტებდნენ. ჩვენსი თრობის ისტორიკოსებს არასდროს დაავინყდებათ უშანგი სიდამონიძის გახმარებული საქმე. მეცნიერს საქართველოში გასული საუკუნის დაბლევისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკურ მიმდინარეობათა სწორი შეფასება არ ამატიეს, სადოქტორო დისერტაცია ჩაუგდეს და ნამდვილი აუტოდაფე მოუნყეს.

საქართველოს ისტორიის სწავლება არა მარტო სკოლებში, თვით ისტორიის ფაკულტეტებზედაც კი იმდენად შეზღუდული იყო, რომ მშობლიური ერის წარსულზე ახალგაზრდობის უმეტესობას წარმოდგენა არ ჰქონდა. ჩვენში მცხოვრები სხვა ხალხებისათვის საქართველოს ისტორია და ქართული ენა ზედმეტ ბარგად ითვლებოდა, ისინი რუსული ენით და რუსული განათლებით, რუსეთის იმპერიის მოქალაქეებად ყალიბებოდნენ.

საქართველოს ერთიან, განუყოფელ სხეულზე ავთვისებიან სიმსივნეებად ჩასმული საბჭოთა "ავტონომიები" თბილისთან ფორმალურად იყვნენ დამოკიდებულებაში, სინამდვილეში კი რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენდნენ.

ყოველივე ქართულისადმი უმაღურობა და "ზიზი" "საბჭოთარი სულისკვეთებით აღზრდის" მეშვეობით, საქართველოში მცხოვრები თითოეული არაქართველის გულსა და გონებაში მთელი 70 წლის მანძილზე მიზანიმართულად ინერგებოდა და ღვიფრებოდა. შედეგად სახეზე გვაქვს: მადლობისა და ღვანლის დაფასების ნაცვლად, რუსული ჯარისა და იარაღის მეშვეობით, თემურლენგური სიკვდილის კალაობი მოაწყვეს. ამ დამლუპველ პროცესს წლების მანძილზე ლუარსაბ თათქარბის გულარხეინობით ეუმზერდით და პროტესტს მხოლოდ სადღეგრძელოების მეშვეობით გამოვთქვამდით. მარტო ის რად ღირს, არძინბას და ჩიბიროვს უმაღლესი სამეცნიერო ხარისხები ქართველმა ისტორიკოსებმა რომ მიანიჭეს. პარტიართული განწყობილების მქონე სულგაყიდულებს საქართველოში ყველგან გზა ხსნილი ჰქონდათ, ხოლო რეალურად მოაზროვნე სწავლულები მარადიულ დევნა-შევიწროებაში იყვნენ. ამ ვერაგულმა პოლიტიკამ განაპირობა მშათამკვლელი ომები და საკუთრივ ქართველების ცხენისწყალზე პირისპირ დგომა, სამტრედიის, ხონისა და მშვენიერი სოფლის ჯეჰანსა აობრება-ანიოკება... ვაი სირცხვილს! ჩვენ რომ ეროვნული ცნობიერება და ეროვნული იდეოლოგია გექონოდა, ეს ხომ არ დაგვემართებოდა?! და დღეს, არც ერთი რომ არ გავგავანია და არც

მეორე, ლმერთმა იცის, კიდევ რა მოგვე-
ლის...

შიგა ქართლსა და აფხაზეთში მარცხი,
ომის წაგება, ვაი, რომ კანონზომიერია.

ილიასა და აკაკის ღვაწლი, იაკობ გოგე-
ბაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის ნააზრევ-ნა-
ჭირნახუსლები, შოთა მთავრის ლმერთკაცის ვაჟა-
ფშაველას მთიდან ბლაგილი, სხვა გამოჩე-
ნილ მამულიშვილთა შეგონებანი რომ ვი-
წმეს მოესმინა და გაეცნობიერებინა, ასეთ
უბედურებაში ხომ არ ჩავვარდებოდით?!

ქართველი ერის სინდისის, ივანე ჯავახი-
შვილის, მეცნიერული მემკვიდრეობა და გა-
ნსაკუთრებით მისი ქართველი ერის ისტორი-
ის მებუთე ტომი ხელახლა რომ გამოგვეცვა,
საქართველოს თითოეული მოქალაქის, მტ-
რისა თუ მოყვრის შეგნებაში ჩაგვეწერგა,
ერის სახელმძღვანელოდ გვექცია, სამინაო
და საგარეო პოლიტიკაში ასეთ დაბნეულ-
ბასა და ზარალს ხომ ავიშორებდით?!

სასქადადულო მეცნიერისა და პოლიტი-
კური მოღვაწის, მიხაკო ნერეთლის, ნაშრო-
მი "ერი და ეკონომიკა" საოჯახო წიგნად
რომ გაგვებადა, მკრეხელობამდე მისულ
ეროვნულ ნიჰილიზმს ხომ დაეძღვედით და
გულმზურვალე პატრიოტებად გარდავისა-
ხებოდით?!

საქართველოს მოჭირნახუსის, გერო-
ნტი ჭიჭიძის, ეროვნული ენერჯია თითოეუ-
ლი ქართველის გულში რომ გაგვეღვივებ-
ნა, მაშინ ხომ მამულის დასაცავად სასწაუ-
ლებს მოვახდენდით?!

საამაყო მამულიშვილის, პავლე ინგორო-
ყვას, მიერ დანახული და სამანდადებული
საქართველო სასკოლო სახელმძღვანელო-
ებში რომ შეგვეტანა და ისტორიული ჭეშმა-
რიტება ყველასთვის ხელმისაწვდომი გაგ-
ვენებად, ასე განადგურებულნი და უშწონი
ალარ ვიქნებოდით...

გარედან ნუ ველოდებით შველას. საკუ-
თარ თავს ჩავუღრმავდეთ. წინაპართა გამო-
ცდილება, ეროვნული მონაპოვარი, სინწინ-
დებები მოქმედების პროგრამად ვაქციოთ და
ხსნის გზაც გამოჩინდებო.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკა-
დემია, როგორც თითოეული საბჭოთა დანე-
სებულება, თავის საქმიანობას გვეგმიურ
პრინციპზე წარმართავდა. ადგილებზე მხო-
ლოდ ზემოდან მოცემული გვეგმის შესრუ-
ლება იყო საჭირო. საერთო საკავშირო და
მსოფლიო ასპარეზზე წარმატებას ის აღწე-
ვდა, ვისაც ადლოს ალებისა და დირექტივე-
ბის შესრულების უნარი ჰქონდა.

საბჭოთა მეცნიერება - საბუნებისმეტყ-
ველო, ჰუმანიტარული, საინჟინრო და სხვა

დარგები - ორ კარდინალურ მიმართულებ-
ში - ფუნდამენტურსა და გამოყენებით-
თავსდებოდა. პირველი ავსებდა მეორეს და
პირიქით. ამერიკის შეერთებულ შტატებთან
საბედისწერო შეჯიბრებაში ჩაბმამ ორივე
მიმართულება გაააქტიურა. კოსმოსის ათ-
ვისწამა და ატომურ სამხედრო ტექნიკაში
წარმატებები მოპოვებული იქნა, მაგრამ
ეკონომიკისა და იმპერიის სასიცოცხლო ძა-
ლების განირვის ხარჯზე. ამას დაერთო სტა-
ლინის კულტის უარყოფის შემდეგ სრული
იდეოლოგიური კრახი. ამაო გამოდგა 1980
წელს კომუნიზმის დამყარების იმედო. ვერა-
ფრით მოხერხდა მეცნიერულ ნიადაგზე ყო-
ფა-ცხოვრების წარმართვა და მართვა. უდი-
დესი მასშტაბის პირველი, შეუდარებელი
საბჭოთა ექსპერიმენტი უდღეური აღმო-
ჩნდა. 70 წელი ისტორიისათვის წამია. აგო-
ნია კატასტროფით დამთავრდა.

ჩვენი თაობის ადამიანებს ახსოვთ სტა-
ლინური ლოზუნგი - "კადრები წყვეტენ ყვე-
ლაფერს!". საბჭოთა კავშირის ყველა სამე-
ცნიერო კერა მოსკოვზე ჭიპლართი იყო მი-
ბმული. ადგილებზე დისერტაციობანას თა-
მამობდნენ. სამეცნიერო ხარისხებსა და ნო-
ბელებს მხოლოდ მოსკოვის ბექდით ენიჭე-
ბოდა ძალა. დედამინის ერთი მეექვსედიდან
ყველა დისერტაცია უამრავი საქმიანი ქალა-
ლდით მოსკოვს იგზავნოდა. ტრადიციუ-
ლი რუსული მექრთამეობა აყვავდა. ყალბი-
სმქნელობა, დისერტაციითა ფაბრიკაცია
ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. თუმცა მთა-
ვარი შიანიც კეთებოდა: ეროვნულ ენებზე
დისერტაციების დაცვას იწყნარებდნენ, მა-
გრამ თვით ნაშრომი-დისერტაცია და ყველა
მისი თანმხლები საბუთი რუსულად უნდა
მომზადებულიყო. რუსული ენა და რუსული
ცხოვრების წესი ინერგებოდა ყველგან და
ყველაფერში.

ბი-იანი წლებიდან რუსული კომუნიზმის
იდეოლოგებმა განვითარებული სოციალი-
ზმის იდეების პროპაგანდა დაიწყეს. მა-
რქსიზმ-ლენინიზმის სკოლაგაგლილი, დაჭი-
რავებული მეცნიერები ცდილობდნენ, დაე-
საბუთებინათ, რომ უკვე შექმნა ახალი ის-
ტორიული ერთობა - საბჭოთა ხალხი, ბუნე-
ბრივია, რუსული ენით, ორი სამშობლოთი
და საბჭოურად მოდერნიზებული რუსული
ნეს-ჩვეულებებით. ასე ისხამდა ხორცს
"ერების შერწყმის" ლენინურ-სტალინური
დოქტრინა.

საერთაშორისო იდეოლოგიურ ბრძოლა-
ში ამერიკულ ცხოვრების წესს საბჭოთა ცხო-
ვრების წესი დაუპირისპირეს და მისი ქება-
დიდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა და
იდეოლოგიზირებული ხელოვნების მთავარ
მიზნად აქციეს. საბჭოთა ანუ ნეორუსული

ცხოვრების წესს თითოეულ რესპუბლიკაში საფუძველი მომზადებული პქონდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საგანგებოდ და მიზანმიმართულად გახსნილმა მრავალმა რუსულმა სკოლამ არა მარტო ეროვნული უმცირესობანი მიიზიდა, არამედ რესპუბლიკის ძირითადი ეთნოსებიც. 70 წლის მანძილზე ასე ჩამოყალიბდა ადგილებზე რუსული განათლების, "ოქტომბრის ენოვანი" მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი - ბალავარი ახალი ისტორიული ერთობის საბჭოთა ხალხისა. საბჭოთა კავშირის ანაზღაურულმა დამხობამ ეს შეკონინებული ცნებაც და თეორიაც პარაზობად აქცია. მაგრამ საქართველოში მსგავსი იდეა კვლავ მოგინობს და "საქართველოს ხალხის" სახით გაბატონებას ცდილობს. ამ შეთხზულმა, ანტიქართულმა ტერმინმა საქართველოს კონსტიტუციის ახალ პროექტშიც კი ამოჰყო თავი, მაგრამ წინა მოწვევის პარლამენტმა ენერგიულად დაგმო და ახლა იმ ადგილას "საქართველოს მოქალაქენი" წერია. ქართველი ერის ხსენებას ოფიციალურად და მეტადრე კონსტიტუციითაც კვლავ ერიდებიან. ქვეყანას თუ "საქართველო" პქეია, "ქართველმა ერმა" რა დააშავა?!

რუსული იმპერიული დიქტატორის დროს "საქართველოს" და "ქართველ ერს" პირდაპირ ვერ ახსენებდი, "საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა" უნდა გეტქვა და დაგქენრა, ხოლო "ქართველი ერის" ნაცვლად "საბჭოთა საქართველოს ხალხი". თურმე საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებს ეწყინებათ "ქართველი ერის" ხსენება, ამიტომ ჩვენც ოფიციალურა "საქართველოს ხალხს" მისცა უპირატესობა. არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ჩემი აზრი პრესაში გამოვთქე და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ფაქტი იმიტომ აღვნიშნე, რომ დღესაც, რატომღაც, ეროვნული იდეოლოგიისა და მეცნიერების მიჩქმალვა საგანგებოდ ხორციელდება. მხედველობაში მაქვს პრესაში ატეხილი ყოვლად უპასუხისმგებლო და უაზრო ხმაური: "გჭჭიანდება თუ არა ეროვნული იდეოლოგია", უფრო მეტიც, აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც კი სწავლელები ამ თემაზე დისკუსიას მართავენ და ქართველ ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი ტყავიდან ძერება და ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ეროვნული იდეოლოგია საჭირო არ არისო. ქართველი ერის თვითგაცემისა და იდეურად განიარაღების (აღარას ვამბობ მატერიალურ განიარაღებაზე) უარეს მაგალითს ბოლშევიკების დიქტატორიანად ცეცრავენ დაასახელებს. შაშასადამე, მეცნიერებისა და საერთოდ ცხოვ-

რების პოლიტიზაციის საბჭოურმა მეთოდებმა ისევე მძლავრობს, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის ცნობიერებაზე, ხოლო საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებს თავგზას უზრევს, რადგან მათ რუსეთის სპეცსამსახურების სეპარატისტებად - საკუთარი სამშობლოს - საქართველოს მტრებად ამზადებენ. აქედან გამომდინარე, მესამე ათასწლეულის კვირამალზე მივიღებ დანთხეული სისხლის მდინარეები, დანგრეული ქალაქები და სოფლები, დაკარგული ტერიტორიები, მშობლიურ კერას მოწყვეტილი ასეულ ათასობით ადამიანი. საქართველო მტერს ბევრჯერ გაუთელავს, მაგრამ ასეთი მარცხი არასდროს განუცდია.

თითოეულმა რიგითმა ისტორიკოსმა იცის ირანის, თურქეთისა და რუსეთის "დამსახურება" საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობისა და საცხოვრისის მოცილებაში. დრო და მეთოდები იცვლება, მოძალადეთა მიზანდასახულობა კი - არა და არა. დიდი კვლევა-ძიება და ანალიზი საჭირო არ არის, თუ ასე გაგრძელდა საქართველოდან აღარაფერი დარჩება. ჯერჯერობით ქართული ხელგამოლობით და გულბრუნობით სამივე ამ ვეებერთელა მეზობელს გულში ვიკრავთ და საკუთარ სხეულს ვთავაზობთ. XVII საუკუნის დამდეგს ირანმა შაჰაბასისეული გეგმა ქართველთა აღმოფხვრისა ვერ შეასრულა, მაგრამ თურქულმა ხმალმა და მინის დაუფლების სუნიტურმა პოლიტიკამ მთელი სამხრეთი საქართველო მკერდიდან მოგვეკლიჯა, თანამემამულენი გადაგვიკვარა და ენ. "თურქ-მუსხების" სახით ახალი მუშავირობის ხათამალაში გაგვხვია. 80-იან წლებში, გადასახლებულ მესხთა წინააღმდეგ ფერღანაში აღმართული რუსული მახვილი თურქულ ნახევარმთვარესთანაა გადაჭდობილი. აღარას ვამბობ ნითელი რუსეთის წყალობით ბრესტის ზავითა და 1921 წლის ანექსიის შედეგად დაკარგულ მიწებზე. ასე იყო ამ საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ დღეს, როცა რევოლუციური ალტყინება დამცხრალია, რით უნდა ავსხნათ ასეთი კანიბალიზმი: საქართველოში, სადაც კი რუსული სამხედრო ნაწილი იდგა, მიწა თითქმის ყველგან დანაღმულია. თან რადიაციული დასაზოვნება გაგრცელებული. ბევრი ჩვენი სამხედრო ნაღმზე აფეთქდა და დაიფილდა, ხოლო რადიაციით დასაზოვნებულნი იძულებულნი არიან, სამადლოდ უცხოეთში იმკურნალონ. ვინც ეს ვერ მოახერხა, განწირულია. ამ ვითარებაში მოსახლეობას რა ემართება, საქართველ, წარმოგვენა არ გვაქვს. ასეთმა განუყოფლობამ ჩერნობილური ხორცის საშე-

ში სარკოფაგი გადაგვიყენა. ამბობენ, შექმნილ მდგომარეობაზე საქართველოს მთავრობას საპროტესტო ნოტაც კი არსად გაუგზავნიაო, თუ გაგზავნა, ხალხისთვის შედეგი უცნობია და დაუცველობის უპატრონობის გამო სასონარკვეთა მატულობს, შესაბამისი დარგის სპეციალისტებს კი რატომღაც პირზე ბოქლომი აქვთ დადებული. ალბათ, ამის გამოა, რომ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი სათქმელს ბოლომდე ვერ ამბობენ, არსებული განუკითხაობის შედეგია ის, რომ უბირი ადამიანები დასნებოვნებული ზონებიდან ეასრებასა და სხვა ინვენტარს იპარავენ, ოფიციალური ტელევიზიით ხევენება - დააბრუნეთ, თუ არა განყენეთ... (?).

რუსის ამიბის უამრავი რეაქტიული იარაღი და მილიონობით ნაღმი აქვს დამზადებული. მათი გაუენებლობა საქაცობრიო პრობლემად და ქცეული. ჩვენთან მყოფმა ნაწილებმა საქართველოს წმინდა მიწა მომავდინებელ ხანაგვე ყუთად აქციეს, მათი ნაღმობი ძირითადად დანადგურია, განაღმვა კი სიცოცხლის რისკით, მძიმე, დაძაბულ შრომას მოითხოვს. ჩვენს ახალბედა ჯარისკაცებს სარდლობა თითო ნაღმის ამოღებაში 30 ლარს შეპირდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამ შვირე თანხასაც ვერ უხდიან, შიშველ ენთუზიაზმზე კი ეს თავგანწირული ადამიანები როდემდე იმუშავენებს?! საერთოდ, ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულებს ხელფასს თვეობით ვერ უხდიან, ამიტომ უკეთურობა და ბინიერება აყვავებულია.

ვაი, რომ ამ ფაქტებს კომენტარები აღარ სჭირდება.

გარდა ამისა, წვრილმანი ნურავის ჰგონია, ირანი თბილისში გამოფენა-გაყიდვას რომ აწყობს და მილიონობით დოლარი გააქვს. თურქეთმა კი სტრატეგიული ნედლეული სა და მასალის ერთი კომორგამიც აღარ დაგვიტოვა. ორივე ეს ჩამორჩენილი ქვეყანა თავიანთ უხარისხო და უფარვის საყოფაცხოვრებო ნაწარმს ჩვენთან ასაღებს, ჩვენ კი ლამპებისა და ნავთურების წარმოებაც ვერ შევძელით. ჯანმრთელობისთვის მავნე თურქულმა კვების პროდუქტებმა ხომ ნავთურეკა. თურქეთში კაბაზე და ღამის კლუბი აღარ დარჩა, სადაც შედგებული ქართველი გოგონები არ ისხდნენ, მათ შორის - ახლადნამოიტიული ბავშვებიც. ის ავბედითი ტყვეთსყიდვა და მონათა ვაჭრობა ლამის ახალი ძალით აღორძინდა.

დემოკრატიულმა რუსეთმა ისეთ დღეში ჩაგვადგო, საბჭოთა ხელისუფლება მოგვანატრა. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ელჩი, ბატონი ზემსკი დაანინაურეს, მან ყვე-

ლა მისია პირნათლად შეასრულა და საქართველო გაპარტახებული, დაშლილი, დაქუცმაცებული დატოვა.

ასეთია არსებული სინამდვილე. როგორ საბურველშიც უნდა გაგვივით, ჭირი თავს მაინც არ დამალავს, ამიტომ სიმართლეს უნდა მივცეთ ასპარეზი და უეჭველია, აქ მეცნიერებაც კუთვნილი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვას. დღეს ყველასათვის ცხადია, და სწავლულებმა ხომ მშვენივრად იციან, რომ კეისარს კეისარისა უნდა მიეზღოს. ახლად-მართალი, სწორი და მძლავრი დიპლომატიით, მსოფლიოში ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნით, ხალხთა და სახელმწიფოთა სწორუფლებიანობის საერთაშორისო კანონების ამომწურავად გამოყენებით, უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან სუვერენული სახელმწიფოს უფლებამოსილებით უნდა მოვანსრიგოთ ურთიერთობა. ხელი ავიღოთ "ორი რუსეთის", "ორი სამშობლოს", "საქართველოს მცხოვრებ ორ აბორიგენ ერსა" და სხვა გამოაგონილი მორაყებსა თუ უკეთურობაზე. ვიყოთ რეალისტები და რეალური პოლიტიკა ვანარმოოთ. სახელმწიფოებრივ მიზნად ქართული ცხოვრების წესისა და ეროვნული ტრადიციების აღდგენა და დავისახოთ. ნინაპართა სიბრძნით ნასაზრდოები ეს მემკვიდრეობა არა მარტო ქართველთა კეთილდღეობას, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის წორმალურ საარსებო საშუალებასა და თანასწორუფლებიანობას განაპირობებდა. ქართულმა ისტორიულმა სინამდვილემ ეროვნულ-რელიგიური შუღლის მაგალითები არ იცის. ხალხთა მშობის ნათელმა შუასაუკუნეთა სიბნელე გამოგვატარა, XX საუკუნის დამსლევის ცივილიზაციას აფხაზური და ოსური წყლულები არა და არ შეხლამებდა. ეს ყველა უბედურება ჩვენი შინაგანი ბუნებისა და ქცევის შედეგი კი არ არის, არამედ შინაური და გარეუმი მტრის დამსახურებაა, თავსმოხვეულია, ჩვენ მსხვერპლნი ვართ, მსხვერპლნი!

მხოლოდ სამართლიანობას შეუძლია ქართველები და საქართველოში მცხოვრები ხალხები არსებული დილემიდან იხსნას. "ხალხთა მეგობრობის" რუსული პოლიტიკის ეს ამაზრზენი შედეგები დროულად რომ აღმოიფხვრას, ისტორიულმა მეცნიერებამ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას. ისტორიის გაყალბების არცერთი ფაქტი მხილების გარეშე არ უნდა დარჩეს. და, რაც მთავარია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ლექტორ-პროპაგანდისტთა ცოცხალი სიტყვით საქართველოს თითოეულ მოქალაქემდე, მსოფლიოს ყველა დაინტერესებულ პიროვნებამდე უნდა დავიდეს. მხოლოდ ისტო-



რიული სიმართლის საყოველთაო ცოდნას შეუძლია, აღმოფხვრას ნლობით ნათესი სეპარატიზმის ღვარძლი. ეს ამოცანა კი, ძირითადად, ქართული ისტორიული მეცნიერების ფლაგმანმა, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტშია უნდა გადაჭრას. მაშასადამე, დღეს გადაუდებელი ამოცანაა ისეთი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც მისაღები იქნება ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხისათვის. აი, რა ფასეულობა უნდა დადონ საბაზრო ეკონომიკის დახლზე საქართველოს მეცნიერებმა, სადაც ლომის წილი ისტორიკოსებს ეკუთვნით. მაგრამ არსებული სტრუქტურითა და შრომის ორგანიზაციით დღეს ამას შეკლებარები ვერ შეძლებენ. საჭიროა ძირეული გარდაქმნები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მიუხედავად იმისა, რომ გეგმით და ინსტრუქციებით ვმუშაობდით, საქართველოში მაინც არ გაგვარდა მეცნიერული შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. ამას პარტიულ ყრილობებმა და პლენუმებზე კომუნისტები თვითონვე აღიარებდნენ და პრესასა თუ სხვა საჯარო გამოსვლებში სიმართლის თქმა შეიძლებოდა. ეს სიმართლე არაერთხელ გაცხადებულა, თუმცა არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, თუ არ ჩათვლით სიმართლის მალაღებელთა დევნა-შევიწროებას. დიახ, ეს მაშინ ასე იყო, ხოლო ახლა მეცნიერს საკუთარი სინდისის გარდა არაფერი დარჩენია. პრესაში გამოსვლამაც დავაზრდა აზრი, რაც ვინდა ბეჭდე (თუ იკადრებ, უნდაწერო) გამდისა (დაეშვები), ყურადღებას არავინ მოგაქცევს, პასუხსაც არ დაღიროებენ, ამაზე ნათქვამი - "ყრუმ ყბედი დალალო".

ჩვენი მეცნიერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა არავითარ პოლიტიკურ ავანტურაში არ გახვეულა და თავისი მონოდეზინათვის არ უღალატნია. სიცხით გათანგულ თუ ყინვა-სიცივით გაუსადმლის არქივებში, მუზეუმ-საცავებსა და სამეცნიერო ბიბლიოთეკებში სხედან და სასურველ საქმეს განაგრძობენ, თუმცა საარსებო საშუალებებსა და ნაშრომთა გამოქვეყნების იმედს მოკლებულნი არიან. ბედის ირონიაა, რომ თითოეულმა მათგანმა შემოქმედებითი შრომის უძვირფასესი წლები, ძალუნიებოთი, არაინტელექტუალურ საქმიანობას მოახმარა. კიდევ ერთხელ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ინტელექტუალი, აკადემიკოსი, პროფესორი უმთავრესად ლაბორანტის შესასრულებელ შემგრო-

ვებლურ, ტექნიკურ საქმიანობაზე იზარალებოდა და დღეს კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია.

ატომური შეიარაღების ციებ-ცხელებით შეპყრობილი ნათელი იმპერია თანამედროვე ინფორმატიკის გარეშე დარჩა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა. სამხედრო შეიარაღებისათვის აუცილებელი ტექნიკური მეცნიერებანი ასე თუ ისე ფონს ვადიოდნენ, სამაგიეროდ სრულიად უშეუ ვითარებაში აღმოჩნდნენ უმანტარული და განსაკუთრებით ეროვნული მეცნიერებანი. დღეს საქართველოს ისტორიისა და მის არცერთ დარგს სრულყოფილი კომპიუტერული ბანკი არ გააჩნია. ბიბლიოგრაფიული და საცნობარო ლიტერატურის დონე განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებს ორი საუკუნით მაინც ჩამორჩება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რაღაც მინიმუმი კეთებოდა, ახვდ თუ კარგად უცხოეთთან კავშირები ხორციელდებოდა. იმპერიის დაცემის შემდეგ, მართალია, იდეოლოგიური რკინის ფარდა მოხსნა, მაგრამ პოსტკომუნისტური ქვეყნების და მეტადრე საქართველოს მეცნიერება და კულტურა ბუდიდან ამოვარდნილ შიშველ ბარტყს დაემსგავსა, - მისი პატრონი და დამცველი ჯერჯერობით არავინაა. მეცნიერებისა და კულტურის გადაჩენის შესახებ ხმამაღალი განცხადებები უსაფუძვლოა და ლიტონ სიტყვებად რჩება.

უამრავთაგან მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ: ნინა მონვევის პარლამენტის ნინაშე მთელი სიმწვაით დაისვა ეროვნული ბიბლიოთეკის მიმე მდგომარეობის საკითხი, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და დღემდე, საქრთაშორის ინფორმაციას, უსახსრობის გამო, მთლიანად მოწყვეტილია და უკვე შექმნილია მრავალწლიანი ვაკუუმი. მეტიც, ვერ იძენენ საქართველოში გამოცემულ წიგნებს, პრესას და სხვა ბეჭდურ პროდუქციასაც. ახლა წარმოიდგინეთ, სხვა ბიბლიოთეკები და სამეცნიერო კერები რა მდგომარეობაში იქნება. აღარას ვამბობ სამუზეუმო კოლექციებსა და ექსპონატებზე, ხელნაწერებზე, ეროვნული ლირებულების განქმებას და რელიკვიებზე, რომლებიც ან კონტრაბანდისტთა მსხვერპლნი ხდებიან, ანდა საცავებში ნლობით ტემპერატურული რეჟიმის დარღვევით ფუჭდებიან. პარლამენტმა ეროვნული ბიბლიოთეკის გადასარჩენად კომისია გამოყო. კომისიამ იმუშავა, ოღონდ ვერაფერი მოაგვარა. ახალი მონვევის პარლამენტმა ეროვნული ბიბლიოთეკა თავის საკუთრებად გამოაცხადა, თუმცა არსებითი ცვლილებები იქ არ მომხდარა. ჯერჯერობით, მინიმუმზე მი-



ნიმუში - პიბლიოთეკის აუცილებელი ცალე-
ბით დაკომპლექტებაც საფრთხეშია.

ვიდრე ეს ვითარებებია, მეცნიერული
შრომის ორგანიზაციაზე ლაპარაკი ზედმე-
ტია. მიუხედავად ამისა, ჩვენი პატიოსანი,
ჭეშმარიტი მეცნიერები თავიანთ შინაგან
მოზოდებას არ ლალატობენ და ამჟამადაც
ასე გააგრძელებენ, თუ ლუკმა პური ექნათ
და სამუშაოდ - დასაჯდომი ადგილი. ლაპა-
რაკია საარსებო მინიმუმთან ოდნავ მიახ-
ლოვებაზე, რასაც ქვეყნის ხელისუფლებამ
და აკადემიის ხელმძღვანელობამ მჭიდრო
თანამშრომლობით დაუყოვნებლივ უნდა
მიაღწიონ.

უპირველესად, უნდა გადაისინჯოს სა-
ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრო-
ფილი და სტრუქტურა, იგი როგორმე ერო-
ვნულ დაწესებულებად უნდა გარდაისახოს.
კვლევით ინსტიტუტებს რაც შეეხება, იქ მო-
მუშავე მეცნიერებს თვალისწინივით სჭირ-
დება გაფრთხილება. მით უმეტეს ამჟამად
მეცნიერება, რომელიც დღე და ღამ თავაუ-
ლებელ, დაუფასებელ შრომასა და მუდმივად
სიღამაღამ ზღვარზე ცხოვრებას გული-
სხმობს, მეტად არაპრესტიჟულ საქმედ
იქცა. ბუნებრივია, ჩვენი ახალგაზრდობა მე-
ცნიერებისაკენ აღარ მიისწრაფის. კაპიტა-
ლის დაგროვების პირველად, გობსეკისეულ
ანომალიებს მეცნიერება და ინტელექტი არ
სჭირდება, მთავარია სინდისზე აიღო ხელი.
ასეთ პირობებში მთავრობა ვალდებულია,
არსებული მეცნიერული კადრების ფიზიკუ-
რად გადაარჩინოს. შტატშემცირებები და
ქურჩაში გაყრები მათი დევნა დაუმჯებელია.
საქართველოში დღეს არცერთი მოქმედი
მეცნიერი არ მოიპოვება, რომელსაც, თუ
სწორად დაასაქმებ და სასიცოცხლო სა-
ხსარს მისცემ, დახარჯული არ აანაზღაუ-
როს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ვერ ვაკეთ-
დება სამეცნიერო დაგეგმვისა და თემების
განანილება-შესრულების საბჭოური მეთო-
დით. მადლობა ღმერთს, ახლა ერთი სიკე-
თე მიიწვ ვაკვანჩია: დაუყოვნავე შეკვიძო-
ლია, რასაც ვფიქრობთ, ის ვთქვათ. რუსუ-
ლი დიდმპრობელური შოვინიზმის მესვეუ-
რები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ,
ეროვნული მეცნიერების განვითარებას ყო-
ველმხრივ აბრკოლებდნენ, პირველ და-
რტყმას საქართველოს ისტორია და მისი და-
რგები განიცდიდნენ. გამიზნულად ხორცი-
ელდებოდა ქართველი ხალხისა და საქარ-
თველოში შემოსახლებულ სხვა ხალხთა ის-
ტორიის გაყალბება, ვინც ამას კისრულო-
ბდა, გვარიან ულუფას იღებდა. ახლა ასე გა-
გრძელება აღარ შეიძლება. დამოუკიდებე-
ლი საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა
მეცნიერული შრომის იმპერიული მეთაფო-

ლოგია საჯაროდ უნდა ამხილოს და დაეჭოს,
ჭეშმარიტად მოაზროვნე სწავლულებს გზა
გაუხსნან და სრული სამოღვაწეო ასპარეზი
შეუქმნან. ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ
სათბურის პირობებს მეცნიერები არ მოით-
ხოვენ და არც იკადრებენ, მაგრამ მეცნიე-
რის რუდუნება რიგობი პოლიციელის შრო-
მას ხომ უნდა ვაუთანაბრდეს. მეცნიერს ხომ
პრაქტიკულად დასვენების დღე და საათი არ
გააჩნია.

ერთ ტელეგადაცემაში საქართველოს
ეკონომიკის მინისტრს (თვითონ ყოფილს,
თუ ამჟამადაც მოქმედ მეცნიერს), ტელეგა-
დაცემის წამყვანმა უზერბული კითხვა და-
უსვა: ძალოვანი სტრუქტურების თანამშ-
რომლებს რატომ აქვთ მაღალი ხელფასი, მე-
ცნიერებს კი პირიქით?

პასუხი გამაოგნებელი იყო: ძალისმიერი
სტრუქტურების თანამშრომლები მცირე
ანაზღაურების პირობებში ყარალობას დაი-
წყებენო...

წამყვანმა თავი ვერ შეიკავა და შეესი-
ტყვა: რა ქნან მეცნიერებმა, ყარალობა რომ
არ შეუძლიათო?

სწორია. წესიერ სწავლულს ყარალობა
მართლა არ შეუძლია, მაგრამ საექტო ღირ-
სების კერძო სასწავლებლებში ლუკმა პური
რომ იშოვოს, ამის ცდუნებას ვეღარ
უძლებს. ბევრი ნიჭიერი მკვლევარი სოკოე-
ბივით მოშრავლებულ "აკადემიებსა" და
"უნივერსიტეტებში" ცდება და შემოქმედე-
ბით ენერჯიას ამაოდ ფლანგავს.

მასხადამე, მეცნიერები რომ კვლევით
საქმიანობას დაუბრუნდნენ, მათ მუშაობის
მინიმალური პირობები მაინც უნდა აქო-
ნდეთ. ეს არ გამოვა დამოკლეს მახვილივით
დამიზნებული შტატშემცირებითა და სახე-
ლფასის ფონდის ფინგლიორობით. როგორც
გვარანუნებენ, საბაზრო ეკონომიკა შეუბ-
რალბებელია, ოღონდ ასეთ მდგომარეობაში
ხელისუფლების ამოცანა ის არის, რომ გა-
რდამავალი კრიზისული პერიოდი მეცნიე-
რებს და საზოგადოდ ხალხს შესაძლებლ-
ობის ფარგლებში გაუადვილოს. მაგრამ ეს
კორუფციის აღზევებით ვერ მოხერხდება.
კორუფციის წინააღმდეგ მებრძოდ კომისი-
ას სათავეში როგორი ყოჩაღი ბიჭიც არ
უნდა ჩაუყვონ, ვერავითარ შედეგს ვერ მო-
გვრტანს. მერცხაღს გაზაფხული არ მო-
ჰყავს, მერცხალი გაზაფხულს მოჰყავს. მთ-
ლიანად უნდა შეიცვალოს ჩვენი ქვეყნის მა-
რთვის სისტემა და შექმნილი მდგომარეო-
ბის ზუსტი მეცნიერულ-პოლიტიკური შეფა-
სება-გაანგარიშებით, გლობალური, კომპ-
ლექსური ანალიზით, კრიზისიდან გამო-
სვლის გზები უნდა დაისახოს. თუკი პოლი-
ტიკოსები ინებებენ, ქართველ მეცნიერებს

ეს ხელენიფებათ და ძალუძთ...

მაშინ ადგილი იქნება მეცნიერების შევლა-ჭკუას ვერავის ვასწავლით, თითოეული დარგის მკვლევარმა კარგად იცის თავისი სპეციალობისა და ოჯახის სატყევეარი, ორსამ თვეში სრულყოფილი პროგრამები დაინწყობა, ოღონდ მთავრობამ შესრულების მინიმალური გარანტიები დასახოს. ერთი კორუმპირებული მაღალი თანამდებობის პირი, რაც ხალხსა და სახელმწიფოს ზარალს აყენებს, მისი დროული აღკვეთა რომ მოხერხდეს, მთელ ქართულ მეცნიერებას სული-სმოსათქმელად ეყოფა.

ახლა საკუთრივ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტზე. ზერელე გადახედვითაც ერთ რამ თვალშისაცემია: საპრობლემო ჯგუფების სიუხვე, რომლებიც ძველ, "ქლასიკურ" განყოფილებებს უტყვენ. აქ ნიშანდობლივი და საცნაურია თანამდებობისაკენ ლტოლვა, რაც ქართველთა ქუბუდად დაყოფილი სენია და მეორე არსებითად გადაუდებელი საჭიროებანი პრობლემური თემატიკის სახით მდორე მეცნიერულ ცხოვრებას აფორიაქებენ. ამ შემთხვევაში ბელადთა კულტი, მაღალმეცნიერულ ტიტულოსანთა ოლიგარქია უნდა დაიძლიოს და ნაღდ საქმიანობას დაუბრკოლებელი შესაძლებლობა მიეცეს. მეცნიერები იმის მიხედვით კი არ უნდა დაიყონ, ვის რა ხარისხი და წოდება აქვს მოპოვებული, არამედ ვის რისი გაკეთება შეუძლია. საქართველოს უახლესმა ისტორიამ იცის ისეთი აკადემიკოსები, რომელთაც შთამომავლობას ერთი წიგნიც ვერ დაუტოვეს, პავლე ინგოროყვას კი არცერთი სამეცნიერო ხარისხი და წოდება არ ჰქონია. ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, გასაგებია წითელი იმპერია მეცნიერულ წოდებებს, ხარისხებს, თანამდებობებსა და ჩინ-მედლებს უპირატესად რისთვის არიგებდა...

ყველა შეუნდოს ღმერთმა, მიცვალებულსაც და ცოცხალსაც. ახლა მთავარია ერთმანეთს კი არ დავეროთ (საკამარისია შეცოდებანი), არამედ როგორმე საერთო ენა გამოვნახოთ და ქვეყანა თავსმოხვეული კრიზისიდან (ეს კრიზისი შინაგანი არ არის, ინსპირირებულია) გამოვიყვანოთ. ამისათვის აუცილებელია ეროვნულ მოთხოვნილებათა შესაბამისად მეცნიერული შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და სამეცნიერო საქმიანობის საბაზრო ეკონომიკის შესაფერისად წარმართვა.

სარეგლად ინფორმატიკის და ბიბლიოგრაფიულ-საცნობარო სამუშაოთა ორგანიზაციას უნდა ემველოს, რაც, ბუნებრივია, ერთი ინსტიტუტის ფარგლებში ვერ გადა-

ყდება. აქ კუსტარულობა დაუმეცნიერებელი ამერიკული ცხოვრების წესის ზერელე მობაძვამ წაგვლეკა. ძალადობის, სექსისა და სალექტი რეზინის პროპაგანდის ნაცვლად ამერიკული რაციონალიზმი იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ ინფორმატიკის ცენტრალიზებული, რესპუბლიკური მნიშვნელობის კერა შექქმნათ, რათა კადრები და სახსრები გაავრთიანოთ. ამ შემთხვევაში მონოპოლიზმი, არსებული რუტინის საპირისპიროდ, არამცთუ დასაშვებია, არამედ აუცილებელი!

"მონოპოლია" ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყველა სპეციალისტს, პროფილის მიუხედავად, ერთ დაწესებულებაში მოვუყაროთ თავი. არა, ინფორმატიკისა და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება თითოეული კვლევითი ინსტიტუტის უმთავრესი რგოლი უნდა იყოს, მაგრამ, ვიდრე სახსრებისა და ტექნიკის დეფიციტია, მათ კარგად აღჭურვილი და კოორდინირებული, ცენტრალიზებული კერა უნდა უწევდეს მომსახურებას. ხოლო ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს ზეღუფასი იმ რაოდენობით უნდა მიეცეთ, რომ ნაბალადვე სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს არ გამოეკიდონ.

განსაკუთრებულ ზრუნვასა და სათუთ მოპყრობას საჭიროებენ ეროვნული მეცნიერებანი, თავიანთი მიმართულებითა და დარგებით. უპირველესი ეროვნული მეცნიერებაა ქართველოლოგია, საქართველოს ისტორია, ქართული ენა, ლიტერატურა, ფოლკლორი და ა.შ.

"ეროვნული მეცნიერების" ცნება პირობითია. ყველა დარგის მეცნიერება, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ბუნებას, ტერიტორიასა და ხალხს სწავლობს, შესაძლოა მოცემული ხალხისათვის, ეროვნულ მეცნიერებად ჩაითვალოს. მოკლედ, მეცნიერება ეროვნულია, თუ მას ერისათვის კეთილდღეობა, ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და ბედნიერება მოაქვს. ამრიგად, დღეს საქართველოსთვის გეოლოგია ისეთივე ეროვნული მეცნიერებაა, როგორიც საქართველოს ისტორია. მით უმეტეს, საბჭოურ ექსპერიმენტებში გამოვლილ, გაძვალტყავებულ ქვეყანას დარღვეული აქვს ბუნებრივეკოლოგიური და ეკონომიკურ-მეურნეობრივი წონასწორობა; აგრეთვე - რელიგიური მრწამსი, მორალურ-ფსიქოლოგიური და საერთოდ სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე.

დროულად უნდა ვალიაზოთ, რომ უცხოთა მიერ დასმული დიაგნოზი - "ავადმყოფი ერისა", მხოლოდ მტრული გამობხდომა როდია. 1905, 1917, 1921, 1924, 1937, 1941-45, 1950-იანი წლების გადამტან ერს (ალარას ვამბობ დასაბამიდან დაბედებულ კირთებსა

და კატაკლიზმებზე), 1991-92-ის დეკემბერ-იანვრის ავანტიურა და ცხენის წყალზე პირისპირ დგომის სირცხვილი არ უნდა დაგვმართოდ...

ყოველივე ამას ზუსტი, მეცნიერული და მიუკერძოებელი ანალიზი სჭირდება. ვერავის დაუბრალებთ საკუთარი ეკონომიკის გაცამტვერებას და ქვეყნის გალატაკებას. პეტრემ დააშავა თუ პავლემ, ეროვნული თვალსაზრისით, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შედეგი დამლუპველია. ძველი ისტორიული ხალხების ბედი რომ არ გავიზიაროთ, ინტელექტუალებმა და პოლიტიკოსებმა საერთო ენა უნდა გამოიხატონ. საქართველოს დღეს დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ძაღლისხმევა სჭირდება, კვლავ მოსაწვევია რუსი-ურბნისის ეროვნული კრება.

უამთავლაშ, მოვლენათა განვითარებამ კომუნისტური რკინის ფარდა აიგვება და კავკასიის ყელი კვლავ იქნა ვერანის შემაერთებელ ხიდად, როგორც ახლა ამბობენ - დერეფნად. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც გარკვეულწილად შეცვლის კავკასიის ხალხთა ცხოვრებასა და ინფრასტრუქტურას.

სტრატეგიული უღელტეხილებისა და ზღვის პატრონ საქართველოს უბრუნდება ოდინდელი ფუნქცია - დაიცვას და მოაწესრიგოს მის ტერიტორიაზე გამაგალი მსოფლიო მნიშვნელობის გზები. ჩვენი უკვე რუსეთის განაპირა პროვინცია აღარ ვიქნებით, არამედ იმ ისტორიული მისიის მქონე სახელმწიფო, რომელიც კაცობრიობის ახლადგაფურჩქნულ ცივილიზაციას ნომადებიც განიცავდა. ძველი აღმოსავლეთის, ძველბერძნული, რომაული და ბიზანტიური კულტურა დიდადაა დავალებული ზეკართა დამცველი, მეკობრეთა თავზარდამცემი, მნივნივარი, ზღვაოსანი, მინათმოქმედი და მეტალურგი ქართველებსაგან. ამერიკული ცხოვრების წესით, გერმანული და იაპონური სასწაულებით გაბრუებულმა მსოფლიომ კაცობრიობის წინაშე ქართველთა დამსახურების შესახებ თითქმის არაფერი იცის. ბოლოს და ბოლოს, არგონავტების მითს ხომ უნდა გაშორდეს ქართველებზე წარმოდგენა. ბერესათვის დაუჯერებელია, რომ საქართველო არგონავტების მითის დროინდელ და უფრო უადრეს რეალებს ისევ ინახავს. ფაზისის სათავეებში, სოფელ ლევის მთებში, დედამინის ზურგზე ყველა უპრეველსი და სრულყოფილი მალაროები მნახველს ელოდება. საქართველოს ბუნება და ყოფა კვლავ მრავალ პირველქმნილ, ხელთუქმნელ საიდუმლოს ფლობს. მათ გარეშე კაცობრიობის კულტურა გალარბობდება. ათასგვარ საჭი-

როებას რომ თავი დავანებოთ, მტკიცებულებების სამუშაო პირობების შექმნა ამიტომაცაა აუცილებელი. სრულფასოვანი მეცნიერული აზრის მეოხებით ეროვნული მეობისა და თვითშემეცნების გააქტიურება იმითმ დგება დღის წესრიგში ასე მსგავსად, რომ მიღეთის გამეღელ-გამომღელღმა არ ნაგვლეოს, არ გადაგვჯეგოს, რაც გავგაჟინია, ისიც არ ნაგვართვას, არ გადაგვავგვაროს, პირისფარეშებად და ხასებად არ გავვიხადოს.

თანამედროვე შეიარაღების პირობებში ისეთი მცირერიცხოვანი და ღარიბი ერი, როგორც ჩვენ ვართ, ამ აგორებულ ტაღლას, მოვარდნილ დელგმას წინ ვერ ალუღდება. ხსნის გზა მხოლოდ ერთადერთია: საკუთარმა ისტორიამ, მაღალმა შინაგანმა თვითშემეგნებამ და ორიგინალურმა კულტურამ უნდა გადაგვარჩინოს. მაგრამ ვიდრე ყველაფერ ამას მსოფლიო ბაზარზე გავიტანდეთ (ასეთ ბაზრად მალე საკუთრივ საქართველო გახდება), თითოეულმა ჩვენგანმა ხომ უნდა შევიმეცნოთ, რისი პატრონები ვართ?

სიმდიდრე და საქონელი გვაქვს, მაგრამ აღურეცხავი და მოუნესრიგებელი. საბაზრო ეკონომიკის გარდუღალი კანონია, რომ რასაც უყიდი, მას საბაზრო სახე, ეტიკეტი უნდა გააჩნდეს, თან ქონების ფასი უნდა იცოდეს. თუ უამისოდ ვაჭრობდავიანებ, შედეგი საველოო იქნება. რაც დაეკარგეთ და გავაგინოთ, საკმარისია. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთელი მეცნიერება უნდა დაიარაზმოს, რათა მრავალათასწლოვანი ეროვნული კულტურის მონაპოვართა მეცნიერული აღრიცხვა შეეძლოს. ეს არის რთული, შრომატევადი სამუშაო, რომელიც ჩვენმა მეცნიერებამ დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს. აი რისი ორგანიზაციისათვის უნდა იღწვოდეს და ირჯებოდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. სწორედ ამიუფრთხილდნენ, საარსებო საშუალება მისცენ, რათა უქმად ერთი დღე არ დაიკარგოს. რა უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა ვაკეთდეს, ამისი პროგნამები მეტნაკლები სისრულით მომზადებულია და საჭიროებისათავე შეიძლება წარდგენა.

კომპლექსურად უნდა იყოს შესწავლილი საქართველოს ყველა დასახლება (სოფელი, დაბა და ქალაქი), როგორც ბუნებისმცოდნე, ისე საზოგადოებრივი მეცნიერებისაგან. გამოცდილება და სათანადო ორგანიზაცია აშკარაა. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან 70-იანი წლებიდან მოქმედებს საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია. ჩამოყალიბებულია მუდმივ-

მოქმედი კომპლექსური ექსპედიციები. დაგროვილია მნიშვნელოვანი მასალა, რომლის შევსებლია და გამდიდრების შედეგად შესაძლებელია, ახლავე გაეცეს პასუხი ქვეყნის ინფრასტრუქტურის მონერგება-გარდაქმნის აუცილებელ საჭიროებებს და ა.შ.

იმპერიული პოლიტიკის შედეგად, სრულფასოვანი ეროვნული განვითარებისათვის აუცილებელი ლიტერატურა გამიზნულად არ ქვეყნდებოდა. ივანე ჯავახიშვილის პროგრამითა და ინიციატივით შეკრებილი შინამრეწველობის უნიკალური მასალა, მხოლოდ ერთუზიასტია მცირე ჯგუფის ძალისხმევით ელრსა და წინათღეს. კვლევით ინსტიტუტებში, მუზეუმებსა და არქივებში მრავალი მონაცემი დაუნჯებულად, რომელთა გათვალისწინებლად შეუძლებელია ერის განვითარების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება და წინსვლა. ყალბად გაგებულმა "თავისუფლებამ" და "საბაზრო ეკონომიკამ" ფართოდ გაუხსნა გზა პორნოგრაფიას და ყოველგვარ ბინიერებას, უკეთურებას, რაც საზოგადოების დემორალიზაციას, ზნეობრივ დაქვეითებას იწვევს. მეცნიერული წიგნი იშვიათობაა. მოუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ცენზურა აზროვნებას ძალიან ზღუდავდა, ის პერიოდი ახლა სანატრელი გაგვიზდა. ეროვნული ლიტერატურის მიმართ ჩარჩულად გაგებული მოგების მისადაგება შემეცნებით და შემოქმედებით აზროვნებას დალუპავს. კრიზისით თავისმართლება გამოსავალი როდია, კრიზისს დასაწყისი აქვს და დასასრულიც უნდა ჰქონდეს...

წესიერ, ნაღმართიან საბაზრო ეკონომიკას თუ მივალნვეთ (წმინდა მერკანტილური თვალსაზრისით), ქართული წიგნი ნამგებნიანი არ იქნება. თვითმყობადი ქართული კულტურის მდიდარი საგანძურები მსოფლიო ენებზე თუ ამტყვევდებდა, ქართველ ხალხს სახელსაც მოუტანს და მოგებასაც. ეს სამუშაო, ბუნებრივია, ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა უნდა შეასრულონ და თავიანთი ნაწარმი საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკის დახლზე დადონ. რა თქმა უნდა, შიშველი ხელებით, XVII-XIX სს. ტექნიკური საშუალებებით ამის მიღწევა შეუძლებელია. რაც ჩვენთან კაბარებებში, ჯაზონებში, ლამის კლუბებსა და ბორდელებზე იხარჯება, ის თანხა სამეცნიერო ექსპედიციებს ფიქსაციის თანამედროვე საშუალებებით აღჭურვიდა და გამომცემლობებსაც წელში გამართავდა.

ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ექსპედიციები აღრიცხავენ და დააფიქსირებენ ბუნების, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, თითოეულ სო-

ფელს და ნასოფლარს, დაბასა და უდაბურს ქალაქსა და ნაქალაქარს.

ჩატარდება საქართველოსა და მისი მოსახლეობის, გადარჩენილ ფასეულობათა პირველი ეროვნული, მეცნიერული აღწერა, რომლის მონაცემების საფუძველზე წარმოებდა ქვეყნის მართვა, მოსახლეობის დასაქმება და ეკონომიკის დარგების განვითარება. სამუშაოს იშოვის ყველა სპეციალისტი და შრომისუნარიანი მოქალაქე.

საბჭოთა კავშირის დაცემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ამ გოლიათმა მსოფლიო შრომის დანაწილებაში კუთვნილი ადგილი ვერ იპოვა. უაზრო შეჯერებაში ჩაბმულმა მასობრივი მოსაპობის იმდენი იარაღი დააგროვა, მთელ დედამიწას შეუქმნა საფრთხე. ეს ვერ გაითვალისწინა იმანაც, ვინც ახელა ზვიგენი შეჯობების ანკესზე წამოაგო. ახლა დახვავებული ატომური იარაღი გასაუფნებელია, რასაც წარმოებაზე არანაკლები შრომა და ხარჯი სჭირდება, შედეგი კი ფრიალ სათუთა. მადლობა დღმერთს, საქართველოს ეს უბედურება არ სჭირს (როგორც გვარამუნებულს, მცხეთის რეაქტორი გაუფნებულა). ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, მთელი სასიცოცხლო ძალები შინაგანი განვითარებისათვის წარვმართოთ და შრომის მსოფლიო დანაწილებაში კუთვნილი ადგილი დავიკავოთ.

ინერება გულბრწყილო კონცეფციები და პრესაში იბეჭდება, თითქოსდა ჩვენ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ნაწარმით მსოფლიო ბაზარზე გავალთ. ეს ამჯერად გამორიცხულია. ჩვენთან ყველა დარგი ისეა მოშლილი, საქართველოს იქ არავინ შეუშვებს. იაპონური სასაწარმოს მოხდენა კი ჩვენი ბუნების გამო, მომხმარებლური ფსიქოლოგიითა და წარმოების დაბალი კულტურით, არ შეგვიძლია. საბჭოურ თაღლითობას ნაზიარებ მუშას მსოფლიო სტანდარტების შექმნა გაუჭირდება. ეროვნულ და საერთაშორისო რანგის სპეციალისტებად ახალი თაობა უნდა აღიზარდოს, მაგრამ არა სწავლების იმ სისტემით, რაც ჩვენ დღეს ვაგვაჩნია...

ჰოლანდიის მსგავსად ყვაილების ინდუსტრიასაც ვერ შევძლებთ, რადგან ამ ფაქტს საქმის დახვეწილი ოპერატიულობა და სიზუსტე სჭირდება.

ჩემი ღრმა რწმენით, გამოსავალი ევრაზიის დერეფანში გაშვებულ-გამომწველთა მასპინძლობაში, ტურიზმის სწორ ინდუსტრიასა და კურორტების აღორძინებაშია.

გვიანდა, თუ არ გვიანდა, გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, დერეფნად უკვე ვიქცით. ახლა აუცილებელია საკუთარი თავისა და ღირსების შემეცნება,

რომ ჩვენ ვართ ძველი კოლხებისა და იბერიელების შთამომავალნი, რომელთაც ქედს უხრიდნენ მრისხანე ასირიელები, ურარტელები, სპარსელები, ბერძნები, რომაელები და ა.შ.

70 წელი საბჭოთა კავშირის ისტორიის გვასწავლიდნენ, სადაც პრიმიტიულ ხალხებთან ვიყავით გაიგივებულნი. ორასწლოვანი მონობით ეროვნული სიამაყე და ღირსების გრძნობა დაქვეითებული, დაჩლუნებული გვაქვს (შვეუბარობა ეროვნული სიამაყე და შეტადრე ღირსების გრძნობა არ არის). ნამდვილ, კულტურულ მოფლიოსათვის მისაღებ ეროვნულ სიამაყეს და ღირსების გრძნობას სწორი პატრიოტული აღზრდა იძლევა. ამას რომ მივალნიოთ, ეროვნული იდეოლოგია უნდა გვქონდეს, „დერეფანში“ მოხლოდრილებმა ეს თუ ვერ შევძელით, გავითქვიფებით და დავიღუპებით. საფრთხის თავიდან ასაცლებლად, პირველი რაც უნდა გააკეთოთ, მინას და მინათმოქმედებას უნდა დაუბრუნდეთ. ბუნებრივია, ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებული ე.წ. „მინის კანონით“ ამას ვერ შევძლებთ. აგარული რეფორმა, ვიდრე გამოუსწორებლად გვიან არ არის, მხოლოდ და მხოლოდ ქართული გზით უნდა წარიმართოს. ეროვნული მინათმოქმედების აყვავება საშუალებას მოგვცემს, არა მარტო თავი დავირჩინოთ, არამედ საკუთარი სურსათით გავუშაპინდლდეთ უამრავ სტუმარს, მგზავრს, ტურისტს და კურორტებზე ჩამოსულ ათასებს. გარდა ამისა, ახლავ უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩამოსულთა სულიერი და ეთიკურ-ესთეტიკური მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილოთ. სწორედ ამიტომაც, საჭიროა, უმაღლეს დონეზე განვავითაროთ ნაციონალური ხელოვნების ყველა დარგი, მათ შორის განსაკუთრებით ფოლკლორის თითოეული სახე, გამოყენებითი ხელოვნება და მხატვრული რწევა, შინაწევა. მინის ნაყოფის საბაზრო წარმოებასთან ერთად (ყვეულების ჩათვლით), სამახსოვრო საჩუქრების, სუვენირების მთელი ინდუსტრია უნდა ჩამოყაყალიბოთ, რათა ჩვენი სიამაყო ისტორიისა და ყოფის მოსაგონარი ნივთის გარეშე საქართველოდან არაუბნაოვიდეს. ამ თვალთახედვით წარსულში მრავალი რამ არის გაკეთებული, რომელთაც ესთეტიკური სრულფასოვნება და გამოყენებითი ფუნქცია დღესაც არ დაუკარგავთ. ეს გახლავთ წარმტაცი პერსპექტივა, რისი მოხუბითაც საკუთარ ოჯახში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმდება. ამ საშვილიშვილო საქმის სათანადო ორგანიზაცია და წარმართვა შესაბამის სამეცნიერო დანერგებებზე დაყრდნო-

ბის გარეშე შეუძლებელია. აქ მეცნიერება და ბიზნესი ერთმანეთს მომგებიანად შეერწყება.

ტურიზმის ინდუსტრია და საკურორტო საქმე (შეტადრე ეკოტურიზმი) საქართველოს მომავალია. რა თქმა უნდა, ორივე ისეთი მოცულობით უნდა განვითარდეს, რომ მთელი ერი პირისფარეზად არ იქცეს. რაც შეეხება დერეფანს, წინ ველარაფერი დაუდგება, მისი ყველა უარყოფითი ზეგავლენის საშიშროება წინასწარ უნდა იყოს განაგარიშებული-გაანალიზებული და საჭირო ზომები მიღებული. ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებასთან ერთად აქ უმთავრესია ეროვნული მეობისა და სახის შენარჩუნება. ჩვენმა წინაპრებმა ამას სისხლიან საუკუნეებში მიაღწიეს, ახლა ჯერი ჩვენზეა. არამარტო საკუთარი თავის, არამედ მომავალ თაობათა წინაშე ვართ პასუხისმგებელნი. ეროვნული ცხოვრების წესის მოშლისა და გადაგვარების თითოეული ფაქტი ან შემთხვევა პრინციპულ სიმალღემდე უნდა ავიყვანოთ. ქართული ქალის კვამამოსილებამ, სინაზესთან ქრწმულმა სიამაცემ, უზადო პატიოსნებამ და ზნეკეთილობამ, ქმრისა და ოჯახის ერთგულებამ უმძიმესი ეკონომიკური და სულიერი კრიზისიდან უნდა გვიხსნას. თუ ქალმა ეროვნული მისია შეიმეცნა, მამაკაცები სასწაულს მოახდენენ. აი, სად უნდა თქვას ქართული მეცნიერებამ და ხელოვნებამ გადამწყვეტი სიტყვა.

ქმედება დედოფლის მონამეობრიობა სჭირდება დღეს საქართველოს; ტრადიციული, მტკიცე, გამრავლებისუნარიანი ოჯახები სჭირდება დღეს საქართველოს.

და ბოლოს, უნდა შევეხმიანოთ მაღალი რანგის ჩინოვიციებს, ძველსაც და ახლსაც, განსაკუთრებით მათ, ცარიელი ხაზინით რომ იზღვევენ თავს და წამოჭრილ ყველა მწვავე კითხვას მარების მრავალმნიშვნელოვანი არქივით პასუხობენ.

ჯერ ერთი, ხაზინა ვინც დააცარიელა და მოსვლელობა შიმშილად შეიყვანა, მან ერის წინაშე უნდა აგოს პასუხი. ცალკეულ ბოროტმოქმედთა ან დამანაშავეთა ჯგუფის გასამართლება და დასჯა მატერიალურ და ზნეობრივ ზარალს ვერ აანაზღაურებს. მთელი უბედურება ისაა, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დანაშაული რომელიმე აღზევებული პირის მიერ საჯაროდ, შეუნიღბავად ხდება. როგორც იტყვიან, „ხალხი ზიზნიოს“, მაგრამ ამაოდ, ვიდრე ყველაფერი მინასთან არ გასწორდება, ზომებს არავინ იღებს. მერე შესაჭმელი რომ აღარაფერი დარჩება, „უძღებ შვილს“ მოხსნიან, ან სადმე უხიფათო ადვილზე გა-

დაიყვანენ და ყველაფერი ამით დამთავრდება, არავის არაფერზე პასუხს არ მოსთხოვენ...

ქვეყანას უყავს პრეზიდენტი და მან სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა უნდა მოიწვიოს, სადაც ხალხის თვალწინ დაუფარავად გაიჩინება ცოდვა-ბრალი. საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, მაგრამ სიკვდილის ტოლფასი უნდა იყოს სახალხო შერცხვენა და მსჯავრის დადება. ის, ვინც თანამემამულეთა ძარცვა-გლეჯით, გაყვლეფის ხარჯზე გამდიდრდა, უნდა შერცხენდეს და მოიკვეთოს. უცხოეთში გატანილი ხალხის კუთვნილი თანხა და ქონება უკან უნდა დაბრუნდეს. ასეთი "ბიზნესმენები", ვაიკაპიტალისტები საქართველოს ღუპავენ. მათ თავიდან, მომნანიც კაცის რუდუნებით უნდა დაიწყონ ცხოვრება და ჩადენილის გამო სინანულის გამოხატვით თითოთი საჩვენებელი უნდა გახდნენ. დაუშვებელია არმად გამდიდრებულნი, "ბიზნესმენობაში" აღზევებულ-განლაღებულნი საყოველთაო სიღუბნით გაძვალტყავებულ ადამიანებს თითს უქნედნენ და

სიღარიბის გამო ამცირებდნენ. ცუდები გატყუებას, ამინისტიას არ იმსახურებენ. დღეს საქართველოს სარაჯიშვილები, ზომტარიები და ზუბალაშვილები ესაჭიროება.

სამეცნიერო შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას და მეცნიერთა საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას რაც შეეხება, თუ სახელმწიფოებრივი თვალთახედვით განესჯით, ამას მიზერული თანხა ეყოფა. თუ ეს შინ არ მოინახება, მაშინ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს უნდა მივმართოთ, ოღონდ მეცნიერების გადარჩენისა და განვითარებისათვის გაღებულმა სახსრებმა უშუალოდ არ უნდა გაიზიაროს.

სამწუხაროდ, უმაღლესი დონიდან წართმეული განცხადებები, საქართველოში მეცნიერება და ხელოვნება გადავარჩინეთო, სინამდვილეს არ შეეფერება და კლავინდებურად ლიტონ სიტყვად რჩება. მეცნიერებისა და ხელოვნების ჭეშმარიტი წარმომადგენლები ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე არიან...



არჩილ ჩხარტიშვილის წერილები ალექსანდრე ახმეტელისადმი

წინასიტყვაობა

1934-36 წლებში რუსთაველის სახელობის თეატრი შეფობდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეროვნულ თეატრს, რუსთაველის თეატრის სტუდიაში შეიქმნა ჩეჩნეთ-ინგუშეთის სექცია, ეროვნული თეატრისათვის პროფესიონალი მსახიობების აღსაზრდელად.

პირველი დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით რუსთაველის თეატრის მუზეუმმა შემოინახა, არის ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან თეატრის ხელმძღვანელის სანდრო ახმეტელის სახელზე მოსული დეკრეტი:

“რუსთაველის ქართული თეატრის მიერ შეფობის აღება უზარმაზარი კულტურული მნიშვნელობის ფაქტია ჩეჩნეთ-ინგუშეთის ახალგაზრდა თეატრის ცხოვრებასა და განვითარებაში. თქვენი პირადი მონაწილეობა ჩვენი თეატრის ბედ-იღბალში და თქვენს მიერ განზრახული ზრუნვა საწინდარია იმისა, რომ ჩვენი თეატრი ამიერიდან შეძლებს მტკიცე და მყარი ნაბიჯით იაროს შემოქმედებითი სრულყოფისა და მხატვრული ზრდისაკენ. თავის მხრივ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო აღმასკომის პრეზიდენტი ყოველმხრივ დაგეხმარებათ ამ დიდასა და ძნელ საქმეში.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე სეიდ კაზალიევი”.¹ დეკრეტს მოჰყვა გროზნოს სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი რეჟისორის ალ. ტუგანოვის წერილი ახმეტელისადმი, დათარიღებული 1934 წლის 24 აგვისტოთი.

“... კულტურის მდგომარეობა აქ ძალიან დაბალ დონეზეა, მაგრამ სურვილი - ფეხზე დააყენონ თეატრი - დიდია. ჯერ არა აქვთ შენობა, რადგან საზაფხულო შენობა 1-ლი მაისის ბაღში იგეგვა, რაც ბალი სტელა², რომელიც ზამთრისათვის გამოუსადეგარია. თეატრი ჩანასახ მდგომარეობაშია. ხელმძღვანელობას ეს არ ესმის, რადგან თვლის, რომ თეატრი შემოსავლიანი სანარმოა. კარგი იქნებოდა, თუ შენ საშუალება გაქვს, გამოყო პიროვნება აქ სამუშაოდ. ეს არის სიტყვა-სიტყვითი გაშეორება ჩემი წერილისა ჩეჩნეთ-ინგუშეთის თეატრის დირექციისადმი, რომელმაც ცოტა ხნის წინ განწყვიტა კავშირი კიდევ ერთ თურქთან - შეიხოვთან. იგი მოსკოველია, მუშაობდა შეიერხოლდთან, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, თითქოს -და იმიტომ, რომ მას ვერ გამოუყვეს საცხოვრებელი ოთახი. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენს კადრებს შორის არიან ნიჭიერი მუშაკები, ვისაც გამოგზავნი, მე სიბერულით შევხვდები და მასთან ერთად ვიმუშავებ კიდევ...”³

20 სექტემბრით არის დათარიღებული ხელშეკრულება შეფობის შესახებ. იგი ასე გამოიყურება:

“ხელშეკრულება

1934 წლის 20 სექტემბერს ქ. თბილისში დადებულია ნაწინამდებარე ხელშეკრულება რუსთაველის თეატრის, მისი დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის, რუსთაველის სახელობის არტისტ ახმეტელის და ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო აღმასკომის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეროვნული თეატრის დირექტორის აშხ. ხოს-მაგომედ ბაგას ძე იახმატოვის შორის, შემდეგზე:

1. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეროვნული თეატრის განვითარების, განმტკიცებისა და მხატვრული ზრდის მიზნით რუსთაველის თეატრი კისრულობს შეფობას აღნიშნულ თეატრზე, მის ზრდასა და განვითარებაში ყოველმხრივ ხელის შეწყობას.

2. რუსთაველის თეატრი კისრულობს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეროვნული თეატრისათვის ახალგაზრდა კადრების აღზრდას და მომზადებას.

3. რუსთაველის თეატრი აღნიშნული მიზნით თავის სტუდიაში მიიღებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო აღმასკომის მიერ მოვლინებულ ახალგაზრდებს, რომლებიც სათანადო გამოცდის შემდეგ მიიღიან იქნებიან სასცენო ხელოვნებაში სამუშაოდ.

4. მოვლინებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 30 კაცით. აღნიშნული რაოდენობა შეიძლება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაიზარდოს ან შემცირდეს.

5. სასწავლო პროგრამას, სწავლის ხანგრძლივობას და ზოგად რეჟიმს განსაზღვრავს რუსთაველის თეატრი.

არქივულად
წარმოდგენილია

6. რუსთაველის თეატრის სტუდიაში მისაღები სტუდიელების შერჩევას აწარმოებდა რუსთაველის თეატრის წარმომადგენელი ქ. გროზნოში. იგი უნდა გაემგზავროს ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო აღმასკომის გამომძიებელთანავე, არა უგვიანეს 1934 წლის 1 ნოემბრისა.

7. მოვლინებული სტუდიელების რჩენის ყველა ხარჯებს, როგორც არის: სტიპენდია, სტუდიელების საერთო საცხოვრებლის ბინის ქირა, ტანსაცმელის ღირებულება, ფონდირებულ ფასებში - კისრულობს ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო აღმასკომი ოლქის განათლების განყოფილების მეშვეობით. ის არეგულირებს ამასთან დაკავშირებულ ყველა საკითხებს.

8. ახალი კადრების აღზრდის პარალელურად, რუსთაველის თეატრი ხელმძღვანელობს ჩეჩნეთ-ინგუშეთის თეატრს ქ. გროზნოში ამისათვის საგანგებოდ მივლინებული რეჟისორის მეშვეობით, რომელიც პერიოდულად ჩასვლით ამონებს მუშაობას ადგილზე.

9. რეჟისორის მიმავრება ხდება იმ ანგარიშით, რომ იგი პირველად ჩავიდეს გროზნოში თეატრის მუშაობის წარსამართავად ამა წლის ოქტომბერში.

10. ჩეჩნეთ-ინგუშეთის თეატრის რეპერტუარის გაძლიერების მიზნით რუსთაველის თეატრი არჩევს ჩეჩნურ ენაზე სათარგმნელად გამოსადგე პიესებს; ამასთან ავალდებულებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის თეატრს დაუყოვნებლივ თარგმნოს პიესა "ანზორ".

11. სტუდიელების შემოსვაზე, მათ ბინასა და კვებაზე ზრუნავს და აგვარებს რუსთაველის თეატრი (7 პუნქტის შესაბამისად).

12. რუსთაველის თეატრი კისრულობს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ოლქის სტუდიელები აღზარდოს უფასოდ.

13. რუსთაველის თეატრი კისრულობს თანადგომას ჩეჩნეთ-ინგუშეთის თეატრის მუშაობისათვის საქორ ტანსაცმლისა და თეატრალური აქსესუარების შეძენაში.

14. ხელშეკრულება ძალაშია 1934 წლის 20 სექტემბრიდან 1936 წლის 1 სექტემბრამდე და შეიძლება ვადაზე ადრე იქნეს შეწყვეტილი. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მხარეები აცნობებენ ერთმანეთს ერთი თვით ადრე.

15. ხელშეკრულება შედგენილია სამ ცალად. მათგან ერთი ინახება რუსთაველის თეატრის საქმეებში, ორი კი გადაეცემა ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო აღმასკომს.

მხარეთა იურიდიული მისამართებია:

რუსთაველის თეატრი - თბილისი, რუსთაველის პრ. 21.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო აღმასკომი - ქ. გროზნო.

რუსთაველის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ალ. ახმეტელი

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეროვნული თეატრის დირექტორი

იახშატოვი

ბევრ რამეს პფენს ნათელს ალ. ახმეტელის წერილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის მდივნის გიორგი მახარაძისადმი:

"ძვირფასო ამხანაგო გიორგი!

ჩვენი მიმონერის ნიადაგზე⁵ და პირადათ ამხ. ფილიპენ⁵ უშუალო მონაწილეობის შედეგად ჩვენ ვიღებთ კულტურულ შეფობას ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ნაციონალურ თეატრზე. ჩვენი საშეფო დახმარების ნორმები სამ შესაძლებლობანი, გარდა წინასწარ ურთიერთ შეთანხმებისა, დამოკიდებულია ადგილობრივ მომუშავე ამხანაგების უნარიანობაზე და აქტივობაზეც.

ვაგ ზავნით რა ამხ. ჩხარტიშვილს (ჩვენი სათეატრო სკოლის მონაფეს - რეჟისორს), დარწმუნებული ვარ - ის თქვენი და უშუალოდ ზემდგომ ორგანოების დახმარებით შესძლებს ჩვენი საერთო სურვილის - ჩეჩნეთ-ინგუშეთის ნაციონალური თეატრის ძირითადი საფუძვლების შესწავლას და დამკვიდრებას.

მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მიმდინარე სეზონის მუშაობა, იმ ძირითად საბოლოო ამოცანებს, რა თქმა უნდა, გარეშე საკუთარი კადრების აღზრდისა, ვერ გადავჭრით. ეს საკითხი წინასწარ შეთანხმების ნიადაგზე მოგვარებულია და ტენიკურად მის განხორციელებაზე მრავალმხრივ დამოკიდებულია ჩვენი საშეფო ვალდებულებების შესრულება და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ნაციონალური თეატრის შექმნის და განმტკიცების საკითხი.

ამხანაგური საღმით ს. ახმეტელი⁶

მაღე გროზნოდან თბილისში გაიგზავნენ სტუდიისათვის შერჩეული ახალგაზრდები. 1934 წლის 26 ნოემბერს მათ ავტორიტეტული კომისიის წინაშე დაიჭირეს გამოცდა. კომისიას თავმჯდომარეობდა სანდრო ახმეტელი; მის შემადგენლობაში კი შედიოდნენ: ჩეჩნეთ-ინგუშეთის თეატრის დირექტორი იახშატოვი, რეჟისორები ა. ჩხარტიშვილი, ე. პატაროძე, და მ. აღსაბაძე, სტუდიის პედაგოგები ი. ქანთარია, დ. მფავია, გ. სარჩიშვილიძე, ლ. ყაზაიშ-

ვილი, ბ. ნულაძე (ყველანი რუსთაველის თეატრის მსახიობები) და ტატიანა შტეტო (მკვდარი მასწავლებელი). როგორც "სტუდიის მიმღები კომისიის სხდომის ოქმი" გვაუწყებს, კომისიამ სტუდიაში მიღების ღირსად ჩათვალა 23 ახალგაზრდა, რომელთაგანაც დაკომპლექტდა 2 ჯგუფი: № 5 - ბილალ საიდოვი, თაფა ისაევი, იარალი ზუბაირაევი, იაკუბ ახმეტოვი, მაგომედ დადაევი, ტუგან მალსაგოვი, ახმედ უსპანოვი, აბდურახმან ბატაევი, თამარ იბრაგიმოვა, მარია ეკატევა, იუმატგარეი ლიანოვა, მუტალიევი და ბაკიმეშა და ჯგუფი № 6: მოგჯინ ბადუევი, დუნდა კურკიევი, ხას-მაგომედ ბეკ-მურზაევი, ბალაიდინ ზადაევი, სად-ახმედ ალხაზოვი, იდრის ბაზორკინი, მალიკატ გელისხანოვა, როზა ბუტუევა, მაქმერაფ ანარკიევი, სახმან დაშაევი. ცოტა ხანში რამდენიმე მათგანი გაირიცხა სტუდიიდან უღისციპლინობის გამო და მათი ადგილები დაიჭირეს: ახმედ დუდაეშა, ანხარ იუნალიოვა, ხასან შოიპოვა, მაგომედ მამაკეშა, მაფეტ მუსტაბიეშა, ხაფა ბაკიმეშა და იზმილი კურუმოვა. ბოლომდე არ გამართლდა არჩილ ჩხარტიშვილის ვარაუდი. სწავლა ჩეჩნეთ-ინგუშეთის სექციაში ქართული სტუდიის საერთო პროგრამით მიმდინარეობდა. ასწავლიდნენ სასცენო ხელოვნების ტექნიკას, რითმიკას, გრიმს, ქორეოგრაფიას, სიმღერასა და ჩანგურ-რეზ დაქვრას, სოლოფეჯოს, ფარეკაობას, ფიზკულტურას, ასწავლიდნენ ქართული თეატრის ისტორიას, ქართული ლიტერატურის ისტორიას, ხელოვნების ისტორიას, ანატომიას, დიალექტიკურ მატერიალიზმს, ქართულსა და ფრანგულ ენებს. დასამალი არ არის - ამ საგნების სრულყოფილად დაძლევა სტაბილური საშუალო განათლების მქონე ქართველი ახალგაზრდებისთვისაც კი არ იყო ადვილი, მაგრამ ჩეჩენი და ინგუში სტუდიელების უმრავლესობა გულმოდგინებით შეცადინებოდა და თავსაც ართმევდა რთულ საქმეს.

საარტიჟო მასალებით ირკვევა ისიც, რომ საქმაოდ კარგად იყო ქართული მხარის მიერ მოგვარებული ჩეჩენი და ინგუში ახალგაზრდების ყოფაც. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით ისინი განთავსებული იყვნენ საქართველოს გლეხთა სასახლეში, ცაკისავე განკარგულებით (ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, ცაკის მდივანი თ. ჟღენტი) ფონდირებულ ფასებში მიეცათ ტანსაცმელი (კომპლექტში შედიოდა პალტო, კოსტუმი, საცვლები, ფეხსაცმელი, კალოშები და სხვა), ხოლო უფასო კვებისათვის მიმავრებული იყვნენ რუსთაველის თეატრის სასადილოზე, რომელსაც ცაკმა ჩეჩენი და ინგუში ახალგაზრდების გათვალისწინებით, საკვები პროდუქტების ნორმა გაუზარდა. ამას ემატებოდა სტიპენდია, რომელსაც ახალგაზრდები გროზნიდან იღებდნენ და ამდენად ყოფილი საკითხების მოუგვარებლობაზე მათ არაფერი ეთქმოდათ.

რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცულია კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი - სტუდიის ჩეჩნეთ-ინგუშეთის სექციის ჯგუფების იდრის ბაზორკინის სტატიის ტექსტი, რომელიც გაზეთ "Троизынский рабочий"-ს რედაქციაში გაუგზავნია ავტორს და რომელიც საერთოდ სტუდიის და კერძოდ, ჩეჩნეთ-ინგუშეთის სექციის მუშაობას ეხება. სამწუხაროდ, იმის დადგენა - დაიბეჭდა თუ არა ეს სტატია, ვერ შევძელით, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი ფრადგმენტები უთუოდ საინტერესო უნდა იყოს.

"რუსთაველის თეატრის სტუდიაში - ნერს ი. ბაზორკინი - შეცადინებობს ოთხი სექცია: ქართული, აჭარის, ოსეთის და ჩეჩნეთ-ინგუშეთის...

თეატრის სტუდია, ეს მარტო სასწავლებელი როდია, სადაც თეატრის დარგის მცოდნე ადამიანებს ზრდიან... აქ გაწაკუთრებით ებრძვიან მოსწავლეების მიერ თეატრის კობირებას. ამ მხრივ პედაგოგების სიფაქიზე მუდმივია...

... ჩვენი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის სექცია აქ სხვებზე უფრო გვიან ჩამოვიდა, მაგრამ გავლილ პერიოდში დიდი სამუშაო შევასრულეთ როგორც თეორიული სწავლის, ისე პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და მხატვრული საქმიანობის მხრივ. მოახლოებულმა გამოცდებმა უნდა უჩვენოს ჩვენი მიერ პროგრამის ათვისება...

... პირველი მაისიდან გროზნიში მუშაობას იწყებს ეროვნული თეატრი... ერთი წლის შემდეგ მის შემადგენლობაში შეუერთდება სტუდია. ეს დიდი კოლექტივი მოვალე იქნება გამოავლინოს ის პოტენციალი, რომელიც გააჩნია ჩვენი ხალხის ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ ყაშირს".³

მართლაც, ახმეტელის ხელმძღვანელობით აღზრდილი ახალგაზრდები სტუდიის დამთავრების შემდეგ დაუსრულდნენ სამშობლოს და შეუერთდნენ ა. ჩხარტიშვილის მიერ ფეხზე დაყენებული ეროვნული თეატრის დასს.

დღიდან სტუდიის დამთავრებისა ჩვენთვის უცნობია, რა ბედი ეწიათ საქართველოში აღზრდილ ჩეჩენ და ინგუშ მსახიობებს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბევრი რამ მოხდა. იყო სისხლიანი 30-იანი წლები, რომლებმაც ბევრი სასიქადულო ადამიანი შეინირა, იყო "დიდი სამამულო ომი" - სადაც ბევრი ადამიანი დაიღუპა; იყო 1944 წლის დემორტაცია, რომელმაც ერთბაშად ალგავა პირისაგან

მინისა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ქალაქები და სოფლები, ხალხი შორეულ გზებსა ტყეში, ტყეში ტყეში აღდილობდა ბევრმა ვერ მიაღწია, მაგრამ ვინც გადაარჩა, მშობლიურ ქვეყანას სომ მონყვიტეს.

საქართველოსაც არ დაკლებია ტანჯვა-ვაება - არც რეპრესიები, არც დიდი ომი... სად არიან დღეს ის ჩეჩნები, რომლებიც თავის დროზე ასე გულთბილად მიიღო საქართველომ, აღზარდა, მისცა პროფესია? ვასაგებია, რომ ახალგაზრდობამ ალბათ ბევრი არაფერი იცის წარსულის შესახებ, უმრავლესობამ, ყოველ შემთხვევაში... უფროსი თაობიდან კი ბევრი უთუოდ აღარავინ დარჩა; აღარავინ, ვისაც შეიძლება ახსოვდეს... და მაინც...

1973 წელს რუსთაველის თეატრში მოვიდა ქ-ნ აზა გაზიევა ნერილი.
 "პატივცემულო ამხანაგო - ინერებოდა ქალბატონი - ძალიან თხოვით მაცნობოთ ა. ჩხარტიშვილის მისამართით... ოცდაათიანი წლების დასაწყისში ის იყო ჩვენი ჩეჩნეთ-ინგუშეთის თეატრის მთავარი რეჟისორი. ვიცი, რომ ოცდაათექვსმეტში ის საქართველოში წავიდა. მე იმ დროს თეატრის ისტორიაზე სადიპლომო შრომას ვწერ და უქვეყლად მჭირდება მასთან დაკავშირება...

... კიდევ ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. ცნობილია, რომ 1934 წელს ამხანაგმა ჩხარტიშვილმა თბილისში სასწავლებლად გაგზავნა ჩეჩენი და ინგუში ახალგაზრდების ჯგუფი. შემოინახა თუ არა რაიმე მასალები ამის შესახებ, შემიძლია თუ არა გავეცნო ამ მასალებს. იმ სტუდიაში აღზრდილთა მოგონებების მიხედვით - სტუდიას ხელმძღვანელობდნენ ხორავა და ვასაძე..." (იმ დროს ხორავა და ვასაძე სტუდიის ხელმძღვანელები არ ყოფილან, ჩანს, ვილაცამ ქ-ნ აზას არასწორი ინფორმაცია მიანოდა).

ჩანს, იმ დროისათვის კიდევ არსებობდნენ სტუდიის კურსდამთავრებულნი, ვისაც რისამე გახსენება შეეძლო, დღეს კი არის მათგან ვინმე ცოცხალი? შესაძლოა ერთი მაინც იყოს იმ 30 ახალგაზრდიანი. ნუთუ მას, ამ მის ახლობლებს არ ახსოვთ ის სიტუო და სიკეთე, საქართველომ რომ მიაგო? რატომ ხმას არ იმალებენ? საერთოდ, სად არიან, რატომ სდუმან სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ვისაც საქართველომ დახმარების ხელი გაუწოდა, გული გაუთბო? - ისინი ხომ ვალდებული არიან ახალგაზრდებს მაღლიერების გრძნობა, სიკეთის ხსოვნა გაუღვივონ, მამ რატომ არიან გაწუმებული? დაავინყდათ? ჩვენ კი გვახსოვს და სათუთადაც ვინახავთ ამ ხსოვნას.

1934 წლის ოქტომბრის ბოლოს გროზნოში ჩავიდა ახალგაზრდა რეჟისორი, შემდგომში საქვეყნოდ სახელგანთქმული ხელოვანი არჩილ ჩხარტიშვილი. მეზობელ ჩეჩნეთში მის მუშაობაზე მოგვითხრობს ალ. ახმეტელისადმი მიწერილი მისი წერილები, დაცული რუსთაველის თეატრის მუზეუმში. ვფიქრობთ, ამ წერილების გაცნობა მკითხველისათვის ინტერესსმოკლებული არ იქნება.

ლალი ყურულაშვილი

"ძვირდასო აღექვანდრე ვასილის ძეჯ"

მე დაგვირდით, რომ ჩამოხვალისთანავე მოეწერო, მაგრამ მოხდა ისე, რომ მე ჩამოხვალისთანავე წამოვიწყეს ელადიკაეობი. კაკაეუბი ამათ ჰქონიათ სტუდია, რომლიდანაც ესენი აბარებენ შუაგის ის 30 კაცი, რომელიც მიხე უნდა გამოეყვანონ. ამ მიზნით მათ მოაწვეეს ასეთი ამბავი: ინარეკებლეს ჩემი ჩამოხვალის და დაიხმეს ორი წარმოადგენა კაკაეუბი. ერთი სტუდიელების ძაღვებით, ხდლო შორესთვის ჩამოიყვანეს გროზნოდან თბილისი თეატრი. ამით იმათ უნდოდათ მე გამეცნო მთელი მათი ძაღვები წარმოადგენების საშუალებით. რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ ამით ცოტა დავიანდა თქვენთან წერილის მოწერა, რადგან წარმოადგენები თანამშეს მსოლიად 30 და 31 ოქტომბერს. გარდა ამისა მათ უნდოდათ აქვე კაკაეუბი მოეხვინათ წინასწარი გამოცდა ორე კოლექტივის, რომ ერთკარი მთლიანი შთაბეჭდილება მიმელო საერთოდ მათი კანათლებს და სიჭიერებს შესახებ. ეს უკვე მოახდინეთ, ასე რომ ესლა მთლიანი აზრი შემიძლია მეგატობინით. სურათი ვერ არის მაისც და მიხეც ხსუვეყო, კანათლებით ძალიან დაბლა დევანს, კულტურის მსრეო ხომ უარესათ არის საქე; საერთო მათი კანათლება 4-5-ე ჯგულის კანათლებას არ სცილდება. ორი-სამი კაცია რომელიც შეიძლება შეიძლევის კანათლებს შეეფარდოს. ასეთი მდგომარეობა არის ორეც კოლექტივში, თუკაც სტუდიელები უფრო მაღლა დევანს კანათლებით, მაგრამ სიჭიერებით მსახიობები ხუბიან. ესლა შეზღვევი: თეატრში არის სულ 22 მსახიობი, მათში 6 საესებით უვარეცია, ასე რომ დარჩა 16 კაცი. სტუდიაში არის 24 ხული. მათში 5 უვარეცია. დარჩა 19 კაცი. ესე იგი წეს კვეტეს 35 კაცი და ქალი, რომელია შემადგენლობიდან შეიძლება სტუდიისთვის ხალხის შერევა, მაგრამ თუ 30 კაცი თბილისში წამოვიდა, აქ აღარაფერი არ რჩება. მე ვამბობ 35 კაცია მთელი, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ წეს იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც ეყვრებით სტუდიელებს, საკანონოლად შეეარმადლები. რა თქმა უნდა ასე შორიდან მთელია ვადგობემა, მაგრამ საუკულოდ რომ ავიღოთ ისეთი ხდინა 2-3-ის გამოკლებით, რომ თანაც თუ რესხული, თბილისი ესეუ კიხთავ კი უჭირთ. აქსურ ხელ-

საქონელში

მძღვენლებს უნდოდათ რომ მე თითონ ჩამეტარებინა აქ გამოცდები, მაგრამ მე ამაზე უარი უთხარე შენს მკაცრად მოლოთ წინასწარი საერთო გამოცდა, ხოლო კომისიის ჩამოსვლა გამოცდებისთვის მაშინაი აუცილებლად. ჩემი აზრი თუ გნებავთ, ეს არის - ამათ ან უარი უნდა სთქვან 30 კაცის გამოცხადებაზე და გამოცხადების maximum 10-12 კაცი, ან და სულ უნდა დასვროთ თეატრი და მთელი ხალხი გამოცხადების თბილისში, თუ თქვენთვის შესაძლებელი იქნება თქვენი მიერ მიღებული სტუდიის პროგრამა შეუვარდით ამათ ცოდნაზე, ესე იგი შექმნათ ძალი პროგრამა. ესეა რაც შეეხება საერთო საცხოვრებელს, შე გადავეცი თქვენი ხათქეპი ოთახების ვიდრის შესახებ, მაგრამ დირექტორმა უარი სთქვა, იმიტომ რომ ამ წლის ბოლომდე უკვე შექმნილი აქვით თქვენს და საერთოდ ამდენ ფულს ვრთად წყნ გროსნომი არავინ მოეცემა. თავის მხრით თქვენ ვითხოვთ, რომ ამკვარ მდგომარეობის როგორც აუხიოთ და დაძინა რომ ფ. მახარაძე მუშაობდა ფულის გამოძებნასო და ვითხოვთ რომ ავიღებეს მიზართით. შე უთხარა ეს ამავე უფრო გაქანურდება-შეთქი, მაგრამ ეს შინც ვითხოვთ ერთგვარი დაწოლი მაშინდით ამ მიზნით. რაც შეეხება სურვილს წყნისთ კავშირისა, ეტეობათ ძალიან მოხდომებული არიან, მაგრამ როგორც ვიყავი ზრისციკლი-ში, აქვე არის საღისა, რომელსაც თათის აზრის გამოთქმა აუცილებლად მაშინით და სხვად ისეთ სისულელეს მოხმეს, რომ რაღა მოეახსენათ; საუბედროთ ასეთი ხალხი ხელმძღვანელობამა. დანარჩენი მასსა მოლოდ ვრთი სურვილით არის ეკლესიული, ისწავლოს და ისწავლოს, შეტი არაფერი. მე კარგათ შექცევიან, ჯერ ვერ დავედგურება, გროსნომი აუტომობალით შემხედნ სადგურში, სისტემობს კარგ სიმყრში დაძაბისაზე, მაგრამ აი ეს საკითხები ძალიან მარტუბს. მახარაძე ჯერ არ მინახავს, მაგრამ როგორც ედმოძვეს მას უნდოდა თეატრის დახურვა და მთელი ხალხის ზანდ გამოცხადება, მაგრამ შერე ეს აზრი გამოვევლით, თუმცა შეიძლება ეს ზარველი აზრი უფრო სწორე იყოს, თუ თქვენ შესაძლებლად სცნობთ მათთვის ახალი პროგრამის შექმნას. აი მთელი სურათი, რომლის შესახებ მე შემიძლია ვიღაზარაკო. რაც შეეხება დადგმებს, მე გეონია ეს გადავეუწიეო შენგვე, როცა მახარაძეს ვინახულებ და სტუდიის შესახებ მივიღებ ზახუს თქვენგან. ჩემი ზინადი თხოვანა, საჯაროელი ალექსანდრ ვასილივიკი, რომ ზახუსა ამ საკითხებზე მომწერით რაც შეიძლება ჩქარი იმავე მისაძარბით, როგორითაც დირექტორს წერით. შეიძლება ვეუღაფერი, რასაც მე გწერთ, უფრო ადვილად მოხავეარებელია, რაც საუკეთესო გამოხავალი იქნება ჩემთვისაც და ამითვისაც, მაგრამ აქ თუ დაფრჩი, ისეთივე სტუდიური მუშაობის ჩატარება დაძირდება, როგორსაც თქვენ ზანდ ჩატარებთ. ეს ფაქტია. შემატეობინეთ სცნობთ თუ არა თქვენ საჭიროდ საგამოცდო კომისიის ჩამოსვლას იმის შემდეგ, რასაც მე თქვენ გწერთ? დღეს მივიღებთ გროსნომი და მე გეონია ზეალებე მოვახერხებ მახარაძის ხახეს. აი ვეუღაფერი, რაც შემიძლია ჯერჯერობით მოეწერით. დანარჩენი საკითხების შესახებ მალე მოეწერთ.

თქვენი პატრიცისტემული არჩილ ჩხარტიშვილი.

2.II.34
პაპკავი

"ალექსანდრ ვასილივიკი! ზირველი წერილის გამოცხადება დამიკვიანდა, რადგან სტუდიელების გამოცდა ვაკათავე მოლოდ 2-ში. დღეს უკვე გროსნომი დაფრუნდი. ორგანიზაციის სტუდიის გამოცდა კარგი მოხაქქდილება მოხადინა. რა თქმა უნდა აქედან უმრავლესობა მოხედება სტუდიამა. ვახათლების ცენზი კარგი იქვით. თეატრის დან კიდევ დაუმატებ რამთდენიე კაცს, ასე რომ დაახლოებით 20-22 კადი შეაკეს მანდ გამოსაცხადი. ესეა ძალი ზინობების შესახებ: უმარველებს ვოვლისა აქ აინტერესებთ მატერიალური ზინობები ზანდ ვოვლისა: რა დაუჯდებათ კვება, დასტერებათ თუ არა დლოგინის წამოლება? აი ამ საკითხების და იმის შესახებ, რასაც ზირველი წერილში გწერთ (ზინა და სხვა), ვითხოვთ მომწერით სხანაყოფ და მამინ უკვე შეუძლებთ ამათ გამოცხადებას. თქვენი ზინობა ვერ შეეახრება, 1 ოქტომბრისთვის მომწერეთ ეს ამავე, რადგან აქ სხვა ზინობები მუშადა. მაცნობეთ ჩამოვად მიმღეი კომისია თუ არა? მომწერეთ აგრეთვე საჭიროა თუ არა შეეხება გარეშე ზალხით იმ რიცხვისა, თუ დავეკავოვილდეთ ამ 20-22 კაცით?"

მეორეობის ალექსანდრ ვასილივიკი!
 აქ დიდი სურველი აქვით თქვენი სურათი დაკვიდონ ფოთში და ამათომ ვითხოვთ თქვენი კარგი სურათი გამოცდოვანით და ჩვენ აქ გავადიდებთ.
 შე თუ გამომიგზავნით თქვენ სურათს ძალიან მადლობელი ვიქნები. არა მქვს და ძალიან შწენის.

თქვენი პატრიცისტემული არჩილ ჩხარტიშვილი
3.II-34



“ძვირფასო ალექსანდრე ვასილივიჩი!

აქამდის არ მოკვრებო არაფერი იმიტომ, რომ მე ვიცი რა მქონდა გამოსარკვევი. უხლა მგვამარცხება გამოი-
რკვა. რისაც შეძინოდა, ის მოხდა; დამოკლებულებს აქაური მუშაობისათვის ისეთია, რომ აქ უნდათ სეზონის ჩა-
ტარება, რაც შეიძლება შეგი ზეხის დაგება, შათი კომპრეციული პიხისა გამოყენებისათვის. ამის წინააღმდეგი
არა ვარ, მაგრამ ასეთმა მუშაობამ არ უნდა შეუძლოს ხელი თეატრის სრდას, რომელიც მქონდა განსრბული, აქ
დარსა ძალიან ნატიური ხალხი თეატრში, მაგრამ განათლების მსრდა დახლა დეგანა. როგორც ხაერთა, ბეროთე
სვეცალურთა განათლებას სესტი აქეთ, ამიტომ მინდოდა სე სონურ მუშაობასთან ერთად სტუდენტური მუშაობა ჩამე-
ტარებია. ასეთი თუ თქვენი დირექტორაც; ამ ხალხის დატოვება თეატრის გახსნის 2 წლის შემდეგ არ შეიძლება,
რადგან უფრო ერთი მარტო ვე შემაღვეწლოდა, რომელიც თბილისშია, არ კარა, და მერე თავისთავად ნიჭიერი
ბეჭევია და ცოდევა შათი დაღუვა. ერთის სიტყვით, ალექსანდრე ვასილივიჩი, კონტრეტულად ამ საქმეებზე თქვენ
ნემ დირექტორთან არ ვილაშარაკათ და მე ვოველ წერილმანზე მიხედა კმათი, რომ დავიცვა ნემი სიმართლემ,
კარგი იქნებოდა რომ თქვენი მართი მოკვრით წერილი იახმტაციუსის სახელზე ამ საქმეების გარშემო. 1-ლი
იანვრიდან ვიწვევ რამოდენიმე საგნის სწავლებას და მე მინდოდა თქვენგან გამეყო ვევე დაწერილებით რა და რა
საგნებს თუღლი თქვენ აუცილებლად 1-ლ წელიწადს. ამის შესახებაც კთხოთ შომწერთ და დაევაღლით დაღის¹¹
გამომთე ზაეროს სასწავლო პროგრამა ვეველა საგნების, რომლებიც იქნება საქირო. მორე საქითხი, ეველაზე მნი-
შეწლოვანი არის ხეუნი უბინობა; მე თქვენ მოგახსენეთ, რომ მდებარე დაგვირდა მუნობას, მაგრამ ეს დაძირება
უფრო არ შეესრულება. კატორა ძალიან ამ დაძველებულ შენისის მიღება, რომელიც არავითარი მუშაობა არ
სწარმოებს. მე მკონია ამ საქმეში ბრალი მიუძღვის რუსულ თეატრსაც, რომელზედაც აქ ლაშარაკობენ, რომ რუ-
სული ტრამპი გაასახლა სტაჟოროლოდითა, კონსერვაციის თეიდან ასაცილებლად. ამ საქითხის გარშემო კთხოთ,
ალექსანდრე ვასილივიჩი, როგორმე დაუკამინდეთ აქაურ მდებარე ე. მასარამეს, კარგი იქნება თუ წერილს მი-
სწერთ, ნემ ხასელზე და მე გადავწვამ და თან მოველაშარაკებ საბოლოოდ. სვეთა შირის აქ თუ 2. კისინა¹²,
დამბარა თათის ვოკონმა და თრია საათის განმარტორამში ველაშარაკე, ძალიან კარგი მიმიღო, მასარამესე იქ თუ,
კისინამ მიითრა, თუ არ შევისრულეს რამე, მე მომწერეთ და ვეველაფერს გადაეცეთო, მასარამესე უთხრა - თუ არ
მოვარეთ ამ კაცს, დაღესტანში შოხოვს და იქ ვეველებო. სვეთა შირის თქვენ მოკვრით მიამა წერილი იმის
შესახებ, რომ დაღესტანში კთხოთ შეყოფას, არ ვიცი შიღლი თუ არა. ერთის სიტყვით მე მინდა შეახასწელი
მეტევა ვევაკეთა, რომ შენობა შიღლი, თუ ამასაც არ გასჭრა, მიამი ნემი აქ ვოყხა უახროა, იმითომ რომ ამ
შარობებში მუშაობა არ შეიძლება, არავითარი აზრი არა აქვს. ზეეს “ანსონი” დავიწვე. შირულელი მოქმედება
ითქმის დასრულებული მათქეს, მსახობებე კადარეული არიან ისე მოსწონს ზეესაც და ასეთი...¹³ მაგრამ შირი-
ბები რომ არ გეიწვობს ხელს ამასე ირევიან. შენობა რომ მჭორდეს, ძალიან კარგათ წავა საქმე. მხატვრით, რომ ასე
დაუღაგებულ წერილს ვწერთ. ვატან ხეუნ სტუდენტებს და შექარებთა. ეს თრი საქითხი მარესებს; თუ მომხმარე-
ბით შიდლობული ვიქნები. დანარჩენსე დაწერილებით მოკვრით ამ დღეებში.

თქვენი პატრივისმცემელი
არჩილ ჩხარტიანილი¹⁴
1934

“ძვირფასო ალექსანდრე ვასილივიჩი!

ნემს სახელდახლოდ მოწერილ წერილს უთოდ მიიღებდით. ვხარავებოლმე შემოსევით, მერავს ვეც ზაენით.
ნემი და თეატრის მგვამარცხება აქ ისეთივეა, როგორიც ადრე თუ. შენობა უფრო არა ვეაქვს. ეუშის ისე ველაშარაკე
მასარამეს, დამპირდა საღამოსთვის შენისის ევეველად კადმოვემის, მაგრამ ისე ვერ მოასწრო ლაშარაკე პროფ-
საბჭოს თეხმდომარეხითი. უარი რომ ეოქვათ მხუმი უფრო ადელი იქნებოდა, მაგრამ რადგან ვოველითის თეა-
ზიანად მღვეწლობენ და შირიდებთან, შიდდა მიხდება და აბით საქმე ზარაღდება. არ ვიცი, რა ვიღისო. მე ვეველა-
ფერი აწეობილი მათქეს. ვეშაობა “ანსონის” შირულელი მოქმედებაზე. მიხდება შემსრულებლების კადადგოვლება,
რადგან ამას როლის შემსრულებელს (ოუნესოვს) თბილისში ვეც ხაენით. მას შიღლი დასო შეამდგომლობს და
დათმობაზე წასვლა მომიხდა. მაგრამ არაფერი. ვუიქრობ რომ ძალიე მეველებე ახალი შემსრულებლის შევეანაბ.
ნ-სათითანი ზარეპტიციო მუშაობის გარდა, შირული იანვრიდან მინდოდა მემომელი ზოვად საგანმანათლებლო
და სვეცალური საგნების სწავლება დღეში 2-3 საათის ხანგრძლივობით, ვევე ვეველაფერი მზად არის, ზედაკო-
კებს მოველაშარაკე, პროგრამებს შედგენილია, მეგადინობას იქ ვერ ვიწვევთ უბინობის გამო. “ანსონი” უფრო-
ჯრობით არ მიღის, შეუძელი 2-3 კაცის კარდაქმნა, დანარჩენებს ვერ ვერ კომორნილებ (ძალიან გაუწვევული
აიანი რუსი რეჟისორების მიერ), მაგრამ ეს საქითხი არ მამინებს, იმედი მათქეს ვეველას მოდრეკე. ირიოდ კვირამი,
ვუიქრობ ვევე “წყნება” იქნებიან და ზეესაც უფრო ადელიად წავე. ძალიან მხეული შათთან მუშაობა, მაგრამ არის
წინაპრობა, რომ ძალიე კარდაქმნითანი ხეუნ ტალღაზე, რადგან ხეუნი მუოიდა შათთვის ძალიან ახლობელია და
ძალიან მოსწონს. ველოდები ირადლის¹⁵ მოთქმენლად. ძალიან მინდა ჩქარა მივიღო თუღლი ფანქარში მოხაზუ-
ლი ესკიები - ტეხლ ზაქნებსე მიხამსევიებთს ავევა უფრო ადელით იქნება. უხლა აქ მიმდინარეობს ხეუნყო-
ბისეუბათის თღვის საქმეების ერლიობა. მე და იახმტაციე ვაპრობებებულ ერთ წერილობის მხატვრული მოშა-

სურებისათვის და ზიარად კვისდება იქ ეოფნა. იქ ვნახე ჩვენური ცეცხები!.. ჩან ცეცხელი... ჩვენი დედაც...
 დაეწევა. ეს რაღაც განსაკუთრებულია, ცეცხის დროს იხიბი შოლიანად გიგლებიან, განსაკუთრებით როცა მოიანი
 ბულები დაეცემა ცეცხელს. ზირდაბარ, რომ იტყვიან, შოლტეით მიქება - ტანადი, მოქნილი, ცოცხალი.
 არც ერთი წამი სიმშვიდე, სულ შოშირბობაში არიან. ბარის ჩაწნაში, ან - როგორც აქ ეძიებან სიბრტვის ჩაწნაში,
 უფრო მშვიდ არიან, ნაკლებად შოშირბანი, ცოტა არ იყოს დუნევი კი. არ ვიცი, რატომ არის ასეთი განსხვავება.
 საწყენია, რომ მთი შორის, კინც თბილისშია, არც ერთი შოიელი არ არის. ქალები შორეული შიის ბულებიდან
 პურად უფრო ღამაზე არიან, ვიდრე ბარისიანი. ერთი ქალი იყო შორეულ რაიონიდან ნაციონალურ ტანისამო-
 სში, განსაზრვად ზღისკერი, ქონდა ზუნებრივი კეთილმოხილება. ჩვენი შოეტეს, შოიელ ქალებზე რომ წერენ,
 არაფერი, ამ ქალის მსგავსი აღბათ არც დასიზრებათა. ფულეკატი ქალების უბრაულებსა, განსაკუთრებით
 ახალგაზრდობა, ნაციონალურ კონტრუქში ჩამოვიდნენ, სხეულურად საცეცხო ტანსაცემლია. ცეცხა შოიეთის
 ნეტარების უმაღლესი ფორმაა, ისინი ცეცხის შოელი არსებით ნუბებიან, შოიელი უზუალობით; რა კითხვებამაც
 არ უნდა იფუნე, საქმარინია საცეცხო მანტი გავიკონო, ეველაფერი ბუწუნებთ და აწყება საცეცხო საცეცხო
 არიან. როგორც ზღაფა - ზეც კამბაცია, შოიელი გურდი დაეწერე ცეცხელს. საერთოდ, მქარფისი ბლექსანდრ
 თხილიციანი, კოსოვი მაცნობოთ - რა მონადეკეშია გჭირდება ჩვენების შესახებ. ზე სისტემატურად მოეწერო.
 მასხალა უკვე მყარი დამკროვდა, მაგრამ არ ვიცი რა უფრო სავტროა თქვენიოთი. ერთხელ ტანისამოს და საკ-
 რაუებს გამოვთავაზე. ქალების ტანისამოსი ძალიან ღამაზია.

ბლექსანდრ ვახილიციანი, კოსოვი თხილიციანი დაეწერე რაც შეიძლება ჩქარა.

თქვენი პატრივისმცემელი არჩილ ჩხარტიშვილი¹⁷
 IV-35

ბატონო სამა! ირაკლის მეუბლია ეველაფერი დაწერილებით ვიამბოთ ჩვენი შგვამბრეობის შესახებ, მაგრამ
 მანც უკურთ ზოგერთ რამეს. აქამდე იმიტომ არ ეწერდით, რომ ირაკლის ჩამოსვლის ეულია, რომ თავის თვა-
 ლით ვნახე ეველაფერი და ეამბა თქვენიოთი. ზუნობა არ შიიდილა და აღბათ არც მომცეკუნე. ამითი დამკრა ადგილიდან
 ძალიან შრელი ჟოელია. როგორც ჩანს, ეველაფერი ებნით, მოსკოში გვიხილვებენ ვინცეს რომ ეკლება წაუბრეოვა
 შიის; შიის ეხანა ძალიან შოილიბოული იყო დამზარებობა, მაგრამ ეხლა სეველა მოსკოშია შრილობაზე და ისევე
 გაიყრდა საქსე. როცა დაბრუნება მოსკოვიდან შიიელ კიდევ, მაგრამ არ ვიცი რა ეამბო. მაქსეს ეხლა სასაფულო
 კლები. და ერთი თხილი, სადაც რეპუტაციებამც გავდებარ და ურსებებ იქა მაქსეს შოილია, სასწაული მაცეცხი
 იქა ერთი. ხან ეადვებამ, ხან ეამბოვებამ. კლებში ჯერ შუშობა არ შიიდილება. ზიიდილა, ვარ შიიდილეული ერთი
 არ ვიცი ეკორადია სად ეამბო. ერთი სიტყვით, როგორც შიიდილა ბეთი შუშობა არ ეამბოთი. ირაკლი-
 მაც ძალიან დამაყინა. აქამდე გავიარე ორი მოქმედება. ჯერ-ჯერობით გუდვიარ მეული მისამხეცემა, რადგან
 არ ვიცი როგორი იქნება ეკორადია. სწორ იატაკზე შუილია იმის მიღწევა, რაც გჭირდება, ამიტომ შიიდილა ეკო-
 ვი შიიდილეული. 3-ე და 4-ე მოქმედებას ჯერ ურ ეადვიარ, რადგან ხალხი არ შოიფის - ნაწილი მოსკოშია
 ევე ზაზილი შრილობაზე საცეცხოდ, ნაწილი - ვარ შოიფირეოთ. როგორც კი ექილეს მივიღებ, შუშობა უფრო
 გამოცოცხდება. ბლექსანდრ ვახილიციანი, შიიდი რიგან გრიკოიანის შევეკეოთ¹⁸ განბათებული აბრატურა (ღა-
 ნაწილი), დასაწესისთვის 4 ცალი, გრიმიორ ეამბრეობებს¹⁹ შარსები და "საკლები" "ანზორის" შერისაბეებისა-
 თვებ. კოსოვი მოეწერით ეს ეველაფერი რა დავკოვებამ. იახნალოე მოსკოშია შრილობაზე. კოსოვი განცემ
 ეანკარეულება რომ "ანზორის" კლავირი გიდაწერონ და ეამბოთი ზაზონი. შიიდილება შიე შუშობი ეკოვე წარმოდე-
 ხა, იმიტომ რომ რაც აქ კეთდება ძალიან შრიიტიუელია. ეოველ შეამხეცევისათვის შქარნეს აქ კე შუხიკა, როგორც
 ნიშნები. რაც დავებამ - ეამბოთი ზაზონი. ბატონო სამა! ძალიან ეოზოთ დამაქროთ ირაკლი, რომ დროზე შოეტეს
 ესკიზეთ. აღბათ ნები ჩამოსვლა იქნება საჭირო მაგ დროისათვის. ვნო ღლიდიმ²⁰ კოსოვი ეამბოთი ზაზონი წიშის
 დიქვისი შროგამა, მაგრამ ჯერ არა ჩანს, არ ვიცი ეამბო ზაზონ თუ არა. ირაკლის დავალება შიიცი, მაგრამ მამ
 მოუხდება ეველაფრის აღბურვად ეაზრება, ვნაიდან აქერი ბირობები ტექნიკური შერეულების და ეკორადიის
 შეცდვისი შრიე ძალიან განსხვავებულია. ექართბ და როგორღაც ანეუღად გქერი. რუსული თვარტან მომბოძე-
 ებმა არ იციან რა ჭან, დავიან, გრიობებს, რომ ზუნ არაფერს არ ეაკოთბი, რომ წარმოცეკნა ჯერ არა ჩანს და
 ფული ეი იბარეობა და სხვა. თხილი როცა ხელმძღვანელობდა შამან სამი წელიწადი არაფერი ეაკოთბოთ, მაგრამ
 შამან არაფერ ღამარკობდა იმაზე, ეხლა ეი არ იციან რა ჭან, საიდან მოეკიროთ. ამიტომ საჭიროა, რომ "ანზორი"
 შიიდი დავებამ და კარგი წარმოდეცნა ეამბოვებამ. ზე ნები შრიე მოულ სემ მალ-ღიანს ეღებ ამ საქსეზე. საქსე ჯერ
 ნორმალურად შიიის, მაგრამ ეველაბი შიიოვე თქვენი მოეწერით. ჩემის შრიიდანაც კოსოვი ეამბეების რიგორ შიიდიმ²¹
 ი ეველაფერი, რაც მაქსეს თქვენიან სათქმელი. ირაკლი ვიამბოთ კიდევ დაწერილებით.

სამამდის მქარფისი ბატონო სამა.

“ძვირფასო ალექსანდრ ვასილიევიჩ!

კარგა ხანია ვუწმინდობდი თქვენთვის მოსაწერად, მაგრამ ვერაფერი მოხერხდა არ მაქვს არც ერთი თავისუფალი წუთი. ბარველ რუმი - რა დღეშია თვატარი: დღის 10-დან 2-მდე რეპეტიცია, 4 1/2-6 1/2 საათამდე მიწაზე სოჯესკა-ნინათლებლი და სხვადასხვა გეგმიულება, სილიძის 7-დან 9 ან 10 საათამდე - ისე რეპეტიცია. ვახვალთი შემდეგ სიტყვა: შობილური ესა, რუსული ესა, მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია, საზოგადოებრივი მეცნიერება; სხვადასხვა: მსახობის ტექნიკა და რიამთკა; რითიშეა თვითონ ვასილელი, ვხარავებოდა ცოდის და ხემა საეკლესიო გამომდევლით. ვანი დადიანს ვთხოვე გამოეწავლა წინადაცა და დიქციის პროგრამები, მაგრამ აქამდე ვერ მივიღე. რეპეტიციები და შეკადრებობაგ სისტემატურად წარმოებენ, ვადგენების ვარგებ. მსახობების ვარსილუბლობის გამო, წარსულით მათი სრული დევრადირებულობის გამო მომწირება შესტა. დისციპლინის ახლა ააწია, მაგრამ ეს სრულიადგ არ არის ის, რაც საჭიროა. მკვლე ზღმძღვენების მიერ ისინი დაწავრიანი ზეგული და დაქობილი ზეგული იყენებ. კლასში სადგ რეპეტიციები ტარდებოდა, გამუდმებული ღლითმა ვოფიდა, რომელმაც დირექტორიდან დანქვეული, ვვლად ქსრავიდა. ეს სრულიად მოესწა. ხემა აქ ვოფის ზეგობიში მსოლიოდ არი შექმნილი იყო - მტკიცე ვერ არ გამოიშვებოდა. ერთადერთი, რაც შეუძლია დაეინფორმოს მსახობებთან დაკავშირებით ის არის, რომ მთი სრულუბით არ იყენებოდა, არი აქეთ მუქობითა მუშაობდა, მაგრამ ეს არც ისე სახშია. ვადრულებ შეყვანილი შე “ანსორი” მაუად, მასწინეფში შიად მაქვს. რადგან ესეაზენი ხელი არ მქონდა, იმულებული ვიყო წინა იატკე ნამეტარების რეპეტიციები, რასაც არ შეიძლება ისეთი მუდგეი ჭიხიდა, რომლისთვისაც ვინმეობდი. ზოგი მსახობა შეიძლება, უწირო ისე თამბი, როგორც შე შეირდება, რადგან არსული სკოლის რეკონსტრუქცია იხიმი ვიმინრულ დათუბად აქვს. ვვლადურ შე შეიკვ მთი ცხვეი იტრავს. ცვეპბი ისინი ხერდებიან და ავლენენ მთლი თავის ტემპრამეტს. შე სხვამრე ცვეის მტკე, შე მათნივე ვვლად კადამბროთი ისინი რომელიმე დრამატულ სცენაზე “ანსორიდან”. მსუნთური მუდგეი მაქვს უკბათ ცოცხალუბოდაც... მაგრამ ამ ვოცლური ზეგნულობის მსახობებზე არ შეუძლიათ. რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ დეკორაციები იმედი მაქვს მაუადწე. ვვლადურს რაც შეირდება. მსახობები ხემა მუშაობით ვთხოვილი არიან, მუხიან რომ ვერაი ხემა. მტკიცე თვადსაგ: ხემაი თურუნ “სინთული მსახობი” იყო დაუარული... წესი წესების ადრატეხებით მოვატე მსახობებზე. ასე რომ მალე ანტერპრეზინტრობიან დაეაწეებ ვაქრობას. ახლა ვეშაობ სადა ბავულები²¹ “თაროს ტბასზე”. თქმა ვროსილია - ჩენჩი სოცილისტური მშენებლობის ზარიბებში, კოსტრეტულად - ვროსოს ხარეგებში. ზოეს არ არის ცდვი. მუშაობაში ცოტას ვწუნდ. ურიოც სტეტკაკლი არ უნდა გამოივადეს, მატკეი აქურმა მსატკენაა ვაკვლა, უკვ დეკორაციის ვაკვებ დაიწყეს. ს. ბადვეპბი ახალი ზიუმა მოვტე “ზეტმირი”, თუბა რელივია, სიფარული და ქალი რეკლამაციადმდე ზერობდი. ზიუსა დაძმავოფილუბლანდა დაწერილი, რომასტრუელ ტონებზე. შეკადრებისაგან თაქისუფალი დროს ვთარგმნიდი “ანსორს”, მტკე “თაროს ტბის” შე კარდეს ვაკვებდი რუსული ესეზე, ხემათის ახლა “ზეტმირის” შე კარდეს ვაკვებდი და ვითარებ “ლამბარს”²² რუსულ თარგმანს. აქვე გამომანდა “ტალიანტი”²³ ვვლად ეს ვარგობებიც საშალებას არ მიძლევდა უფრო ხშირად მომეწერა თქვენთვის. ახლა თვატარის საფარო პოლიტიკაზე: ირველი თვატარის საკითხების არგონდნაცა და პრიაციციული წვევა - ხართონ “ავტორიტეტული” შეიძმუნება რიცა საქმე სრულებით არ ესმით. პართილია, ეს ვვლადი არ ვება. ზღმძღვენული მუშაკები ვოფლანირად ხელს უწიებენ თვატარს და ვკლწორვლად ქმნარებიან მიძინად კი, რიცა პოლიტიკა არც წარმოუდგენიათ, როგორი უნდა იყოს წესმა-ინგვიდული ნაციონალური თვატარი. ახლა შენობის შენახვა. შენობა, რა თქმა უნდა, არა ვაკვებს. ახლა ამის აუცილებლობა ეკადიარა კიდევ. I მისიდან იხსენება წენი ბაღი, სადაც ვაკვებს საწავზოლო სცენა, მოსახერხებელი და ზომილიც საშოფი. რადგან თვატარს მთელი საშობარი არ უჭრება, ესა ბაღის ეკსპლანტის თხოვლობენ მთელ რიც წარმოდგენებს. ვიწრობდნენ, რომ წვენ 4 ახალ ზიუსა და-ვლადი. თქმა: “ანსორის” დეკორაციებს რომ არ დავკვანა, იქნებ 3 ზიუსა ამ დროისთვის მიმეწერო, მაგრამ ახლა ექობი, მიძინდება “ანსორიდან” ვერ მოვასწრო ეკსპლანტის. ამიტომ ვქმნობდი ასე არიკლისკან ესეაზენი დალუბის. ვოფიდა, რომ დეკორაციების აქვებებს დიდი დრო დეწირდებოდა, ასე რომ ზეარეფობი ალექსანდრ ვასილიევიჩ, შე ვარღვევის წინამე ვლადურ, რაც არასასურველია, სტეტკაკლის მტკაც ვადდებს ჯღარ შინადა - თვატარის ავტორიტეტული მუდებისაგ. ამიტომ კბოთი, ალექსანდრ ვასილიევიჩ, მიძევით ამ ზარმცხა და ხემა საუკეთესო მეკობარის, ვამოივინოს თვატარი ამ ეკსპლანტირდის. თქმა ამ თვის პოლიტიკა არ მივიღებ მაეტკეს, არ ვიცი რა ვიღობი. ამის კარდა შე ვთხოვე ირაკლის შეკვლია “ანსორის” ზერონანუბისათვის ზარიკები და “საკლავები”²⁴ აქური პარიკები სრულიად ვვარეკისა. კარდა ამბა, ვთხოვე შეკვ-ვლად 3-4 ვესუშლიარი გამახთებელი ანარატურა, რომელმაც თითონ წითლეს საჭიროდა. შე ზირდათი ღლიწერი მიწრე-ვინა, როგორც წენს თვატარშია. ამ ითოყნის ზამესაც არ მიძინდა მისკან. მთელი შეკვითის საეკსპერის პირველი მომთ-ვინისათვალ ვადვილებდი. იმასტრუეი ახლა მოსკობია, ასე რომ ირაკლის ანსუარებების საკითხი ვერაფერი ვერ ვადრე-ვტრედი, ის კი მომოსე ახლავე ვამოუგ წავინა ვფლი. არ ვიცი რამდენი უნდა ვადრეხებოდი. თქვენ დაშობრდით რომ მიმწე-რდით, მაგრამ როგორც ჩანს ვერ შეუიანხმდები. ალექსანდრ ვასილიევიჩ, იმის ღლიდით - როდის ჩამოვა იამატკეი და შე ვფულს ვადმოვალ წავინ, არ შეიძლება. აი ვერვარობთ ვვლადურა, რაც სდება, რაც კვადლის. მამატკეი, რომ წერილი ვრმქვლია, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვახერხებ. ამ დღეებში კიდევ მოეწერთ. ზოგიერთი საკითხები კიდევ დარჩა. შინამე კი ვისურვებთ ვოფლივე კარგეს.

თქვენი პატრიისტემული არჩილ ჩხარტიშვილი 5/III-35.

P.S. ვთხოვთ არ დამივიწყოთ და დროთაძომებებით მომწეროთ, თორემ ღმერთმანი თავს ისე ვვრძინებ, როგორც ვადასაზლებში. კარდა ამის, კბოთი მომწეროთ მსახობებთან მუშაობის შესახებ, მუთოდის შესახებ. შე ეს ესლა ძალიან შეირდება.

პატრიისტემული არჩილი²⁵.



შინაშენები

1. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. საინვენტარო № 1495-2
2. ლაპარაკია თბილისის საზაფხულო ბაღზე.
3. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. ჩეჩნეთ-ინგუშეთის სექციის საქმე.
4. მიმონერის მიკვლევა არ მოხერხდა.
5. ლაპარაკია საქ. ცაკის თავმჯდომარეზე ფილიპე მახარაძეზე.
6. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. საინვენტარო № 120.
7. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. ჩეჩნეთ-ინგუშეთის სექციის საქმე.
8. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. ჩეჩნეთ-ინგუშეთის სექციის საქმე.
9. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. საინვენტარო № 1578.
10. იქვე. საინვ. № 1582.
11. ლადო - მსახიობი ლადო ადამიძე. სტუდიის მდივანი.
12. მ. კახიანი - საქ. კპ (ბ) ცუკას საკონტროლო კომისიის რწმუნებული ჩრდილო კავკასიაში.
13. სიტყვა არ იკითხება.
14. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. საინვენტარო № 1579.
15. ირაკლი - მხატვარი ირ. გამრეკელი. მისი გაფორმებით მიდიოდა სპექტაკლი "ანზორი" თბილისშიც და გროზნოშიც.
16. ლაზარე - რუსთაველის თეატრის მსახიობი ლ. ყაზაიშვილი, ცუკვის დიდი სპეციალისტი.
17. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. საინვენტარო № 196.
18. ტიგრან გრიგორიანი - რუსთაველის თეატრის გამნათებელი.
19. აპოლონ გამყრელიძე - რუსთაველის თეატრის გრიმიორი.
20. ვანო ლალიძე - რუსთაველის თეატრის მსახიობი, სტუდიაში დიქციას ასწავლიდა.
21. ბატაევი - ლოთობისა და წესრიგის დარღვევისათვის გარიცხული სტუდენტი.
22. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. საინვენტარო № 1580.
23. საიდ ბადუევი - გროზნოელი მწერალი - დრამატურგი.
24. "ლამარა" - გრ. რობაქიძის პიესა.
25. რუსთაველის თეატრის მუზეუმი. საინვენტარო № 1581.



საინჟინრო ონოპასტიკის შესახებ ისტორიული

ისტორიულმა პერიოდმა ანუ დღევანდელმა საინჟინრო ადრინდანე მიიტყია მეცნიერების ყურადღება. საქართველოს ამ განაპირა კუთხისადმი ინტერესი XIX საუკუნეში იმანაც განაპირობა, რომ თვით დედა-საქართველოში მომხდარი პროგრესული ცვლილებები იმდენად მასშტაბური იყო, რომ იგი არა მარტო ცენტრს, არამედ მის პერიფერიებსაც შეეხო. დაიწყო საქართველოს ერთიანობის აღდგენისა და შეკავშირებისათვის მოწინავე ინტელიგენციის ძალთა გაერთიანება. საინტერესოა თუნდაც ამ მხრივ როგორი ვითარება სუფევდა საინჟინროში. მას, იმდროინდელი ცენტრისაგან მონვეტილსა და მივიწყებულს, არ განაჩნდა სახარბიელო მდგომარეობა როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე კულტურული ცხოვრების სფეროში. სხვა ეროვნების ტომთა გარემოცვაში მოქცეული საქართველოს ეს ნაწილი ცდილობდა, როგორმე თავი ეხსნა ფიზიკური განადგურებისაგან. არაერთი მწარე დღე გამოუვლია ისტორიის ბედუკუღმართობის გამო მშობლიურ მიწაზე დანაგრულ ინგილო ვლესკაცს. მაგრამ იგი არასოდეს დაცემულა სულიერად და ერის ერთგულების ნიშნად ბოლომდე შემოუნახავს ტრადიციასთან ერთად ენა და სარწმუნოება. რა ვუყოთ, რომ დღეს ისე აღარ ბრწყინავს ძველი პერეთი. ვერც ფოლკლორითა და ვერც ეთნოგრაფიული მრავალფეროვნებით ვაკვირებთ ვინმეს. ბანდისხან საკუთარი მეობის აღიარებაც გვიმძიმს და გვაძინებს, ვაითუ მსმენელის ყურს ცუდად ჩაესმას ჩვენი ნათქვამიო. რანი ვართ, ამის დასამტკიცებლად დიდი დრო და ძალისხმევა გვჭირდება. ყოველთვის მხსნელის მოლოდინში მყოფთ, საცა თითქმის საკუთარი მეც დაეკარგოთ. დღისით, მზისით, თვალსა და ხელს შუა მოყვასი მოყვასისათვის დაუნდობელი მტერი ხდება. მტერმოყვარეობამ იმდენად დაგვირია ხელი, რომ მოკეთის პოვნა მალე სანათლით საქმეობრივ გაგვიხდება. თავიდანვე რომ გავგზინოდა რწმენა იმისა, რომ საკუთარი თავისთვის თავადვე გვეშველა, დღეს ასე მძაფრად აღარ დაისმებოდა ჩვენი ზოგიერთი კუთხის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

საინჟინროს არასოდეს მოჰკლებია მზრუნველი. ისინი იყვნენ, არიან და იქნებიან, მაგრამ გარედან როგორც არ უნდა გვმფარველობდნენ, ისე ვერაფერს გავხდებით, თუ ჩვენ

თვითონვე არ გავცინობიერეთ ვინა ვართ, რისთვის ვარსებობთ და რა მიზანი გვაქვს დასახული. საინჟინროს მხოლოდ და მხოლოდ ცოდნით შეიარაღებული მძლავრი ინტელიგენცია სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს გავხდებით. გაორგულებული კაცი ქამელენს ჰგავს, რომელსაც საკუთარი აღარაფერი გააჩნია და მასზე დაყრდნობა სახარბიელო შედეგს არ მოუტანს ხალხს. ცხოვრების დინების ჩარხი არც არასოდეს გაჩერებულა და არც ახლა გაჩერდება, მხოლოდ ერთი ნაველენ და სხვანი მოვლენ. მოვლენ ამ ქვეყნად, მაგრამ ისინი ყოველთვის დასავაშენ მტკად მტკიენულ კითხვას - ვინა ვართ ჩვენ - ინგლოები?! რაოდენ მწარე იქნება მასზე პასუხის გაუცემლობა, ანდა ცრუ მონაცემთა ხელახალი ინტერპრეტიციონება.

საინჟინროს მიწამ, მისმა განუშეორებელმა თვალნარმტაცმა ბუნებამ, ალაზნის ლანდშაფტებში, აქა-იქ აისბერგებოვით შემორჩენილმა ციხე-მონასტრების ნანგრევებში არაერთ მოგზაურსა თუ მკვლევარს კალამი ააღებინა. საინგლოს სხვა სანახებოთა ერთად გარკვეულ ინტერესს იწვევდა აქაური გეოგრაფიული სახელწოდებანიც.

ჯერ კიდევ ადრე ისტორიულმა აღბანეთმა ანუ პერეთმა შესაბამისი ასახვა შპრო ბერძნულ-ბიზანტოლ ნერილობით წყაროებში. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა სტრაბონი (ძვ. წ. 64/63), რომლის მიხედვითაც აღბანელები: "ცხოვრობენ იბერებსა და კასპის ზღვებს შორის, აღმოსავლეთით ესაზღვრებიან იბერებს. რაც შეეხება დარჩენილ მხარეებს ჩრდილოეთისა, გამაგრებულია კავკასიონის მთებით... სამხრეთისაკენ არის მეზობლად მდებარე არმენია, რომელიც ნანილობრივ დაბლობია, ნანილობრივ მთიანი, როგორც, მაგალითად, კომპისინე, სადაც იბერებსა და აღბანელებს ესაზღვრებიან არმენიელები". (გვ. 133).

სტრაბონის მიხედვით, აღბანეთი მოიცავდა 26 ენაზე მოლაპარაკე ტომთა გაერთიანებას, სადაც ქართველ ტომებს გამოჩენილი ადგილი ეკავათ, ხოლო რომელი ენა იყო მათი ნამყვანი, ამის შესახებ ავტორი არაფერს ამბობს. სხვადასხვა წარმომავლობის ტომები ერთმანეთსაც არ ერეოდნენ. ასევე საყურადღებოა ის ჩანაწერი სტრაბო-

საქართველო

ნთან, რომელიც იბერიიდან ალბანეთში გადასასვლელს ეხება: "შესასვლელი იბერიიდან ალბანეთში არის უწყლო ოღრო-ჩოღრო კომბი ზენზე, რომელიც მდ. ალაზან იორთან არის" (იქვე, გვ. 134).

ალბანეთის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევიან აგრეთვე ისეთი ბერძენი და რომაელი ავტორები, როგორებიცაა: პლინიუსი (29-79 წწ.), პტოლემეოსი (70-147 წწ.), ფლავიუს არიანე (100-120 წწ.), აპიანე (90-170 წწ.), დიონკასიო (155-235 წწ.), თემისტოხისი (317-388 წწ.) და სხვ.

სომხური წერილობითი წყაროებიც მრავლად შეიცავენ ცნობებს ალბანეთის შესახებ. მხედველობაში გვაქვს მოსე კალანკატუცის ისტორიული თხზულება - "ალბანეთის ისტორია" და XII-XIII საუკუნის სომეხი მწერლის, მითათარ გიშის "ალბანეთის ქრონიკა".

ალბანეთის შესახებ აღმოსავლური წყაროებიდან აღსანიშნავია: იბნ ხორდღლბუზისა (IX-X სს.) და ისქანდერ მუნშის ცნობილი თხზულება: "ქვეყნის დამამკვინებელი აბასის ისტორია".

ტერმინი "ჰერეთი" ბერძნულ და ლათინურ წყაროებში გვხვდება "ალბანეთის" სახელწოდებით, სომხურში "ალვანად" იწოდება. ზემოაღნიშნულ ტოპონიმურ სახელწოდებათა თავდაპირველი ფორმები და მათი ურთიერთკავშირი მეცნიერებისათვის დღემდე უცნობია.

პირველი ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია კაკ-ელისენის ანუ საინგილოს ტოპონიმი, ესაა ვახუშტი ბატონიშვილის "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ² აქ ერთიანი საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია იმდროინდელი საინგილო გეოგრაფიული სახელწოდებათა არსენალი. ვახუშტისეული აღწერა ეყრდნობოდა როგორც ისტორიულ წერილობით წყაროებს, ასევე საველე მუშაობის შედეგებს. ეს გახლავთ ერთ-ერთი ღირსესანიშნავი ისტორიული წყარო საქართველოს ტოპონიმიისა. ავტორი აღწერის ძირითად ნაწილში გამოყოფს და ლოკალიზებას ახდენს ამ მხარეში გავრცელებული ისეთი ტოპონიმებისას, როგორებიცაა: გიშის-წყალი (მდ.), გიში (სა-ეპიკ.), ნუქეთი\ალის სასაფლანი (საერ.), ქურმუხის-წყალი (მდ.), ქურმუხი (ციხე-სიმა), წყალი-ფიფინეთის (მდ.), ფიფინეთი\ჭარი (ს.), მოსაბრუნი (ს.), ბოეთანი (ს.), ბელაქნის-წყალი (მდ.), ელისეთი (მხარე), ციხე-მაკაბელი (ციხე), ნოხბატო (ციხე-ქალ).

შედარებით ვრცლადაა წარმოდგენილი კაკ-ელისენის გეოგრაფიული სახელწოდებები იქ, სადაც საუბარია "სომხთის სოფლების ქრისტიანეთა და თათრის ოპაზე". აქ ელესენში შემავალ ტოპონიმებად დასახელებულია აგრეთვე: ბელაქანი (ს.), მაკაბე-

ლი (ს.), ბოეთანი (ს.), ღანუხი (ს.), კატეხი (ს.), მანეხი (ს.), ვარდიანი (ს.), ფიფინეთი ან ქარი (ს.), თალა (ს.), ჩარდახი (ს.), მუხარახი (ს.), კოსორი (ს.), ფინიხი (ს.), პაზარი (ს.), ფადარი ოპა (ს.), მოსაბრუნი (ს.).

კაკ-ელისენის ონომასტიკაშიც შესაბამისი ასახვა პოუვა დიდი გეოგრაფის მიერ 1835-1845 წლებში შედგენილ უნიკალურ გეოგრაფიულ ატლასებზე, რომელთა ერთმანეთთან შედარებაც გარკვეულ სხვაობას იძლევა გეოგრაფიულ სახელწოდებათა ასახვის მხრივ. მეორე რუკაზე ხანდისხან აღარა ჩანს ის, რაც მითითებულია პირველზე. ასე მაგალითად: თოლა (ციხე-სიმა), შამბული (ს.), მოსაბრუნი (ს.), გუნჯეთი (ს.), ფადარი (ს.), ისულის წყალი (მდ.), ბოეთანი (ს.), წარმოდგენილია ბეთანად, ხოლო ფიფინეთი (დიდი დაბა) ფიფანად არის მოცემული.

ძალზე საინტერესო სურათს იძლევა დღევანდელი საინგილოს ტოპონიმითა შედარება ვახუშტისეულ აღწერასთან. აქაც უნდა ითქვას, რომ ჩვენდა სასიხარულოდ, დღემდე მოუღწევია გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძირითად ნაწილს, მაგრამ ფაშთა სიავის გამო სახე უცვლიათ ამ საერთოდ გამქრალად ტოპონიმები: თოლა, მაკაბელი, ბოეთანი\ბეთანი, შამბული\შამბული, ღანუხი, მოსაბრუნი, ელისენი, ჯოხორი, პაზარი, ისულის-წყალი, ჰერეთი, ხორანთა. ვერავითარი კვლი ვერ დატოვეს ისეთმა ქართულმა გეოგრაფიულმა სახელებმა, როგორიცაა: ბოეთანი, მოსაბრუნი, ჰერეთი, გუნჯეთი, ხორანთა...

სხვაენოვანმა გავრცობამ სახე უცვლა მრავალ ქართულ სახელს. ასე მაგალითად: მაჭის-წყალი იქცა მაზიმჩაიდ, ბელაქნის-წყალი - ბელაქანჩაიდ, ფიფინეთი - ფიფანად, კაკი\კახი - ვახხად, ელისენი - ალიაბადად, ვარდიანი - გულუვაად და ა.შ.

ვახუშტის მიერ ატლასებისა და აღწერაში წარმოდგენილი კაკ-ელისენის ტოპონიმები ამ კუთხის ისტორიის მნიშვნელოვან საგანძურს შეადგენენ. სწორედაც, რომ მათი გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება მივიწყებული სახელების აღდგენა და ისტორიული ფაქტების ფალსიფიცირებისაგან დაცვა.

საინგილოს ტოპონიმიის გარკვეული ნაწილი შეტანილია იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში. ³ იგი ისტორიული ჰერეთის მიმობილებისას ყურადღებას ამახვილებს ენისელოს ანუ ელისენის მხარეში შემავალ სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო დანიშნულების გეოგრაფიულ ერთეულებზე. ესენია: ბელაქანი, მაკაბელი, კატეხი, ბოეთანი, ღანუხი, მანეხი, ვარდიანი, ფიფინეთი ანუ ქარი, ჩარდახა, პატარა ქარი, ნინუზანი, თალა, ჩარდა-

ხი, მუხრანი, კოსორი, ჯინიხი, ზაზარი, მოსაბრუნე, ფადარი. დასასრულს აღნიშნავს, რომ "იქნა ჯამი ამ სოფლებისაო".

ავტორი ცალკე გამოყოფს სამეფო-სანადრო, სათბო-საძოვარს - ბელაქნის მთას. მღვდელმთავართა ჩამოთვლისას დასახელებულია ენისელისა და ბელაქან-ქარის მოძღვარი ბედელი.

ქართლ-კახეთის ბაგრატიონისეულ აღწერაში, ელისენში წარმოდგენილი ზოგიერთი ტოპონიმი სახეცვლილადაა მინიშნებული. ასე მაგალითად: ენისელის ნაცვლად უნდა იყოს ელისენი, ბოთანისა - ბოეთანი, მუხრანისა - მუხახი. ჩამოთვლილ სოფელთა შორის ასახელებს ზაქათალას, წინუზანს. ასევე ქარისაგან ანუ ფიფინეთისაგან გამოპყობს პატარა ქარს.

საინგილოს სიძველისადმი ინტერესი შეინიშნება ისტორიკოს დ. ბაქრაძის ნაწერებში. როგორც ცნობილია იგი ერთხანს (1879-1883 წწ.) თავმჯდომარეობდა ამ კუთხეში მომუშავე "სამინათლოქმედო-საადგილმამულო კომისიას", რომელიც შესაძლებლობას აძლევდა, ახლოს გასცნობოდა ადგილობრივ მოსახლეობას, მათ დიალექტს. სწორედ-ღო, რომ ამან განაპირობა ისეთი მნიშვნელოვანი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომების დაწერა როგორცაა: "ინგილოები" ("დროება", 1866 წ.), "Заметки о Закавказском округе", რომელიც 1890 წელს გამოქვეყნდა.

საქართველოს ამ უძველესი კუთხისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა განმსჭვალული ზ. გულისაშვილის 1882 წელს გამოქვეყნებული წერილი "გზაერის შენიშვნები საინგილოსა და ქიზიყზედ". მოვე ვხანძვლი ამ წერილს მაღალ შეფასებას აძლევდა და საინგილოზე დაწერილ ნაშრომთა შორის ერთ-ერთ ღირებულ ნაწერად მიიჩნევდა.

ზ. გულისაშვილი თავის ნაშრომში მიმოიხილავდა საინგილოს ძველ სოფლებს, ნასოფლარებს, აღწერდა საზღ-კარ-მიდამოს, ბალ-ვენახებს და სხვ.

XIX საუკუნის პეტერბურგელ ქართველოლოგთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა პროფ. ა. ხაზანაშვილს. მან უანგარო, თავდადებული მეცნიერული ღვაწლით ვაამდიდრა ფილოლოგიური მეცნიერება, წარუშლელი კვალი დატოვა ამ დარგში. სამშობლოსაგან მოწყვეტილი, მუდამამს მის ბედზე მოცნებულ მეცნიერი პრაქტიკულადაც ცდილობდა არაერთი ჩანაფიქრის განხორციელებას. რად ღირს თუნდაც მისი სამგზისი მოგზაურობის გახსენება საინგილოში ადგილობრივი ქრისტიანული ძეგლების შესასწავლად. მან შეგროვილ მასალებზე დაყრდნობით პირველმა შე-

მოიტანა მეცნიერებაში მეტამეცნიერება ცნობები ამ კუთხის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ.

გამოჩენილი ფილოლოგის თვალს არც იქაური სოფლების სახელწოდებთა აღწერა და სათანადო კომენტირება გამოჩენია. საინგილოში არსებულ იმდროინდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, მეცნიერს ალღო არ ღალატობს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საინგილოს სოფლებში ლეკები და თათრები სახლობენ, მართებულია აღნიშნოს, რომ ისინი ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდათო, რის დასტურადაც ასახელებს სოფელთა სახელებს: ვერხვიანი (ვერხიანი), რაც აღნიშნავს სავერხვეს, მოსული (მოსულეტი), მუხახი (მუხრანი), კორვანი (მეჯა), ცინბანი (წინა აივანი), კატეხი, მანეხი და ა.შ.

მეცნიერი არც აქაურ პიდრონიმებს და მთებს ტოვებს ყურადღების გარეშე. ასე მაგალითად: ცალკოტი (საუცხოო ბალი), კაფი-ჩაი, რაც ქართულად ნიშნავს კარისწყალს ე.ი. კარის მდინარე. შავი მთა, ჩინარ, ცილბან და სხვ.

ცალკეულ ტოპონიმთა ანალიზისას აღ. ხაზანაშვილი ტერიტორიულადაც შორს, თითქმის დაღესტანამდე მიდის. მისი აზრით, სამურის ოლქის სახელწოდებაც ქართულია, რომელიც მომდინარეობს სიტყვა სამაურიდანო. ასევე ორღელე-ორიღელე, მანიმისწყალი (წვიმის წყალი). ნუხის მახრამი ასახელებს ქართულ ტოპონიმებს: ორბანი (ორი სახურავი), ქოხმახი (ქოხი) და სხვ.

— აღ. ხაზანაშვილის ცნობილ ნაშრომში "მასალები კავკასიის არქეოლოგიიდან" სათანადო ასახვა პოვა საინგილოს ხუროთმოძღვრული ძეგლებმა: ხახალის ანუ ფაღღარლოს ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი "ფერყალას" ეძახიან. იგი არჩილ მეფეს (664-719 წწ.) უნდა აეშენებინა; კასრის-საყდარი, რომელთანაც ახლოს არის დიდი მოცულობის ქვევრი. აქვე მოპყავს ამ ქვევრთან დაკავშირებული ლეგენდა "ათასი კაცის შესანდობარი". უყურადღებოდ არც დანგრეულ სამების ეკლესიას ტოვებს. კავკასიის ქედის ფერდობზე მდებარე ქურმუხის წმ. გიორგიმ და მასზე გაკონიღმა "ოქროს მამლის" ლეგენდამ გარკვეული ზეგავლენა იქონია ცნობისმოყვარე მეცნიერზე - "ინგილოებს დღესაც სწამთ ოქროს მამლის ლეგენდაო, - შენიშნავდა აღ. ხაზანაშვილი.

ოიკონიმი - ლაქითი\ლექითი\ლექეთი\ლქართი ეახრების არ აქვს ნახსენები. აღ. ხაზანაშვილის აზრით, პატონიმიების მიერ მოხსენიებული ნუქეთის ეკლესია, რომელსაც ცენტრალური ადგილი ეკავა ბელაქანსა და ნუხს შორის, ლექეთის ეკ-

ლესია ეს უნდა იყოს. ამას მოსდევს მსჯელობა ყუმისა და ფიფინეთის ეკლესიებზე.

ინგილოურმა ანთროპომიწიამაც მიიქცია მეცნიერის ყურადღება. აქ გაავრცელდა შერეული სახის გვარსახელებით დაინტერესებული მეცნიერი კვლევები გზას გამყვია, რამაც იგი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: "შანესა და კატეხში შეიძლება შევხვდეთ გვარებს: ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ზურაბაშვილი, თავდიშვილი. ბელეჩელი გალაჯოები თავს ქართველებად თვლიან და თავს ვაჩნაძეების შთამომავლად ასაღებენ" (ალ. ხახანაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32). მათთან სახლში ინახებოდა მეფე თეიმურაზის მიერ გაცემული სიგელი ამ ოჯახისათვის თავადობის შესანარჩუნებლად.

ალ. ხახანაშვილი არც ისეთ მნიშვნელოვან საკითხს იეწიყებს, როგორცაა ტერმინ "ინგილოს" წარმომავლობა. მისი აზრით, ინგილო უნდა ნიშნავდეს "ახლადმოქცეულს", "რეულგამოცვლილს".

პროფ. ალ. ხახანაშვილი პირველი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერია, რომელმაც საფუძველი დაუდო საინგილოს მატერიალურ-კულტურული ძეგლების შესწავლას.

მოუხედავად იმისა, რომ საინგილოს არ მოჰკლებია ამა თუ იმ მოგზაურისა თუ მეცნიერის ყურადღება, მაინც სულ სხვა სიტოზ და სიყვარული იგრძნობა საინგილოსადმი დიმიტრი და მოსე ჯანაშვილების ნაწერებში. შშობილურ წიაღში აღმოცენებულმა ცოდნის კვირტებმა უნდასაქართველოში გაშალეს ფრთები. მათი სიტყვის მიღმა მძლავრად ჩქეფს მდ. ქურმუხის მძლავრი ტალღები. თუკი რამ უტყვარი და ფასეული გინდათ შეიტყოთ პერეთის ისტორიისა და ყოფისა, ჯანაშვილების შემოქმედებას უნდა მიმართოთ. სწორედაც, რომ მათი ნაწერებიდან შემოგვეცქერიან საუკუნეთა მიღმა მრავალ ჭირ-ვარამს გამოვლილ ნინაპართა გაუღიზიარი სახეები.

დიმიტრი, მოსესთან შედარებით, ადრე ჩამოვიდა თბილისში. მცირე დროის მანძილზე ახლოს გაეცნო ქართველი ინტელიგენციის საქმიანობას. მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, მთელი ენერგიით შეეჭიდა საღმრთო და საერო საქმიანობას. აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ყურნალ-გაზეთებში. მშენიერ ქართულთან ერთად, რუსულსაც კარგად ფლობდა და ხშირადაც ქვეყნდებოდა პრესაში. მოუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, დიმიტრის თერგდალეულთა თაობას დაუმეგობრდა. ამ მხრივ საკმარისია მისი მოღვაწეობის გახსენება ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სადაც იგი ერთხანს გამგეობის წევრიც გახლდათ.

დიმიტრი საინგილოს ქართველებსა და რივით ედგა. მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ამ დაულალავმა მამულიშვილმა ქართველი ერის კეთილდღეობის შეაღია.

დ. ჯანაშვილის მრავალრიცხოვან პუბლიკაციათა შორის აღსანიშნავია: "ქართველი ქალის ისტორია", "ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა პერეთისა". განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი, რომელიც ყურნალ "მოგზაურში" იბეჭდებოდა 1901 წლის № 4-დან 1909 წლის № 4-მდე. მასში მოცემულია საინგილოს ისტორიული წარსული, გეოგრაფიული და კლიმატური პირობების აღწერა. აღნიშნული ნაშრომი იმითაცაა ფასეული, რომ მასში დეტალურადაა გაანალიზებული ინგილოური გეოგრაფიული სახელები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ინგილოურ ოიკონიმებზე, რომელთა ერთი ნაწილი კიდევაც შემორჩენილი ამ ქართულ მიწაზე: ზაგან (ს.), ფიფინეთი (ს.), ბელაქანი (ს.), მაჭი (ს.), ნინიანი\წილბანი (ს.), მუხახი (ს.), კაკი (ს.), თოღა (ს.), მამრები (ს.), გულგულა (ს.), პოეთანი (ს.), ზერნა (ს.), ლექართი\ლექეთი (ს.), ყუმი (ს.), სოსკანი (ს.), მოსული (ს.), აღიბეგო (ს.), ქოთქლო (ს.), ყორაღანი (ს.), ქუნგეთი (ს.), ჭალეთი\ჯალეთი (ს.), ვართაშენი (ს.) და სხვ.

ოიკონიმების პარალელურად დ. ჯანაშვილს არც აქაური ნასოფლარ-ნასახლარები აქვს დაეწიყებული: მაჭი (ნამ.), პერეთი (ნაქ.), ჭიაურ (ნამ.), ნაშარნეთი (ნას.), ვარდიანი (ნას.), ესკი-ბაზარი (ნაქ.), ბაზარი (ნას.), წუქეთი (ნამ.), ფადარი (ნას.), დიდი და მცირე აზნაურები (ნას.), ხალხალი (ნაქ.).

აკაკასიონის ქედთან გამომდინარე მდინარეთა ქსელი საინგილოს ტერიტორიის გავლით ზღაზნით მიიკლავნებიან მდ. ალაზნისაკენ. აქაური პიდრონიშია ყოველთვის მომავადობელი სილაშაზით ატყვევებს მხაზველის თვალს. ჯანაშვილი ამ მხრივ მხოლოდ მაკრომიდრონიშიაზე ამხვილებს ყურადღებას: მაჭის-წყალი\მაზიშაი (მდ.), მანების მდინარე (მდ.), თალაჩაი (მდ.), ყაფი-ჩაი (მდ.), ყუმის მდინარე (მდ.), კობალას წყალი (მდ.), ყანი-ყობი (ლელი), აგარი-ჩაი (მდ.), გიშის მდინარე (მდ.), ელვარგარი (მდ.).

დიმიტრის, როგორც ისტორიკოსისა და რელიგიის მსახურის, ძირითად ინტერესს შეადგენდა საინგილოს საკულტო ძეგლები, ეკლესიების, სასახლეებისა და ციხე-სიმაგრეების, ნასაყდარლების ადგილსამყოფელთა აღწერა, ასე უხვად რომ არიან მის მოფანტულნი ამ მხარეში: მაჭის ეკლესია, ნაზუქსუ ქილისა ("პატარა წყლის ეკლესია"), დარბაზის ეკლესია, შიმშატ ქილისა ("ქანდრის საყდარი"), ყირმიზი ქილისა

("ნითელი ეკლესია"), გულის ეკლესია (ნასაყდ.), შაკავ-ქილისა ("კვერნაკის ეკლესია") - ნასაყდ., ნურ-ქილისა ("მადლის ეკლესია"), კატეხის ეკლესია, ფიფინთის ეკლესიები, ეკლესიები ფერიჯან-მუხახ-მამრეხისა, ფერი-ყალა, ჯვრის ეკლესია (ნასაყდ.), ზერნას ეკლესიები, ლქართის ეკლესია, ყუმის ეკლესიები, კასრის მამება, ბარბარეს ეკლესია (ნასაყდ.), ქურმუხის ეკლესია, გულ თეფას ეკლესია ("ყვავილთა კორდი") - ნასაყდ., დოდის მონასტერი, გიშის ეკლესია, ყიზ-ყალა, შაქის ციხე.

ნაშრომში წარმოდგენილი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი დღეისათვის სახემეცვლილი ან მივიწყებულია: აზნაურის მთები (მთა), აღდიბ (მთა), შაკიხის ველი (ველი), მისილ-დაღ ("ოქროს მთა"), საყარაულოს მთა\ყარაულ თაფა, ჯურ-კან (მთა), ნაშარამ ყაია, მილარის ველი, შამ-აბაზის კორთე და სხვ.

ისტორიულ-წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მოცემულია ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია-ეტიმოლოგიის ცდები: კაკი, ზაქათალა, საკანი, წერეთელი თბით, სილნალი, ფერიჯან ჩოლი - "ჯვრის მინდორი", ესკი-ზაზარი, გიში, შაკიხი, ჭალეთი, ვართაშენი\ვარდაშენი და სხვ.

დიმიტრის დანყებულმა საქმე განაგრძო და თავისი სიტყვა თქვა მეცნიერებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, მოსე ჯანაშვილმა. დიდა მისი დვანლი ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში. მან მთელი ცხოვრება ქართული ერის საშახურს შეაღწია, სამართლიანად შენიშნავენ მოსე ჯანაშვილის შესახებ, რომ იგი 80 წლის განმავლობაში ინვოდა როგორც კელაპტარი.

მ. ჯანაშვილის შემოქმედების სფერო მრავალფეროვანი იყო. ამიტომაცაა, რომ მის მდიდარ მემკვიდრეობაში გაშუქებულია ქართველი ერის ისტორია, ენა, მწერლობა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია... და მათ შორის საინჟინროს შესწავლას მაინც განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მოსესათვის საინჟინრო ერთობლივ ქართველოს განუყოფელი ნაწილთაგანი იყო და ამიტომაც ცდილობდა იგი, საინჟინროს ცხოვრების არცერთი სფერო არ დარჩენოდა გაუშუქებელი იმდროინდელ პრესაში.

მ. ჯანაშვილის მეცნიერული კვლევის სფერო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალფეროვანი იყო. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სიტყვის ეტიმოლოგიური განმარტება. საინტერესოა გავიხსენოთ წერილი "მცირე შენიშვნა" (გაზ. "ივერია" 1833 წ.), სადაც ზაფხულისა და ზამთრის მეტად საინტერესო ეტიმოლოგიას იძლევა. მ. ჯანაშვილს ეკუ-

თვნის აგრეთვე ნაშრომი "ლაშა-ჩუხიდან წარმომდგარა, თუ აფხაზური უნიტაშ მემკვიდა ქართლის ცხოვრებაში", "ივერია", 1893 წ. მან უარყო გ. წერეთლის მოსაზრება, თითქოსდა "ლაშა" რუსული სიტყვა ჩუხიდან მომდინარეობდეს და მოგვცა მართებული ახსნა, რომლის მიხედვითაც იგი აფხაზურიდან (ალაშარი) არის შემოტანილი, რაც ნიშნავს სინათლესო.

მ. ჯანაშვილისეულია და დღესაც მეცნიერებაში გაზიარებულია ეტიმოლოგიური ძიებანი ისეთი სიტყვებისა, როგორებიცაა: საგანი, ზვარაკი და ნახშირი. სახეებით სწორი იყო აკად. შ. ძიძიგურის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ "ეთნიკურ ტერმინებში ჯავახ, ტაოხ, მოსოხ და მისთანებში ხ-ს მიჩნევა მრავლობითი რიცხვის სუფიქსად, რომელიც დროთა ვითარებაში ფუძეს ერწყმოდ, ცლიტრატურაში მიეწერება ნიკო მარს, გადაცემათადრე ეს აზრი მ. ჯანაშვილმა გამოთქვა.⁵

ქართული ენის ინგოლოური დიალექტის შესწავლა მ. ჯანაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. 1896 წელს გამოქვეყნებული "ფარსადაზ გორგოჯანიძე და მისი შრომანი" ავტორის ერთგვარი ცდაა ინგოლოური დიალექტის შესწავლისა. აქ განხილულია ინგოლოურის თავისებურებანი და 800-მდე ლექსიკური ერთეულის განმარტებაა მოტანილი. უფრო სერიოზულ და ფუნდამენტურ ნაშრომს განეკუთვნება მისი საყვებულად ცნობილი გამოკვლევა "საინგოლო", რომელიც 1913 წელს ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული "ძველი საქართველო"-ს II ტომში დაიბეჭდა. ხოლო ცალკე წიგნად ჩვენს მიერ 1996 წელს გამოიცა.

— "საინგოლოში" ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მიმოხილვასთან ერთად წარმოდგენილია ამ კუთხის ტოპონიმია. მრავალი ისტორიული წყაროს გათვალისწინებით ლოკალიზებულია ინგოლოური ოკონიმები: კაკი\კახი ანუ თორალა (თორდა). კაკის უბნად ითვლებოდა აზნაური, ხოლო ბინებად: ყარამეშა, ალათმური, ქეშხუთანი, ბახთალა, ყუმი (ს.), შდრ. ყუმისთავი (იმერეთში), სოსკანი (ს.), ყორალანი (ს.), ალიბეგლო (ს.), ქოთოქლო (ს.), მეშაბაში (ს.), ლექეთი (ს.), ზარნა\ზერნა (ს.), გულშუაი ("ვარდიანი" ს.), თასმალო (ს.), ალაბათი\ალიაბათი\ელისენი (ს.), მოსული (ს.), შენგანი (ს.), ითი-თალა (ს.), ყანდახი (ს.), კაპანახჩი (ს.), ვერხიანი (ს.), ზაგანი (ს.), ლალაფაშა (ს.), მარსანი (ს.), ბაზარი ანუ თორფალა (ნაქ), თალა (ს.), ზაქათალა\ზაქართალა (ქ.), ჭარი (ს.), ჭიობიანი ადგილი- ჭარი რაჭულად; მანეხი (ს.), კატეხი (ს.), ბელაქანი (ს.), განუხ (=გეინუგი), შაქი\ შაკიხ\საკი (ქ.), ნუქეთი-

საინგილო (მხარე), ნილბანსინაუბანი (ს.), აზნაური (ნას.), შოთავარი (ს.), ვართაშენი-ვარდთაშენი (ქ.), ხალხალი\ხილხალი (ნაქ.), ყაბალა (ნაქ.). ამ უკანასკნელს სტრატონი ალბანეთის დედაქალაქად იხსენიებს. არაბულ-სპარსულ ცნობათა მიხედვით, 1221-1222 წლებში კაბალის ქართველ თავადს შებერძონენ ყოფნალი. დარუბანდელი და განჯის მთავრის დახმარებით დაამარცხეს, მაგრამ მერე ქართველებმა დიდი ზიანი მოაყენეს მათ და უუაქციეს.

მ. ჯანაშვილის მიხედვით, სოფელ ყოფნალის დაარსება ამ ბრძოლების შედეგი უნდა იყოს. საქართველოს იმდროინდელი საზღვრების დაკონკრეტებისას ავტორი შენიშნავდა: "საქართველოს მიჯნად იწოდებოდა ხალხალი (ხილხალი) არა თუ ქართლის ცხოვრების მიერ (გვ. 272), არამედ სომეხთა ისტორიკოსების ელიშეს (X ს.) და კალანკატუაცის (X ს.) მიერაც (ელიშე, გვ. 124, კალან., გვ. 6). აქედან დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთ მიჯნამდე (კახაბდე) 80-მდე ვერსია. მთელ ამ მანძილზე ქართველობა აღარ არის" (გვ. 69).

ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში - შესანიშნავი სოფლები და ქალაქები - მოცემულია საინგილოს ტერიტორიაზე არსებული მატერიალურ-კულტურული ძეგლები, ციხე-კოშკები და სხვ. დასახელებულია: კასრის საყდარი, ალავერდის წმ. გიორგი, ქურმუხის საყდარი, ბარბარეს საყდარი, ბახთალის საყდარი, ვარდიანის ციხე ("ფერი ყალა"), თორფალყალა ანუ "ფერი-ყალა", კავკასიის კუედელო, დარბაზ ქილისა...

"პერეთის აღწერასა" და "საინგილოში" მითითებულია ამ კუთხეში არსებული პიდრონიშები, რომლებსაც სარგებლობასთან ერთად ხანდახან ზიანიც მოჰქონდათ მოსახლეობისათვის. აქ დასახელებული არიან შემდეგი პიდრონიშები: ქურმუხის წყალი, მუხახის წყალი, ჭარ-თალის-წყალი, ჭარის-წყალი, ყაფი ჩაი, მანებ-კატეხის წყალი, ყანი-ყობი, ბელაქნის წყალი, მანის წყალი ("მაზიშაი"), ყუმის წყალი, წერეთლის წყალი, ემურჯანლოს ხევი, დაბახანას ხევი, თათრის ხევი, კობალას ხევი.

სამკურნალო წყლებიდან აღნიშნულია: პამამდარა ("აბანოს ხეობა"), მოხ-ბულალ, ყანაიში.

მ. ჯანაშვილი საგანგებოდ წერდება ბელაქნის რაიონში შემონახულ უძველეს ქართულ ტოპონიმზე - "წერეთლის ტახტი", რომლის წარმომავლობასაც წერეთლების საგვარეულოს უკავშირებს.

წიგნში სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად წარმოდგენილია ტერმინ "საინგილოს" ეტიმოლოგიაც.

მ. ჯანაშვილის "საინგილოში" შეტანილი აქვს აღწერა შაქისა, ალი-სულტინისა, ზუნდახისა, დიდო ქისტისა და სხვ., რომელთაც სათაურად ნამძღვარებული აქვს ანტონი II ნამბობი 1757 წელს. ზემოაღნიშნული ხელნაწერების საფუძველზე ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ ზემოთდასახელებული აღწერილობანი ეკუთვნის არა ანტონ კათალიკოსს, არამედ დავით რექტორს-მესხიშვილს.

საინგილოს ტოპონიმი არც ჩვენს სასიქადულო მეცნიერს, ივანე ჯავახიშვილს გამორჩენია ყურადღების ცენტრიდან. საქართველოს საზღვრების განხილვისას (ტფილისი, 1919) ავტორს შრავალი საყურადღებო მოსახრება აქვს გამოთქმული საინგილოზე. ადგენდა რა პერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზს, პიდრონიშ გიშის-წყალს, რომელიც ახლა აგრი-ჩაის შენაკადი, იმ ადგილიდან მოყოლებული, სადაც ახლანდელი გიში (Кичи) ერთვის, გიშის წყლად მიიჩნევდა და მას ალაზნის შენაკად მდინარედ ასახელებდა. დიდი ისტორიკოსი, რომელიც ღრმად წვდებოდა ამ რეგიონის გეოგრაფიულ სახელთა არსენალს, მართებულად შენიშნავდა: "XVII საუკუნიდან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტნელებთა შემოსევისა და დაშენების გამო, მაჰმადიანობამ პერეთში ქრისტიანობას დაძლევა დაუწყო და ქართველი მოსახლეობაც შემცირდა. ძველი საგეოგრაფიო სახელების მაგიერ ახალი გაჩნდა. ერთს დაერქვა "ალის-სასულთონ", მეორეს - "ელსენი", მესამეს - "ჭარი". უკანასკნელი სახელი ფიფინეთის ხეობას დაერქვა. ვახუშტის ცნობით, ეს ხეობა არჩილ მეფის "შემდგომად იწოდა ჭარი". რუკაზე ფიქსირებული დამზიხეჯებული გეოგრაფიული სახელწოდების მიუხედავად (რუსულ რუკაზე ფიფინეთის მაგიერ მოცემულია დიდი და პაკარა პიპანი), მეცნიერი არ ეთანხმება ვახუშტის განმარტებას, რომ ელისენად იწოდებოდა ქვეყანა ბელაქნის წყალსა და გიშის წყალს შორის ალაზნამდე და კავკასიამდე (ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. 306). იგი იძლევა დაზუსტებულ კალიზირებას: "ელსენსა და კავკასიონის ქედს შუა, შუაგულში მიაჩნც ჭარი იდგა. ამიტომაც ცხადია, რომ ამ ადგილს ელისენი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს ვერ აღწევდა" (გვ. 12). შემდგომ ივ. ჯავახიშვილი იმ ფაქტსაც უთითებს, რომ 1783 წლის ხელშეკრულების დადების დროსაც ეს კუთხე, როგორც ეს იმდროინდელი ელჩის, ბურნაშვილის რუკაზეა აღნიშნული, საქართველოს საზღვრებში შედიოდა. გაანალიზებული აქვს ამ კუთხის სხვადასხვა დროის აღწერის სტატისტიკური მონაცემები.

აკად. ივ. ჯავახიშვილის საგანგებო ინტერესს იწვევდა ქარის სახელწოდების წარმოშობა. ქარი: "ქარხალში პერეთის ცნობილ თემს ქარს ნიშნავს და ქარხალი ქარის მსხალს".⁷ ინგლოურში ქარხალი როგორც ველური მცენარე ან კულტურა არ არის გავრცელებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ ბოლო ხანებში აზერბაიჯანულის ზნით შემოსულ "ჭულუნდურს". ისტორიულ წყაროთა და ქართულ კილოთა მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერი ასკვნის: "ამგვარად, ქარი ვითარცა დაბლობი, წყლიანი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა, ძველ ქართულშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო" (გვ. 137-138). საინჟინერო ტერიტორიაზე დღეისათვის არჩევენ "დაბალ ქარს" (აშალი ქარი) და "მაღალ ქარს" (იუზარი ქარ). მდებარეობითა და ბუნებრივი პირობებით ისინი საუცხოო ადგილს წარმოადგენენ.

ივ. ჯავახიშვილს ოკონომი ეკუთვნის შედარებული აქვს მცირე აზიაში გავრცელებულ სხვადასხვა საკუთარ სახელებთან, რომლებსაც ქართული სახელების კვალი აჩვენიათ.⁸

აკად. ნ. ბერძენიშვილის საინჟინერო ისტორიული ნარსული დანატრეკება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ძნელადლობის მიუხედავად, მან შეძლო, 1953 წელს გამოქვეყნებინა შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომი "საინჟინერო ანუ აღმოსავლეთ კახეთის ნარსულიდან".⁹ აღნიშნულმა გამოკვლევამ დასაბამი მისცა სხვა მონოგრაფიებს. საზოგადოების ფართო მასებისთვის ნათელი გახდა პერეთის ბედუკულმართი ისტორია უძველესი დროიდან 1917 წლამდე. ისტორიული ფაქტების მიმოხილვისას ეხება ქ. ნუსხის\წიხბატის, რომელიც არჩილ მეფის აუშენებია VIII საუკუნეში. დავით აღმაშენებლის სახელოვანი ბრძოლების ანალიზისას მოყვანილი აქვს 1117 წლის შეტაკება, როდესაც "დაიპყრა გრიგოლის ძენი ასათ და შოთა და ალილო ციხე გიმი", რომელიც ნ. ბერძენიშვილის თქმისა არ იყო: "აღნიშნული გრიგოლის ძეთა სამფლობელო ქვეყანა ციხე გიმი ქართლის პერეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილი იყო... სადაც იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, მწყემსი ელსენისა, ნუქეთისა და შაკიხასა" (გვ. 63).

ისტორიკოსი ეხება ელისოს სასულტნოს ჩამოყალიბებას, მის საზღვრებს, რომლებიც მოიცავდა მდინარეთს - ყანი ყოზის ("სისხლიანი ღელე") და ყაფიჩაის შორის მდებარე ტერიტორიას და, აქედან გამომდინარე, კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრამდე ყაფიჩაის მიხედვედნენ. უთითებს რა XVII ს. საინჟინერო ჩამოსახლებულ მოახალშენებს, გამოყოფს მათ მიერ დასახლებულ სოფლებს: ბელაქანი, კატეხი, მანხი, გოგამი, ქარი, თალა, მუხახი, მამრეხი და სხვ.

სამწუხაროდ, საქართველოს გეოგრაფიკულ ალფაბეტ-გამოხსენისა და მის კახეთთან შეერთებისათვის წარმოებული მრავალი ბრძოლა და ყოველგვარი დიპლომატიური ცდა ამოა გამოდგა და ეს პირველხარისხოვანი საკითხი დღემდე გადასაწყვეტი დარჩა.

ისტორიული გეოგრაფიის საკითხების გაშუქებისას ეხება ოკონომი ქარს, რომელიც XVII-XVIII სს.-ში უპირველესი პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვა მთის ლეკებს შორის და აღმოსავლეთ კახეთის ამ ნაწილს ქართველმა ერმა "ქარი" უწოდა. ამრიგად, ქარი გახდა ამ ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი ("კაკი, რაჭა" - რუსული ცნებებით)¹⁰.

ტერმინ "პერეთის" გაქრობისა და "საინჟინერო" გაჩენასთან დაკავშირებით, ნ. ბერძენიშვილი ეხება ტომთაშორის კლასთა ბრძოლას და ასკვნის: და განა XVIII საუკუნის ფაქტი - "საინჟინერო" გაჩენა იმედე კლასთა ბრძოლით არ აიხსნება?! (გვ. 610) ასეა თუ ისე, ტერმინი "საინჟინერო" დამკვიდრდა ისტორიულ პერეთში და მეცნიერთა საპოლიტიკო ცნებადაც იქცა.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოჩინილი მკვლევარი, კორნელი კეკელიძე ტომონიმ - ელისენთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამდა. მისი აზრით: "ამ მხარეში ქრისტიანობა იქადაგა თითქოს თაველიც მოციქულის მონაფემ, ელისემ, რომელიც დაღესტნიდან მოსულა. შეიძლება ამ გადმოცემამ მისცა საფუძველი ელისენის სახელწოდებას" (გვ. 318).¹¹

საქართველოს საზღვრებში ზაქათალის ოლქის სახელწოდებით დომინირებული პერეთის ეს ნაწილი განსაკუთრებით საკამათოდ და სადაოდ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ იქცა. ამის დასტურია თუნდაც ის უაღრესად რთული პროცესები, რომლებიც ამ კუთხის საქართველოსგან მოწყვეტასთან იყო დაკავშირებული. ამჟამად საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში, როდესაც საშუალება იქმნება მოხდეს საიდუმლოებით მოცული ფაქტის გამოვლენება, ნათლად იკვეთება ის ძირითადი კონტრუბები, რომლებმაც განაპირობეს საინჟინერო დღევანდელი მდგომარეობა. 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების გამოშვებურებას მოჰყვა მათ უშუალო ხელმოწერათა გრ. ურატაძის პარიზში გამოქვეყნებული ნაშრომის "ნამდვილი და ყალიბ ისტორია" 1958 წ. (გაზ. "კომუნისტი", 23 ივლისი) პროფ. ვ. შარადის მიერ გამოქვეყნებული მეტად საყურადღებო პუბლიკაცია, რომელიც ზაქათალის ოლქის ინდროიდულ მდგომარეობას და 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას ეძღვნება. როგორც ამ

მასალებიდან ჩანს, საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრების დადგენა დაევალა კომისიას (ე. თაყაიშვილი, ირ. წერეთელი, დ. ონიაშვილი), რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული საკითხის შესწავლა მიანდო პავლე ინგოროყვას. გამართნილი მეცნიერის მიერ საზღულდაგულოდ შესწავლილი საკითხი საზღვრების დამდგენმა კომისიამ მოიწონა და სათანადო ასახვა პპოვა ნაშრომში: "საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ"¹².

საზღვრების დადგენისას ავტორი უთითებს იმ ხაზს, რომელიც მდ. **ყაშხაჩაის** გასწვრივ მდ. **ვერიჩაის** შესართავამდე მიემართება. მდ. **ყაშხაჩაი**, პ. ინგოროყვას მიხედვით, დაბლა ნაწილში **ყარაჩაის** სახელით იხსენიება.

ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც საუბარია საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე, მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები ზაქათლის ოლქში 1909 წლის მოსახლეობის აღწერისა, რომლის მიხედვითაც ამ კუთხეში ცხოვრობდა 69.825 სული. აქედან ასხვავებდა მოსახლეობის 4 ჯგუფს: 1) ქარელებს, რომელთაც ენით ნათესაობა აქეთ ავარიელებთან - 29.785 სული; 2) ნახურელები (ესეც ლეკების ტომთა ჯგუფია) - 11.485 სული; 3) მულალები (ტომთა - მონგოლები) - 11,121 სული. 4) ქართველები - 17.434 სული (25%), რომელთა შორის ქრისტიანია 4.263, ხოლო მუსლიმანი ქართველი - 13.171.

პ. ინგოროყვას აზრით, ზაქათლის ოლქის ძირითად მკვიდრო ქართველები შეადგენენ, ხოლო სხვები ბოლო დროს არიან ჩამოსახლებულნი: "ქარელი ნახურელების გადმოყვანა დაღესტნიდან სპარსეთის მმართველობამ შეჩვიდმეტე საუკუნეში მოახდინა (როცა აღმოსავლეთ საქართველო ერთხნად დაიჭირეს შაჰ-აბაზის ურდოებმა), რომლებმაც აპყარეს აქედან რიცხვით 100.000-ზე მეტი და გადაიყვანეს სპარსეთში" (პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 7).

უცხო ტომთა ჩასახლება საქართველოს ამ ნაწილში იმით ხსნის ავტორი, რომ "ზაქათლის ოლქი, შემოჭრილი საქართველოს ველების შუაგულში (ალაზნის ველის შუა წელში) სამდვილი შემოსასვლელი კარებია ტფილისის პროვინციისა".

პ. ინგოროყვას ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საინგილოს ოიკონიშებზე: აქ ცალკე გამოყოფილია ქრისტიან მოსახლეთა ადგილსამყოფელი. დასახელებულია: **კაკი**, **მეშაბაში**, **დიდი და პატარა ალათემური**, **ბაზარ-თალა**, **ბაზთალა**, **საკანი**, **ყარა-მეშა**, **ქემ-ხუთანი**, **ხარაბთალა**, **ალიბე-გლო**, **ქოთოქლო** და **ყორალანი**. ამ უკანასკნელში ორივე სარწმუნოების ქართველები ცხოვრობდნენ.

მუსლიმანი ქართველებს სოფლებად დასახელებულია: **ალიაბათი** ანუ **ელისენი**, **სოსკანი**, **მარსანი**, **ლალაფაშა**, **ჩუდულო**, **ქაგამი**, **თასმალო**, **შოთავარი**, **ბაბალო**, **ვერხიანი**, **ენგაიანი**, **მოსული**, **ფადარი**, **ყანდახი**, **ქაფანაქჩი**, **იოი-თალა**.

ზემოთდასახელებული სოფლებში თუ მცხოვრებთა საერთო მაჩვენებლებს გადავხედავთ, შევნიშნავთ, მოკლე დროის მანძილზე რა დიდი ცვლილებები მომხდარა. ქართველი მოსახლეობა თითქმის გამქრალა ისეთ ქრისტიანულ სოფლებში, როგორებიცაა: **ბაზარ-თალა**, **ბაზთალა**, **საკანი**, **ყარამეშა**, **ქემ-ხუთანი**, **ხარაბთალა**, **ყორალანი**. არც მუსლიმანურ ქართველობას დასდგომია კარგი დღე. ენა და სარწმუნოება დაუკარგავს ათასობით მრავალ დასახლებულ პუნქტში: **სოსკანი**, **მარსანი**, **ლალაფაშა**, **ჩუდულო**, **ქაგამი**, **თასმალო**, **შოთავარი**, **ბაბალო**, **ვერხიანი**, **ენგაიანი**, **ფადარი**, **ყანდახი**, **ქაფანაქჩი**... ზოგიერთი ოიკონიში კი საერთოდ გამქრალა: **ბაზარ-თალა**, **საკანი**, **ბაბალო**...

პ. ინგოროყვას ფუნდამენტურ გამოკვლევაში - "გიორგი მერჩულე"¹³ საქართველოს ონომასტიკის ანალიზისას მეცნიერი ხშირად მიმართავს პარალელებს ინგილოურ ტოპონიმებთან. **მანესთა** მდინარე და დასახლებული პუნქტი შედარებული აქვს საინგილოში არსებულ სოფელ და მდინარე **მანესთან**. ასევე სოფელი **კანდახი** - მდინარე **კანდახა**. **კანდახას** შესახატვისისა ინგილოთა ძველი სოფელი **კანდახი** ზაქათლის რაიონში.

1947 წელს გამოცემულია "საბჭოთა მწერალმა" გ. ქიქოძის რედაქტორობით გამოსცა მეტად საყურადღებო წიგნი საინგილოზე. ესაა ზ. ედილის (ედელაშვილის) ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი "საინგილო".¹⁴ აღნიშნული წიგნი შეესებული სახით გამოიცა ჩვენს მიერ 1996 წელს. ამგვარი ენციკლოპედიური ხასიათის გამოკვლევა ამ კუთხის შესახებ, თუ არ ჩავთვლით მ. ჯანაშვილის "საინგილო"-ს, - არც თუ ისე მრავალ მოგვეპოვება. უნიკალურ ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად წიგნში შეტანილია საინგილოს ტოპონიმური ერთეულებიც. ავტორის მიერ ჩანერილი მასალა ისე დეტალურად და საქმის ისეთი ცალკეობაა აღწუსული, რომ დღეისათვის მათ მეცნიერებაში პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭებათ.

ზ. ედილის "საინგილო"-ში დანვრილებითაა მინიშნებული როგორც ოიკონიმების მდებარეობა, ისე მათი დაარსების ისტორია, ავტორი - მათი მაცხოვრებლებიც: **ლოქართი** (ლექეთი (ს.), ჯინიხი (ს.), კატხი (ს.), ფიფინეთი (ს.); ეს სოფლები განადგურდნენ 1616 წელს შაჰ-აბასის შემოსევების დროს.



ძველი სოფლების მოსპობასთან ერთად მათ პარალელურად ჩნდებოდნენ ახლები: სოფელ ბელაქნის ზემოთ ლეკებმა ტყე გაჩეხეს და დააარსეს სოფელი ყავახჩოლო. საინგილოში ჩამოსახლებულ ლეკთა სოფლებს ზ. ედილი ე თვამდ ყოფს. ესენია: 1) ბელაქნისა; წინუბანი, ჭანდრის ხევი, ბელაქანი თავის ბინებით. 2) ჭარისა: გოგამი, მანეხი, სუშაილო, ყაბიზდარა, ყარაღაჯლო, დარდოკაზი, ჭარი. 3) კატეხისა: გუდარეხი, კატეხი, დონღუზბურან, ყაიმულალა. 4) თაღისა: კარეხი, თალა, თავისი ბინებით. 5) ჯინიხისა: ჯინიხი, გოზბარახი, ჯი-ჯიმიხა, ალასკარი, მამრეხი. 6) მამრეხისა: ზემო და ქვემო მუხახი, საფუნჩი, საპონჩი. ზემოთ ჩამოთვლილ ოციონიშთა სიმრავლე მიუთითებს მათი რაოდენობის გეომეტრიულ პროგრესიით ზრდაზე. მთებიდან ჩამოსახლებულები იკავებდნენ საინგილოს მდიდარი და ნოყიერი მიწის ნაკვეთებს.

დაღესტნელ ლეკებს საინგილო თავიანთ საქმეებზედად პქონდათ დანაწილებული. "ქემქელი" იყო ბეგარი, გადასახადი, რომელსაც იღებდა ლეკი გლეხისაგან "სახოგადოებრივი" მიწის ნაკვეთიში. ასე მაგალითად: ჭარის 22 სოფელი უხდიდა ქემქელს: ალიაბათი, მოსული, ძეგამი, შოთავარი, ყორაღანი, თასმალო, ვერხიანი, ენგიანი, აღმალო, ბაბალო, ლელალო, პატარა და დიდი ლაიჯი, ჩობანკოლო, ბაიმთალო, ქურდამირი, ყიმურლო, ყარაბაღდური, ფადარი, კინდირგალო, კაპანაქჩი, მუშლით.

ჯინიხის თემს ეკუთვნოდა: მარსაანი, ლალაფაშა, ჩუდული. მუხახისა: ენგიანი, ბაზარი, ყალალი, ჯინიხი, ქოსური. თაღის თემს: მულანლო, ფალდარლო, კაპანაქჩი. საქმეებელი სოფლებიდან ავტორი გამოყოფს ქართულ სოფლებს: ალიაბათი, მოსული, კანდანი, თასმალო, ენგიანი, ძაგამი და ლალაფაშა. დასახლებულ ქართულ ოციონიშთა შორის არ არის რატომღაც სხვეებიც: შოთავარი, ყორაღანი, თასმალო, ვერხიანი, ქაფანაქჩი.

კაკის მხარის ინგილოთა ძირითად ადგილსამყოფად ზ. ედილს კაკი აქვს დასახლებული, საიდანაც შემდგომ სოფლებად ჩამოყალიბდა ალიბეგლო და ყორაღანი. კაკის წარმომავლობის შესახებ შენიშნავს: "... კაკი წინწავს ხეობას, ძირი მიანც კაკისა აღბანური უნდა იყოს უსათყოფი. ალათემური და ემურჯანლო ედილს საინგილოს ვერაგი მტრების წინამძღოლთა სახელებიდან მომდინარედ მიიჩნია.

ავტორს არც საინგილოს მიმდებარე დაღესტნისა თუ კავკასიონის გეოგრაფიული სახელები გამორჩენია, რომლებსაც ქართული წარმომავლობა აქვთ: გამოცანა (მთა),

საფანტი (მთა), დინდილა (დიდი მთა), მურჯი დაღ (მთა). სოფლებიდან: კირმინა, ყინა, ქურდული. ეს უკანასკნელი პირველი დასახლებაა დაღესტნისა, საინგილოდან მიმავალს დაღესტნის მიწაზე რომ შეხვდებოდა.

წინის ერთ-ერთი თავი ამ კუთხეში არსებულ ისტორიულ-მატერიალურ კულტურის ძეგლებს ეძღვნება. ერის სიმდიდრის მოჭირნახულე ცდილობს შეეღებოს დაგვირად მოუაროს, აღადგინოს და შთამომავლობას შემოუნახოს ქართველ წინაპართა წამოღვანარი, ჟამთა სიცივის გამო განადგურების შირას რომ იდგენენ. ველქემის დიპლომით მოვლენილმა ბრეთელმა კაცმა ისე ახლოს მიიტანა ამ კუთხის ჭირ-ვარამი, რომ საინგილოს მგზნებარე პატრიოტად იქცა. მინდორ-ველაღ მოსიარულე მამულიშვილის ბლოკნოტები ყოველდღიურად ახალ-ახალი ჩანაწერებით ივსებოდა.

ისტორიული ძეგლებიდან ედილთან დასახლებულია: ბელაქნის მონასტერი, ქურმუხის წმ. გიორგი, დარვაზკილისა, ნურქილისა, ანუ "მადლის ეკლესია", შიშაშთი ქილისა - "ჭანდრის ეკლესია", ბახთლის ღვთისმშობლის ეკლესია, ლექეთის მონასტერი, გიშის ტაძარი. მხოლოდ ნანგრევების სახით მოუღწევიათ: მოკავ-ქილისას, ხუბარის, ბერთაბინას, კასრის საყდარს, ბარბარეს საყდარს. საინგილოში არსებულ მტრისაგან თავშესაფარ ციხე-კოშკებიდან ედილი უთითებს: მაჭის\მანინის ციხეს ანუ "ფერიყალას", ქურმუხის ციხე-კოშკს, თორფალ-ყალას, კავკასიის კედელს.

ზ. ედილს "საინგილო"-ში ვრცელდაა წარმოდგენილი საინგილოს პიდრონიშია. კავკასიის ქედიდან გამომდინარე ვრცელ არტერიას ფართოდ დაუსერავს პერეთის ვრცელი მინდორ-ველები. ესენია: მაჭის წყალი\მანიშაი, კანი-კობი ("სისხლიანი ღელე"), ვერჩიანი, კატეხანი, კალაჩაი\ქალაჩაი, მუხახანი, ბელაქანჩაი, მანეხჩაი, თალაჩაი, ქურმუხი, სუვაკილჩაი, ლექეთიანი, კალუდარაჩაი, კემტიკელჩაი, ქალისჩაი, ქილისჩაი, პირიგელი, ვერტიკალჩაი, ოღლან შამამ, ყიზ შამამ, ყიმურლოს აბანო, ყინათმა, ხავანდარა, ჩარიგელი, ყაფჩაი. წარმოდგენილ ჰიდრონიშთა ძირითად კომპონენტთან ერთად ჰიდრო მანარ-მოვლად გამოყენებულია "ჩაი-წყალი".

ძველ ტოპონიშთაგან აღსანიშნავია: საყარულოს მთა, ფერიზაანის ველი, აგდამის მინდორი, ათალარის ტყე, ალიაზლო, სარიჯა, აჯინოური.

ზ. ედილი ცალკე გამოყოფს საინგილოს ისეთ შესანიშნავ ხეობებს, როგორებიცაა: ბაღლური, ყაბიზდარა, ჩარიგელი ("ირმის ბუნაგი"), ქალიალო, ქურმუხის ხეობა, შამამდერა.

დასახლებული საინგილოსა და დაღლებული შორის კავკასიონის ქედზე არსებული მწვერვალები: **გუდურდალი**, **დინდილა**, **გუტანი**, **ჩურუქი**, **ბეშლამიში**, **ბოლვადი**, **გუბახი**, **მოვრალი დალი**, **დინდილა**, **სარუბამი**.

ზ. ედილის "საინგილო" მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად საინგილოს ტოპონიმის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს.

საინგილოს ისტორიის შესწავლას მიეძღვნა ისტორიკოს მ. დუშბაძის ნაშრომი - "აღმოსავლეთ კახეთის საინგილოს წარსულიდან"¹⁶. ამ მონოგრაფიის გამოცემით ლირსეულმა მონაფემ პირნათლად შეასრულა სახელოვანი მასწავლებლისათვის - ნ. ბერძენიშვილისათვის მიცემული დანაპირები. წიგნი მრავალ ისტორიულ წყაროსა და საბერძნო დოკუმენტზეა დაფუძნებული. ნაშრომში ისტორიულ მოვლენათა შესატყვისად ნაჩვენებია ამ კუთხის გეოგრაფიული სახელწოდებები. ამ მიმართებით, პირველ რიგში, თვალში საცემია ინგილოურ მოსახლეობაში იტალიელები, რომლებიც ძირითადად მოსახლეობის აღწერის სტატისტიკურ მონაცემებს უყარება. ეს სოფლებია: **კახი**, **მეშაბაში**, **ალათემური**, **ალიბეგლო**, **ყორალანი**, **ქოთუქლო**, **ზევაში**, **თასშალო**, **ალიაბათი**, **მოსულცი**, **ენგიანი**, **იით-თალა**, **ყანდახი**, **კაპანაქი**, **ლალა-ფაშა**, **მარსაანი**, **სოსკანი**, **შოთავარი**, **ვერხიანი**. ნაჩვენებია ზემოთდასახლებულ სოფლებში ქართველი მოსახლეობის ზრდა-განვითარების შეტად საინტიერესო სურათები.

საინგილოში მიმდინარე მძაფრი სოციალური მოვლენები გარკვეულ ასახვას პოულობდა ამ კუთხის სულიერ სფეროშიც. იცვლებოდა მოსახლეობის საერთო შემადგენლობა. უცხო ენოვან გარემოცვაში მოხვედრილი ინგილოური სოფლები ველარ უძლებდნენ გარედან მომძლავრებულ შემოტევებს. მაჰმადიანური რელიგიის ზეგავლენით ქართული ენა თანდათანობით გამქრალა სოფლებში: **ყანდახი**, **ენგიანი**, **კაპანახი**, **ვერხიანი**, **ლალაფაშა**, **მარსაანი**, **სოსკანი**, **შოთავარი**, **გულუგი**.

ავტორი, როდესაც საინგილოში ლეკთა ჩამოსახლების საკითხს ეხება, ცალკე გამოყოფს იმ ქართულ სოფლებს, რომლებიც დროთა განმავლობაში დაღლებულმა დაიკავეს. ესენია: **ქარი**, **მუხახი**, **ყუმი**, **ლექართი**, **ზარნა**, **ელისუ**. აქვე მითითებს ქარელ მებატონეთა საქმეკლო ქართულ სოფლებს: **ალიაბათი**, **ელისენი**, **თასშალო**, **ზავამი**, **ენგიანი**, **ვერხიანი**, **მოსულცი**.

ახალი საცხოვრებელი ნაკვეთების ძიებაში ინგილო გლეხი მდ. ალაზნის სანაპირო

ზე მდებარე ტანაჩის ტყეში მიიყვანა, სადაც 1830 წელს აჯანყების შემდეგ მოსახლეობის ერთი ნაწილი დამკვიდრებულა და საფუძველი დაედო სოფელს, რომელსაც შემდგომ ითი-თალა\იტი-თალა ეწოდა.

ტერმინ - ზაქათალის ეტიმოლოგიის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას იძლევა 1830 წლის აჯანყების მასალები. აღწერილია ის სასტიკი ბრძოლები, რომლებიც ძველ ზაქათალისათვის მიმდინარეობდა. 1830 წლიდან რუსების მიერ ახალი ციხე-სიმაგრის აგებასთან ერთად გაჩნდა ტერმინი ახალი ზაქათალი, რომელმაც დროთა განმავლობაში დაარდილა მის ახლოს მდებარე სოფ. ზაქათალი. ტერმინი ზაქათალი XIX საუკუნიდან უნდა გაჩენილიყო.

ერთგან ავტორი ალიაბათის (ელისენის) დღეისათვის მივიწყებულ უზენებად ასახელებს: **ჩიტის უბანს**, **ძაღლის უბანს**, **ზემოთა უბანს**, რაც მართებული არ უნდა იყოს. რადგან ისინი დღესაც ხმარებაში არიან და ინგილოური ტოპონიმის აქტიურ ფონდს შეადგენენ.

ლოკალიზირებულია ნახურ-ელისოს სასულტნოს საზღვრები, რომლებიც მოიცავდა ლეკების მხრიდან მდინარეების **ყაფუჩაისა და მუხახის წყალს**; საზღვრითიდან მდ. ალაზნისა და მის შენაკადს **აგრი-წყალს**, ხოლო აღმოსავლეთიდან - შაქის სახანო **კაშკა-წყალით**.

ელისოს სასულტნოში 1832 წლის მონაცემების მიხედვით, შედიოდა 5 სოფელი: **კახი**, **ალიბეგლო**, **აგატაი**, **მეშაბაში** და **ყარამეშა**. აღდგენილია სოფ. **ალიბეგლოს** ძველი სახელი "**ქათმისხევი**". მ. დუშბაძე ასწორებს ი. გრიშაშვილის მიერ მონოდეტულ ცნობაში დამკვიდრებულ შეცდომას. სოფელ **კოტეხის** ნაცვლად **კატეხს** უთითებს, სადაც ალ. ჭავჭავაძე იფხა თავის დივიზიით.

მ. დუშბაძის ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა საინგილოს ანთროპონიმისას. სოფ. **ალიაბათის** (ელისენის) მცხოვრებთა შორის აღადგენს ადრეულ გვარებს: **ბონლანი** (**ბონლაშვილები**), **ჯანშაანი** (**ჯანაშვილები**), **ნაცელიანი** (**ნაცელიშვილები**), **დათუნანი** (**დათუნაშვილები**), **მალხაზაანი** (**მალხაზაშვილები**), **ფათალიანები** (**ფათალაშვილები**), **ნანიანი** (**ნანაშვილები**). გვარების აღდგენისას ავტორი ყურდობოდა დგილობრივ მოხუცებულთა გადამოცემებს.

შერეთის ამ ნაწილში მრავალი ქართული გვარი მივიწყებას მიეცა. ამგვარი დაკარგული გვარების აღდგენის ერთგვარი ცდაა წარმოდგენილი ზემოთდასახლებულ ნაშრომში. სოფლებისა და მიხედვით აღდგენილია ზოგიერთი მათგანი. ასე მაგალითად: **მუხრანსკი**. ს. ქართი - 4 ოჯახი; **ჭავჭავაძე**

(ს. მანეხი, ს. გოგამში - 7 ოჯახი), ქალეფთარი (3 ოჯახი - ს. ბაზარში, 17 - თალაში), ვაჩნაძე (ბელაქანში), ერისთავი, ასისთავიშვილი, მამულაშვილი (ს. მოსული), ფიროსმანიშვილი (თასმალა), ზურაბაშვილი (ელისუ), არაბლინსკი, კარახმეტოვები - წამროშობით ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. ასევე ლაზარევი მძევლებს ითხოვდა "ანანიანოვის-ონანაშვილების გვარისაგან, რომელიც ერთი უძველესი გვარი იყო ბელაქანში. ონანიშვილები იგივე ვაჩნაძეები იყვნენ... ვაჩნაძეთა გვარი არსებული ვადმოცემაც ადასტურებს ამ გვარის 4 შტოს: ონანაშვილები, ავათოშვილები, ბუბურიშვილები, ედიშოშვილები". (გვ. 10).

მ. დუმბაძის ნაშრომი ვრცლად აშუქებს აღმოსავლეთ საქართველოს ამ განაპირა კუთხის ისტორიის ბედუქულმართობით აღსაქვს ფურცლებს (სამწუხაროდ, იგი შემოფარგლულია მხოლოდ ადრეული პერიოდით ჩვენს დრომდე) და დიდძალ ცნობებს გვაწვდის ამ კუთხის ტოპონიმიაზე.

საინგილოს ბედ-იღბალზე არაერთი ლამე უთენებია თანამოშემთა გასანათლებლად იქ ჩასულ პედაგოგ ქალს, ალექსანდრა ჩხეიკელს, რომელსაც ადგილზე ნაწახმა მწარე სინამდვილემ გული დაუთუთქა. ყელს მონოლილმა სიტყვამ იშპლავრა და კალამაც ქაღალდზე გადაიტანა სხვადასხვა ეპიზოდი ინგილო ქართველებისა როგორც ისტორიული წარსულიდან, ისე თანამედროვე ყოფითი ცხოვრებიდან. ოცეუბას ფრთები შეესხა. წიგნის თაროებზე გაჩნდა მწერალი ქალის მგზნებარებით დაწერილი წიგნები: "ოქროს საბლით მოზომილი", "რომიკო", "შზიან საინგილოში", "ინგილოური მოთხრობები", "ინგილოური ლეგენდები" ... ფურნალ-გაზეთებშიც კანტი-კუნტად გაჩნდა პერეთიდან გამოგზავნილი მოკრძალებული პათოსით გაფლენილი პუბლიკაციები.

ალ. ჩხენკელის ნაწერებშიც გვხვდება მსჯელობა ამა თუ იმ ტოპონიმზე. იგი ერთგან წერს: "კახს აზერბაიჯანულად ეწოდება "გახ", მას შიორე სახელსაც ეძახდნენ ე.წ. "ყახს", რაც მათ ენაზე გოგრას, ხოლო "გახ" - გრძელ ხეობას ნიშნავს"¹⁴. ავტორის დაკვირვება ცყრდნობა ხალხურ ეტიმოლოგიას.

საინგილოს ოიკონიმების მიმოხილვისას იგი ერთგან შენიშნავს: "ამრიგად, როგორც ირკვევა, ქვემოთ ჩამოთვლილ საინგილოს სოფლებს ისეთი სახელები, როგორცაა ალიაბაი, ალიბეგლო, ალათეფური, ლაბაფაშა, ემურჯანლო - იმ სარდლების სახელია, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საინგილოს მოსპობაში (გვ. 40). თანამომეტა მგზნებარებით ანთებული გული სიცოცხლის ბოლო წლებამდე მოსვენებას არ აძ-

ლევდა სამშობლოს კეთილდღეობას მწუხარებულეულ ამავდარს.

თავიდანვე არცთუ ისე სახარბიელო ბედი ეწია ამ კუთხის შესახებ დაწერილ კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოკვლევას. მხედველობაში გვაქვს ი. ადამიას მონოგრაფია: "ქართული ხალხური ზურთომოდგრება - საინგილო"¹⁵. წიგნს დასტამბისთანავე მოჰყვა მისი აკრძალვა. საინგილოში ვაგზავნილმა ათასობით ეგზემპლარმა მკითხველამდე ვერ მიაღწია. ადგილზე გასინჯვის შემდეგ ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა შემდგომ ორგანოებს აცნობეს, ნაწილი საგულდაგულოდ ჩაეტეს სეიფებში, ხოლო დანარჩენებს რა ბედი ეწიათ, დღესაც გაურკვეველია. რით უნდა ყოფილიყო გამოსწეული ამგვარი გალიზიანება, ეს თავისთავად ცხადია. პერეთის ზურთომოდგრების ძველების შესახებ ასეთი ვრცელი გამოკვლევა დღემდე არ გვექონია და მისი მნიშვნელობა განუზომად დიდია მცენიერებისათვის. წიგნისთვის ერთი თვალის გადავლაც კი საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ ავტორის მიერ განულ კოლოსალურ შრომაში, რაც მხოლოდ ამ კუთხეზე უზადო შეყვარებულ კაცს შეეძლო. საკვირველია ასეთი შერისხული ნაშრომი რატომ დადრათ ჩვენს მცენიერებს შეუფასებელი. მით უმეტეს, რომ საინგილოს ხალხური ზურთომოდგრების ნაშრომის ავტორი, ი. ადამია, ამას არაფრით იმსახურებს.

ჩვენ აქ ამ შესანიშნავი გამოკვლევის შესახებ ვრცელ საუბარს არ ვაპირებთ, ვიშედოვნებთ, მის შესახებ თავის სიტყვას იტყვიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები. ჩვენ მას მხოლოდ ტოპონიმური თვალზრისით გავაანალიზებთ.

ავტორს როდესაც საინგილოს ძველი სოფლების დაგვემარებას და განაშენიანების საკითხებს ეხება, ყურადღებას ამახვილებს ქართული წარმომავლობის ზოგიერთ სახელზე: შავი მთა, საყარაულოს მთა, ნერეთლის მთა - "ნერეთელთ თახთა", ნალკოტის მთა, ჭინჭარის მთა, ფიფინეთის წყალი, ორდელე-ორიდელე, მოსაბრუნი.

ოიკონიმ კაცის/კახის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ ავტორი ასკვნის: ამრიგად, "კახი" ქართული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელია, რომელიც უძველესი დროიდან შემორჩა ძველი პერეთის ერთ-ერთ უღამაზეს სოფელს, ამ ბოლო დროს კი - ქალაქს.

ტოპონიმი ალიაბაი ანუ ელისანი ი. ადამიას საკუთარ სახელ "ელისსაგან" მომდინარედ მიაჩნია. ს. ლექართს-ს ორ ნაწილად შლის "ლე"-წინსართი და "ქართი" ე.ი. ქართველთა სატომო სახელი, ქართველე-

ბით დასახლებული ადგილი. ვართაშენი მოდის ვარდთშენიდან. ს. ალათემური ძველ სახელწოდებად უთითებს "დიდბინას". მაშასადამე, დღეს არსებული დიდი და პატარა ალათემური არის კაკის "დიდბინა" და "პატარბინა".

ასევე საინტერესოა ხანა-განმარტებას იძლევა ისეთ ოკონომებზე, როგორებიცაა: კობნობი, ფიფინეთი, ჭარი, მუხახი, ვერხინი, ვერხვინი, ჭანდრი, ჩინარი-ჩინარლუ. სოფელი ვაშლოვანი დღევანდელი აღმალუა. ასევე: ლალაფაშა, ალიბეგლო, ემურჯანლოს სახელწოდებებს საინვილოში შემოჭრილ მტერთა სარდლების სახელებს უკავშირებს. ინგილოური ტომონიშის თვალსაზრისითაც ი. ადამიას ნიგნი გაუხუნარი განძია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

განუზომელია ის დიდი ღვანლი, რომელიც აკად. დ. მუსხელიშვილს პერეთის საკითხების მეცნიერულ შესწავლაში მიუძღვის. 1956 წელს გამოიცა მისი ფუნდამენტური ნაშრომი "ცხიე-ქალაქი უჯარმა"¹⁸. საქართველოს ერთ-ერთ უძველეს პოლიტიკურ ცენტრ უჯარმასთან ერთად ნარმოჩინებულია კახეთ-პერეთის ურთიერთობის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები. გამოთქმულია შეტად საყურადღებო მოსაზრებანი პერეთის სამთავროს (VIII ს.), არჩილ მეფის, ყუმისა და ლექართის, შაქისა და პერეთის იდენტურობის შესახებ.

ნაშრომის მე-40 და 41-ე გვერდების სქოლოში ავტორი ეხება კახი-კახელის ისტორიულ ეტიმოლოგიას. გამოთქმულია ტომონიშ "კაკ-ციხი\კახ-ის შესახებ ვარაუდი: "ნომ არ არის "კაკი" \კახის" ერთ-ერთი პერული დი-ალექტის ვარიაცია?" ამასთანავე იგი (დ. მუსხელიშვილი - ა.ა.) შენიშნავს: ამდენადვე საგულისხმოა, რომ "კახელი", როგორც "კახი-საგან" განსხვავებული, იმთავითვე "პერე-ბთან" რამდენადმე ასიმილირებული ეთნიკური ერთეულის ნარმომადგენელს ეწოდებოდა. სხვაგან ავტორი კასრის ეკლესიაზე (კახის-რნი) მსჯელობისას ავითარებს აზრს, კასრი კახის უძველესი სახელი უნდა იყოსო.

პერეთის ორი ისტორიული ტომონიშის "ენნი" \ "ენნი" და ბეხ\ბიხ-ის ლოკალიზირებისას უთითებს, რომ პირველის კანტონი უნდა იყოს საინგილოს მდ. კახების შენაკა-უ "ხენა-სუ", ხოლო მეორე კი ბუხივლუ-დალი, კავკასიის ქედზე ზაქათლის აღმოსავლეთით და ბუხი-დერე (ბუხის ხევი) კავკასიის მთავარ ქედთან ნუხის (შაქის) ჩრდილო-აღმოსავლეთით (გვ. 187-288).¹⁹

პერეთის მასალის მიმოხილვისას ზოგიერთი კორექტივები შეაქვს და მუსხელიშვილს ვახუშტისეულ კაკ-ელისენის აღწე-

რაში მიითვებულ ნუქეთის\ნაგეთის საეუკუნი რისთაოს ლოკალიზებისას (გვიმის წყალი, ქურმუხის წყლის ურთიერთშემდინარეობის შესახებ) და საბოლოოდ ასკვნის: "ვახუშტი-ნადელა ნუქეთი აქ გულისხმობს ტერიტორიას ქურმუხსა და გიშს შორის, ე.ი. იმავე ელიუსის სასულტნოს, ხოლო რადგან ამ უკანასკნელის დასავლეთის (ელისენთან) საზღვარი მდ. ყაფიჩაი იყო, რომლებიც ჩამოუვლის სოფლებს: ზარნა, მარსანი, ზაგამი ლალალოსთან ალაზანს მიერთვის, ამიტომ სავარაუდოა, რომ ძველი ნუქეთის დაბლობი ნაწილი მოთავსებული იყო დაახლოებით ყაფიჩაისა და კიშს შორის. ნუქეთისავე გულისხმობდა, როგორც ვიცით, მთიანეთი: სამურის სათავეები მიმდგომი მხარეებით" (გვ. 66-67). ნუქეთი, როგორც გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდების ადგილმდებარეობა, დღემდე უცნობია, ისტორიული წყაროების მონაცემების მიხედვით, დ. მუსხელიშვილი შენიშნავს: "VIII საუკუნის მიწურულისთვის პერეთის სამთავრომ დასავლეთი პროვინციები (შიგნი კახეთი, გაღმამხრის ჩრდილო-დასავლეთი) დაჰკარგა და ისინი კახეთს შეერწყა... პოლიტიკური ექსპანსია კახეთისა პერეთისაკენ ცნობილი ფაქტია, იგი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და მისი საბოლოო შედეგი იყო, რომ "პერეთი" ჯერ როგორც პოლიტიკური, ხოლო შემდეგ, როგორც გეოგრაფიული ცნებაც, სრულიად გაქრა" (გვ. 124-125)²⁰.

დ. მუსხელიშვილის მიერ პერეთის ტომონიშებზე გამოთქმული მეცნიერული შეხედულებანი იმდენად საყურადღებოა, რომ მას გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი მკვლევარი.

საინგილოს ტომონიშის შესწავლაში თავისი სიტყვა თქვა პროფ. ლ. ჭილაშვილმა 1980 წელს გამოცემულ ნიგნში "კახეთის ქალაქები" (XIV-XVIII სს.)²¹. ამ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში მრავალ ისტორიულ წყაროსა და სხვლე მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით განხილულია კახეთ-პერეთის ძველი ქალაქები: გრემი, ბაზარ-ზაგემი, კაკი, შუამთა, ბოეთანი და თოლა. შესწავლილია ამ ქალაქების ვაჭრობის განვითარება. დადგენილია როგორც შიდა, ისე საგარეო მიმოსვლის სავაჭრო გზები თავიანთი გასაჩერებელი პუნქტებით. ნიგნს ახლავს უნიკალური სახის ავტორის მიერ მოპოვებული ილუსტრაციები. ნაშრომმა გამოსვლისთანავე სპეციალისტთა შორის დიდი აღიარება მოიპოვა.

ტომონიშ ზოლაზარი\სესკი ბაზარი-ზაგემი, წარსული დიდების ნაშთის სახით რომ არის შემორჩენილი ადგილის სახელად დღევანდელ საინგილოში, მიგვანშნებს ერთ დროს აქ არსებულ სატახტო, სამეფო გვარის

ადგილსამყოფელზე. სწორედაც რომ ამ შესანიშნავი ქალაქის ისტორიულ წარსულზე, მის სავაჭრო ეკონომიკურ მნიშვნელობასა და სხვა საკითხებზეა საუბარი ლ. ჭილაშვილის ზემოთდასახელებულ ნაშრომში.

ქართულ წერილობით წყაროებში ეს ქალაქი "ბაზრის" სახელით მოიხსენიება. სპარსულ და თურქულ წყაროებშია "ზაგემი", ხოლო რუსი დიპლომატების ჩანაწერებში აღნიშნულია, - "ზაგემი" იგივე "ბაზარიო". ლ. ჭილაშვილი ვარაუდობს, რომ "ბაზარი" პირვანდელი სახელია, რომელსაც შემდეგ უცხოელები ზაგემს უწოდებენ" (გვ. 159). ამასთანავე ავტორის აზრით: "იგი ირანიზე-ბული ფორმაა ადგილობრივი ტერმინისა, რომელიც ქალაქის დაზღვრვის შემდეგ მის მახლობლად, მისგან აღმოსავლეთით 18 კმ. აღმოცენებულ სოფელს შეერქვა" (გვ. 159). ეტიმოლოგიურად ძაგემ\ძაგამი ლეგურ ენათა ჯგუფის სვირული "ძილამ" -იდან მომდინარეობს" (ივ. ჯავახიშვილი). დასაშვებად მიაჩნია, რაც მაყვლის ბუჩქს, მაყვლიანს ნიშნავს, თუმცა კი ეჭვს გამოთქვამს, რუსი ელჩების მიერ ტოპონიმ ზაგემის (Зарем) ქართული დაბოლოებით ფიქსირებას, რაც ჩვენს აზრით, ხელშეშობს არგუმენტად არ გამოდგება.

ნაქალაქარი ბაზრის ლოკალიზირებისას (რაც არც თუ ისე იოლია აქ აღმოცენებული ტოპონიმების: ყიმურ-ბაზარი, ბაზარი, ზაგემის გამო) ავტორი საგანგებოდ ჩერდება ამ ტერმინორიაზე არსებულ ბაზთალის ლეიკს-მშობლის ეკლესიაზე, რომლის სახელწოდებაც ქალაქის უბნის სახელიდან მომდინარედ მიაჩნია: "ბალ-სოფელი (ბალ-თალა) ე.ი. ლაზიზა და ნაყოფიერი ადგილი" (გვ. 166). აღდგენილი აქვს ქ. ზაგემის უბნები: ეკლესიის უბანი, რაბადი (გარეუბანი) და ბაზარი. იშველებს რა ცნობილი მოგზაურის ე. ჩელეების ცნობას: "მე მწირს ზაგემის ციხე არ მიჩანავს", მეცნიერი ვარაუდს გამოთქვამს ციხის არსებობაზე: "რომ ის ძლიერი ქალაქის შესაფერისი იქნებოდა" (გვ. 168).

პერეთის ეს უმშვენიერესი და ულამაზესი ქალაქი ბაზარ-ზეგემი, როგორც სამეფო ქალაქი და სავაჭრო ცენტრი, არა მარტო ქართველ მეფეებს, არამედ კახეთში ჩასულ რუს დიპლომატებსაც იზიდავდა. ისინი "გრემიდან ითხოვედნენ სავაჭროდ წასვლას" ზაგემს, სადაც "ბევრი ვაჭარი ხალხი" ყოფილა, და ეს იმ დროს, როდესაც თვით გრემიც დიდი ქალაქი იყო... ზარაფხანა - ეს სამეფოს ეკონომიკური და პოლიტიკური უფრედი სწორედ ზაგემში მდებარეობდა და არა გრემში" (გვ. 175). დღეს მიწისაგანაა აღდგენილი ერთ დროს დიდების შარავანდედით მოსილი პერეთის სამეფო გვარის სამყოფი.

ტოპონიმ "კაკი"-ის შესახებ ცნობები მოიხსენიება 1020 წელს კათალიკოზ მელქისედეკის სვეტიცხოვლისადმი შეწირული მამულების სიგელი, სადაც ვკითხულობთ: "... და ერთად-სავე კატეხისა ეკლესია, შესავლითა მისითა და კაკს ვაჭარნი ათორმეტი და ზიარი სოფელი დიდი". ადრეული მონაცემები ამ გეოგრაფიული პუნქტის შესახებ არ მოიპოვება. "კახი", ლ. ჭილაშვილის მიხედვით: "უნდა იყოს "კაკი"-ის სპარსულ-თურქმანული ენების ფონეტიკური ნორმების შესატყვისი სახეცვლილება. სპარსულში "კაკი" გადატანილი იქნა როგორც ქახ. აზერბაიჯანულში კი იქცა როგორც "გახ" (გვ. 184).

კაკის ირგვლივ არსებული ისტორიული წერილობითი წყაროების (წუქეთის საერისთაო) და იქ შემონახული ტოპონიმის "აზნაურ"-ის ანალიზისას კასრის საყდართან დაკავშირებით შემდეგ დასკვნამდე მიდის: "იქნებ არც იყოს შეცდომა, თუ კაკს კასრთან გაავიჯებთ და კასრის სახით კაკის მიორსახელებ წარმოვიდგინოთ, რომელიც მისი, როგორც ადმინისტრაციულ-სტრატეგიული მხარე, იქნა წინ წამოწეული (ციხე)" (გვ. 195). კასრ არაბულად ციხეს აღნიშნავს, რაც კომპლექსურ ნაგებობათა ერთიანობას მოიცავს, თუმცა ეს მნიშვნელობა კაკში ჯერჯერობით დადასტურებული არ არის. ყოველივე ამის გამო შეიძლება: "სახელი არაბული-საგან დამოუკიდებლად იყოს აღმოცენებული და ფონეტიკური მსგავსება მხოლოდ შემთხვევითი იყოს", - ასევე ის ავტორი (გვ. 195). ვფიქრობთ, რაც უნდა იყოს, ფონეტიკური ვარიაციების დამთხვევა ტოპონიმში - კაკი\კახი - დაკავშირებულია ქართული ეთნოსის "კახების" სახელწოდებასთან. კასრის სადღის მნიშვნელობა წუქეთის საერისთაოში არჩილ მეფის სახელთანაა დაკავშირებული VIII ს. მანამდე კაკი არსადაა მოხსენიებული. კასრის ეკლესია "საყარაულს" მთაზეა აგებული. შესაძლოა, იქ პატარა ციხეც ყოფილიყო აშენებული, რომელიც შემდგომ დაზღვეულა. ვფიქრობთ, ტოპონიმში კაკი კასრისაგან დამოუკიდებლად უნდა იყოს აღმოცენებული, როგორც ქართული ეთნოსის სახელწოდების აღმნიშვნელი, რომელიც დღემდე შემორჩა ამ კუთხეს. ამასთანავე ზოგიერთ ისტორიულ წერილობით წყაროებში კაკი\კახი გადმოცემულია როგორც "კახეთი".

ტოპონიმ "ელისენ"-ზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ იგი: "აღის სულტისი" დაარსების შემდეგ ჩნდება XVII საუკუნის დასაწყისიდან (ელისუს ძველი სახელია ქურმუხი) და მან, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკურმა ცენტრმა, დაარდნილია კაკი, თუმცა პროვინციის აღმნიშვნელად

გაორებული სახელი დამიკვიდრა (კაკ-ელი-სენი), ზოგჯერ ის მხოლოდ კაკის სახელით მოიხსენიებოდა" (გვ. 184) მეტად საგული-სხმო შენიშვნაა ელისუს წინარე სახელად ქურმუხის აღდგენა და ტომონიმ ელისენის აღმოცენების თარიღის დადგენა, თუ ის წერილობითი წყაროებით განმტკიცდება.

ნაშრომში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი კაკის მიდამოების ტომონიმთა ანალიზს. ავტორი მონღოლთა (XIII-XIV სს.) შემოსევებს უკავშირებს ერთი წყება სახელების გაჩენას, როგორებიცაა: ალიბეგლო, ქოთოქლო, ულუ-ქორფი, კახ-მულალი და სხვ. ასევე უცხოენოვანი ტომონიმების აღმოცენებაში დიდი როლი მიუძღვით ყაზილ-ბაშების შემოსევებსა და აქ "ალის-სულტნის" დაარსებას, რომელსაც მოჰყვა სახელების შეცვლა. ასე მაგალითად: ნაბლიანის ნაცვლად შებალუტი, ვაშლოვანისა - ალშალუ, სოსიკაანთ სოფელი იქცა - სოსკანად, ტყისთავი - მეშაბაშად.

ავტორი ეხება პიდრონიმ "ქურმუხში" "ხი" დაბოლოებისა და ოიკონიმ ლექართი (ლექითი)-ში "ლე" პრეფიქსის ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებს. სეზაურ-მეგრულ-ზანური ფენის არსებობაზე უთითებს ამ კუთხის ტომონიმებში: ო-ხუთი, ო-ქონი, ზა-ნა.

"ჩოჩხალუ"-ში "ლუ"-ს აზერბ. მანარმოებელს, ხოლო "ჩოჩხა"-ს გურულ ჩოჩხათს უკავშირებს. იქაურ წყვილში - "სად კულმუხეთში წასულა" - ავტორი კულმუხეთის ქვეშ ქურმუხს ვარაუდობს: "რომელთანაც რაღაცით დაკავშირებული ძაფი არსებობდა გურიამი და რომელიც დროთა განმავლობაში სიპორის აღმნიშვნელ ელემენტად იქცა" (გვ. 202). საყურადღებო დამთხვევებსა და პარალელებს ხედავს ინგილოურსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ტომონიმებში.

სახელწოდებამ - "წერეთელთ თახთ"-მა მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიქცია. გამოითქვა მოსაზრებაც იმერეთის წერეთელების საინგილოდან მომდინარეობის შესახებ. ლ. ჭილაშვილი იხსენიებს რა აკად. ივ. ჯავახიშვილის ცნობას VI-VIII სს. არაბების გამო აღმოსავლეთ საქართველოდან მოსახლეობის დასავლეთში გადასახლებას, შენიშნავს: "აქვს თუ არა კავშირი წერეთლებს იმერეთის და რაჭის წერეთლებთან, არ არის ცნობილი, ადგილობრივთა შორის გავრცელებული გამოცემით კი, წერეთლების გვარი აქედან უნდა იყოს გადასული დასავლეთ საქართველოში" (გვ. 202-203). საკითხი სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს და ამასთანავე ავტორი "წერეთელ თახთის" ადგილსამყოფად უთითებს კაკის აზნაურის ზემოთ შემორჩენილ ადგილს, მაშინ როცა სინამდვილეში აღნიშ-

ნული ტომონიმი ბელაქნის რაიონში გვხვდება. ამ ადგილს ასახელებენ დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები, ილია ადამია და გიორგი ჩანგაშვილი თავიანთ ნაშრომებში.

მცირე ქალაქების რიგში ვახუშტისა და ისტორიული წერილობითი წყაროების მონაცემების გათვალისწინებით ლოკალიზებული ისტორიული ტომონიმი "ბოეთანი". ადგილზე ჩანერილი სახელის, ბოსტან-ქალაქის, ამოსავალ ფუძედ დამახინჯებულ საშუალო სპარსულ "ვუსტანს" (საუფლისწულო) მიიჩნევს და ასკვნის: "სწორედ ეს უნდა იყოს ბოეთნის ადგილსამყოფელი და უფრო ძველი დასახლების მომცველიც" (გვ. 214). ბოსტან-ვუსტან-ქალაქის სახელწოდება მას შემდეგ შეცვლილია, როცა აქ: "სამეფო ქალაქი კვლავ სამეფო რეზიდენციად იქცა. აი-გო ეკლესია და სამეფო სასახლე. ამიერიდან ის უკვე ბოეთანია" (გვ. 216).

ბოეთანთან ახლოს მდ. კატეხის მიდამოებში აღწერილ "რუსთავას" და "ბელაქანზე" მსჯელობისას ავტორი "ბელაქნის" სახელწოდების გაჩენას XIII ს. მონღოლთა გამორჩენას მიაანერგ, ხოლო მის ეტიმოლოგიურ ახსნას ბიბლიური "ბალიაკანი" -დან მომდინარედ მიიჩნევს. საინტერესო დაკვირვება ჩანს, თუ გამოვრიცხავთ ტომონიმის გაჩენას მონღოლთა დაკავშირებით.

შესწავლილია თოლას (მაჭის ციხე) ისტორიული წარსული. გამოთქმულია ვარაუდი: თოლა-რეზიდენციის გვერდით თოლა-სოფლის არსებობის თაობაზე, რომელიც რეზიდენციის (ძველი მაჭის ციხის) მახლობლად ყოფილა განლაგებული ხეობაში (გვ. 231).

ნაშრომის V თავი ეძღვნება "ჭახეთის ქალაქების სავაჭრო მარშრუტების კვლევას. განხილულია გრემი-შემახის საქარავნო გზა, რომელიც საქართველოს აკავშირებდა სპარსეთთან. ყურადღებას იპყრობს ლ. ჭილაშვილის მიერ შაქი-ხალხალის მონაკვეთზე მოპოვებული ტომონიმიკური მასალა, რაც ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული. ასე მაგალითად: ს. პატნალ-პანტარი; ს. ბერიზი-ბერიძე, ს. კელდეკ-კლდე, ს. ვედი-ვეძისი, ტპ. კიალდეკ-კლდე, ს. ორბან-ორუბან, ს. ზაკანი-ზედაგზისი, ს. ჯალუთი-ჯალეთი, კაბალა-კაპალა, ს. მიჭიხი-მანეხი, ოთარნ ჩაი-ოთარან წყალი და სხვ.

ტომონიმ "მოსულს" ქართული ფლერადობისად მიიჩნევს, თუმცა ის არაბულ "ვა-სალ"-ს მეურთდა, რაც ქართულში "ბერთვისის" შესატყვისი იქნება. და რაც მთავარია სახელი ქართული დაბოლოებით არ არის მოცემული (მუსულ-ი. გვ. 246). თუ დავუშვებთ, მუსული იგივე მოსულია, მაშინ მის დაბოლოებას გადაწყვეტი მნიშვნელო-

ბა არ ვქნება, რადგანაც აღნიშნულ რეგიონში აზრებიდან განსხვავებული შეხედულებით ტოპონიმებს ზოლო მოკვეცილი აქვთ: **კახ, ენგან, ბელაქან, მოსულ...** ამასთანავე ეს უკანასკნელი რეგიონის ქართული სოფელია. კახეთის გაღმა მხარის ტოპონიმოკური მასალები წარმომავლობის მიხედვით ავტორის სხვადასხვა ჯგუფებად აქვს დაყოფილი.

წიგნში წარმოდგენილია შესწავლილი მასალის ირგვლივ სქემები და რუკები.

აკად. ლ. ჭიალაშვილის შემოაღნიშნული ნაშრომი ერთ-ერთი შესანიშნავი გამოკვლევაა, როგორც კახეთის ქალაქების, ასევე საინგვილის ტოპონიმის შესწავლის მხრივაც.

დიდაი პროფ. თ. პაპუაშვილის დამსახურება საქართველოს ამ განაპირა კუთხის ისტორიული საკითხების შესწავლაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნივნი "ქვერეთის ისტორიის საკითხები"²², გამოცემული 1970 წელს.

ავტორი აანალიზებს რა ტერმინ "ალბანეთ"-ის ირგვლივ არსებულ მეცნიერთა შეხედულებებს (მ. ზორენელი, პაკიანოვ-კუდისი, თ. ბაგრატიონი, ნ. შარი, კ. ტრევერი, ა. კრიმსკი, ვ. შინოსკი, ე. ერემიანი, ს. იუშკოვი, ზ. იამპოლსკი), იზიარებს ზ. იამპოლსკის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც: სახელწოდება "ალბანეთი" და "ალბანეთი" ამ ქვეყანას და მის მცხოვრებლებს უცხოელეებმა შეარქვეს, თვით ადგილობრივი მოსახლეობა კი თავის თავს "უტინებს" უწოდებდა (გვ. 10).

ალბანეთის საზღვრების დადგენა დღემდე სადაო საკითხთაგანია მეცნიერებაში ისტორიული პროვინციების განვითარებისა და მიხედვით იცვლებოდა შემოაღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები. ავტორი ეყრდნობა რა მრავალრიცხოვან მეცნიერთა გამოკვლევებს, ვითარებობას ალბანეთის სახელმწიფოს მისეულ ლოკალიზირებას.

ალბანეთის ოლქი **ბეხ\ლიხ**-ის ე. ერემიანის შეხედულებით მდებარეობს დღევანდელ ზაქათლის რაიონში, სადაც მ. კალანკატუელის მითითებით მდებარეობდა პუნქტი **ბახალათი**-ი. სომხური "ეპისტოლეტა ნიგინის" მიხედვით, იგი წარმოადგენდა საუბისკოპოსო ცენტრს. თ. პაპუაშვილს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს პროვინცია შეიძლება თანამედროვე **ბახთალო** იყო საქათლის რაიონში (გვ. 26).

ნუქეთის, როგორც ქვერეთის ერთ-ერთ პროვინციად შესჯელობისას მკვლევარი არ იზიარებს მ. ლორთქიფანიძისეულ შეხედულებას ნუქეთის თრუსოს ხეობაში ლოკალიზირების შესახებ. იმონებებს რა ვახუშტის

შრომიდან ამონაწერს: "ხოლო ვნლავროსა ანუ ფაიქომის დასავლით არს ქასრის ხეობა" ... ამ უკანასკნელზე დაყრდნობით შენიშნავს: "შუძლებელია დვალეთის ტერიტორიაზე მდებარე ქასრის ხეობა გაიგივებული იქნას ქასრთან, ხოლო აქედან გამომდინარე კი საფუძველს ვერ ვხედავთ ნუქეთის თრუსოს ხეობაში ლოკალიზებისათვის" (გვ. 47). აქვეა ნაჩვენები, თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი ნუქეთის საერისთაო-სამოურავის ტერიტორიაზე XVII საუკუნეში ახალ პოლიტიკურ ერთეულს - ელისოს სასულეთს.

ტერმინ "უტი"-ს თ. პაპუაშვილი მიიჩნევს ალბანეთის თავდაპირველ, ძველ, ადგილობრივ სახელწოდებად (გვ. 58). იგი უტის ოლქში მიუთითებს "გისი"-ს და "ხალხალის" მდებარეობას.

ეთნოლოგი "პერი", პირველად კლავდიუს პტოლემეოსის (II ს.) "გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" ნახსენები. ამ ტერმინის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. თ. პაპუაშვილი გამოთქვამს ვარაუდს: "ხომ არ უკავშირდება სატომო სახელს "პერი" უძველეს ქართულ ტერმინს ერს?" (გვ. 112), რაშიც ავტორი ეთნიკურის გარდა სოციალურ აზრსაც ხედავს. საყურადღებო შენიშვნებია გამოთქმული **ყუმი-ლექართის ტაძრების** - **ქასრის საყდრის**, "გრძელი კედლის" შესახებ

ქ. ნუხპატის (ნოპატა, ნოხპატა) ანალიზისას თ. პაპუაშვილი არ იზიარებს მეცნიერთა შეხედულებებს ნუხისა და შექის იგივე ობიექტზე (მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი). ის ჯუანშერისა და ვახუშტი ბატონიშვილის გათვალისწინებით მიდის იმ დასკვნამდე, რომ: "ნუხპატი არ მდებარეობდა ნუქეთის ტერიტორიაზე, არ არსებობს არავითარი საფუძველი ნუხპატისა და შექის ანიმდელი ნუხის ერთმანეთში გაიგივებისათვის, ისინი სრულიად სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტები არიან: მისადებია, ნუხპატის ვახუშტისეული ლოკალიზაცია: მ. ბელაქანის წყლის აუზში, მის შუადინებაზე, კავკასიონის ერთ-ერთ სამხრეთ კალთაზე" (გვ. 329). ნუხპატის ეტიმოლოგიას უკავშირებენ ხუნძური ენის "ნუხპატ"-ს, რაც "შუა გზას" ნიშნავს (ტ. გუდავა). მითითებულია "ნუხპატის" ადგილმდებარეობაც ზუნძხასა და ბელაქანს შორის, რომელზედაც "ბელაქნის გზა" გადიოდა. ვფიქრობთ, უფრო სარწმუნოა ნუხპატის ლოკალიზირება დღევანდელი შექის მიდამოებში. ნუქების განმეაღობაში დღევანდელ "შექი" იწოდებოდა "ნუხად". "ნუხპატი" მდებარეობით დაღესტანისა და საინგვილის შორისაა. მისი ეტიმოლოგიაც ქართულ ნიადაგზე უნდა აიხსნას, - ის ხომ არჩილ მეფის მიერაა ამე-

ნებული. ხოლო დაღესტანში გარდამავალ "ბელაქის გზას" რაც შეეხება, ის საბუთად ვერ გამოდგება, რადგან ასეთი გზები საინგოლო თითქმის ყველა რაიონში გვხვდება.

ყურადღების გარეშე არ არის დარჩენილი ტოპონიმი "შაქი", "შაკი". რომელშიც შემონახული უნდა იყოს ნაკვალავი სკვითური წარმოშობის ტომების, საკებისა, რომელნიც პერეთის ტერიტორიის აღნიშნულ ზონაში ძველი ნელთარიცხვის VII საუკუნის შუახანებში ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ... საკების ტომთან არის დაკავშირებული... "საკასენს" სახელწოდება და რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ნიშნავს "საკის" (საკის) დაახლებას (გვ. 336). ვრცელადაა საუბარი ტომონიმ "გიშ"-ის საემისკოპოსო კათედრაზე.

თ. შაპუაშვილის ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა პერეთის ისტორიის საკითხების შესასწავლად.

საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის - საინგოლოს ისტორიისა და მისი დიალექტის ირგვლივ დაწერილ ფასეულ ნაწერეთა შორის აღსანიშნავია: პ. იოსელიანის, ი. ელიაშვილის, ზ. გულისაშვილის, გ. ფარადაშვილის, ტ. ივანიჭკის, რაფიელ-ინგილო ივანიჭკის, გ. გამხარაშვილის, გ. ჩანგაშვილის და სხვათა შრომები.

ისტორიული პერეთისადმი დიდი ინტერესი იგრძნობა სხვა ერების წარმომადგენელთა შრომებშიც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ მიწაზე მოხვდნენ და რომელთაც გულთან ახლოს მიიტანეს მისი წარსული და სინამდვილე.

გაზეთ "კავკაზის" 1867 წლის № 92-ში დაიბეჭდა კ. ნიკიტინის პუბლიკაცია, რომელშიც ისტორიული წარსულის მიმოხილვის გარდა საუბარია აქაურ ტოპონიმებზე. მიმოხილავს რა ადგილებზე მცხოვრებთა ეროვნულ შემადგენლობას, შინაგან მლელვარებას ვერ ფარავს, თვალს უსწორებს სინამდვილეს და გაცილებული შენიშნავს, რომ ამ მცირე მიწის მონაკვეთზე როგორ მოიყარეს თავი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა: ლეკებმა, ინგოლებმა, ე.ი. ქართველებმა, მულალებმა, მონაგლებმა და ფლადაროლებმა - ეროვნებებმა, რომელთაც არც წარმოშობითა და არც სარწმუნოებით არაფერი აკავშირებდათ, მაგრამ საბოლოოდ დრო-ჟამმა ერთად შეჰყარა ისინი და გააერთიანა.

წერილის ავტორის ადგენს ელისენის საზღვრებს, მიუთითებს გეოგრაფიულ სახელოდებებს (მოსაბრუნე, ქარი, ფიფინეთი, პატარა ქარი, ბელაქანი, მაკაბელი, ნუხაპტი, ტრანის-ყალა, ლაკოეთი, თოლა ანუ შაქი). ვახუშტის მონაცემების მიხედვით, ლოკალიზებულია კახეთის მეფეთა სადგომი - მოსაბრუნე.

ნიკიტინი ქარსა და ფიფინეთზე საუბრობს სას აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს სახელი შეეცვალა - "აკალათი", მაგრამ სიღნაღის მაზრის ველიციხეში არსებული ამავე სახელწოდებისაგან გასარჩევად თავსართი "სა" "ზა"-თი შეეცვალათ - "ზაქათალა" (ხოლო აქაურ მუსულმანებისათვის "ზაკიანთალა"). იგი არ ეთანხმება იმ აზრს, თითქოს ზაქათალას სახელი "ზაქარიას თალადან" მომდინარებოდეს.

ნიკიტინს ლოკალიზებული აქვს უძველესი ქართული ტოპონიმები: მაკაბელი, ნოხპატო, ბეთანია, ტრაცი-ყალა.

ავტორი ჩამოთვლის რა ვახუშტისეულ ელისენში შეგნულ სოფლებს: ბეთანია, განუხი, შაბული, კატეხი, ქარი, პატარა ქარი, ფიფინეთი, ნილუბანი, ვარდიანი, თალა, ჩარდახი (ჩარდახლო), მუხრაკი (მუხახ), კოზორ, ჯიჩი, ბაზარი, ბელაქანი, მაკაბელი, მანეხი, მოსაბრუნე, დეფარი-ობა, აღნიშნავს, რომ შემოთდასახლებული სოფლები დღეისათვის არსებობენ, მაგრამ XIX ს. რუსეთის ხელშეწყობით მოხდა აქაური ქართველეთის დეგრადაცია, რის საფუძველზეც ისინი იძულებული გახდნენ თავიანთი საუკეთესო მიწები მეზობელ ლეკებისათვის დაეთმოთ, ამავე დროს, ქართული ეროვნული მეობის აღმნიშვნელი ტერმინი - ინგილოთი (ახალმოქცეულთი) შეცვლიდა და მდ. ალაზნის სანაპიროზე გადასახლებულიყვნენ.

მეორე და მესამე წერილებში ნიკიტინი მიმოხილავს ალიბეგლოს სამკურნალო წყალს - ყაიხათმას, სარალანის ტყეს.

მოჰყავს ინგილოური თქმულება ქურმუხის ეკლესიის ოქროს მამალზე. წერილებს მიწერილი აქვს ქ. ზაქათალა, 1867 წ. 11 ნომერი.

ე. ვეიდენბაუმი თავის ნიგნში "კავკასიის გზისმასწავლებელი"²², ამიერკავკასიის ხალხების მიმოხილვისას გამოჰყოფს ქართველ მუსულმან ინგილოებს, რომლებსაც ადგილობრივი თათრები ინგილოებს ეძახდნენ, "ბევრნი არ ეჭვიანობენ მათ ქართულ წარმომავლობაზე და თვლიან განსაკუთრებულ ხალხად, ამასთანავე მათი სახელწოდება ნიშნავს თათრულად თარგმნილს ახალმოქცეულს, რომელიც მიეცათ მას შემდეგ, რაც ისლამი მიიღეს". აღნიშნული ციტატა მრავალჯერ იქნა მოხმობილი აზერბაიჯანის მეცნიერების მიერ ინგილოების გენეზის კვლევასთან დაკავშირებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არასწორად იქნა ინტერპრეტირებული.

ზაქათლის ოლქში შემავალ სახელმძღვანელო პუნქტებად ასახელებს: ქარ-მუხახს, ბელაქანს, კახსა და ალიბადს, რომლებიც მდებარეობენ ბელაქანი - ბელაქანიჩიზე,

კახი - ქურმუხზე და ალიაბადი - ფადარჩა-ნიზე. ამ უკანასკნელში მდ. ფადარი პირველად არის ფიქსირებული.

ამავე ავტორის მეორე წიგნში - "მასალები კავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული ლექსიკონისა"²⁴ - მრავალ საინტერესო საკითხთან ერთად ყურადღება გამახვილებული ქურეთის ისტორიულ ტოპონიმებზე, კერძოდ თოლასა და ბოათანის ლოკალიზირებაზე. თოლას დღეს ლეკები "ფერი-ყალას" ეძახიან, ხოლო ბოათანი\ბუთიანი იგივე ბოეთანია, რომელიც მდ. ალაზნის ნაპირას, სოფელ ბელაქნის წყალთან ახლოს მდებარეობდა. ბოეთანის ნასოფლარზე დღევანდელმა ლეკებმა დაიდეს ბინა.

ი. პეტროშევისკის ნაშრომი - "ჭარ-ბელაქნის თავისუფალი საზოგადოება XIX ს. პირველ მესამედში"²⁵ - ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებო გამოკვლევას წარმოადგენს საინფორმაციო მასალაზე. მას გამოყენებული აქვს როგორც ქართული წერილობითი წყაროები, ასევე არაბულ-სპარსული მასალებიც. ამ უკანასკნელის მიხედვითაც, ეს ტერიტორია "ჭარ-თლაში" იწოდებოდა. პეტროშევისკი საინფორმაციო ასხვევებს 6 საზოგადოებრივ ჯგუფს, ესენია: 1) ჭარის საზოგადოება, რომელშიც ორი სახის სოფლები შედიოდა. პირველი - თავისუფალი საზოგადოების წარმომადგენელი: ჭარი, გოგამი, მანუხი, სუმაილო, კაპი-სდარა, კარავადჯლო, დარდოკაზი. საქმეჯლო სოფლები იყვნენ: ჩობანქოლო, ბაიმათლო, ქემურლო, ქურდამირი, ყარაბაღდური, ქათალფარაზი, ფადარი, კინდიგალა, აღმალო, ბაბათლო, ლალალო, გოგლარით, დიდი და პატარა ლაიჯი, ენჯიანი, ალიაბადი, მოსული, ზაგამი, ყარაგან, ეერხიანი, თასმალო, შოთავარი (ინგილოური).

2) ბელაქნის საზოგადოებაში: ბელაქანი, ცაბლუანი, რეკატალა, ჩანდრის ხევი.

3) კატეხის საზოგადოებაში: კატეხი, გუდახარ, კაიბულაბა, თონგურუჩი.

4) თალის: თალა, კარგეხი. საქმეჯლო სოფლები: მუგანლო, ფალდარლო, კაპანხჩი, ინგილო, გარდა ამისა, რამდენიმე ოჯახი სოფ. კოსურის.

5) მუხახის: ქვემო და ზემო მუხახი, საპუნჩი. საქმეჯლო: ბაზარი, ენჯიანი, კალი-სა და კოსურის ერთი ნაწილი. ამასთანავე მუხახელი სოფელი ჩარდახ (ჩარდახლო).

6) ჯინიხისა: ჯინიხი, კუთბოზა, ალასკირი, მულახი, მამრუხი, ჯინჯიმახი, ბაიჯინიხ. საქმეჯლონი: ჩუდულო, მარსანი (მარსალ), ლალა-პაშა (ინგილო), სუმალო, სოფ. მესლითის და კალალის ნაწილები. ზემოთდასახელებული ოკონომიკური პეტროშევისკის მიერ სხვებისგან განსხვავებით მითითებულია ქართული გეოგრაფიული სახელები: ცაბლუანი და ჩანდრის ხევი.

ქურეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ელისოს სასულთნოს ენებარ. ლინევიჩი ნაშრომში: "ყოფილი ელისოს სასულთნო"²⁶. აქ ავტორს აღწერილი აქვს ლექსთა ჩამოსახლება საინფორმაციო ტერიტორიაზე, რომელსაც თან მოჰყვა ადგილობრივი ქართველები გამოსულმანება და აქედან გამომდინარე მითთვის სახელწოდება ინგილოს (ახლადმოქცეული) მიკუთვნება.

1562 წლის შაჰ-თამაზ I-ის მიერ გაცემული სიგელის მიხედვით, ნახურელი ადი-კურკულ ბეგის კუთვნილებად იყო აღიარებული კახის პროვინციები: ბაბალო, შოთავარი და ყორაღანი. ამავე მფლობელმა 30 წლის შემდეგ თურქეთის სულთნისაგან მიიღო სიგელი, რომლითაც მას უმტკიცდება კიდევ ორი ქართული სოფელი - კახი და მუშაბაში.

ალი-სულთან ნახურელს თურქეთის ოსმან-ხან II-ის ფირმანი (1609 წ.) ნებას აძლევდა, ებატონა საინფორმაციო შემდეგ სოფლებზე: კახი, მუშაბაში, ზარნა, ლაკითი, ყუმი და ალაგუზ (ალბათ, ალიბეგლო).

ოიკონიმი კაკი\კახი ადრეული სახელი ხალხური გადმოცემის მიხედვით, თორღვა ყოფილა. თორღვა ერქვა კაცს, რომელიც ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნია საინფორმაციო მტრებს. მას შემდეგ სოფლისთვის დაურქმევიათ კახი.

აქ მიმდინარე რთულმა პროცესებმა განაპირობეს კახის ნახურთან მიერთება, რასაც თან მოჰყვა ლეკების კახში ჩამოსახლება და გამოსულმანება. ადგილობრივ ქრისტიან მოსახლეობასა და ჩამოსახლებულთა შორის უთანხმოების ნიადაგზე კახი გაიყო ორ ნაწილად კახ-ინგილო და კახ-მულაღი. ასევე ხალხურ ეტიმოლოგიაზე აქვს აგებული მსჯელობა ოიკონიმებზე: მუშაბაში, ონჯანლო, ბაბალო, ყორაღანი, შოთავარი, აღმალო, სუსკენტი, ფისტალო, დიდი და პატარა ქითოქლო, უზუნ-თალა, ყარა-თალა, ყიფჩახ, ჯაღაღარი, დეგმა-დეგდი, შიხლიარი. წერილის დასასრულს ე. ლინევიჩი მიმოიხილავს ელისოს სასულთნოში შემავალ სოფლების ეკონომიკური ცხოვრების პრობლემას.

გარკვეული ინგილოური ტოპონიმების ანალიზს ხვდებით კ. განის ნაშრომში - "კავკასიურ გეოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტების ცდა"²⁷. სხვა ტოპონიმებთან ერთად დასახელებული და განმარტებული აქვს: აჯი-ნოური, რაც, მისი აზრით, მოდის თათრული აჯი-მნარე და ნოური-ჭაობი ე.ა. მნარე ჭაობი: აირი-ჩაი, თათრ. აირი- მრუდე და ჩაი - მდინარე-მრუდე მდინარე, ამაზდარა, თათრ. ამაზ-აბანი დარა - ხეობა - აბანოს ხეობა. ანწუხ - შეიძლება ანდიის ანცე - თოვლი - თოვლიანი სოფელი, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან ძალიან

ქართული

მაღლა. არფა-ჩაი, თათრ. არფა - ქერი, ჩაი - მდინარე. ე.ი. "ქერიანი მდინარე", ბაბარათმა - არაბი წინამძღოლის საკუთარი სახელია და აქედან მოდის ეს სახელწოდება, ბელოქანი//ბელაქანი, ბელა - დათვი და ყანა - "დათვის ყანა"; ქანდარი - დღევანდელი ჩინარი; ქარი - დღევ. ქართულში - ჯარი; ელი-სუ თათრ. ილი - თბილი, სუ - წყალი - "თბილი წყალი"; ევნილო - თათრ. ენგი - ახალი და-ლო (სიტყვიდან ქმნა) ე.ი. ისლამის სარწმუნოება მიღებული ქართველობა ზაქათლის ოლქში. ენისელი - ქართულია. სოფლის სახელი მომდინარეობს რომელიმე ენისიდან, რომელმაც დაუდო სათავე. ენისეის მნიშვნელობა უცნობია. ქურმუხ-ჩაი თათრ. ქურ - განრისხებული და ჩაი - მდინარე - განრისხებული, ბევრი სიყვითლე მომტანი მდინარე. ნუხ//სექი - ავარ. ნუხ - ვხა. საინგილო - ქართუ, სადაც ცხოვრობენ ინგილოები. ჩარდახლო - თათრ. ჩარდახ - მაღალი სოფელი, მდებარეობს მაღლობზე.

ქ. განის ზემოთ მონოდებული ეტიმოლოგიური დაკვირვებანი რიც შემთხვევებში ხალხურ ეტიმოლოგიას ემყარება, მაგრამ ზოგიერთი მისიუელი ახსნა დღესაც საყურადღებოა.

ძალზე საყურადღებო ცნობებია ნარმოდგენილი საინგილოს შესახებ პოსერბსკის²⁸, ფონ-პლატოსა²⁹ და სხვათა ნაწერებში.

მისასაღმებელია აგრეთვე ის დიდი ღვაწლი, რომელიც ქართული ენის ინგილოური დიალექტის შესწავლაში მიუძღვით ქართველ მეცნიერებს: ვ. თოფურიას, ა. შანიძეს, შ. ძიძიგურს, დ. გენაძეს, გრ. იმნაიშვილს, როგნედა ლამბაშიძეს, ე. ჯანგიძეს, ნ. როსტიაშვილს, გ. გამბარაშვილს, გ. ჩანგაშვილს და სხვ.

ინგილოური ტოპონიმის ერთადერთ სისტემური ხასიათის კვლევა-ძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ტოპონიმის ლაბორატორია პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის ხელმძღვანელობით. მანვე შემუშავა ინგილოური ტოპონიმის შესწავლის ვრცელი პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ფ. ერთელიშვილის უდროოდ გარდაცვალებამ შეუშალა ხელი. ფარნაოზის შემდეგ ლაბორატორიას სათავეში ჩაუდგა აკად. შ. ძიძიგური, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მრავალი სასიკეთო ნაშრომები და, მათ შორის, საქართველოს ტოპონიმის შეგროვებისა და გამოცემა საშვილიშვილო საქმიანობა. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოხერხდა ჩვენი ქვეყნის ძვირფასი ეროვნული საგანძურის აღწერა და ერთად თავმოყრა ტოპონიმის ლაბორატორიის საცავში. ამ მასალათა შორის არის საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული გეოგრაფიული სახელწოდებები - საინგილო, ფერეიდანი...

სასიხარულო წინსვლებთან ერთდ მრავალი სიძნელის დაძლევა უზღებოდა ინგილოური ტოპონიმის აღწერას. ადგილობრივი ხელმძღვანელების მკაცრ კონტროლქვეშ მყოფი აქაური ქართველი მოსახლეობა თითქმის მოწყვეტილი იყო ქართულ გარემოს. მეცნიერებისათვის ეს ტერიტორია დიდი ხნის განმავლობაში შეუღწევად ზონას შეადგენდა და ეს იმ დროს ზღებოდა, როცა ჩვენს ქვეყანაში "მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის სრული პარშონია სუფევდა". ამ შირმის მიღმა კი ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელი მეკვლევარები აქტიურად ენეროდნენ ინგილოური ტოპონიმის ფალსიფიცირებას. ზედოზედ ინერგოდა და იბეჭდებოდა სიცრუით აღსავსე ნაშრომები, რომელთა მთავარი მიზანი იყო, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ხელეყოთ იქაური ქართული სახელები. მაგალითისათვის საკმარისია თუნდაც დავასახელოთ ს. მოლაზაძეს, გ. ახმედოვას, გეიბულაევის, ე. ნურიევის, ბანდალევის და სხვათა ნაწერები, რომელთა გამოშვებებამაც ძალზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ ინტელიგენციაში. თავის დროზე მათ საკადრისი პასუხიც გაეცა, მაგრამ, მაგ. სხაბაძის, რომ ისინი რესპუბლიკის პრესის ფარგლებს არ გასცდა.

საინგილოში არსებული ობიექტური თუ სუბიექტური სიძნელებების მიუხედავად ამ კუთხის ტოპონიმის კვლევის პროცესი არ შეწყვეტულა და იგი დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

მიმდინარე გარდაქმნებმა ბევრი რამ გამოაშკარავა და მივიწყებული ნამოტივებიც დაძლევის პროცესშია ზოგიერთი მტკივნეული პრობლემის ნარმოქონებაც.

შეზოხებლ რესპუბლიკათა შორის უმაღლეს დონეზე წყდება ერთაშორისი საკითხების მოწესრიგება. ამ მხრივ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებები მისასაღმებელი და ანგარიშგასანევიან. დემოკრატიის პირობებში ყველა ხალხი ცდილობს მრავალი წლის განმავლობაში ტაბუდადებული თემატიკისთვის არტახებში შეხსნას. ვფიქრობთ, რომ მიღებულ დადგენილებაში ერთობლივ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ კვლევა-ძიებასთან ერთად საჭიროა ყურადღების გამახვილება ინგილოურ ტოპონიმიაზეც. ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები რომ დიდ გასაჭირშია და დროულ მოვლა-პატრონობას საჭიროებს, ეს რატომღაც ავიწყდება ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს. იქნებ თავისი მრავალფეროვნებით გამორჩეული ინგილოური ტოპონიმია ზოგიერთს თვალს ქრის, ქართულ სახელებს ვეღარ არჩევს და საინგილოს საზღვარგარეთად მიიჩნევს. ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი სიბუციისგან

და მით უმეტეს ამ პერიოდში. შესაძლოა, უფრო მეტს ვხედავთ და საქმეს კი ვერ ვშველით; გვავიწყდება, არაარსებითისაგან არსებითის გამოყოფა; გვავიწყდება ის, რომ პერეთის მინაზე მცხოვრები ქართველების მეობის შესაბამისად ენასთან, ტრადიციასთან, მატერიალურ-კულტურულ ძეგლებთან ერთად იქაურ ტოპონიმისაც შენახვა სჭირდება. ყურადღების მძიმე მოდუნებაც კი საკმარისი იქნება საინგოსოდ, რომ ვე-

ღარ ვიხილოთ აქაურ მინაზე შემონახული მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელები. არადა, ყველასთვის ნათელია, როგორი დიდი მონდომება და სიყვარული ჩაცხოვრილი ინგვილოური ტოპონიმების ანალიზისას.

ინგვილოური ტოპონიმის მოვლა-პატრონობა ეროვნული მნიშვნელობის საქმეა და იგი ყოველი ჩვენგანის მამულშვილურ ვალს წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. ყაუხჩიშვილი თ., სტრამონის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957 წ.
2. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფ., 1941 წ.
3. ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, ნიგნში "ტოპონიმიკა", ტ. II, 1980 წ.
4. Хачапетов А. Материалы по Археологии Кавказа, вып. VIII, М. 1898 წ.
5. ძიძიგური მ., შ. ჯანაშვილი, როგორც ქართული ენის მკვლევარი, ნიგნში: "მ. ჯანაშვილი", თბ., 1956 წ.
6. ჯანაშვილი მ. საინგლო: ნიგნში - "ძველი საქართველო", ტ. II, ტფ. 1913 წ.
7. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნ. 2, ტფ., 1934 წ.
8. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ნ. 1, თბ., 1960 წ.
9. ბერძენიშვილი ნ. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან მოკლე პოლიტიკური ცნობა "მიომომხილველი", ტ. III, თბ., 1953 წ.
10. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. 3, თბ. 1975 წ.
11. კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945 წ.
12. ინგოროყვა პ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, კონსტანტ. 1918 წ.
13. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, ნან. 1, თბ., 1954 წ.
14. ედილი ზ. საინგლო, თბ., 1947 წ.
15. დუმბაძე მ. აღმოსავლეთ კახეთის (საინგლოს) წარსულიდან, თბ., 1953 წ.
16. ჩხენკელი ალ. ოქროს საბლით მოზომილი, თბ., 1957 წ.
17. ადამია ი. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (საინგლო), თბ., 1979 წ.
18. მუსხელიშვილი დ. ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966 წ.
19. მუსხელიშვილი დ. საქ. ისტორ. გეოგრაფიის ძირითადი საქ. I, თბ., 1977 წ.
20. მუსხელიშვილი დ. საქ. ისტორ. გეოგრაფიის ძირითადი საქ. II, თბ., 1980 წ.
21. შილაშვილი ლ., კახეთის ქალაქები XIV-XVII სს თბ. 1980 წ.
22. პაპუაშვილი თ. პერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970 წ.
23. Вейденбаум Е. Путеводитель по Кавказу, Тиф. 1898 г.
24. Вейденбаум Е. Материалы для историко-географич. словаря Кавказа, Тиф. 1894 г.
25. Петрушевски И. Джаро-Белаканский волные общества в пер. тр. XIX столетия, Тиф. 1934 г.
26. Ливневич И. Бывшее Елисуевское Султанство. Сбор. свед. о Кавк. горах, вып. VII, Тиф. 1873 г.
27. Гин К. Опыт объяснения Кавказских географических названий, Сбор. мат. для описания мест и пл. Кавказа, вып. 40 Тиф. 1909 г.
28. Посербски, Очерки Засаталском округе. Кавказ. Календарь. 1866 г.
29. Фои-Плато, Природа и люди Засаталского округа. Сбор. свед. о Кавк. горах. вып. IV, Тиф. 1870 г.

მანანა ხომერიკი

"აკტი გონიურის" ავტორის მასონობასთან მიმართვის საკითხისათვის

1832 წლის შეთქმულების მონაწილენი ერიდებოდნენ წერილობითი საბუთების შექმნას. გამოძიებას მხოლოდ საიდუმლო საზოგადოების წესდება "აკტი გონიური"^{*} ჩაუვარდა ხელში. შეთქმულთა მიერ შემუშავებული საქართველოს მმართველობის პროექტისა და აჯანყების გეგმის - ე.წ. "პირველი ღამის განკარგულების" არსებობა კი ჩვენებებიდან გამოამკვრივდა. საგამომძიებლო კომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შეთქმულების მონაწილე ბერის, ფილადელფოს კიკნაძის მიერ შედგენილ "აკტი გონიურს". ამ დოკუმენტის განხილვისას, მკვლევარები ძირითადად გ. გოზალიშვილის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ეყრდნობოდნენ. არსებობდა ორი ვერსია: 1. აქტი ფ. კიკნაძემ დამოუკიდებლად შეთხზა. 2. ფ. კიკნაძემ "აკტი გონიური" შეადგინა ორი აქტის გაერთიანებისა და გადამშავების საფუძველზე, რომელთაგან ერთი კათალიკოს ანტონ პირველს კათოლიკე პატრიარქს პქონდა მიღებული, მეორე კი დავით ბატონიშვილის შედგენილი იყო.

არქივში მივაკვლიეთ ერთ გამოქვეყნებულ ჩვენებას, რომელმაც საშუალება მოგვცა შევსაშვე ვერსია ნაშრომებისა: ფ. კიკნაძემ ისარგებლა ოქროპირ ბატონიშვილის მიერ მიწოდებული საიდუმლო საზოგადოების წესდებითა და ამავე ბატონიშვილის მიერ შედგენილი აქტით, რომელიც საქართველოს განთავისუფლებასა და მცფობის აღდგენას ისახავდა მიზნად (ჩვენება გამოვაქვეყნეთ 1997 წელს)¹.

ჩვენი აზრით, ფ. კიკნაძემ, მართალია, კომპლიკატური თხზულება შექმნა, მაგრამ მისი ღვაწლი ძალიან დიდია. მან ოქროპირ ბატონიშვილის იდეების პრაქტიკული განხორციელება და "აკტი გონიურის" გავრცელება იტივრთა. აქტის ტექსტარტი მიზანი მას პირადად უნდა გაემყუდებინა შეთქმულთათვის, როდესაც მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდებოდა, მაგრამ შეიძლება

ითქვას, რომ თავისი უახლოესი თანამოაზრეები მან თავიდანვე ყველაფერს მიახვედრა და შეთქმულებაში აქტიურად ჩაება. ამ შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგი თავად იყო.

"აკტი გონიურს" მჭიდროდ უკავშირდება ფ. კიკნაძის მასონობასთან ურთიერთმიმართების საკითხი.

კომისიამ ფ. კიკნაძის შედგენილი "აკტი გონიურის" შესახებ დაასკვნა, რომ "ეს მისტიკური ნაწარმოები გადმოცემულია მასონური ან სხვა საიდუმლო საზოგადოების წესდებიდან და ამკარად მომდინარეობს უფრო განათლებული წყაროდან, ვიდრე ფილადელფი და მეორე ბერი პორფირი იყვნენ"². ამავე აზრს იხიარებს 1832 წლის შეთქმულების კომპეტენტური მკვლევარი გ. გოზალიშვილი, რომელიც წერს, რომ აქტში გამოყენებულია ე.წ. "მასონური ლოგები" და ლიბერალურ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ანალოგიური წესდებანი³. ხოლო თავის წერილში "1832 წლის შეთქმულების შეფასების საკითხისათვის" მკვლევარი განმარტავს, რომ 1789 წლის რევოლუციის გამოძახილი ევროპის სახელმწიფოებში ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ლიბერალურად განწყობილ საზოგადოებაში ჯერ აღმოცენდა ე.წ. მასონური ლოგები, რომელთა მიზანიც იყო ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება და ამ გზით რეფორმების აუცილებლობის შეგნების განმტკიცება. მერე შეიქმნა სრულიად საიდუმლო, ამკარად პოლიტიკური იერის საზოგადოებანი, რუსეთში ამგვარი საზოგადოება იყო "союз спасения", რომელსაც 1817 წლიდან ეწოდება "союз благоденствия". იგი ორი ფრთისაგან შედგებოდა. ერთი იყო "северное общество", რომლის ცენტრი პეტერბურგში იმყოფებოდა და რომელსაც შემდეგში კონდრატი რილევი მეთაურობდა.

* სცხსა, ფონდი 1457, ანან. 1, რეველი XI, ფ. 178. "აკტი გონიური" სამჯერ გამოქვეყნდა: 1. გ. გოზალიშვილი, "1832 წლის შეთქმულების მასალებიდან", კრებული: საქართველოს არქივი, ნ. II, თბილისი, 1927. გვ. 3-5. 2. გ. გოზალიშვილი, "1832 წლის შეთქმულება", ტ. I, თბილისი, 1935, გვ. 111-116. 3. ფილადელფოს კიკნაძე, "სიყვარული მამულისა", თბილისი, 1996, გვ. 36-42

საქართველოში
დასრულებულია

მეორე იყო „общее общество“, რომელიც უკრაინაში მოქმედებდა და რომელსაც პესტელი მესვეურობდა.⁶

გ. გოზალიშვილის აზრით, „1825 წლის 14 დეკემბრის აშბავს საქართველოში 1832 წლის შეთქმულება ეპარალელურად. რა ნიადაგზედაც დეკაბრისტების მოძრაობა წარმოიშვა და რა ფორმითაც იგი იქ მიემართებოდა, იმავე ნიადაგზე 1832 წლის შეთქმულებას ალმოცენებული და აქაც მისი მსგავსი გზით მიმდინარეობდა და თითქმის შედეგებიც იყო, უკეთ უშედეგობაც კი, ანალოგიური იყო. მოძრაობა აქაც და იქაც მარცხით დამთავრდა“⁷.

გ. გოზალიშვილი ხაზს უსვამს, რომ როგორც რუსულ, ისე ქართულ საიდუმლო საზოგადოებათა მუშაობის მეთოდების განხილვის დროს მთავარი მნიშვნელობა ენიჭება იმ ე.წ. ნებსებებს, რომლებიც საიდუმლო საზოგადოების განაწესს წარმოადგენს. ასეთები ვადარჩენილია, როგორც „Совое устройство“ -სი, ისე 1832 წლის შეთქმულებისა „აკტი გონიურის“ სახელწოდებით.

შემდეგ მკვლევარი ადარებს ამ ორ ნებსებს და სრულ ანალოგიას ხედავს მათ შორის: ორივე მათგანი ერთსა და იმავე პრინციპზეა დამყარებული, ერთნაირად არის აღიარებული საზოგადოების წევრად ცნობილი და ღირსეული ადამიანების გამოჩენვით მიღება, რომლებიც ფიცის ხელწერილს დებენ. საზოგადოების წევრნი ვალდებულნი არიან მოყვასისადმი სამსახურისა... არ გააცენ საიდუმლოება და სხვა. გ. გოზალიშვილის თქმით, ამ მხრივ „აკტი გონიურის“ უფრო მეტი დამუშავება ეტყობა.⁸ ჩვენი აზრით, დეკაბრისტებისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მიზნების გაიგივება არ შეიძლება. სავსებით მართალია თ. ჯოლოღუა, როდესაც აცხადებს, რომ დეკაბრისტები ეროვნულ საკითხში საქართველოს ისტორიაში სამრახისად ცნობილი იანოვსკების, კატკოვებისა თუ პობედონოსოვების იდეურ წინაპრებად წარმოგვიადგებიან.⁹

არ ჩამოვთვლით იმ მკვლევარებს, რომლებიც 1832 წლის შეთქმულების დეკაბრისტების გაელენას უკავშირებენ. მიხილ პოლიევკოვი გამოთქვამს შემდეგ საყურადღებო მოსაზრებას: „მასონობა, კარბონარიზმი, პუშკინის „книжка“, მიცკევიჩის პოეზია და 1830 წლის პოლონეთის რევოლუციის მეთოდები, ყველა ეს, რასაკვირველია, მეტად დაყრუბული და დასუსტებული ტონებით. აი, რა ავრდებდა უპირველეს ყოვლისა ადამიანს, როდესაც მთელი თვისია სიფართოთ იშლება მის წინაშე 1832 წლის ქართული შეთქმულების სურათი“¹⁰. გ. ხაჭაპურიძის აზრით, აქტს „რომელიც არ შეიცავს სახე-

ლმნიფოს მონყოების კანონებს და არ შეესაბამება არავითარ პოლიტიკურ პროგრამას, შეეძლო თავადაზნაურთა საიდუმლო საზოგადოებისათვის მხოლოდ ნებსების როლი შეესრულებინა. „გონიურ აქტში“ დიდი ყურადღება ექცეოდა წევრთა შეგროვებას; ამა-სთან, საიდუმლო საზოგადოების ახლად მისაღებ პირს უნდა გაეცლო ხანგრძლივი საგამოცდო ვადა. მასონური ლოგების მსგავსად ახალი წევრის მიღებას თან ახლდა ერთგვარი ცერემონია და რიტუალი“¹¹.

როგორც ვხედავთ, კვლავ მასონობაზეა ლაპარაკი. ფილადელფოსი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში ამბობს: „სახელი არც ახლა ვიცი, რას ნიშნავს აქტი“¹². ფილადელფოსი ირწმუნებოდა „აღკრძალულება უქაზისაგები არ ვიცოდით“¹³. რომელ ბრძანებას გული-სხმობს იგი? 1822 წლის 1 მარტს იმპერატორმა ალექსანდრე I ხელი მოაწერა ბრძანებას შინაგან საქმეთა მინისტრ, გრაფ ე.პ. კორუბეის სახელზე, რომელშიც ნაბრძანები იყო რუსეთში ყველა საიდუმლო საზოგადოების დახურვა. მათ შორის, პირველ რიგში, დასახელებული იყო მასონური ლოგები, რადგან იმპერატორის ყურამდებ მივიდა ცნობები, რომ მასონურ ლოგებში შეთქმულება მზადდებოდა.

ცნობილია, რომ ბევრი მომავალი დეკაბრისტიც რუსეთის ახლებური მოწყობის გეგმებზე მსჯელობას სწორედ მასონურ ლოგებში იწყებდა. მასონობა არალეგალურად 1822 წლის შემდგომ პერიოდშიც განაგრძობდა არსებობას. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ახალმა იმპერატორმა ნიკოლოზ I 1825 წლის 14 დეკემბრის შეთქმულების ჩახშობისა და ტახტზე ასვლის შემდეგ, 1826 წელს მასონური ლოგები კვლავ აკრძალა. ფილადელფოსი იმ დროს რუსეთში იმყოფებოდა: „1826 წლის იანვარს მუუიკებრ მალალ ყოვლად სამღვდლო შიტროპოლიტისა იონასი, დღისით ვიდოდიო, ღამით სადაც დადგებოდნენ, ვინეკ ურეშში, ვინ გამომიცხადებდა გზაზე. როდესაც მიველ კათალიკოსთან, მომცეს ერთი მცირე კვლია. ვიჯექ მინ უცნობი ყოველთა კაცთა. შემდგომ ვიყავ სხვადასხვა უბედურებაში, შემდგომ წამოველ საქართველოში. გზაზე კიდე ვინ გამომიცხადებდა. მოველ აქ, არსად არავის არ უთქომს მხოლოდ, რომ მოგეკარ ყური აქ საქართველოში რომ ხელი მოგვანერინესო, მასონი ნულარ იქნებითო. მასონობისა სრულებით არა მქონია ვაკონება და არც ვიცი, რას ნიშნავს მასონი. ამისთვის არც ყური მიმიგდია, ეს უქაზი არც სადმე გამომიცხადებია, არც სადმე წამიკითხავს, არ შემთხვევია ამისი შეტყობა“¹².

ჩვენი მხრივ განვმარტავთ, რომ თუ სამონასტრო წესდებას "ტიპიკონი" ეწოდებოდა, "აკტი" იმ ხანად მასონური წესდებების სახელწოდება იყო. ისმის კითხვა, გულწრფელი იყო თუ არა ფილადელფოსი, როდესაც ამტკიცებდა, რომ მასონობის შესახებ არაფერი სმენოდა?

ცნობილია, რომ 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, საქართველოში ბევრი დეკაბრისტი გადმოასახლეს, რომლებიც მასონები იყვნენ. 1830 წლის დასაწყისში თბილისში არსებობდა დეკაბრისტთა საიდუმლო წრე. ასეთივე წრე ჩამოყალიბდა ქუთაისში, რომელსაც მასონი მუსხიშინი ხელმძღვანელობდა. ეს საკითხი შესწავლილია და დამტკიცებულია, რომ ამ წრეებში ქართველები მონაწილეობას არ იღებდნენ.

ისიც ცნობილია, რომ რუსეთში ზოგიერთი ქართველი მასონობას ეზიარა. ბ. სოხვაძე წერს: "XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდობის მომწინავე ნაწილი გაერთიანებული იყო მასონთა სხვადასხვა ლოჯებში. მათ რიცხვს მიეკუთვნება მ. ბარათაშვილი, პიროჩიკი გედევანიშვილი (გედევონოვი), თავადი ს. ბაგრატიონი (გრუზინსკი), ი. ჭილაშვილი, თავადი მ. ბებუთოვი და სხვ."¹² ჩამოთვლილ პირებთან ფილადელფოსს არავითარი კავშირი არ აქონია. ვფიქრობთ, ერთადერთი ადამიანი, ვისგანაც ფ. კიკნაძეს მასონობის შესახებ შეეძლო ზოგი რამ შეეტყო - ოქროპირ ბატონიშვილი იყო. ოქროპირის შესახებ მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის დასკვნაში ნათქვამია, რომ ის "საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობს რუსულად და ფრანგულად, კითხულობს მისტიკურ ნიგენტს, მისი საუბრიდან გარკვევით ჩანს, რომ ძალიან განიცდის სამეფოს დაკარგვას და გაჭირვებით ურიგდება აზრს, რომ იგი აღარასოდეს არ იქნება მეფე. ოქროპირი ძალზე აძაგებს საქართველოში რუსებისაგან შეტანილ მმართველობის სისტემას"¹⁴.

ჩვენთვის მეთად ღირებულია ის ცნობა, რომ ოქროპირი გატაცებული ყოფილა მისტიკური ნიგენტის კითხვით. იმ პერიოდში კი მისტიციზმი განუყოფელი იყო მასონობისაგან. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ოქროპირი ჩაბმული იყო მასონურ ლოჯებში, მაგრამ ნათელი ხდება, რომ კარგად იცნობდა მასონურ ლიტერატურას. მასონობა, როგორც სისტემა, ორი გზით ვრცელდებოდა: ლოჯების მეშვეობით, ე.ი. უშუალო ხელდასხმით და ლიტერატურული პროპაგანდის მეშვეობით, რომლითაც უფრო მეტი ადამიანი ეზიარებოდა მასონურ ცნებებს. რუსეთში მიმოქცევაში იყო ნოვიკოვის მი-

ერ გამოცემული მასონური ლიტერატურა, რომლის მისტიკური იდეების გამოძახილი აღექვანდრე მფეფობის მთელ პერიოდში გაისმის¹⁵.

როგორც ჩანს, ოქროპირი კარგად იცნობდა ამ ლიტერატურას, ხოლო მისი მისტიკური ნიგენტით ფილადელფოსიც დაინტერესებულა, რაზეც არაერთი ფაქტი მეტყველებს. 1833 წელს საგამომძიებლო კომისია მის ქალაქლებში შენიშნავს ორ სახელს: თამარ, ტრიფონ. ყოველი ასოს ქვეშ მიწერილია ესა თუ ის რიცხვი, რის თაობაზეც ფილადელფოსი შემდეგ განმარტებას იძლევა: "თამარ ტრიფონ ციფრით, ეს არის ერთი ნიგენტი ვნახე რუსული. ენერა, უკეთუ ვისმე უნდა შეიტყოს, რომელი პლანეტაზე არის დაბადებული, უნდა დანეროს სახელი დედისა და თვისი, თითოეული ასო უნდა დანიშნოს იქ ჩვენებულის ციფრით, შემდგომ შეაერთოს სულ ვამი, რამიდან გამორიცხოს 28, სულ ბოლოს რაც რიცხვი დარჩება, თვითული სხვაობა რიცხვისა აღნიშნავს თითო პლანეტათა, და ის მიცდია, იქ არის დიაკონი ტრიფონ, ვკითხე დედას, რა ქვია, თამარ ქვია-ნო და ესრეთ გამოვცადე"¹⁶, კომისიის დაინტერესება ალბათ იმან განაპირობა, რომ აღნიშნული სახელები და ციფრები მიწერილია ფილადელფოსის სწორედ იმ "საექვო" ლექსის ქვეშ, რომელშიც ნათქვამია: - "ჩემო ხელმწიფე, როდის განახო გვირგვინი სიკეთრიან". ჩვენი აზრით, ფ. კიკნაძის განმარტება შეიძლება გულწრფელად ჩაითვალოს, რადგან მის ქალაქლებში მივაკვლიეთ ანალოგიურ ჩანაწერს, რომელშიც ფილადელფოსის ნათლობის სახელი - ნიკოფორე და დედამისის სახელი თინათინი ფიგურირებენ ქვეშ მიწერილი ციფრებით¹⁷. სად შეეძლო მას ამგვარი ოკულტური შინაარსის ნიგენტი ენახა, თუ არა ოქროპირ ბატონიშვილთან? ამ საკითხზე დღემდე არავის გაუმახვილებია ყურადღება, მაგრამ ეს კიდევ არაფერია. ფ. კიკნაძის ქალაქლებში მივაკვლიეთ ერთ ისეთ ჩანაწერს, რომელიც გამოძიებასაც კი მხედველობიდან გამოიჩინა. იგი სოლომონის ტაძრის მშენებლობას შეეხება. ძნელია ამ ჩანაწერის მნიშვნელობის გადაჭარბებულად შეფასება. სანამ მას გავეცნობოდე, წინასწარ ვიტყვი, რომ ლეგენდა სოლომონის ტაძრის შესახებ დიდ როლს თამაშობდა მასონურ რიტუალებში. სოლომონის ტაძრის მშენებელს - ხირამს, მასონური ტრადიცია მიანერს მასონური სიტყვებისა და ნიშნების გამოგონებას: მას იმდენი მუშა შეუკავდა, რომელთათვისაც გასამრჯელო უნდა გადაეხადა, რომ ყველა მათგანის სახეზე ცნობა არ შეეძლო. ამიტომ სხვადასხვა ხარისხის ანუ ქლასის მუშებს ხირამმა თითქოსდა განსა-

კუთრებული ნიშანი და სიტყვა დაუნესა, რითაც მას უფრო ადევილად შეეძლო მათი გამორჩევა, რათა დიფერენციალურად გადაეხება მათთვის ხელფასი. საიდუმლო სიტყვები და ნიშნები შემდგომ მასონებში შემოიღები¹⁸ (გაეხსენით “აქტი გონიური” დაწესებული საიდუმლო ნიშანი - მარცხენა ნიქის ფრჩხილით შუბლის მოფხანა). ლეგენდა სოლომონის ტაძრის მშენებლობის შესახებ - მასონების ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა. ბიბლიური სპილენძის ოსტატი ხირამი - მასონურ ლეგენდებში არქიტექტორად არის გამოყვანილი¹⁹. და აი, სწორედ ამგვარ ვერსიას მიეკუთვნება ფილადელფოსის ჩანაწერები!

“უწყვაბა ტაძრისათვის სოლომონისა”

(3 მეფეთა 2.65) დაიდუა საფუძველი მისი მეშვიდესა თვესა, მეშვიდესა დღესა დღესასწაულობისათვის საფუძვლის დადებისა. მას დღესა შეინირა და დაიკლა დეკუალი ოცდა ორი ათასი, ცხვარი ასოციათასი (22 000, 120 000).

(2 მეფეთა 11.18) მუშაკნი იყვნენ ასოთმცოციათანი (180 000) ზედამხედველნი და მოღვაწენი მუშაკთანი სამიათას ექვსასანი (3 600).

(სალმთო ისტორია - პერეოდი) პირველი ოქროსა წმინდისა მასალა მოხმარდა თვინიერ მუშაკთა სასყილითა სამიათასი სიკლა, რომელიცა ქართულად გინა რუსულად იქმს ხუთ მილიონს ფუნტი ოქროს - (5 000 000) - ვერცხლის მასალა მოხმარდა რვათასი ათასი მილიონი (800 000 000) ანინდელი მონათის (გაურკვევლია - მ.ხ.) ნონა. სპილენძის მასალა მოხმარდა ერთი მილიონი შვიდასი ათასი ფუნტი (10000 700000). ძვირფასნი ქუანი, ხენი, მარმარილო და რკინა სიმრავლისა გამო აღრიცხვად შეუძლებელ არს.

პირველი არხიტექტორი ოსტატი და ზედამხედველი ხელოსანთა იყო ხირამ ებრაელი. აღსრულდა შენება ტაძრისა შეიღდა წილს და შეიღდა თვესა (პარადოქსოს 30) წინასწარმეტყუელი ტაძრისანი იყვნენ ნათან ვაად და ასაფ. მგალობელი იდიოთურ, ეთამ და ემან²⁰.

როგორც ვხედავთ, თბრობა ჯერ თითქოს ბიბლიას ეყრდნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ სოლომონმა ოცდაორი ათასი ხარი და ასოცი ათასი ცხვარი სამადლობელ მსხვერპლად შესწირა უფალს, შემდეგ ფილადელფოსს უსარგებლია მასონური ლიტერატურით (რუსულ ენაზე), რომლის მიხედვით ხირამი - არქიტექტორია, ხოლო დანარჩენი მოქმედი პირების სახელები სხვადასხვა ლეგენდებში სხვადასხვაა.

ასევე მასონური წარმომადგენლები ფიცი, რომელსაც “აქტი გონიური” შეიცავს, იგი ამგვარად იწყება: “თაყუნისციემ მამასა და ძესა და წმინდასა სულსა და ვფუცავ სახელსა მისსა წინაშე ცისა და ქუეყანისა, წინაშე გონებისა ჩემისა, წინაშე ძალთა, რაოდენი რა არს ცათა შინა და რაოდენი რა არს ქუეყანასა ზედა და რაოდენი რა არს სიღრმეთა შინა²¹. მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა შეადგენენ ერთ არსსა და განუყოფელ სამებას, რომლის სახელის დაფიცება (გარდა იმისა, რომ თვით დაფიცებაც ქრისტიანული თვალსაზრისით არ არის გამართლებული), აღარ საჭიროებს ისეთ მონებებს, როგორცაა გონება, თუ სხვადასხვა ძალები “რაოდენი რა არს ცათა შინა და რაოდენი რა არს ქუეყანასა ზედა და რაოდენი რა არს სიღრმეთა შინა”. სწორედ ამ ძალების თაყვანისცემასა და მსახურებას კრძალავს საღვთო სჯულის მეორე მცნება, “აქტი გონიურის” ლოცვა კი მათ წმიდა სამების გვერდით აყენებს. განსაკუთრებით შეუთავსებელია სამებასთან ისეთი ძალების მოხსენიება, რომლებიც “სიღრმეთა შინა” იწყოფებიან. ეს ყოველივე მაგიას უფრო წააგავს, ვიდრე ქრისტიანულ ლოცვას. მაგია ცნობის სტიქიის სულელებს ე.წ. ელემენტალებს. შავი მაგი ბოროტ ელემენტალებთან თანამშრომლობს, თეთრი მაგი კი კეთილ ელემენტალებთან. სტიქიის სულელებს გამოთხოვანა ხდება ლოცვით, რაც ხშირად ღმერთისა ან სამების სხედვით იწყება. დოქტორი პაპიუსი გადმოგვცემს უხილავი სამყაროს ზოგად თეორიას სათაურით: “სოლომონის საუბრები თავის შვილთან რობოამთან”, სადაც მოცემულია “აღსარება”, რომელსაც მაგი წარმოთქვამს: “ვალარებ ცისა და მიწის ბილულთა და უხილავთა ყოვლისმემძლე ღმერთს და მის ყველა წმინდა ანგელოზებს და ყველა არსებებს ზეცასა და მიწაზე, შენი წმინდა საკურთხევის და შენი დიდებულების წინაშე²².”

მაგია დიდად მიღებული იყო მასონების მიერ. ამით აიხსნება “აქტი გონიურის” ფიცში მაგიურ-მასონური ელემენტების არსებობა, რაც ფილადელფოსის ჩვენ მიერ მიკვლეულ, ორიგინალურ საღვთისმეტყველო თხზულებებში არ გვხვდება. ჩვენ არ შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ ურყევი მეგობრობისა და ძმობის კავშირის შექმნის კიენამისეული იდეა - ორიგინალური იყო. როგორც მკვლევარი ნ. ლეხედვეი აღნიშნავს, იმ დროს საიდუმლო საზოგადოების ეპიდემია მთელ ევროპას მოედო.²³

თუ, ერთი მხრივ, ა. პიპინი საყოველთაოდ აღიარებულ აზრს გამოხატავს, რომ მასონობა გულისხმობდა ეროვნული გრძნო-

ბის "გაფართოებასა" და კოსმოპოლიტიზმსა და რელიგოურ ტოლერანტობაში გადაზრდას, მეორე მხრივ, ნ. ლებედევი ამტკიცებს, რომ საიდუმლო საზოგადოებების შექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას უწყობდა ხელს: "ზოგიერთმა მათგანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავისი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იტალიაში არსებობდა "კარბონარიების" (მენახშირეების) საზოგადოება, საფრანგეთში იმავე სახის საიდუმლო საზოგადოება "კარბონიე" გერმანული "დიდების კავშირი" (ტუგენდბუნდ) შემდეგ რუსული "კეთილდღეობის კავშირის" ერთგვარ პირველსახედ იქცა. ყველა ამ საზოგადოების მიზანი ძირითადად ეროვნული თავისუფლება იყო"²⁴. ჩვენი აზრით, ქართული საიდუმლო საზოგადოების პირველსახედ ევროპაში უნდა ვეძებოთ და არა დეკაბრისტულ ორგანიზაციაში.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფილადელფოსი ოქროპირის მემკვიდრეობით მისტიკურ ლიტერატურას ზერელედ მაინც გაე-

ცნო. სხვათა შორის, მისი თხზულებების ერთ-ერთი ნაწილია "ბელფეგორი", რაც თ. კუკავას ვერ ამოუკითხავს და ამ სიტყვის ნაცვლად მრავალწერტილი დაუსვამს. ბელფეგორი - დოქტორ პაპიუსის განმარტებით, ბოროტების სამყაროს შემადგენელი ერთ-ერთი ბოროტი ელემენტალია. "რომლისათვისცა არა შორის ხარ დღესასწაულთა შორის ბელფეგორისთა", - ამბობს ფილადელფოს კიკნაძე.

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფ. კიკნაძისათვის მასონობის შესახებ ზოგი რამ ცნობილი იყო, მაგრამ თავად მასონი არ ყოფილა. თავისი "აკტი გონიურის" შედგენისას მან მასონური წყაროებიც გამოიყენა, მაგრამ მასონურ იდეოლოგიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია შეთქმულებაზე. მასონური გავლენა ფართული საზოგადოების მხოლოდ ორგანიზაციულ მხარეს ეტყობა, მაგრამ ესეც კი გაუცნობიერებელი იყო შეთქმულების წევრთა მიერ, რომლებიც ეროვნულ ნიადაგზე იდგნენ და შორის იყვნენ მასონობისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. მ. ხომერიკი, "აკტი გონიურის" ფართული მიზანი, საისტორიო აღმანახი "კლიო", 1997, № 1, გვ. 49-55.
2. Акты собранные Кавказскую археографическую комиссию. т. VII, Тифлис. 1881, გვ. 403.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბილისი, 1975, გვ. 250.
4. გ. კოხალიძე, 1832 წლის შეთქმულება და რუსეთის ლიბერალური მოძრაობა, ჟურნ. "მნათობი", №8, 1968, გვ. 92.
5. იქვე.
6. იქვე.
7. თ. ვოლოგუა, ერთი უმართებულო მტკიცების გამო, ჟურნ. "კლდე-კარი", 1992, № 1, გვ. 187.
8. მ. პოლოვეკოვი, საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში, კრებული: საქართველოს არქივი, ნ. II, ტფილისი, 1927, გვ. 112.
9. გ. ხაჭაპურიძე, შრომები, II, თბილისი, 1958, გვ. 210.
10. სცსსა, ფონდი 1457, რეგული I, ფ. 1781.
11. სცსსა, ფონდი 1457, რეგული IV, ფ. 685.
12. იქვე, ფ. 685ა.
13. ბ. სოხვაძე, დეკაბრისტული მოძრაობა და ქართველი საზოგადოებრიობა, თბილისი, 1976, გვ. 17.
14. მ. ბერძინიძე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 158.
15. А. Пыпин, Русское масонство XVIII в. и первая четверть XIX в., Петроград, 1916, გვ. 232-233.
16. სცსსა, ფონდი 1457, რეგული V, ფ. 892.
17. სცსსა, ფონდი 1811, ანან. I, საქმე 18, ფ. I.
18. А. Пыпин, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.
19. Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, Энциклопедический словарь, т. XXXVII, Петербург, 1887, გვ. 290.
20. სცსსა, ფონდი 1811, ანანერი I, საქმე 16, ფ. 3.
21. სცსსა, ფონდი 1457, რეგული IV, ფ. 571.
22. Доктор Палос. Практическая Магия, Москва, 1993, გვ. 247.
23. Н. Лебедев, Пестель идеолог и руководитель декабристов. Москва, 1972, გვ. 57.
24. იქვე.
25. ფ. კიკნაძე, მამულის სიყვარული, თბილისი, 1996, გვ. 33.



"აბღულმესიანის" ინდური ბერძენების განმარტებისათვის

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ტექსტოლოგიურ პრობლემათა გადაჭრისას (თუნდაც ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის თარიღის დადგენის შემთხვევაში) მეტად მნიშვნელოვანია ტექსტში გამოყენებული უცხო ტერმინების (ეთნონიმების, ტოპონიმებისა და ა.შ.) მართებული ინტერპრეტაცია-განმარტება.

იოანე შავთელის "აბღულმესიანში" (აბღულმესია) ინდური ტოპონიმები, ეთნონიმები და ინდურ კონფესიასთან დაკავშირებული ტერმინები პოეტურ კონტექსტში ავტორის მიერ გამოყენებული, მაგრამ თუ ინდოლოგიური თვლით დავაკვირდებით, ლექსში მოცემული ტერმინები შინაარსობრივად, გარკვეულ ნიშნად, ურთიერთშეუსაბამოდ და ალოგიკურად გამოიყურება, რაც შეინიშნება პოემის შემდეგ საყოველთაოდ ცნობილ სტროფებში: "როს ენა შშვიდი, მათთვის დაშვიდი, საზრახველ იყო ეულთა ყოველთა-ასურთა, ინდთა, რომთა და სინდთა, ბერძენთა, სპარსთა, კოგ-მაგოგელთა", "თქვენ ინდოეთი, კვირენ-გუთეთი, არიელ-ფოტელ, გერგესეველი, შიშველ-მართალი, ციდამტკაველი, აბამ-შაბამი, ლეღამეცეველი", "პასრი, ბარანი, ვრახმან-ერანი, გაქებს გადაიდებს გრძნობით ყველანი".

სულ აბლაბანს გახვებით - "კალმასობა" (იხ. ბ. დარჩია - იაკობ შემოქმედელი და "აბღულმესიანის" პრობლემა - 1997 წ. № 10-12, 1998, № 1, 2, 4, 8) ბ. დარჩია ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე ამტკიცებს, რომ "აბღულმესიანის" სახელით ცნობილი სახობტო ნაწარმოების ავტორი, არის არა მე-12 საუკუნის პოეტი იოანე შავთელი, არამედ მე-17 საუკუნის მოღვაწე "იაკობ შემოქმედელი" (გვარად დუშბაძე), ხოლო მასში შექმნილია, არა თამარი და დავითი, არამედ შეფუპოეტი არჩილი. პოემის ავტორობის საკითხის ამგვარი დაყენება უდაოდ დამაფიქრებელია და ამიტომაც მის გადაწვეტას, პოემის ზემოთმოტანილი სტროფების ეთნო-გეოგრაფიული თუ სხვა ტიპის ინდური ტერმინების შეძლებისდაგვარად ზუსტი განმარტება, მკვლევარის მიერ დასმულ საკითხს გარკვეულნიშნად გააადვილებს.

პოემაში ნახსენებ ინდურ ტერმინთაგან, პირველი სამი - "ინდთა (ეთნონიმი), "სინდთა" (ეთნონიმი) და "ინდოეთი" (ტოპონიმი), ერთი შეხედვით, შეესაბამება ლექსის კონტექსტს, მაგრამ ამ ტერმინების ზუსტი შინაარსიდან გამომდინარე, ტერმინები "ინდთა" და "სინდთა" ურთიერთშეუსაბამობაშია. საქმის არის, რომ ესორი ტერმინი (ეთნონიმი) აღნიშნავს ერთსადაიგივე ინდურ ეთნოსს (ხალხს), რომლებიც ინდოეთის უდიდესი მდ. სინდპუს (ინდი - უზუსტო ფორმა)

ზეობაში ოდითგანვე ცხოვრობდნენ. ამ რეგიონს, დაახლოებით მე-8 საუკუნიდან არაბთა შემოსევების შედეგად - მისი ოთხი შესართავის გამო, "პანჯაბი" ანუ "ზუთი წყალი" ეწოდა (ძირითადად მის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონს), ხოლო მდ. სინდპუსს სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიას კი "სინდი", აქედან ტოპონიმი "სინდეთი", აქ მცხოვრებები ეწოდა "სინდებები", ხოლო მათ ეწაბა "სინდპი", რომელიც დღევანდელი პაკისტანის რეგიონს შეადგენს. მაშასადამე, "აბღულმესიანში" უნდა იყოს არა ორი "სინდთა" და "ინდთა", არამედ მხოლოდ ერთი ეთნონიმი "სინდპი", რაც სხვადასხვა დროს ტექსტის სხვადასხვა პირთა მიერ რედაქტირებაზე მიუთითებს. ხოლო ტერმინი (ტოპონიმი) "ინდოეთი", რომელიც "პ"-ეს გარეშე ფორმით უფრო თანამედროვედ გამოიყურება, შუასაუკუნეების ქართულისათვის კი "პ"-ე მეტობაა დამახასიათებელი - ე.ი. უნდა ვიფიქროთ, რომ დედამიწი "მინდოეთი" იქნებოდა და არა "ინდოეთი".

ახლა განვიხილოთ ტერმინი "არიელ" (არიელ-ფოტელი), შემდეგ კი "ბარანი", რომელიც ინდოეთის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტსაც ნიშნავს და ადამიანის სახელსაც. თუ თვალს შევავლებთ ქართულ საისტორიო თუ ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, შექმნილს მე-18 საუკუნემდეც კი, სიტყვა "არია" (არიელი) იშვიათად გვხვდება და ისიც ერთი ან ორი მნიშვნელობით: მაგ. - "მნათობი - შარიხი-არია" (სს. ორბელიანი). "არია" ღამის ბურჯზედ ამობრწყინდა" (დ. თუმანიშვილი, მე-18 ს.). ხოლო "არია" ტოპონიმიური მნიშვნელობით - ძველი სპარსეთი - გვხვდება გ. მთაწმინდელის (მე-11 ს.) "სვინაქსარში (4211, 97) - "იყო ქალაქი სპარსეთით ქალაქი არიელი". "აბღულმესიანის" ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მკვლევარი ივანე ლოლაშვილი ტერმინ "არიელს" შემდეგნაირად განმარტავს: "პარიელ - არიის მკვედრი - ბერძნ. ძველი სპარსეთის მხარეა" (იხ. ი. ლოლაშვილი, ძველი ქართული მეზობრედი, თბ., 1964, გვ. 221). (ცხადია, ი. ლოლაშვილი მართალია: ბერძნულ "არიამი" იგულისხმება "პართია არია" (Parthia Aria) ანუ ძველი ირანის სამხრეთი. ინდოლოგ მ. ედვარდსის აზრით მეფე დაროუსის (486 ძვ. წ.) საფლავზე არსებობს ძვ. ბერძნული წარწერა - "პარსა პარსაპია პუტრა, არია არია ციტარა (Parsa parsahia Putra, Aria aria citra). ძვ. სპარსეთისა, არიელი არიული წარმოშობისაა". საფულისხმოა, რომ ტერმინი "არია-არიელი" კეთილშობილის, ევროპელის მნიშვნელობით მე-19 საუკუნემდე გარკვეულწილად, ვიდრე არ გაჩნდა ენათმეცნიერების დარგი ე.წ. "ინდოევროპისტიკა". ამასთანავე, "არია" რეგორც

ტოპონიმი გვხვდება ძველი თურქესტანის ჩრდილო-აღმოსავლეთითაც, რომ აღარაფერი ვთქვათ მასზედ, რომ ამავე სახელს სიცილოს ახლოს მდებარე პატარა კუნძულიც ატარებს. თუკი "აბდულმუსიანის" ავტორი ტერმინ "არიელ"-ში "ძველ ირანელებს" გულისხმობს, მაშინ "ბერძენთა-სპარსთა" რაღა შუამაა?! აქაც ერთგვარ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, რაც ასევე შეუძლებელია ბრძენ პოეტს ი. შაეთელს მიენეროს და არა გაცილებით მის გვიანდელ უცნობ რედაქტორს". რაც შეეხება ტერმინს "პარანი", ი. დოლაშვილი მას, ერთი მხრივ, მართებულად განმარტავს, რომ "პარანი" - არის ადგილი ინდოეთშიო, მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვა "ინდოეთი", ინდოსტანის უზარმაზარი სუბკონტინენტის გათვალისწინებით მკითხველს არანაირ კონკრეტულ გეოგრაფიულ მისამართს არ აძლევს. მით უმეტეს, რომ პოემას მიეწინევი შუასაუკუნეების ხანაში იმდენად, როცა ინდოეთი ისლამიზაციის ხანაში დანაშვრებული იყო მორავალ ისლამურ თუ "მინდოტურ" სახელმწიფო-სამთავროდ და ამ ისტორიული პროცესის შედეგად, როგორც ინდოსტანის დასავლეთით (პაკისტანის) ტერიტორიაზე, ასევე მის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც დღეს "ინდოეთს" სახელითაა ცნობილი, ჩნდება ერთი და იგივე სახელწოდების ქალაქები, როგორცაა ისლამაბადი, ლაქანუ, ჰაიდერაბადი და სხვა. ანალოგიურ შემთხვევათაა გვაქვს საქმე "აბდულმუსიანში" გამოყენებულ ტერმინ (ტოპონიმი) "პარანი"-სთან დაკავშირებით: - დღევანდელი პაკისტანის სინდის რაიონში ქ. ჰაიდერაბადის დასავლეთით - დაახლოებით სამას კილომეტრზე, არსებობს დასახლებული პუნქტი "პარანი", ხოლო ამავე სახელწოდების ქალაქი "პარანი" დღევანდელი ინდოეთის დასავლეთ-რავასტანის შტატშიც მდებარეობს, "პარანი" მე-13 საუკუნის ცნობილ მუსლიმან ისტორიკოსსაც ერქვა. მაშასადამე ჩნდება კითხვა - რომელ "პარანი"-ზეა საუბარი - "აბდულმუსიანში"? ერთნიშნა პასუხის გაცემა უმართებულო იქნებოდა. თუ ბ. დარჩიას მოსაზრების თანახმად, "აბდულმუსიანის" ავტორად მე-17 საუკუნის მოღვაწეს იაკობ შემოქმედელს (გვარად დუმბაძეს) მიეწინევი, კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ შესაძლოა მისი დედანი ინდურ სამყაროში გაუთვითცნობიერებელი არაერთი გადაშენების ხელში მოხვედრილიყო, რასაც თავისთავლად შევძელი ინდურ ტერმინთა მხატვრობა-სემანტიკური შეუსაბამობა გამოენივია. თვით ავტორს კი ნაკლებსაეარაუდოა, არ სციოდნოდა თუნდაც თავისი ეპოქის შესაბამისად თითოეული მათგანის არსი და მხოლოდ ასე ზერეღედ ჩამოეთვალა, როგორც ეს პოემის ტექსტშია.

ახლა განვიხილოთ "აბდულმუსიანის" ტექსტში არსებული ინდური კონფუსიური შინაარსის შემცველი ორი ტერმინი "შიშველმართალი" და "ვრახმანი", რომლებიც ლექსში წარმო-

ჩენილია როგორც ორი სხვადასხვა "პერსონაჟი" (მორწმუნე), მაშინ, როცა ქართულ ტრადიციებში "შიშველმართალი" და "ვრახმანი" (ვრახმანი, ვრახმანი, ვრახმანი) სინონიმებად აღიქმებოდა. კ. კეკელიძე მიუთითებს (იხ. კ. კეკელიძე - ტერმინები ძველ ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1945 წ., ტ.2, გვ. 109-119): "იმ ნდარობის მიხედვით, რომელიც შესწავლილია ა. ვესელოვსკის მიერ (გვ. 265-303) ვრახმანები ე.ი. ჩვენი შიშველ-მართალი, ან გიმნოსოფის ტიპი და ა.შ.". მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც ვჭევი ჩნდება, რომ ამგვარი შეცდომა ბრძენ პოეტს ირანე შაეთელს მოსელოდა. რა თქმა უნდა, "შიშველმართალითა" (ანუ გიმნოსოფისტთა) პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში რთული და საგანგებო კვლევის საგანია, მაგრამ ამჯერად შეიძლება ითქვას, რომ "გიმნოსოფისტებს" (შიშველმართალი ბრძენთ) ძველ ინდოეთში უნდა ებრძნენ "ლინკისტებსაც", რომლებიც შიშველად ითვლებოდნენ. ცხადია, ძველ ქართულში ტერმინი "გიმნოსოფისტი" ანტიკურ (აღ. მაკედონელის) ხანაში გაჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა მეცნობრულ საუკუნის ფრანგი მკვლევარის (რომელმაც ოცი წელიწადი სამხრეთ ინდოეთში გაატარა) აბე ჯ.ა. დუბუას მოსაზრება: "ერთ-ერთმა ძველმა პილდო ფილოსოფოსმა თავის დამპყრობს (ე.ი. ად. მაკედონელს - ნ.კ.) მისწერა წერილი, რომელიც ბერძენ ისტორიკოსების მიერ განიხილება აპოკრიფულ ძეგლად, ყოველ შემთხვევაში იგი ძალზე შეილამაზებულია ისეთი იდეებით, რომლებიც გიმნოსოფისტებს თავშიც კი არასოდეს მოსულიათ" (იხ. აბე. ჯ.ა. დუბუა-პინდოთა ადათები, ნუსკრეულუბანი და ცერემონიები, ნიუ-დელი, 1998 წ. შესაბამ. გამოცემა, გვ. 518. ინგლისურ ენაზე). ყოველივე ამის გარდა, უნდა ეიფიქროთ, რომ აღ. მაკედონელი ძველ ინდოეთში, უთუოდ შეხვედებოდა სხვა სრულიად შიშველ "ბრძენთაც", მაგალითად, ჯ.ა. "დიგამარებს" (ცით მოსილით), რომელთაც ასევე თამამად შეიძლება ეწოდოს "შიშველმართალი ბრძენი" (Haromyarai). ანუ თუ ისე, სრულიად ამჟამაა, რომ "აბდულმუსიანში" მოცემული ინდური ტერმინები, გაურკვეველ მიზეზთა გამო, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლოა, მისი სხვადასხვა დროს გადანერისა თუ რედაქტორების შედეგად, ურთიერთშეუსაბამო სახეს ატარებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ გვაფიქრებინებს, რომ "აბდულმუსიანის" ტექსტი შუასაუკუნეებზე უფრო გვიანინ ხანის ინტერპოლატორი ტექსტიკოსის თვითაა ამ საკითხს გაცილებით მეტი ნათელი მოეფინება, როცა დადგინდება პოემამო გამოყენებული ტოპონიმი "პარანი" რომელ საუკუნეში გაჩნდა ინდოსტანის სუბკონტინენტზე? ეს კარც თუ ისე შორეული მომავლის საქმეა.

თეიმურაზ პირველის ასაკბიოგრაფია დამოკიდებულება

(მწერლის თხზულებათა ტექსტოლოგიურ-ლიტერატურისმცოდნეობითი საკითხები)

თეიმურაზ პირველის თხზულებათა შეფასებისა და დაფასების ისტორიას უცნაური გრადაცია ახასიათებს. როგორც თვით თეიმურაზის, ისე არჩილ მეფის ცნობით, მეფე-პოეტს რუსთაველის გვერდით აყენებდნენ თანამედროვენი; ისტორიულ საბუთებსა და პოეტის თხზულებათა გადამწერებიც სათაურებში მას დიდ თეიმურაზად იხსენიებენ. XIX საუკუნეში კი ა. ფურცელაძემ და აკაკი წერეთელმა იგი არაფრისმთქმელი პოეზიის მქონე "პი-პუ" მწერალად ჩამოაქვეითეს. კ. კეკელიძემ და ა. ბარამიძემ ბევრი გააკეთეს უკანასკნელი უსამართლო შეხედულებების გაბათილებისათვის და თეიმურაზ პირველი წარმოადგინეს, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის აღორძინების პერსონაჟი ფუძემდებელი და მთელი შემდგომი განვითარების ტონის მიმცემი მწერალი.

მეცნიერული აზრის განვითარებაშიც აღინიშნა თეიმურაზ პირველის შემოქმედების შეფასების საკითხში მნიშვნელოვანი განსხვავებანი. თუ ნ. მარის აზრით, მწერალი აღორძინების ხანის უპირველესი პოეტია, ა. ბარამიძე წერს: "ჩვენ ძალიან შორს ვართ ამ აზრისგან". მიუხედავად თეიმურაზის შემოქმედების ისტორიული თვალსაზრისით მალალი შეფასებისა, რუსთაველთან მეტოქეობის გამო, კ. კეკელიძე მას მინც იმეტებს და შენიშნავს, "კადიერად აცხადებსო", ბოლო ა. ბარამიძე უფრო უღმობლად ექცევა პოეტს და "თავხედურს" უწოდებს თეიმურაზის პოეტურ პრეტენზიას პირველობაზე.

ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი თეიმურაზ პირველის თხზულებათა შეფასება-დაფასებისათვის და მაშინ, ზოგიერთი საკითხის გარკვევის შემდეგ, მოტიანილი განცხადებანი არცთუ კორექტული გამოჩნდება. ჩვენი აზრით, სწორად არ არის გადაწყვეტილი თეიმურაზ პირველის ზოგიერთი ნაწარმოების ტექსტის დადგენის საკითხები, რამაც თავის შხრივ გამოიწვია მწერლის საბოლოო ნების დარღვევა. ცნობილია, ასეთი შეცდომები თუ არის დაშვებული, მკვლევარი ვერც ნაწარმოების სრულყოფილ ანალიზს მოახდენს და

ცხადია, სათანადოდ ვერც მწერალს შეაფასებს და დააფასებს.

აკად. კ. კეკელიძეს მოაჩნია, რომ "გაზაფხულშემოდგომიანის" ბოლო 26 სტროფი (84-108) პოემის ორგანული ნაწილი არ არის და ისინი ცალკე უნდა გამოიყოს; მეცნიერს სხვადასხვა მოსაზრებით, მართლაც, აღნიშნული ტექსტი ცალკე აქვს განილული "სიტყვა სწავლისა" სათაურით; კ. კეკელიძის შეხედულებას იზიარებენ სხვა მკვლევარები (მაგ. მ. გუგუშვილი) და ჩანს, სხვებიც, რადგან საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს).

ჩვენი აზრით, პატივცემული მეცნიერის შეხედულება მიუღებელია. იგი ფიქრობს, რომ ისინი (84-108 სტროფები - ლ. ტ.) გაუგებრობით არიან გადამწერთა მიერ ზოგიერთ ხელნაწერში გაერთიანებული "გაზაფხულშემოდგომიანთან". ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ გადამწერებს არავითარი შეცდომა არა აქვთ დაშვებული და აღნიშნული სტროფები ორგანული ნაწილია "გაზაფხულშემოდგომიანისა". ვფიქრობთ, მეცნიერის შეცდომა წარმოსდგება იქიდან, რომ იგი ეყრდნობა ხელნაწერთა ფორმალურ კლასიფიკაციას და არ იკვლევს ტექსტით მოცემულ შემოქმედებით ისტორიას.

აღნიშნული სტროფები რომ "გაზაფხულშემოდგომიანს" არ ეკუთვნის, კ. კეკელიძე ამტკიცებს ხელნაწერთა მონაცემების მიხედვით: "ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს, - წერს მეცნიერი, - პირველყოფლისა ის გარემოება, რომ ცნობილ ანთოლოგიაში (S-1512) ის "მაჯამის" ნაწილიადაა გამოცხადებული, სამ ხელნაწერში (S-1103, S-342, H-1020) ისინი გაერთიანებული არიან, მართალია, დამოუკიდებელი სათაურით, "ვარდულბულიანთან", სხვებში კიდევ "გაზაფხულშემოდგომიანთან", ერთი სიტყვით, ხელნაწერთა ტრადიციის დაფინებით არ ამტკიცებს, რომ ეს 25 სტროფი "გაზაფხულშემოდგომიანის" ნაწილია. მეორე შინაარსის მიხედვით გაერთიანება მათი "გაზაფხულშემოდგომიანთან" შეუძლებელია, ერთში თავიდან ბოლომდე ერთი მოტივია, მეორეში - მეორე, ამაში რომ დაერწმუნდეთ, საკმარის

1. მ. გუგუშვილი, თეიმურაზ პირველი, 1981, გვ. 64.

2. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1981 წ. ტ. II, გვ. 562.

სია ზერელედ გადავაგვლოთ თვალი ერთსაც და მეორესაც. ამავე მოსაზრებით არც "ვარდბულბულიანთან" და "მაჯამასთან" შეიძლება მათი გაერთიანება. ამიტომ ჩვენ გვჯონია, სიმართლის შემცველი ტრადიცია გაცივებს იმ სამ ხელნაწერს, რომელთაც ეს სტროფები დამოუკიდებელ თხზულებად გამოუყვით, ორ მათგანს საგანგებო სათაურით "სწავლა სიტყვისა ლექსი კეთილი" (S 342) ან "სიტყვა სწავლისა" (H 1020).

ამიტომ ჩვენ ამ 25 სტროფს ცალკე თხზულებად გამოვყოფთ და ვუნდობთ, როგორც ხელნაწერშია "სიტყვა სწავლისა"-ს³. ჩვენ ვრცელი ამონაწერი მოვიტანეთ, ერთის მხრივ, იმიტომ, რომ საკითხი დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ხოლო, მეორეს მხრივ, იმიტომ, რომ მკვლევარის საბუთები და ძიების ხასიათი მთლიანად ყოფილიყო წარმოდგენილი. როგორც ვხედავთ, ხელნაწერების შესახებ ყველაფერი ნათქვამი, მაგრამ არსად არა ჩანს ავტორი, მისი ნება. თუკი ჩანაფიქრით მას უნდოდა მოცემული მოტივების ერთიანობაში განხილვა, მწერლის ნების დარღვევა იქნება, მკვლევარმა კომპოზიცია დაუნუნოს ავტორს.

კ. კეკელიძე ტექსტის ისტორიას, რომელიც ნაწარმოებში გამოხატულია მწერლის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ ცნობებით, საერთოდ ყურადღებას არ აქცევს და "გაზაფხულშემოდგომიანის" თავდაპირველი მოცულობის ზუსტი დადგენაც შეუძლებლად მიაჩნია. როგორც იგი შენიშნავს, "ვინაიდან ავტოგრაფი არ არსებობს, XVIII საუკუნეზე ადრინდელი ნუსხა თეიმურაზის შრომებისა არ შენახულა"⁴. რასაკვირველია, ავტოგრაფი გადაამწყვეტია, ძირითადი წყაროა მწერლის შემოქმედებითი მუშაობის შესწავლისათვის, ტექსტის დადგენისათვის, მაგრამ ამის გარეშეც დღეს ტექსტოლოგიას სხვა საშუალებანიც გააჩნია ტექსტის ისტორიის, მწერლის შემოქმედებითი მუშაობის შესწავლისათვის და ამ საფუძველზე ტექსტის დადგენისათვის. კერძოდ, შესწავლილი უნდა იქნას მწერლის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებანი, ტექსტში არსებული ავტოალიარებანი ავტორის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ, ტექსტის ისტორიის შესწავლის მიზნით იგი შესწავლილი უნდა იქნას სხვა ნაწარმოებებთან მიმართებაში და სხვ. აღნიშნული თვალსაზრისით "გაზაფხულშემოდგომიანის" ტექსტის შესწავლა ბევრს გვეუბნება როგორც მწერლის შემოქმედებითი მუშაობის, ისე ტექსტის ისტორიის შესახებ.

კ. კეკელიძე გამოყოფილი 25 სტროფიდან (84-108) ანალიზებს თერთმეტს, ხოლო სხვები ყურადღების გარეშე აქვს დატოვებული. მაგ. 107-ე სტროფში მწერალი ამბობს:

**ზოგი დაქწერე ხახუმროდ
საღხინო ხაკამათენი,
ბოლოს ცოტარამსაწვრთნელი
სულისა გახანათენი.**

აქ ხომ მწერალი პირდაპირ გვეუბნება, რომ მან "გაზაფხულშემოდგომიანის" თავში დაწერა "საღხინო ხაკამათენი", ე.ი. გაზაფხულისა და შემოდგომის გაკამათება, ხოლო "ბოლოს" კი "საწვრთნელი, სულისა გახანათენი", ე.ი. სწორედ ის 25 სტროფი, რომელსაც კიდევუ მინერლით მწერალი "სიტყვა სწავლისას" უწოდებს, ამ პირდაპირი მითითების შემდეგ ცხადი ხდება იმ მოსაზრების უსაფუძვლობა, რომ ხელნაწერების ამა თუ იმ ჩვენების მიხედვით, "გაზაფხულშემოდგომიანი" მთლიანი ტექსტი კი არ არის, არამედ იგი უნდა გაიყოს და ორ ნაწარმოებად დაიშქფოს.

პატივცემულ მეცნიერს და სხვებსაც არ გაუანალიზებიათ 89-ე სტროფიც, სადაც ნათქვამია:

**ბედი ანუ სვე-დოვლათი ივ ბოლო
ქამკამეშალა,
ვთქვი გაქშიშელდე სოფლისაგან,
ტანსაცმელად მამე შალა,
ყველა აქა ვერ დაქწერე, რომლის
საქმით დამეშალა,
წამლად ვიწყე მარტო სველით, არამც
ჭკუა ამეშალა.**

როგორც ვხედავთ, მწერალი გვეუბნება, რომ პირადი ავბედითობის გამო "ვთქვი გაქშიშელდე სოფლისაგან, ტანსაცმელად მამე შალა", მაგრამ ეს საქმე დავიშალე აქ დაწერილის გამო, თუმცა ყველაფერი კი ვერ დაწერე, რომლის გამო უარი ვთქვი "შალის" ჩაცმაზე ნიუ ბერობაზეო. როდის არის დაწერილი ეს სიტყვები? რასაკვირველია, მეორე ნაწარმოების "სოფლის სამდურავის", იგივე "ლექსნი სხვაგვარნის" შემდეგ, საიდანაც ჩანს, პოეტს განზრახული ჰქონდა ბერად შედგომა - "ძაძის ჩაცმა". "რად სოფელსო" (84-106) სტროფები "სოფლის სამდურავისაგან" არაფრით განსხვავდება, პირიქით, აქ უფრო განზოგადებული და გამკვეთრებულია სოფლის სიმუხთლე, ამიტომ მხოლოდ ამ ტექსტის გამო

3. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 262
4. იქვე, გვ. 561

მწერალი ბერად შედგომის განზრახვაზე უარს არ იტყვოდა, პირიქით კი უნდა მოქცეულიყო.

როგორც 107-ე სტროფის გამო უკვე აღვნიშნეთ, ბერობაზე უარი თქვა იმიტომ, რომ მთლიანი ნაწარმოების ერთობლიობა იგულისხმება: "გაზაფხულშემოდგომიანის" "სალხინო-საკამათენის" საშუალებით გვიჩვენა სოფლის სიტკბო, ხოლო ბოლოს კი 84-108 სტროფებით მოგვცა "სულის გასანათენი" სწავლა არსებული სიმუხთლის ჩვენებით. პოეტი დარწმუნდა, რომ ცხოვრებაში ბოროტს მაინც კეთილი სძლევს, ამიტომ სოფლისაგან განდგომა შეცდომა იქნებოდა; პირიქით, იგი მკითხველის სოფლის ზომიერი გამოყენებით კეთილ გზაზე სიარულს ასწავლის. ამრიგად, მწერალმა ბერად შედგომაზე ფიქრის დროს სულიერი ძალა თავის შემოქმედებაში იპოვნა. მწერალმა "გაზაფხულშემოდგომიანის" ახალი რედაქციის შექმნით ნაწარმოებს ფილოსოფიური სიღრმე და ოპტიმისტური ხასიათი მიანიჭა.

რადგან აღნიშნული სტროფი ანალიზის გარეშე დატოვა, ამიტომ კ. კეკელიძე ასკეტიზმთან თეიმურაზ პირველის დამოკიდებულების სრულყოფილი სურათი ვერ მოგვცა. შეცნიერმა მხოლოდ "სოფლის სამდურავი" - "ლექსი სხვაგვარნი" გაითვალისწინა და საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს მწერალი თავის შემოქმედებაში სოფლისაგან განდგომას ქადაგებდა. "პოეტი... - წერს იგი, - გზებს ეძებს არასასიამოვნო წუთისოფლიდან გასასვლელად. მისთვის არის კიდევ გზა ასკეტური განმორებისა ამ წუთისოფლისაგან, ამ გზისაკენაც მოუწოდებს პოეტი: "შენ, ცოდვილო სულო ჩემო, განაგდე შვება სოფლისა". "სულო, მოშორდი სოფელსა, მუდამ რას დაეზია?" ის, პოეტი, მართლაც, "მოშორდა მას, განუდგა სოფელს, როდესაც ჩოხითა და მაზარით შეიმოსა და ბერად აღიკვეცა"⁵, როგორც დავინახეთ, ასკეტიზმთან თეიმურაზის დამოკიდებულება, მით უმეტეს მის შემოქმედებაში ამ საკითხის გადაწყვეტა, ასეთი სწორბაზოვანი არ იყო. რაჭაში ყოფნის დროს, როგორც ჩანს, პოეტი დიდ სულიერ ქართველებს განიცდიდა. მას ბერად შედგომაზე კი გადაუწყვეტია "სოფლის სამდურავის" მიხედვით, მაგრამ "გაზაფხულშემოდგომიანში" პოეტმა მანაც სძლია თავის სულიერ შფოთს და საკითხი უარყოფითად გადაწყვიტა როგორც შემოქმედებითად, ისე პრაქტიკულად: "გაზაფხულშემოდგომიანში" ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა, ხოლო მოსკოვისაკენ წასვლით შემოქმედებითი დასკვნა პრაქტიკულად განახორციელა.

ჩვენი აზრით, სპარსეთში თეიმურაზ მირველის ბერად შედგომას უკვე დამოკიდებულება აღარა აქვს მის შემოქმედებასთან. ეს იყო სოფლის დასასრულს მომაკვდავის ღვთის ნინაშე წარდგომა, მაჰმადიანური საწყაროს ცენტრში უკანასკნელი პროტესტი. თეიმურაზმა ამით დაამტკიცა, რომ იგი მზად იყო დედასავით მონაშებრივი გვირგვინი დაეღვა ქრისტიანობისა და სამშობლოსათვის.

"გაზაფხულშემოდგომიანის" ტექსტის დადგენისათვის მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სათანადო ყურადღების გარეშე დარჩენილ 83-ე სტროფს, რომლის შესახებ კ. კეკელიძე წერს: "თხზულება დამთავრებული სახით წარმოგვიდგება პირველ 83 სტროფში, ამისი მომდევნო 26 სტროფი (84-108) მას არ უნდა ეკუთვნოდეს". ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ საბუთებთან ერთად 83-ე სტროფიც უარყოფს მეცნიერის შეხედულებას; მწერალი გაზაფხულისა და შემოდგომის "საკამათოს" დამთავრების შემდეგ წერს:

ეს უსარგებლო გათავდა, აწ სხვა
დავწერო ბოლოსა,
სრულ ნუ მიჰყვებით სოფელსა, ცეცხლი
არ მოგვებოლოსა,
სატანას ხელში ჩავცივდეთ, დაგვაშობს,
დაგვაბოლოსა,
თუ ჩემიც ცოტა ისმინოთ, ხულსა არ
დაებრკოლოსა.

ზემოთ განხილული ავტოაღიარების შემდეგ, რომ მან "სალხინო-საკამათენი" და "სწავლანი" ერთ მთლიან ნაწარმოებად დანერგა, ამ სტროფსაც შესაბამისი შინაარსი ეძლევა. პოეტი პირდაპირ გვეუბნება, რომ სულისთვის "ეს უსარგებლო გათავდა" ("სალხინო-საკამათენი"), ასეთ სოფელს "სრულ ნუ მიჰყვებით", რათა არ დავიკუპნეთო; ამიტომ "ან სხვა დავწეროთ ბოლოსა" და თუ ცოტას - ჩემსას ისმენო, "სულს არ დაებრკოლოსა". ე.ი. თეიმურაზი გვირდებდა, რომ "სალხინო-საკამათონის" "ბოლოს" დანერგა სულის მარგებელ "სწავლას" - დარიგებას, თუ როგორია სოფლის სიმუხთლევ გაზაფხულისა და შემოდგომის მიერ აღნიშნულ სიტკბო-სიკეთისთან ერთად და როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ამ ვითარებაში: შემდგომ სტროფებში ეს ყოველივე, მართლაც, ნათქვამია: სოფელი მუხთალიც არის, იგი ანადგურებს ადამიანს, მაგრამ ადამიანზე ფრთხილად უნდა იყოს, ზომიერად უნდა მიიხმაროს ცხოვრების მაცდუნებელი სიტკბო, იგი წერს:

5. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 568

მაგას არ ვიტყვი, არ გვინდვს სოფლისა
ნივთიერები,
ეხრეთ ვიხმაროთ კეთილად, ბოლოდ
არ გასაძწარები.

მკვლევარები ამ გამოთქმას განიხილავენ, როგორც მწერლის ერთ-ერთ ბრძნულ შეგონებას. ჩვენი აზრით, იგი მთლიანი ნაწარმოების ლეიტმოტივია, რომელიც ხორცშესხმულია მხატვრულად. პოემაში პირველად აღწერილია სიკეთე - გაზაფხულისა და შემოდგომის სიტკბოს ქებით გამოხატული, ხოლო შემდეგ კი ბოროტება - "რად სოფელოში" ნაჩვენები ადამიანის განადგურებით. მიუხედავად უკანასკნელისა, "ჩვენთვის დაბადა სოფელი მან ყოველთა პირთა მზადემან". ღმერთი კეთილია, იგი ორივე ქვეყანაში სიკეთეს გვიშაბებს ("ესეც ჩვენ მოგვცა, სიმათლით მუნცა კეთილთა მზადემან" - სტრ. 104.), ამიტომ "ბოროტთა მზადემან" (ეშმაკმა) არ უნდა დაგვიმონოს და ცოდვის ბაღეში ვერ უნდა გაგვახვიოს ("სრულ ვერ გვიშოვნოს წარწყმედად ბოროტთა მოსანადემან, ვერ შეგვიმწყვდიოს უხსნელად სრულად ცოდვისა ბაღე მან"). ამისთვის საჭიროა ადამიანმა ცხოვრების "ნივთიერები"

ლეთიურად - ზომიერად" კეთილად მოიხმეოს როს და ბოროტებასაც უნდა გაუძლოს, როგორც ღვთის გაფრთხილებასა და გამოცდას. ცხოვრებაში ღვთისაგან მოვლენილი გაზაფხულ-შემოდგომის "კეთილი" უფრო მეტია, ვიდრე უბედურება, ამიტომ განდგომა - შალის ჩაცმა გაუმართლებელია. მიუხედავად უბედურებისა, ადამიანი უნდა მოიქცეს ისე, როგორც თეიმურაზმა დაიშალა ასკეტობა.

როგორც ვხედავთ, "გაზაფხულშემოდგომიანის" ტექსტში თვითონ ავტორი გვეუბნება, რომ მან პოემის ორივე ნაწილი: "სალხინო საკამათენი" და "სანვრთნელი სულის ჩაცმა. პირველად დაწერა სულისთვის "უსარგებლო" "სალხინო საკამათენი" - შემოდგომისა და გაზაფხულის კამათობანი, ბოლოს კი "სულის სანვრთნელი", რომელმაც ადამიანი უნდა გააფრთხილოს, რომ "სულ ნუ მიეპყვებით სოფელსა, ცეცხლი არ მოგვებოლოსა" და სატანას ხელში არ ჩავცვივდეთო. თვით ავტორის ასეთი პირდაპირი მითითებების შემდეგ ზედმეტად მიგვაჩნია პუნქტობრივად უარყოფით კ. კეკელიძის შეხედულება.



სოხალი ფსევდი

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილების ლიტერატურული ირადიაციისათვის (ნანლობა)

საყოველთაოდ აღიარებულია ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც 1886-1915 წლებში ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში. მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლები აღინიშნება ცარიზმის რეაქციის მძლავრობით "ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრა, რა თქმა უნდა, არ იყო მხოლოდ 80-იანი წლებისათვის დამახასიათებელი მოვლენა, იგი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტი იყო. მაგრამ ასეთი გააფთრებული დევნა-შევიწროება, აშკარა დარბევა, რაც რეაქციის ძალების თარეშით განიცადა ქართველმა ხალხმა ამ პერიოდში, არ ახსოვს ცარიზმის ბატონობის 80-წლიანი ისტორიას. რეაქციის ძალები საქართველოში არა მხოლოდ ილაშქრებდნენ რევოლუციურ-პროგრესულ დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, არამედ საგანგებო ღონისძიებებსაც ატარებდნენ ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართული ენის მოსასპობად. ქართველი ერის დანაწილებისა და მისი სხვადასხვა კუთხის დასაპირისპირებლად, დედამამშობლოსაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბ., 1970, გვ. 643-644). სადღეისოდ კარგად არის ცნობილი, როგორ აღუდგა წინ რეაქციის აგრესიას მონინავე ქართველი ინტელიგენცია სიტყვიერა და საქმით. ამის ერთი ყველაზე შესანიშნავი მაგალითი იყო დიმიტრი ყიფიანის მონამებრივი თავდადება ეროვნული ღირსების დაცვისათვის. სწორედ ამავე სულისკვეთებით და მისწრაფებებით იწერებოდა ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები, რომლებიც ფართო საზოგადოებას აცნობდა აღმოსავლელ საქართველოს შთიანეთის მოსახლეობის ყოფას, მეურნეობას, კულტურასა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა წესსა და რიგს.

"XIX ს. მეორე ნახევარში, როდესაც ბევრმა არაფერი იცოდა მთის მეცხოვრებთა ადამიანებისა და ჩვეულებების შესახებ, ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები...

მთის მოსახლეობის საარსებო ინტერესებს ორგანულად უკავშირებდა მთელი ქართველი ერის ყოველდღიურ ცხოვრებას. სწორედ ამაშია მათი უაღრესად დიდი დამსახურება" (კარლო სიხარულიძე, ეთნოგრაფიული საკითხები ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკაში. საბჭოთა ბელოგნება, № 4, თბ., 1989, გვ. 132). ინფორმაციული სიმდიდრით ვერც მეოცე საუკუნის დასაწყისი დაიკვეხნიდა. მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის მიერ ფართოდ გაშლილმა მუშაობამ ქართველოლოგიის დარგში და ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებამ, მისი ფუნქციონირების სილიბისტრო ლომიას, ვერა ბარდაველიძის, გიორგი ჩიტიაის, სერგი შაკალათიასა და სხვათა მიერ ჩატარებულმა სავსე და კაბინეტურმა კვლევამ გახადა ფართო საზოგადოებისათვის სათანადოდ ცნობილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ათასწლეულობით ნახვენი მაღალი კულტურა ყოფისა. ამ ახალი ინფორმაციის შექმნე ახალი მნიშვნელობა და ელვარება შეიძინა ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულმა პუბლიკაციებმა. ამან, თავის მხრივ, გააძლიერა ფართო საზოგადოების და რაც მთავარია, შემდგომ ქართული სამწერლო ელიტის: კ. გამსახურდიას, მიხ. ჯავახიშვილის, გრ. რომაქიძის... ინტერესი წარსულის რომანტიკული ბურუსით მოცული ამ კულტურული სამყაროს მიმართ და შესაბამისად ახალი კუთხით გააშუქა თავად ვაჟა-ფშაველას პიროვნებაცა და შემოქმედებაც.

"მთის რომანტიკა" 20-იანი წლებიდან მძლავრად იჭრება ქართულ მწერლობაში, ახალი თემებით, ახალი მხატვრული სახეებითა და პოეტური მეტყველების ახალი ფორმებით. განსაკუთრებით ეს ითქმის "ცისფერყინულთა" შემოქმედებაზე, სადაც ახალ იდეურ და მხატვრულ-ესთეტიკურ გადააზრებად წარმოჩნდა ვაჟა-ფშაველას მხატვრული და პუბლიცისტური ნააზრევი. მათი წარმოსახვით პოეტი "გარდასულ საუკუნოებითგან" მოვლენილი ქართველია, ბუნებასთან უშუალო შეხებით მიღებული სიბრძნის მქონე, "ადამიანის ხმით მოძღერალი ბუნება".

სიმბოლისტიკების შემოქმედებას მეტად უცნაური სტილის ბეჭედი აზის. ამ მხრივ ევროპული სიმბოლიზმის მედრომე და პირველი "შქადაგებელი" საქართველოში გრიგოლ რობაქიძეა, რომელიც სამშობლოში ლამის ლეგენდად იქცა, რამეთუ ლეგენდა არის ისტორია დროსა და მივიწყებისაგან სასწაულად გადაჩენილი სიცოცხლისა, რომლის არსებობა გრძელდება. სწორედ ამიტომ არის, რომ თავად გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ ნააზრევს დრომ ლეგენდარული ფერფლი გადააყალბა და ახალი ფერი და ფერადობა შესძინა მეოცე საუკუნის დასასრულის ქართული ლიტერატურული ცხოვრების ფონზე.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პირველ-მკვლევარს - გრიგოლ რობაქიძეს - დღიდან მის მიერ ვაჟას შესახებ ნაკითხული ლექციისა, ამ დიდებული პოეტის მიმართ ინტერესი სიცოცხლის ბოლომდე არ განელეგია. ყოველივე ეს აისახა კიდევაც მის დრამატურ-გეამში, პროზასა და პოეზიაში, რაც საშუალებას გვაძლევს, ვეძიოთ მისი შემოქმედებითი კავშირები და მიმართებები დიდი წინაპრის ნააზრევთან.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების იმ ნაწილში, სადაც სახისმეტყველების ასპარეზად მთა წარმოგვიდგება, ისტორიულ არსებობას განაგრძობს ვაჟასეული მიუწვდომელი და განუმეორებელი სამყარო, სხვაგვარად გადააზრებული. ბუმბერაზ მთებთან გაიგვივებულია მისთვის პირველქმნილი მშენიერება, მშობლიური ქვეყნის შორეული წარსული, ისტორია, ვაჟა-ფშაველა და მისი შემოქმედება გრ. რობაქიძისათვის ამ ყოველივეს განუყოფელი ნაწილია, თითქოს გადებული ხედავს წარსულში არსებულ სინამდვილესა და დღევანდელობას შორის. ის, რაც ვაჟასათვის, როგორც ფშავეის მკვიდრისათვის, სისხლბორცული რეალობაა და ბუნებრივი ანწყობა, სიმბოლისტი მწერლის წარმოსახვით ზეისტორიული წარსული, უნივერსალია თა სიმბოლური ანარეკლი და ალბათ, საოცნებო სამყაროცაა. სწორედ ამიტომ არის, რომ იგი ვაჟას პორტრეტსაც ამ ზეისტორიული წარსულის თვალთ უმზერს და მისთვის ვაჟა არის "კაცი პირვანდელი: "ურმიენს", გერმანული სიტყვით, კაცი, რომელიც ბუნების შუაგულიდან უმზერს გარესსეულს" (გრ. რობაქიძე, თბ., 1996, გვ. 158). გრ. რობაქიძე, რომლისთვისაც "წარსულისაგან შობილი" და მომავლის მშობლად ქცეული ანწყობა თითქოს არსებობისა და შემოქმედების მთავარი იდეად ქცეულა, ცდილობს, საკუთარი ინტერპრეტაციით შემოვლთავაზოს მის სულში გაკოცხლებული "ზეისტორიული სამყაროს გული". იგი

გამოდის გოეთეს მოძღვრებიდან "ურფენომენის" (თაურმოვლენის) შესახებ, რომელსაც უნოდებს "უგენიალეს ცნაურობას გონისას". ამ მოძღვრების მიხედვით ყოველი კერძო გამოვლინება, ყოველი ნაწილი, ფრაგმენტი, თავის თავში სავესებით მატარებელია უზოგადესი იდეისა, "თაურარისის" სრულყოფილებისა - "შინა-სახისა", რასაც "ურფენომენს" უწოდებს. გოეთესული "ურფენომენს" გრ. რობაქიძე აიგივებს პლატონის "იდეასთან": "სხვაობა ნაირული: პლატონის "სახე" თესლივით ყუდროობს "მარადში", გოეთეს "სახე" ვლინდება "მოვლენაში", როგორც აღმოცენება თესლისა. დასკვნა: "თაურმცენარე" მითოსია მცენარისათვის, როგორც ყოველთვის გულგებელი, მაგრამ არასდროს ხილული მყოფადი" (გრ. რობაქიძე, "მნათობი", № 10, 1987 წ. 175). გრ. რობაქიძის აზრით, "ჯვარი და ხატი რქმევა შინასახის... "ტომის, თემის, ვითარცა არსისა - მთელის"... (იქვე) ამის დასადასტურებლად მოჰყავს ვაჟა-ფშაველას "ფშაველი ჯარისკაცის წერილი". "ჯვარი" თუ "ხატი" ლეთიური შუაგულია ტომის, თემის, ლამარი მითიური განპირობება ამ შუაგულისა ცალკეულთა მისტიურ ხილვაში... ტომის თუ თემის ლეთიური შუაგული მითიურ ლამარში განპირობებული - აი, საიდან გამოდის ვაჟა. აქ არის წყაროსთვალა - ენგადი - მისი პოეზიისა" (იქვე, გვ. 175). სწორედ "ენგადია" გრიგოლ რობაქიძის იმ ერთი მოთხრობის სათაური, რომელშიც ავტორმა თანამედროვე, ნახევრად უცხო კაცის თვალთ დანახული ხეესურეთის ყოფა გადავიძალა თვალიწინი. 1948-58 წლებში პარიზში გამოდიოდა ჟურნალი "ბედი ქართლისა". "ენგადი" პირველად დაიბეჭდა "ბედი ქართლისას" 10-11 №№-ში, რურკით "კავკასიური ნოველები". ენგადი ბალ-ვენახოვანი ოპანია მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მისი ვენახები სატრფოს მეტაფორული სახეა "ქებათა ქებაში" (1.14) (ზურაბ კენაძე, მინანური მოთხრობა "ენგადისათვის". ათი საუკეთესო მოთხრობა, თბ. 1991, გვ. 38).

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს თავისი მიზანი აქვს, რის სათქმელადაც იშვა ის მწერლის ფანტაზიაში, რასაც ამ ნაწარმოების ლიტერატურული მისია შეიძლება ეწოდოს. "ენგადი" მწერალი ასახავს მთის ხალხისათვის დამახასიათებელ ნეს-ჩვეულებებსა და ურთიერთდამოკიდებულებას, მთის კაცის ხასიათს, სტუმარ-მასპინძლობის, მზადგაფიცვის, დაზარალებულის გასტუმრების ნესს, ნადირობას და ხატობას. ყოველივე ეს ზუსტად მოპყება ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილებში ("წერილი ხევსურეთიდან", "სოფელი ხახმატი", "ხევსურის თავი",



"ხევსურები", "ქალთა შესახებ...") მოცემულ მასალას. ნაწარმოებს კი საფუძვლად უდევს "ქართული სინამდვილეში (და, შესაძლოა, მსოფლიოშიც) თავისი კერძო გამომხატულებით უნიკალური ნებს-ჩვეულებათა სწორფრობისა, რომლის წარმოშობა და საზოგადოებრივი ფუნქცია იდუმალებით არის მოცული... გრიგოლ რობაქიძე ერთადერთია ქართველ მწერალთა (და, თუნდაც მკვლევართა) შორის, რომელიც ჩანდა სწორფრული ურთიერთობების ექსისტენციალურ სიღრმეს. ნოველაში ჩართული პარალელური ეპიზოდები მკვლევლობის წარმოაჩენს ამ ნებს-ჩვეულების შინაგან მხარეს: როგორც ორთა შერკინებაშია ლაჩრობა სასიცილილოდ დაჭრა მოწინააღმდეგისა, ასევე სწორფრულ ურთიერთობაში ზღვარის გადასვლა (ზ. კიკნაძე, მინანური ენგადისათვის, ათი საუკეთესო მოთხრობა, 1991, გვ. 38). თუ მოთხრობაში აღენრილი სწორფრული ურთიერთობებს ვაჟა-ფშაველას წერილების ფონზე განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ გრიგოლ რობაქიძის მოთხრობაში, შემეცნებითი ფუნქცია სჭარბობს ესთეტიკურ მხარეს, რადგან რამდენადაც ეს მხატვრული ნაწარმოებია შესაძლებელი, მწერალი არა ზედმიწევნით, მაგრამ ზუსტად ასახავს მთის ხალხის ამ უცნაურ ჩვეულებას და გულმოდგინედ მიჰყვება ვაჟას ეთნოგრაფიულ წერილებში - "წაწლობა" და "ფშაველები" - მოცემულ მასალას. ამ წერილებში ვაჟა მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა არის წაწლობა და საიდან გაჩნდა ხალხში ეს ჩვეულება; გვიხსნის, რომ ფშავეში საზოგადოება ქალს დიდ ვალდებულებებს აკისრებს. ყოველივე ეს მოითხოვს შრომის უწარაიანობას, მხელობას და მომჭმნეობას. ქალი შრომობს ოჯახშიც და ოჯახს გარეთაც. მას ევალება შვილის აღზრდა, საველე და სამინათმოქმედო სამუშაოები. ის თავდაუზოგავად ებრძვის მთის მკაცრ ბუნებას, მამაკაცისათვის მარჯვენა ხელია, მას ნადირის მოსაგერიებლად იარაღის ხმარებაც უწევს. ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ სიტურფით უზხად დაჯილდოებული ფშაველი ქალი მალე კარგავს თავის მომხიბვლელობას, ამიტომ, ვაჟას აზრით, "თავისი დანაშაული რომ გამოეყვიდა, თავისი ცოდვები მოენანია, ბუნებამ რა ღონე იღონა, რა ოსტატობა იხმარა, სთქვამ: მოდი ფშავედ ქალის, ამ ტურფა იის, რადგან სილაზხისა მოკლე ვადა აქვს. - ცოტა ხანი, ეს ცოტა დრო სიამოვნებით გავატარებინო, ჩაუდვა მოსიყვარულე, პლატონური სიყვარულით გამსჭვალული გული ვაფისადმი. ვინც მას მოეწონება, ვიზედაც თვალის მიუვა, ხოლო მის მშობლებს, ნათესავებს მივეც ისეთი ხასიათი, მოუთმინონ ქალ-ვაჟს ერთად ყოფნა,

ერთად წოლა, ხვევნა, კოცნა... (ქართული ჟურნალი, ტ. V, თბ. 1961, გვ. 307) ამ წესის შესახებ ვაჟა-ფშაველა გეტყობინებს, რომ ტემპირიტ სიყვარულს, ფშაველთა თვალსაზრისით, ხორციელი სიახლოვე აზარალებს და სპობს, რადგან ქალი ვაჟის თვალში მიმზიდველობას კარგავს. სულიერი სიყვარული, რეალურობისაკენ ისწრაფვის, ამიტომ, იცა არ უნდა ეცადოს ვაჟი სიყვარული რეალობად აქციოს, ქალი ცდილობს, თავიდან აირიდოს ყოველივე ეს და თავის წაწლობაში უფრო მძაფრი განცდები გამოიწვიოს. ასეთი სიყვარული მეტად ფაქიზია, სულ მცირე მიზეზიც იწვევს სწორფრუთა განცდას; რაც ერთგვარად ფშაური სატრფილია პოეზიის მთავარ ხელისშემწყობ პირობად მიაჩნია პოეტს. ყველაზე უცნაური ის არის, რომ წაწლებს არ შეუძლიათ ერთმანეთზე დაოჯახება, ეს სასირცხვილო საქმედ ითვლება. ფშაველი ახალგაზრდა ქალი თამაშობს; ახლობლებსა და ნათესაებისაგან დაუფარავად ამელავენებს ტრფობას ვაფისადმი. ვაჟს ეძახის "წამობს და წაწალს", ხოლო ვაჟი კი ქალს უწოდებს "წაწალს და წაწობს". წაწლებს ერთმანეთის მიმართ მოვალეობებიც გააჩნიათ. ქალი უქსოვს ვაჟს წინდას, ჩოხას ან ცხენის მოსართავს, ვაჟი კი უკეთებს მას ხელსაქმისათვის საჭირო იარაღებს: "ცხემლის, კალათას, საგრიხელს..." (იქვე, გვ. 16).

"წაწლობას ხეველეთში წაწლობის თაყვანისმცემელი ყოფილან წინად და დღესაც არიან, ხევსური წაწლობას ისე უცქერის როგორც საყვარლობას. წაწლობაში იღვარს არაფერსა ჰხედავს" (იქვე, გვ. 43). ასე გვიხსნის თავის ვაჟა-ფშაველა ამ უცნაური ტრადიციის წარმოშობასა და განვითარებას ფშაველეთში. ყოველივე ეს, გრიგოლ რობაქიძეს მხატვრული თხრობის ფონზე გადმოცემული აქვს "ენგადში". წაწლობის მთავარი გმირი გიორგი ვალუევი დედით ქართველია და მამით რუსი. ვაჟი (გიორგი) პირველად ხატობის დროს იხილავს ქალს, რომლის მიმზიდველი ვარგუნობა იქცევის მის ყურადღებას. ქალის სახელი, რა თქმა უნდა, ხევსურულია - მზექალი. მზექალა თავადაც არ მალავს ინტერესს ვაფისადმი, რომლის ცქცევამაც ხევსური ქალის თამაში ხასიათი მელაუნდება. მგელიცა (მზექალას ბიძაშვილი) თითონ სთავაზობს ჩაფერებულ გიორგის მზექალას თავს სწორფრობისათვის. "ამაღამ გავცნობი მას" - ამბობს მგელიცა, რადგან ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს, პირიქით, ჩვეულებრივ და ბუნებრივ ამბად მიიჩნევს, ხევსურთა ტრადიციისამებრ.

გიორგი ვალუევი იწყებს ამ ყოველივეს გაანალიზებას "უცხო" კაცის თვალთ და იგონებს "პრიმიტივ ხალხთა" შორის არსებულ ჩვეულებებს; იგონებს ძველ მისტერიითა მყოფდენ მწერლის ახსნასაც: "ყოველი კაცი... ერთხელ თავის სიცოცხლეში, უნდა შეუერთდეს ქალს და ყველა ქალმა, თუ გინდა ერთხელ თავის სიცოცხლეში უნდა განიზრახოს კაცთან შეერთება - არა იმისთვის, რომ პშობონ... რომ ერთი ნუთით მაინც გამოიყონ რკალდენას დაბადებისა და სიკვდილისა და ამ გზით იგემონ მარადიულობა და უკვდავება. ახსნა-გულისხმეირი, ხოლო არც ისე ნათელი" (გრ. რობაქიძე, ათი საუკეთესო მოთხრობა, თბ. 1991, გვ.21).

გიორგი ვერ გარკვეულიყო ქალის მოსვლის "მისიაში", რადგან თავდაპირველად "უცხო" კაცის თვალთ უმზერდა ამ ფაქტს. მხოლოდ მზექალას გამოჩენის შემდეგ ხდება ამ ჩვეულების ხასიათის სრული წარმოჩენა მოთხრობაში. "გინდები ჩემი სწორფერი იყო?" - უკითხება მზექალა გიორგის და როცა სასურველ პასუხს იღებს, ვაჟს ალერსის უფლებას აძლევს, სხვა დანარჩენი აკრძალულია.

გრ. რობაქიძე მოთხრობაში ფშაური ნაწილობისათვის დამახასიათებელ ზუსტ "ფორმულას" გვთავაზობს; მოქმედება კი გადააქვს ზევსურეთში. ქალ-ვაჟის დიალოგებით ირკვევა, რომ სწორფრობა ნამებაა, მაგრამ ტკბილი და თან მტანჯავი; ირკვევა აგრეთვე, რომ ნაწალთა დაქორწინება სირცხვილია და სწორედ ამიტომ აკრძალულიც. "ნაწილობის წყალობით ქალ-ვაჟი ბევრს სულიერ ტანჯვას და სიამოვნებას განიცდიან" - წერს ვაჟა-ფშაველა წერილში "ფშაველები"; ფიქრობთ, აქ ვაჟა-ფშაველას წერილიდან თითქმის ციტირება ხდება.

"ღვთიურ არს სიყორულ; ზორციელ იგემებ-მოპყლავ მას; იწოდ მხოლოდ!" - ამბობს ზევსური მგელიკა. "სიყვარულის განხორციელების შემდეგ" ქალი ისეთი სასურველი აღარ არის ვაჟისათვის. სიყვარული განუხორციელებელი, უბინო და იდეალური უნდა იყოს, თუ ის იდეალურობას უკარგავს, იღუპება - იგივე წერილში ამგვარ მოსაზრებას გვთავაზობს ვაჟა-ფშაველა, რასაც ფაქტორებია და, ზუსტად იმიორებს გრიგოლ რობაქიძის გმირი მგელიკა მეგობართან საუბრისას.

"მეცნიერება მოვალეა იკვლიოს ამა თუ იმ მოვლენის გენეზისი, მაგრამ სწორფრობის შემთხვევაში, საფუტყაო, მიღწეულ იქნას წარმატება. მისი გენეზისი ბუნდოვანი ჩნება... სწორფრობის სულიერი, როგორც ამბობენ, "პლატონური", და, შეიძლება ითქვას, ერთგვარი ასპექტი მისებრი გამჭრიახობით

ამოიცნო გრიგოლ რობაქიძემ" (ზ. კიკნაძე (რედაქტორისაგან) "სწორფრობა ზევსურეთში". თბ., 1991, გვ.6). მწერალი ეყრდნობა როგორც საკუთარ ინტუიციას, ასევე სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულ მასალას.


თუ ნაწარმოებს ტრადიციული მიდგომით განვიხილავთ, იბადება აზრი, რომ პიროვნება უნივერსალი - გიორგი ვალუევი, დედის გენს შეიცნობს, მაგრამ უარყოფს მას და ბრუნდება საქართველოსათვის უცხო ცივილიზაციამ, რადგან ის ეროვნებით რუსია. მისთვის ზევსურეთი არის "ცოცხალი ნაშთი ერთი უსახელო, ძველი, საუკუნეებში გარდასული ხალხისა". ეს მისთვის ისეთი წარსულია, რომელიც გიორგი ვალუევის მომავალთან ვერანაირ კავშირს ვერ დაამყარებს; ის, ვითარცა დედით ქართველი, თანამონაწილე ხდება ზევსურული ტრადიციებისა; ხოლო როგორც ეროვნებით რუსი - უკანმოუხედავად მიდის ზევსურეთიდან, რომელსაც ვერც სატრფოს სახე და ვერც ძმადნაფიცის გამოსათხოვარი შეძახილი ვერ შეურხევს ბოლომდე "გულის სიმებს", რომ ერთხელ მაინც მოიხედოს და წინააღმდეგობა გაუწიოს მისი ბუნებისა და ცხოვრების წესისათვის მისაღებ ნორმებს. მის მომავალს არ შეიძლება საერთო უკონფეს ზევსურეთში გატარებულ დღეებთან. მწერლის პოზიცია ნათელია. მოთხრობაში არც ერთ შემთხვევით ნიუანსს ადგილი არა აქვს.

იღურად იგივე პოზიციას გვთავაზობს მიხეილ ჯავახიშვილი რომანში "თეთრი საყვლო", რომელიც ქართული პროზის ერთერთ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. რომანი 1926 წელს გამოქვეყნდა. აქავტორი ხაჭავს ზევსურთა ყოფას და სწორფრობა სიყვარულს, ოღონდ მიხ. ჯავახიშვილი სწორფრობის "მოძღვლს" ზუსტად არ გვთავაზობს, რადგან რომანში "განხორციელებული" სიყვარულია ნაჩვენები. ეს კი მთის ხალხთა ტრადიციით წესის დარღვევა და დაუშვებელი ფაქტია. მთავარი გმირი ელი ზაზარი უარყოფს გადარსებული და ქართული სინამდვილისათვის გადაგვარებული ცხოვრების წესით მცხოვრებ ცოლს - ცუცქიას, რომლისთვისაც შვილი სიკვდილის საშიშროებაა და არა სიცოცხლის გაგრძელების ფაქტი. რუსულ-ქართულად მოლაპარაკე ცუცქიასათვის მხოლოდ ფულია მთავარი, მისთვის არ არსებობს სიყვარული და არც არაფერი წმინდა. მწერალი ხაჭავსით ავლებს პარადილს ნახევრად გარუსებულ ცუცქიასა და ხათუთას შორის. ამ ზევსური ქალისათვის წარმოდგენილია არსებობა შვილისა და სიყვარულის გარეშე. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ელიზბარს (ვაჟი-

კას) შვილი შესძენოდა გარუსებულ ქალთან, ისევე როგორც არ შეიძლებოდა, მომავალი პქონოდა გიორგი ვალუევს ქართულ მიწაზე. ამ ორ ნაწარმოებში ერთი და იგივე იდეაა სრულიად სხვადასხვაგვარად განხორციელებული, როგორც თბრობის სტილით, ასევე შინაარსობრივად და ქართული მწერლობის ტრადიციისამებრ კიდევ ერთხელ ქართული ეროვნული სულია წარმოჩენილი; ამიტომაც საბჭოური წყობის იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო მიხეილ ჯავახიშვილისა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება და ცხოვრებისეული გზა.

რომანში "თეთრი საყელო" ელიზბარი (ვაჟიკა) დროებით სახლდება მშობლიურ ხევსურეთში, პოულობს იქ ბედნიერებას, სიყვარულს და მომავლის იმედს - შვილს; მშობლიურ წარსულზე მყარად დაყრდნობილი უბრუნდება ცივილიზაციას. მისთვის მთა ისტორიული, მშობლიური წარსულია, ბარი

კი - მშობლიური ანწყო. ორივე მშობლიური ცეულია მისთვის, მომავალი და ცივილიზაცია კი მისაღები, რომელიც წარსულის გარეშე ვერაფრით იარსებებს: "ყველას უღრმესი საღამი და მადლობა: ... თეიმურაზსაც და ბინკალსაც, ფარსმანსაც და ჩაფხუტსაც, კაფიან თოფსაც და იაპონიიდან მომავალ ბატონიშვილსაც, ყველამ თავისი შეასრულა და წავიდა. წავიდა და აღარ დაბრუნდება. მე კი ბარში და ქალაქში მიშელის ჩვენი მომავალი. მიშელის და თოკით მიმათრევს... თუ ჩაგითრიეთ, ვცხონდებით. თუ მაჯობეთ, ვაი ჩვენი ბრალი!.. მაშ აგრე, ძვირფასო მამებო, დედებო, ძმებო და დებო: მშვიდობით და მადლობით!" (მიხ. ჯავახიშვილი, II, თბ. 1959, გვ. 564). ამ სიტყვებით ემშვიდობება ელიზბარი ხევსურეთს. მადლიერების გრძნობით ემშვიდობება ყველა ხელოვანი თავის წინამორბედსაც, რომელთა ყლორტები წინაპართა ფესვებზეა ამოზრდილი.



რეპეზ კვირენჩილაძე

საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1997

(მთავარ მოვლენათა ქრონიკა)

90-იანი წლები

90-იანი წლებიც მწერალთა კავშირის ლა-
ნდღეა-გინებით დაიწყო - თუ ზოგმა 80-იანი
წლების დასასრულს მას "ლონისძიებათა ორ-
განიზაცია" უწოდა, ახლა ოთარ ჩხეიძემ "მ-
დივების კავშირად" მონათლა ("საქართვე-
ლო", 1990, 13.V).

შემოქმედებითი ორგანიზაციის, მწერ-
ლების მეორე ოჯახის ასეთად მიჩნევას მის
ხელმძღვანელთა შორის ჩამოვარდნილი
უთანხმოებაც უწყობდა ხელს...

მწერალთა კავშირი კი ასე განაგრძობდა
თავის საქმიანობას:

1991 წელი - მთავრგმელობითი კოლექცი-
ის ბაზაზე შეიქმნა მხატვრული თარგმანის
საკოორდინაციო-საკამომცემლო ცენტრი -
"ზომლი" (თავმჯდომარე - შაღინა შამანაძე).

1991-1992 წლებში ბევრი მასალა იბეჭდე-
ბოდა მწერალთა კავშირის ცხოვრებაზე. მო-
მნიფდა მწერალთა კავშირის ახლებურად
მონყობის საკითხი.

საქმეში პოლიტიკური დაპირისპირებე-
ბიც ჩაერია: პრეზიდენტ ზვიად გამსახურ-
დიას მომხრეებმა იფიქრეს: ვინაიდან მწერა-
ლთა კავშირის თავმჯდომარემ მუხრან მა-
ჭავარიანმა მთავრობის სასახლის წინ თავის
გამოსვლაში კანონიერი პრეზიდენტი დაი-
ცვა, 1991 წლის 2 ოქტომბრისათვის დაგე-
გმილ მწერალთა კრებაზე პრეზიდენტი და
მუხრან მაჭავარიანის მონიანაღმდეგენი
მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გადა-
დგომას მოითხოვენო და სასახლე დაკეტეს.
რა თქმა უნდა, ამის მოტივიც გამონახეს -
ამ არეულ დროს სასახლეში ათასი უცხო ვი-
ნმე დაის, გვეზინა აქ დაცული ხელოვნე-
ბის ნიმუშები არ დაგვეკარგოს, ამიტომ მი-
ლიციას დაცვა ვთხოვეთ და სასახლე დრო-
ებით დაეკეტეთო.

ეს განცხადება მხოლოდ 4 ოქტომბერს
გამოქვეყნდა. მანამდე კი, 2 ოქტომბერს კრე-
ბაზე მოსულ მწერლებს სასახლე დაკეტილი
რომ დაუხვდათ, აღმოფთებულენება კრება
სასახლის წინ, ქუჩაში ჩაატარეს და მიიღეს
მიმართვა ქართველი ხალხისადმი, ხელისუ-
ფლებისა და მწერალთა კავშირის ხელმძღვა-
ნელობისადმი:

"მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა,
რომელმაც მწერალთა კავშირში შესასვლე-
ლი გადაგვირჩა, არ გამოხატავს ქართველი
მწერლების საერთო განწყობას და აზრს და,
აღარ არის უფლებამოსილი გამოდიოდეს და
ლაპარაკობდეს ქართველი მწერლების სახე-
ლით".

მრავალი მწერლის, მათ შორის ქაბუა ამი-
რჯიბის, გურამ გეგეშიძის, ლაშა თაბუკაშ-
ვილის, კობა იმედაშვილის, რევაზ მიშველა-
ძის, იზა ორჯონიკიძის, არჩილ სულაკაურის,
გურამ ფანჯიკიძის, ვეშალ ქარჩხაძის, თა-
მარ ნივნივაძის, ვახტანგ ჭელიძის ხელმოწე-
რილი ეს მიმართვა გამოქვეყნდა 4 ოქტო-
მბერს ("ლს", № 40). ცალკე პატარა წერილე-
ბით გამოთქვეს პროტესტი ირაკლი აბაშიძემ
და რეზო ამამუკელმა.

ერთი კვირის შემდეგ გამოქვეყნდა წერი-
ლი "სიმართლე ეგრეთნოდებული მწერალთა
კრების ირგვლივ" ("ლს", 1991, 11.X), რომე-
ლსაც ხელს აწერდა და ზემოხსენებული სა-
პროტესტო წერილის ხელის მომწერებს აქი-
ლიკებდა "მიომზილველი".

ამ დაძაბულობას მოჰყვა 16 ოქტომბერს
გამთენიისას ავტომატის ჯერიტ მწერალთა
სასახლის დაცხრილვა. ოპოზიციურმა უმ-
რავლესობამ ჩათვალა, რომ ეს მოიმოქმე-
დეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და
მუხრან მაჭავარიანის მომხრეებმა. გურამ
ფანჯიკიძემ "მიომზილველის" პასუხად გა-
მოაქვეყნა წერილი "დავიფასდებათ, უეჭვე-
ლად დაგიფასდებათ" ("ლს", 1991, 29.XI) -
თქვენი სტატია ხელისუფლებასთან ქართ-
ველი მწერლების დახმულებათაო. 1992 წლის
დასაწყისში გამართულ მწერალთა ყრილო-
ბაზე კი რევაზ ჯაფარიძის შესავალ სიტყვა-
ში ითქვა: "გამცემლობისა და ლალატის სი-
მბოლოა" ლიტერატურული საქართველოს"
ფურცლებზე დაბეჭდილი ოპუსი ვინმე ინ-
კოგნიტო "მიომზილველისა", ვინც საბრჩო-
ბელაზე ასაყვანად გაიმეტა თითქმის მთე-
ლი ქართული მწერლობა, რათა მავანი და
მავანი ხელისუფალი ესიამოვნებინა და გა-
სამრჯელოდ ჯინჯილები და ოქროს ეპოლე-
ტები მიეღო".

ეტყობოდა, განხეთქილება გარდაუვალი იყო. ამიტომ მწერალთა კავშირის ოპოზიციურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ყრილობა მოენეცია. მით უმეტეს, რომ წინა ყრილობიდან (1988) ოთხი წელი იყო გასული.

1992 წელი - 10 იანვარს ჩატარდა პრეზიდიუმის სხდომა. ხუტა ბერულავა, თენგიზ ბუაჩიძე, გურამ გვერდნითელი, ნოდარ გურემიძე, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მალრაძე, რევაზ მიშველაძე, გიორგი ნატროშვილი, შოთა ნიშინაიძე, ოთარ ნოდია, არჩილ სულაკაური, გურამ ფანჯიკიძე, ჯანსუღ ლეინჯილია, რეზო ჭეიშვილი, ვახტანგ ქულიძე, თამაზ ჭილაძე, რევაზ ჯაფარიძე ადგენენ:

ა) გადაყენებულ იქნას სამდივნო და თავმჯდომარე თანახმად მისი განცხადებისა, ვინაიდან 1991 წლის მაისში ამოენურათ რწმუნების ვადა;

ბ) არჩეულ იქნას მწერალთა ყრილობის საორგანიზაციო კომისია:

ჭ. ამირეჯიბი, თ. ბუაჩიძე, გ. გვერდნითელი, ე. მალრაძე, რ. მიშველაძე, დ. მჭედლური, შ. ნიშინაიძე, ა. სულაკაური, გ. ფანჯიკიძე, ჯ. ჩარკვიანი, თ. ნივნივაძე, ტ. ჭანტურია, რ. ჭეიშვილი, თ. ჭილაძე, თ. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე.

ეს კომისია უძღვებოდა მწერალთა კავშირის მუშაობას და ამზადებდა ყრილობის მოწვევას.

ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა უარყოფითად შეაფასა "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის მუშაობა, მათ შორის, "მიმთხილველის" დამატებულბურთი წერილის დაბეჭდვა და გაათავისუფლა მისი მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა, ამ თანამდებობაზე კი დანიშნა თამაზ ნივნივაძე.

- 1992 წლის 25 მარტს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში რევაზ ჯაფარიძის შესავალი სიტყვით გაიხსნა მწერალთა XI ყრილობა.

"ვერის ბაღში, თითქმის მთელი დღის მანძილზე, ყრილობის მუშაობის პარალელურად, უცნობ ადამიანთა ჯგუფი ხედავდა და სანაგვეზე ისროდა ცნობილ ქართველ მწერალთა ნივთებს, სხვათა შორის, სანაგვეზე ვეფხისტყაოსანსაც" მოისპოლეს ("ეს", 1992, 27.III).

ყრილობაზე მუხრან მაჭავარიანმა გააკეთა განცხადება: პირველი პრეზიდენტის განდევნა 1921 წლის 25 თებერვალს შეადარა, სამხედრო გადატრიალება უნოდა. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაც სამხედრო საბჭოს უჭერს მხარს.

ამ განცხადებას მ. მაჭავარიანთან ერთად ხელს აწერდა ნოდარ ნულეისკირი, ენვერ ნიჭარაძე და ელიზბარ ჯაველიძე.

მეორე მოკლე განცხადება მუხრან მაჭავარიანმა დაამთავრა სიტყვებით: "ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვეშიჯებით მათ ("საგანგებო კომისიას", როგორც განცხადე-

ბაში უნოდეს მწერალთა ყრილობის საორგანიზაციო კომისიას) და ვინარჩუნებთ ლიტერატურულ მწერალთა კავშირს, სწორედ ტრადიციულ მწერალთა კავშირს.

ვისაც არ გსურთ იყოს წევრები თვითმარქვია კავშირისა, ადექით და ჩვენთან ერთად დატოვეთ დარბაზი, ეს უკანონოდ შობილი ყრილობა!" (სტენოგრამა, გვ. 21).

ყრილობის დარბაზიდან გავიდნენ (ანბანზე): ნომადი ბართია, ხუტა ბერულავა, ლევან ბრეგვაძე, გივი ბუთხუზი, გიორგი გიგაური, თენგიზ გოგოლაძე, დურმიშხან გრიგოლაშვილი, მირიან გულუა, ოთარ დემეტრაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, თეიმურაზ დოიაშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, დილარ ივარდავა, ქიშვარდ ისაკაძე, ბენო კონჯარია, მუხრან მაჭავარიანი, იაკობ მელია, ზაურ მოლაშხია, გივი ნიჭარაძე, ენვერ ნიჭარაძე, ალექსანდრე სიგუა, სოსო სიგუა, ბეჟან სიგუაძე, სულხან ქეთელაური, ოთარ შალამბერიძე, ბელა შალვაშვილი, მიხეილ ჩაჩუა, გივი ძნელაძე, მამუკა ნიკლაური, ნოდარ ნულეისკირი, გოდერძი ჭეიშვილი, ავთანდილ ხარაიშვილი და ნოდარ ჯალალონია.

ასე რომ უმრავლესობა დარბაზში დარჩა. ამასთან ნასულთავა მირიან გულუა, ოთარ დემეტრაშვილი, ბენო კონჯარია და ავთანდილ ხარაიშვილი მწერალთა კავშირის წევრები არ იყვნენ.

ყრილობამ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩია გურამ ფანჯიკიძე, მის მოადგილედ - რეზო ჭეიშვილი (შემდეგ ზოგიერთნი ამ აქტის ხინჯად ჩათვლიან ღია კენჭისყრის მოწყობას). მოგვიანებით, 26 ივნისს გ. ფანჯიკიძის წარდგინებით გამგეობამ პასუხისმგებელ მდივნად დანიშნა დავით მჭედლური.

ყრილობის მიერ მიღებული ახალ წესდებაში (დამტკიცდა იუსტიციის სამინისტროში - 1990, 24.IV) ნათქვამია:

"საქართველოს მწერალთა კავშირი ამ წესდებით აღიარებს მწერლის სრულ შემოქმედებით თავისუფლებას, დაუშვებლად მიიჩნევს მწერალთა კავშირის ფარგლებში ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობას, ნებისმიერი პარტიული და სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დამკვიდრების ცდას, ლიტერატურაში ცენზურის ყოველგვარ ფორმას, გარდა ამ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის ქადაგებას, ანტიკომუნისტურ და ანტიროვნულ და ზოგადასაკაცობრიო ღირებულებათა ნინაალმდეგ მიმართულ პროპაგანდას".

ძირითადი მწერალთა კავშირი მაინც მწერალთა კავშირად, მაგრამ გარდაქმნის გზაზე დამდგარ ორგანიზაციად დარჩა.

ახლანდელი, 1992 წელს რეორგანიზებუ-

ლი მწერალთა კავშირი, მართალია, მძიმე გარდასვალ პერიოდში სახელმწიფოსაგან ფულს იღებდა (მხოლოდ აპარატის ხელფასისთვის, ხოლო რა იყო ეს ხელფასი, კარგად მოგეხსენებათ), მაგრამ მაინც თავისუფალ შემოქმედებით ორგანიზაციად იქცა - იგი აღარაა დამოკიდებული რომელიმე პარტიის ხაზზე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში, არაეინ კარნახობს ასე და ასე წერო, ხშირად მწვავედ აკრიტიკებს მთავრობას, როცა მიაჩნია, რომ მისი (მთავრობის) მოქმედება სწორი, ერის სასიკეთო არაა.

მაგრამ დამარცხებულ პრეზიდენტის მომხრეებს და ზოგიერთ სხვას მწერალთა კავშირი ისევე ხელისუფლების მორჩილად მიაჩნდა და მიაჩნია.

- მწერალთა კავშირიდან გასულმა მწერლებმა ხუტა ბერულავას ხელმძღვანელობით შექმნეს "ქართველ მწერალთა და ლიტერატურის მცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირი". დროთა განმავლობაში ამ კავშირის წევრებიდან წერილობით განცხადებების გამოქვეყნების შემდეგ ძირითად მწერალთა კავშირს დაუბრუნდნენ: უშანგი ბეგია, გივი ბუთხუზი, აკაკი განაშელია, გიორგი გიგაური, თენგიზ გოგოლაძე, ოთარ დემეტრაშვილი, სილომონ დემურბანაშვილი, ვლადიმერ თორდუა, იაკოპ მელია.

- როცა ჩვენს ქვეყანაში ზოგ-ზოგები გათმვის გზას ადგენენ, ამ დროს მწერალთა კავშირი ერთიანობის, შეკავშირების მაგალითს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა - ერის სასიკეთოდ ერთად მოქმედების ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომლის თაოსნად მწერალთა კავშირი გამოვიდა, იყო თეატრისა და კინოს მოღვაწეებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან, ფუნაქლისტებთან ერთად გაერთიანებული პლენუმის ჩატარება (1992.10.VI), რათა შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე ერთად ემოქმედათ პრობლემების მოსაგვარებლად.

1992 წლის 16 სექტემბერს კი მწერლებმა გამგეობის ერთობლივი სხდომა გამართეს თეატრალურ მოღვაწეებთან და იმჯგულებს ცენიდან წარმოთქმულ ქართულ სიტყვაზე, მწერლობისა და თეატრის სხვა პროფესიულ თუ საზოგადოებრივ საკითხებზე.

- მწერალთა კავშირმა ჩვეულებისამებრ მოთავეობა გამოიჩინა არეული ცხოვრების გამო ორი წლით დაგვიანებული დიდი საიუბილეო თარიღების - აკაკის დაბადების 150 წლისთავისა (ივნისი) და გლავაკიონის 100 წლისთავის (ნოემბერი) აღნიშვნაში.

- 1992 წელს რუსეთის წაქეზებითა და დახმარებით საქართველოდან გამოსაყოფად და რუსეთთან მისაერთებლად დაწყებულმა სეპარატისტი აფსუების ომმა მთელ ქა-

რთველ ხალხთან ერთად ჩვენი მწერლებიც შეაძრწუნა. ისინი ამ უბედურებას სისტემატურად ემზადებოდნენ ლექსებით, მოთხრობებით, პუბლიცისტიკით.

სეპარატისტებისა და მათი დახმარების წინააღმდეგ იბრძოდნენ: მწერალ დავით თევზაძის შვილი, ისიც დავითი (დღეს - საქართველოს თავდაცვის მინისტრი), მწერლები - მიხო მორჩილაძე (თბილისელი მოხალისეებისაგან შემდგარი სადაზვერვო-დოკუმენტაციური ბატალიონის მეთაური, დღეს კი არმიამი ირიცხება), მიხილ ქურდიანი (შე-3 ბატალიონის მებრძოლი, შემდეგ საზღვაო ქვეითი ბატალიონის ერთ-ერთი შემქმნელი და მეთაურის მოადგილე), სოხუმელი ახალგაზრდა მწერლები: შალვა ბაკურაძე, ფრიდონ ვაბუნიანი (დაიღუპა), თამაზ ლიპარტილიანი და გურამ სალია (დაიღუპა).

რამდენიმეჯერ გამოხატეს თავიანთი თანადგომა მეომრებისადმი და ფრონტის ხაზზე იყვნენ გურამ ფანჯიკიძე (მონაწილეობდა მთავრობის სახლის დაცვაში სოხუმის დაცვის დროს), გენო და ზაურ კალანდოები, ირაკლი სამსონაძე, ომარ თურმანაული.

მწერლებმა აფხაზეთსა და სამოქალაქო ომს შვილებიც შესწირეს: ჭაბუა ამირეჯიბმა - ირაკლი ამირეჯიბი, რევაზ მიშველაძემ - არჩილ მიშველაძე, დიმიტრი ჯანელიძემ - მიხილ (მახარე) ჯანელიძე.

უგზო-უკვლოდაა დაკარგული მწერლის, ომის დღეებში 23-ე ბრიგადის სამხედრო კორესპონდენტის ეგვერთ აქუბარდიას ვაჟი, თავდაც მწერალი და მებრძოლი გოჩა აქუბარდია, აგრეთვე პოეტ ჯანსუღ ნიქაბაძის ვაჟი.

1993 წელი - საქართველოს მწერალთა კავშირმა მძერი მზრუნველობით მიიღო და მწერალთა სასახლეში დაუდო ბინა აფხაზეთიდან დევნილ საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციას.

ასეთი სახელწოდებით ქართველი-აფხაზი მწერლების სეპარატისტთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ 1989 წელს გამოეყვნენ აფსუა-აფხაზ მწერლებს. აფსუა-აფხაზები თავის ენაზე თავის თავს ხომ აფსუსა უწოდებენ და საქართველოში მაშინ წააგო, როდესაც დათანხმდა აფსუებს აფხაზები, ხოლო იქაურ მწერალთა ორგანიზაციას აფხაზეთის მწერალთა კავშირი (და არა საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილება) რქმევოდა.

1992 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ დაამტკიცა აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მწერლების შემოქმედებითი ოჯახისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის, მისი ხელმძღვანელისათვის კი - თავმჯდომარის დარქმევა.

ქართველ აფხაზ მწერლებს აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციად ჩამოყალიბების დღიდან - 1989 წლიდან, როგორც თავმჯდომარე, ხელმძღვანელობს 1976 წლიდან ერთიანი აფხაზეთის მწერალთა კავშირში გამგეობის მდივნად მოღვაწე პოეტი და დრამატურგი გენო კალანდია. 1993 წლიდან მასთან ერთად თბილისში განაგრძობენ მოღვაწეობას აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, რომან "კოჩას" ავტორი ევგენი აქუბარდია, ჟურნალ "რინას" ახლანდელი რედაქტორი გივი ბერაია, ოთარ ჭურჭულია, ვანო ჯანელიძე...

- 1993 წლის 25 მარტს, 1992 წლის მწერალთა ყრილობის ზუსტად ერთი წლის თავზე, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ანგარიშით წარუდგა მწერალთა საერთო კრებას. მომხსენებელმა, კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯვიქიძემ აღნიშნა: კავშირის მმართველობის სტრუქტურა მთლიანად დაპრინციპულად შეიცვალა, კავშირი თავის თავს თვითონ პატრონობს, გამგეობასთან შეუთანხმებლად არცერთი ნაბიჯი არ იდგმება; შეიქმნა ახალი განყოფილებები: ქვემო ქართლისა ცენტრი თ. რუსთაველი (1991.15.); პსმ მდივნები - 1991-1995 - კარპე მუხლაძე, 1995-1998 - მერი შალვაშვილი, 1998-დან - იასულაბერიძე, ოხურგეთისა (1992.4.III); გიზო ჭელიძე).

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგ შექმნილი კიდევ რამდენიმე განყოფილება: შესხეთისა (1992.24.VII; დურმიშხან ბერიძე); ცხინვალის რეგიონისა (1995.29.X; ნელი ჩალაური), დუშეთისა (1996.24.VII; ბალათერ არაბული), სიღნაღისა (1996.14.II; თამაზ ხმალაძე, რომელიც გარდა ბელეტრისტიკისა, სხვა უბანზეც ემსახურება ქართულ სიტყვასა და მწერლობას - რადიოს ძველი მუსიკა, 1993 წლიდან ლიტერატურულ-დრამატული გადაცემათა რედაქციის მთავარი რედაქტორი, მეტად საჭირო გადაცემის "ენაი შემუშული და კურთხეული" ავტორი, რედაქტორი და ნამყვანია).

1992 წლის წინ და შემდეგ მწერალთა კავშირში ცოტა გაიოლებულად მიღება, აგრეთვე განყოფილებათა შექმნა ნაკარნახევი იყო შიშით - მწერლები დაპირისპირებულ კავშირებში არ შევიდნენ და ძირითად მწერალთა კავშირს დაშლის საფრთხე არ დაეშუქროსო. მაგრამ ამ უკანასკნელში ციხეს შიგნიდანაც დაუნყვას რღვევა - გაივლის ცოტა ხანი და ზოგიერთი სულ უფრო დაიწვებით დაიწყებენ კავშირის დაშლის მოთხოვნას.

დაეუბრუნდეთ 1993 წლის საერთო კრებას. მან მიიღო მიმართვა ქართველი ხალხისადმი, აგრეთვე მსოფლიო მწერლებისადმი - ჩვენი უბედურების გამო ხმა აღიმოდლეთო... საუბარი იყო მწერალთა მძიმე ყოფის შესამსუბუქებლად გასანეე მუშაობაზეც.

- ბერის მიერ მწერლების დაპირისპირების ფონზე უმრავლესმა და გონიერმა საქართველომ, რომელსაც კარგად ესმოდა ქართველი ერის ცხოვრებაში ჩვენი მწერლობის როლი როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე ეტაპზე, - 1993 წელს მწერალთა კავშირის დაშლას აირჩია ანა კალანდაძე.

1994 წელი - მრავალ საბინელ დანაშაულს აფხულებმა წლის დასაწყისში კიდევ ერთი მიუტეველებელი ცოდვა დაუმატეს - დახვრიტეს პოეტი ქალი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე.

- აფხაზეთი აფხაზეთად, მაგრამ ამას ზედ დაერთო მიწარეულობა, სამოქალაქო ომი და განუკონხიობა.

- მწერალთა კავშირმა 1994 წლის 6 მაისს გამართა გაერთიანებული პლენუმი. ადრინდელ შემოქმედებით ორგანიზაციებს მეცნიერებათა აკადემიაც შემოუერთა. მაგრამ შემდეგ აკადემია ნელ-ნელა ჩამოშორდა ამ საქმეს...

- ამ წელს მაისში გამართა ახალგაზრდა მწერალთა სამდღიანი შეხვედრა-სემინარი. გადაწვეიტეს, გამართულიყო ყოველ წელს, მაგრამ ეს გაბედული დაპირება ვერ შესრულდა.

- ეს, ასევე ქვეთ, მწერალთა კავშირის შინაური საქმეები. მაგრამ იყო "საერთაშორისო" კავშირ-ურთიერთობათა დაპირების ცდემბიც. მაგალითად, მოსკოვის საერთაშორისო ლიტერატურულმა ფონდმა არაერთხელ მოგვმართა - ჩვენიან გაერთიანდით და ასეთ და ასეთ სიკეთეს მიიღებთო. ჩვენებზე ყოველთვის უარი შეუთვალეს - განვერინება პოლიტიკურ აქტს წარმოადგენს და სანამ პოლიტიკური სიტუაცია არ დარეგულირდება, მიზანშეუწინებელიაო.

- წლის ბოლოს აჭარაში შეიცვალა მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ჯერ კიდევ 1992 წლის 9 დეკემბერს გამგეობამ აჭარაში მომუშავე მწერლების შემოქმედებით ოჯახს საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია, ხოლო მის ხელმძღვანელს - თავმჯდომარე უწოდა.

1932-1952 წლებში აჭარის სამხრლო ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი იყო იმ დროს პოპულარული რომანების "დელი მურადისა" და "ჩაის" ავტორი პარმენ ლორია. ამ თანამდებობაზე ცოტ-ცოტა ხნით ანდრო თევზაძისა (1952-53) და ილია რურუას (1953-57) მუშაობის შემდეგ, 1957 წლიდან პნ (I) წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ფრიდონ ხალვაში. მომდევნო წლებში კვლავ ცოტა ხნით ეს მოვალეობა მთაა ზოიძემ (1993-94) შესასრულა, 1994 წლის 22 დეკემბრიდან კი ეს საპატიო მისია პოეტსა და ბელეტრისტს (მრავალნიანი შრომის შედეგად გასრულებული ორნიგნიანი ისტორიული რომანის "მუხაჯირების" ავტორს) ჯემალ ჯაყელს მიანდევს.

დასახელებულთა გარდა, აჭარაში ქართული მწერლობის ჭაპანს ეწოდნენ: ნესტორ მაღაზონია, პარმენ რურუა, იუსუფ ფაღაფა (მას ეკუთვნის ისტორიული რომანები "ქედურბელი" და "წინაპართა არდილენი"), გიორგი ალაუტვაძე, ჯემალ ქათამაძე, "ზიხანის არნიეების" ავტორი მამია ვარშანიძე, დრამატურგი ალექსანდრე ჩხაიძე და ენევიან - ალექსანდრე სამსონია, ლადო სეიდიშვილი, ზურაბ გორგილაძე, ქსენია მჭავია, დავით თედორაძე, ამირან ნაბაზი...

- აქვე უნდა ითქვას მწერალთა კავშირის კიდევ ერთ უძველეს განყოფილებაზე:

1926-37 წლებში ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებას უძღვებოდა დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე). მომდევნო წლებში ეს ტვირთი ზიდეს დიმიტრი კვიციანი (1938-44), გიორგი სამხარაძე-გიასელმა (1944-56), არჩილ გურჯიძემ (1956-58). შემდეგ, ისევე როგორც ბათუმშიც, ზალვაშვილი, დავით კვიციანი და სხვების სიცოცხლის ბოლომდე ერგო ქუთაისის სამწერლო ოჯახის მეთაურობა. უკანასკნელი რამდენიმე წელიწადია ქუთაისში მწერლებს თვითმურაზ ლანჩავა წინამძღოლობს.

ამ წლების განმავლობაში ზემოხსენებულ ხელმძღვანელებთან ერთად მოღვაწეობდნენ რუთა ბეროძე, ლილი ნუცუბიძე, დონიტი აბომაძე, სიმონ არველაძე, ზურაბ კუხიანიძე, დავით ზურაძე, გონერი ჭეიშვილი, ზაალ ებანიძე, ავთანდილ ნაკოლეიშვილი.

1995 წელი - 25 იანვარს გამეფებამ დაადგინა:

მწერალთა მორიგი ყრილობა გაიმართოს 1995 წლის 17-18 მაისს, თბილისში, მსახიობთა სახლში:

"იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მწერალთა კავშირი დაარსდა 1917 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში და 1917 წლიდან 1932 წლამდე ჩატარდა საქართველოს მწერალთა შეიდი ყრილობა, შეიცვალოს ყრილობების დღემდე არსებული რიგითობა. ამიერიდან მწერალთა ყრილობების დასახელების დროს პირველად მოხსენიებული იქნება ყრილობების დღემდე არსებული ნუმერაცია, ხოლო ფრჩხილებში ნაჩვენები იქნება რეალური ვითარება. ამრიგად, წლეულს ტარდება საქართველოს მწერალთა XII (XIX) ყრილობა" ("ლს", 1995, № 5).

ამ ფორმულირებაში გაიპარა უზუსტობანი: ა) მწერალთა კავშირის შექმნისას ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა; ბ) საქართველოს მწერალთა პირველი, დამოუკიდებელი ყრილობის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1920 წ.) და გასახლეობის შემდეგ, 1921 წლიდან 1932 წლამდე

მდე ჩატარდა კიდევ ექვსი ყრილობა, უი. სულ - შეიდი (დანრილებით იხილეთ: რევაზ კვეციანი ჩხილაძე, საქართველოს მწერალთა კავშირი. 1917-1982. თბილისი, 1983; მისივე - ტრადიციების სიმდიდრე და სიმძიმე, "ლს", 1995, № 6).

ყრილობამ მოისმინა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძის საანგარიშო მოხსენება და თანამოხსენებები: პროზასა და დრამატურგიაზე - რეზო ჭეიშვილისა, პოეზიაზე - დავით მჭედლურისა, კრიტიკასა და პუბლიცისტიკაზე - ელგუჯა მალრადისა ("ლს", 1995, № 20). შემდეგ კვლავ ღია კენჭისყრით აირჩია თავმჯდომარე - გურამ ფანჯიკიძე, მდივნები - რეზო ჭეიშვილი, დავით მჭედლური. მალე გურამ ფანჯიკიძის ბრძანებით თავმჯდომარის მოადგილედ საერთო საკითხებში დაინიშნა საქლიტფონდის დირექტორი ელგუჯა მალრადე ("ლს", 1995, № 21).

- თვალსაზრისი მწერლების ერთმა ჯგუფმა შექმნა გაერთიანება "ოტარიძე" და გამოვიდა მანიფესტით: "გაერთიანება "ოტარიძის" ამოცანა იქნება მისი წევრების საყოფაცხოვრებო და შემოქმედებითი პირობების გაუმჯობესება, წიგნების გამოსაცემად საჭირო სახსრების გამონახვა, საკუთარი პოლიგრაფიული ბაზის გაპართვა და, რაც მთავარია, მწერლის უფლებებისა და ინტერესების განუზრელი დაცვა!" ჩვეუთავს მარადიულ საქართველოს ბანაკში ვგულანსხმობთ და, შეძლებისდაგვარად, ყველაფერს გავაკეთებთ ერის გამთლიანებისათვის, შერიგებისათვის, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, დიდი ქართული მწერლობის პრესტიჟის დაცვისათვის" ("ლს", 1996, № 18, 25, 28).

- ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები მწერალთა კავშირისგან სულ უფრო დაბეჯითებით ითხოვდა, ფეხი აენყო გარდაქმნილსათვის. ამის საპასუხოდ სექტემბერში შეიქმნა მწერალთა რეორგანიზაციის კომისია გურამ ფანჯიკიძის თავმჯდომარეობით. მასში შედიოდნენ: გივი ალბაზიშვილი, ბალათერ არაბული, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, მურმან ლეგანიძე, ელგუჯა მალრადე, რევაზ მშველაძე, დავით მჭედლური, ჯანსუღ ღვინჯილია, ტარიელ ჭანტურია და რეზო ჭეიშვილი.

კომისიამ ოთხი სხდომა ჩაატარა და, გაითვალისწინა რა მწერალთა მიმდემდგომარეობა, უარყო რეფორმის ჩატარების მოკური გზა, ზოგიერთი მოთხოვნა: მთარგმნელები მთარგმნელობით ცენტრ "ზომლში" ნავედნენ, ლიტერატურის მცოდნეები - ლიტერატურის ინსტიტუტში. სამაგიეროდ მოითხოვა: გამკაცრდეს, ყრილობამდე შეწყდეს მწერალთა კავშირის ახალ წევრთა მიღება.

პრეზიდენტობა დაადგინა:

"დედებანდელ ეტაპზე, მოსალოდნელი უარყოფითი მორალურ-ფსიქოლოგიური შედეგების გათვალისწინებით, მიზანშეუწონლად ჩაითვალოს მხარაღია კავშირის წევრთა ხელოვნური შემცირების ყოველგვარი მცდელობა" ("ლს", 1996, № 43).

ამავე დროს, რადგან სახელმწიფო ვეღარ შესძლებს მხარაღია კავშირის შენახვას, ჩვენს თავს ჩვენ უნდა მოუწიოთ და ეს თავისი წევრებისათვის უნდა შესძლოს მხარაღია კავშირის ფარგლებში უკვე არსებული გაერთიანებების ("ოტარაიდი", ახალგაზრდული "გულანი") მსგავსად შექმნილმა ახალმა გაერთიანებებამა.

- მიუხედავად იმპერიული ძალების ყოველი დონის ხმაირებისა - დამოუკიდებლობა გამოცხადებული საქართველო სივე იმპერიაში შეეთრია, დაესუსტებინა, დაეგრია, მიუხედავად შინაომისა, იარაღისხმული, ყაჩაღადექვეული ხალხის მომრავლებისა და ამის შედეგად ძარცვა-გლეჯის, შიმშილიანობის გახშირებისა, - შეიქმნა ზოგადი მნიშვნელოვანი რომანი: ზაირა არსენიშვილის "რეკვიემი ბანის, სოპარანოსა და შეიდი ინსტრუმენტისათვის" (1998 წლის სახელმწიფო პრემია), ეგრეთ წოდებული სამამულო ომის თემის ახლებურად გამშუქებული "ნაცრის ქეჭვა" გურამ გეგეშვიდისა, გივი მალულარიას "შეხვედრა გამზირზე", არჩილ სულაკაურის 1992 წელს გასრულებული "თეთრი ცხენი", გურამ ფანჯიკიძის მძაფრსიუჟეტანი "ეშმაკის ბორბალი" (მემედ აბაშიძის პრემია 1995 წლისა), ჯემალ ქარჩხაძის "ქარავენი", ჯანსუღ ლეინჯილიას "ქართლოსის საფლავეი", ოთარ ჩხეიძის "არტიტული გადატრიალება" 1991-92 წლების მოვლენებზე და "თეთრი დათვი" ამის შემდგომ პერიოდზე.

ახლა გამოჩნდა ოთარ ჩხეიძისვე ერთი ადრინდელი რომანი "ცთომილინი", რომელიც 1960 წელს "მნათობში" უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ პარტიულ-ნომერკლასტურული მუშაკებისა და საბჭოთა სამეცნიერო ინტელიგენციის ფუყე აკადემიზმის კრიტიკისთვის აუკრძალავს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მხოლოდ 1997 წელს დაიბეჭდა "ცისკარში".

ალსანიშნავია თამაზ ჭილაძის ორი რომანი - "ჩამავალი მზის სხივი" და "კაკტუსის ბაღი", ოთარ ჭილაძის მეხუთე რომანი "ველუმი" (ილია ჭავჭავაძის პრემია მხარაღია კავშირისა და გამომცემლობა მესხეთის პრემია, ორივე - 1997 წელს; ითარეგმნა და გამოიცა ვერმანიამი 1998 წელს, ახლა კი წარდგენილია ნობელის პრემიაზე), რევაზ ჯაფარიძის "გზა გოლგოთისაკენ" (1993 წლის სახელმწიფო პრემია) და "მხევალი უფლისა" (ქუთუთავს დედოფლის ცხოვრებაზე), ნოდარ

კეკელიძის "წყალი ჩვენი არსობისა" (1993 წლის სახელმწიფო პრემია);
 შეიქმნა ავტობიოგრაფიული რომანები: ლადო სულაბერიძის "ცხადის ზმარინა", ოთარ ჭილაძის "ვინ როდის კვდება", ფრიდონ ხალვაშის "წყალს ნაფოტი ჩამოქონდა" (აქვე ვახსენებ მის რამდენადმე პუბლიცისტური ნაწარმოებისათვის შესაფერის სათაურთან რომანს - "შეიძლება თუ არა, მუსულმანი იყოს ქართველი?") და ჯემალ ქიორის "მე, როსინანტი" (ყოველწლიური პრემია 1993 წლისა).

შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი რომანები: ჯობა იოსელიანის 90-იანი წლების კრიმინალურ-პოლიტიკური სამყაროს ამსახველი "სამი განზომილება" (რომელსაც წინ უძღოდა მისივე "ლიმონათის ქვეყანა" - ციხიდან დანახულ ტოტალიტარულ სამყაროზე), მერაბ აბაშიძის "როცა სამყარო სიკვდილს მოგისჯის"; გამოჩნდა ახალ ავტორთა ნაწარმოებები: ზაზა ენუქიძის "დაუცველია და მეტად საშიში" - სახმედრო ყაზარმების სასტიკ ცხოვრებაზე და ზაზა დვალიშვილის 30-იანი წლების რეპრესიათა ამსახველი რომანი "რკინის ქალაქები".

მოთხრობებისათვის მიეკუთვნათ: სახელმწიფო პრემიები - თამაზ ბიბილურს (1992), გურამ დოანაშვილს (1994), ნუგ ზარ შატაიძეს (1996); მხარაღია კავშირის პრემიები აკაკი წერეთლისა - რევაზ მიშველაძეს (1993), ყოველწლიური - გივი მალულარიას (1992), ჯემალ ქარჩხაძეს (1996), ვანო ჩხიკვაძეს (1997); მემედ აბაშიძისა - რევაზ მიშველაძეს (1999); გიორგი შრევაშიძისა - თემურ აბულაშვილს (1997); გამომცემლობა "მესხეთისა" - ვახტანგ ჯავახაძეს - ნიგინათვის "უცნობი. აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა".

ნაყოფიერად მუშაობდნენ ზაალ სამადაშვილი და სრულიად ახალგაზრდა ირინე ბაქანიძე (პრემია ახალგაზრდა მწერლებისთვის, 1994), ბელეტრისტი ("უფალო, გამიყვანი დერფნის ბოლოს" და დრამატურგი (რადიოთეატრი: "კურდღელი", "რეპუტიცია"), რადიოსპექტაკლებისა და სატელევიზიო დადგმების რეჟისორი ზურაბ კანდელაკი.

პოეზიაში კი დამაინტრიგებლად შემოიჭრა ჩვენი უკანასკნელი წლების გაპარტახებული ცხოვრებაზე მწარე სიმართლის მოქმედი, ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის "ანდერძი", რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, არჩილ სულაკაურს ეკუთვნის.

მას სავსებით დამსახურებულად მიენიჭა 1996 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემია, რადგან დრომ ვერაფერი დააკლო მის პოეტურ სიძლიერეს.

ასეთივე პრემიები ერგოთ: ბესიკ ხარანაულს პოემისათვის "უსინდისობაა, - როცა საბნელი უაზროდ იწვის" და გენო კალანდიას

"სალამო ხანის სონეტებისათვის" (ორივეს - 1993), ლია სტურუას ნიგნისათვის "შუქს ნუ ჩამიქრობთ!" (1995) და შოთა ზოიძეს "უსანქციო სონეტებისათვის" (1997).

1993 წელს მწერალთა კავშირმა დააარსა აკაკი წერეთლის სახელობის პრემია, რომლის მიზნებიცაა უნდა მომხდარიყო სამ წელიწადში ერთხელ. იმავე წელს პრემიები პოეზიაში მიიღეს გივი გვიგუჭკორმა და შორის ფოცხიშვილმა, 1998 წელს კი - გივი აღბაზიშვილმა.

პოეტური ეპოსის ერთგული ოთარ ჭელიძე წერს პოემას "ომი და პოეზია", რისთვისაც (აგრეთვე ზალადისათვის "ძღვეთა საკვირველი") 1996 წელს მიიღო ახლად დაარსებული ვაჭა-ფშაველას პრემია მწერალთა კავშირისა.

გიორგი შარვაშიძის პრემიის ლაურეატები გახდნენ: ჯანო ჯანელიძე (1995), შოთა ნიშნაიძე (1997) და რენე კალანდია (1998).

ამ ათწლეულში პოეზიაში მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიებით დააჯილდოეს: მარი აბრამიშვილი (1992), ჯანო ჯანელიძე და ზურაბ გორგოლაძე (ორივე - 1994), გივი აღბაზიშვილი (1996), მურმან ლებანიძე და მანანა ჩიტოშვილი (1997); გამომტკეზლობა "მესხეთის" პრემიებით - ზურაბ ბოლქვაძე, გივი გვიგუჭკორი და ჯანსუღ ჩარკვიანი.

ამ წლების შეძრწუნებამ, სამშობლოს ბედით გამწარებამ წარმოშვა გრიგოლ აბაშიძის ლექსი "არყოფინისაკენ" - "გულთმისნური ხილვა ბედისა" (როგორც გიორგი მერკვილაძემ უწოდა) და არჩილ სულაკაურის "ვოდება".

დრამატურგიაში სახელმწიფო პრემია მიენიჭა ოთარ ჭილაძის "ლაბირინთს" (1993 წ.) და თამაზ ჭილაძის კრებულს "სიზმრების ახსნა" (1997 წ.), გურამ ბათიაშვილს (1998).

"ლიტერატურულმა საქართველომ" დაბეჭდა ჯანსუღ ლვინჯილიას სამოქმედებოანი პიესა და ვით ალმაშენებელზე - "ახალიცა" (1995. №10), ოთარ ჩხეიძის ტრაგედია "მეფე აშოტ კურაპალატი" (1996. №20), საქართველოსა და გერმანიის რადიომაუწყებლობის ერთობლივ კონკურსში გამარჯვებულნი რადიომაიესა "სამოთხის ევარტეტი" (1996. №12) თამაზ ჭილაძისა, რომელიც ნაყოფიერი დრამატურგიული მოღვაწეობისათვის ("ელისაბედ, ელისაბედ") იმსახურებს მწერალთა კავშირის 1996 წლის პრემიას, მის კიდევ ერთ ახალ პიესას "როცა შუქი ქრება" მიეკუთვნა აფხაზეთის გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემია (1997).

ყოველწლიური პრემიით დაჯილდოვდა პიესები "აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" (1991 წ.) ირაკლი სამსონაძისა, "ერთმოქმედებიანი უსათაურო პიესა" (1992 წ.) გივი

სულაკაურისა, "ცისარტყელა" (1993 წ.) გურამ ბათიაშვილისა, პიესების კრებული თემურ აბულაშვილისა (1997 წ.), "თეთრი ლამქარი" (1998 წ.) მიხო მოსულიშვილისა.

აქვე შეიძლება ვახსენოთ თამაზ მეტრეველის პიესა "ზზარი".

ისევე როგორც ლექსა და მოთხრობას, პუბლიცისტიკასაც მრავალი მწერალი მიმართავდა, კარგი წერილებიც დაიბეჭდა, მაგრამ უპირველესი მაინც თამაზ ნიგნიაძის უშიშარი, თავგამოდებული, უკომპრომისო და თანმიმდევრული პუბლიცისტიკაა, რომელიც უკვე მერამდენე წელია "ლიტერატურული საქართველოს" ყველა ნომერში ქვეყნდება - "აიღე შენთვის, შენც ხომ შევარდნაძე არა ხარ!", "დამარტყი, მაგრამ მომისმინე", "მომისმინე, თორემ დავარტყამ" და სხვანი, რომლებმაც შეადგინეს ნიგნი პირველი წერილის სახელწოდების მიხედვით.

საქართველოს სახელმწიფო პრემიები დაიშასხურეს პუბლიცისტიკის დარგში: 1993 წელს - ჯანსუღ ლვინჯილიამ ნიგნისათვის "ქართველი კაცის სინამდვილე", 1994 წელს - ჯემალ აჯიაშვილმა ნიგნისათვის "გამოიღვიძე, ქნარო!", 1995 - კობა იმედაშვილმა პუბლიცისტიკური წერილებისათვის "საქართველოს ბედი და წყდება", "შთავარი ბრძოლები ნინაა", "გადავრჩეთ და გადავარჩინოთ საქართველო", "მეკვლელობა", "გულახდილობის დრო", 1997 - ანა კალანდაძემ პუბლიცისტურ-ესეისტური წერილებისათვის.

ილია ჭავჭავაძის პრემია მწერალთა კავშირისა მიენიჭა ელგუჯა მაღრაძეს ნაშრომისათვის ილიაზე "მოდღარი" (1997), აკაკი წერეთლისა - ჯანსუღ ლვინჯილიას ნიგნისათვის "ლეთისმშობლის ნიღბედური ქვეყანა" (1998), მეგმედ აბაშიძისა კი - გურამ შარაძეს ნიგნისათვის ამ დიდ მოღვაწეზე (1995).

რეზო ჭეიშვილმა კიდევ ერთხელ გამოამხურა კომუნისტური რეჟიმის სისასტიკენი - გამოაქვეყნა ნარკვევი "მედედევესკის ტყეში" ("ლს", 1997, №14-17).

და მაინც, დღევანდელი მთავარი სატკივარი აფხაზეთი და სამჩაბლოა (ამ სატკივართა ფესვები სწორედ კომუნისტებმა მოამაგრეს).

მონოდებას - "ჩანგო, დაიხსომე, ჩანგო, ხმალი, ხმალი არ ჩააგო!" - უპირველეს ყოვლისა თავად ამ სიტყვების ავტორი ტარიელ ჭანტურია ეხმარებოდა (ყოველწლიური პრემია 1997 წ.). ამ დიუბორალურ ნათქვამზე გამოყოფენებ და ვიტყვი: გადამწყვეტ ფაქს - კომუნისტურ ხელისუფლებასთან, იმპერიალისთან ბრძოლის დროს რუსთაველის საზოგადოების გაზეთ "მაშულის" გაბედულად რედაქტორობასთან, მართოდელ-სატირული მახვილი ლექსების შექმნასთან ერთად ტარიელ ჭანტურია ზემოხსენებული პუბლიცისტიკის

სტორი ნაშრომების ავტორების, აგრეთვე ემზარ კვიციანიშვილის (1992 წლის სახელმწიფო პრემია პუბლიცისტიკაში), რევაზ მიშველაძის, ლევან სანიკიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის და სხვების და სხვების მხარდამხარ თავისი პუბლიცისტიკითაც გამძაფრებით იბრძოდა სულხან-საბას, "ქართლის ჭირის" მოზარე დავით გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა და "თვალდაშრეტილი დიდი ფშველის ცალი ცრემლით დატორებული" (ტ. ჭანტურია) საქართველოს დასაცავად.

ტარიელ ჭანტურიას მეორე მნიშვნელოვან შეგონებას - "გაყიდვ სამოსელი და იყიდვ მახვილი" გამოცემლობა "შესხეთმა" შიდაქცია ყურადღება და ამავდ სათაურიანი პუბლიცისტიკური ნარკვევების ნიგნს 1997 წლის პრემია მიანიჭა.

ამ შეგონებისათვის ქართველებს დროზე უნდა მიეციათ ყურადღება, მაგრამ ამის ნაცვლად ბევრი მათგანი სახლებსა და მანქანებს ყიდულობდა, ოქროსა და ბრილიანტს აგროვებდა, სიამოვნებას ოდნავადაც არ იკლებდა და ამ ჭკუამოკლეობისათვის ბევრ მათგანს სახლი თავზე დაამხვეს, გადაუბრუნეს, მანქანაც და ოქროც წაგლიჯეს, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა, მრავალ მათგანს სიცოცხლეც მოუსწრაფეს.

ეგებ ახლა მაინც დაუჯერონ ქართულ მწერლობას, ანი მაინც მიხვდნენ, სახლს რომ ყიდულობ, მის დასაცავადაც უნდა იბრუნო.

კიდევ ორიოდ სიტყვა ამ ათწლეულის პუბლიცისტიკაზე : დავით მჭედლოური წერს ქრონიკას "თავისუფლების სახელით" (1996 წლის ყოველწლიური პრემია) 80-იანი წლების ყოველ ნახევრისა და 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ტრაგიკულ ამბებზე (მანამდე შედგა პოეტ დ. მჭედლოურის დებოუტი პროზაში - გამოვიდა მისი რომანი-პამფლეტი "პირველი" - კომუნისტურ აპარატში გაბატონებულ ბიუროკრატიაზე და უსულგულობაზე).

აფსუა სეპარატისტთა და მათი იმპერიული მფარველების მიერ დატორალბულ უბედურებაზე, მათ მიერ დევნილი ქართველებსა და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანთა სვანეთის თოვლიან-ყინულო-

ვანი უღელტეხილების გამომსახურების გიკული შემთხვევებით აღსავსე ამბავი თავად დევნილმა მწერალმა გურამ ოდიშარამ შემოუნახა თამამავლობას პუბლიცისტიკური ნიგნში "დევნილთა უღელტეხილი" (1993 წლის ყოველწლიური პრემია), ზოლო შემდგომ შექმნილი ნიგნისათვის "სოხუმში დაბრუნება" 1996 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

მწერალთა კავშირის შექმნის მეოთხე-ცე წელი დასრულდა (19.XII.1997) "ცისკრის" დაარსებიდან 145-ე და აღდგენიდან (1957) მეორეოცე წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი. თავისი არსებობის 80 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირმა 40 წელი განახლებულ "ცისკართან" ერთად გაიარა. ამდენად ეს ოუბილე XX საუკუნის ქართული მწერლობის მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენის შეჯამება იყო. ეს კარგად გამოჩნდა თურნალის საიუბილეო მეცხრე ნომერში, სადაც გახსენებულია ყველა ის ღირსსაცნობი ავტორი და ნაწარმოები, ვინც და რაც დაბეჭდილია "ცისკარში".

ზემოთ ვთქვი, რომ 1995-96 წლებში რეფორმის სრულად ჩატარება არ მოხერხდა, 1997-ში კი მწერალთა კავშირი მოულოდნელი არჩევანის წინაშე დააყენა გურამ ფანჯიკიძის ტრაგიკულმა სიკვდილმა.

სამდევნომ ოპტიმალური ვარიანტი გამოიწინა - თავის დროზე მაღალი ეროვნული იდეალის - ერის გაერთიანებისათვის მავალითის მისაცემად შექმნილი მწერალთა კავშირის შენარჩუნებასთან ერთად დღევანდელი მწერლობისა და საქართველოს მომავლისათვის შესაფერისი რეფორმის ჩასატარებლად მწერალთა კავშირში შემაჯალი ერთ-ერთი უმთავრესი და უძლიერესი გაერთიანება "ოტარის დის" ლიდერი, 80-90-იანი წლებში საქართველოს, ქართული მწერლობის უწმინდესი და უმაღლესი ინტერესების გამორჩეულად მცველი კრიტიკოსი და გამოცდილი ორგანიზატორი თამაზ ნიწივაძე დაითანხმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაზე. პრეზიდენტმა ერთხმად დაუჭირა მზარი ამ წინადადებას (1997. 3.IX).

გადიდებულად გამოცხადდა სამომავლო კურსი (ახალი თავმჯდომარის საპროგრამო გამოსვლის ვარიანტი - "გადარჩენისათვის!" - "ლს", 1997. № 38).



ნიმუზი 660330330

რეკვიემი სასიკვდილო სანიტ შავყრობილთათვის

ვინც გვიღი ალხაზიშვილის შემოქმედებას უკანასკნელ წლებში ყურადღებით ეცნობოდა, დამეთანხმება: რომანის "ამოდის თუ ჩადის მზე?", მთავარი გმირი, მევიოლინე სიმონი, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, ლოგიკური გაგრძელება იმ ლექსებისა, ჯერ კიდევ 1990 წ. გამოცემულ კრებულში ("მხოლოდ სიყვარულზე"; გამოცემლობა "მერანი") რომ დაიბეჭდა. პირველად სწორედ ამ კრებულში გაკრთება სიმონის განზოგადებული სახე ლექსიდან "გასიერება", სხვაგან კი (ესე იგი, სხვა ლექსში) სამყაროთა ზღვარზე მფეთქავი, ხანდახან გულში გაივლებს: "ნუთუ, არ სჯობს, ბლაგვი ცხოვრებით გამოჩოქნილმა ერთფეროვნების ტალახი ვხილო და იქით აღარ გავიხედო, საიდანაც მუსიკა მოდის?". ამ სტრიქონებიდან იწყება შინაგანი ამბოხი გაორებული არსებობისა. ეგონებ, ამ კრებულშივე ("მხოლოდ სიყვარულზე") ხდება პოეტის ჩანაფიქრის გამხელაც: "მსურს თავი გამოვიცადო და მივეწოდო თვითგვემას, იქნებ გადავიტანო სიყვარულის სახადი, ჩავიშალო სიტყვებში და ავიკინძო წიგნებად ფაში სინანულისა და მწუხარე ნახვამდის". ამ მხრივ საინტერესოა მომდევნო კრებულიც "სინათლე წვეთში" (გამომცემლობა "მერანი", გამოცემლობა "ლომისი", 1996), თუმცა ამგვარ პარალელთა დაძებნა რომანთან მიმართებაში მათი სიმრავლის გამო ნამდვილად შორს წაგვიყვანდა და ეს საქმე სამერმისოვ ტექსტოლოგებს უნდა გადაეულოკოთ. მე კი დავსძენ: რომანში ასევე ვსტატორადვამ გამოცემული (გათამაშებული) მწერლის ზოდიაქოს - ტყუპებისათვის დამახასიათებელი შინაგანი დაპირისპირება, გაორება, ზოგიერთი თვისება, რითაც ამ ნიშანი დაბადებულნი გამოირჩევიან. აი, ზოგადი მიზინვება, რის ფონზეც იქმნებოდა რომანი.

წინარმოებში ორი დროა: დრო პირველი, ობიექტური და მეორე, სუბიექტური, ანუ საგანზომილებიანი, რომელიც მხოლოდ სიმონს ეკუთვნის. ამიტომ მისთვის უდროობიდან გამოსვლა-გაქრობა (აღბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ ლექსების კრებულს, რომელიც ამ რომანს წინ უსწრებდა, პოეტმა

"გამოსვლა უდროობიდან" უწოდა, 1998 წ.), სიკვდილის ტოლფასია და რაკი გაქრობის, გაუჩინარების აქტმა სიკვდილის ასოციაცია აღძრა, იქნებ შეეთანხმდეთ: რომანი ტრაგედიაა, თუმცა მისი ფინალი ძველი ტრაგედიისთვის განსაზღვრულ მკაცრ ფორმულას - გმირის ფიზიკური სიკვდილის აქტს არ იმეორებს, მაგრამ ავტორი მიჰყვება რა სიმონის თითოეული ნაბიჯს და ამით მის სულიერ ზრდას წარმოგვიდგენს, სადაც მივგვანიშნებს კიდევ სიმონის გარდაუვალ გაქრობა-დაღუპვაზე, რადგან გმირი არსებაშივე ჩაბრუნებული მწერითა და საკუთარი სისხლით "წერს", ქმნის საკუთარ სიცოცხლეს და ორეულთან გაუცხოებული რჩება (დაუკვირდით, სიმონი მუდამ თქვენობით მიმართავს ავტორს ანუ "მეორე მეს"), გაუცხოებასვე ცდილობს სამშობლოში დატრიალებულ უბედურებასთან და თვითგადარჩენის ინსტიტუტის კარნახით სულის წვრთნაზე გადასული: დათრგუნოს ეგო, ბოლომდე დაიხარჯოს, გასცეს და არ მიიღოს, უყვარდეს მხოლოდ მას, სატრფოს ბანალურ ლაღატს კი დიდსულოვნად შეხედეს, მიზეზი საკუთარ არსებაშივე ეძიოს და არა იმ ქალში, რომლის არსებობამაც თითქოსდა სიმონად აქცია, სინამდვილეში თვითონ სიმონმა შექმნა თავისივე სატრფო, რადგან ყველა გარემოება მასში მხოლოდ ეგრეთ ნოდებული დამაჩქარებლის ფუნქციას ასრულებდა (და ასრულებს), რადგან თვითონ ფლობდა თავისთავად იმ სულიერ მადანს, რომელიც ხელს უშლიდა ეცხოვრა სხვათა მსგავსად. და მაინც, რაა მიზეზი სიმონის "ალმოცივნებისა"? პირველი, ის დიდი სულიერი, შემოქმედებითი პოტენციული უეცრად ვულკანივით რომ ამოიფრქვევა, მეორე, მარადიულ შეყვარებულად დარჩენის ნატვრა, რომლის მოხელთებაც ყოველდღიურ თანაცხოვრებაში ანუ ოჯახში, თითქმის შეუძლებელია და მესამე, ის დაბუთული ჩინოვნიკური გარემო, რომელშიცაა გამოკეტილი და ამ სამყაროდან გაღწევის რეალური შესაძლებლობების უქონლობა. ამიტომაც რომანის წინათქმამი სიმონი პირველად სწორედ სამსახურში გამოეცხადება საკუთარ გაორე-

ბულ არსებობს, მისი გამოჩენა აზარტული თამაშის დასაწყისს წააგავს, რომელი დაჯაბნის, - ლეთიური, სულიერი თუ ყოფითი, მატერიალური? - ასე იწყება უცნაური დუელი, ბაირისკენ მიმავალი ნაბიჯიც გადადგმულია. თვითორ ცხოვრება იწყებს ხელოვანს დუელში, ხოლო ეგზისტენცია, რომელიც შევილინებს ახასიათებს, იმდენად ძლიერი, ყოფითობის დამანგრეველია, რომ მოკვდავი ადამიანის შესაძლებლობებს მრავალჯერ აღემატება. რომანში სიმონის მიერ არჩეული ცხოვრების ნება ექსპრესიულადაა გადმოცემული, ამიტომაც არ გვტოვებს ვულგარის და ზოგჯერ დუელიანტის როლსაც კი ვნათავაზობს.

თბილისის წინათქმამი არის ერთი საინტერესო მინიშნება: "ეს ნიგნი, - წერს ავტორი, - ჩემი და სიმონის თანავეტორობით შეიქმნა - იგი არაა მხოლოდ სიმონის ან მხოლოდ ჩემი, იგი საერთო საკუთრებაა. ვთხოვ, ამ ნიუანსს მიაბეჭოთ ყურადღება, რადგან მომავალში ამ საკითხს რაღაც მნიშვნელობა მიენიჭება". ეს რაღაც, როგორც ნაწარმოების დასასრულს ვხვდებით, არც ისე უმნიშვნელოა, თუმცა ამაზე მოგვიანებით, ახლა რომანის სიუჟეტურ ქარგას მივყავით, რომელიც კომპოზიციურად იმდენად საინტერესოდ და ისეთი მწერლური ოსტატობითაა აგებული, ხშირად გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს იმპრესიონისტ მხატვართა საგამოყენო დარბაზში მოხვედრი კლასიკური მუსიკის თანხლებით. საგანთა არსში გადასახლების, ირეალურში წვდომის უნარი, უნარი მედიტაციისა, რომანის გმირის - სიმონის (იმავე გორგის) პირველი განმარტებული ნიშანია, რაც დამრკობლად ექცა ყოფასთან მიმართებაში და მასზე უაქვური თანმიმდევრობით გადაება ყველა ის ბედნიერი უბედურება, ამ გმირის არსებობას რომ განსაზღვრავს.

დასაწყისში - დროის განზომილებათა ერთიანობას შეეხებით, ახლა კი რომანში არსებულ სივრცეს თუ დავუკვირდებით, შევამჩნევთ: სივრცეც ორდაა გაყოფილი - სივრცე ობიექტური და სივრცე სუბიექტური, სწორედ ამ უკანასკნელის გაქრობისას იღუპება - უჩინარდება სიმონიც.

ნაწარმოებში არის ერთი საინტერესო, ვიტყვით კულმინაციური პასაჟიც კი, სადაც დროისა და სივრცის გამოთლიანება ხდება, სიმონი იბრუნებს თანამდევნი ანწყოს, წარსულისა და მომავლის სინთეზს, შეიძლება დროს, რომლისკენაც მიისწრაფვის ასე ბეჯითად. ეს შუაგულ ქალაქში გამზრდელი დიდების მათხოვრად გამოცხადების ეპიზოდია, სიმონი გამზრდელ დიდებას ღვთაებრივ ქალად მოიხსენიებს, რითაც კიდევ

ერთხელ მიგვიანინებს: ღვთაებრივმა მწყობრმა დაჯილდოებული ადამიანებმა დაჯილდოებული გაჩემომყოფებშიც სინანულის სინათლეს აღმოაცენებენ, რეალურ, ყოფით ცხოვრებაში, მათხოვრებს ემგვანებიან, მათი ფიზიკური არსებობაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ირწყვება; პირველი, რასაც სიმონი დიდებას შესთავაზებს, ძველ, ბავშვობისდროინდელ სახლში დაბრუნებაა და თუმცა მათხოვარი ქალი - დიდება და შვილიშვილი ერთმანეთს ფიზიკურად შორდება, სიმონში დიდების გამოცხადების შემდეგ ჩაღვქილი, მიძინებული ღვთაებრივი სული, გვაროვნული თვითგადარჩენის, გენის ინსტინქტი იღვიძებს და ანწყოში მყოფი სიმონი ფლობს, როგორც წარსულს, ასევე მომავალს, მასში ცოცხლებდებიან მისივე ნიშანებები: "დადგა სახლში ნაყიდეთ, სახლში არ გიჩვენია? - ეს ნაყიდეთ ისე ვთქვი, რომ უნებლიედ გადაეწყვიტე მისი შინ ნაყიდა. მაგრამ ის კი ვერ გავიხსენე, რომ ჩემი დიდი სახლი უკვე აღარ არსებობდა, რომ ის სახლი ჩემმა თავაჩიანმა მამამამაშვილმა კარგა ხნის წინ გაყიდა, რომ იქიდან პირნაწილად გაზიდეს ყველაფერი, ძველი ნივთები, რომლებიც დიდებას და ბაბუას იქ ცხოვრების კვალს თუ სათუთ ანაბეჭდებს ისევე ატარებდნენ, ერთიანად გადაყარეს სანაგვეში, კედლებიდან ჩამოხსნეს ნიშანბართა სურათები... მაგრამ ჩამოხსნილი სურათების ადგილები პატარა სარკმლებს ნააგავდნენ, საიდანაც ჩაველი ბავშვობა იყურებოდა ჩემკენ და იქითაც, კედლის მეორე მხარეს, იმ სამყაროსკენ, იმ ცხოვრებისკენ, რომელიც იყო და არსად გამქრალა" ... და სწორედ ნიშანბართა აჩრდილები, მათი სისხლის ძახლი კარნახობს უდროობიდან ანწყოში დაბრუნებას: "უცბად დავასკვნე, განგებამ იმის ნიშანი მომცა, რომ ბოლომდე არ ამომეძიოკვა ჩემი ოჯახი. გვარში ერთადერთ კაცს გამეგრძელებინა ის ტრადიცია, რომელზედაც უარს ვამბობდი და დამწყობ რაღაც ახალი, სრულად ახალი და უცხო, რაც მე მიზიდავდა კიდევ და მაშინებდა ერთდროულად". ეს უცხო, ახალი, მატერიალიზებული, ყოფითი მომავლის კონტურებიცაა, რომლის შემოხაზვას, გამუქება-გაფერადებას წარსულში თავდატანული სიყვარული უქრძალავს. თუმცა, წარსული დრო, როგორც შევთანხმდით, აქ დროის პირობითი გაგებაა, რადგან წარსულში არსებული სიყვარული ანწყოშიც ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორც ის თვითონ სიყვარულს მოესურვება. სიმონის ცხოვრებაში იდეალური, ოცნებით წარმოსახული ქალის ადგილს ორი რეალური, ჩვეულებრივი ქალი იკავებს. პირველი გახლავთ X ანუ ფლავეტო, მეორე X №2 ანუ იგივე პაუზა, ფერმატოს ნი-

საქართველო

შნით დამშვენებული. და მიუხედავად იმისა, ისინი სხვადასხვა დროში არსებული, ერთი შეხედრით სიმონის მორჩილი სატრფოონი არიან, რომელთა ილუზიური შერწყმითაც სიმონი კვლავ საკუთარი იდეალის მოხელეთებას ცდილობს, ისინი მაინც მინიერი, ადამიანური განცდებით ხორცშესხმული სიყვარულისთვის შექმნილ ქალებად რჩებიან, რომელთა სურვილებიც სიმონის ოცნებებს აქრობენ და ამ შემთხვევაში ცალკე გიორგი (ავტორი) და ცალკე სიმონი - ერთი პიროვნების მეორე მე, ცდილობს შუალედური, განონანარებული ცხოვრებისათვის საყრდენი, ამოსავალი წერტილი მოიხიშოს. ბოლოს, სიმონი მეტად სიმბოლური ეესტით, ერთგვარ კომპრომისზე მიდის: თავის დღიურებს, რომლებშიც X-ის სიყვარულზეა საუბარი, X №2-ის ხელით უგზავნის გიორგის, თავის პირველ მეს, რათა რეალური წარსული მართლაც წარსულში დატოვოს და დაბრუნდეს რეალურ ანმყოში. თუმცა ის პირველ, ნამდვილ კომპრომისზე მაშინ წავიდა, როცა იმ ბალის გაქროლა-დაბეტონება განიზრახა, რომელიც პირველ სატრფოოსთან X-თან ერთად გააშენა და რომლის არსებობაც მარადიული, უკვდავი, იდეალური სიყვარულის სახე-სიმბოლოდ აქცია. საშუაზროდ, ვერც ბალის ფიზიკურმა განადგურებამ გამოიღო მოსალოდნელი შედეგი: დაასფალტებული, გამქრალი ყვავილები ახლა უფრო მძაფრად, მომხიზლავად აყვავდნენ სიმონის არსებაში, ვიდრე ეს რეალობაში ხდებოდა ბოლომდე, მაგრამ რაკი X№2-ის გამოჩენამ გულსგულში აგრძობინა, დღევანდელი ნატვრა ჩაელო სიმონის რალაციით თითქოსდა აღემატებოდა, თან ამ ნატვრამ ფიზიკური მარტოობის შიშიც გაუშვაფრა, სიმონმა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა პაუზასთან დაქორწინება. აქ ხდება პირველად გახლჩილი სულის, გაორებული პიროვნების შერწყმა: "ზვალ მე და მიაი - ანუ პაუზა ანუ X№2 ხელს ვანერთ 2 საათზე, - ატყობინებს გიორგის, საკუთარ ორეულს, მისი ნამდვილი სახელია მიაი, მგონი მოჩვენებას, ილუზიას უნდა ნიშნავდეს ძველიდღური ფილოსოფიური მოძღვრების თანახმად. ასე რომ, ზვალიდან ოფიციალურად "ვაფიქსირებ" ჩემს ილუზიასთან, პაუზასთან, მოჩვენებასთან და X- ის და X№2-ის ჩემეულ შენადობთან თანაცხოვრების დანწყებას." კვლავ X, X№2, მათი შენადნობი, მოჩვენება, ილუზიაა?! მივყვით სიუჟეტის განვითარებას და ვნახოთ, როდემდე გასძლებს სიმონი ილუზიების, მოჩვენებების სამყაროში, იქორწინებს კი მასთან? და როდემდე მიიჩნევს თავს პითაგორელთა სკოლის წარმომადგენლად? აქ კვლავ "შემოდის" ავტორი, სიმონ-

ნის პირველი მე, ჩვეული კომპრომისზე, რომელიც საიდუმლოსავით გვიშხებს: სიმონმა ჩემი მოსაწყენი ცხოვრების ნესი ლამის რომ შემაცვლევინა, "ასეთი ბანალური, ჩვეულებრივი დასახარულისთვის თუ ცხოვრების გაგრძელებისთვის თითქოს არც შემეტებოდაო", თუმცა საქორწინო სუფრისკენ ბეჯითად მიემურება და ამ მსვლელობას კიდევ ერთი სიმბოლური შეხვედრის მომენტი ვხვდებით: გზად თანაკლასიკი, ყოველდღიური ყოფისგან დაბეჭავებული, გალოთებული უნივერსიტეტის დოცენტი ნიკა შეხვდება, რომლის ცოლიც თურქეთში გათხოვია და აარი შვილი ქმრისთვის დაუტოვებია ვასაზრდელად. გაირკვევა, რომ ნიკაც სიმონის ქორწინში მიიქარის, თუმცა გზამივე გამოუტყყდება, თუ არ დავლიე, ისე ხელცარიელი სიმონთან ვერ წამოვალო. მახლობელ სარდაფში ჩადიან, იძლება ტიპური ლოთური სუფრა, რომელიცაც გიორგი ვერ უძლებს, შუა სამაი ტოვებს, რაც სიმბოლოდ ამ ცხოვრებასთან თანაარსებობაზე უარს ნიშნავს და სიმონთან მიიქარის, სადაც განსაკუთრებული, ჯერაც ამოუხსნელი საიდუმლოს, გადაულახავი პარკისთვის გადალახვა ელის, ელის ის უცნაური, მისტიური ორგია, სადაც საკუთარ თავს აღმოაჩენს. მართლაც, ამ "ქორწინში" მოხდება გიორგისა და სიმონის ერთ არსებაში შერწყმის, თანაზიარობისა და თანაარსებობის მისტიური საიდუმლო. თუმცა არც ისე იოლად, უმტიკუნელოდ, როგორც ეს შეიძლებოდა მომხდარიყო სინამდვილეში (თუკი ამ მისტიურ აქტში სინამდვილის ხელი ურევია)?! საინტერესოა ერთი დეტალი, გორგისა და პაუზას შორის ზის სიმონი, ესე იგი, ოცნებასა და რეალობას შორის ზის მევიოლინე, ბელოვანი ადამიანი და მან, რაც უნდა პარადოქსულად გვეჩვენოს, არჩევანი უნდა გააკეთოს - ოცნებასა და რეალობას შორის არსებულ ბაგირზე ისე უნდა გაიაროს, რომ არ ჩამოვარდეს! აქ კიდევ მეორე საინტერესო რამ ხდება: რეალობამ უნდა შეიმცნოს ილუზიური სამყარო, რათა გამოთლიანდეს და უცებ ავტორი ანუ გიორგი ნელ-ნელა სიმონად, თითქოს მასში იწყებს აღმოცენება-აყვავებას ყველა ის ყვავილი X-ის დატოვებულმა შერბარიუმმა რომ შემოინახა. რომანის მანძილზე პირველად გიორგისაც უწნდება გაცუცხოების განცდა. თითქოს აქ მოისმის რეკიემის უკანასკნელი აკორდებიც, თანამდევ მოტივად რომ გასდევს სიმონის ყველა ჩანაწერს...

თითქოს ქორწილი იყო, მაგრამ ქორწილს მაინც არ ჰგავდა, ეს თავმყვრა უფრო ხელგუნურ განწყობას ბადებდა ჩემში. ვერ შევუერთდი საერთო მზიარულებას, ვერ გა-



ვითქვიფე იმ დროში, რომელიც უჩემოდ გადიოდა, მე კი მტკიცებდა უდროობაში, ირეალურისკენ მიბიძგებდა და ყველაზე კონკრეტული განცდა, რასაც, რატომღაც მივეუბნებოდი, ისევე პერბარული იყო, საჩვენებელ ადგილას რომ გამოეფინა სიმონს და რომლის თვალის შევლელაც კი მეც უხსოვარ დროში მამბუნებდა, სადაც ის ადამიანები ცხოვრობდნენ, რომელთაგან თითქმის აღარავინ იყო ცოცხალი და ისინი მაინც განაგრძობდნენ თავიანთ არსებობას ჩემს მეხსიერებაში". აი, რად გვაფრთხილებდა რომანის წინათქმავში ავტორი ამა და ამ ნიუანსს დაუკვირდით, რომელიც მომავალში რაღაც მნიშვნელობას შეიძენსო. აკი შეიძინა კიდევც, ერთარსებად გამთლიანებული გიორგი-სიმონი, ჩინოვნიკურ გარემოცვაში აღმოჩენილი შესანიშნავი ხელოვანი, ბოლოს და ბოლოს, იბრუნებს საკუთარ თავს და ამ მისტიური ქორნილისგან გამარჯვებული გამოდის: პოულობს შინაგან ძალებს ყოველივეზე ასამაღლებლად, რათა გამთლიანებულმა, განიხილონო-რებულმა შეხედოს მის გარშემო მომხდარ ცვლილებებს, ილუზიურმა, მოჩვენებითმა სულიერებამ სამშვიდველის გარსი დატოვოს და შეუერთდეს (ეზიაროს) ნამდვილ სული-

ერებას, რათა განახლებულმა (გამთლიანებულმა) გმირმა იქნებ თავიდანაც კი გაიაროს უკვე განვლილი გზა, უარყოს ის მოჩვენებითი ბედნიერება, რომელიც სინამდვილეში არაფერის ნიშნავს: "x*x№2 ანუ პაუზა=?", x-x№2 ანუ პაუზა=0", ასე რომ რომანის ფინალში ჩამავალი მზის (რომელიც თავისთავში დედამიწის მეორე პოლუსზე ამომავალ მზეს მოიაზრებს)! მკრთალი ნათელი ის სინათლეა, რომელიც არა მხოლოდ სიმონ-გიორგის-ავტორის გულში ღვთიურ ნათებად აცნობდა, არამედ მკითხველშიც. და ბოლოს: ნაწარმოების ჩემული ინტერპრეტაციის დროს ვახსენებდი ტრავმების, როგორც ლიტერატურულ ქანრს, სიმბოლისტურ ეპიზოდებს, ეგზისტენციასა და ექსპრესიულობას, ბევრი პასაჟია შესრულებული ცნობიერების ნაკადის ტექნიკით, თუმცა კონკრეტულად ხსენებულ ფანრთაგან რომანს ვერცერთს ვერ მივაკუთვნებთ, რადგან ის უფრო თანამედროვე რომანისთვის დამახასიათებელი ეკლექტიკრობითაა შესრულებული. ამდენად, გივი ალხაზიშვილის რომანი "ამოდის თუ ჩადის მზე?" თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მეტად საყურადღებო მოვლენაა...





მწერალი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე

ელგუჯა მალრაძის ცხოვრება მუდმივი, მრავალმხრივი გარჯის და დაუღალავი მიზანსწრაფვის შესანიშნავი მაგალითია. ამიტომაც გვიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ეს მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჩვენს გვერდით აღარ არის. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიაპაზონი უაღრესად ფართოა, სხვადასხვა დროს ის იყო ჟურნალების "ნიანგისა" და "მნათობის" მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, გამომცემლობა "საქართველოს" დირექტორი, საქართველოს გამსახკომის თავმჯდომარე, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, 1992 წლიდან იგი მწერალთა კავშირის მდივნად და ლიტფონდის თავმჯდომარედ მუშაობდა. ერთი კაცისათვის, ალბათ, ეს სამოღვაწეო ასპარეზიც იკმარებდა, მაგრამ ელგუჯა მალრაძეს ქართველი საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, იცნობს როგორც მეცნიერსა და მწერალს.

გავიხსენოთ მისი მონოგრაფია "გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება", მხატვრულ-დოკუმენტური რომანი "გოდება" დავით გურამიშვილის შესახებ და ამავე წანის ნაწარმოები "რად, სოფელო", რომელიც თეიმურაზ პირველის ცხოვრებას ეძღვნება.

რალა თქმა უნდა, ნაკლოვანი იქნება მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი მისი მალალმხატვრული თარგმანების გარეშე. ალბათ, არაერთი თაობა აღიზარდა ელგუჯა მალრაძის მიერ გადმოქართულებულ არტურ კონან-დოილის და მაინ რიდის ნაწარმოებებზე. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ჯონ გოლზუორთის, რაფაელ საბატინის, თომას მანის, უილიამ მაკ-გივერნოს და სხვათა თხზულებების მალალპროფესიულ დონეზე შესრულებული თარგმანები.

"მნათობის" რედაქციის კოლექტივი განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს ელგუჯა მალრაძეს, რომელიც ჟურნალში ჯერ პასუხისმგებელ მდივნად, შემდეგ კი მთავარ რედაქტორად მუშაობდა. ყველა ერთხმად აღნიშნავს მის რაინდულ ბუნებას, ცხოვრების უძნელეს წუთებში თანადგომის ნიჭს, უანგაროდ გაცემულ ბრძნულ რჩევა-დარიგებებს. ჟურნალის თანამშრომლები გულისტკივილით ეთხოვებიან საყვარელ ადამიანს და მწერალს.

ჟურნალ "მნათობის" რედაქცია

პოეტის უიკველესი ჯილდო

შოთა ნიშნიანიძის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის. ის იმ მწერალთაგანი იყო, რომელთა შემოქმედებას ზნეობრივი მრწამსი ანიჭებს ძალას და სიმრთელეს.

შოთა ნიშნიანიძე გახლდათ ნამდვილი ოსტატი სიტყვისა, ამ ცნების მკაცრი და ღრმა გაგებით. ეს ოსტატობა ქართული კულტურის ყველაზე უფრო ღრმა წიაღში შენახული საგანძურის - მითოსის მძაფრი აღქმით იყო მადლმოსილი. მითოსური მოტივები ლალად და მიმზიდველად ამეტყველდა მის პოეზიაში. ასევე ბუნებრივად აჟღერდა იმ გმირების სახელები, რომლებიც საქართველოს ისტორიის ფურცლებზე შემოგვინახეს.

ყოველივე ამას, მიმზიდველობას და ბუნებრიობას, პოეტის პიროვნებისეული ნიშნებიც განაპირობებდა. ჩვენში დატრიალებულ ბოლოდროინდელ მოვლენებზე შოთა ნიშნიანიძეს შეუვალა, მტკიცე, ჯანსაღი თვალსაზრისი გააჩნდა. ამ თვალსაზრისს იგი პუბლიცისტური წერილებითაც გამოხატავდა. მის პოეზიაში ლირიკული ჟღერადობით აღბეჭდილ ლექსებს, მოქალაქეობრივ მოტივებზე შექმნილი ნაწარმოებები ენაცვლებოდა. სწორედ მოქალაქეობრივი პათოსი განსაზღვრავდა ისტორიული ხედვის პერსპექტივასაც. შოთა ნიშნიანიძის პოეტური სამყაროს ისტორიზმი უშუალოდ დაუკავშირდა თანამედროვეობას.

ჩვენში არსებული ათასგვარი საჭირბოროტო პრობლემა ავალდებულებდა პოეტს, მწერლობასთან ერთად, საზოგადოებრივი საქმე ეკეთებინა. გარკვეულ პერიოდში მას მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა, სიცოცხლის ბოლომდე კი - აღმანახ "საუნჯის" მთავარი რედაქტორი იყო. მისი თაოსნობით არაერთი სასარგებლო საქმე გაკეთდა და მაღალმხატვრული თარგმანი გამოიზეურდა.

შოთა ნიშნიანიძეს მრავალი ლიტერატურული პრემია ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ ყველაზე დიდ ჯილდოდ მკითხველთა ფართო წრის სიყვარული მიაჩნდა.

მათთვის, ვინც მღელვარებით მოელოდა პოეტის ყოველ ახალ პუბლიკაციას, ნუგეშად და ცხოვრების კეთილ მეგზურად მისი ნიგნები დარჩება.

ჟურნალ "მნათობის" რედაქცია

155/11



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

იბრაჰიმი
76125

შახი ორი ლარი